სოლომონ ხუციშვილი

ლიტერატურული კრიტიკის ისტორიიდან

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1969

8Г
899. 962. 1. 09
973

ს. ხუციშვილის ლიტერატურულ-კრიტიკულ ნარკვევებში განხილულია XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის, ქართული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის მნიშვნელოვანი საკითხები. მოცემულია ბოსლეველის, ა. ცაგარელის, გ. თუმანიშვილის, ვ. მიქელაძის, აგრეთვე ს. ღოდაშვილის და სხვათა შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ანალიზი.

7—2—3
188—69 ადგ.

ქართული პუბლიცისტიკის მნიშვნელობისათვის

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის XIX საუკუნეში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მასალები შეიქმნა. პუბლიცისტიკის დარგში გასული საუკუნის განმავლობაში რამდენიმე თაობა მოღვაწეობდა და ბევრ საჭირბოროტო საკითხსაც მოეფინა ნათელი. გაბედული და მართალი სიტყვისათვის არა ერთი ქართველი პუბლიცისტი სასტიკად დაისაჯა. ბევრმა მათგანმა სიცოცხლეც შესწირა იმ საკითხთა დაყენებასა და გადაწყვეტას, რომელთაც საუკუნის განმავლობაში ხალხისათვის საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა. ბრძოლა ქართული პუბლიცისტიკისა ქართველი ხალხის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ყოველთვის მიმართული იყო ქვეყნის მმართველი ძალებისა და გაბატონებული სისტემის წინააღმდეგ. მებრძოლი, პროგრესული, რევოლუციური პუბლიცისტიკა ჩვენში გამოიწვრთნა და გაძლიერდა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის პირობებში. პუბლიცისტიკის თითქმის ყველა ჟანრი იქნა გამოყენებული ქართული პრესისა და ქართველთა მონაწილეობით იმ რუსული პრესის მიერაც, რომელიც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მოვლენების ანალიზს ემსახურებოდა. XIX სააუკუნის მეორე ნახევარში ქართული ჟურნალ-გაზეთების მხარდამხარ იდგნენ ის რუსული გაზეთები, რომელთაც ქართველი პუბლიცისტები მეთაურობდნენ, ან რომელშიც ეს პუბლიცისტები მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდნენ (მაგ. „ნოვოე ობოზრენიე", „ობზორი" და სხვ.)

ქართულმა პუბლიცისტიკამ თავისი განვითარება დაიწყო ქართული პრესის წარმოშობასთან ერთად, რადგან სწორედ პერიოდული გამოცემების მეოხებით ხერხდება ამა თუ იმ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხის ფართო ასპარეზზე გატანა.

ჯერ კიდევ იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის პროექტში, რომე-

ლიც მან მამამისს — მეფე გიორგი მეთორმეტეს წარუდგინა, იყო პუნქტი, რომელიც საქართველოში, თბილისში გაზეთის გამოცემას ეხებოდა. მაგრამ XVIII საუკუნის საქართველოში, რთული პოლიტიკური და ეკონომიური ვითარების გამო, გამოცემა ვერ მოხერხდა. პროექტში გაზეთის გამოცემის პუნქტის შეტანა იმის მაჩვენებელია, რომ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში გაჩენილა მოთხოვნილება სხვადასხვა აზრთა და შეხედულებების გამოთქმისა და გაზიარებისა. ამასობაში გიორგი XII გარდაიცვალა და ქართლ-კახეთის სამეფოს საქმეებიც სხვაგვარად წარიმართა. XIX საუკუნის დამდეგიდანვე ჩვენში ახალი მმართველობა დამკვიდრდა.

ახალი პოლიტიკური წყობილების დამყარებას, ახალი სისტემის გატარებას დიდი დრო დასჭირდა, რათა ქართველი ხალხის ყველა ფენის წარმომადგენელთა შეგნებამდე მისულიყო მისი აზრი და ყველას ახალი წესის მიხედვით გარდაექმნა ყოფა, ზნეობა და ცხოვრება. ახალ პირობებთან შეგუება მტკივნეულად განიცადა ხალხმა. რაც გამოიხატა დიდ თუ მცირე ამბოხებებში, რომლებშიც უმთავრესად გლეხობა იღებდა მონაწილეობას. ამ ამბოხებას ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა (მთიულეთისა, კახეთისა, იმერეთისა...) ქართველი გლეხობა, ბატონყმობისაგან შეწუხებული, ახალი მმართებლობისაგან უფრო გამწარებული, ცხოვრების პირობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის იბრძოდა.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს ქართველი ინტელიგენტები, როგორც ერის მოაზროვნე ნაწილი, არაერთხელ განიხილავდნენ. მოწინავე ადამიანები ყველა ფაქტს ხალხისათვის სარგებლობის თვალსაზრისით აფასებდნენ.

მეტად საყურადღებოა XIX საუკუნის ისეთი მოაზროვნის შეხედულებები, როგორიც იყო სოლომონ დოდაშვილი, ფილოსოფიურად განსწავლული, მოღვაწე და პედაგოგი. მისი შეხედულებები იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ს. დოდაშვილი დგას ქართული პერიოდული გამოცემების კარიბჭეში და თვით არის ორგანიზატორი, რედაქტორი, ჟურნალისტი ქართული პრესისა.

როგორც ცნობილია, ს. დოდაშვილი მონაწილე იყო იმ პოლიტიკური ორგანიზაციისა, რომელსაც „1832 წლის შეთქმულება“ ეწოდება. იგი 1832 წლის 9 დეკემბერს დააპატიმრეს და 19 თვე ავლაბრის კაზარმაში იყო გამომწყვდეული სხვებთან ერთად. ს. დოდაშვილის

ჩვენებებში, რომელთაც იგი საგამომძიებლო კომისიას აძლევდა 1832 წლის 9 დეკემბრის შემდეგ, დახასიათებულია ის ვითარება, რასაც იგი შეთქმულებამდე და პოლიტიკურ პროტესტამდე მიუყვანია. ეს ჩვენებები ხალხისა და ხელისუფლების ურთიერთობას ეხება და გამოხატავს მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის შეგნებასა და შეხედულებას. ს. დოდაშვილი ასახელებდა კონკრეტულ ფაქტებს, რომელთა უკან ადამიანები იდგნენ და რომელნიც პიროვნების უფლებებს ეძიებდნენ. ს. დოდაშვილის ჩვენებები მნიშვნელოვანია სწორედ თავისი პუბლიცისტურობით, იმ მტკივნეული საკითხების გაშუქებით, აუცილებელ გადაწყვეტას რომ მოითხოვდნენ XIX საუკუნის 20—30-იან წლებში და რომელიც შემდეგაც აქტუალურნი რჩებოდნენ.

ერთ-ერთ ჩვენებაში ს. დოდაშვილი წერდა: «Словом, все жалобы грузин основываются на притеснении от присутственных мест,» და იქვე გამოსავალსაც უჩვენებდა საგამომძიებლო კომისიის მეშვეობით მაშინდელ ხელისუფლებას: «Для управления нужно выбрать людей, совершенно знающих народ и как можно более разбирать их словесно. Конечно людей безпристрастчых и добрых. Вся радость крестьян состоит выслушать и помирить их без суда или виновного, если нужно, наказать, но не отдавать в под суд. Суд есть ужасное бремя для народа...»[1]

ასეთსავე სურათს შლიდა ისეთი ორგანოც კი, როგორიც იყო „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“[2].

ქართველ ინტელიგენტთა ზრახვანი, რასაკვირველია. შესაძლებლობისამებრ, გამომჟღავნდა პირველ ქართულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ჟურნალში, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო პუბლიცისტიკას. ეს ჟურნალი — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ იყო ქართული პუბლიცისტიკის დარგში გადადგმული პირველი ბრწყინვალე ნაბიჯი.

---

[1] საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, 1832 წლის შეთქმულების საქმე. ტ. V, გვ. 809—810.

[2] იხ.. „აქტები...“ ტტ. II, III, IV, აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წ., V, 1953 წ., თავი «Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке».

ს. დოდაშვილის ირგვლივ შემოკრებილ ქართველ მწერალთა წრე ვიწრო იყო, მაგრამ ეს სრულიადაც არ უნდა უშლიდეს ხელს იმ ვარაუდს, რომ წრეს გააჩნდა სურვილი გაევრცელებინა 30-ანი წლების მოწინავე ინტელიგენციის მამოძრავებელი იდეები. ს. დოდაშვილის ღვაწლს რომ ამაოდ არ ჩაუვლია და რომ მის მიერ დასახულმა პუბლიცისტურმა აზრმა და სიტყვამ გარკვეული ტრადიცია შექმნა, აღნიშნა ილია ჭავჭავაძემ, როცა 1876 წელს, „დროების“ ათი წლისთავზე ხაზი გაუსვა სოლომონ დოდაშვილისა და მისი თაობის დამსახურებას ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ჟურნალისტიკის წინაშე. „თუმცა იმ დროშაზედ, რომელზედაც უფ. მესხმა მოიხსენია. ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავისი მიმართულება ზედ დაწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობადა გვაქვს გადმოცემული განსვენებულის დოდაევისაგან...“ — უთქვამს ილია ჭავჭავაძეს[1].

ქართული პუბლიცისტიკისა და ჟურნალისტიკის პირველი სერიოზული ნაბიჯი, ცხადია, მეტად მნიშვნელოვანი იყო, თუმცა არაა მხედველობიდან გამოსაშვები, რომ იგი ბევრად ჩამორჩებოდა ამ მხრივ ევროპულ და რუსულ პუბლიცისტიკას. ისიც ცხადია, რომ მან ვერ შესძლო ყველა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხი გაეშუქებინა. ბოლოს და ბოლოს ამ პირველი ქართული ჟურნალის ხუთი ნომერი დაიბეჭდა მხოლოდ. ამიტომ, საყვედური, რომ იგი „არ იხილავდა და არც სვამდა მიწის საკითხს, არ ეხებოდა წარმოების და ვაჭრობის განვითარების საკითხებს, მასში არ იყო ლაპარაკი ქართული მუსიკის, ქართული ფოლკლორის და სხვათა შესახებ“[2], გადაჭარბებულია. ამ შემთხვევაში სრულიად მართებულია აზრი, რომელიც განსაზღვრავს ს. დოდაშვილისა და მისი სალიტერატურო-საზოგადოებრივი ორგანოს ხასიათს: „ს. დოდაშვილის მიერ წარმოებული პოლემიკა მით არის საყურადღებო, რომ ის წარმოადგენს უშუალო წინამორბედს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ საჟურნალო ცხოვრებაში გაჩაღებული მწვავე პოლემიკისა, რომელიც მიმდინარეობდა, ერთის მხრივ, ქართული საისტორიო წყაროების, ზნე-ჩვეულების და თვით ქართული ენის არამცოდნე რუსის ჩინოვნიკ-„მეცნიერებსა“ და, მეორე მხრივ, ნამდვილ მეცნიერთა და პუბლიცის-

[1] „დროება“, 1876 წ., № 24.

[2] მ. კოცაძე, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, I, გვ. 211.

ტთა შორის და შეებებოდა საქართველოს, უკეთ რომა ვსთქვათ, ამა თუ იმ ქართველური ტომის ისტორიულ წარსულს ან თანამედროვე ცხოვრებას"[1].

მიუხედავად 1832 წლის შეთქმულების „რომანტიკულობისა", ეს ისტორიული ფაქტი მნიშვნელოვანია თუნდაც იმით, რომ მის მომზადებაში მონაწილეობას იღებდა ქართველი მოწინავე საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, ვინც შეთქმულებამდე და მის შემდეგაც ქართულ კულტურას უძღვებოდა. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ სწორედ მათ წინაშე დაისვა საკითხი ბეჭდვითი სიტყვის მეოხებით ხალხში გაეტანათ გარკვეული იდეები. სწორედ ამ მისწრაფებამ ასაზრდოვა პირველი ქართული საზოგადოებრივი ბეჭდვითი ორგანო. პირველად ამ ჟურნალმა დაიწყო (რამდენადაც მაშინ შესაძლებელი იყო) მსჯელობანი პოლიტიკურ, ისტორიულ და ლიტერატურულ საკითხებზე. ეს საკითხები იყო მსჯელობის საგანი შემდეგი თაობების მოწინავე ადამიანებისათვისაც.

შემდეგ ათეულ წლებში საზოგადოებრივი საკითხებით დაინტერესებულთა წრე თანდათან იზრდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველმა ინტელიგენციამ, პირველი სერიოზული პოლიტიკური მარცხის შემდეგ, კვლავ მოიკრიფა ძალები და ახლა თავის რიგებში სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებიც მიიზიდა. მათ ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნებისაგან ხალხის ცხოვრების კონკრეტული საკითხების დამუშავება მოითხოვეს.

1832 წლის შემდეგ, 50-იან წლებამდე საქართველოში გამოცემულმა ვერც ერთმა პერიოდულმა ორგანომ ვერ ასახა ქართული საზოგადოებრივი აზრის მოძრაობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე შინაარსიან და აზრიან წერილს, გამოქვეყნებულს გაზეთ „კავკაზში", რომლებიც ქართული ლიტერატურისა და თეატრის საქმეებს ეხება. მაგრამ ეს იყო რუსულ ენაზე. ქართველ ინტელიგენტებს 40-იან წლებში, როცა შედარებით სიმშვიდე ჩამოვარდა (შედარებით, რადგან რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში საქართველო იყო პლაცდარმი სპარსეთისა, თურქეთისა და დაღესტნელების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებისა თვით შამილის ტყვედ დანებე-

---

[1] პ. გუგუშვილი, „ქართული ჟურნალისტიკა", I, გვ. 89.

ბამდე), მოუსურვებიათ ჟურსალის გამოცემა, რომელსაც „სინათლე“ უნდა რქმეოდა. ორგანიზატორთა ჯგუფს გამოუშვია ე. წ. „გამოცხადება“, რომელიც გამომჟღავნებაა ქართველი განათლებული საზოგადოების გულისტკივილისა იმის გამო, რომ მეფის ხელისუფლება იმთავითვე ცდილობდა საქართველოში ქართველთათვის აღეკვეთა კულტურული განვითარების შესაძლებლობა, რომ ქართულად არ არსებობდა ბეჭდვითი სიტყვა, რომელიც საზოგადოებრივ აზრს შეკრებდა და მიმართულებას მისცემდა. ამგვარ ვითარებას გულისხმობდა „გამოცხადების“ ერთ-ერთი პარაგრაფი.[1]

დადგა მ. ვორონცოვის მმართებლობის დრო, რუსეთის სავაჭრო კაპიტალის ამ მოხერხებული და გონიერი მსახურის გამგებლობის პერიოდი. ვორონცოვის პოლიტიკა ამიერკავკასიაში და საქართველოში, კერძოდ ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარებას ემსახურებოდა. ვორონცოვმა ყოველგვარი საშუალება გამოიყენა ამ მხრივ ამიერკავკასიის დასაპყრობად და რუსეთის სავაჭრო კაპიტალისათვის მის დასაქვემდებარებლად. აღსანიშნავია მის მიერ წარმოებული პოლიტიკა მეფის ხელისუფლებისათვის კავკასიაში მტკიცედ საიმედო საფუძვლის შექმნის მიზნით, რაც დახასიათებულია მის მიერვე უმაღლესი ხელისუფლებისადმი წარდგენილ მოხსენებებში.

ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ ცხოვლად ასახა ახალი ეპოქის სურათები. გიორგი ერისთავის დრამატულ თხზულებებში წარმოსახულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალთა გადაადგილების პროცესი, ნაჩვენებია ფეოდალური კლასის ფიზიკური და გონებრივი დაკნინება, დახატულია გამოუცდელი და ცხოვრების მოძრაობის უცოდინარი განათლებული „შვილების“ უნიათობა, თუმცა ამ ახალგაზრდებს შესწევთ უნარი ისეთი აზრების გამოთქმისა, რითაც თავის „მამებს“ უპირისპირდებიან. ზურაბ ანტონოვის კომედიებშიც ის ეკონომიური საკითხები იყო განხილული, რაც საქართველოში სავაჭრო კაპიტალის განვითარებას უკავშირდებოდა. ქართულმა რეალისტურმა დრამატურგიამ (გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი...) შესძლო აესახა დროის ძირითადი ძვრანი და ცვლილებანი. მართალია ამ დრამატურ-

---

[1] „სინათლის“ „გამოცხადებაზე“ საინტერესო გამოკვლევა იხ. ჟურნალ „ბიბლიოგრაფიის მოამბეში“, №№ 4—5, მაქსიმე ბერძნიშვილისა.

გიამ უფრო მეტად ეკონომიურ ცვლილებებზე ილაპარაკა, მაგრამ შიგადაშიგ მასში მოცემულია მოაზროვნე ადამიანის, განსაკუთრებით და უმეტესად ახალგაზრდის სახე, ახალგაზრდისა, რომელიც პროტესტს გამოთქვამს არსებული წესების წინააღმდეგ. ლავრენტი არდაზიანმა ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სადაც იდეალიზებულადაა მოცემული ფეოდალური წრე, თავის ნაწარმოებში მოგვცა ისტორია იმ ფენისა, რომელიც ეკონომიური ცხოვრების მწვერვალებს იპყრობდა 40—50-იან წლებში. ნაწარმოების მთავარი გმირის ბიოგრაფია სინამდვილიდან ჰქონდა აღებული მწერალს და მცირე განზოგადებით დახატული იყო ეპოქის ეკონომიური სახე. დანიელ ჭონქაძემ ერთადერთ თხზულებაში საკმაოდ მკვეთრად დააყენა საკითხი სოციალური ბრძოლისა და მძლავრი პროტესტით გამოვიდა ბატონყმობის წინააღმდეგ. მან მკითხველს აგრძნობინა ძალა ქართველი გლეხობისა, რომელიც პიროვნებისა და შრომის გათავისუფლებისაკენ მიისწრაფოდა.

ქართულ ლიტერატურაში აქტუალური თემები მუშავდებოდა. 50-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკაც ახალი დროის შესაფერ მოსაზრებებს აყენებდა. ქართული ჟურნალისტიკისა და კრიტიკის განვითარებაში ადგილს იპყრობენ მიხეილ თუმანიშვილის წერილები[1]. პუბლიცისტ მიხ. თუმანიშვილს კარგად ესმოდა მხატვრული ლიტერატურის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში და ამიტომაც იგი მწერლებისა და დრამატურგებისაგან მოითხოვდა ცხოვრების ცოდნას, დიკენსისებურ და გოგოლისებურ დეტალიზაციას, სიმართლეს, ადგილობრივი, ქართველი ხალხის ინტერესების გამოხატვას მხატვრულ ნაწარმოებში. ლიტერატურის კრიტიკოსი მიხ. თუმანიშვილი მომხრე იყო შემოქმედების თავისუფლებისა, ფორმის მრავალნაირობისა, რაც, მისი აზრით, მწერალს პირობას უქმნის ნამდვილი შემოქმედებისათვის.

ქართული პუბლიცისტიკისა და რეალისტური ლიტერატურული კრიტიკის განვითარებაში 1857 წლიდან სერიოზული როლი შეასრულა ჟურნალმა „ცისკარმა". იგი ქართველი ხალხის გონებრივი ცხოვ-

---

[1] ამის შესახებ იხ. არჩილ ჯორჯაძის „მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის", წ. V; პ. გუგუშვილის „ქართული ჟურნალისტიკა", თავი IX; მიხ. ხელთუბნელის „ლიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან" და სხვ.

რების მრავალ მხარეს ეხებოდა, რამდენადაც შესაძლებლობა გააჩნდა, მაშინდელი ცენზურის პირობებში და თანამშრომელთაგან დამოკიდებულს: „. . . ამა თუ იმ სახით საზოგადოებრივ ჟურნალში გაიხსენეს ხალხი, გაიხსენეს სიყვარულით, — წერდა არჩ. ჯორჯაძე „ცისკრის“ ამ პერიოდზე, — და ეს ხალხი იმ დროს ბატონყმობის უღელში იყო ჩაბმული. ხალხში წიგნების გავრცელება სასიამოვნო საქმე ჯოფილა. მაგრამ ეს ხალხი რომ დამონებული და შებოჭილია? უნდა გვახსოვდეს, რომ იმ ხანებში რუსეთის მწერლობაში ცხარე ლაპარაკი იყო ამ საგანზე. რუს გლეხთა შორის მოძრაობაც გაჩნდა . . . “[1]

„ცისკარში“ დაიბეჭდა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, რომელსაც მალე ლავრენტი არდაზიანის თბილისელი ბურჟუაზიის ცხოვრების ქრონიკა მოჰყვა. დ. ჭონქაძისა და ლ. არდაზიანის გამოჩენა ქართულ მწერლობაში აღსანიშნავია არა მხოლოდ როგორც ლიტერატურული მოვლენა, არამედ როგორც ამსახველი ფაქტი ბატონყმური წყობილების რღვევისა და მესამე წოდების — ბურჟუაზიის ჩასახვა-განვითარებისა.

ილია ჭავჭავაძის თაობა ქართულ მწერლობაში მოვიდა მატერიალისტური შეხედულებებით. ამ თაობის მხატვრული შემოქმედებისა და აზროვნების ცენტრში იდგა ადამიანი, კერძოდ ქართველი მშრომელი ადამიანი, მისი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური, იურიდიული და კულტურული ვითარება. მიზანი ილია ჭავჭავაძის თაობისა იყო შრომისა და პიროვნების გათავისუფლება, ადამიანის „განკაცება“, მშობლიური ქვეყნისა და ხალხის აღორძინება. ამ მიზნისათვის ილია ჭავჭავაძის ახალგაზრდა მოღვაწეთა ჯგუფმა გამოიყენა მხატვრული სიტყვაც და კრიტიკა-პუბლიცისტიკაც. ქართველმა „თერგდალეულებმა“ პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანეს ქართული პუბლიცისტიკის, ლიტერატურული კრიტიკისა და მხატვრული შემოქმედების მიერ წამოჭრილი საკითხები, მისცეს მათ თეორიული განზოგადება და გამოიყვანეს კანონები, ობიექტური სამყაროსა და ადამიანის მასთან დამოკიდებულებაზე; სამოციანი წლების თაობამ იმსჯელა არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ სტრუქტურაზე და სრულიად შესაფერი მსჯავრიც გამოიტანა, რამაც ამ თაობის წარმომადგენელნი

---

[1] არჩ. ჯორჯაძე, „თხზულება“, წიგნი 5, გვ. 22.

რევოლუციური შეგნების სიმაღლემდე აიყვანა. მათი მისწრაფება სახალხო საქმიანობად იქცა; მათთვის ხალხის ბედი დადგა ყურადღების ცენტრში და სწორედ ამიტომ ისინი რევოლუციურ დემოკრატებად მოევლინენ მშობლიურ ქვეყანას და ხალხს. ეს შეხედულებები ძირითადი და შთავარი იყო მათთვის და ამის ირგვლივ ქმნიდნენ ისინი თავის მხატვრულ ფაქტებს. ამ საკითხთა ირგვლივ იწერებოდა წერილები ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, კირილე ლორთქიფანიძისა, სამსონ ცაბაშიძისა, გიორგი წერეთლისა 60-იანი წლების დასაწყისში, „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“. „საქართველოს მოამბის“ ჯგუფის მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიაში. ამ ჟურნალმა სერიოზული დასაბამი მისცა სინამდვილის ხედვას და ამ სინამდვილის ანალიზს. მან ქართულ მწერლობას და აზროვნებას ჩამოაცალა რომანტიკული შეფერილობა, საზოგადოებას ამცნო, რომ საჭირო იყო უფრო მეტად ხელშესახები, უფრო მეტად პრაქტიკული საქმიანობა. მიუხედავად „საქართველოს მოამბის“ არსებობის ხანმოკლეობისა, მას დიდი როლი შეუსრულებია ქართული პრესის განვითარებაში.

ილია ჭავჭავაძე, ჯერ კიდევ პეტერბურგში აღიარეს საქართველოს ახალთაობის მოთავედ. მისი აზრიანი შემოქმედება, მისი ძარღვიანი სიტყვა ეხებოდა უშუალოდ საქმეს, ადამიანს, მის გრძნობასა და განცდას. სწორედ ამას გულისხმობდა ნიკო ნიკოლაძე 80-იანი წლების დასასრულს, როცა მან არცთუ სინანულის გარეშე დაწერა: „ეს უმაღლესი პატივი — მშობლიური ხალხის ლიტერატურული ძალებისათვის ახალი და ღირსეული ამოცანების მიცემა — ქართულ ლიტერატურაში წილადა ხვდა არა თავ. აკ. წერეთელს, რომელსაც იგი უფრო მეტად შეეფერებოდა, არამედ მეორე მწერალს. თავ. ილ. ჭავჭავაძეს, რომელმაც. ამის გამო დაიკავა კიდეც ღირსეულად პირველი ადგილი თანამედროვე ქართული სიტყვიერების სათავეში . . . თავ. ილ. ჭავჭავაძემ და არა თავ. აკ. წერეთელმა დაიკავა მასში (მათ თანამედროვე ლიტერატურაში—ს. ხ.) მეთაურობა და მისცა მას მიმართულება ამასთან სრულიად მართებული და შეუცვლელი“[1].

---

[1] იხ. «На праздники», გაზ. «Новое обозрение», 1889 წ., № 1865.

ილია ჭავჭავაძემ უპირველესი ადგილი დაიმკვიდრა მძლავრი პუბლიცისტურობით, რაც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შემდეგი განვითარების მთავარ იარაღად იქცა XIX ს. მეორე ნახევარში. ამ პუბლიცისტურ სიტყვაში იყო სიმტკიცე, პრინციპულობა, ხალხისა და ქვეყნის მომავლის რწმენა და შესანიშნავი იდეა, გამოთქმული ილიას მიერ მხატვრული ფორმით: „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“... და „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“ ...

„საქართველოს მოამბეში“, შემდეგ „დროებასა“, „კრებულში“ და სხვაგანაც, უპირველეს ადგილზე დგას თანამედროვეობისადმი ინტერესი, სურვილი ცხოვრების სიღრმეში ჩახედვისა და მისი დაწვრილებით გაცნობისა, უარყოფითი მხარეების დაგმობისა და გაკიცხვისა. ამიერიდან ქართული სიტყვა აქტიური მებრძოლი და ბასრი იარაღი გახდა. ხოლო მოქმედი საზოგადოებრივი აზრის მეთაურობა აიღო გაზეთმა „დროებამ“, რომლის არსებობა და მოქმედება გამოწვეული იყო იმ პირობებით, რომელშიც მთელი რუსეთის იმპერია იყო მოქცეული დიდ რეფორმათა პერიოდში, გლეხთა „გათავისუფლების“ შემდეგ. „დროებამ“ გამოიწვია საზოგადოებრივი აზრის ინტენსიური, დაჭიმული და აჩქარებული ამოძრავება. თავისთავად „დროება“ იყო შედეგი საზოგადოებრივი ცხოვრების გაცხოველებული მაჯისცემისა. „დროებამ“ უნდა იქონიოს მხედველობაში გონების გახსნა და ნამდვილის ცნობის გადაცემა მკითხველისადმი და არა დროს გატარება მისი“-ო, წერდა ამ გაზეთის მოწინავე 1866 წლის 4 მარტს[1]. „ყოველივე, რასაც მეცნიერება მოიპოვებს, რაც სხვადასხვა ქვეყნებში პოლიტიკური შემთხვევა მოხდება, რაც ხალხის ყოფა-ცხოვრებაში კარგია თუ ავი, რა ღონისძიებასაც სწავლის გამოკვლევა აღმოაჩენს საზოგადოების წარმატებისათვის, ყოველივე ეს შეადგენს ჟურნალების და გაზეთების საგანსა“[2]. „დროების“ პირველ ნომერში გამოთქმული სურვილები, როგორც ეტყობა, მორიდებულია და შეზღუდული, მათში არ მოჩანს თავისუფალი აზრის ძალა. „დროებას“ უნდოდა არა პოპულარიზაცია მხოლოდ მეცნიერების მიღწევებისა, არა მეცნიერებათა საფუძვლების მიწოდება თანამედროვეთათვის, არამედ ცხოვრება-

---

[1] „დროების“ პირველი ნომერი.

[2] იქვე.

ში მომხდარ ცვლილებათა განმარტებების მიწოდება მკითხველისათვის, მას სწადდა სხვადასხვა ქვეყნებში მომხდარი პოლიტიკური ამბების ანალიზი და ამგვარად მკითხველთა ცოდნის გამდიდრება სხვადასხვა სახელმწიფოებრივ სისტემათა დახასიათებით, უმთავრესად კი ისეთი სისტემისა, რომლისკენაც გაზეთის მესვეურები ესწრაფებოდნენ: გაზეთს სურდა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში მომხდარი ავისა და კარგის გამოკვლევა, საზოგადოების კეთილდღეობა. ეს მორიდებული პროგრამა აჩვენებს ამ რადიკალურ-პროგრესული ქართული გაზეთის მიზნებსა და მისწრაფებებს.

ცხოვრება შეიცვალა, საქართველოში სამრეწველო კაპიტალიზმი შემოიჭრა. ქვეყანა გაიცსო სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებით. სამრეწველო ცენტრები იზრდება და ვითარდება, ქართველი გლეხი თავის კარმიდამოს სცილდება და ლუკმა-პურის საძიებლად არა მხოლოდ მეზობელ დაბაში თუ ქალაქში, არამედ რუსეთის შორეულ კუთხეებშიც კი მიემგზავრება. ჩნდება სამრეწველო მუშათა მზარდი მასა, იზრდება კლასობრივი შეგნება და ბრძოლაც, რასაც თან სდევს მეფის მთავრობის რეპრესიები, შეზღუდვანი, ჯაშუშობა და სხვ. ევროპაში კლასთა ბრძოლა არა მხოლოდ გამწვავებულია, არამედ სერიოზული ფაქტებითაცაა გამდიდრებული, მზადდება 70-იანი წლების ტრაგედია — პარიზის კომუნარების ამოჟლეტა, რამაც მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო. ასევე მთელს ქვეყანას მოედო ჯუზეპე გარიბალდის მიერ პარიზის კომუნართადმი გაგზავნილი მისალმების ამბავი. „დროება“ იყო ერთადერთი ორგანო, რომელსაც ყველა ამის შესახებ ცნობა მკითხველამდე მიჰქონდა. მისი მეშვეობით ეცნობოდა ქართველი მკითხველი საერთაშორისო მოვლენებს და თავისი ქვეყნის შიგნით მომხდარ მნიშვნელოვან ამბებს. მწერლობისა და პუბლიცისტიკის წინაშე მრავალი საკითხი დადგა, რომელთაც გარკვევაც უნდოდა და მკითხველამდე მიტანაც.

70—80-იან წლებში საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ასპარეზზე რამდენიმე თაობა იღებდა მონაწილეობას და ამდენად რამდენიმე შეხედულება და მოსაზრება გამოითქმოდა, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგოც. ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ XIX საუკუნის 30—40-იანი წლების მოღვაწენი, რომელთაგან ზოგიერთი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საქმიანობაში — მხატვრულ ლიტერატურაში, ბანკში, პრესაში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა-

დოებაში... გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, მიხეილ თუმანიშვილი და სხვანი ჯერ კიდევ კალმით ხელში იდგნენ თავისი ძველი ასპარეზის პოზიციაზე, თუმცა ამ დროს არც მათ პოეტურ ხმასა და არც ნააზრევს საზოგადოებრივად წამყვანი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. პირიქით. ამ თაობის მწერალთა შემოქმედებაში სინანულიც კი გაისმოდა: „ან ეს რაცა ვსთქვი, რათა ვსთქვიო!“ საზოგადოებრივ სარბიელზე ინტენსიურად იღწვოდნენ სამოციანელები, რომელთაც ხშირად ხმას უერთებდნენ მომდევნო წლების მოღვაწენი. მართალია მათ შორის აღარაა ის ერთიანობა, რაც გააჩნდათ 1859—1863 წლებში, მაგრამ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ანტ. ფურცელაძის, პ. უმიკაშვილის, ი. გოგებაშვილის, კირილე ლორთქიფანიძის, სერგეი მესხის და სხვათა ბასრი კალამი და პოეტური თუ პუბლიცისტური ხმა კვლავ მძლავრად გაისმის. ქართველ მოღვაწეებს ამ დროს ბევრი ჰქონდათ სადავო და დასაცავი რეაქციული ხელისუფლების შემოტევებისაგან. ამ ეპოქის პოლიტიკურ არსს კარგად ახასიათებდა ივანე ჯავახიშვილი: «С 80-ых годов, в царствование Александра III, по отношению Грузии применялись исключительно полицейско-репрессивные меры: школа стала прямым орудием самой бесцеремонной русификаторской политики и учреждением, где «верноподданные» учителя должны были внедрять в питомцев «беспредельную веру» и «благонадежность» და სხვა ამგვარი.[1]

ხელისუფლების ასეთმა პოლიტიკამ, საქართველოს ეკონომიური ცხოვრების ახალ ობიექტში მოქცევამ, გართულებულმა საზოგადოებრივმა, სოციალურმა, ეკონომიურმა და კულტურულმა მდგომარეობამ განსაზღვრეს 70—80-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების თავისებურება და მიმართულება: იმ იდეოლოგიამ, რაც 70-იან წლებში წარმოიშვა საერთოდ რუსეთში და საქართველოშიც — ხალხოსნობამ და მეცნიერული სოციალიზმის დოქტრინამ — რომელიც მოწინავე რევოლუციურ აზროვნებას იპყრობდა და ძლევამოსილად ვრცელდებოდა პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის შეგნებაში, პუბლიცისტიკაში ჰპოვა გამოხატულება.

---

[1] «Политическое и социальное движение в Грузии в XIX в.».

ქართული ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფები სხვადასხვა მიმართულებათა მაჩვენებელნი იყვნენ „დროებასა“, „მნათობში“, „ივერიაში“, „იმედში“ და „შრომაში“. ქართული პუბლიცისტიკა ამ დროისათვის მრავალმეტყველია.

ამ ეპოქის ქართული პუბლიცისტიკის ერთი შესანიშნავი მხარე, მისი ქმედითი ძალის მაჩვენებელი მომენტი ისაა, რომ იგი ეროვნულად მტკივნეულ და ამაზე არა ნაკლებად მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემებს აერთიანებდა. მისი მნიშვნელობა სერიოზული იყო იმდენად, რამდენადაც მასში ჩანდა პოლიტიკური სიმახვილე და შემართება, რამდენადაც იგი დაურიდებლად ამხილებდა ყველაფერს იმას, რაც ხალხის ცხოვრების თავისუფალ განვითარებას ხელს უშლიდა. რასაკვირველია, ამ ეპოქის ქართული პუბლიცისტიკის ხასიათი და მიმართულება იყო შედეგი ქვეყნის შიგნით შექმნილი დაძაბულ პოლიტიკურ-სოციალური ვითარებისა. ქართულმა პუბლიცისტიკამ ამ პერიოდში ბრძოლა გაშალა ეროვნული გრძნობის აღორძინებისათვის, ერთიანი საქართველოს იდეის დაცვისათვის, იგი იბრძოდა იმ მანკიერ მხარეთა წინააღმდეგ, რაც თან სდევდა მმართველობის სისტემის გამტარებელთა უზნეობასა და მოქმედებას.

პუბლიცისტიკის როლი საოცრად გაძლიერდა ამ დროს, მან დაიპყრო მხატვრული ლიტერატურაც, რომლის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად მიჩნეული იყო არა ხატოვნება და სურათოვნება, არამედ მხილება ცხოვრების მოდუნებულობისა, მშრომელი მოსახლეობის ჭირ-ვარამით აღსავსე ყოფისა.

ამ დროის ქართული პუბლიცისტიკა დიდ საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებს ამუშავებდა, მაგრამ ამასთან, მისთვის უცხო არ ყოფილა წვრილი, ყოველდღიური ცხოვრების ფაქტების აღნუსხვაც, მათი ანალიზი, რადგან ქართულმა პუბლიცისტიკამ იცოდა, რომ დიდი საქმეების განხილვისა და შეფასების საფუძველს წარმოადგენს ცხოვრების ყველა მხარის შემჩნევა და მასზე ყურადღების გამახვილება, მაშინ პუბლიცისტიკა და პუბლიცისტი ქვეყნის ჭირ-ვარამს იზიარებს, კულტურისა და ცივილიზაციისათვის იბრძვის, ცხოვრების შუაგულშია მოქცეული და ამ ცხოვრებას ყოველმხრივ სინჯავს.

ყოველი ჭეშმარიტი პუბლიცისტი, ყოველდღიური ცხოვრების მოპასუხე, ქვეყნისა და ხალხის სიკეთეა, რადგან იგი თავისი სიტყვით

აფხიზლებს და ამოძრავებს საზოგადოების გონებას, ბრძოლისა და მოქმედებისაკენ მოუწოდებს ხალხს.

ქართველი მწერლები, რომელთაც კალამი არ დაუსვენებიათ იმ დროს, როცა გარშემომდგარ ძალას პასუხი სჭირდებოდა, როცა ისინი ქმნიდნენ მხატვრულ თხზულებებს და ძირითადი მიზანი მათი შემოქმედებისა არსებული სინამდვილის ასახვა იყო, ქართველი პუბლიცისტები დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდნენ მკითხველისათვის მიეცათ ცხოვრებისეული ფაქტების სწორად გაგების საშუალება, დაკავშირებული ხალხის საარსებო საკითხებთან. რასაკვირველია, ასეთი პუბლიცისტები ხალხის ხსოვნაში უკვდავი არიან.

ქართული პუბლიცისტიკა მკვეთრი იარაღი იყო მთელი საუკუნის განმავლობაში მოწინავე იდეით შეიარაღებული მოღვაწე-მებრძოლთა ხელში. ქართული პუბლიცისტიკის სარბიელი ძირითადში ჟურნალ-გაზეთები იყო, რამაც განსაზღვრა კიდეც ძირითადი სახეობა ქართული პუბლიცისტიკის ჟანრისა — საგაზეთო და საჟურნალო მოწინავე მეთაური წერილები, მიმოხილვანი, ნარკვევები, ფელეტონები. რეცენზიები, დამოუკიდებელ ნაშრომებად მოცემული თხზულებები და სხვ.

ქართული პუბლიცისტიკის მთავარი და ძირითადი ამოცანა განსაზღვრა ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიურ-იურიდიულმა ვითარებამ. სწორედ ამიტომაც ცხოვრების სინამდვილიდან პუბლიცისტიკამ ამოკრიფა ისეთი ფაქტები, რომელთა ანალიზი და განზოგადება მას საშუალებას მისცემდა, არსებულ საცენზურო პირობებში ეთქვა მთავარი ვითარების შესახებ.

ქართული პუბლიცისტიკის პრაქტიკაში ვხვდებით ე. წ. მხატვრულ პუბლიცისტიკას.

აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკა „დროებაში“, რომელსაც ერთი საერთო სათაური აქვს — „ცხელ-ცხელი ამბები“, სწორედ ამ სახისაა. პუბლიცისტიკის ფორმებია სამგზავრო ჩანაწერები, ჩანახატები, დღიურები და სხვა, რომელთა საუკეთესო ნიმუშები შექმნეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, პეტრე ნაკაშიძემ, ნიკო ნიკოლაძემ, დავით მიქელაძემ, ანტონ ფურცელაძემ და მრავალმა სხვამ.

XIX საუკუნის ქართული მწერლობა ცხოვრების სინამდვილეს ეყრდნობოდა თავისი განვითარების ძირითადი ხაზით. ლიტერატურის განვითარების ხერხემალი არ გადაღუნულა სინამდვილისა და ცხოვრე-

ბის სამსახურის იქით. „ტკბილ ხმათათვის“ ქართულ მწერლობას XIX საუკუნის განმავლობაში არ მოუცლია. სწორედ ამიტომაც ქართული ლიტერატურა ამ საუკუნეში, პირველი საუკეთესო დამწყებით ვიდრე უკანასკნელამდე, პუბლიცისტური იყო. მასში იდგა ხალხის და ქვეყნის არსებობისა და რაობის საკითხები. ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, დანიელ ჭონქაძის, გიორგი ერისთავის, ლავრენტი არდაზიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ქართველი ხალხოსნების, ალ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას მხატვრული სიტყვა პუბლიცისტურობით არის აღბეჭდილი. ეს, რასაკვირველია, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ჩამოთვლილ მწერალთა მხატვრული შესაძლებლობა ამით მცირდება და უფერულდება. პუბლიცისტური არის XIX საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურა იმ საკითხთა გამო, რომელნიც პირველი რიგისანი იყვნენ ქართული ლიტერატურისათვის საუკუნის განმავლობაში.

მხატვრული ნაწარმოების პუბლიცისტურობა, უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოების აზრსა და მისწრაფებაშია საძიებელი და არა მხატვრულად გამოსახვის შესაძლებლობათა წყებაში. სწორედ ასეთად წარმოსდგებიან ნ. ბარათაშვილის ლექსები, რომლებშიც საოცარი ოსტატობით არის წარმოდგენილი მაღალპოეტური მაღალსაზოგადოებრივთან ერთად, ასეთია ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება, ასეთია მათი ბრწყინვალე მემკვიდრის — ვაჟა-ფშაველას მხატვრული სიტყვა.

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მწვავე საკითხების დაყენება და გადაჭრა ქართულ ლიტერატურას მხოლოდ XIX საუკუნიდან არ დაუწყია. მართალია ისეთი მოქმედი და მოქნილი საშუალება, როგორიცაა პრესა, ძველ საქართველოში არ არსებობდა, რომლის მეშვეობითაც უფრო შესაძლებელია აზრთა და შეხედულებათა გამოთქმა, მაგრამ იმ დიდმა და ხანგრძლივმა ლიტერატურულმა პროცესმა, XIX საუკუნემდე, უპირველეს ყოვლისა ძველი საქართველოს სინამდვილის აღწერა და მტკივნეულ საკითხთა შეფასება მაინც მოგვცა. ღრმად პუბლიცისტურნი არიან ქართული აგიოგრაფიული თხზულებანი, „ვეფხისტყაოსანი“, გასაუბრებანი რუსთაველისა და თეიმურაზისა, სიკვდილ-სიცოცხლისა, დღისა და ღამისა, გაზაფხუ-

ლისა და შემოდგომისა, დავით გურამიშვილის, ვახტანგ VI-ის, სულხან-საბა ორბელიანისა და სხვათა მხატვრული ნამოღვაწარი.

წინამდებარე ნარკვევებში ხშირად შევხვდებით ლიტერატურულ ფაქტებზე გამოთქმულ მოსაზრებებს, ლიტერატურული კრიტიკის მასალებს და სხვა.

უნდა გვახსოვდეს, რომ XIX საუკუნის განმავლობაში ქართული ეროვნული საქმიანობა მეტად რეგლამენტირებული იყო, რის გამოც ხშირად საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეული საკითხები ლიტერატურული შემოქმედების მეშვეობით დგებოდა. ამიტომაც, პუბლიცისტური აზრი მხატვრულ ლიტერატურაში გამოთქმული, პუბლიცისტიკის ისეთივე მასალაა, როგორც წმინდა მხატვრული შემოქმედებისა.

შეხედულებათა და სხვადასხვაგვარ აზრთა სიმრავლე მაჩვენებელია იმისა, თუ რაოდენ მგრძნობიარე იყო ქართული ლიტერატურა ყოველთვის საზოგადოებრივად დიდადმნიშვნელოვან ამბავთა და მოვლენათა მიმართ და როგორ აღიქვამდა ქართველი მწერალი საქვეყნო მნიშვნელობის ამბებს. ამიტომაც, ქართული პუბლიცისტიკის ისტორიის შექმნა-შედგენა ერთ-ერთი საპატიო ამოცანა უნდა იყოს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შემსწავლელთათვის. ქართული პუბლიცისტიკის ისტორია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაცაა, ხოლო ასეთი ისტორიის დაწერა საკმაოდ რთულიცაა და საკმაოდ საჭიროც.

სამშობლოს იდეა ქართულ რომანტიკულ ლიტერატურაში

საუკუნეთა განმავლობაში ქართული ლიტერატურის მთავარი თემა სამშობლოს სიყვარული იყო. სამშობლოს სიყვარულის თემა ქართულ ლიტერატურაში განაპირობა ჩვენი ქვეყნის ისტორიულმა გზამ, საქართველოს ერთიანობისათვის და ქართველი ხალხის ფიზიკური და მორალური გადარჩენისათვის დაუსრულებელმა ბრძოლამ უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ. ქართულ ლიტერატურაში თავიდანვე მებრძოლი ადამიანის ხასიათი გამოიკვეთა; იმ ადამიანისა, რომელიც შემოსულ მტერს მედგრად დახვდება ან მკერდში განგმირული ვაჟკაცურად დაეცემა ბრძოლის ველზე, ან გამარჯვებული დაბრუნდება შინ.

სამშობლოს დაცვის იდეა, სიყვარული და მისთვის თავისდადება, სიცოცხლის გაწირვა, ერთგვარი ძალით არის გამოხატული როგორც ოფიციალურ ლიტერატურაში, ისე ქართველი ხალხის მიერ შექმნილ ზეპირსიტყვიერებაშიც. თუ ერთი მხრით ეს მოვლენა ქართული ლიტერატურის ამ მთავარი თემის აქტუალობას უჩვენებს, მეორე მხრით იმითაა აღსანიშნავი, რომ ეს ლიტერატურა უაღრესად ხალხური ყოფილა, რადგან მასში ხალხის ზრახვა და ზრუნვა ასახულა. რომელიმე ზეზვას გმირობა და ხალხური ლექსის გმირის — „ნეფე“ ერეკლეს ვაჟკაცობა, ხშირად გამხდარა ქართველი მწერლების შემოქმედების ძირითად თემად. ესეც იმის მაჩვენებელია, რომ ქართველ ხალხსა და მის მწერლებს ერთი მიზანი და თემა ჰქონიათ სინამდვილის მხატვრული გამოსახვისათვის.

სამშობლოს სიყვარულის იდეა ძველ ქართულ ლიტერატურაში, შედარებით ცალმხრივი იყო. ქართველი მწერლის პატრიოტი გმირი ხშირად ერთ პოზაში იყო ჩაყენებული. ეს პოზა მწერლებისათვის გმირის სავალდებულო პოზად იქცა საუკუნეთა განმავლობაში. რუსთაველის პოემა ახალი სიტყვა იყო ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც

განსაზღვრა ქართველი ადამიანის ხასიათი, ადამიანისა, რომელსაც პირადული უნდა ავიწყდებოდეს და საქვეყნო საქმის თავდადებაში ჰლევდეს საკუთარ ჯავრსა და ნაღველს.

წადი, ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოველნით ხელაღუპყრობელსა ...

განუმარტა ნესტანმა ტარიელს მოღვაწეობის გზა და, შეიძლება ითქვას, ეს გზა ბევრი გმირის გზაც იყო. ქართული მწერლობის გმირადაც ის იქცა, რომელსაც ყოველთვის შესწევდა უნარი საზოგადოებრივი წინ დაეყენებინა, სამშობლოს ბედი არ გაეწირა და პირადი დაევიწყებინა.

ისტორიული მდგომარეობით განისაზღვრა სამშობლოს სიყვარული მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაშიც.

XIX საუკუნეში ქართული ლიტერატურის წინაშე სამშობლოს სიყვარული სრულიად ახალი სახით წარმოსდგა. ახლა წინ დადგა ეროვნული გამთლიანების დიდ პროცესში ჩაყენებული ხალხის საარსებო პირობები. სოციალური და ეკონომიური თავისუფლების საკითხები, რომელსაც მაგალითი არ შეიძლება ჰქონოდა წარსულში. ახლა დაისვა საკითხი ქართულ ლიტერატურაში ქართველი მშრომელი ადამიანის შესახებ, დაისვა საკითხი უხეში კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისა.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში მკვეთრად გამოირჩევა ორი მსოფლმხედველობა, ორი ლიტერატურული სტილი, რომლებიც საუკუნის პირველსა და მეორე ნახევარს ახასიათებს. აქ ლაპარაკია საერთო მდგომარეობაზე, თორემ შიგადაშიგ, როგორც პირველ, ისე მეორე ნახევარში გამონაკლისები იყო. მსოფლმხედველობამ განსაზღვრა კიდეც პატრიოტიზმის იდეა, მისი გამოხატვის ხერხები და საშუალებანი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა განვითარებამ თავისებური გამოხატულება ჰპოვა ლიტერატურაში. ეკონომიურ ინტერესთა ერთიანობამ, მთელი ქართველი ხალხის ეროვნულად ჩამოყალიბებამ თავისებურად წარმართა ქართული ლიტერატურის ხასიათი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში.

სამშობლოს სიყვარულის გამოხატვას ამ პერიოდში უფრო სახალხო საერთო მნიშვნელობა მიეცა და კუთხური პატრიოტიზმის გამო-

ხატვიდან მთლიანი საქართველოს სიყვარულის იდეის გამოხატვისაკენ წარმართა.

XVI—XVIII საუკუნეებში საქართველოს ცხოვრებაში მრავალ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას ჰქონდა ადგილი. ის ეპოქა განუწყვეტელი ომისა და თარეშების დრო იყო, მოთარეშენი კი — ლეკები, ოსმალონი და სპარსნი იყვნენ. ქვეყნის აწეწილობამ, მართვის ორგანიზაციის ხშირმა კრიტიკულმა მდგომარეობამ სამშობლო ქვეყნის მშვიდობიანობისა და მთლიანობისთვის მრავალ მზრუნველს ხელში იარაღი ააღებინა. ერთნი ბრძოლად მიდიოდნენ და მტერს უხვდებოდნენ, მეორენი გონების თვალით და აზრით ეხმარებოდნენ სამშობლოს. მაშინდელ ქართველ პოეტთა შემოქმედებაში, საზოგადო მოღვაწეთა ნაშრომებში დიდი ზრუნვა მოჩანს იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად და უმწიკვლოდ შესანახად, რომელსაც მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველი ხალხის გონებრივი შესაძლებლობა ჰქმნიდა. მეცნიერები, მწერლები, პოეტები, თითქოს ერთი სურვილით იყვნენ შეკავშირებულნი და სურდათ აოხრებას გადაერჩინათ შესანიშნავი და მრავალმეტყველი ქართული სიტყვა, ქართული ჩუქურთმა და ქართველი ხალხის ნააზრევი.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის ყოველგვარი საფუძველი იყო შექმნილი და გამომუშავებული გარდასულ დროთა და ადამიანთა მიერ. მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისიდანვე პოლიტიკური სიტუაციის შეცვლამ, ცხადია, ქართველ მწერალთა შეგნება და სამშობლოს სიყვარულის გამოხატვაც განსაკუთრებული გზით წარმართა. იმ მდგომარეობამ, რომ მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო და, რომ სხვა მრავალ არარუს ხალხებთან ერთად ქართველებსაც მძიმე ტვირთად დააწვა ბიუროკრატული და ჩინოვნიკური ხელისუფლების მთელი სიმძიმე, სწორად განსაზღვრა ქართული ლიტერატურის ხასიათი XIX საუკუნეში.

XIX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა, ახალი მდგომარეობით გამოწვეული განწყობილებანი, ახლად გამომუშავებული მსოფლმხედველობა, სირთულე ამ მსოფლმხედველობისა და საერთოდ ქართველი ხალხის პოლიტიკური განწყობილება სამწერლო ასპარეზზე ქართველმა რომანტიკოსებმა გამოიტანეს. ბრწყინვალე და შესანიშნავი ჯგუფი ქართველი რომანტიკოსებისა იყო

პირველი თაობა ქართველი მწერლებისა, რომელიც მეტად რთულ გარემოცვაში მოექცა, ამ თაობამ განიცადა ახალი პოლიტიკური ვითარება, დაინახა ახალი სოციალური და კულტურული ცვლილებები და დაივალა ტრადიციული ქართული კულტურის შენაძენის გამოყენებით ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილის განწყობილება, მათი ბედნება და სურვილი გამოემჟღავნებინა. ჩვენს წინაშე დგას ნიკოლოზ ბარათაშვილი, თავისი ქვეყნისა და ქართველი ხალხის უკეთესი შვილი, აღსავსე ამქვეყნიური ცხოვრებისა და მშობლიური ხალხის უღრმესი სიყვარულით, შეწუხებული და შეჰმუხვნილი საქართველოს ბედით, ავტორი ისეთი თხზულებებისა, რომელნიც ერთი სათაურით — ქართლის ბედით ერთიანდებიან.

ქართულმა რომანტიზმმა და მისმა ჯანსაღმა, მებრძოლმა მეთაურმა — ნიკოლოზ ბარათაშვილმა, გამოხატეს დაუცხრომელი წინსვლა და სიცოცხლის შენარჩუნების დიდი სურვილი. ნ. ბარათაშვილმა (და ქართველმა რომანტიკოსებმა) საქართველო წარმოსახა ისეთ ფენომენად, რომელსაც დაჭკნობა არ უწერია, რომელიც ახალი ძალებით აღიჭურვება ყოველთვის, რომელმაც შეიძლება მოიცილოს მტრის შემოსევით დაყრილი ფერფლი და ღელფი და ახალი ცხოვრების ფერხულში ჩადგეს.

ქართველი რომანტიკოსების პატრიოტიზმი საქართველოს არსებობის განგრძობისა და სამშობლო ქვეყნის დღეგრძელობას ემსახურება. ეს არის ჯანსაღი და მებრძოლი განწყობილება ქართველი პოეტებისა. მოწინავე და წამყვანი სურვილი ქართული ლიტერატურისა და მწერლობისა. ამ თვალსაზრისით ქართველ რომანტიკოსთა შორის აუცილებელია გარჩევა-განსხვავების აღნიშვნა.

ქართველ რომანტიკოსთა დამოკიდებულება სამშობლოსადმი სხვადასხვაგვარია. ერთნაირია ნ. ბარათაშვილის შემოქმედება წინმსწრაფი სურვილებითა და შეუზღუდველი ბრძოლის სურვილით, ხოლო სხვაგვარია გრ. ორბელიანის პოეზია, რომლის შეჯამება პოეტის ცხოვრების დასასრულს დაწერილ მცირე ლექსშია გამოხატული — „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ . . . “ იგი პოეტის ცხოვრების სიმწარე-ვაების და არსებობის დასასრულის საშინელების მაჩვენებელია, თუმცა როგორც ნ. ბარათაშვილი, ისე გრ. ორბელიანი უზადო პატრიოტები არიან, თავისი ქვეყნის მოსიყვარულენი და მისი არსებობისთვის თავშეწირულნი. გრ. ორბელიანის პატრიოტიზმი, რასაკვირვე-

ლია, განსხვავდება ნ. ბარათაშვილის პატრიოტიზმისაგან. ამ ორი პოეტის შემოქმედება არის ნიმუში ქართველ რომანტიკოსთა პატრიოტიზმის სხვადასხვა სახეობისა.

ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანთან შედარებით, მაინც მომდევნო თაობაა. საქართველოს XVIII საუკუნესთან და მეფე ერეკლეს სახელთან გრ. ორბელიანი უფრო ახლო დგას, ვიდრე ნ. ბარათაშვილი, თავისი აღზრდით, გარემოთი, ამხანაგებით, მასწავლებლებით და სხვ. ნიკოლოზ ბარათაშვილი უფრო სხვაგვარი განწყობილების მატარებელია, ვიდრე გრ. ორბელიანი. ამ უკანასკნელის აზრთა წყობაში და შეხედულებებში ძველი საქართველო, ძველი თბილისი კაიფობს. გრ. ორბელიანის შემოქმედებაში მეტად დიდი ადგილი უჭირავს ზურაბიანთ სახლს, ამ სახლში მოსმენილსა და ნანახს; მისი პოეზია არის უშუალო გამოძახილი გმირული და ვაჟკაცური ამბების მოსმენისა, მის ლექსებში გამოხატული წუხილი გამოწვეულია აღუდგენელი წარსულით, ესაა წუხილი იმ ხალხისა, იმ ადამიანებისა, რომელთაც ერეკლეს გვერდით ხმალი ეჭირათ, ერეკლესთან ერთად უბრძოლიათ. მართალია, ალ. ჭავჭავაძე ბევრად უფროსია გრ. ორბელიანზე, მაგრამ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში, სრულიად გარკვეულად ჩანს ის, რომ იგი რუსეთშია დაბადებული, რომ რუსეთის მეოხებით ბევრი რამ აქვს შეთვისებული, იცნობს ფრანგულ ლიტერატურას. ალ. ჭავჭავაძის პოეზია უფრო სხვაგვარია, ვიდრე გრ. ორბელიანისა. თუ ეს უკანასკნელი ადგილობრივი კოლორიტის მატარებელია და თხზულებებშიც უმთავრესად თბილისი და საქართველო გამოუყვანია, მათზე უმღერია, ალ. ჭავჭავაძის წინაშე ზოგადი ან განყენებული მგრძნობელობითი საკითხები დამდგარა გადასაწყვეტად. გრ ორბელიანის პერსონაჟები მისი ეპოქის ადამიანები არიან, მისი ნაცნობები, ესენია: ანტონ ორბელიანი, იარალი შანშიაშვილი, ბეჟანა მკერვალი, ონიკაშვილი და სხვანი, ან თბილისის ყაბახი, ბეთანია, ორთაჭალა, გარეთუბანი და სხვანი, მაშინ როცა ალ. ჭავჭავაძეს არ უყვარს ასეთი კონკრეტული მაგალითების და ფაქტების დასახელება და ნაცნობ თანამედროვეთა მოგონებანი. ამ მხრივ ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს მისდევს. მისი შემოქმედების საზღვარი და არე თბილისია. ნაცნობი და ნახული ადგილები, ნაცნობები და მეგობარი ადამიანები. ალ. ჭავჭავაძე კი ზოგადი გრძნობებისა და შემეცნების შესახებ მსჯელობს.

რომანტიზმი XIX საუკუნეში ალ. ჭავჭავაძით დაიწყო. მან თავისი პოეზიით თითქმის დაადგინა ძირითადი მოტივები, რომლებიც შემდეგ უნდა განვითარებულიყო ქართველ პოეტთა შემოქმედებაში. თეიმურაზ პირველისა და დ. გურამიშვილის მიერ ნათქვამი მდურვა სოფლისადმი, ალ. ჭავჭავაძის პოეზიასაც მისწვდა და შემდეგ სხვა რომანტიკოსებმაც გაიზიარეს, მაგრამ ამ მდურვას სხვა გაგება მისცეს მათ. გრ. ორბელიანი ემდურის სოფელს, როგორც შემმუსვრელს და სამუდამოდ დამთრგუნველს შესანიშნავი, ბრწყინვალე გუშინდელი დღისა, საქართველოს გმირული წარსულისა. ნ. ბარათაშვილის სამდურავი იმაში მდგომარეობდა, რომ შეზღუდული. უსასოო და უაზრო აწმყო აგვიანებდა ბრწყინვალე დღის დადგომას, ცხოველმყოფელ მზის ამოსვლას. ჩრდილავდა იმ შორეული მომავლის დასაწყისს, რომლისკენაც ასე მიისწრაფოდა ნ. ბარათაშვილი. სოფლისადმი მდურვის თავისებური შეცნობა ქართველი რომანტიკოსების მიერ არის გასაღები მათი პატრიოტული განწყობილებისა. ამ სოფლისადმი დამოკიდებულებაში გამომჟღავნდა მათი სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. გრ. ორბელიანი მდურვისა და ღრუბელთა მიჯნას ვეღარ პოულობდა, ნ. ბარათაშვილი კი არჩევდა ბურუსის დასასრულს და ამომავალი მნათობის შორეულ სხივებსაც ელამუნებოდა.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ერთი მთავარი ადგილი სამშობლოს სიყვარულის გამოხატვას უჭირავს. ეს თავისი დროის დიდებული ადამიანი, მაღალაზროვანი პოეტი, შესანიშნავად იცნობს ეპოქას, შესანიშნავად ერკვევა ყველაფერში და იცის ქვეყნის გმირული წარსული. 1838 წელს დაწერილი მოხსენება მეფისადმი ამისი დადასტურებაა. ალ. ჭავჭავაძე მოწმე იყო მნიშვნელოვანი მოვლენებისა. 1804 წლიდან ის პოლიტიკურ ცხოვრებაშია ჩაბმული, სიცოცხლის დასასრულამდე ყოველთვის დიდი ადგილები ეჭირა.

ალ. ჭავჭავაძის ლექსებში ამოირჩევა ზოგი ისეთი ნაწარმოები, რომელშიც პოეტი თავისი პატიმრობის გამო მოთქვამს და სწუხს, ზოგიერთები კი ისეთებია, რომლებშიც გაფრენილ ოცნებაზე დანთქმულ იმედებზეა ლაპარაკი. ზოგიერთებშიც სრულიად გარკვეულად ისმის დიდი იმედი დროის შემობრუნებისა, მაგრამ იქვეა გამოთქმული აზრი, რომ შეიძლება თვით ვერ მოესწროს ბედნიერებას, გულთმაამ დღეს, თორემ ასეთი დღე აუცილებლად დადგებაო. ამ ლექსებში ალ. ჭავჭავაძე თითქოს საკუთარი განცდებიდან, გრძნობათა სამყაროდან არ გა-

მოდის. თითქოს ყველა სიმწარეს, რაც მის ირგვლივ საწუთროს შეუქმნია, მის გულზე ჰდე დაუტოვებია, გულში იკლავს. ნამდვილად ამ თხზულებებში პოეტი მოთქვამს დროთა ცვლილებებით გამოწვეულ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ხასიათის დიდი გარდაქმნების შესახებ. აზრი ისეა გამოთქმული, რომ საკუთარი და ფართო მნიშვნელობისა მჭიდროდ დაუკავშირებია და ყველაფერი ეს საკუთარი არსებობის ნაწილად უქცევია, საკუთარ ზრახვათა და სურვილთა ნაწილად გაუხდია.

ასეთი ლექსების უმეტესობაში ალ. ჭავჭავაძე მწუხარებასა და სევდას გამოსთქვამს, არა ისეთი ზოგადი ხასიათისას, როგორც ეს მოცემული აქვს „გოგჩაში“, სადაც საერთოდ ყველაფრის წარმავალობაზე მსჯელობს, სადაც, რასაკვირველია, მხოლოდ ალ. ჭავჭავაძის სამშობლო ან რაიმე ვიწრო ქვეყანა კი არა, არამედ საერთოდ წუთისოფელი იგულისხმება, რომელიც მუდმივ კანონს — დროთა ცვალებადობას და ბედის ტრიალს ექვემდებარება. მაგალითად, ლექსში „ვაჰ, დროხი, დრონი“ . . . პოეტი სრულიად კონკრეტული ამბის შესახებ მსჯელობს და ეს დრო, მტკბარად ნაგები, სიზმრის მსგავსად გამქრალი, მოყვასისა და ცხოვრების ძალის დამშორებლად მიუჩნევია. ლექსის ფაქტურის მიხედვით ეს დრო იყო თავისუფლებისა, ნეტარებისა და ტრფიალებისა, როცა მან, პოეტმა, ერთმანეთ ერთ გზის ერთს უძღვნა თავი და რომლის მონად რჩება მარად. როდის დაიწერა ეს ლექსი — 1804 წლის პატიმრობისას, თუ 1832 წლის ამბებთან დაკავშირებით ტამბოვში გადასახლებისას. მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ოცდარვა წლის განმავლობაში პოეტს ერთი „სატრფო“ ჰყოლია და იმ „სატრფოს“ ანუ სამშობლოს განთავისუფლების იდეას ყოველთვის ეთაყვანებოდა:

საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად!
მე ივიევ ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე ივიევ ვარ მარად და მარად!

— ამბობს პოეტი. დროის ცვალება ვერ ახდენს ჩემზე გავლენას, ჩემი გრძნობა ურყევია იმისადმი, ვისაც ერთხელ თავი ვუძღვენო.

სამშობლოს ტრფიალი გამოცდილი აქვს პოეტს, ისიც გამოცდილი აქვს, თუ რამდენად ძნელია ხელმოცარულობა, თუ რამდენად სასინელია იმედთა დანთქმა.

ალ. ჭავჭავაძის პოლიტიკურ ლექსებში, ასე თუ ისე, დასმულია საკითხი საქართველოს მდგომარეობისა, რაც ზოგჯერ ალეგორიითაა გამოთქმული. თხზულებების გარკვეული ნაწილი პატიმრობა-გადასახლების უშუალო გამოძახილია. მაგრამ, აღსანიშნავი ის არის, რომ თავისი პატიმრობა-გადასახლება პოეტს კონკრეტული ჩარჩოებიდან გამოუტანია და ანზოგადებს რა ფაქტს, მთელს საქართველოს ისეთ მდგომარეობაში მყოფად მიიჩნევს, როგორშიც თვით იმყოფებოდა ორჯერ თავის სიცოცხლეში.

საკუთარ სევდა-ვარამს, რაც პატიმრობას გამოუწვევია და რაც დაკავშირებული იყო პოეტის პოლიტიკურ საქმიანობასთან, ალ. ჭავჭავაძე გადმოგვცემს ლექსში „მსურდა ხვრა“. პოეტი თავისთავში ჩაკეტვას ნატრობს, თავისი გულისნადების სხვათაგან დაფარვას, რადგან ის სხვა მას ვერ მიუხვდება, სევდას ვერ გაუგებს, მისგან გაცალკევებული იქნება. მაგრამ, იმდენად დიდია ეს მწუხარება, იმდენად მძლავრია ვაება, რომ იგი ვეღარ ეტევა მკერდში და მსმენელთა გულებსაც აღაგზნებს. მჭმუნვარე ფიქრებით შეპყრობილი, ნაცნობთა და მეგობართაგან შორს გადატყორცნილი, ყოველ სიკეთესა და სიამოვნებას ჩამოშორებული მოსთქვამს იგი. გამწარებული მგოსნისათვის სიკვდილი არ არის საშიში, დიდ მწუხარებასთან შედარებით სიკვდილი არარაობად არის ქცეული. მას მოსპობია ყოველი გრძნობა და უგრძნო სხეულისათვის ადგილს აზრი არ აქვს. პოეტი მოსთქვამს დამტირებელ თვალთა დაშორებას, იგი გაუმკლავდა ტანჯვას და ჭირს, მაგრამ ძნელია ბედის მიერ რისხვით შორს გატყორცნა. ამიტომ „ამად გთხოვთ გახსოვდეთ, გინდ ვიყო შორსა, პყრობილს ერთგულება გულს შემეხორცა“-ო.

შეიძლება ითქვას, რომ ცოტა უფრო ადრე დაწერილ თხზულებაში „ვისაც გსურთ“, პოეტი თავის პატიმრობაზე ადრე, სატრფოს, — სამშობლოს პატიმრობაზე მოსთქვამს. პოეტის მდგომარეობა უფრო მწვავდება იმით, რომ სატრფო ეგულება საპყრობილეში, ამით ემრავლის წყლული და ვაება:

ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა,
მისმინეთ ჭირში ფლობილს;
მისმინეთ, ვით მაქვს ქმუნვა და თმობა
ურვისგან გულ-შეპყრობილს.

გულის ბატონი პატიმრად ეგულება, გულგანწირულს მწუხარება ზედიზედ ერთეის და წყლული ყოველთვის უახლდება ნების წარმტაცველ გუშაგთა სიმრავლისაგან. ამ სოფელში დიდი და პატარა სოფლის ცვალებადობის შემყურეა, ყველას სიცოცხლე ხანმოკლე და წარმავალი. მათი ნახვა პოეტს ცრემლს მოჰგვრის. ამიტომაა, რომ ასეთი მდგომარეობით გულმოკლული იგი ზოგჯერ სიკვდილისაკენ იმზირება და მუდმივი განსვენების მოპოვებით ფიქრობს შეწყვიტოს ვაება და ცრემლი.

მაგრამ. რასაკვირველია, ალ. ჭავჭავაძე არ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ახალი ქართული ლიტერატურის მეთაურად და ახალი მაჯისცემის გამომხატველად, იგი რომ ბოლომდე დარჩენილიყო იმ განწყობილებით, რომელსაც ზემონაჩვენები ლექსები ამჟღავნებს. სრულიად შეუძლებელი იქნებოდა ალ. ჭავჭავაძეში მოგვენახა რაიმე საზოგადოებრივი, თუ იგი მხოლოდ მომხდარი პოლიტიკური ფაქტის აღმნუსხველად დარჩებოდა და არ გამოხატავდა სწორედ დროის ცვალებადობით გამოწვეულ სიახლეს, ახალი ეპოქის დადგომას.

ალ. ჭავჭავაძის პოლიტიკური შეგნება სრულიად გარკვეულად იცვლება შემოქმედების მანძილზე. უიმედო განწყობილება, გრძნობა შეურაცხყოფისა და გაქელვისა სხვა შეგნებას უთმობს ადგილს. ალ. ჭავჭავაძემ შესანიშნავად განჭვრიტა მომავალი. მან იცის დროის ცვალებადობის კანონი, მან იცის, რომ არ შეიძლება მარად იშვებდეს ის, ვინც მტაცებლობით და ხვეჭით განდიდებულა. იცის, რომ ყველაფერი იცვლება, მუდმივი და მყარი არა არის რა. ამასთანავე ერთად შოთა რუსთაველის პოეზიაზე დანერგილი ქართული მხატვრული აზრი მას უკარნახებს. რომ „კეთილმან სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელია“, რომ დასრულდება გულისტკივილი და ხალხის ვაება. მაგრამ. აქ ჩნდება სწორედ ერთი მომენტი კიდევ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში, გულთმაამი ჟამის კვლავ დადგომის მაჩვენებელი:

მე ამას ვჰსტირი განაწირი, ვაჰ თუ ვესწრა ვერ!...
თვარაღა ჟამი, გულთ მაამი, კვალავც იქნების,—

ამბობს პოეტი.

ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი მშვენიერი თვისება და ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების დამახასიათებელი სწორედ ეს არის. დანახვა მომავლისა და მწარე განცდებისას ახალი

ეპოქის დადგომის განჭვრეტა. ალ. ჭავჭავაძე პირველია ქართველ მწერალთა შორის XIX საუკუნეში, რომელიც გამოდის ამ რკალიდან. აღსანიშნავი ისაა. რომ უკიდურესი დეპრესიის პირობებში, როცა პოეტი თვით განიცდის ფვითმპყრობელობის სიმკაცრეს, როცა იგი ბურვილია ჰმუნვით, სწორედ მაშინ იძლევა იმედს გაზაფხულის კარის გაღებისას. დიდებაში ყოფნას ჩვეულთ, რომლებმაც დაკარგეს თავისუფლება, პოეტი მიმართავს მათ, რომ ჰმუნვის რიდე, მოიხსნან, თავი უბედურად არ ჩათვალონ, მართალია, ზამთარი ყვავილებს აზრობს და ხეებიც მწარედ განიძარცვიან მისგან, მაგრამ ეს არის მხოლოდ ზნე დროთა სვლისა, იგი შეიცვლება და:

უწყოდეთ ესე ცნობა მყარითა,
რომ დრო მოგვალსთ კეთილ დარითა:
იხილავთ ვარდსა სახე მტკბარითა!
თუ არ შეჰკრთებით მისის ნარითა,
სიმხნეს მოიგებთ წამლად წყლულისა.

გულდაკოდილი პოეტი, რომელიც ფიქრობს, რომ შეიძლება თვით ვერ მოესწროს გულთმაამ დროს, მაგრამ იმათ მიმართავს, რომელნიც თავისუფლების ნეტარებაში იმყოფებიან და რომელთაც ჯერ არ განუცდიათ მისი დაკარგვის საშინელება და ურჩევს: შეიგნონ. შეითვისონ და შეეთვისონ ამ ვარდს — თავისუფლებას.

ალ. ჭავჭავაძე თავისი მხატვრული შემოქმედების მანძილზე ვითარების გამო შეჭირვებული და უგულოქმნილი, გამწარებული თავისი ქვეყნის მდგომარეობით, ზოგჯერ ოცნებას მიმართავს ძველ საჭეთა წარმოსადგენად, წარსული სახეების აღსადგენად. ძველი ხილვანი, ძველი ცრემლი და ოხვრა, შეჩვეული ჭირი სიხარულის წყაროა, დამაშვრალი სულის სიტკბო. პოეტს მხოლოდ ისეთი ოცნება უნდა, რომელიც როგორმე დააბრუნებს ძველის ხილვის შესაძლებლობას. როცა წარმოიდგენდა გულმოკლული პოეტი თავისი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს, ნუგეშს არსაიდან ხედავდა. მაგრამ მშობლიური ხალხის ცხოვრების წარსულის კარგად ცოდნამ და აწმყოს გათვალისწინებამ დაარწმუნა პოეტი უკეთესი მომავლის აუცილებლობაში. პატრიოტმა პოეტმა განჭვრიტა გონების თვალით თავისი ქვეყნის ხვალინდელი დღე, შეაფასა ის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც საქართველოში შეიქმნა XIX საუკუნის დასაწყისიდანვე და აზრიანი შეფასება

მისცა ამ ვითარებას ისევე, როგორც მისმა უმცროსმა თანამედროვემ — ნ. ბარათაშვილმა ლექსით „საფლავი მეფის ირაკლისა“.

ლექსი „კავკასი“ და მისი შესავალი წარმოადგენს ალ. ჭავჭავაძის მრავალი წლის ფიქრისა და დაჭიმული გონებრივი მუშაობის შედეგს. ეს თხზულება (განსაკუთრებით შესავალი — მიძღვნა), რასაკვირველია, არ არის რაიმე გატაცებისა თუ სიყვარულის გახსენება. იგი წარმოადგენს პოეტის აღსარებას, იმ ადამიანის აღსარებას, რომელიც რამდენიმე ხნის განმავლობაში გარკვეულ შეხედულებას იზიარებდა, გარკვეულად სწამდა რაღაც, მიუწვდომლად და შორეულად, იდეალურად ეჩვენებოდა იგი, მაგრამ ბოლოს გაერკვა ყველაფერში, დააფასა და განუვრიტა იდეალი და გარკვეული დასაბუთების შემდეგ, გონება გამოფხიზლებულმა დასთმო იგი, თუმცა ამ დათმობით ჩამოიცილა თავისი ცხოვრების, თავისი ახალგაზრდობისა და, მაშასადამე, ტკბილი და შინაარსიანი მოგონებების დიდი ნაწილი. ვინმე დიმიტრისადმი მიძღვნა აღსარებაა ადამიანისა, რომელსაც სრულიად რეალური და გონიერი გზა დაუნახავს და თავისი წარსული გადაუფასებია.

ასეთი აღსარება, მწვავე სურვილების გამოთქმა, ან სურვილთა გაცბუნების გამოხატვა სხვა ქართველ მწერლებსაც მოუციათ. მაგალითად, სწორედ ახალგაზრდული დროის დიდი გატაცებისა და ამ გატაცებათა დამსხვრევაზე ლაპარაკობს გიორგი ერისთავი სვიმონ მაჩაბლისადმი მიძღვნილ ლექსში; ასეთივე ხასიათისაა აღსარება გრიგოლ ორბელიანისა, მიძღვნა ალექსანდრე ორბელიანისადმი, რომელშიც აწმყოს არარაობისა და ყველაფრის გაცამტვერებაზეა აზრი გამოთქმული.

ალ. ჭავჭავაძემ „კავკასიით“ გამოხატა თავისი შეხედულება სამშობლოს ბედზე, საქართველოს მდგომარეობაზე. პოლიტიკურმა შეხედულებამ და პოეტურმა განცდამ, რაც ალ. ჭავჭავაძის ლექსებში გვხვდება, ყველამ ერთად „კავკასში“ ნახა გამოსავალი და ეს იყო უკანასკნელი აზრი, შორსმჭვრეტელი შეხედულება პოეტისა, ნამდვილი და სწორი გამოსავალი შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობიდან. ამიტომ არის ალ. ჭავჭავაძე დამწყები ახალი ქართული ლიტერატურისა, ახალი აზროვნებისა ქართულ პოეზიაში.

ალ. ჭავჭავაძემ შემოქმედების მთელ მანძილზე რამდენიმე ისეთი ხასიათის თხზულება შექმნა, რომელშიც გამოთქვა თავისი პოლიტიკური შეხედულებანი. ამისთანა ლექსებში პოეტი ხშირად ლაპარა-

კობს თავისი პატიმრობით გამოწვეულ სევდასა და ნაღველზე. იგი ლაპარაკობს ყველაფერის მომშთობ დროზე, რომელიც ამსხვრევს და ანადგურებს სიცოცხლეს. მაგრამ პოეტი სრულიად გარკვეულად საზოგადოებრივი სევდისა და ნაღველის გამომწვევ მიზეზს ცალკე გამოჰყოფს და სამშობლოს აღდგენისა და განდიდების იმედს ეძლევა, ოღონდაც ჯავრი აწუხებს, ვაითუ ვერ დაესწროს გაზაფხულსა და ნეტარებას, თორემ სჯერა, გაზაფხული უეჭველად დადგება.

როცა პოეტი „კავკასის“ წერდა, იგი თავისი პოლიტიკური შეხედულების უკანასკნელ სიტყვას ამბობდა და დიდ გამოცდილებას ემყარებოდა, რაც მთავარია, იგი იჩენდა მშობლიური ქვეყნის ჯანსაღი მომავლის ჭვრეტის უნარს.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებამ დასაბამი მისცა ახალ ეტაპს ქართულ ლიტერატურაში და მის მიერ დამუშავებული საკითხი სამშობლოს სიყვარულისა ახალი ძალით გადმოვიდა მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედებაში.

ალ. ჭავჭავაძის შემდეგ ქართველი მწერლები ქართული ლიტერატურის ძირითადი მოტივის — სამშობლოს სიყვარულის საკითხის დამუშავებისას ალ. ჭავჭავაძის მიერ აღებული გზით მიდიოდნენ. ისიც აღსანიშნავია, რომ თვით ალ. ჭავჭავაძის დროსაც ზოგიერთ ქართველ პოეტს სხვაგვარად წარმოედგინა სამშობლო ქვეყნის მომავალი.

სამშობლოს მომავლის ჭვრეტით, ამომავალი მზის სიყვარულითა და ქართველი ხალხისათვის ახალი ეპოქის დადგომის სურვილის გამომჟღავნებით ნ. ბარათაშვილი ახლოს დგას ალ. ჭავჭავაძესთან.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაშიც ძლიერი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამშობლოს, მთელი მისი პოეზია ქართლის ბედის პოეზიაა. არა მხოლოდ პოემაში დააყენა პოეტმა ეს თავისი დროისათვის მნიშვნელოვანი საკითხი, არამედ მთელ შემოქმედებაში.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედების აზრი და მიმართულება, ისევე როგორც ალ. ჭავჭავაძისა, შესანიშნავად აქვს დანახული ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც „წერილებში ლიტერატურაზე“[1] 1892 წელს გამოთქვა შეხედულება ამ თავის წინამორბედი პოეტების შემოქმედებაზე. როგორც ალ. ჭავჭავაძე, ისე ნ. ბარათაშვილი ილ. ჭავჭავაძემ მიიჩნია თავიანთი ეპოქის ცხოვრებით გამოწვეული ტკივილების ამსახველად.

[1] ეს სათაური ილიას არ ეკუთვნის.

ილია იყო პირველი, რომელმაც შესანიშნავი და მართებული დაფასება მისცა ალ. ჭავჭავაძის პოეზიას და მასში ძლიერ ბევრი დაინახა მოქალაქეობრივი.

ნ. ბარათაშვილი სამშობლოს შესახებ ორგვარ აზრს გამოთქვამს: ერთია მომხდარი ფაქტის კონსტატაცია, ფიქსირება მხატვრულ შემოქმედებაში იმისა, რასაც განიცდიდა და გრძნობდა 30-იან წლებში ქართული ინტელიგენცია და თვით ნ. ბარათაშვილიც. პოეტი სხვადასხვა ხერხებსა და საშუალებებს იყენებს იმისათვის, რომ თავისი დროის შესედულებები, ქართველი საზოგადოების განწყობილება გამოხატოს. აღსანიშნავია, რომ ნ. ბარათაშვილისათვის, რომელსაც ხშირად უთქვამს „ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!“-ო, მეტად მტკივნეული იქნებოდა 1832 წლის დეკემბრის პოლიტიკური კატასტროფა. 1832 წლის შეთქმულებასთან ნ. ბარათაშვილის პოეზია კაკშირში იმყოფებოდა არა მარტო იმით, რომ 1832 წელს დაპატიმრებულ იქნენ ბარათაშვილის საყვარელი ნათესავები, საყვარელი მასწავლებელი, უფროსი ამხანაგები და ამ დროის ბევრი ბრწყინვალე წარმომადგენელი, არამედ იმითაც, რომ ახალგაზრდა ბარათაშვილს ჰქონია სრულიად გარკვეული შეხედულება და წარმოდგენა იმ ამბებზე, რომელიც მიზნად დაისახეს შეთქმულების მონაწილეებმა.

1834 წელს დაწერილ თხზულებაში „ბულბული ვარდზედ“ ნ. ბარათაშვილი სრულიად გარკვეულ შომენტს, ფაქტს გულისხმობს. ეს წელი ნ. ბარათაშვილის მახლობელთა, მეგობართა და ნათესავთა რუსეთში გადასახლების წელიწადია. სამშობლოს სიყვარულის იდეა ნ. ბარათაშვილს სწორედ ამ თხზულებაში აქვს გამოხატული და მას ეს იდეა ისეთი ზომით წარმოუდგენია, როგორი ურთიერთობაც ჰქონია 1832 წლის შეთქმულებასთან. წმინდა ლირიკაა „ბულბული ვარდზედ“. აქ ისმის პოეტის მიერ ამხანაგების წრეში ნათქვამი „ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!“ აქ ისმის ის წუხილი, რაც გააჩნდა თვითეულ შეთქმულს, აქ ისმის ის წუხილი, რაც გააჩნდათ 1832 წელს შეთქმულების ცოტათ თუ ბევრად მხარის დამჭერთ.

იმ თხზულებებში, რომელიც ამ პოლიტიკურ ფაქტებთან დაკავშირებით არის შექმნილი, ვისიც არ უნდა იყოს ის, ყველგან მოისმის ჯერ ერთი სინანული შეუსრულებელი და მოუხდენელი ამბის გამო და ამასთანავე ის ერთგვარი ფიცი, რომელიც გულისხმობს მთავარი იდეის,

განთავისუფლების იდეის არ დავიწყებას. ასეთი აზრია გატარებული გიორგი ერისთავის თხზულებაში 1833 წელს, რომელშიც ნათქვამია:

შენ უწყი რომე მისთვის ვცხოვრებდი,
შვენების ღმერთად აღვიარებდი,
ვიდრემდის სული ცოცხლად მექმნების
მუნემდის ტრფობა არა განჰკრების.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სტრიქონები იწერებოდა ავლაბრის ყაზარმებში პატიმრობისას, 1833 წელს, შეთქმულების მონაწილეთა გადასახლების წინა წელიწადს და მიძღვნილია მეგობრისადმი იმ რწმენით, იქნებ ბედნიერება და სიხარული ნახოს ლექსის ადრესატმა, სრულიად თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ გიორგი ერისთავი ამ „შვენების ღმერთში“ გულისხმობს გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს.

ნ. ბარათაშვილი თავისი უფროსი მეგობრის გიორგი „გლუხარიჩის“ მსგავსად არასდროს არ ახსენებს „შვენების ღმერთის“ სახელს; ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით ბარათაშვილი არ იყო უშუალო მონაწილე პოლიტიკური საქმიანობისა.

ლექსში „ბულბული ვარდზედ“ პოეტი ლაპარაკობს მომხდარი ფაქტის შესახებ. ბულბულს, თავის „მეს“, პოეტი ათქმევინებს მწუხარებას და ვაებას ვარდის გაუშლელობისა და ამ ვარდის უდროოდ დაჭკნობის გამო. ვარდის გაშლის ნახვა და მისი ალერსი ბულბულის დიდი სურვილი იყო. მას შესტრფოდა და შეჰხაროდა, მას უგალობდა „მწუხრსა აქეთ“, ვარდი იყო ბულბულის მტანჯველი, მის კოკრობას შეჰფრფინვიდა იგი. მაგრამ ისე სწრაფად გაიშალა ვარდი და ისე ანაზდად დაჭკნა, რომ თვალმილულულ მომღერალს ყველაფერი გამოეპარა, გაშლილი ვარდის სურნელებაც და მიმზიდველი სილამაზეც და ყოველგვარი იმედი გაცრუვდა, ყველაფერი თალხმა მოიცვა.

კონკრეტული პოლიტიკური ფაქტის შედეგი გაუხდია ნ. ბარათაშვილს თავისი ადრეული ლექსის საფუძვლად და მასში ალეგორიულად თავისი და იმ პოლიტიკური ფაქტის ურთიერთობა აუწერია.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედების საზოგადოებრივი ხასიათი გვიკარნახებს, რომ მთელი მისი პოეზია, მცირე გამონაკლისის გარდა, პატრიოტიზმის იდეის გამოხატულებაა, რომ პოეტის მელანქოლიური განწყობილება და სულიერი ობლობა ქართველი ხალხის ცხოვრების გარკვეული ეტაპის გამომხატველია, რომ დაუკმაყოფილებლობა და

ამქვეყნიური რაობის ანალიზი გამოწვეულია პოუწყობელი საზოგადოებრივი ყოფით, ხოლო ახალი და შინაარსიანი ქვეყნის ძიება არის გამოხატვა პოეტის თანამედროვეობის უარყოფისა.

პოემაში „ბედი ქართლისა“ ნ. ბარათაშვილი შეეცადა ეპიური ხმიანობისთვის არ ეღალატა, თანაბარი ზომით და გადაუჭარბებლად წარმოედგინა როგორც ერეკლე, ისე მისი მრჩეველი სოლომონ ლეონიძე, თავისი აზრი არ გამოეთქვა, ნეიტრალობა დაეცვა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა, მას ეპიკურის მაგიერ ლირიკულ-ეპიკური ხასიათის თხზულება გამოუვიდა. ეს სრულიად ბუნებრივიც იყო. პოეტს არ შეეძლო დაეფარა თავისი დამოკიდებულება იმ დიდმნიშვნელოვანი ფაქტებისადმი, რომელთა შესახებაც მსჯელობენ თხზულების პერსონაჟები.

ქართლის ბედის გადაწყვეტისადმი მიძღვნილი პოემა ავტორმა ისეთი მიმართულებით წაიყვანა, რომ ერეკლე მეფის აზრი უნდა ყოფილიყო ძირითადი, რაც, სხვათა შორის, პოემის შესავალითაც დადასტურდა. „ბედი ქართლისა“ ნ. ბარათაშვილმა კახელებს მიუძღვნა და მიძღვნაში დაწერა:

და რაც საყვარლის ჩვენის ირაკლის ქამმან მეფობის
მოუვლინა აწ გამოხატვასა ჩემს ყმაწვილობის,—
მეც, ძმანო კახნო, თქვენ შევოგიძღვნით მას...

ქართლ-კახეთის საკითხი მტკივნეულად წყდებოდა. პოეტმა ეს ტკივილი და თავისი სათქმელი მეფე ერეკლეს ათქმევინა:

რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება[1].

1839 წელს ნ. ბარათაშვილს ჯერ კიდევ არ აქვს გამომუშავებული ის შეხედულება, რაც მან შემდეგ, 1842 წელს ჩამოაყალიბა და გამოთქვა ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“. პოეტმა იცის, რომ ერთადერთი გზა და საშუალება საქართველოს გადარჩენისა არის რუსეთთან კავშირი. ნ. ბარათაშვილის დროს ეს ფაქტი დიდი ხნის მომხდარი იყო და ამასაც, ალბათ, მნიშვნელობა ექნებოდა პოემისათვის მიმართულების მიცემაში. მას უკვე აღარ შეეძლო ფაქტის უარყოფა. აღსანიშნავია, რომ ნ. ბარათაშვილისთვის საქართველო-რუსეთის დაახლოებას

[1] პოემის ამ ნაწილის სხვაგვარი წაკითხვაც არსებობს.

ორი მხარე აქვს. მართალია საქართველო ისე ძლიერია, ან უკეთ ისეთი ძლიერი ხელის ქვეშ იმყოფება, რომ მას შეუძლია ძველსა და მოუსვენარ მტრებს სამაგიერო გადაუხადოს, კავკასია შეაძრწოლოს, აბუზარ თავდამსხმელებს ლაგამი ამოსდოს, მათზე გაილაშქროს, მაგრამ ეს არის საქართველოს ცხოვრების ერთი მხარე, ასე ვთქვათ. გარეგნული. რას წარმოადგენს თავისთავად საქართველო? არის თუ არა იგი თავისუფალი? შეუძლია თუ არა იგრძნოს შვება ერეკლეს სულმა? პოეტისათვის ნათელი იყო, რომ ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული მეფის რუსეთის ხელისუფლება, „ხალხთა საპყრობილე", მძიმე ტვირთად აწვა ქართველ ხალხსა და ქვეყანას. ეროვნული დამოუკიდებლობა და ეროვნული განვითარება არ იყო ფრთაასხმული. იგი რეგლამენტირებული იყო კოლონიური პოლიტიკით. ეს ორი შეგნება აწერინებდა პოეტს „ბედი ქართლისას" და ამავე შეგნებამ დააწერინა „სუმბული და მწირი", რომელშიაც აგრეთვე ალეგორიულად, როგორც ლექსში „ბულბული ვარდზედ", მოცემულია სამშობლოსადმი პოეტის პატრიოტული დამოკიდებულება.

სამშობლოს თავისუფლება პოეტს შეუდარებია სათბურში ჩაკეტილი მცენარისათვის. ეს სათბური ნაძალადევი სამყოფელია სუმბულისათვის. სუმბული დაცულია როგორც ხორშაკისაგან, ისე ზამთრის ყინვისაგან, მაგრამ მაინც საპყრობილეშია. სადაც არაა არც სუმბულის სამშობლო, არც მისი ტოლი ყვავილები, არც მშვენიერი ცა და ბულბული. დიდმშვენიერი სახლ-სათბური დახშული ჰაერითაა სავსე. სუმბულს გარს არ ეკვლება ცივი ანკარა წყარო, დილით არ ეცემა გადაშლილ გულზე სიცოცხლის ნამი, გრილი ნიავი არ ათამაშებს მის ფურცლებს, მაყვლის ბუტკი მზის სხივს არ უჩრდილავს. სუმბულმა იცის, რომ არასოდეს, ბუნების უცვლელი კანონის მიხედვით, არ შეიძლება მეფობდეს ზამთარი. ბუნება არასოდეს არ კვდება ზამთრობით, მხოლოდ შავით იმოსვის გაზაფხულს განშორებული. იქ, გარეთ, თავისუფლებაში კვლავ მოვა გაზაფხული, სათბურში კი ჰაერი ყოველთვის დახშული იქნება, კვლავ საპყრობილედ დარჩება იგი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბარათაშვილს ეს აზრი შემდეგშიც არ შეუცვლია. იმავე 1842 წელს დაწერა ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა", რომელშიც გამოხატა უღრმესი მადლობა საყვარელი ისტორიული გმირის მიმართ, გამოხატა მადლობა თავისი თაობისა, თავისი ეპოქისა, რომელსაც აღარ უხდებოდა ციხე-კოშკებში თავის შეფარე-

ბა. შეეძლო თვით გადაეხადა სამაგიერო უსინდისო მოთარეშეებისთვის, მაგრამ ეროვნული დამოუკიდებლობა ყოველთვის მტკივნეულად აგონდებოდა პოეტს.

1842 წელს ნ. ბარათაშვილმა უსათაურო ლექსი დაწერა. ძნელი იქნებოდა პოეტისათვის რაიმე სახელწოდება მოენახა სულიერი აღტყინების იმგვარი გამოხატვისათვის, რასაც წარმოადგენს ლექსი: „მირბის, მიმაფრენს . . . " პოეტმა მასში თქვა იმ ქვეყნისაგან განშორებაზე, რომელიც ვეღარ აკმაყოფილებდა მის მაძიებელ აზრსა და გრძნობას. იგი ამბობს, რომ სიამოვნებით დატოვებს ყველაფერს, ოღონდ ნახოს ახალი ქვეყანა, სადაც შესაძლებელი იქნება თავისუფლად სუნთქვა, ადამიანური ყოფა. ნუ დავივიწყებთ, რომ პოეტი მოძმეზე ფიქრსა და ზრუნვას გამოხატავს. კაცთმოყვარეობით აღსავსემ თქვა ამ ლექსში: „და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს"-ო. ამ ლექსშიც ის ვაება არის გამოხატული, რაც სამშობლოს უმწეო მდგომარეობით იყო შექმნილი. ამავე 1842 წელს დაწერა ნ. ბარათაშვილმა მიძღვნა მიხეილ ბარათაშვილისადმი — „საფლავი მეფის ირაკლისა". პოეტი მუხლს იყრის ერეკლეს საფლავის წინაშე, თაყვანსა სცემს მეფის ნაანდერძევს, მის წინასწარმეტყველურ ჰვრეტას. „აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი"-ო — მიმართავს შორეულ აჩრდილს თუ საფლავის ქვას, და სიხარულს გამოთქვამს, რომ „ჟამ-ვითარებით გარდახვეწილნი შენნი შვილნი ბრუნდებიან მამულში. მათ მხურვალე გულს გაულღვია ჩრდილოეთის ყინული და იმ მხრიდან ზიღვენ ისინი ძვირფასს თესლს, რომ მხურვალე ცის ქვეშ ერთი ათასად მოიმკონ". ნ. ბარათაშვილი ხაზს უსვამს იმას, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთ კავშირის შედეგად სამშობლოში დაბრუნებული, კულტურით და განათლებით შეიარაღებული ქართველები აქ განათლების თესლს მოაბნევენ, მოიტანენ ცივილიზაციას. აქ ჩანს სწორედ შესანიშნავი ურთიერთობა კულტურისა და კულტუროსანი ხალხებისა. ამ დროისათვის პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოსი არ შეცვლილა. ამიტომ არც შეეძლო რაიმე ცვლილება დაენახა ნ. ბარათაშვილს. პოეტმა სრულიად გარკვეულად ხაზი გაუსვა ამ მდგომარეობას და როცა მან მადლი მოახსენა წმინდა აჩრდილს, იქვე აღნიშნა:

ან არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა;
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყვნელვა;

შაჳის ზღვის ზჳრთნი ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!

ცრემლით აგებულ ერეკლეს ძეგლს ნ. ბარათაშვილი პატივსა-სცემს იმიტომ, რომ მის ქვეშ მარხია ადამიანი, რომლის შორსმჭვრეტელმა გონებამ ქართლს მოაშორა სპარსეთისა და ოსმალეთის ხარკი, შესაძლებლობა შექმნა კულტურის წინსვლისა და განვითარებისა. დამთავრდა ხმლითა და ძალით მამულის დაცვა, ახლა მშვიდობიანი მოქალაქის ხელი ჰმართავს ქვეყანას, ახალმა ქართლმა მრავალი მოძმე შეიძინა, ისინი მოდიან ჩვენი ქვეყნისაკენ. ამიტომაა შორსმჭვრეტი მეფე, განთქმული ბეფის აჩრდილი, ივერიის სიმტკიცის უკანასკნელი სული ქება-დიდების ღირსი.

ნ. ბარათაშვილს არ შეუქმნია პოლიტიკური ტრაქტატი. რომ გადარჩენილიყო პოემა „ივერიელნი“, რომელშიც თურმე ლაპარაკი ყოფილა ძველი საქართველოს გმირებზე, მაშინ ნათელი წარმოდგენა გვექნებოდა ნ. ბარათაშვილის ძველ საქართველოსთან კავშირზე, ნათელი იქნებოდა პოეტის კონცეფცია საქართველოს წარსულისადმი დამოკიდებულებისა, მაგრამ, რადგან ჩვენ მოკლებული ვართ ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველა ფაქტს, ვუჯერებთ არსებულს. არსებულში კი ნ. ბარათაშვილი რჩება უსაზღვროდ მადლიერი მეფე ერეკლესი, რომლის გამჭრიახმა გონებამ ქართლს მისცა საშუალება ახალი ეპოქა დაწყებულიყო.

ნ. ბარათაშვილის პოლიტიკურმა შეხედულებებმა შემოქმედების განვითარებასთან ერთად ცვლილება განიცადა. 1842 წელს პოეტმა გამოთქვა ყველაზე მნიშვნელოვანი აზრები. ამით თავისი აზრის უკანასკნელი მიღწევა გამოხატა. ამავე წელს გამომაქლავნა პოეტმა თავისი ზოგადი წარმოდგენა სამშობლოს სიყვარულზე. აღსანიშნავია, რომ ნ. ბარათაშვილმა სამშობლოს შესახებ აზრიანი წარმოდგენა ხალხისათვის სამსახურს დაუკავშირა, მოძმისთვის თავის განწირვას, რაც „მერანში“ გამოხატა. ხალხისათვის სამსახური, წინსვლისთვის ზრუნვა მოცემულია ბარათაშვილის შემოქმედების ყველაზე ბრწყინვალე მომენტში.

მნიშვნელოვანი და თავისებური სიტყვა ქართველ რომანტიკოსთა შორის სამშობლოს სიყვარულის იდეასთან დაკავშირებით ეკუთვნის გრიგოლ ორბელიანს.

მის შემოქმედებას ერთი მნიშვნელოვანი თვისება გააჩნია, თავიდანვე გრ. ორბელიანი ძველი საქართველოს მოტრფიალე იყო, მეფე ერეკლეს დიდებული სახელის თაყვანისმცემელი, მისი საფლავისა და აჩრდილის წინაშე მუხლმოყრილი. „უნებლიეთ გარდამომცვივდნენ თვალთაგან ცრემლნი, ვიხილე რა საფლავი მეფისა ირაკლისა. რომელსა თანა არს დამარხულ დიდება და ყოველი კეთილი ივერიისა“ — წერდა 1831 წელს გრ. ორბელიანი თავისი მგზავრობის აღწერილობაში, ხოლო „სადღეგრძელოში“ ერეკლესადმი მიძღვნილ ნაწილში იგივე აზრი ლექსად გამოთქვა:

> მის შუკი თუმცა გვინათებს, მაგრამ ვეღარ ვმზერთ მისს სახეს!
> მაშული ვეღარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
> დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!

ეს შეხედულება გრ. ორბელიანს არ შეუცვლია მთელი თავისი პოეტური შემოქმედების მანძილზე. ამას ამბობდა იგი 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით მომხდარი ამბების წინ, ამასვე ამბობდა იგი პატიმრობა-სასჯელის მოხდის შემდეგაც.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს გრ. ორბელიანის განწყობილების ცვალებადობაც. 1832 წლამდე გრ. ორბელიანი აქტიური ბრძოლისაკენ მოწოდების ლექსების ავტორია. თხზულებათა იმ წყებაში, რომელიც კონდრატი რილეევის „ნალივაიკომ“, კერძოდ ამ პოემის ერთმა ნაწილმა — „ნალივაიკოს აღსარებამ“ დააწერინა, პოეტი მომძლავრებული მტრის დამარცხებისაკენ მოუწოდებს თანამემამულეებს. მას უბედურებად მიაჩნია იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც მსაჯულად ძალა სუფევს და კანონს ხანჯალი ასრულებს, რომ მისი ივერია ქედმოდრეკილია, წინაპართა სანიმუშო თავის გამოდება აღარ ახასიათებს ქართველს. ხალხი ცხვარს დამსგავსებია და სჩვა. ამგვარი მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ სისხლით მოპოვებული თავისუფლებით. გრ. ორბელიანმა იცის, რომ თავისუფლება სისხლის დაღვრის გარეშე არსად არავის მოუპოვებია. იგი მზადაა მსხვერპლად შეეწიროს თავის სამშობლოს, ამიტომ იძლევა მტკიცე სიტყვას, „ესრეთს ჩემსა სიკვდილსა ადრევ სიამით ვაკურთხებ“. — ასეთი განზრახვა და განწყობილება აქვს გრ. ორბელიანს რამდენიმე ხნის განმავლობაში, კერძოდ 1833 წლის დაპატიმრებამდე და ეტაპით თბილისისკენ გამომგზავრებამდე. ამ პერიოდში დაწერილ თხზულებებში გრ. ორბელიანი ყველა თავის ზრახვას და მოქმედებას ერთი მიზნით აერთიანებს, მას ერთი დიდი

სურვილი ამოქმედებს. ეს სურვილია, რომ მას თავისუფლების მოპოვებისათვის აამხედრებს, იგი დააწერინებს თავისუფლების ოდას, ეს სურვილი გადმოაქართულებინებს დეკაბრისტ რილეევის თხზულებას. ეს არის „თამარის დღენი, დიდების დღენი“, რომლის უკან დაბრუნებას და აღდგენას ყველას შეჰღაღადებდა იგი.

ძველი საქართველოს გმირულ-ვაჟკაცური სახე წითელი ზოლივით გასდევს გრ. ორბელიანის შემოქმედებას. ახლის ჰვრეტისას იგი ძველით საზრდოობს, ძველზე ფიქრობს და ოცნებობს, მას აღარავინ აღარ მიაჩნია იმ სიამის შემგრძნობად, იმ სურნელების შემმეცნებლად, რომელიც გარდასულ დროთა ხვედრი იყო. თავის ირგვლივ გრ. ორბელიანს აღარავინ აღარ ჰყავს იმ ნეტარი სიძველის მომსწრე, რომელიც გაუგებდა განცდას. აღარ არიან იგინი, ძველი დროის მომსწრენი და ძველ მხიარულებათა თანდამსწრენი, აღარ არიან ძმანი და ტოლნი. ვაჟკაცნი, რომელნიც თავის ლხინით ალხენდნენ მას. განგვშორდნენ გულის ნაცნობნი, ვინცა გულითა გვიყვარდნენ, თვალთ მიგვეფარნენ...

ან ეს რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა
ვერა ვჰსთქვი?
და ვერ ვჰსთქვი რაცა, ის წყლულად გულს დაშთა
და მით ვიტანჯი!...
ან რაღას ველი სოფლისგან, რა მიხარიან, რა მინდა?
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ვერც კ ვგრძნობ, რაცა
მაყვარდა.
დღე ყოველ, ჟამი ყოველი მაკლებს რასამე კეთილსა,
ვჰმზერ მწუხარებით მომავალს და ვჰსწყვეტი ფუჭად
წარსულსა...

ამთავრებს გრ. ორბელიანი „სადღეგრძელოს“ — მიძღვნას ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი.

გრ. ორბელიანის გონება და აზრი ძველი საქართველოთი საზრდოობს. ეს ძველი საქართველო მისთვის განუმეორებელია. მხოლოდ ის წარსული იყო მისი აზრით ღირსი თავისდადებისა და სიყვარულისა. აწმყო სწრაფწარმავალია, მსახვრალი ხელით ყველაფრის დამნგრევი. იშვიათად თუ პოეტი დღევანდელობას დაინახავს და ხვალინდელს განსჭვრეტს. მისი ყოველდღიური ზრუნვაა გამოხატული ანტონისადმი მიძღვნილ ლექსში. ასეთივე დარიგებაა ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ თხზულებაში („წინანდლის ვარდო...“) როგორც ახალგაზრდა მეგობარს ანტონს, ისე ეკატერინეს ურჩევს, რომ:

იმხიარულე,
ვიდრე სიცოცხლე
შენი მშვენივრებს ვით ყვავილთ ჯაჭვი;
ვიდრემდის შენ ზე
დაგნათის, ვით მზე
სიკაბუკისა ნათელ ვარსკვლავი!

პოეტის აზრით, დროთა სვლას ვერ გაუძლო ისეთმა დიდმა ეპოქამ, როგორიც იყო ვახტანგ გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა, თამარისა. მუხთალმა სოფელმა ყველაფერი მოსპო, ყველაფრის ბოლო გაცამტვერებაა. ამდენად არ ღირს ფიქრი და ზრუნვა მომავალზე, მით უმეტეს, აწმყო არის უაზრო და უშინაარსო. გრ. ორბელიანის შემოქმედებაში ყველაფერს „ჩვენებური, ძველებური“ ელფერი ადევს, მხოლოდ ძველი საქართველოა საყვარელი და მიმზიდველი პოეტისათვის. ის გმირია მხოლოდ მოსაგონებელი, რომელიც მამულისადმი ტრფობით იყო აღვსილი და თავისი სიცოცხლე სწორედ მამულს შესწირა. სანატრელი წარსულის მოგონებისას პოეტი უცრემლო, უნუგეშო ხდება:

ოდეს ოხვრით მაგონდებიან სანატრელი დღე წარსული,
გონება ვერ მიპოვნია სანუგეშად, ვერცა ცრემლი,—
ბედის ვარსკვლავს შორს ძლევს ეხედვე, ღრუბლით
მოცულს და მკრთოლვარეს,
დამჭნთომია შვებისა წილ ტრფობის ხსოვნა გულს შემუნვარეს

— ამბობს ერთ ფრაგმენტში გრ. ორბელიანი. მაგრამ ეს ჰმუნვა და ბედის ვარსკვლავის სიშორის გამო სიმწარე ოთხმოცი წლის ასაკამდე შეჰყვა პოეტს. სწორედ ამ სიმწარემ დააწერინა მას შესანიშნავი აღმოკვნესა და განვლილის ანალიზი:

დავბერდი, ბედს ვერ მოკესწარ, დავეხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უშედეგობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით...

თუ რაიმე მცირე იმედი გააჩნდა მას, ყველაფერი დაეკარგა და მოესპო. დაინგრა და დაემხო პოეტის შეგნებაში ყველაფერი. შესანიშნავ და სალოცავ წარსულს ვეღარაფერი ვეღარ აღადგენს.

გრ. ორბელიანმა რადიკალური აზრი გამოთქვა მოგზაურობის აღწერაში ივანე აფხაზთან საუბრისას. ეს რადიკალური აზრი მას ჩაუნერგა შეთქმულების წევრებთან ურთიერთობამ. აქ გამომჟღავნებული პოზიცია, მართალია, შემდეგ შეიცვალა, მაგრამ მას თან დაჰყვა ჩუმი ნა-

ღველი შეუსრულებელი სურვილის გამო. ეს ნაღველი ხომ მღრღნელ ძალად იქცა, რაც 1883 წელს მცირე ლექსშიც გამოხატა.

ამრიგად, გრ. ორბელიანს საშშობლოს სიყვარული მხოლოდ მისი წარსულის მოგონებაში განუსახიერებია. ეს წარსული გმირული და ვაჟკაცური იყო, მაგრამ მისი განმეორება შეუძლებლად მიაჩნია პოეტს, მხოლოდ ღრმა ოცნებაში წასულს შეუძლია თხოვნით მიმართოს თამარის გაცრცხნილ ფრესკას — აღადგინოს თამარმა დიდების დღენი. გრ. ორბელიანს საქართველო უყვარს მის წარსულში, როგორც წარსულის სურათი, დიადი წარსულის ნაშთი.

გრ. ორბელიანის პატრიოტიზმის იდეისაგან მეტად არ განსხვავდება ვახტანგ ორბელიანის მიერ გამოხატული სამშობლო ქვეყნის სიყვარულის იდეა. მანაც საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს ისტორიულ წარსულს, თავისი სახელოვანი პაპის დროს, ცხოვრებას და მოღვაწეობას. ვახტანგ ორბელიანისთვისაც ძირითადი და ბთავარი საქართველოს წარსული ცხოვრებაა, შემკული ნეტარებით, კაცთ-სიყვარულით. მხოლოდ წარსულს შეეძლო წარმოეჩინა ისეთი დიდი ადამიანი, როგორიც შოთა რუსთველი იყო, მხოლოდ წარსულში შეიძლებოდა შექმნილიყო ისეთი ძეგლი, როგორიც გელათია. გრ. ორბელიანის მსგავსად ვახტანგიც ჰმუნვარებს და მოთქვამს ძველის დაუბრუნებლობას. მაგრამ ამ გრძნობას, შედარებით გრ. ორბელიანთან, უფრო მარტივად, ნაკლები პოეტური შესაძლებლობით გამოთქვამს. გრ. ორბელიანი შესანიშნავია ამ მხრივ და ყველა ქართველ რომანტიკოსზე მდიდარი.

ქართველი რომანტიკოსების გაერთიანება პატრიოტიზმის იდეის გამოხატვის თვალსაზრისით არ შეიძლება. მიუხედავად ლიტერატურული სტილისა და გარესამყაროს აღქმის ერთნაირობისა, მიუხედავად ერთგვარი განწყობილებისა და შეხედულებისა, მათ შორის განსხვავება მოიძებნება. თუ ნ. ბარათაშვილი მებრძოლი განწყობილების გამომჟღავნებელია და მას სამშობლოს სიყვარულის იდეა დაუკავშირებია ბრძოლისა, წინსვლისა და უკეთესისათვის თავის განწირვასთან, გრ. ორბელიანი უფრო ზომიერია და მას ნაღვლიანი ანალიტიკოსის გამომეტყველება უფრო აქვს, ვიდრე დაძაბულად მოქმედისა.

ნ. ბარათაშვილი და გრ. ორბელიანი უარჰყოფენ აწმყოს, მაგრამ პირველი მომავლისა და ბრძოლის მისაღებად არის მზად, ხოლო მეორე ძველისაკენ იხრება.

განწყობილებათა ეს განსხვავება გახდა სწორედ საფუძველი იმისა, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზია ქართველ მწერალთა შემდგომმა თაობამ მიიღო როგორც იდეური წყარო, როგორც ღრმა შინაარსიანი საფუძველი და მასზე დააყრდნო თავისი პოეტური აზრი და მოღვაწეობა. სწორედ ამან ათქმევინა ილია ჭავჭავაძეს წუხილი ნ. ბარათაშვილის სიკვდილის 15 წლის თავზე:

ვაი, დაგკარგეთ!... უღმრთო იყო შენი სიკვდილი!
ვინ უწყს, რავდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,
ეგე ზღვა გული, სიყვარულის სხივ-ქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესევნა?

ხოლო მისი ნეშტის განჯიდან გადმოსვენებისას ვაჟამ თქვა:

მშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო,
ქართლისა წყლულთა მოზარე,
მშვიდობა, სულო ძლიერო,
თავის სამშობლოს მოყვარე!

ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ეს განწყობილება იყო საბაბი იმისა, რომ აკაკი წერეთელმა ილია ჭავჭავაძე ჩათვალა ნ. ბარათაშვილის მემკვიდრედ და მის აზრთა და ზრახვათა უშუალო გამგრძელებლად.

სოლომონ რაზმაძე

სოლომონ რაზმაძე მეცხრამეტე საუკუნის ქართველ რომანტიკოსთა წყებაში დგას. მისი პოეტური შემოქმედება საქართველოს გარეთ გაიშალა და გაიზარდა; როგორც მოქალაქე და პოეტი იგი რუსეთში ჩამოყალიბდა, იქ გადახვეწილ ქართველ ბატონიშვილთა წრეში, რამაც პოეტზე თავისებური გავლენა მოახდინა. ს. რაზმაძემ ერთ-ერთ საკითხად სამშობლოს თემა აირჩია, გადახვეწილ მწერალ-პოეტთა მსგავსად სამშობლოს დაკარგულ თავისუფლებას სტიროდა და პრაქტიკული მუშაობა-მოღვაწეობით იმ პოლიტიკურ ჯგუფს დაუახლოვდა, რომელიც საქართველოში რუსეთის მეფის კოლონიური წყობილების წინააღმდეგ იბრძოდა.

ს. რაზმაძის შემოქმედებაში (რომლის უმეტესობამ ჩვენამდე ალბათ, ვერ მოაღწია) საინტერესოა ის ლექსები, რომლებშიც პოეტი ორ გრძნობას — სამშობლოს სიყვარულსა და ამ სამშობლოს და ნაცნობ-მეგობრების დაკარგვით გამოწვეულ ნაღველს აერთებს. საკუთარი განცდები მას დაუკავშირებია ზოგად, საქვეყნო საკითხებთან და ამით აღწევს იგი ლირიკულ განცდათა სიმძაფრეს და სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეულ ნაღველს შთელი სიღრმით გადმოგვცემს.

ს. რაზმაძის სახელი ქართული პრესის ჩასახვისთანავე ხდება ცნობილი მკითხველი საზოგადოებისათვის; იგი ერთი პირველთაგანია, რომელმაც ქართველ მკითხველს მშობლიურ ენაზე გააცნო პუშკინის, მიცკევიჩისა და ფონვიზინის შემოქმედება. მისი ლექსების დიდი ნაწილი დაბეჭდილი არ ყოფილა, მაგრამ მახლობელთა და მეგობართა წრე ს. რაზმაძეს იცნობდა, როგორც პოეტს. იმ დროს, როცა ს. რაზმაძე ლექსებს თხზავდა და მეგობრებს უკითხავდა, მასზე უფრო დიდი სახელის მქონე პოეტები იყვნენ ჩვენში; რაზმაძის ლექსები ჰაეროვანებით, გამართული სიტყვით, რითმითა და რიტმით ვერ შეედრებოდნენ ალ. ჭავჭავაძის „სუბუქ ფრთიან“ ლექსებს და გრ. ორ-

ბელიანის ელეგიებს, მაგრამ მეგობართა წრე და ამხანაგები მაინც უსმენდნენ მას.

ს. რაზმაძემ. 1832 წლის შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ, შეთქმულთა ბედი გაიზიარა, იგი გადასახლებულ იქნა და ვეღარ ეღირსა უკან დაბრუნება. მან დიდხანს იცოცხლა გადასახლებაში და სიკვდილამდე დარჩა შორეულ ტრფიალად სამშობლო ქვეყნისა.

ს. რაზმაძის საბიოგრაფიო მასალა თავმოყრილია ე. წ.. შეთქმულების საქმეებში. საგამომძიებლო კომისიის შეკითხვებზე მიცემული პასუხებიდან ჩანს, რომ მისი მამა ერეკლე მეფეს ყაბარდოდან გადმოუყვანია და ერთ-ერთი ომის დროს, ყარსთან, დავით ბატონიშვილის გადარჩენისათვის. აზნაურობა უბოძებია. სოლომონი დაბადებულა 1797 წელს: ცამეტი წლისა იგი საქართველოდან რუსეთს წაუყვანია თეიმურაზ ბატონიშვილს. პეტერბურგში ს. რაზმაძე თეიმურაზის ხარჯით იზრდებოდა, იქ გაეცნო ბატონიშვილებსა და გადახვეწილი სამეფო საგვარეულოს სხვა წევრებს. ს. რაზმაძე პეტერბურგში ცხოვრობდა 1810 წლიდან 1832 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიძინა და ისწავლა. იგი გახდა დამხმარე და ხელის შემწყობი თვით თეიმურაზის მუშაობისა. ამასთან ერთად თარგმნა სხვადასხვა ხასიათის თხზულებები, ისტორიული ნაშრომები, პოლიტიკური ხასიათის სხვადასხვა მასალა.

ს. რაზმაძე პეტერბურგშივე იცნობდა შეთქმულთა აზრებს და შეხედულებებს. ხოლო როცა 1832 წელს საქართველოში გამოიარა გენერალ-მაიორ სიმონიჩთან ერთად, სპარსეთში მიმავალმა. შეთქმულების თბილისის ცენტრისაგან რამდენიმე დავალება მიიღო, კერძოდ, სპარსეთში გაქცეულ ალექსანდრე ბატონიშვილთან მოლაპარაკება და მისი მეშვეობით ინგლისელებთან კავშირის გაბმა. ამავე ხანებში თბილისში დაიბეჭდა პუშკინის ლექსთა მისი ზოგიერთი თარგმანი, მაშინდელ ჟურნალში — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (№ 5).

შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ ს. რაზმაძეც დააპატიმრეს (1833 წ.), გაასამართლეს და მუდმივი გადასახლება მიუსაჯეს. იგი ცხოვრობდა ქალ. პენზაში. სადაც გარდაიცვალა 1862 წელს.

ს. რაზმაძის შემოქმედება საქართველოს პოლიტიკური ვითარებით არის გამოწვეული, ამიტომ მასში მძლავრადაა მოცემული შესაფერი მოტივები, რის გამოხატვისათვისაც პოეტი მიმართავს ალეგო-

რიებსა და სხვადასხვა ხერხებს. არა მხოლოდ ორიგინალურ შემოქმედებაში დაუსახავს მას მიზნად სამშობლოს მდგომარეობის აღწერა-გამოხატვა, არამედ ნათარგმნ თხზულებებშიც. ისინიც ამ მიზნით მოუშარჯვნია და მოუხმარია.

ს. რაზმაძის შემოქმედებაში გარკვეულად ორი პერიოდი გამოირჩევა, რომელთაც 1832 წლის ამბები მიჯნავს. პირველი პერიოდი. ე. ი. 1832 წლამდე იმით განსხვავდება მეორე პერიოდისაგან, რომ პოეტი იმედითა და ბრძოლის წყურვილით არის აღსავსე; გაბედული თქმები და ბრძოლისაკენ მოწოდება საკმაოდ ძლიერია. რასაკვირველია, არც მეორე პერიოდის შემოქმედება გამორიცხავს იმ ინტერესებს, რომელნიც 1832 წლამდე ჰქონდა. მაგრამ, თუ მანამდე ბრძოლისა და შეურიგებლობის ხმა ისმის მის ლირიკაში, შემდეგ უკვე ალეგორიებით არის მოცემული მონარჩიული წყობილების სიძლიერე და ის უშედეგო გაბრძოლება, რაც 1832 წელს მოხდა.

პირველ პერიოდში ს. რაზმაძე სრულიად ნათლად გამოთქვამს თავის აზრებს. მას გარკვეული შეხედულებაც აქვს გამომუშავებული მონარქიული წყობილებისა და მისი მეთაურის შესახებ. ს. რაზმაძე ერთი სურვილით ცოცხლობს და არსებობს, ეს არის საქართველოს კეთილდღეობა, მისი აღორძინება. მისთვის ცხადია, რომ ყოველმა ადამიანმა თავი უნდა დასდოს მამულისათვის, უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა და დაეხმაროს სამშობლოს. ამიტომ, როცა პოეტი რაიმე კულტურულ-პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა, მხოლოდ ამ საზომით აფასებს თავის ღვაწლს და სხვებისგანაც ამას მოითხოვს.

ს. რაზმაძის შემოქმედების პირველი პერიოდის თხზულებათაგან შესანიშნავია „დათვი და ცხვარი", რომლის შესახებ შეთქმულების გამომძიებელი კომისია წერდა, რომ ს. რაზმაძემ დაწერა მთავრობის საწინააღმდეგო არაკიო. „დათვი და ცხვარი" ს. რაზმაძეს დაუწერია 1832 წელს, როცა იგი სიმონიჩთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში და აქ. შეთქმულთა ორგანიზაციაში მონაწილეობას იღებდა. თხზულება შეთქმულთა მიერ მოწონებულ იქნა, რადგან მასში ალეგორიულად იყო გამოხატული რუსეთ-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულება. ეს თხზულება შეთქმულთა შორის სწრაფად გავრცელდა. არაკში მოცემულია საქართველოს პოლიტიკური სიტუაციის ზოგიერთი მხარე, რამაც მაშინდელ საგამომძიებლო კომისიას უფლება მისცა თხზულე-

ბა პოლიტიკურ პამფლეტად ეცნო და ავტორისათვის განმარტება მოეთხოვა.

ს. რაზმაძე მეტად გულახდილად ამხელდა მეფის ხელისუფლების დამპყრობლურ და კოლონიურ პოლიტიკას; ამ პროკლამაციის მსგავს თხზულებას კითხულობდა იგი შეთქმულთა წრეში.

შემოქმედების პირველსავე პერიოდს ეკუთვნის პუშკინის. მიცკევიჩის. ფონვიზინის და სხვათა თხზულებების თარგმანები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ფონვიზინის სატირული თხზულების თარგმანი. რომელიც „პეტერბურხის“ სათაურით შეუსრულებია ს. რაზმაძეს.

1832 წლამდე, პოლიტიკური საქმიანობით გატაცებული და საიდუმლო ორგანიზაციის აქტიური წევრი, ს. რაზმაძე, მხატვრულ სიტყვას ბრძოლის საშუალებად ხმარობს და თითოეული მისი თხზულება — ორიგინალური თუ თარგმნილი, პროტესტის გამოხატულებითაა და წინააღმდეგობის სურვილით არის აღსავსე. მისი ასეთი თხზულებები საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას ეხმაურება, ამ პერიოდის თხზულებები ქართული მებრძოლი ლიტერატურის ნათელი ნიმუშებია. დაპატიმრების და გადასახლების შემდეგ ს. რაზმაძე სულიერ დეპრესიას განიცდის; გადასახლების წლებში შექმნა ღრმა წუხილისა და სევდის გამომხატველი ლირიკული თხზულებები, რომლებშიაც ობლად დარჩენილი სულის წუხილი და მარტოობის ჩივილი ისმის. სამშობლოს და ნაცნობ-მეგობრებს მოცილებული პოეტი მტკივნეულად განიცდის მდგომარეობას. ამ მწუხარების გამოხატვისათვის პოეტი ჩვეულ ხერხს — ალეგორიას მიმართავს. მარტოობაში მყოფი, არც ისე შორეულ წარსულს ანალიზს უკეთებს, პოლიტიკური ბრძოლის განვლილ დღეებს აფასებს. მებრძოლ ძალებს ერაიურთს უპირისპირებს. ასეთი განწყობილების მატარებელი ლექსებია „ელბრუსი“ და „იდინე წვიმავ“.

„ელბრუსში“ პოლიტიკური მარცხის შედეგებია მოცემული; წერონი ანაზდად შეხვდებიან გარდაუვალ მაღალ მთას. სიმაღლეს ფრთებს ალეწენ და სურვილშეუსრულებელნი ქვე ეცემიან. სამაგიეროდ მძლავრმა არწივებმა შესძლეს მთის გადალახვა. ლექსში მოცემულია პოლიტიკური ბრძოლის შეფასება და ამ ბრძოლის უშედეგო დასასრული, რაც ამავე ლექსის „განმარტებაში“ გარკვეულად არის მოცემული: „მოჰქრის უკუნი გამწარებული, ქვეყანას ჰღუპავს სიბნე-

ლეშია". ასეთივეა ლექსი „იდინე წვიმავ". მასში პოეტი ისევ ალეგორიულად გამოხატავს თავისუფლებისათვის ბრძოლას და არახელსაყრელ დასასრულს ამ ბრძოლისა. გაზაფხულის მზეზე უძლიერესი მხათობისათვის შეუდარებია პოეტს განთავისუფლების იდეა: „როს განვიცადე მანანა წყნარი, პირად ნარნარი, განვსცოცხლდი მკვდარიო". განთავისუფლების სურვილი ძალ-ღონეს აძლევდა მას, იგი მთელი შესაძლებლობით მონაწილეობას იღებდა მისი მოპოვების საქმეში, „წყნარი მანანა" ასაზრდოებდა მის არსებობას. მაგრამ, ნეტარება დიდხანს არ შერჩა პოეტს.

გადასახლების პირველ წლებს ეკუთვნის საუკეთესო და ღრმა ლირიზმით აღსავსე ლექსები „მამულს" და „სოფელს". ეს ლექსები კარგი ნიმუშებია ობოლი სულის მღელვარების გამოხატვისა, სამშობლოს დანატრებული ადამიანის განცდისა, დედისგან დაშორებით გამოწვეული სევდისა, მეგობარ-ამხანაგთა დაღუპვის ტკივილის ჩვენებისა.

ლექსში „სოფელს", რომელიც 1841 წელს დაუწერია პოეტს, მოცემულია მდურვა სოფლისადმი. სოფელი მშვენიერია თავისთავად. მაგრამ უბედურია მარტოდ დარჩენილი, ცხარე ცრემლმომჩქეფარე ადამიანი. მოკლულ გულს ვეღარ ახარებს სინათლე. „ვერღა განათბობს ცხარის მზის სხივი", მისთვის უცხოა გარემო და ამ უცხოობაში პოეტი „აჩრდილის დარად დალასლასებს". მშვენიერი ბუნება უბედო ბედისგან სამარედ გადაქცევია. პოეტი განიცდის უცხო ადგილის სიცივეს და დაღამებული სევდა ღრღნის მის არსებობას. „ხედვა უშრტება" ობლობისაგან და მშვენიერი ქვეყანა და სიცოცხლის ბედნიერება ვეღარ ახარებს. აღარც გულის სინათლე აქვს და აღარც „ანგელოსისებური სახე" საყვარელი დედისა.

სამშობლოს და მშობელს მოცილებული პოეტი უზომო და ღრმა მწუხარებას მოუცავს, სამშობლო და დედა — ორი მძლავრი საგანი, პოეტს შეუერთებია და სევდის წყაროდ მიუჩნევია. მას იმედი გადაწყვეტილი აქვს, რომ მაცოცხლებელ ნათელ ველს, მთებსა და ბორცვებს, სპეტაკ წყაროებს იხილავს. მის ნაღველს ვერ გაჰფანტავს ვერც კავკასიის გრილი ნიავი და ვერც სხვა რამ. უსასოობაში ჩავარდნილი პოეტი ყოველგვარ პერსპექტივას ჩამოსცილებია, საწუთრო უნაყოფოდ შექმნია და გული მძიმე ურვით დაუფარავს.

დაცარიელდა ჩემთვის საწუთრო,
სისხლისა ცრემლნი სიკვდიდმდე ვღვარო,
ეს ხვედრი ჩემი ვერვინ შესცვალოს,
გულზე დამაწვეს ურვა, ვით ლოდი,
მისმან მახვილმან მგმიროს და მგმიროს,
ჰოი, სიკვდილო, რას ქლამი, მოდი!

— დაასკვნის გრძნობადანელებული პოეტი.

დრო გადიოდა და ს. რაზმაძეც ეჩვეოდა თავის ბედს, ურიგღებოდა ხვედრს. მის გულს სხვა ინტერესები გაუჩნდა, რომელნიც პირველ ხანებში მკრთალად, ხოლო შემდეგ უფრო ძლიერად იჩენს თავს მის პოეზიაში. ეს ჩახს სატრფიალო ლექსების ციკლში, რომელიც ს. რაზმაძეს პენზაში დაუწერია. შიგადაშიგ, ლირიკულ თხზულებებში. ჩნდება ქალის სახელი, თანდათან ძლიერდება სხვა მოტივები: სიყვარულის გაგება-განმარტება, აღმზრდელობით-დამრიგებლობითი, ცხოვრების მოხმარება-გამოყენებითობა.

დაოჯახება და შვილის შეძენა ს. რაზმაძეს დაეხმარა უიმედობის გარსიდან გამოსვლის საქმეში. ხანშიშესულ სოლომონს შვილი უჩნდება მხსნელად, ძლიერ ნუგეშად, მისმა სიყვარულმა მოათმენინა და გადაატანინა განდეგილობისა და მარტომყოფობის გესლი.

გარდა ამისა, ს. რაზმაძე, პენზაში სატრფიალო თხზულებებსაც წერს. ჯერ კიდევ ადრე პირველ პერიოდში, ქართველ მშვენიერ ქალთა სინაზე და სიკეკლუცე, მწვანით მოსილ მხარეში მათი ვარდ-ყვავილთა მსგავსი სახეები, ს. რაზმაძეს აღწერილი აქვს „დიანას მეჯლისში“, რომელშიც გამოყენებულია კლასიცისტური ლიტერატურის დამახასიათებელი პოეტური წყაროები და ხერხები. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ წამოვიდა ოლიმპიდან დიანა თავის ამალით და როგორ შეხვდა ეს სილამაზის ქალ-ღმერთი ქართველ ბანოვანთ. დიანამ ქართველ ლამაზ ქალებს, ამურის დახმარებით, ფიალით სურვილის ალი დაალევინა და ქება-დიდება შეასხა საქართველოს შნათობთ.

ისე. როგორც „დიანას მეჯლისში“, ლირიკულ თხზულებებშიც, სადაც სიყვარულის გრძნობა აუმეტყველებია პოეტს, გამოყენებული აქვს კლასიცისტური ლიტერატურის ატრიბუტები (ეს ახასიათებდა უფრო ქართველ მწერალთა პეტერბურგის ჯგუფის შემოქმედებას). შედარებებისა და პარალელებისთვის იგი მიმართავს მითოლოგიას.

უსათაურო ლექსში „უსამართლოა მართლა ბუნება...“ პოეტი აღწერს ქალის სილამაზეს, გულის მიმღები სირინოზის ხმას; ლამაზი ქალი, ყველაფრით შემკული, ტრფიალების ობიექტია, უსამართლო ბუნებასაც ყოველი სიკეთე მისთვის, ამ ქალისათვის მიუცია და მიწიერ ღმერთად უქცევია. საყვარელი სახის შეხედვა პოეტს გულის სიამეს აძლევს: მიჯნურის ახლო ყოფნისას აღარაფერი აღარ შეიძლება ისურვოს ადამიანმა. იგი, მიჯნური, ყოველგვარ ურვას აოტებს და კაეშნის ლამს გულიდან გადირეცხს...

სატრფიალო ლექსებში ს. რაზმაძეს თანდათან კონკრეტულობა შეაქვს, სევდა-ჭმუნვისაგან თავის დაღწევის საშუალებასაც პოულობს და საკმაოდ ლამაზად დალაგებული მხატვრული აზრით მოუწოდებს ვინმე სევდამორეულს:

ქმარა, ნუ აფრენ გონებას შორად,
ეახოთ ბაგენი ჯიხვებსა ხშირად,
აჰა, ჩონგური, დაუკარ რამე.
მით მოგეცემა გულის სიამე,
კახური მოჰფენს სიხარულს პირსა,
მივსჭედოთ სევდა ქვეყრების ძირსა.

სიცოცხლეს განსაკუთრებული ფასი ეძლევა, ურვის მოცილებით სიხარულის ზღვას შეიძლება მიეცეს ადამიანი. პატარა, ორტაეპიან ლექსში სწორედ ასეთი ფორმულა აქვს მხატვრულად მოცემული:

დასტკბი სიცოცხლით, განაგდე ურვა,
მოგცეს ზევესმან სიხარულის ზღვა.

ნახსენები ლექსების სიტყვიერი მასალის ნაწილი გარკვეულად მიგვითითებს იმავე წყაროებზე, რაც ალ. ჭავჭავაძესაც გაეჩნდა, როცა იგი სილამაზეზე და სიყვარულზე გადმოგვცემდა.

ს. რაზმაძეს დიდხანს მოუხდა რუსეთში ყოფნა, იქ გაატარა ყრმობისა და ახალგაზრდობის წლები. პატარაობიდანვე ისმინა რუსული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედება, რომელთა პოეტურ ხმას თავისიც დაუკავშირა. მან რამდენიმე თხზულება თარგმნა რუსულიდან. ეს თარგმანები ორი ხასიათისაა: მხატვრული თხზულებები და მეცნიერულ-პოლიტიკური ლიტერატურა. იგი სა-

თარგმნელად იღებდა ისეთ მწერლებს და ისეთ თხზულებებს, რომელნიც მისი განწყობილების მატარებელნი იყვნენ. ს. რაზმაძის მიერ მხატვრული შემოქმედების თარგმანებიდან ჩვენამდე მოაღწია პუშკინის, ფონვიზინისა და მიცკევიჩის თხზულებებმა.

ს. რაზმაძის დამსახურება განსაკუთრებით დიდია პუშკინის თხზულებების თარგმანის საქმეში. პუშკინიდან მას თარგმნილი აქვს: „წინასწარმეტყველი" («Пророк»), „განღვიძება" («Пробуждение»), „ლხინი" («Веселый пир»), „მელოდია-ღიშპანური სიმღერა" («Ночной зефир»), „დემონი" («Демон»), ერთი სტროფი „ევგენი ონეგინისა" («У ночи много звезд», 7 თავი, სტრ. II), ნაწილი პოემისა „ძმები-ავაზაკები" სათაურით „ასტრახანის ახლო".

მართალია ს. რაზმაძის თარგმანები ალ. პუშკინის შემოქმედებიდან პირველია და ამდენად სუსტიც იყო, მაგრამ ისინი საინტერესონი არიან იმით, რომ ამ თარგმანებით სოლომონ რაზმაძემ ქართველ მკითხველს გააცნო პუშკინი და სიყვარულით აზიარა მის ღრმა და უკვდავ შემოქმედებას. ამასთან ერთად, პუშკინის თხზულების თარგმანებისთვის მან შემოიღო ახალი სალექსო ზომები და ზოგიერთ შემთხვევებში გამოიყენა მომხიბვლელი მხატვრული ხერხები. იგი ეცადა პუშკინი ქართველი მკითხველისათვის გასაგები გაეხადა და ამიტომ ლექსები „გადმოუქართულებია" კიდეც (ი. გრიშაშვილის გამოთქმაა).

მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა იმ დროისათვის ადამ მიცკევიჩის პოემის „ფარისის" თარგმნა, რაც რაზმაძეს პეტერბურგში შეუსრულებია და გრიგოლ ორბელიანისთვის მიუცია შესადარებლად და შესასწორებლად ფონვიზინის სატირის „Послание к слугам моим" თარგმანთან ერთად. ამ ორი თხზულების თარგმანი იმით არის საინტერესო, რომ მიცკევიჩის თხზულების თარგმნით ს. რაზმაძემ ქართველ მკითხველს გააცნო პოლონური რომანტიზმის შესანიშნავი წარმომადგენლის შემოქმედების მნიშვნელოვანი ნიმუში, ხოლო ფონვიზინის სატირის თარგმანით გამოამჟღავნა თავისი დამოკიდებულება მეფის ხელისუფლებისადმი.

ს. რაზმაძეს ფონვიზინის სატირა უთარგმნია სათაურით „პეტერბურხი". მთარგმნელს თხზულებისთვის შეუნარჩუნებია ორიგინალის მწვავე, გესლიანი ტონი და ენა. თარგმანში ჩანს ს. რაზმაძის,

როგორც 1832 წლის შეთქმულების წევრის განწყობილება და დამოკიდებულება ბიუროკრატულ-ჩინოვნიკური სისტემისადმი.

ისტორიულ-პოლიტიკური და სხვა ხასიათის ლიტერატურიდან აღსანიშნავია რუსულიდან თარგმნილი: „წიგნი ფენელონისა ლუდოვიკ მე-14-სთან მიწერილი“ „პრეტექტი სენის დეპარტამენტისა თჳსთა თანამოქალაქეთა მიმართ“, „ტრიპოლური მართლმსაჯულება“, „ადამის პირველნი გრძნობანი“, „პირველნი საფუძველნი საზოგადოისა ისტორიისანი“, „რელიგიური ტრაქტატი“, ვინმე ფლოტის ოფიცრის — კროპოტოვის მიერ მინისტრებთან მიწერილი ხუთი წერილის თარგმანი და სხვანი. აღსანიშნავია აგრეთვე „შეკითხჳანი“, როგორც ს. რაზმაძის ფილოსოფიური შეხედულებებით დაინტერესების ფაქტი, რომელშიც გონებისა და გარემოს ურთიერთობაზე არის ლაპარაკი. [1]

---

[1] სამწუხაროდ, ს. რაზმაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომლითაც საკმაოდ არის დაინტერესებული მკითხველი, დიდი ხნის წინათ დასაბეჭდად გამზადებული, კვლავ ელის გამოქვეყნებას.

სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობიდან

პირველი ქართული გაზეთები XIX საუკუნეში საუწყებო ხასიათისანი იყვნენ. 1819 წელს გამოსული „საქართველოს გაზეთი“, რომელიც მალე „ქართულ გაზეთად“ გადაკეთდა, ათავსებდა ცენტრალურ და ადგილობრივ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთა განკარგულებებსა და ბრძანებებს. ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის პირველ ქართულ გაზეთებს არა გაუკეთებიათ რა. მათი არსებობა საინტერესოა მხოლოდ როგორც დასაწყისი ეტაპი ქართული პრესისა.[1]

წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართული პრესისა არის 1828 წლის 4 ივლისიდან გამოსული ქართული გაზეთი „ტფილისის უწყებანი“. მართალია იგი მეტად შეზღუდული იყო და განმეორებას წარმოადგენდა „Тифлисские ведомости“-სა, მაგრამ ქართველი თანამშრომლები ამ თარგმანს მაინც მცირე დამოუკიდებლობას აძლევდნენ. რუსული გაზეთის რედაქტორი იყო ჟურნალისტი პავლე სტეფანეს ძე სანკოვსკი[2], რომლის შედგენილი გაზეთიც ითარგმნებოდა ქართულად. „ტფილისის უწყებანის“ ქართული ვარიანტის ერთი მთავარი მესვეური სოლომონ დოდაშვილი იყო, რომლის გულმოდგინებამ და ქართული კულტურისადმი დიდმა სიყვარულმა გაზეთი წესიერ გზაზე დააყენა. სოლომონ დოდაშვილი ქართული გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის მესამე დღეს იონა ხელაშვილს პეტერბურგში ატყობინებ-

---

[1] პირველ ქართულ გაზეთებთან დაკავშირებით იხ. დ. კარიჭაშვილი, ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, ჟურნ. „წიგნის მეგობარი“, 1925 წ., № 1—2; პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941 წ., მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 1.

[2] მის შესახებ იხ. „საისტორიო მოამბეში“, 1946წ., № 2 პროფ. მიხეილ პოლიევქტოვის წერილი: «Европейские путешественники по Кавказу».

და: „დროსა მისვლისა ჩემისას ტფილისსა, დამნიშნა ღუბერნატორმან კოჰიტეტსა შინა გამოსაცემად ვედომოსტებისა ანუ გაზეთებისა, სადაცა იქმნებიან სხუა და სხუანი გუარნი თხზულებათა წარმოებათანი, რომელნიცა შემთხუჱულან ან შემთხუჱლ იქნებიან. ჩუენც ვიწყეთ გამოცემა ამ ივლისის თუჱში ომარხნის ომიდგან, გარნა რომელნიმე ძუჱლნი თავნი იმყოფებიან კომიტეტსა შინა და ვერა რა შემისმენია ქართულისა ფრაზისათჳს“[1]. ეს საყვედური ზოგიერთი თანამდებობის პირის მიმართ, რასაკვირველია, გამოწვეული იქნებოდა ს. დოდაშვილის სურვილთა შეზღუდვით.

ს. დოდაშვილის გულმოდგინებამ და განსწავლულობამ ბევრ მის მოწაფეს სურვილი აღუძრა ემუშავა ქართული კულტურის სარბიელზე. კეთილშობილთა სასწავლებლის ქართული სიტყვიერების მასწავლებელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ლოგიკის ავტორი სოლომონ დოდაშვილი, თვით ბევრს მუშაობდა მწერლობის დარგში. იგი წერდა: „დაშთომილს ჟამებაში და ღამით თხზულებასა შინა ვატარებ დროსა, ესე იგი, ქართული რიტორიკა სრულ ვჰყავი ქართულ ენასა ზედა და ვჰსთარგმნი რუსულად...“[2] „...და მასთან წარმოავლინა ყოვლად წიგნი როსიელსა ენასა ზედა დაბეჭდილი ცხენის სრბოლისთჳს ანუ ჭენებისათჳს და მდგომარეობისათჳს ჩისისა და სხუა და სხუათა საკელმწიფოთა შინა, რათა ვსთარგმნო ქართულსა ენასა ზედა, ეგრეთვე. გარდა ამისა ორი დიდ ფრად ვრცელი წიგნი, რომელსაც შ~ა იპყრობს სამოქალაქო სჯულნი, სასამართლოჲსა და პოლიციისა კანონი და მოქალაქეთა ვალნი და თანამდებობანი, მომცა ღუბერნატორმან ღენერალ ადიუტანტმან სიპიაღინმან სათარგმნელად ქართულსა ენასა ზედა“...[3] „შევადგინე ქართული ღრამატიკა სასწავლებლისათვის, სრულ ვჰყავ რიტორიკა ქართულსავე ენასა ზედა, ვჰსთარგმნე, რწმუნებისამებრ მთავრობისა, სჯულნი ვალდებულებანი სასამართლოებისანი, ვჰსთარგმნე, ბრძანებითა მთავრობისათა, ცხენისა სრბოლისთჳს წიგნი, შევადრგინე რეესტორი ქართულის წიგნებისა რიცხვით ექვსასამდე: ვისგან, სადა და ოდეს! და თვითეული რას იპყრობიეს თჳს შორის, შევადრგინე სხუანი და სხუანი ზნეობითნი

---

[1] ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 284.
[2] იქვე, გვ. 289.
[3] იქვე, გვ. 292.

ნაწყვეტობანი (ოტრივკი) შესკმანი, ავთრათნი და სხუანი შეევადრგინე მოკლედ ფილოსოფიისა ძალნი საზღერეობითა და განყოფილებითა მისითა, ისტორიული აღწერა ვიწყე რომელთამე მწერალთა და რომელიმე სრულ ვყავ“[1].

ს. დოდაშვილი იღვწოდა ბიბლიოთეკის შედგენა-დაარსებისათვის, ნიჭიერ ახალგაზრდათა რუსეთსა და ევროპაში სასწავლებლად გაგზავნისათვის და სხვა მრავალი. თავისი ნაშრომებითა და ცოდნით ეხმარებოდა ახალგაზრდებს ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლაში. ს. დოდაშვილის უშუალო მონაწილეობითა და მითითებით არის დაწერილი და დაბეჭდილი წერილი „რაიმე რუსთაველისათჳს“. რომელიც გამოქვეყნდა „ტფილისის უწყებაში“ 1829 წლის 21 იანვარს[2]. „რაიმე რუსთაველისათჳს“ ერთადერთი წერილია ამ ხასიათისა ამ ქართული გაზეთის გადარჩენილ და ჩვენამდე მოღწეულ ნაკლოვან კომპლექტებში.[3] რუსთველის შესახებ XIX საუკუნეში პირველი დაბეჭდილი წერილის ავტორი არის ს. დოდაშვილის მოწაფე ლუარსაბ არღუთაშვილი-დოლგორუკოვი (წერილი ხელმოწერილია ინიციალებით: ლ. ა.-დ, გახსნილია ა. აბრამიშვილისაგან).[4] როგორც თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში, ისე თავისი მითითებითა და ხელმძღვანელობით შეთხზულ ნაწარმოებებში, კერძოდ, ლუარსაბ არღუთაშვილ-დოლგორუკოვის თხზულებაში, ს. დოდაშვილი გამოდის თავგამოდებულ დამცველად ქართული ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობისა, იცავდა ამ მემკვიდრეობას ქართული ლიტერატურისა და ისტორიის ფალსიფიკატორებისაგან. საზოგადოებრივი ცხოვრების დეპრესიის დროს ცდილობდა ქართულ სულიერ ძალთა აღორძინებასა და მისთვის მოქალაქეობრივი უფლე-

---

[1] ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 300—301.

[2] ამ წერილის შესახებ ცნობა პირველად გამოაქვეყნა ა. აბრამიშვილმა ჟურნ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 4—5, 1948. მანვე მოიყვანა შინაარსი ამ წერილისა.

[3] „ტფილისის უწყებანის“ გადარჩენილი ნომრების აღწერილობა ეკუთვნის ა. აბრამიშვილს, იხ. იქვე, გვ. 241—246.

[4] და არა ლავრენტი არდაზიანი, როგორც უნდა დაამტკიცოს ამხ. გაჩეჩილაძემ. ლუარსაბ არღუთაშვილ-დოლგორუკოვის წერილი დაწერილია რუსულად და შემდეგ თარგმნილია ქართულად. ლავრენტი არდაზიანს რა გაჰკრვება დაადგებოდა, რომ წერილი რუსულად დაეწერა და შემდეგ ეთარგმნა ქართულად.

ბის მოპოვებას. ს. დოდაშვილი ყოველ კულტურულ საქმიანობას ერთი თვალსაზრისით აფასებდა: „მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის“, „რათამცა ესე გუარსა სასარგებლოსა საქმესა მტკიცე საფუძველი შესაწევნელად განათლებისა გავრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩუენისა“ (იხ. „განცხადება“, „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832 წ., № 5, გვ. 119 — 120). ეს თვალსაზრისი სოლომონ დოდაშვილს ყველგან აქვს გატარებული, ეს ამოქმედებდა მას ყოველთვის, როცა 1832 წელს პირველ ქართულ საზოგადოებრივ ჟურნალში კამათობდა. წერილის „რაიმე რუსთველისათჳს“ აზრი და მიზანი გამოთქმული აქვს ს. დოდაშვილს თავის ამ წერილისათვის მიწერილ შენიშვნაში: „შევრთავ მუჯლსა ამას (წერილს რუსთველზე — ს. ხ.) განხალისებისათჳს მისისა (ე. ი. ავტორისა — ს. ხ.) და კმაყოფილებისათჳს მემამულეთა. სასურველ არს, რათა სხვანიცა შეუდგნენ მაგალითსა მისსა და აღანთონ გონებათა შინა თვისთა სანთელი მეცნიერებისა დიდებისათვის მამულისა და ბედნიერებისათვის თავისა თვისისა, რომელთაცა შრომანი დაშთებიან უკვდავად შთამოებისათვის“.[1]

წერილში „რაიმე რუსთაველისათჳს“ მოცემულია შეფასება შოთა რუსთაველისა და მისი პოემისა. საზომად და „ვეფხისტყაოსნის“ ღირსების საჩვენებლად გამოყენებულია ჰომეროსის „ილიადა“. დასაწყისშივე ლაპარაკია საბერძნეთისა და რომის პოლიტიკური ძლიერების დაპირისპირებაზე. ეს შედარება მნიშვნელოვანია: „საბერძნეთი, მაწარმოებელი ღომერისა, ფრიად უელვარეს არს რომისა, რომელმანცა დაიმორჩილა მსოფლიო“. რომმა პოლიტიკურად დაიმორჩილა საბერძნეთი, მაგრამ თვით მოექცა ბერძნული კულტურის ცხოველმყოფელი გავლენის ქვეშ. ქვეყნის პოლიტიკური დამდაბლება არ ნიშნავს მის კულტურულ დაცემას. ჰომეროსის ნიჭს საუკუნეთა განმავლობაში „აძლევენ და მისცემენ სათანადოსა ხარკსა“, ხოლო რუსთაველს კი „ღმერთსა ჩვენსა“, არავინ იცნობსო. წერილის მიზანია დიდი პოეტის შესახებ საზოგადოებას მოაწოდოს ცნობა და ამით

---

[1] „ტფილისის უწყებანი“, 1829 წ. № 3. ასეთი სურვილი შემდეგაც გამოუთქვამს ს. დოდაშვილს. იხ. „სალიტერატურონი...“ № 2, გვ. 38. აგრეთვე ს. დოდაშვილის პასუხები საგამომძიებლო კომისიას, იხ. წიგნში „1832 წლის შეთქმულება“ გ. გოზალიშვილისა, 1935 წ.

აღძრას ინტერესი დიდი შემოქმედებისადმი. წერილის ავტორი საყვედურს გამოთქვამს, რომ ქართველთა მცირე რაოდენობა არის მკითხველი „ერის დიდებისა და პოეზიისა“. აღსანიშნავია, რომ წინააღმდეგ ანტონ კათალიკოსის შეხედულებათა, „ვეფხისტყაოსანი“ აღიარებულია ერის დიდებად და ისეთ თხზულებად, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს. პოემას დაუცავს ქართული ენის მრავალფეროვნება, რომლის გაგებასაც ხელს უშლის „შეცვლილი წელთა და გარემოებათა მიერ აწინდელი თქმაობა“, რომელიც „განაშორებს ჩვენგან უმეტეს და უმეტეს სიცხადესა და სიწმინდესა აზრისასა რუსთველის ენისასა“.

ეს პირველი წერილი ქართულ ლიტერატურაზე და რუსთაველზე საინტერესო ნაბიჯია საზოგადოებრივ აზროვნებასა და ლიტერატურულ კრიტიკაში. იგი მოუწოდებს ქართველებს შეიგნონ თავისი ადგილი. „რაჲსათჳს არ მივსცემთ აღფრენასა სულიერთა ძალთა ჩვენთა; რაჲსათჳს გონებასა, სიყვარულსა პოეზიისადმი და გემოსა აღმატებულისასა არა აქჳსთ ჩვენ შორის თჳსნი საკურთხეველნი, თჳსნი სამსხვერპლონი და თჳსი მამული“. ეს წერილი შეფასებაა რუსთველის დიდი ადგილისა ქართულ კულტურაში.[1]

აღნიშნული წერილი დაწერილია ს. დოდაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და, ცხადია, მასში განვითარებული აზრებიც მას ეკუთვნის.

1832 წლიდან სოლომონ დოდაშვილი შეუდგა პირველი ქართული ჟურნალის რედაქტორობას. ჟურნალის მიზანი იყო მოღვაწეობა „მამულისა დიდებისათვის და გონების განათლებისათვის“. რედაქტორის მოსაზრებით ერის განვითარება ერთადერთი საშუალებაა ერის კულტურის წინსვლისათვის. მტრულად განწყობილ ხალხთა მუდმივი თავდასხმები საქართველოზე, მისი აზრით, იყო ერთ-ერთი მიზეზი „წყდიადად განათლებისა“. არაერთი დოკუმენტი დარჩენილა, რომელიც აჩვენებს ს. დოდაშვილის მისწრაფებას ხალხის განათლებისაკენ. 1832 წელს, დაპატიმრებისთანავე კომისიას წერდა: «Я предложил, чтобы собрать пожертвование и из собранных денег купить библиотеку, типографию и сделать вспомоществование бедным

---

[1] ამის შესახებ იხ. ჯ. ჭუმბურიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის კრიტიკის ისტორიიდან. გვ. 244—246.

ученикам гимназии...»[1] სამშობლოს აღორძინების საშუალებად იგი განათლებას თვლიდა. «Главное мое намерение и единственная цель состояла в том, чтобы собрать князей и попросить пожертвование для умножения разных учебных пособий»[2].

დაკითხვებსა და ჩვენებებში ს. დოდაშვილი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ამ თავის მოსაზრებას. სწავლა-განათლების გავრცელებასთან ერთად მას გარკვეული შეხედულება ჰქონია გამომუშავებული მაშინდელ მმართველობაზე. გულახდილად წერდა იგი ერთ ჩვენებაში იმ მიზეზების შესახებ, რამაც იგი შეთქმულების ორგანიზაციამდე მიიყვანა თუ ერთი მხრით მას დიდი სურვილი ჰქონდა განათლების სხივი შეეტანა მშობლიურ ხალხში[3], მეორე მხრით იგი, საბრალმდებლო სკამზე მჯდომი, მთავრობასა და მმართველობას ბრალს სდებდა: «В присутственных местах дела производятся весьма медленно, не соображаясь ни с характером народа, ни нравами и обычаями, законы в привратном смысле объясняются и весьма неправильно оканчиваются дела. Дела в тех местах оканчиваются на бумагах и называют их решенными, но редко кто получает удовлетворение... Из жалобщиков, как правая, так и неправая сторона изденживают более, нежели стоит самое дело, иначе не будут слушать и ни когда не кончут. Самый честнейший и уважаемый человек всеми, бывает наказан, естьли он один раз учинил какое нибудь преступление, что весьма часто случается по простоте души, по не знанию законов и по веселости характера грузин, говорить свободно, может-быть не причиняя никому вреда... Иногда и без преступления бывает наказан... Исполнительная экспедиция, как высшее присутственное место, может и должна предписать почему по сие время не кончено сие дело, они, кажется, предписали, но бог знает когда кончится.

---

[1] შეთქმულების საქმეები, ტ. I. გვ. 18.

[2] იქვე, გვ. 22.

[3] ს. დოდაშვილის განმანათლებლობაზე და პედაგოგიურ მოსაზრებაზე იხ. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, V, 1948, გ. თავზიშვილის „სოლომონ დოდაშვილი—მოღვაწეობა და პედაგოგიური იდეები".

(ლაპარაკია 1818 წელს აღძრულ საქმეზე--ს. ხ.) .Подобных дел множество, это весьма отягощает жителей и они часто жалуются, другие по бедности или по не знанию языка или закона вовсе отказываются от своих прав.»[1]

თავისი მწერლობით, ჟურნალისტობითა და პედაგოგობით ს. დოდაშვილი იღვწოდა აღნიშნულ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად. იგი განმანათლებელი და მშობლიური ხალხის გულშემატკივარი იყო და მთელ თავის შემოქმედებას საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისაკენ მიმართავდა.

სოლომონ დოდაშვილის წერილი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)", რომელიც მან თავის ჟურნალში გამოაქვეყნა 1832 წელს[2], მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ეს იყო სრულიად პირველი ბეჭდური გამოსვლა ქართველი მოღვაწისა ქართული ლიტერატურის ისტორიის კონსპექტურად მიმოხილვასთან დაკავშირებით. ეს პირველი წერილია, რომელშიც განხილულია ქართული ლიტერატურის ისტორიის გზა და მოცემულია მისი სისტემატური მიმოხილვა. პირველად ამ ნაწარმოებში გამოჩნდა ქართული ლიტერატურის განვითარებისადმი მეცნიერული დამოკიდებულების მეთოდი, ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაცია, მსჯელობა ქართული ლიტერატურის საწყის ეტაპზე, შეფასება მწერალთა და მეცნიერთა ღვაწლის განვითარების გზისა. ს. დოდაშვილმა დაწერა პირველი მიმოხილვა ქართული ლიტერატურის განვითარების გზისა. პირველი პუბლიკაციის შემდეგ ეს წერილი რამდენიმე ცენტრალურმა (პეტერბურგისა და მოსკოვის) ორგანომ გადაბეჭდა რუსეთის დედაქალაქებში და ამით ქართული ლიტერატურის ნაცნობების ფარგლები მეტად გაფართოვდა. რუსულად დაბეჭდა ეს წერილი «Тифлисские ведомости»-მ, აგრეთვე გამოაქვეყნეს «Московские ведомости»-ს და „С-Петербургские ведомости"-ს რედაქციებმა, ხოლო ს. დოდაშვილის მოსწავლეებმა მასწავლებლის დაპატიმრების შემდეგ ეს წერილი თავის საგიმნაზიო ხელნაწერ ჟურნალში («Цветок тифлисской гимназии») მოათავსეს ერთერთ ნომერში რუსულ ენაზე.

ს. დოდაშვილის წერილს პოლემიკური ტონი გასდევს. ეს გამომ-

---

[1] შეთქმულების საქმეები, ტ. V, გვ. 809—810.

[2] „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", № 1 და 2.

დინარეობს იმ საერთო მდგომარეობიდან, რომელშიც ჩაყენებული იყო მაშინ ბევრისთვის უცნობი ქართული კულტურა. ს. დოდაშვილი ამ კულტურას იცავდა, იცავდა ქართულ ენას. მის მრავალმხრივ შესაძლებლობას. „ჩვენ შეგვემთხუა სმენა დამტკიცებითთა სჯათა მრავალთა კეთილმზრახველთა კაცთაგან ქართულისა ენისათჳს, რომელი იგი გლახაკ არს თხზულებათა მიერ სალიტერატუროთა, არა განვითარებულ არს და შესახებელადაცა გარმონიისადმი არა ვითარისამე მექონ არს სიამოვნისა.“

წერილის მიზანი იყო მტკიცება იმისა, რომ: ქართულ ენას ყოველთვის ჰქონდა შესაძლებლობა საკვირველი ელასტურობით გამოეხატა ადამიანის გრძნობათა და განცდათა ხვეულები და ბუნების ყოველი მოვლენის სურათი; ქართულ ენაზე შექმნილია ლიტერატურისა და ფილოსოფიური აზროვნების შედევრები, რომელთაც გაუოცებიათ კულტურული მსოფლიო იდეათა სიდიადითა და მრავალფეროვანებით.

კრიტიკული აზროვნების საფუძვლად ს. დოდაშვილს აღებული აქვს ობიექტური, პირუთვნელი მსჯელობა. „თვინიერ პირ მოთნეობისა ფასდებულ-ვჰყოთ ქმნილებითურთ თვითეულნი ავქსონნი ღირსებისამებრ მათისა, რომელთაგანაც მოყუარენი საზოგადოობის განვითარებისანი იხილავენ ძუძჳლსა ადგილსა შინა კავკასიის ამიერ მცხოვრებთასა მდიდარსა ნივთიერებისა სალიტერატუროსასა, რომელიცა აქამომდე წყვდიადსა შინა სიბნელისასა დაფარულ იყო“...

ქართველი ხალხისა და მისი ენის სიძველის დასასაბუთებლად ს. დოდაშვილი მატიანეთა ცნობებს მიმართავს. ქართული ენის წარმოშობა და მისი ძირი დამოუკიდებელ კატეგორიად აქვს დასახული. ახალმა სიუკუნეებმა შებღალეს ქართული ენა და აგრეთვე უცოდინარმა მწერლებმა. რომელთა წყალობით ქართულ ენაში ბევრია სპარსული. სომხური და რუსული სიტყვები, რადგან მათ, უცოდინართ, არ იცოდნენ, რომ ქართულად არსებობდა „თანასწორ მნიშვნელოვანი ლექსნი“. ს. დოდაშვილი ენის განვითარების პროცესს იცნობდა და დასძენდა. რომ არ უნდა იხმარო ბარბაროსული ფორმა, როცა შენი გაგაჩნია, აუცილებელია იხმარო ისეთი სიტყვები, რომელნიც გავრცელებულნი არიან საერთოდ და მათ „მიუღიათ კანონი მოქალაქობისა და რომელნიც იხმარებიან ყოველსა ენასა ზედა, ესე იგი ტეხნიკებრთჳ“.

ს. დოდაშვილი ებრძოდა საქართველოში სამსახურში ჩამოსულ იმ მოხელეებს, რომლებიც არ იცნობდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა წარსულს, მათ სულს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ანგარიშს არ უწევდნენ ხალხის ფსიქიკას, ენას, კულტურას.

ძველ ქართველ მწერალთაგან დოდაშვილი ასახელებს ილარიონ ქართველს, რომელიც აკად. კ. კეკელიძის გამოკვლევით მეცხრე საუკუნის მოღვაწეა, რომლის სახელთანაც, აკადემიკოს კორნელი კეკელიძისაევე ცნობით, „დაკავშირებულია ორი ქართული მონასტრის შექმნა ბიზანტიაში. ერთია ოლიმპიის ან ულუმბოს მონასტერი მცირე აზიის ბითვინიაში, სადაც ილარიონი მოსულა 864 წელს. მეორე მონასტერი, რომელიც ილარიონის სახელთან არის დაკავშირებული, არის „ქართველთა მონასტერი ჰრომნას“, იმპერატორ ბასილის მიერ აშენებული 876 წელს ილარიონის ნაწილთა დასასვენებლად“.[1] ს. დოდაშვილი თავის ნაშრომში ასახელებს ისეთ მოღვაწეებს, რომლებსაც საქართველოს გარეთ გაუშლიათ მუშაობა, სხვაგან გაუტანიათ ცოდნა და მეცნიერება. ს. დოდაშვილი ჩამოთვლის ექვთიმე მთაწმინდელს, პეტრიწონელს, სტეფანე მტბევარს. ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელს, იოანე ტარიჭისძეს, რომელთაც „არაოდენ ჰსთარგმნეს ელლინურის ენიდგან ყოველნი საეკლესიონი წიგნნი, საღვთისმეტყველონი, საფილასოფოსონი და სხჳანი, არამედ აგრეთვე დასწერეს თჳსისა ენასა ზედა ყოველთა ნაწილთამებრ სიტყვიერებისათა თხზულებანი.“ ცხადია, მათ შესახებ ცნობები ს. დოდაშვილს აღებული ჰქონდა ხელნაწერებიდან, რომლებსაც იგი ეცნობოდა რუსეთში ყოფნისას — ბატონიშვილთა და იოანე ხელაშვილის წიგნსაცავებში და თბილისში, ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში, ძველ ქართულ ოჯახებში დაცული ფოლიანტებით. იოანე პეტრიწონელის დახასიათებისას ს. დოდაშვილი მიმართავს ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობას“ და თამარ მეფის ეპოქას ხაზგასმით „ოქროვანს საუკუნეს“ უწოდებს. ამ ეპოქის საუკეთესო მწერლები არიან მოსე ხონელი, სარგის თმოგველი. ჩახრუხაძე და შოთა რუსთაველი.

მონღოლთა ურდოებმა საქართველო დაარბიეს, დასწვეს და გააჩანაგეს. მიუხედავად იმისა, რომ „არავინ საქართველოს მცხოვრებთაგანი იყო დარწმუნებული თჳსსა უშიშროებასა ზედა“, რომ ძლიერ დიდხანს

[1] ძველი ქართული მწერლობის ისტორია, გვ. 78.

გაგრძელდა რბევა ქართველი ხალხისა, მას მაინც არ შეუწყვეტია დიდებულ თხზულებათა შექმნა, მაინც არ გამქრალა ქართველთა შორის სიყვარული სამშობლოსადმი და „დროსა სპარსთა თანა მშვიდობის დამტკიცებისას, კვალადცა განიცემოდენ“ ტკბილი ხმები ქართული პოეზიისა. მეფე თეიმურაზ პირველი, ვახტანგ მეექვსე და სხვანი აღწერდნენ ქართული კულტურის აღდგენა-გაძლიერებისათვის. განსაკუთრებული სიზუსტით ს. დოდაშვილი ჩერდება XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაზე და განსაკუთრებით კი ანტონ I კათალიკოსის მოღვაწეობაზე.

ს. დოდაშვილს ეს წერილი წმინდა კრიტიკული ხასიათისა არაა. იგი უფრო განხილვაა ქართული ლიტერატურის ისტორიისა. ამ წერილმა, როგორც პირველმა მიმოხილვამ, თავისებური გზები დასახა ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისათვის XIX საუკუნეში და მოახდინა ლიტერატურის ისტორიის პერიოდიზაცია. წერილის მიზანი კი იყო: ეჩვენებინა თანამედროვეთათვის ქართული ლიტერატურის არსებობის გზა და ამ ლიტერატურის შესანიშნავი წარმომადგენლები, ხოლო ზოგიერთი დაერწმუნებინა, რომ ქართულ კულტურას საკმაოდ ძველი და ღონიერი ფესვები გააჩნდა.

დიდი ბრძოლების კარიბჭესთან

„ცისკრის“ 1861 წლის აპრილის ნომერში პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა წერილი, რაც გასული საუკუნის სამოციანი წლების დიდი მოძრაობის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. ეს იყო მწერლის პირველი კრიტიკული თხზულება. „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზედა“.

ილია ჭავჭავაძის ამ კრიტიკული წერილის აზრის გასაგებად საჭირო იქნებოდა საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიისა, იმ მოღვაწეთა გახსენება, ვინც თავის მხატვრულ-პუბლიცისტურ-ჟურნალისტურ შემოქმედებასა და მოღვაწეობაში გამოხატა პროტესტით აღსავსე განწყობილება. ამ პერიოდის განხილვა იმითაც იქნებოდა საინტერესო, რომ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა წარმომდგარიყო როგორც ბრწყინვალე გამოვლინება ქართული აზროვნებისა, პრინციპული საფუძვლების დამდგენი იმ ტრადიციისა, რაც მან, პუბლიცისტმა და კრიტიკოსმა, ჯერ თუმცა მეტად ახალგაზრდამ გამოიყენა. ილ. ჭავჭავაძის ამ ცნობილ წერილს საფუძველი ჩაუყარეს ისეთმა მწერლებმა, პოეტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ სოლომონ დოდაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი, ნიკო ბერძნიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და სხვ. ილ. ჭავჭავაძის გამოსვლა მნიშვნელოვანი იყო იმით რომ მან შესძლო არა მხოლოდ შერყევა ფეოდალური თეორიების საფუძვლებისა, არამედ მათი დანგრევაც და ახალი დროის მოთხოვნილებებით გამტკიცებული დებულებების წამოყენება.

1857 წლის 15 აპრილს ილია ჭავჭავაძემ დაწერა ლექსი „ყვარლის მთებს“. ოცი წლის ჭაბუკმა ფიცი მისცა სამშობლოს, რომ მის

საზეს არაფერი დაავიწყებდა — „თქვენ, — მიმართავდა იგი ყვარლის მთებს — სამშობლოს, — ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული“-ო.

ილიას აღელვებდა ქართველი ხალხის ბედი, აფიქრებდა ის დიდი მომავალი რომელიც მან ქართლის დედისადმი მიძღვნილ ლექსში გამოხატა, აღელვებდა შორეულ ქვეყანათა ეროვნული გათავისუფლების ბრძოლის ხმა და, ამასთან ერთად, ის ცხოველი სიტყვა, რომელიც ბელინსკისა და ჩერნიშევსკის წიგნებიდან მოდიოდა. ოთხი წლის განმავლობაში პეტერბურგში დაწერილ ლექსებში საოცარი სიძლიერით გამოხატა ილია ჭავჭავაძემ საზოგადოებრივი და პირადი ტკივილები, ზრუნვა და ფიქრი სამშობლოზე და ხალხზე, რაც „მგზავრის წერილებში“, ახალი თაობის ამ საპროგრამო თხზულებაში, ესოდენ წრფელად და ზუსტად გადმოსცა.

რუსეთში ყოფნის პირველ წლებში ილ. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ვერ გრძნობდა იმ ღონეს, რომელიც საჭირო იქნებოდა სამშობლოსათვის მიცემული ფიცის აღსასრულებლად, მაგრამ სულ მალე იგი დავაჟკაცდა და მზად იყო ყოველგვარი წინააღმდეგობა გაეწია შემბორკავი ძალებისათვის, ოღონდ მიზნისათვის მიეღწია:

დაე თუნდ მოკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.

პეტერბურგში გატარებული ოთხი წლის მანძილზე ილია გამოიბრძმედა საზოგადოებრივი სამსახურისათვის და 1861 წელს სრულიად გაბედულად შემოვიდა თერგის ვიწროებში, რომ მყინვარისათვის თვალი გაესწორებინა და თერგის ღრიალში ხვალინდელი აბობოქრებული ცხოვრება გამოეცნო.

ილია ჭავჭავაძემ თითქმის მახარობლად გამოგზავნა პეტერბურგიდან თავისი „ორიოდე სიტყვა...“ და თვითაც მალე ჩამოჰყვა წერილს. „ერთად-ერთი ბოხჩის ოდენ ტყავის ხურჯინში“ ჰქონდა მას რუსეთში დაწერილი ლექსები, აგრეთვე „გლახის ნაამბობი“, „დედა და შვილი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „აჩრდილი“, გონებაში სრულიად გარკვეულად ჩამოყალიბებუ-

ლი შეხედულებანი ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობაზე, ქართული ლიტერატურის მოვალეობაზე და ლიტერატურული ნააზრევის ხალხის მასებამდე მიტანის გზებზე და საშუალებებზე.

ვიდრე ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდებოდა, მისი წერილი უკვე წაკითხული ჰქონდა ქართველ საზოგადოებრიობას, რომელიც აღელვებულ-ალაპარაკებული დახვდა წერილის ავტორს. ილიას შეგნებული ჰქონდა თავისი თხზულების მნიშვნელობა. მან იცოდა, რომ „ცისკრის“ საზოგადოება, საერთოდ, ბატონყმობისა და ძველის მომხრენი იოლად არ დაეთანხმებოდნენ მის შეხედულებებს. ამიტომ დასაწყისშივე მკვეთრი ტონი აიღო. მან განაცხადა, რომ არ დაემორჩილებოდა არსებული სალიტერატურო ენის ნორმებს, რომ „ეს ასოები (იგულისხმება ე. წ. ზედმეტი ნიშნები ძველი ქართული ანბანისა—ს. ხ.) არ გვიხმარია ჩვენ სტატიაშიო. საჭირო შემთხვევაში, თუ ვინმეს ეს ენის საწინააღმდეგო ფაქტად მოეჩვენებოდა, წერილის ავტორი მზად იყო ყველასათვის პასუხი გაეცა (რაც მან მართლაც შეასრულა მეორე წერილში — „პასუხი“).

ამ ე. წ. „ზედმეტი ასოების“ შესახებ სქოლიოში გაკვრით თქმა, ისინი არ გვიხმარიაო, იყო მტკიცე განცხადება, რომ ლიტერატურის ენა ხალხისათვის გასაგები, გამარტივებული უნდა ყოფილიყო. ძველი ქართული ანბანის ზოგიერთი ხელოვნური ასო-ნიშანი, ან XVIII საუკუნეში შემოტანილი, ილია ჭავჭავაძის დროს ქართულ სიტყვა-ხმარებაში საფუძველს იყო მოკლებული, ქართულ ენაში მათ ფონეტიკური გამართლება არ ჰქონდათ, ერთიანი სალიტერატურო ენის დადგენაში სიძნელეს ქმნიდნენ და ამიტომაც, ენის დემოკრატიზაციის სურვილით აღსავსე ილია ჭავჭავაძემ ამ „ზედმეტ ასოებს“ თავისი პუბლიცისტური მოღვაწეობის დასაწყისშივე ბრძოლა გამოუცხადა, რაც გამოხატავდა ზრუნვას ქართული სამწერლობო ენის გამარტივებისათვის. ეს იყო ილიასაგან წამოყენებული პირველი სერიოზული დებულება, რომელსაც საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა შემდეგ.

ილია ჭავჭავაძისაგან წამოყენებული დებულებები იმ ეპოქისათვის შესაფერისი ლიტერატურის სტილის გამომუშავების საქმეს ემსახურებოდა და გამომდინარეობდა ცხოვრების ცოდნიდან. იქიდან, რომ შინაარსის შეცვლა აუცილებლად მოითხოვს ფორმის შეცვლასაც. ის, რაც იყო ძველად და თავის დროზე შეეფერებოდა საზოგა-

დების, ლიტერატურის განწყობილებას, არ შეიძლებოდა მუდმივი, უცვლელი და ყოველთვის კანონიერი ყოფილიყო. იცვლება ადამიანთა ურთიერთობა და საზოგადოებრივი ცხოვრება, იცვლება მათი გამომხატველი საშუალებანიც.

ლიტერატურა ილ. ჭავჭავაძეს მიაჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემის გამომხატველ საშუალებად. თუ ლიტერატურა ჩამორჩენილია ცხოვრებას, იგი მკვდარია, უმოქმედო და უსარგებლო. ილ. ჭავჭავაძემ ამის დასადასტურებლად მოხდენილად ისარგებლა რევაზ ერისთავის მიერ სათარგმნელად შერჩეული რუსი პოეტის კოზლოვის შემოქმედებით. კოზლოვი სენტიმენტალური ლიტერატურული მიმართულების მწერალი იყო და წარმატებაც ჰქონდა XIX საუკუნის 20-იან წლებში, ხოლო სამოციანი წლებისათვის და ისიც ქართული ლიტერატურისათვის კოზლოვის „წირპლიანი" პოეზია, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, სრულიად უაზრო და უმიზნო იყო. ქართველი მკითხველისათვის რომ ეჩვენებინა, თუ რამდენად უდროო და დუნე იყო კოზლოვის პოეზია, ილიამ მისი თხზულებები და თარგმანები განიხილა. ილია ჭავჭავაძემ მიცკევიჩისა და ჯორჯ ბაირონის თხზულებების კოზლოვისეულ თარგმანებზე თქვა: კოზლოვმა „უკეთესნი ყვავილნი პოეზიისანი" თავისი თარგმანებით უსუნო ყვავილებად აქცია. ხოლო ბაირონის „მეხი სიტყვა", ის „საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა" გააუგემურა და მნიშვნელობა დაუკარგა.

ილია ჭავჭავაძე რუსი პოეტების გარკვეულ გრადაციას ახდენდა და „უპირველეს ადამიანებად" პუშკინი, ლერმონტოვი და გოგოლი მიაჩნდა. ილია ჭავჭავაძე ისეთ მწერალს ანიჭებდა უპირატესობას. „რომელსაცა ცრემლის მაგიერ მდუღარე ტყვია სცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ უპყრია მეხი". თუ ასეთი იყო ბაირონი, არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნდა მას დასახელებული რუსი მწერლები, რომელთა შემოქმედება ყოველთვის ილიას აღტაცებას იწვევდა.

ილ. ჭავჭავაძის შეხედულებით, ლიტერატურული ნაწარმოები აუცილებლად ეროვნულობით უნდა იყოს გამსჭვალული. მასში უნდა ჩანდეს ის დვრიტა, რომელიც თითოეული ხალხის ცხოვრების საფუძველშია დადებული. მხატვრული ნაწარმოები სწორედ ამ

ეროვნული ძირის გამომაჩინებელი უნდა იყოს, რადგან ეროვნულად უმისამართო ნაწარმოები მოკლებულია შემეცნებით და აღმზრდელობით ძალას. რევაზ ერისთავის მიერ თარგმნილი კოზლოვის „შეშლილი“, არ იყო რუსული ეროვნული სულის მატარებელი. „ბევრიც რომ წაიკითხოთ, მაინც ქართველი ვერ გაიცნობს ფრჩხილის ოდენასაც რუსის სოფლის გოგოსა, იმიტომ, რომ ეს შეშლილი გოგო, თუმცა კოზლოვი ამბობს რუსისააო, მაგრამ რუსის სარაფანიც არ აცვია ზედა. ეგ რაღაც ურუსო რუსია...“ ამიტომაც ეს ნაწარმოები ვერ შისცემდა ქართველს რაიმე ცნობას რუსი ადამიანის ეროვნულ რაობაზე. რადგანაც მას შემეცნებითი არსი არ ჰგააჩნდა.

ილ. ჭავჭავაძემ მოურიდებლად დაასაბუთა, რომ ერისთავისეული თარგმანის ენა დამახინჯებაა იმ მადლიანი და ძარღვიანი ქართულისა, რომელზედაც დაიღიღინა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც თავად ნ. ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“ და თავისი მართლა-და ზეგარდმო შთაგონებული წვრილი ლექსები!“ ი. ჭავჭავაძემ ეს ქართველი პოეტები გამოაცხადა სანიმუშოდ, ხოლო მათი ენა, ქართული პოეზიის უმაღლეს მწვერვალად.

საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის შეხედულებას ქართული ჟურნალისტიკის მდგომარეობაზე გასული საუკუნის სამოციან წლებში, როცა საქართველოში ერთადერთი ბეჭდვითი ორგანო „ცისკარი“ იყო. ილიას ძალზე აწუხებდა ამ ჟურნალის მდგომარეობა, როცა ხშირად დამფინანსებელთა თუ მათი იდეოლოგიის ბჭეთა საამებლად იბეჭდებოდა სრულიად უმიზნო, მხატვრულად მკრთალი მასალები. „ცისკარს“ არ ჰგააჩნდა ერთი გარკვეული მიმართულება, ერთი გარკვეული ინტერესი. თუმცა ზოგჯერ ჟურნალში იბეჭდებოდა ისეთი რამ, რაც ჟურნალის მესვეურთა შეგნების საწინააღმდეგო იყო (მაგ. „სურამის ციხე“).

„ცისკრის“ ერთ-ერთ დამსახურებად ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა ის, რომ ასეთ დამოკიდებულ მდგომარეობაში მან მაინც მოახერხა და დაბეჭდა თითო-ოროლა გონების გამოსაფხიზლებელი ნაწარმოები, როგორც, მაგალითად ალ. ჭავჭავაძისა, გრ. ორბელიანისა, ნ. ბარათაშვილის ლექსები.

ილია ჭავჭავაძის პირველი კრიტიკული წერილის უდიდესი ნაწილი რევაზ ერისთავის თარგმანის განქიქებას მიეძღვნა. წერილის ავტორმა ფაქტობრივად, ცხოველი ნიმუშებით დაამტკიცა თარგმანის უსუსურობა, დაასაბუთა, რომ ასე უდიერად მოქცევა მშობლიური ენის მიმართ არაა საპატიებელი. „სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას“ — დაასკვნა ილია ჭავჭავაძემ.

ილია ჭავჭავაძის წერილი ხომ მხოლოდ რევაზ ერისთავის თარგმანს არ ეხებოდა. მასში დაყენებული საკითხი საკმაოდ მომწიფებული იყო, ეს იმით დადასტურდა, რომ „ორიოდე სიტყვამ...“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა „ცისკრის“ მწერალ-პუბლიცისტების წრეში. რევაზ ერისთავისადმი მიმართულ კრიტიკულ წერილში ძლიერ ბევრმა დაინახა საკუთარი „მოღვაწეობის“ შეფასება და სწორედ ეს იყო საბაბი, რომ ილიას საპასუხოდ აღსდგა მთელი წყება მწერლებისა. 1861 წელს მაისის „ცისკარში“ დაიბეჭდა ბარბარე ჯორჯაძის — „თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ“, გიორგი ბარათაშვილის — „წერილი რედაქტორთან“ და რევაზ ერისთავის — „პასუხი თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“. მათ დაემატა „ცისკრის“ მეექვსე ნომერში სარდიონ ალექსი-მესხიშვილის — „უსტარი ანტიკრიტიკული“. მეცხრე ნომერში ბარბარე ჯორჯაძის „პასუხის პასუხი“ და 1862 წლის თებერვლის ნომერში ექვთიმე წერეთლის („ზემოური იმერელი გორისელი წერეთელი ექვთიმე“ — ასე აწერდა ხელს იგი წერილს — „წერილი რედაქტორთან“). ყველა ამათ საპასუხოდ ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა წერილი „პასუხი“ (ჟურ. „ცისკარი“, 1861 წ. ივნისი, № 6). შემდეგ კი ილია ჭავჭავაძის პოზიცია განამტკიცეს ჯერ კიდევ პეტერბურგში მყოფმა ახალგაზრდებმა—„თერგდალეულებმა“, რომელთაც მტკიცედ დაუჭირეს მხარი ქართულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში ნათქვამ ახალ სიტყვას და პრესაში განაცხადეს, „ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი, სამნივ თერგდალეულთაგანი“, რომლებიც მხარში ამოვუდგებით ილია ჭავჭავაძესო. ესენი იყვნენ: კირილე ლორთქიფანიძე, აკაკი წერეთელი და სამსონ აბაშიძე. მათ სულ მალე შეემატნენ გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები.

ამრიგად, ქართველ საზოგადოებაში მოხდა დაჯგუფება, განხეთქილება ორ თაობას, ძველებსა და ახლებს შორის, მამებსა და შვი-

ლებს შორის, რომელთაც ერთმანეთისაგან განსხვავებული იდეოლოგია ჰქონდათ. ხელოვნების გაგების სხვადასხვაგვარი პრინციპები. ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის საკითხის სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა.

ილია ჭავჭავაძის აპრილის სტატიის შემდეგ სამოციანი წლების ახალი თაობა გამოვიდა რევოლუციურ-დემოკრატიული მოთხოვნილებით.

სამოციანი წლების დიდი მოძრაობა, რამაც აღმოაცენა ბრწყინვალე შემოქმედება „თერგდალეულებისა“, ახალი ახალგაზრდობისა და მოწინავე დემოკრატიული თაობისა, ილია ჭავჭავაძის წერილით დაიწყო.

ილია ჭავჭავაძის პირველი კრიტიკოსები

ილია ჭავჭავაძემ მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია 1861 წლის „ცისკრის“ აპრილის ნომერში დაბეჭდილი კრიტიკულ-პოლემიკური წერილით. ამ დროიდან ილია ჭავჭავაძის სახელი ქართული ლიტერატურული კრიტიკის ყურადღების ცენტრში იყო. თუმცა ქართველი მკითხველი მას მანამდეც იცნობდა. ილია ჭავჭავაძის სახელი პირველად გამოჩნდა „ცისკარში“, როცა ეს ჟურნალი 1857 წელს ხელახლა მოევლინა საზოგადოებას. ილია ჭავჭავაძემ მასში დაბეჭდა ლექსი — „ჩიტი“, რომელიც შეუმჩნეველი არ დარჩა „ცისკრის“ პირველი ნომრის შემფასებელს ნიკო ბერძნიშვილს. „უკანასკნელი ლექსი — წერდა იგი „ჩიტის“ გამო,—მოგვეწონა, განსაკუთრებით, ბუნების უმწიკვლო სიწმინდის აღწერით, სისუბუქისა და გამოთქმის ხმოვანების გამო“[1].

ამჯერად არაფერს ვამბობ ილია ჭავჭავაძის წერილების—„ორიოდე სიტყვა“... და „პასუხის“ საპასუხოდ დაწერილ კრიტიკულ თხზულებებზე. ამ კამათის დროს ბევრი მოკამათეთათვის შეუფერებელი სიტყვა ითქვა, თუმცა ცხოვრების განვითარებამ დაადასტურა, ვინ იყო მართალი და ვინ გამოვიდა გამარჯვებული დიდი ბრძოლიდან. აღსანიშნავია ამ კამათის ზოგიერთი შედეგი, კერძოდ: ილია ჭავჭავაძე მოწინააღმდეგეთა შეხედულებებს გულდასმით სწავლობდა, მათ ზოგ მოსაზრებას იზიარებდა და იყენებდა კიდეც. მაგალითად, მან ბარბარე ჯორჯაძის ზოგიერთი შესწორება მიიღო და ლექში „თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს“ რამდენიმე ადგილი გადააკეთა, ასევე შეასწორა შილერის ლექსის თარგმანი და „ელეგია“.

---

[1] ნ. ბერძნიშვილი, რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესახებ, „კავკაზ“, 1857, № 4 (რუსულ ენაზე.)

ცხარე კამათის დროს, 1861 — 1863 წლებში, ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შეფასება ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. შემდეგ, როცა უკვე შეიძლებოდა ნათელი გონებით მისი ნაწერების დაფასება, კიდეც გამოითქვა რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის მოსაზრება. აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: კამათის პირველი ტალღის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს უკვე იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ მწერლობაში, რომ რასაც არ უნდა შეეხებოდეს კამათი, მისი სახელის გარეშე იგი აღარ მიიმართება. ამ მხრივ აღსანიშნავია პაექრობა, გამართული დავით ჩუბინაშვილის მიერ 1863 წელს გამოცემულ „ქართულ ქრესტომათიასთან“ დაკავშირებით[1], დიმიტრი ჯანაშვილსა და ვინმე ღვიმელს[2] შორის.

1865 წელს „ცისკარში“ დაბეჭდილ წერილში — „ჩვენი დროების მწერლები“ ღვიმელი შეეხო რამდენიმე პრინციპულ საკითხს: როგორი ენით უნდა იწერებოდეს თხზულება, როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება ძველი მწერლობისადმი და რა მასალა უნდა შეეტანა დავით ჩუბინაშვილს ქრესტომათიაში. ღვიმელის მოსაზრებანი აქტუალური იყო. ავტორი იდგა ახალი დროის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე; მისთვის სრულიად ცხადია, რომ ლიტერატურა ცხოვრებას უნდა მისდევდეს, რომ მწერლობა ხალხის საარსებო მოთხოვნილებას უნდა ემსახურებოდეს. ღვიმელი მსჯელობს ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი მისი თანამედროვეობის დამოკიდებულების შესახებ და, ამასთან, თუ როგორი უნდა იყოს მხატვრული გამოსახვის საშუალებანი, რომ მკითხველმა ნაწარმოები გაიგოს და აითვისოს.

დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი ქრესტრომათიის განხილვისას ღვიმელი შეეხო მასში წარმოდგენილ მასალას და ერთ-ერთ მთავარ ნაკლად შემდგენელს ჩაუთვალა ძველი ლიტერატურით შემოფარგვლა. ავტორი შენიშნავდა, რომ ქრესტომათიაში უდიდესი ად-

---

[1] ქართული ქრესტომათია, ანუ გამოწერილნი სტატიები სხვათა და სხვათა ჩინებულთა მწერალთაგან, პეტერბურგი, 1863 წ., ორ ნაწილად—ქართული პროზა და ქართული ლექსები.

[2] შეიძლება ეჭვით ითქვას, რომ ღვიმელის ფსევდონიმს ამოფარებულია სამსონ აბაშიძე, ილიას თანამზრახველი და ტოლი. ღვიმელის ზოგიერთი ფრაზა ჰგავს სამსონ აბაშიძისას. ახალთაობის მხარეზე ზემო იმერეთიდან იგი გამოდიოდა და ღვიმეკი სოფელია იმ რაიონში, სადაც დაიბადა სამსონ აბაშიძე.

გილი თანამედროვე ლიტერატურას უნდა ეჭიროს, რადგან იგი არის გამომხატველი ჩვენი ცხოვრების მრავალფეროვნებისა და სირთულისაო. თანამედროვე მწერალთაგან ღვიმელი ასახელებდა აკაკი წერეთელსა და ილია ჭავჭავაძეს, როგორც ისეთ მწერლებს, რომელთა შემოქმედებაც გამოძახილია ახალი ცხოვრების მოთხოვნილებებისა. ღვიმელის სიტყვით, დ. ჩუბინაშვილს ყურად არ უღია არც თხზულებათა ღირსება, არც დამწერთა ცხოვრების დრო და, სიძველით გატაცებულს, მხოლოდ ადრინდელი მწერლების თხზულებები შეუტანია წიგნებშიო. „ვინც ძველი გვარის ანდა ადგილით შესანიშნავი იყო, ეგონა თუ იმის ლექსებიც ღირსშესანიშნავი იქნებაო, ანდა პოეზიაშიდაც ისე გვირგვინოსანი და მირონ ცხებული იქნებაო, როგორაც ის პირები ამ ქუყნის მოკუდავთა შორის განირჩევიან". „გვირგვინოსან" მწერალთა შორის ღვიმელი ასახელებდა თეიმურაზ პირველს, მდივანბეგ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილს, ნამოძღვრალ ზაქარია გაბაშვილს და სხვათ. იგი გულისტკივილით აცხადებს, რომ ქრესტომათიაში 60-იანი წლების მწერლებს ადგილი არ ეთმობათ — „ამ ჩუწნი დროს მწერლების ერთი ლექსიც არა აქუს დაბეჭდილი". ამიტომ გაცხარებული შიმართავს შემდგენელს: „მიჩუწნოს უფ. ჩუბინაშვილმა... რომელიც შეედრებოდეს უუ. წერეთელსა და ი. ჭავჭავაძეს? ეჭვი არ არის, რომ ვერც ერთი იმისაგან დაბეჭდილი ლექსი ვერ შეედრება წერეთელის და ჭავჭავაძის ლექსებს. იმაშიდაც ეჭვი არ არის, რომ ეს ორი ჩუწნი მწერლები ისე ამაღლებულნი არიან წარსული საუკუნის მწერლებზედ ნიჭით და ტალანტით, როგორც მზე მიწიდგან".

თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრებით დაინტერესებული ღვიმელი მწერლებს აფასებს მათი შემოქმედების აქტუალობის მიხედვით, საზოგადოებრივი ღირებულებით და მოქალაქეობრივი მოტივების წინწამოწევის თვალსაზრისით. ძველი მწერლობის ზოგიერთი წარმომადგენლის უიდეობისა და საზოგადოებრივი ინტერესის უქონლობის ნიმუშად მას თეიმურაზ პირველის თხზულება გამოუყენებია, საიდანაც ამოუწერია კიდეც ადგილი, რომელშიც მეფე-პოეტი რაჭაში უნებურად ცხოვრების შესახებ მოსთქვამს:

გაჰაედა ესე ამბავი, იგ კითხვა-არაკობანი
სიტყვისა შესხმა რიტორად, ენის სამკაულ-მკობანი,
არც სიხარული სულისა, არც არა ზატიკობანი,
უსაქმოს მოწყენილისა ცუდი რამ ტიკტიკობანი.
ცუდად წოლით და გდებითა ეს მომაგონა რაჭამა,
ორმოს ჩამაგდო სოფელმან, ძირს ჩამიტანა რა ჭამა...
ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყაბსა, მიდმოდებასა...[1]

პოეტის ამ აღიარებაში ღვიმელი ხედავს არა პოეტურ მოწოდებასა და მოქალაქეობრივ ზრუნვას. არა პოეტური განცდის შედეგს, არამედ სიზარმაცისა და მოწყენილობისაგან თავის დაღწევის საშუალებას. „შამიფარვანიანი“, ღვიმელის აზრით, უსარგებლო თხზულებაა, „მიდმოდების“ შედეგი, „ცუდი რამ ტიკტიკობა“. თეიმურაზ პირველისა და სხვა მოლექსეების საპირისპიროდ ღვიმელს ახალი ქართული ლიტერატურის სამი წარმომადგენელი ჰყავს დასახელებული, რითაც იგი ერთმანეთს უპირისპირებს ქართული ლიტერატურის ორ ეტაპს. ამ დაპირისპირებაში ღვიმელი წინ წამოსწევს საზოგადოებრივ მოტივს, მოყვასთათვის ზრუნვის გამოხატულებას, როგორც ახალი ქართული ლიტერატურის შენაძენს. ღვიმელს სანიმუშოდ მოაქვს ნ. ბარათაშვილის „მერანი“, მაგრამ კრიტიკოსი ამით არ კმაყოფილდება. მართებული შემფასებელი ბარათაშვილისა, იგი მიმართავს ილიას და აკაკის შემოქმედებას, და მათ ნ. ბარათაშვილის სიმაღლეზე აყენებს, რადგან ნ. ბარათაშვილის მსგავსად, მათ საკუთარ თავზე და უბედურობაზე კი არ იტირეს, როგორც თეიმურაზმა, არამედ გამოხატეს საზოგადოებისათვის ზრუნვა. ღვიმელი იმოწმებს ილიას სიტყვებს — „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“ და აკაკის ლექსს — „საბრალო გული“. ღვიმელს ხელსაყრელი ნიმუშები აქვს მოტანილი იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად მძლავრი იყო ახალი დროის სამ პოეტში ხალხის სამსახურის გრძნობა, მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება და სურვილი მოძმეთა ბედისათვის ზრუნვისა. ძველი ლიტერატურის ერთი დიდი წარმომადგენელი კი თავის ერთ-ერთ საუკეთესო თხზულებაში აღიარებს საკუთარი შე-

---

[1] „შამიფარვანიანის“ ბოლოსიტყვაობა, იხ. თეიმურაზ პირველი, გვ. 23.

მოქმედების არაკობას, ლაპარაკობს უსაქმოდ წოლაზე და ხელმოდუნებული ღმერთს შესთხოვს ხსნასა და იმედს.

ამრიგად. ორი ეპოქის პოეტების შემოქმედების ხასიათის დაპირისპირების შედეგად ღვიმელი ასკვნის, რომ ჩუბინაშვილის ქრესტომათია არ უპასუხებს დროის მოთხოვნილებას და ხელოვნურად ანელებს თავის მიერ შედგენილი წიგნის აქტუალობას, რადგან თანამედროვეთა პოეტური შემოქმედება არ გაუთვალისწინებია ჯეროვნად. ილია ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილისა და აკაკი წერეთელთან ერთად, ღვიმელის მიერ მართებულად არის შეფასებული, მის მიერ სწორადაა დანახული და გაგებული მისი შემოქმედების მნიშვნელობა.

ღვიმელის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი უპასუხოდ არ დარჩენილა. იმავე წელს მას გამოეხმაურა დიმიტრი ჯანაშვილი. ღვიმელისა და დიმიტრი ჯანაშვილის გაკამათება ერთი მომენტია ორი მსოფლმხედველობის დაპირისპირებისა, ამდენად ორი აზრის ურთიერთობის ისტორიაში 60-იან წლებში მათი სახელების მოხსენიება ამ ბრძოლის მონაწილეთა რიცხვს ადიდებს. დიმიტრი ჯანაშვილმა დაიცვა დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიის შედგენილობა და ამრიგად მაშინდელი ახალი თაობის მხატვრული შემოქმედების წინააღმდეგაც გაილაშქრა.

დ. ჯანაშვილის გამოსვლა იყო გამტკიცება ბ. ჯორჯაძის, გ. ბარათაშვილისა და სხვათა რაზმისა. მიუხედავად იმისა, რომ 1865 წელს უკვე გარკვეული იყო ძალთა სხვადასხვაობა და განსაზღვრული მხატვრული სიტყვის როლი საზოგადოების სამსახურის საქმეში. დიმიტრი ჯანაშვილი მაინც თავს ესხმის ღვიმელს და ირონიით შენიშნავს, იმეორებს რა მის სიტყვებს: „ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ასეთი დიდი გენიოსები არიანო, რომ რუსთაველს არ დაუვარდებიანო და დ. ჩუბინოვს ამათი ლექსები რატომ არ დაუბეჭდიაო თავის ქრესტომათიაშიო“. მაშინ უკვე სახელმოხვეჭილი ახალგაზრდა მწერლების — ილიასა და აკაკის შემოქმედება ჯანაშვილს არად ჩაუგდია, უსარგებლოდ და უოეზოხანსოდ მიუჩნევია. დ. ჯანაშვილი მათ ზარმაცებს უწოდებს, ისინი ღირსნი არ არიან ქებისა და დაფასებისაო. „რომ განთიადის ცისკარივით თავი ამოაყოფინა თავის ჟურნალს და შერე ისე საჩქაროდ გააქრო, რომ ვერც კი დავინახავთ კარ-

გათა. აი ეს არის შენი „გენიოსი“ ილია ჭავჭავაძე თავის საქმითა! იმას თურმე მარტო ეფექტისათვის სურვებია თავის ჩუცნება ხალხისათვის და არა იმისათვის გამოეცა თავის ჟურნალი, რომ სარგებლობა პოუტანოს ქართველობას“[1].

ჯანაშვილის სიტყვები იმას მოწმობენ. რომ მათ ავტორს ვერ გაუგია „საქართველოს მოამბეში“ წამოყენებული მოსაზრებანი, ვერ გარკვეულა პოლიტიკურ ვითარებაში, ვერ გაუგია ის სხვაობა, რაც არსებობდა რევოლუციურ-დემოკრატიულ ინტელიგენციასა და გაბატონებულ სისტემას შორის, ვერც იმ სიტყვებში, რომლითაც ილ. ჭავჭავაძე მიმართავდა მკითხველს თავისი ჟურნალის მეშვეობით. „საქართველოს მოამბის“ დახურვა მას მიუჩნევია ილია ჭავჭავაძის შეჩვედულებათა განელებად, კაპრიზად და უპრინციპობად. „საზოგადოების და მამულის მოყვარე, ერთგული შვილი მამულისა, მისთვის სიკეთის და ბედნიერების მსურველი, — ამბობს ის, — მარტო ლაპარაკით არ გაატარებს დროს, საქმესაც გააკეთებს, ისე მოკვდება, რომ რამე სახსოვარი თავის ამ საწუთროში ყოფნისა კეთილად მოსაგონებელი რამე დატოვოს“. ილია ჭავჭავაძეს რომ მხოლოდ ლაპარაკი ჰყვარებია და არა საქმე, იქიდან ჩანსო, — წერდა დ. ჯანაშვილი, — რომ მან თავისი „გლახის ნაამბობი“ და „კაცია-ადამიანი“ წიგნებად არ დაბეჭდა და ხალხში არ გაავრცელაო. „თვითონ ამბობდა, რომ ცამ ტკბილი ხვებისთვის არ გამოგზავნა, არამედ იმისთვის, რომ ხალხის მოძმედ იყოს ჭმუნვასა და სიხარულში და წარუძღვეს წინა ერსა“, მაგრამ ეს ლიტონი სიტყვებია და არა საქმეო. რადგან ილიას და მის ამხანაგებს არა გაუკეთებიათ რა, თავისი სიტყვები არ გაუმართლებიათ, მაშ არც მნიშვნელოვანნი ყოფილან და რაღა გასაკვირველია ასეთი უმნიშვნელო პოეტების თხზულებები დავით ჩუბინაშვილმა ქრესტომათიაში რომ არ შეიტანაო.

ვრცელი და მნიშვნელოვანი კრიტიკული წერილი ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ შესახებ გამოაქვეყნა ანტონ ფურცელაძემ 1864 წ. გაზეთ „კავკაზის“ ლიტერატურულ დამატებაში — „Литературный листок“ (№№ 3—9). კრიტიკოსის მიზანი ყოფილა ილ. ჭავჭავაძის აღნიშნული თხზულებისათვის ადგილის მიკუთვნება ქარ-

---

[1] „მახე“,—წერილი დ. ჯანაშვილისა, „ცისკარი“, 1865 წ., № 11.

თულ მწერლობაში, რადგან ილიას ამ და სხვა თხზულებებთან დაკავშირებით მრავალი მითქმა-მოთქმა ყოფილა და ზოგიერთს ისიც კი უთქვამს — „გლახის ნაამბობის“ ავტორთან შედარებით რუსთაველი არაფერიაო.

ანტონ ფურცელაძის განმარტებით, მოთხრობა მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი ცხოვრებასთან შეუდარებლად ახლოს დგას, იგი არის აღწერა „თათქარიძევშჩინასიო“. კრიტიკოსი თხზულების განხილვას იყენებს თათქარიძეების დასაგმობად, გამოთქვამს პროტესტს უსაქმურობა-უმოქმედობის წინააღმდეგ. შეფასებას აძლევს იმ პირობებს, რამაც წარმოშვა თათქარიძეობა. წერილს ეტყობა ცენზურის გავლენა, ამიტომ კრიტიკოსი მეტწილად თხზულების ნაწილების ციტირებას მიმართავს, საკუთარი მსჯელობა-დასკვნებისაგან თავს იკავებს. შინაარსისა და პერსონაჟთა ხასიათების გადმოცემით ანტ. ფურცელაძე ოსტატურად აკრიტიკებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას, რამაც წარმოშვა ლუარსაბი, დარეჯანი, დავითი, ელისაბედი, სუტკნენია... კრიტიკოსი ნაწარმოების ავტორთან ერთად ზიზღით უცქერის თათქარიძეობას. თხზულებაში აღწერილი მრავალი პასაჟი შეფასებულია როგორც სინამდვილის ტიპიური სურათი. ლუარსაბის სახლ-კარის აღწერაში დანახულია ჩვეულებრივი სურათი ქართველი მემამულის ყოფისა. თათქარიძეობა ნიშნავს მაღალი სოციალური ფენის ცხოვრებას მილიონების ხარჯზე, ამ მილიონების წამებას, განადგურება-გაპარტახებას. ლუარსაბის სახეს კრიტიკოსი ზოგადად წარმოადგენს. ეს სახე, როგორც ზოგადის კონკრეტული მაჩვენებელი, ტიპიურია, ბასშია განსახიერებული თათქარიძეობა, რომლის ფიზიკური და ზნეობრივი ლპობის მიზეზი არის ექსპლოატაციის ველური წესი. „კაცია-ადამიანი“ არის შეუბრალებელი და მოურიდებელი მხილება იმ საზოგადოებისა, რომელიც აცილებულია აღზრდა-განვითარების ნორმალურ წესებს. ჩამორჩენილი და ყრუ საზოგადოებრივი აზრი, შეუგნებელი წრე მოზარდში ყველაფერს ადამიანურს ახშობს. დარეჯანი, მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მიერ ლუარსაბთან შედარებით მკრთალად არის დახატული, კრიტიკოსის მიერ შეფასებულია, როგორც ნიმუში ენერგიისა და მოთხოვნილების მქონე ადამიანისა, რომელსაც ბუნებით აქვს საქმის კეთების, მოძრაობის სურვილი, მაგ-

რამ უწესო აღზრდის გამო წართმეული აქვს საშუალება თავისი ფუსფუსით შექმნას რამე სასარგებლო. ანტ. ფურცელაძის აზრით ლუარსაბი მეტად ზოგადი სახეა, მასში ძლიერ მცირეა ქართულ-ნაციონალური. ხასიათით, ქცევით, გონებით და მსოფლმხედველობით კრიტიკოსი ლუარსაბს ობლომოვსა და ივან ნიკიფოროვიჩს შუა აყენებს. ლუარსაბის მსგავსთა მონახვა, კრიტიკოსის აზრით, საქართველოს გარეთაც შეიძლება.

სამაგიეროდ დავითი — ლუარსაბის ძმა, წმინდა ქართულ მოვლენად არის მიჩნეული ანტ. ფურცელაძის მიერ. დავითის მსგავსები ყოველ ნაბიჯზე გვხვდებიან ჩვენშიო — წერს იგი. ანტ. ფურცელაძის აზრით, მოთხრობაში დავითს ნაკლები ყურადღება ექცევა, მაგრამ მასში უფრო მეტია ქართული, ვიდრე ლუარსაბშიო. მასში ნაკლებადაა ისეთი ელემენტი, რაც შეიძლება სხვა ხალხის შვილის თვისება იყოს. დავითი შვილია თავისი ხალხისა, საქმიანი და თავაზიანი, აკეთებს ყველაფერს, რის გაკეთებაც კი შეიძლება. იგი ისე არაა მოქცეული ცრუ აზრების გავლენის ქვეშ, როგორც ლუარსაბი. მას შეუძლია მარხვაში სამხსნილო ფიირთვას. კასტური აზრები, მართალია შეუგნებლად, მაგრამ მოცილებული აქვს: იგი მინდორშიც დადის და არავისი არ ერიდება. ამასთან მას არაფრად უღირს სინდისს უღალატოს. იგი სხვას დახმარების ხელს გაუწვდის, თუ ამაში არაფერს თავისთვის საზიანოს არ დაინახავს, მაგრამ მიეცემა თუ არა შემთხვევა სარფის მიღებისა, ჭუჭყიანი საქმისაგან უკან არ დაიხევს. ამის დასადასტურებლად ანტ. ფურცელაძე იხსენებს ეპიზოდს, როცა მოსე გძელაძემ დავითი ათი თუმნით გააჩუმა და ლუარსაბს მზეთუნახავის მაგიერ კოთხონჯი დარეჯანი ამოუყენეს ეკლესიაში გვირგვინის ქვეშ.

ანტ. ფურცელაძეს დავითი ქართველი ხალხის სინონიმურ სახედ ჰყავს წარმოდგენილი.

კრიტიკოსს საამაოდ მახვილგონიერად ჰყავს დახასიათებული ელისაბედი და სუტკნეინა. ელისაბედის მსგავსი ქალების აღწერა შეუძლია, მისი აზრით, ან გოგოლის მახვილ კალამს, ან ოსტროვსკის მოხდენილ ენას, თუმცა ამით ანტ. ფურცელაძე არ ფიქრობს რაიმე ჩრდილი მიაყენოს მწერალს. „ელისაბედები“,—წერს იგი,—განსაკუთრებულ სიამოვნებას პოულობენ ადამიანთა გადაკეთებაში. მივლენ

ერთთან და მეორეზე ისეთ რამეს მოჩმახავენ, როგორსაც თვით დიდი იურკევიჩიც კი ვერ მოისაზრებდა თავის ლექციებში მატერიალისტების წინააღმდეგ". ასევე ახასიათებს სუტკნერინებასაც. მისი არსებობა ანტ. ფურცელაძეს მიჩნეული აქვს ქართველი საზოგადოების ნაკლოვანებად, რამდენადაც ეს ქალი შუამავალ-მაჭანკალია და ჯერ კიდევ მის საქმიანობას გასავალი აქვს საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ყველა ფენა უსიმპატიოთ უცქერის მაჭანკალს, მაინც იგი აუცილებელი ელემენტია ქართველი ქალების კარჩაკეტილობისა და ჩამორჩენილობის წყალობით. აქამდე ჯერ კიდევ ბევრია, — წერს ანტ. ფურცელაძე, — თვით მაღალ წრეებშიც კი იმისთანა, რომ უცხო კაცს ქალს არ აჩვენებსო. მაჭანკლის არსებობა ანტ. ფურცელაძეს შეფასებული აქვს, როგორც მაჩვენებელი ქართველი ქალების უმოქმედობისა, რომ ეს ქალები სულაც არ ცდილობენ მოიშორონ უღირსი, დამამცირებელი უღელი და საზოგადოების საბურველახდილ წევრებად იქცნენო.

როცა ანტ. ფურცელაძის ამ მნიშვნელოვან კრიტიკულ მიმოხილვას ვეცნობით, გვახსენდება ნ. დობროლიუბოვის წერილი — «Что такое обломовщина?». დობროლიუბოვმა ანტ. ფურცელაძის შეხედულებისაგან განსხვავებით, გონჩაროვის რომანის «Обломов»-ის მთავარი გმირი ნამდვილ რუსულ მოვლენად მიიჩნია. «В типе Обломова и во всей этой обломовщине мы видим нечто более, нежели просто удачное создание сильного таланта; мы находим в нем произведение русской жизни, знамение времени»[1].

ობლომოვი და მისი წინამორბედები რუსულ ლიტერატურაში, ონეგინიდან დაწყებული, დობროლიუბოვმა მონათლა „ძირეულ ჩვენ სახალხო ტიპებად". ობლომოვის უმოქმედობა, ნ. დობროლიუბოვის შეხედულებით, არის შედეგი მისი სოციალური წარმოშობისა, აღზრდის პრინციპებისა, რომელიც გამომუშავებული იყო ფეოდალურ-ექსპლოატატორული ფსიქოლოგიით. ობლომოვს ჰყავს ზახარკა და კიდევ სამასი ზახარკა, რომელნიც მას ტანსაცმელს ჩააცმევენ, ლუკმას პირში ჩაუდებენ, ყველაფერში მოემსახურებიან. ობლომოვ-

---

[1] «Что такое обломовщина?» Н. Добролюбова, Сборник сочинений в трех томах, т. II, 1951, стр. 113.

მა პატარაობიდანვე შეითვისა და შემდეგ ურყევ აზრად გადაექცა, რომ ყველაფერი უნდა აკეთოს მოსამსახურემ, ხოლო «Папенька и маменька только распоряжаются да бранятся за дурное исполнение»[1]. ილია ობლომოვმა ისიც შეითვისა ბავშვობიდანვე, რომ წოლა ბევრად ჯობია. მუშაობას და ფუსფუსს. მას გამოუმუშავდა ზიზღი და აპატია მოძრაობისადმი. დობროლიუბოვი მოხდენილად ახასიათებს ობლომოვის უქნარობას: «Гнусная привычка получать удовлетворение своих желаний не от собственных усилий, а от других,—развила в нем апатическую неподвижность и повергла его в жалкое состояние нравственного рабства[2]. ობლომოვმა არა იცოდა რა სოფლის საქმეებისა, მას არც კი შეეძლო ცხოვრება და ამ ცხოვრებაზე აზრის გარკვევა. ობლომოვის ბედნიერების იდეალია გაძღომა და, როგორც დობროლიუბოვი წერს: «в халате, крепком сне... и в созерцании того, как крестьяне работают»[3].

როგორც ჩანს ანტ. ფურცელაძე ისე აფასებდა ლუარსაბ თათქარიძეს, როგორც ნ. დობროლიუბოვი ილია ობლომოვს. თვით ტერმინი „თათქარიძეშჩინაც" თავისთავად საინტერესოა. როგორც რუსული „обломовщина"-ს მსგავსი. ამიტომაც ილია ჭავჭავაძემ შენიშნა, რომ ლუარსაბი არაა ქართული მოვლენა, მისი მსგავსი ტიპების მოძებნა სხვაგანაც შეიძლებაო და ძირითადში გონჩაროვისა და გოგოლის შემოქმედებას გულისხმობდა. ამდენად, ასკვნიდა ანტ. ფურცელაძე, ლუარსაბის სახე ნაკლებ ორიგინალურია, მისი სახის შექმნაში ავტორს ნაკლები შრომა დასჭირდაო.

დობროლიუბოვისაგან განსხვავებით ანტ. ფურცელაძე ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ლიტერატურაში არ ეძებს გმირის ისტორიულ ძირს. ქართველ კრიტიკოსს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურაც არ უქმნიდა ამის საფუძველს.

ნაწარმოების შინაარსის თხრობისა და პერსონაჟთა დახასიათების შემდეგ ანტ. ფურცელაძე არკვევს იმას, თუ როგორ გადაწყვიტა

---

[1] «Что такое обломовщина?» Н. Добролюбова, сборник сочинений в трех томах, т. II, 1951, стр. 113.

[2] იქვე, გვ. 113.

[3] იქვე, გვ. 118 და 119.

მწერალმა დასახული ამოცანა. ანტ. ფურცელაძის კრიტიკის ეს ნაწილიც საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში გამოჩნდა წინააღმდეგობა კრიტიკოსის დასკვნებსა, ერთის მხრით, და ნაწარმოების შინაარსსა და პერსონაჟთა ინტერპრეტაციას შორის, მეორეს მხრით.

გარდა ლუარსაბის ხასიათისა ანტ. ფურცელაძემ მოთხრობის ყველა ელემენტი ნაცნობად და ადგილობრივ, ქართულ მოვლენათა ანარეკლად აღიარა. მიუხედავად ამისა, გამოიტანა დასკვნა, რომ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოები დაუწერია სხვადასხვა ავტორებს გავლენით და ამდენად აღებული ვალდებულება კეთილსინდისიერად ვერ შეუსრულებიაო[1].

კრიტიკოსს შეიძლება დავეთანხმოთ იმაში, რომ ლუარსაბის ხასიათი არაა ზუსტად ქართული და, რომ ავტორი, კრიტიკოსის სიტყვით „ხშირად მიაწერს თავის გმირს ისეთ საგნებს, რომელნიც არ ეთანხმებიან ქართველის ირგვლივ არსებულ საარსებო პირობებს“, რომ „ზოგჯერ თათქარიძეში წმინდა რუს მემამულესა ხედავთ, ზოგჯერ კი არც ისაა, არამედ ხელში რჩება რაღაც ამოკითხული, უშუალოდ შეკოწიწებული“. მაგრამ გარდა ლუარსაბისა, მან ნაწარმოებში დაინახა ბევრი რამ ისეთი, რაც მწარე ფიქრების ამშლელი იყო, რაც ნაცნობ ადამიანებსა და მათ შორის ურთიერთობას გაახსენებდა. დასკვნაში კრიტიკოსი ამის შესახებ არას ამბობს.

ნაწარმოების ერთგვარ ნაკლად კრიტიკოსს ლუარსაბის სახის გადაჭარბებულად დახატვაც მიუჩნევია. კრიტიკოსი ილია ჭავჭავაძეს ბრალსა სდებს იმაში, რომ მან არ იცის ადამიანი, რომ შეუგნებლად თავისთავს დასცინის იმით, რომ ლუარსაბი ბუზების დამთვლელად, ამ დათვლასთან დაკავშირებით აგებული კამათის დამწყებად გამოიყვანა. ანტ. ფურცელაძის აზრით, ბუზების თვლა ბავშვების საქმეა. ლუარსაბს მანამდე ბევრჯერ ექნებოდა ბუზები დათვლილი, ამიტომ ნაწარმოებში ამის შესახებ არაფერი უნდა თქმულიყოო, ლუარსაბისათვის ავტორს მისი ასაკის შესაფერი რამ საქმე უნდა გამოეძებნაო. ლუარსაბის ხასიათის უტრირებად მიაჩნია კრიტიკოსს ისიც, რომ მან

---

[1] ილ. ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ ანტ. ფურცელაძემ ასეთი აზრი გამოაქვეყნა 1863 წელსაც, როცა „ცისკარში“ გაარჩია „საქართველოს მოამბის“ პირველი ორი ნომერი.

არ იცის ადამისა და ევას დროს იყვნენ თუ არა თავადები. ლუარსაბის ამ საკითხში რწმენა ანტ. ფურცელაძეს ჯიმშერიძის[1] ულოგიკობად მიაჩნია. კიდევ უფრო საოცარი ანტ. ფურცელაძის მსჯელობაში ის არის, რომ მას უცნაურად ეჩვენება ილია ჭავჭავაძის მიერ ლუარსაბის სახლ-კარის აღწერა. ილია ჭავჭავაძე ლუარსაბის ქონებითა და სიმდიდრით გაოცებულ მკითხველს ეუბნება — ასე უპატრონოდ იმიტომ გამოიყურება ლუარსაბის კარ-მიდამო, რომ მისი პატრონი ქართველიაო. ანტ. ფურცელაძე კითხულობს — ეს რა აქსიომააო. ამასთან მას ავიწყდება, რომ ცოტა ზემოთ თვით მსჯელობდა ქართველი თავადების მოდუნებული ცხოვრების შესახებ, თვით აკრავდა ჯვარზე ექსპლოატაციაზე დამყარებულ სისტემას, რომლის შედეგადაც მართებულად თათქარიძეობას თვლიდა და ამტკიცებდა — წმინდა ქართული მოვლენააო

ანტ. ფურცელაძე ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ნაკლად მიიჩნევს იმასაც, რომ მწერალს არ შეუძლია ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოხატვაო. როცა იგი სხვა ავტორთა გავლენიდან გამოდის, გარეგან ცხოვრებასა და მის მდგომარეობას კარგად აღწერს, ხოლო შინაგანი ვითარების გადმოცემა, ადამიანის გრძნობათა სულის სიღრმიდან ამოკრეფა არ შეუძლიაო[2], ამასთან ერთად ანტ. ფურცელაძე მოთხოვნილებასაც აყენებდა: ჩვენ არ გვინდა ბაირონისებური გრძნობანი და სულიერი ღელვანი, დეე გვიჩვენონ წვრილი და პატარა ხაზები ისეთი ადამიანებისა, როგორიც ლუარსაბია, მისი შინაგანი ცხოვრება. ჩვენთვის ესეც საინტერესოა და იქიდან არანაკლები სარგებლობის მიღება შეგვიძლიაო. ასეთ „პატარა ხაზებს“ ანტ. ფურცელაძე ვერ ხედავდა ვერც „კაცია ადამიანში“, ვერც ილია ჭავჭავაძის სხვა რომელიმე ნაწარმოებში. ცხადია, ლუარსაბსა და დარეჯანში ზედმეტი იყო ინტელექტის ძებნა. სხვა პროზაული თხზულება. სადაც გმირის შინაგანი არსი იქნებოდა მოცემული, ილიას მაშინ დაწერილი,

---

[1] ჯიმშერიძის ფსევდონიმით დაბეჭდა ილია ჭავჭავაძემ „კაცია - ადამიანი?!“

[2] 1863 წელს „ცისკარში“ (№3) დაბეჭდილ წერილში ილ. ჭავჭავაძის „მეშის“ განხილვისასაც ასეთსავე აზრს ადგა: „ავტორი კი არ უნდა თვითონ დასწრიპინებდეს თავისგნით გამოხატულს პირს—უნდა სხუას აგრძნობინებდეს და მიაღებინებდეს ყურადღებას თავის გამოსახულებაზედ...“

ან მთლიანად გამოქვეყნებული არ ჰქონდა, მისი ლირიკული თხზულებები კი ანტ. ფურცელაძეს ხელოვნურ და ზერელე ნაწარმოებად მიაჩნდა. ობიექტურ კრიტიკოსს კი უნდა დაენახა პოეტის შინაგანი განცდები და მათი გამოხატვის საშუალებები იმ თხზულებებში, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს გამოქვეყნებული ჰქონდა „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“[1].

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების იდეური ღირებულების პირველი მართებულად შემფასებელი აკაკი წერეთელი იყო. აკაკის წერილს, რომელიც მან „ცისკარში“ დაბეჭდა 1865 წელს[2], დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურული კრიტიკისათვის და აკაკის მსოფლმხედველობის გათვალისწინებისათვის. აკაკის წერილი იმითაცაა საინტერესო, რომ თანამედროვემ დაწერა დიდი თანამედროვის შესახებ. წერილი ამჟღავნებს იმას, თუ რამდენად ძვირფასი და მნიშვნელოვანი იყო ახლის გრძნობა თერგდალეულებში, რა დამოკიდებულება ჰქონდათ ძველთან, როგორ აფასებდნენ გარდასულ ეპოქათა მხატვრულ სიტყვას და რა კავშირს პოულობდნენ თავისი და ბრწყინვალე ქართველი პოეტების შემოქმედებას შორის, როგორ აფასებდნენ მხატვრულ სიტყვას, როგორც ხალხისა და ქვეყნისათვის ზრუნვის გამოხატულებას.

აკაკის ეს წერილი არის კირილე ლორთქიფანიძის მიერ პეტერბურგს გამოცემული კრებულის „ჩანგურის“ რეცენზია. მაგრამ რეცენზენტს იმდენად თვით „ჩანგური“ არ აინტერესებს, რამდენადაც სწორედ ილია ჭავჭავაძის ნაწერების განხილვა. ეს განხილვა დაიწერა ჯერ კიდევ დაუმცხრალი ბრძოლის დროს, როცა ახალი თაობა „დროების“ გამოსაცემად ემზადებოდა. იმ დროს, როცა ძველებს კვლავ ხელშეუხებლად მიაჩნდათ წარსულის მწერლობა. აკაკი წერეთელი „ცისკარში“ ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის შემოქმედებით კავშირზე წერდა. ილია ჭავჭავაძის მახლობელთათვის თავიდანვე გარკვეული ყოფილა ის იდეური კავშირი, რაც მას ბარათაშვილის პოე-

---

[1] მაგალითად: „ელეგია“, „თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე“, „როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო“, „მწუხარება“, „ჩემო კალამო“, „მას აქეთ“, „იანიჩარი“, „პოეტი“, „გუთნის დედა“ და სხვანი.

[2] რამოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ, „ცისკარი“, 1865 წ., № 9.

ზიასთან ჰქონდა. მათ ილია ჭავჭავაძე მაშინვე უცვნიათ ბარათაშვილის მემკვიდრედ და 1865 წელს აკაკი წერეთელმა დაბეჭდა კიდეც ამის შესახებ.

„ჩანგური" თავის მასალით თითქოს დაუპირისპირდა დ. ჩუბინაშვილის ქართულ ქრესტომათიას. აკაკი წერეთელმა ეს კრებული შეაფასა როგორც ქართული სისხლ-ხორცის მქონე პირველი წიგნი, ქართველების კენესით მტირალი. ყველა ქართველისათვის „ჩანგურის" გამოსვლა სასიხარულოა, რადგან მასში ორი უპირველესი მგოსნის თხზულებებია დაბეჭდილი — ბარათაშვილისა და ჭავჭავაძის ლექსებიო. აკაკი არ დაერიდა ზოგიერთი მკითხველის გულისწყრომას და ჭავჭავაძე ბარათაშვილს გვერდით დაუყენა. „როგორაო, — წერს აკაკი, — ვინ აძლევს იმას ბარათაშვილის გვერდით ალაგს? ჰმ, ეს ილია ჭავჭავაძე. ჭაპან-წყვეტით ლექსების მწერალი, რომლის ლექსებშიაც არც სულის გამაცხოველებელი პოეზია იპოვება და არც სასმენელის დამტკბობი გარმონია ისმის, ნუთუ ერთს ტახტზედ უნდა გვერდით მიუჯდეს ბარათაშვილს?" — იკითხავს გამწყრალი მკითხველიო. აკაკი გამწყრალ მკითხველს ამცნობს, რომ ბარათაშვილი და ჭავჭავაძე განუწყვეტელი ჯაჭვით არიან დაკავშირებული, რომ ერთი-მეორის გარეშე მათი გაგება არ შეიძლება. მან შესანიშნავად და მოსწრებულად დაამტკიცა, რომ ბარათაშვილი არის ჭავჭავაძის იდეური წინაპარი, რომ გულისტკივილი ბარათაშვილისა არის გულისტკივილი ილიასი, რომ ისინი არიან აარონი და მოსე ჩვენი ლიტერატურისა. კრიტიკოსს რომ არავინ დასწამოს ძველი ქართული ლიტერატურის უცნობლობა, ამისათვის პატარა მიმოხილვას აკეთებს და გაიხსენებს ბესიკს, რომლის დაფასებისას აკაკი ამჟღავნებს თავის, როგორც დემოკრატიული მოაზროვნის შეხედულებას პოეზიაზე. პოეზია, აკაკის აზრით, არა მარტო ტკბილ ხმათათვისაა შექმნილი, არამედ ხალხის გულის მესაიდუმლედ, მისი წუხილის გამომხატველად. აკაკიმ ბესიკი შეადარა ბულბულს, ტკბილი ხმით მყეფარს, რომლის მსგავსნი საქართველოში ბევრია, რომელნიც სასმენელს ატკბობენ, მაგრამ განა ბულბული შეიძლება პოეტად ჩაითვალოს! ბესიკის ბულბულისებრ პოეზიას ერთი ღირსება აქვს — იგი ტკბილად ისმის, მაგრამ სტვენის მეტი არა არის რა.

აკაკიმ მოკლედ მიმოიხილა ბარათაშვილის სულის ობლობის მიზეზი, პოეტი აღიარა ხალხის მწუხარების გამომხატველად, წერილს

ილუსტრირება გაუკეთა ბარათაშვილის სიტყვებით და დაასკვნა, რომ ილია ჭავჭავაძესაც სწორედ ის აწუხებდა. იგიც იმავე მოქალაქეობრივი გრძნობით იყო აღსავსე, რითაც ბარათაშვილი. რის თქმაც ბარათაშვილმა ვერ მოასწრო უდროო სიკვდილის გამო. თქვა ილიამაო. ილიას სიტყვები — „მაგრამ. მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის“ — ეკუთვნის ბარათაშვილსაც[1].

გრ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი. ბარბარე ჯორჯაძე ისეთ პოეტებად აღიარა აკაკიმ, რომელთაც ხალხის დარდი არ ჰქონდათ. მართალია, მშვენიერი იყო მათი პოეტური სიტყვა, მაგრამ მასში არ იყო მოქალაქეობრივი განცდა. ერთი ამბობდა: სულო ჯან, მეორე: დავეხსნათ ცოდნის ძებნასა, მესამე: რად შემიყვარებ, განა არ ვიცი, შენ ჯერ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი. მეოთხე კი ცეცხლის მკვესავ თვალებს ეტრფოდა და ასე. ქვეყანა და ხალხი კი დავიწყებული ჰქონდათო. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მნიშვნელობას აკაკი იმაში ხედავს, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრის ისეთი სიღარიბის. ან, როგორც აკაკი ამბობს — „სიკოტრის ჟამს“, გაჩნდა ილია ჭავჭავაძე. როცა ქართული ლიტერატურა ლაპარაკობდა პირად გრძნობებზე, ამ დროს ილიამ ხალხის კვნესას დაუგდო ყური[2].

აკაკიმ ილიას ლექსების მხატვრული ღირსების შესახებაც ილაპარაკა; ისიც კი თქვა, რომ „ამ ლექსებში პოეზიის ნატამალიც არ იპოვება. ეს არის მხოლოდ ცარიელი რიტორება, ლექსის შემარცვლა უსწორმასწოროა და რითმაც, პირველი სიმდიდრე ჩუმნის ლექსისა, არსად სჩანს; ერთი სიტყვით. როგორც ლექსი — ძალიან სუსტია, მაგ-

---

[1] ამ ლექსის გამო ანტ. ფურცელაძე ილიას აუგად იხსენიებდა—ამ ქვეყანაზე თავის ტოლად და ღირსად ვერავინ დაუნახიაო.

[2] აქვე უნდა აღინიშნოს. რომ 1864 წელს დაწერილ ლექსში „პასუხი ბ. ჯორჯაძისას“ აკაკიმ პოეტი ქალის პოეზიაში პირადულის გარდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყობლობით გამოწვეული სევდაც დაინახა. მის ცრემლშიო. — წერდა აკაკი, იხატებაო

ქართველის მწარე აწმყო ბედი,
გამქრალი ძველი დიდება
და მომავალი იმედი.

მაგრამ, ცხადია, აკაკი წერეთლისათვის მხიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისათვის გულისტკივილის გამოხატვის ხარისხს.

რომ ამის ერთ სტრიქონს, ფუთობით რომ მიბოძოთ ჩუმნის ბულბულების ნაწერში, რომელშიაც პოეზიაც იქნება, მარცვლებიც და რითმებიც, არ გავცვლი. და მიზეზიც ის არის, რომ ლექსებში ოცნებას კი ვერა ვხედავთ. მაგრამ ყოველს დღიურს ჭეშმარიტებას, ჩუმნს ნაკლოვანებას და ჩუმნს საჭიროებას და ამისთვს მოგვწონს პოეტი და ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაც". აკაკიმ მეტად ნათლად და ცხადად გამოთქვა თავისი აზრის მიზანი და შინაარსი.

აკაკი საკმაოდ მკაცრია არა მარტო ძველი ლიტერატურის წარმომადგენელთა, არამედ ილიას მიმართაც. პოეზიაში პოეტურიც უნდა იყოს აზრის გარდა. „ამასაც არ დავფარავთ, — განაგრძობს აკაკი, — რომ ჩემის აზრით ამახინჯებს (ილია ჭავჭავაძე.—ს. ხ.) ქართულს და სიტყვებს კვეცავს, რომ ძალის დატანებით ლექსი გამოიყვანოს ხოლმე" ... აკაკის შეხედულებით ილიას სიმღერა უჭირს. სამაგიეროდ მისი პროზა შეუდარებია ობოლი მაგალიტისათვის. ამის საბუთები „კაცია-ადამიანი" და „გლახის ნაამბობიაო". ამიტომ ურჩევს კიდეც ილიას პროზით წერას, ქართული მარილიანი სიტყვით დარბაისლურად მუსაიფს.

დასასრულ, აკაკი წერეთელი განათლებულ საზოგადოებას მოუწოდებს, რომ მოჰკიდონ ხელი კალამს და კრიტიკული წერილებით მწერლებს საქმიანი მითითებები მისცენ. იმ განათლებულთაგან გამიგონია, ჯერ არაფერი დაწერილა და რაზე ვილაპარაკოთო. აკაკი ამისთანა თქმას თვალის ახვევას უწოდებს. „ის კაცი, რომელსაც წინ უდევს რუსთაველი, ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სტყუა ამ სიტყვებით, არაფერი გვაქვსო!" მოწოდება, რომ კრიტიკოსებმა მასალად გამოიყენონ პოეზია რუსთაველისა, ბარათაშვილისა ან ჭავჭავაძისა, ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენად ძვირფასი იყო აკაკისათვის ილიას გონიერი შემოქმედება, მისი კაცობა, რაც ჭავჭავაძემ გამოხატა სიტყვებით — „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად"-ო.

აკაკიმ ილიას შემოქმედება ამ მხრიდან განიხილა და დააფასა.

ილია ჭავჭავაძის გამოჩენა ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ იმთავითვე აღნიშნა მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძე „შვილების" მეთაურად იქცა და ახალი თაობის, რევოლუციონერ-დემოკრატების შეხედულებათა დაცვას შეუდგა, ლიტერატურული კრიტიკა ორი

მხრით აფასებდა მას — ძველი და ახალი თაობების პოზიციიდან. ილია ჭავჭავაძის პირველსავე კრიტიკოსებში გამოჩნდა ორი ერთურთის საწინააღმდეგო შეხედულება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი მხატვრული შესაძლებლობის შეფასებაში ზოგჯერ ორი სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე კრიტიკოსები ერთიანდებოდნენ.

მართებული იყო ილია ჭავჭავაძის ის შეფასება, რომელიც ადასტურებდა მოწინავე იდეათა მემკვიდრეობას და ხაზს უსვამდა იმას, რომ ილია ჭავჭავაძე იყო გამგრძელებელი ქართული მოქალაქეობრივ-საზოგადოებრივი პოეზიისა, კერძოდ, ნ. ბარათაშვილის შემოქმედებითი ინტერესებისა, რომ იგი იყო ქართველი მშრომელი ხალხის სულისკვეთების გამომხატველი.

აკაკი წერეთელი — ქართული თეატრის ისტორიკოსი

აკაკი წერეთელმა თავისი მოღვაწეობის დიდი ნაწილი, მწერლობის გარდა, მრავალ კულტურულ საქმეს შეალია. ქართული თეატრი აკაკისათვის ერთ-ერთი საყვარელი და დიდშინაარსიანი საასპარეზო იყო. აკაკიმ მისთვის ძლიერ ბევრი რამ გააკეთა და, სხვათა შორის, ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხთან დაკავშირებითაც. აკაკი უშუალო მონაწილე იყო ქართული სათეატრო საქმიანობისა დაწყებული 60-იანი წლებიდან, ბევრის მნახველი ამ სარბიელზე, მის ღვაწლსა და ხელს შუა გაიარა ბევრმა ქართველმა მსახიობმა, პიესამ, დრამატული თხზულების გასცენიურებამ. აკაკის წერილები ქართულ თეატრზე, მოგონებები ქართული თეატრის შესახებ, საკუთარ ღვაწლზე, ქართველ მსახიობებზე, პიესებზე და მათ დადგმებზე, ქართული თეატრის წარსულის მნიშვნელოვან ფურცლებსა შლის. სრულიად გარკვეულად ქართული თეატრის ისტორიკოსი აკაკის მონაწილეობის აღნუსხვის გარეშე ვერას იტყვის ამ კულტურული დაწესებულების ისტორიაზე. ძნელი იქნება ანგარიში არ გაუწიოს აკაკის მასალებს, როგორც ისტორიის დასაწერ საბუთებს, რადგან აკაკი მონაწილეც იყო ქართული თეატრის ზრდისა და მისი ისტორიისათვის აუცილებელი საბუთების შემქმნელიც.

ამ დარგში მუშაობისას აკაკი წერეთელი ეყრდნობოდა იმ აზრსა და შეხედულებას, რაც შემოქმედების დასაწყისიდანვე საფუძვლად დაუდო თავის პოეზიას. აკაკი წერეთელი რეალისტი იყო და ქართული თეატრის მოღვაწეობას და ამ თეატრის ისტორიის მასალებსაც სინამდვილის სწორხაზის თვალით ჭვრეტდა. აკაკი უშუალო მონაწილე და თვალითმხედველი ქართული თეატრის ბევრი ზეიმისა, მისი დასუსტება-დაკნინებისა, ქართული სათეატრო და სამსახიობო ხე-

ლოვნების განვითარებისა, ბევრი ქართველი მსახიობის სამოღვაწეო გზის ჰომსწრე, მონაწილე და ბშირად მათი მუშაობის წარმმართველი იყო. სათეატრო შენიშვნებსა, პიესათა რეცენზიებსა და მოგონებებში თეატრზე მეტად ძვირფას საბუთებს უყრიდა თავს. თუ აკაკისათვის მაშინ ეს შენიშვნები და რეცენზიები წარმოადგენდა პრაქტიკულ ჰინიშნებას ქართული თეატრის მუშაობის ამა თუ იმ მხარეზე, თუ მისი რომელიმე შენიშვნა პიესის დადგმასა ან მსახიობის თამაშზე იმდროინდელი ქართული თეატრის პრაქტიკულ სამსახურს აღნიშნავდა, ახლა ჟველაფერი ეს უკვე ისტორიული წყაროს ღირებულების მქონეა და ქართული თეატრის ისტორიკოსს შესაძლებლობა ეძლევა ამ თეატრის არსებობის ერთი მონაკვეთი, აკაკის მასალებზე დაყრდნობით, ცხადად წარმოიდგინოს.

აკაკის ძირითადად თეატრში მუშაობა უხდებოდა როგორც თბილისში, ისე ქუთაისში. იგი ქართულ თეატრს მრავალგვარად ეხმარებოდა, წერდა სათეატრო თხზულებებს, აფასებდა ქართველ და მეზობელ ხალხთა დრამატურგიულ შემოქმედებას, თავის მოსაზრებებს გამოთქვამდა ქართველ და იმ უცხოელ მსახიობთა შესახებ, რომელნიც თბილისში ჩამოდიოდნენ საგასტროლოდ. ამიტომაც აკაკის ლიტერატურული მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომელიც თეატრის მუშაობას ეხება, საინტერესოა არა მხოლოდ ქართული თეატრის ისტორიისათვის. მაგრამ, აკაკი წერეთლისათვის, ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწისათვის, პირველ რიგში ადგილობრივი, ქართული თეატრი იყო მნიშვნელოვანი და საზრუნავი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეფის ხელისუფლების ლაშქრობისას, რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნულ კულტურათა წინააღმდეგ, ქართულ თეატრს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რაზედაც არაერთხელ გამოუთქვამთ მოსაზრებანი ჩვენს დიდ ადამიანებს. ზოგჯერ ქართული თეატრი ერთადერთი ასპარეზი იყო, სადაც შეიძლებოდა ქართულით მეტყველება და ქართულ საქმეზე ლაპარაკი. თეატრი იყო ის საზოგადოებრივი არე, რომელიც ქართველ ადამიანს გაახსენებდა წარსულს, დაანახებდა აწმყოს და აოცნებებდა მომავალზე. ამდენად, ქართული პიესა, ქართველი მსახიობი, თხზულების გასცენიურება, მშობლიურ ენაზე მეტყველება ისეთ მომენტად იყო მიჩნეული, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა ესაჭიროებოდა.

ილია და აკაკი ქართული თეატრს ეროვნულ სკოლად თვლიდნენ და ყოველ მის დამცირებას, აბუჩად აგდების ცდას თავგამოდებით ებრძოდნენ. ეს დამცირება და აბუჩად აგდება მაშინდელი ხელისუფლების საშუალება და ხერხი იყო. თეატრის ავტორიტეტისათვის, რითაც მას შეეძლო დაპირისპირებოდა მაშინდელ მთავრობას, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მხატვრულ-დრამატულ ნაწარმოებსა და მსახიობთა დასს, რომელნიც ყოველთვის მართებულ სიმაღლეზე უნდა მდგარიყვნენ, რომ მაყურებლისათვის არ მიეწოდებინათ მხოლოდ დროის გასატარებელი მასალა, რომ ეს მასალა არ ყოფილიყო იაფფასიანი. აკაკის შეხედულებით თეატრი და სცენა არ შეიძლებოდა კერძო ასპარეზი ყოფილიყო. ის უნდა მხოლოდ საზოგადოებრივი მნიშვნელობის სარბიელი იყოს, უნდა სცდიდეს მსახიობის ნიჭს, მის მოქალაქეობრივ შრომასა და ღვაწლს. რეალისტი მწერალი თეატრისაგან მოითხოვდა იმას, რაც მან ერთხელ გამოხატა პოეტის საპროგრამო ლექსში — მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდესო. სცენა სარკეა, რომელშიც უტყუარად აისახება ცხოვრების ავ-კარგი, ამასთან ერთად თეატრი სკოლაცაა, ხელოვნების წმიდა ტაძარი, ეროვნული ცხოვრების ამსახველ-წარმმართველი. ამდენად ყოველი სიტყვა და მოქმედება, რაც სცენიდან მაყურებელში გადადის, აკაკის შეხედულებით, უნდა აღსავსე იყოს განსპეტაკებულ-განმტკიცებული ქართულით, მსახიობთაგან პასუხისმგებლობისა და თეატრის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეგნებით.

აკაკი მიჰყვებოდა თეატრის საქმიანობას და ყოველ მნიშვნელოვან ფაქტს, შესაფერი პირების ჩამოთვლითა და თარიღებით, აქვეყნებდა ქართულ პრესაში. მის წერილებში ეხვდებით ცნობებს ქართული პიესების დადგმებზე, მსახიობთა დასის მუშაობის მიმართულებაზე, ქართული დრამატურგიის განვითარებისა და დრამატულ თხზულებათა ავტორებზე. აქ ისტორიკოსი იპოვის ცნობას, თუ როგორ ასრულებდა ესა თუ ის მსახიობი დავალებულ როლს. აკაკის ნაწერებში მოიპოვება ცნობები ქართული წარმოდგენების დადგმაზე ქუთაისსა, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, იმ სათეატრო მუშაობაზე, რაც მიმდინარეობდა საქართველოში 1879 წლამდე, ე. ი. მუდმივი ქართული თეატრის შექმნამდე და ამ წლის შემდეგაც, როცა თეატრი, ქართველ მოღვაწეთაგან ფრთაშესხმული, საფუძვლია-

ნადა და მძლავრად ამოქმედდა და რომლის ერთ-ერთი უშუალო მონაწილე აკაკი წერეთელი იყო.

აკაკი წერეთლის როლი ქართული თეატრის ისტორიაში იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მან ქართულ სცენას ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი მსახიობი შესძინა. ცნობილია, მაკო საფაროვას ქალი აკაკის მეცადინეობით შევიდა ქართულ თეატრში. აკაკი ყოველთვის უურადღებას აქცევდა მაკოს შემოქმედებითს გზას. 1880 წელს, როცა თავის „კულტურხანუმში" მონაწილე მსახიობებზე წერდა, აკაკიმ მაკო დაახასიათა როგორც ელენეს როლის უებრო და უნაკლო შემსრულებელი. 1912 წელს, ამ მსახიობის საიუბილეო დღესასწაულზე, აკაკიმ მაკო შეადარა წმინდაწყლის ობოლ მარგალიტს, რომელსაც თავისი სახელი მტკიცედ დაუკავშირებია ქართული თეატრისათვის. ეს მსახიობი ქალი, აკაკის სიტყვებით, იყო ქართული თეატრის გამზრდელი ძიძა და აკვნის დამრწევი, მისი დიდება და სიამაყე. მაკო საფაროვა-აბაშიძის იუბილე აკაკი წერეთელმა ქართული ეროვნული კულტურისა და ქართული სათეატრო ხელოვნების დიდ მოვლენად აღიარა.

მაკო საფაროვა-აბაშიძის ბიოგრაფები და ქართული მუდმივი თეატრის ისტორიკოსები აკაკი წერეთლის ცნობებს ემყარებიან, როცა ქართული სათეატრო ცხოვრების ამ მრავალმნიშვნელოვან ფაქტზე მსჯელობენ. მაკო საფაროვა-აბაშიძის მოგონებები, რომელთაც ღრმად მოხუცებული მსახიობი სხვისი დახმარებით წერდა. 1947 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში".

მაკო საფაროვას სცენაზე გამოყვანის ფაქტი აკაკის არაერთგან აქვს მოხსენებული. ეს არცაა გასაკვირი, რადგან იმდენად დიდმნიშვნელოვანი იყო იგი და ისეთი გადამწყვეტი როლი ითამაშა აკაკიმ ამაში, რომ ეტყობა პოეტს ესახელებოდა კიდეც ამ ამბის გახსენება.

1879 წლის ქართულ სცენას ოთხი დიდი მსახიობი ჰყავდა: ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, მაკო საფაროვა და ნატო გაბუნია. აკაკი წერეთელმა თითქოს მაშინვე განჭვრიტაო, რომ ეს სხვადასხვა ხასიათის მქონე მსახიობები რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იქნებოდნენ ქართული თეატრის სულისჩამდგმელნი და მაცოცხლებელნი. 1880 წელს დაწერილ წერილში „ქართული თეატრი", აკაკი ეხება ამ მსახიობთა შემოქმედებით თვისებებს, ახასიათებს მათ სცენურ შესაძლებლობასა და ხასიათს. უნდა აღინიშნოს, თუკი შემდეგაც ვინმეს

დაუწერია რამე ამ ოთხ მსახიობზე, ან მემუარისტებს მოუხსენებიათ ისინი, აკაკის დახასიათებას ვერ გასცდენია[1]. აკაკის შესანიშნავი დაკვირვებული თვალი ჰქონდა. ის პირველ შეხედვისთანავე ამჩნევდა მსახიობში მის შესაძლებლობას, ხასიათს და სცენიურ უნარს.

მაკო საფაროვას ქალს სცენიური გარდასახვის დიდი ნიჭი ჰქონია და ამასთან იგი შრომისმოყვარეც ყოფილა. ასეთივე უებრო შესაძლებლობის მქონე იყო თურმე ნატო გაბუნიაც, მაგრამ მას როლზე მუშაობა არ სჩვეოდა. იგი გამოვიდოდა სცენაზე და პიესის მსვლელობისას ჰქმნიდა ისეთ სახეს, რომელსაც მნახველი მეხსიერებიდან ველარ მოიცილებდა. არც მაკოს და არც ნატოს არამცთუ სპეციალურ სათეატრო განათლება, საშუალო სკოლაც კი არ ჰქონიათ დამთავრებული. ისინი თავისი ხალასი ნიჭით ავიდნენ სცენაზე და ისე დაიპყრეს სცენაც და მაყურებელიც.

ასე ახასიათებდა მაკო ნატოს: — ცოტა მუშაობა რომ ჰყვარებოდა, მე ბევრად უკან ჩამომიტოვებდა, თუმცა უამისოდაც ძნელად შევედრებოდიო. ასე თავმდაბლად იგონებდა დიდი მაკო საფაროვას ქალი თავის მეგობარს ნატო გაბუნიას. აკაკის იმთავითვე შემჩნეული ჰქონია ეს ურთიერთ პატივისცემა და სწორედ ამ მხრივ ახასიათებდა მათ 1880 წლის „დროების“ 208-ე ნომერში.

აკაკი წერეთელმა შემოუნახა ქართული თეატრის ისტორიას ნინო მხეიძის ქალის, როგორც მსახიობის სახე. მართალია აკაკი მის სასცენო მუშაობას, მის მიერ შესრულებულ როლებს არ მიიჩნევს პირველხარისხოვნად, მაგრამ დიდად აფასებს როგორც კეთილსინდისიერ მუშაკს და ქართული სასცენო ხელოვნებისათვის გულმოცემულ მსახიობს.

აკაკი მთელი გულისყურით მიჰყვებოდა ვასო აბაშიძის სცენაზე გამოსვლასა და შემოქმედებით ზრდას. ვასო აბაშიძე აკაკისათვის იყო ისეთი მსახიობი, რომელსაც სცენა ცხოვრების ავკარგიანობის საამოძღვრებელ ადგილად აურჩევია. ვასო აბაშიძეს იგი სრულ არტისტს უწოდებდა. ამიტომაც სხვა მსახიობის დასახასიათებლად ეს სხვა. ვასო.

---

[1] მხედველობაში არ გვაქვს ილია ზურაბიშვილის „ოთხი პორტრეტი“, რომელშიც განსვენებული მოღვაწე საკუთარ შთაბეჭდილებებს გვაცნობს.

აბაშიძისათვის შეუდარებია, ვასო აბაშიძის ნიჭი საზომად გამოუყენებია. რამდენჯერ გვინახავს სცენაზედ წარმოდგენილი სომეხი, მაგრამ ყოველთვის გადაუჭარბებიათო, — წერდა აკაკი 1880 წელს. „აბა ნახეთ ვასო აბაშიძე იმავე როლებში და მაშინ მიხვდებით, რომ ნამდვილი წარმოდგენა და უბრალო გაჯავრება-გაჭირდვა სულ სხვადასხვა არის“. როცა ვასო აბაშიძის სასცენო მუშაობის 10 წლისთავზე აკაკიმ საიუბილეო სიტყვა წარმოთქვა 1887 წელს, მან ვასო აბაშიძეს ჭეშმარიტი არტისტი უწოდა, რომელიც მხოლოდ სცენაზეა და სცენისათვის ცოცხლობს. სცენას იგი მანამ არ დააგდებს, სანამ სული არ ამოხდებაო — აკაკის ეს წინასწარმეტყველური თქმა ვასო აბაშიძემ გაამართლა თავისი ხანგრძლივი და მაღალნიჭიერი მუშაობით სცენაზე. ვასო აბაშიძემ გარდაცვალების წელსაც კი, უკვე მეტად მოხუცებულმა, ერთი ეპიზოდური როლი შეასრულა ალექსანდრე წუწუნავას მიერ დადგმულ კინოკომედია „ხანუმაში“.

სიონის ტაძარში მარხია ქეთევან გიორგი იასეს ძე ერისთავის ასული. მამუკა ჯამბაკურ-ორბელიანის მეუღლე. მისი გარდაცვალების წელს აკაკი წერეთელმა წერილი დაბეჭდა, რომლითაც იმდროინდელ საზოგადოებას გაახსენა ამ ქალის წარსული მოღვაწეობის შესახებ. ეს „კავალერსტვენნაია დამა“, როგორც ეპიტაფია მოიხსენიებს, ასული დიდი კნიაზის“, სენატორ გიორგი იასეს ძე ერისთავისა, იმ ქართველ ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც კეთილად გამოიყენეს თავისი პრივილეგიური მდგომარეობა, თავისუფლად ავიდნენ ქართულ სცენაზე 1850 წელს. ქეთევან ერისთავთან ერთად მაშინ სცენაზე გამოვიდა ბარბარე გიორგი თუმანიშვილის ასული, მეუღლე ვორონცოვის კარის ექიმის ერასტი ანდრეევსკისა, რომლის შესახებაც აკაკი წერეთელი გვიამბობს „ჩემს თავგადასავალში“. ბარბარე თუმანიშვილის ქალისა და ქეთევან ერისთავის ასულის შესახებ, რომ ისინი გიორგი ერისთავისეული თეატრის მსახიობები, უკეთ, — სცენის მოყვარე ქალები იყვნენ, ბევრმა არ იცის. აკაკის წერილი, გამოქვეყნებული 1897 წელს მის „კრებულში“ — „სამძიმარი“ ერთი საინტერესო დოკუმენტთაგანია, რომელიც აღადგენს ძველი ქართული თეატრის ამ საინტერესო ამბავს. ეს ერთადერთი წერილობითი ცნობა თეატრისა და სცენისმოყვარე ქალზე, ქეთევან ერისთავ-ორბელიანზე, რომელმაც დასძლია თავისი დროის საზოგადოებრივი შეზღუდულობა

და სცენაზე ითამაშა. აკაკი წერეთელმა ქართული თეატრის ისტორიას შემოუნახა ქეთევან გიორგის ასული ორბელიანის ღვაწლი და ბაზი გაუსვა ქეთევანის დიდ დამსახურებას ქართული თეატრის და ქართული დრამატიული საზოგადოების წინაშე, რომელსაც ქეთევან ორბელიანმა ასი თუმანი უანდერძა.

ყურადღებას იქცევს აკაკის „უბრალო საუბარი“, რომელშიც ქართველ მსახიობთა პორტრეტები არის მოცემული, ამ მსახიობთა სცენური შესაძლებლობის დახასიათებით. მართალია აკაკის ეს საუბარი ერთი პიესის — „ღალატის“ მონაწილეთა თამაშს ეხება, მაგრამ ამ წერილში წარმოდგენილია მთელი რიგი ქართველი მსახიობების სრული დახასიათება. კოტე ყიფიანის, ვალერიან გუნიასი, კარგარეთელის ქალისა, ნატო გაბუნიასი, ვასო აბაშიძისა, მდივნის ქალისა, გედევანოვისა, ვალერიან შალიკაშვილისა და სვიმონიძისა. მახვილი ენით აკაკი თითოეულ მათგანს ახასიათებს, ახდენს მათ მიერ შექმნილი სცენური სახეების ანალიზს, აღნიშნავს მათ მიღწევებს და მოურიდებლად ამხელს იმ ნაკლსაც, რაც ზოგიერთ მსახიობს ახასიათებდა. აკაკი წერეთელი ხაზს უსვამს იმას, რომ ქართველ მსახიობებს არა მარტო შესაძლებლობა არ ჰქონდათ როლზე მუშაობისა და ამის გამო ხშირად ვერ უძღვებოდნენ საქმეს ღირსეულად, არამედ, დაჟინებით აღნიშნავს იმას, რომ ქართველ მსახიობებს ძლიერ ხშირად დრო არა ჰქონდათ მთელი თავისი მსახიობური შესაძლებლობა ქართული სცენისათვის დაეთმოთ. ქართველი მსახიობები ხშირად თეატრისათვის შეუფერებელ სხვა ძირითად საქმიანობას ეწეოდნენ და მხოლოდ ცოდადრო ადიოდნენ სცენაზე რომელიმე სახის განსასახიერებლად.

ამ დარგში მოღვაწეობისას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აკაკი ქართული დასის რეჟისორ-ხელმძღვანელად იქნა მიწვეული, მას ხშირად დაუყენებია საკითხი ქართული სათეატრო ხელოვნების განვითარებისა და საერთო დონის ამაღლებისათვის. აკაკი წერეთელს თეატრის პროფესიულობა აინტერესებდა და მეტად უნდოდა პროფესიული თეატრის შექმნა. ქართულ თეატრს მასზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება მხოლოდ მაშინ შეეძლებოდა, თუ იგი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით განიმსჭვალებოდა. ეს კი ბევრს ავალებდა ქართველ მსახიობს, დრამატურგს, თეატრს.

აკაკი ყოველთვის მრისხანებდა ქართული ენის დამახინჯების შემ-

თხევაში, „ბაზაზხანური ენის“ წინააღმდეგ, დრამატიულ ნაწარმოებთა შეკვეცა-დამახინჯების წინააღმდეგ, რადგან ავტორის ხელიდან გამოსულ მხატვრულ ნაწარმოებებს ხშირად ეკარგებოდა ის იდეა, რასაც იგი ემსახურებოდა. აკაკი მტერი იყო უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა სათეატრო ხელოვნებისადმი. ეს მიზეზებიო, — წერდა იგი „ივერიაში“ 1904 წელს, — რომელნიც ქართული თეატრის მართებულ მიმართულებას ამახინჯებენ, „ყველა გამოვიკვლიე, შევისწავლე და მსურს საზოგადოებას მოვახსენო ამ მოკლე ხანში, იმიტომ კი არა, რომ ვინმეს ვაწყენინო და სხვის პირადობას შევეხო. არა! მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ამ ვამოქვეყნებამ ეგების სარგებელი მოუტანოს ქართულ თეატრს და დღევანდელ „კოპობია-ლაზრობიას“ ნაცვლად... ნამდვილმა ხელოვნებამ მოიკიდოს ფეხი ქართულ სცენაზე.“ აღსანიშნავია, რომ ეს პრინციპი აკაკის ქართული თეატრის ისტორიის მასალების შექმნის დროსაც მტკიცედ აქვს დაცული. ამგვარი პრინციპულობით აფასებდა ზემოთ დასახელებულ წერილში აკაკი წერეთელი ქართველ მსახიობთა სცენიურ შესაძლებლობას და მხოლოდ ნამდვილი ხელოვნების დამკვიდრების მიზნით ეხებოდა მსახიობთა თამაშს, რასაც მაშინ პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა და ახლა კი ქართული თეატრის ისტორიის ერთ-ერთ მიმზიდველ მასალად გამოიყურება.

აკაკის მიერ მხილებული მასალები მაშინდელი ქართული თეატრის მუშაკთა ცხოვრებაზე მეტად საინტერესო მასალაა ჩვენი თეატრის ისტორიის შემსწავლელთათვის. მტკივნეული საკითხი იყო მსახიობის საარსებო მატერიალური საშუალებანი. აკაკი წერდა: „ჯამაგირი წლიურად უნდა ეძლეოდეს არტისტს არა მარტო სეზონში, თორემ ხუთ თვეს საყველპუროდ მაძღარი და დანარჩენ შვიდ თვეს მშიერ-მწყურვალი ,აცი არა თუ არტისტად, ნაცარქექიადაც აღარ ,გამოდგება“. სრულიად საკმარისია ადამიანის ცხოვრების ეს მთავარი პირობა გავიხსენოთ, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მაშინდელ მსახიობთა ყოფა და ის გულისტკივილი, რომელსაც აკაკი გამოხატავს ძველი ქართული თეატრის მუშაობის დახასიათებისას.

აკაკი წერეთელი თავისი თანამედროვე ქართული თეატრის მდგომარეობის ქრონიკით, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალე დოკუმენტებს ქმნიდა, რომელნიც ქართული თეატრის ისტორიკოსისათვის პირველხარისხოვანი დასაყრდენია.

გარდა ქართული თეატრის პრაქტიკული საქმიანობის ჩვენებისა, ქართული თეატრის მუშაობის ყოველდღიური ფაქტების აღნიშვნისა, აკაკი წერეთელს დაუწერია აგრეთვე „გახსენებანი“ ქართული თეატრის შესახებ, რომლებშიც უმთავრესად თეატრში და სათეატრო საქმიანობაში თავის მონაწილეობაზე გვიამბობს. რადგან იგი პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ უშუალოდ დაუკავშირდა სასცენო ხელოვნებასა და სათეატრო საქმეს, ამდენად მისი მოგონებები ქართული თეატრის ისტორიაცაა. ასეთი წერილებია: „გახსენება თეატრის შესახებ“ გამოქვეყნებული „თეატრსა და ცხოვრებაში“ 1910 წელს და „ქართული თეატრის დაარსება საქართველოში“, დაბეჭდილი „თემში“ 1912 წელს. ამ წერილებში ხსენებული ფაქტობრივი მასალები სხვა წყაროებითაცაა დადასტურებული.

მოგონებებში თეატრზე აკაკი გარკვეულად ატარებს აზრს, რომ 50-იანი წლებიდანვე ქართული თეატრის პატრონი და დამხმარე, საზოგადოების დაბალი ფენა, ღარიბი ხალხი იყო. ამიტომაც, ყოველი ზრუნვა ქართული თეატრისათვის, აკაკის აზრით, ხალხზე ზრუნვის გაგრძელებად უნდა იყო. 1862 წელს, როცა იგი რუსეთიდან ქუთაისს დაბრუნდა, იქაური მასწავლებლის მოსიძის ჩაგონებით ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება“ დადგა, რომელშიც ნინო აბაშიძე-ორბელიანისა და ეკატერინე ჯგიაშვილი-დადიანისა იღებდნენ მონაწილეობას. ეს ქალები აკაკი მოსიძესთან ერთად სცენისმოყვარენი იყვნენ, და მათ აინტერესებდათ ქუთათური საზოგადოებისთვის სულიერი საზრდოს მიწოდება. აკაკის ეს ფაქტი მიაჩნია ქუთაისში ქართული სათეატრო საქმის პირველ ეტაპად, რაც შემდეგ მცირე დროს მოიცავს. შემდეგ კი, რამდენიმე წლის განმავლობაში აღარავის გაუგრძელებია. მეორე ეტაპი იწყება 1867 წლიდან, როცა რაფიელ ერისთავის, აკაკისა და ნიჭიერი მსახიობი ქალის ეფრო კლდიაშვილის მონაწილეობით იმართებოდა სალიტერატურო საღამოები და ქართულ პიესათა წარმოდგენები. აკაკი ამ მეორე ეტაპზე განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებს ეფრო კლდიაშვილის შესანიშნავ ნიჭსა და სცენურ გარდასახვის შესაძლებლობის უნარს, რის სანიმუშოდაც მოაქვს ერთი ცნობა ქუთაისელ სცენისმოყვარეთაგან თბილისში გამართული წარმოდგენის ისტორიიდან, როცა გიორგი ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგში“ ეფრო კლდიაშვილის თამაშმა, მენახშირის ქალის მართას როლში, უაფლან ორბელიანს წამოაძახებინა: „გაიყვანეთ ეგ მოთამაშე, თვარამ დაგვხოცაო“.

ეს მეორე ეტაპი ქუთაისში სათეატრო საქმის განვითარებისა იმით დამთავრდა, რომ რაფიელ ერისთავი თბილისში გადმოიყვანეს, აღარც აკაკი დარჩა ქუთაისში და ეფრო კლდიაშვილის ნიჭის გამოვლინებაც შეფერხდა. ამ ბრწყინვალე სცენიური შესაძლებლობის მქონე ქალს არ ეღირსა პროფესიულ თეატრში თამაში, რომ მთელი თავისი ძლიერება გამოემჟღავნებინა. ეფრო კლდიაშვილი კი ღირსი ყოფილა ამისა. აკაკი წერეთელი ყველაზე მეტს ეფროზე ლაპარაკობს და მის ნიჭზეც უფრო მეტს ამბობს, ვიდრე იმ სცენისმოყვარე ქალებზე, რომელნიც აკაკისთან ერთად მუშაობდნენ ქუთაისის სცენაზე.

1879 წელი ქართული თეატრის ისტორიაში მნიშვნელოვანი წელიწადი იყო. და თუ მაშინ ქართულმა სცენამ გაიმარჯვა და ქართული თეატრი ხელახლად დამკვიდრდა, ამაში გარკვეული ადგილი ეჭირა ტრადიციას, რომელიც შეიქმნა თბილისისა და ქუთაისის სცენისმოყვარეთა ღვაწლით. სწორედ ამ ტრადიციის შექმნა-განმტკიცებაზე გვიამბობს თავის მოგონებებში აკაკი წერეთელი.

ცნობილია, აკაკი წერეთელი დიდი სიმპათიით იგონებდა გრაფ ვორონცოვს. პოეტი, ვორონცოვის მოღვაწეობის ერთ მხარეს, კერძოდ, მის ე. წ. ზრუნვას ქართული კულტურისათვის, ისე აზვიადებდა, რომ ვეღარ ამჩნევდა ვორონცოვის ნამდვილ ზრახვებს, მის მონარქისტულ სულისკვეთებას, ქართველთა სულიერად გაღარჯულების პოლიტიკას. ქართული თეატრის ფუძემდებლად მას ვორონცოვი მიაჩნდა, მისი კეთილგანწყობილება ქართველთა მიმართ და მამაშვილური კავშირი ქართველებთან ეამაყებოდა, რის შესახებაც აკაკი არა ერთგან ამბობს, თუნდაც დრამატულ პოემა „ვორონცოვში“, პირველი ქართული წარმოდგენის დადგმა — გიორგი ერისთავის „გაყრისა“ და მასში მონაწილეთა შეკრება, — აკაკის თქმით, — ვორონცოვის უშუალო მონაწილეობით მომხდარა. მას მიუწვევია ქალთა როლების შემსრულებლები ქეთევან და ტასო ორბელიანები. და, როგორც აკაკი ამბობს, გ. ერისთავს პირველი წარმოდგენა მეფისნაცვლის სასახლეში დაუდგამს. ქართული თეატრის ისტორიის ამ ნაწილში აკაკი, გატაცებული ვორონცოვით, რა თქმა უნდა, სინამდვილეს სცილდება.

მნიშვნელოვანია აკაკის ცნობა 1879 წელს მუდმივი ქართული თეატრის დაარსების ინიციატივის შესახებ. აქ იგი ასახელებს ილია ჭავჭავაძეს, როგორც ორგანიზატორს, ქართული თეატრისათვის თავ-

დადებულ მოღვაწეს. ცნობილია, ქართული სცენა სუბსიდიას იღებდა პანკის იმ თანხებიდან, რომელიც ყოველ წელიწადს მოგებას სახით რჩებოდა ამ დაწესებულებას. ამას გულისხმობს აკაკი წერეთელი, როცა იგი ილ. ჭავჭავაძის ნათქვამს გადმოგვცემს 1912 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში. „მაგას მე ვიკისრებ,— უთქვამს ილიას აკაკისათვის, როცა ამ უკანასკნელს საკითხი დაუყენებია, რომ თეატრის შემოსავალი საკმაო არ იქნება საქმის გასაძღოლად. — ყოველ თვეობით შევაგროვებ შემოსაწევარს. ქართველებს განა არ იცნობ? რომელი შეძლებული მეტყვის უარსო?“ ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებს ნამდვილი საქმეც მოჰყვა. ეს იყო 1879 წელს, როცა დაარსდა მუდმივი ქართული თეატრი.

ამ თეატრსა და სცენას თავისი ისტორიკოსები ჰყავს ასიკო ცაგარლისა, გიორგი თუმანიშვილისა და სხვათა სახით. თუმცა აკაკის ამიერიდანაც არ დაუკლია საინტერესო ცნობების მოწოდება. მას ეკუთვნის ნარკვევი, მაგრამ საყურადღებო დახასიათება კოტე ყიფიანის ხელოვნებაზე, ლადო მესხიშვილის ქართულ თეატრში მუშაობაზე; წერილები იოსებ გედევანიშვილზე, ნიკო შიუკაშვილზე, ტრიფონ რამიშვილზე, უფრო ძველთაგან გიორგი ერისთავზე, ივანე კერესელიძეზე, ზურაბ ანტონოვზე. აკაკის წერილებში აღნიშნულია დიმიტრი ყიფიანის დამსახურება ქართული დრამატული საზოგადოების წესდების შექმნის საქმეში, ნიკო ავალიშვილის საქმიანობა 70-იან წლებში ქართული სცენის ირგვლივ, კოტე და ეფემია მესხებზე და სხვა მრავალი რამ, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ქართული თეატრის ზრდის, ამა თუ იმ ეტაპის სრული დახასიათება.

მხედველობაშია მისაღები, ისიც, რომ აკაკი წერეთელს საკმაოდ დაუწერია არაქართველ დრამატურგებზე, მათ პიესათა ქართულად დადგმებზე, განსაკუთრებით გაბრიელ სუნდუკიანცის დრამატურგიულ და სათეატრო მუშაობის შესახებ, ან მირზა ფატალი ახუნდოვის „ხანის ვეზირის“ ქართულად თარგმნისა და მისი დადგმის ისტორიაზე, აგრეთვე უკრაინული და რუსული თეატრის წარმომადგენელთა გასტროლებზე საქართველოში. თავისებური აზრი აქვს გამოთქმული აკაკის გრიბოედოვის, გოგოლისა და ოსტროვსკის პიესათა ქართულად დადგმაზე, მათს სცენიურ გაფორმებაზე. ქართველ

მსახიობთა თამაშზე ამ პიესებში, ან რუსი მსახიობების — პროვ სადოვსკის, შუმსკის, ჟივოკინის, ფედოტოვას, ნიკულინის, კოლოსოვას, ვასილიევას და სხვათა თამაშის შეფასებაზე. ძათ რეალისტურ-რომანტიკულ განწყობილების ჩვენებასა და სცენიური გარდასახვის საოცარ შესაძლებლობაზე. აგრეთვე აზრებს უცხოელ მსახიობთა თამაშზე, შესაძლებელია სრული წარმოდგენა შეიქმნას ამ მასალის ღირებულებასა და მნიშვნელობაზე, რაც აკაკის კალამს შეუქმნია. შეუძლებელია, მაგალითად, დაიწეროს მირზა ფათალი ახუნდოვის პიესათა დადგმის ისტორია აკაკის აზრების გამოუყენებლად და კერძოდ „ხანის ვეზირის“ ქართულ თარგმანზე და მის დადგმაზე. შეუძლებელია გაპრიელ სუნდუკიანცის დრამატურგიული მემკვიდრეობის შესწავლა და ამ მწერლის დახასიათება, თუ გათვალისწინებული არ იქნება აკაკის აზრი საერთოდ სუნდუკიანზეც და მის „პეპოზე“, ამ პიესის ქართულად ამეტყველებაზე.

დასასრულ, გასახსენებელია თვით აკაკი წერეთლის სასცენო-სათეატრო მოღვაწეობის დასახასიათებლად და მისი პიესების სცენაზე დადგმის შესასწავლად ის ცნობები, თვით აკაკის რომ დაუტოვებია „თამარ ცბიერის“, „მედიას“, „კინტოს“, „ძველი ამხანაგების“ და სხვა დრამატიული ნაწარმოებებისათვის და რომლებიც მეტად ძვირფას ცნობებს შეიცავენ ქართული თეატრის ისტორიისათვის.

უნდა გვახსოვდეს, რომ აკაკი წერეთელს ქართული თეატრის ისტორია არ დაუწერია, იგი მხოლოდ მოგონებებს წერდა ქართული თეატრის არსებობის რომელიმე მომენტზე, იქნებოდა ეს თეატრის საქმიანობა საქართველოში, ქართული პიესების სცენაზე დადგმა, ქართველ მსახიობთა მოღვაწეობის დასაწყისი და მათ მიერ განვლილი გზა. ქართული დრამატურგია და მისი წარმომადგენლები, ქართული დრამატიული საზოგადოების ჩამოყალიბება და სხვა. აკაკი, როგორც ამ ამბავთა უშუალო დამსწრე და თვალითმხილველი, ზუსტად აღნუსხავს ყველაფერს და სწორედ ეს ხდის აკაკის ნაწერებს აუცილებელ საბუთებად ქართული თეატრის ისტორიისათვის და სწორედ ამიტომაც შეიძლება აკაკის სხვა მნიშვნელოვან და საეპოქო დამსახურებასთან ერთად, ერთ დიდ დამსახურებად ჩაეთვალოს ქართული თეატრის ისტორიკოსობა, ამ ისტორიისათვის უტყუარი მასალა-საბუთების გამოქვეყნება.

კრიტიკოსები და პუბლიცისტები

ეს პატარა ნარკვევები შეეხება ზოგიერთი ქართველი მოღვაწისა და მწერლის პუბლიცისტური მუშაობის თითო-ოროლა მომენტს. ქართული პუბლიცისტიკისა თუ ლიტერატურული კრიტიკის ისტორიებში ზოგიერთი მათგანი შეიძლება ვერც კი მოხვდეს, რადგან ისინი (როგორც, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანი, ან ალექსანდრე ცაგარელი) მწერლობის სხვა დარგებით უფრო იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანია მათი მოსაზრებები ლიტერატურული კრიტიკის, საერთოდ პუბლიცისტიკის თვალსაზრისით, რომ მათი მოუხსენებლობა შეუძლებელია. ქვემოთ დასახელებული ქართველი მწერლების უმეტესობა პუბლიცისტები იყვნენ მოწოდებით, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხების დაყენება-გადაწყვეტაში. გრ. ორბელიანი პუბლიცისტი არ ყოფილა, მაგრამ მისი ზოგიერთი თხზულება და კრიტიკული წერილი პუბლიცისტური არის.

გრიგოლ ორბელიანი

დიდმა პოეტმა ქართულ პუბლიცისტიკაშიც, კერძოდ ლიტერატურულ კრიტიკაშიც მიიღო მონაწილეობა 70-იან წლებში, როცა ორი თაობის ურთიერთობის პირველი ტალღა უკვე გავლილი იყო. გრ. ორბელიანის გამოსვლა სალიტერატურო კრიტიკის ასპარეზზე გამოიწვია ილია ჭავჭავაძის ცნობილმა „გამოცანებმა“, რომელთაგან ერთი მას, გრიგოლ ორბელიანს, შეეხებოდა. გრ. ორბელიანი ვერ დარჩებოდა ილია ჭავჭავაძის „გამოცანის“ მიმართ გულგრილად. მასში, მართალია, მორიდებით, მაგრამ მაინც პატრიოტული გრძნობა იყო გაკენწლილი იმ პოეტისა, რომელსაც „სადღეგრძელო“ უკვე დაწერი-

ლი და საბოლოო ვარიანტიც დამუშავებული ჰქონდა და გონებაში უტრიალებდა თემა ისეთი ლექსისა, როგორიც იყო „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, რაც პოეტური სახით 1877 წელს ჩამოაყალიბა.

70-იან წლებში გრიგოლ ორბელიანმა რამდენჯერმე მოჰკიდა ხელი კალამს და თავისი ნააზრევი მიმართა „შვილების“ წინააღმდეგ. თავისი სამოქალაქო და სამხედრო ძლიერებისა და მოქმედების დაცვის მიზნით, „შვილების“ „ცოდნისა“ და გამოცდილების გამოსამზეურებლად, გრ. ორბელიანმა 1872 წელს დაწერა ლექსად „გამოცანების“ პასუხი, რაც გადამუშავებული სახით 1874 წლის „ცისკარში“ გამოქვეყნდა „ძუძლი სემინარისტის“ ხელმოწერით ისე, როგორც მისი კრიტიკული წერილი — განხილვა გიორგი წერეთლის თხზულებისა „ქაქოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“ (იმავე 1874 წლის „ცისკარში“). 1876 წელს მან „დროების“ არსებობის ათი წლისთავის გამო აგრეთვე დაწერა ლექსი, რომელშიც ის თემა გაიმეორა, რაც ადრე დაწერილ ლექსებში და გ. წერეთლის თხზულების განხილვაში ჰქონდა გამოყენებული.

„გამოცანების პასუხში“ გრიგოლ ორბელიანი გამოდის 60 და 70-იანი წლების ქართველი ახალი თაობის საერთო შეფასებით. პოეტის ამოსავალი არის ის დიდი და ხანგრძლივი ომი, რომელიც კავკასიის დაპყრობასთან იყო დაკავშირებული და რომელშიც მრავალმა ადამიანმა, მათ შორის გრიგოლ ორბელიანმა, თავი ისახელა და გაიმარჯვების დროშაც ხელში აიღო.

გრ. ორბელიანის ლექსში მოჩანს დიდ სამხედრო მოქმედებათა ვეტერანი, რომელსაც ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწენი, ქართველი ჟურნალისტები, ქართული ლიტერატურისა და ენის დამცველნი 60—70-იან წლებში პატარად ეჩვენებიან. ასეთია სახელმოხვეჭილი სამხედრო მოღვაწისა და პოეტის განწყობილება, ამ თხზულებაში გამომჟღავნებული. კრიტიკული ცეცხლით აღგზნებული გრ. ორბელიანი ახალგაზრდებს უკიჟინებს ლიბერალობასა და პატრიოტიზმს. პოეტი-კრიტიკოსი ვერ მალავს თავის განწყობილებას მათ მიმართ, რომელთაც დააყენეს საკითხი ცხოვრების მოვალეობის ახლებურად აღსნისა და გონება დაუდვეს საფუძვლად საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა შესწავლის საქმეს, რომელთაც მხატვრულ შემოქმედებაში და პუბლიცისტიკაში ხმა აღიმაღლეს ადამიანის შეურაცხ-

მცოფელი მონობის წინააღმდეგ, რომელთაც სერიოზულად გააბსენეს საზოგადოებას და ჭვეყანას, რომ ახალი ცხოვრების დასაწყებად საჭირო იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ამოძრავება, ბრძოლა ჩამორჩენილობისა და არქაული სტილის წინააღმდეგ ცხოვრებაში და მწერლობაში. გრ. ორბელიანის შეხედულებით ეს ახალგაზრდები მხოლოდ ცრუ მეოცნებენი არიან, რომელთაც ქვეყნის გამდიდრება სურთ ცარიელი ჯიბით, რომელთაც სამშობლოს აღორძინება სურთ გაურკვეველი ეროვნული პროფილით, რომელთაც ენის გამდიდრება სურთ დამახინჯებული ენით, რომელთაც ვაქკაცური ხმა კი აღიმაღლეს, მაგრამ ნაძდევილად უღონონი და „ქაჩუა ჭიანჭველები“ არიან. „მამებს“ დროის დამცველი და მისი იდეალიზაციით გატაცებული პოეტი-კრიტიკოსი სიამაყის გრძნობით ჩამოთვლის იმ ადამიანებს, რომელთაც მრავალ ბრძოლაში მიუღიათ მონაწილეობა და მსხვერპლადაც შეწირულან, რომელთაც თავის დროზე ოსმალ-სპარსები და დაღესტნის მთები წამოუჩოქებიათ და რომელთა დიდი დამსახურებაც სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვაა.

გრიგოლ ორბელიანი ერთხელ დაკანონებულ-დაწესებულს ისეთ კატეგორიად მიიჩნევს, რომელიც არ უნდა იცვლებოდეს და არ უნდა ემორჩილებოდეს დროთა მიმდინარეობას. ახალი თაობის დანიშნულება მას წარმოდგენილი აქვს ძველი ადათ-წესების გამგრძელებლობაში. არსებითად პატრიოტი პოეტი-კრიტიკოსი თავის რისხვას მიმართავს ახალი თაობის იმ საქციელის წინააღმდეგ, რაც, მისი აზრით, ქართული ენის სიწმინდეს ემუქრება. გაზეთი „დროება“ მას მიაჩნია ქართული ენის დამმახინჯებლად, თუმცა ამავე დროს გამოთქვამს სრულიად მართებულ აზრს, რომ

ერის ცხოვრება,
მისი დიდება
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...

70-იანი წლების ქართული ჟურნალ-გაზეთების დახასიათებისას, რაც მოცემული აქვს ლექსში — „დროების ათი წლის იუბილე“, გრ. ორბელიანი ქებით იხსენიებს „ცისკარს“, რომლის საამო ხმა აღარ ისმის, ასევე უდროოდ დაბნელდა „მნათობი“ და „მართლქებუ-

ლი" „კრებული" და, რომ მხოლოდ „დროებაა" თავისი ნარევი ენით ქართული ენის ჰირისუფალი, რომელსაც არც გრამატიკა გააჩნია და არც ლოგიკა.

გრ. ორბელიანი 70-იან წლებში დაწერილ ლექსებში, რომლებშიც მისი მსოფლმხედველობა არის გამომჟღავნებული, კონკრეტულ ლიტერატურულ ფაქტებზე, მათ შეფასებაზე არ ჩერდება. პოეტს მხოლოდ საერთო მდგომარეობა აშფოთებს და ყველაზე მტკივნეულად ქართული ენის ე. წ. საეალალო მდგომარეობა მიაჩნია.

არსებითად ასეთი ხასიათისაა მისი კრიტიკული წერილი, რომელიც პოეტს დაუწერია 1873 წელს და გამოუქვეყნებია „ცისკარში" მომდევნო წლის სექტემბერ-ოქტომბრის ნომრებში. ეს კრიტიკული წერილი შეეხება გიორგი წერეთლის „მგზავრის წიგნებს", რომელსაც ავტორი აქვეყნებდა „დროებაში" 1867 წელს („დროება", № 12, 13, 15, 36, 37 და 39, აგრეთვე 1870 წ., № 16 და 22 და „კრებული", 1873 წ., № 5—6 და 9). გრ. ორბელიანს ამ შემთხვევაში აინტერესებს არა გ. წერეთლის იდეოლოგია და მისი მიმართულება, არამედ „მე ვეძიებ ქართულს მოთხრობაში მხოლოდ ქართულის ენის სიწმინდესა"-ო, ამბობს იგი. გრ. ორბელიანის წერილი უმთავრესად იხილავს მართლწერისა და სიტყვის ფუნქციის საკითხებს (სინტაქსის კანონებს). თვით კრიტიკული წერილი არის საინტერესო თავისი ქართულისათვის არაჩვეულებრივი ფორმების ხმარებით, რისი ნიმუშებიც ბეჭდვით ლიტერატურაში იშვიათად მოიპოვება, ისიც 60—70-იან წლებში. გრ. ორბელიანი, გამოდის რა ქართული ენის სიწმინდის დამცველად და ზოგიერთ შემთხვევაში აძლევს რა გ. წერეთელს სინტაქსური და მართლწერითი ხასიათის შენიშვნებს, თავის წერილს აგებს ძველი ნორმების გამოყენების პრინციპზე. მაგ., მიცემით ბრუნვაში დაყენებული სიტყვები პოეტ-კრიტიკოსს ში — თანდებულიან ფორმებში ყველგან ბრუნვის ნიშნით აქვს ნაწერი, მაგ., საქართველოსში, ლაპარაკსში, მოთხრობასში, ქუყანასში და ა. შ. გარდა ამისა, იგი ცდილობს თავის ადგილზე გამოიყენოს ე. წ. მოძველებული ასოები, რომელთაც იმდროინდელ ქართულ პრესაში, და თვით „ცისკარშიც" კი, აღარ ეთმობოდა მნიშვნელოვანი ადგილი. რასაკვირველია, შესაფერისად ძველი არის წინადადების წყობა და მრავალი სიტყვაც. წერილის გარეგნული მხარითაც კი გრ. ორბელიანმა 70-იან წლებშიც

თავისი პოზიცია არ უარყო და ისევე მოითხოვდა სამწერლო ენაში წინათ არსებული ფორმებისა და სიტყვათა შეხამების ძველი წესების ხმარებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მის ლექსებში სრულიად არ ვხვდებით კრიტიკულ წერილში ნახმარ ფორმებსა და გამოთქმებს.

ერთი საინტერესო მომენტია კიდევ ხაზგასასმელი. კერძოდ ის, რომ ამ კრიტიკულ წერილში მოცემული დახასიათება „მგზავრის წიგნების“ ავტორისა, ძლიერ ჰგავს იმ დახასიათებას, რაც გრ. ორბელიანს ახალგაზრდების მიმართ აქვს გამოთქმული ამ ხანებში დაწერილ ლექსებში.

გრ. ორბელიანს ამ კრიტიკულ წერილში, მიუხედავად თვით წერილის ენის არქაული ფორმისა, გამოთქმული აქვს საერთო მოსაზრება, რომ „მსგავსად სხუათა ენათა, ქართულსაცა აქუს თავისი თჳსება, თავისი კანონები მართლწერისა და უბნობისა, ესე იგი, თჳსი ღრამმატიკა, რომელიცა ასწავლის ყოველსა ამას თეორიტიკულად და რომლისა ზედ-მიწევნით ცოდნა საჭირო არის მწერალთა-თჳს...“ გრ. ორბელიანს საჭიროდ მიაჩნია მწერალმა იცოდეს ენა ან თეორიულად, ესე იგი გრამატიკის კანონების მიხედვით, ან პრაქტიკულად, ისე როგორც ეს იცის ქართველმა გლეხმა და რომელიც არასოდეს არ იტყვისო „იმან მოვიდა, ის მოვიდნენ, ანუ ისინი მოვიდა“ ანუ „ჩემი ახალი სახლში მობრძანდით“. ამასთანავე, მას საღმრთო წერილი მიაჩნია იმ დაუშრეტელ ენობრივ წყაროდ, რაც უნდა მწერლისაგან იქნეს გამოყენებული, კერძოდ, ქართული ენის შესასწავლად. იგი არისო, ამბობს გრ. ორბელიანი, — „მოულეველი საუნჯე ჩუენისა ენისა და რომელსმიაცა მაღალნი და ღრმანი ჰაზრნი არიან გამოთქმულნი ადვილად და მეტად მშუენიერის ფორმითა“. კრიტიკის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად მას მიაჩნია სწორედ ენის კანონების შემოწმება, ყურისგდება მხატვრულ თხზულებაში და მწერლობაში საერთოდ. რადგანო, ამბობს იგი, ჩვენს ენას სჭირდება გაწმენდა ზოგიერთი შეცდომებისაგან, რაც უცოდინარობის ან დაუდევრობის შედეგიაო. კრიტიკოსის ღრმა რწმენით კრიტიკის ასეთი ნაბიჯი მით უფრო საჭიროა, რადგანაც არის საშიშროება უკანონო ფორმებისა და შეცდომების განმტკიცებისა, რაც მომავალ განვითარებას, ცხადია, დაღად დაემჩნევა.

მართლწერის საკითხების გამორკვევისას ორბელიანი ფონეტიკის კანონების გამოყენებით გამართლებას პოულობს იმ ასოების ხმარებისათვის, რომელთაც თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ გამოუცხადა ბრძოლა და რომელნიც „ცისკრის“ გარდა იშვიათად თუ სხვა რომელიმე ქართულ გაზეთსა და ჟურნალში, ან წიგნში პოულობდა ადგილს.

შესანიშნავი თეორიული მოსაზრება აქვს გამოთქმული გრ. ორბელიანს თავისი კრიტიკული წერილის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „სიტყვსა-თჳს“. ეს მოსაზრება განმარტავს სიტყვის ძალას, იმ აზრის მოქმედებას, რაც სიტყვით არის გამოხატული: „იდეა, ჰაზრი, დაბადებული გონებასში, არის ჯერ ვითარცა არა არსი, უნაყოფო და უვარგისი, ვიდრე სიტყუა, განმაცხოველები ჰაზრისა, არა გამოსთქუამს მას ნათლად, არ გამოხატავს ცოცხლად, არა ჰყოფს თითქმის ხილულად და არა მიჰფენს ათასთა მსმენელთა გასაწმენდელად. გასანათლებლად სიბნელისაგან გონებისა და ზნეობისა მათისა! ამის გამო სიტყუა არსჰირუჱლი მიზეზი ჰსწავლისა და განათლების მოფენისა ქუჱყანაზე! სიტყუამ გამოიყუანა კაცი ველურისა მდგომარეობისაგან; სიტყუამ დაუმშვიდა მას მხეცური გული, ჰყო იგი ლმობიერ, მიჰსცა შებრალება და აღიყუანა სახიერებისა სიმაღლედ, სადაცა ჰსუფევს მეუფება სიყუარულისა და მოწყალებისა! აწცა სიტყუსავე ძალითა ირყევა ქუჱყანა!... სიტყუა გამომთქმელი ჰეშჱარიტებისა. არის უკუდავი და მოქმედ მარად-ჟამს!... დაირღუნენ ეგვჳპტისა პირამიდები, ბაბილონი შთანთქა მიწამ, მაგრამ სიტყუა, თქმული მოსესაგან, ჯერეთცა არის ცოცხალ და ჰმფლობელობს ქუჱყანაზე, ვითარცა ჰსჯული! სიტყუამ დააყენა კაცი მაღალსა მჳს დიდებისა ხარისხზედ, საიდამაც ეწ ჴელმწიფურად ჰბრძანებს და ბრძანებასა მისსა მორჩილებითა ისმენენ ჰაერი, ცეცხლი, უკიანე! სიტყუა არის ძალა მღთაებრივი, რომლისა შემწეობითა კაცი შეიქმნა მეფედ ქუჱყანისა!“ ამის გამო ჴწერალი მოვალეა კანონიერად და წესიერად ჰფლობდეს ამ ფასდაუდებელ განძს, ამ ბრძოლის იარაღს, აზრის გადმოცემის საშუალებას. სიტყვის წესიერად მოხმარების გარეშე შეუძლებელია აზრის გამოთქმა და ადამიანის შეგნებაზე მოქმედება, ადამიანში რაიმე ემოციების წარმოქმნა და გამოწვევა. ამის შემდეგ გრ. ორბელიანი ამარჯვებს პლატონ იოსელიანის გრამატიკას (ამის შესახებ თვით

ლაპარაკობს ამ წერილის ერთ მშვენიერ ლირიკულ გადახვევაში, სადაც ქალების წინაშე იხდის ბოდიშს, რომ ჩემს წერილში „ვერა ჰპოვებენ ვერცა პოეტიკურად აღწერილსა ვარდის სუნნელსა, ვერცა მარგარიტ-ცრემლსა დატანჯულისა სიყუარულისაგან და ვერცა სიცილსა მახჯილ-გონიერის მოთხრობისაგან“) და „მგზავრის წიგნების“ დამწერს გაახსენებს სიტყვათა შეთანხმების კანონს, სახელისაგან ზმნის მართვას რიცხვში, თანდებულიანი (ზე, ში) სიტყვების დაწერილობის კანონს... გრ. ორბელიანს საკმაოდ ბევრი მასალა ამოუკრეფია გიორგი წერეთლის მოთხრობის ტექსტიდან, რომელიც „კრებულში“ არის დასტამბული და ამ მაგალითებით იგი ადასტურებს, რომ თხზულების ავტორი მრავალ შეცდომას უშვებს[1]. მაგალითად: სტუდენტები დაგვიხვდა, შავი სქელი წვერები გულზე დაფენილი, მე თავი გავაქნიე, თავი უხეიროდ გავაქნიე და სხვა...

მეტად საყურადღებო აზრები აქვს გამოქმული გრიგოლ ორბელიანს ენის ბუნების შესახებ. კერძოდ, ენაში არსებული სიტყვიერი მარაგის რაობისა და ახლად შემატებულ სიტყვებზე. „ახალი სტილი ვერაოდეს ვერ შეაცვლის ენის ბუნებითსა თვსებასა, — წერს იგი. — მართალია, დროთა განმავლობასში ზოგიერთი სიტყუა, უვარგისობისა-გამო, ძუნწდება და აღარ იხმარება, მაგრამ ენის თვსება მყოფობს მარადის შეურყევლად. ენა არ არის მოგონებული ერთისა ვისგანმე. რომე მეორესა შეეძლოს ძირიანად შეცუნა მისი! შეისწავლეთ არა ბაზრის არეული ენა, არამედ მდიდარი, მშუნიერებით სავსე ქართული ენა, რომელსზედაც ლაპარაკობს, რომელსზედაც ლრცულობს და რომელსზედაც დაჰმღერის ქართველი კაცი!“ რომ ენის მფლობელი და შემქმნელი ხალხია, ეს შესანიშნავად იცის მწერალმა-კრიტიკოსმა, მაგრამ რომ ხალხის ენა არ შეიძლება ლიტერატურული ენა იყოს, ესეც ცხადია მისთვის. აქ იგი მწერლის მოვალეობაზე მსჯელობს: მწერალმა უნდა ენობრივი მასალიდან კარგი უვარგისისაგან გადაარჩიოს, გასწმინდოს, გაამშვენიეროს და ასე უნდა აიყვანოს სალიტერატურო სამფლობელოში, ხოლო შემდეგ ასე გალაზათებული ენა უნდა გადასცეს საზოგადოებას მოსახმარებლად, როგორც მფლობელსა და

---

[1] აღსანიშნავია ის, რომ გრ. ორბელიანის ამ წერილს პასუხი არ გასცა არც გიორგი წერეთელმა და არც სხვა რომელიმე „ახალგაზრდამ“.

პატრონს. „და ამ სახით უმეტეს და უმეტეს მშობიერდება ხალხის ენა და მით უმეტეს და უმეტეს ნათლდებაცა მისი გონება!“

ქართველი ხალხისა და სალიტერატურო ენის ურთიერთობის შესახებ მსჯელობისას გრ. ორბელიანი დაასკვნის, რომ სახსრებისა და კლასიკური ძეგლის — „ვეფხისტყაოსნის“ ენა ხალხურია, გლეხის ენაა, ოღონდ გაწყობილი და ლამაზად გამოთქმული.

გიორგი წერეთლის ამ თხზულებაში მართლაც ბევრი იმერიზმია, რომელთა ხმარებასაც ავტორი კონტროლს ვერ უწევდა. მართებულია გრიგოლ ორბელიანის ფაქტობრივი შენიშვნები, რადგან შეინიშნება მოთხრობის ენის აშკარა შეცდომა. კრიტიკოსს მაგალითებისა და მათზე მსჯელობის შემდეგ, შესაძლებლობის ფარგლებში, გამოაქვს დასკვნა და ეძებს მიზეზს, როგორც საფუძველს ენის ასეთი დამახინჯებისა, ეს მიზეზია „ისტორიული მიმდინარეობა ჟამთა ვითარებისა“. გრ. ორბელიანი გარკვეულად საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და სწავლა-აღზრდის სისტემის გადარჯულებაზე მიუთითებს. აღნიშნავს როგორც ველურ მოვლენას იმასაც, რომ „ქართულს ენასა აღარა ჰსწავლობენ, ენას არ ასწავლიან გულსმოდგინებით, არცა ღიმნაზიაში და აღარცა თჳთ სემინარიაში, ასე რომ ახლა იშვიათმა ქართველმა იცის ზედმიწევნით ენა თჳსი“.

დასასრულს გრ. ორბელიანი სამ ნაწარმოებს ადარებს ერთმანეთს — გიორგი წერეთლის „მგზავრის წიგნებს“, ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანსა“ და დ. ბაქრაძის „საქართველოს ისტორიას“. ეს ორი უკანასკნელი რამდენჯერმე წავიკითხე სიამოვნებით და კიკოლოკის მგზავრობა კი საზიზღრად მეჩვენაო. ამით გრ. ორბელიანმა ხაზი გაუსვა ორი შემოქმედის სტილს და, ცხადია, ღირსეული ღირსეულად მოიხსენია.

გრ. ორბელიანის მოსაზრება, ამრიგად, ეხება მწერლის სტილის ერთ უმთავრესად დამახასიათებელ მომენტს. რადგან აღებული მხატვრული თხზულების ენა არ არის სათანადოდ დახვეწილი და გამართული, მაშასადამე, არც თვით თხზულების იდეა შეიძლება იყოს უნაკლო და სრული. ამიტომ, დაასკვნის იგი, „რედაქციას აძევს მოვალეობა, რომ სასტიკი ყურადღება მიაქციოს ჩუნს მართლ-წერაზედ და კანონიერად ენის ხმარებაზედ, თორემ სრულებით უსარგებლოდ

დაშთება ესოდენი მისი ღვაწლი, ესოდენი შრომა და მეცადინეობა დაცვსა-თვს სიწმინდით ჩვენისა ენისა'

გრ. ორბელიანის ამ წერილს რომ ჩამოსცილდეს ძველი, ხელოვნური ქართულის დამახასიათებელი ფორმები, იგი სრულიად ჭართებული ანალიზი იქნებოდა 70-იანი წლების ერთი კონკრეტული ლიტერატურული ფაქტისა და აგრეთვე მის მსგავსად დაწერილი სხვა თხზულებებისაც. ამდენად გრ. ორბელიანის ეს კრიტიკული ნაშრომი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ პუბლიცისტიკაში და ლიტერატურულ კრიტიკაში.

ალექსანდრე ცაგარელი

ალ. ცაგარლის ყველაზე მნიშვნელოვანი წერილი, რომელშიც მან თავისი ესთეტიკური მოსაზრებანი გამოთქვა, იყო მისი თხზულება, გამოქვეყნებული 1870 წლის „დროებაში", რომელიც ეხებოდა ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანს"[1]. ალ. ცაგარელს მანამდე „ცისკარში" ჰქონდა დაბეჭდილი ორი წერილი. პირველ წერილში საზოგადოების იტალიური ოპერებით გატაცებაზე და ქართველთა მიერ ქართული წარმოდგენებისადმი გულგრილობაზე მსჯელობდა, ხოლო მეორეში რედაქტორის მძიმე მოვალეობას და ნიკოლოზ არღუთაშვილ-მხარგრძელის ლიტერატურულ მოღვაწეობას აფასებდა.

ი. ჭავჭავაძის აღნიშნული თხზულება კრიტიკოსს შეფასებული აქვს როგორც ქართველი ადამიანის ხასიათისა და მისი ყოფა-ვითარების ამსახველი ნაწარმოები. ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ მსჯელობისას კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ მწერალი მცირე დროს განმავლობაში იყო ქართული ლიტერატურის მედროშედ. მერე კი მიანება მეთაურობას თავი და უპატრონოდ დაჰყარა თავისი მიმდევარნიო. ვიდრე უშუალოდ საქმეს შეუდგებოდეს, კრიტიკოსი არკვევს რამდენიმე პრინციპულ საკითხს და თეორიულ მოსაზრებას: როგორი უნდა იყოს ლიტერატურის ძირითადი ხასიათი,

---

[1] „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში", „დროება", 1870 წ., №№ 2, 3, 4, 6 და 7.

რა ადგილი უჭირავს მწერლობით ლიტერატურას ზეპირსიტყვიერების მიმართ, როგორი იყო ქართული ლიტერატურის განვითარების გზა და რა თვისებები გამოაჩინა ქართულმა მხატვრულმა აზროვნებამ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებამდე. ალ. ცაგარელი დაახლოებით ისეთ გზას დაადგა, როგორიც ჰქონდა ბელინსკის, როცა იგი ალ. პუშკინის შესახებ თავის ცნობილ მიმოხილვას წერდა. ა. ცაგარელმა მოიხილა წინა ეტაპი ჭავჭავაძის შემოქმედების დაწყებამდე, ე. ი. რა შეიქმნა ადრე და რა მიიღო ილიამ, რა გადასცა მომდევნო განვითარებას ქართული ლიტერატურული აზროვნებისას. ალ. ცაგარელი ი. ჭავჭავაძის შემოქმედების და კონკრეტულად „კაცია-ადამიანის“ განხილვისას და ქართული ლიტერატურის წინა ეტაპის მიმოხილვისას, ეყრდნობა ლესინგის და იპოლიტე ტენის თეორიულ საფუძვლებს. იყენებს მათ პრინციპს და გზას, როგორც საუკეთესო კრიტიკოსებისას და ამრიგად მიმართავს ეროვნული ლიტერატურული ფაქტის ანალიზს. მიუხედავად ლესინგისა და ი. ტენის პრინციპების თავისებური პროგრესულობისა, უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ცაგარელს არა აქვს გამოყენებული ყოველთვის მართებული გზა წმინდა ქართული ცხოვრების ამსახველი ფაქტის შეფასებისათვის (ასე უწოდებს თვით ილ. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანს“). მრავალი მისი მოსაზრება, კერძოდ, ლიტერატურის ეროვნული ხასიათის შესახებ, მნიშვნელოვანია და მისი დროისათვის აუცილებლად პროგრესული და მარჯვეც. „ლიტერატურა უნდა იყოს ნაციონალური, — აღნიშნავს ხაზგასმით ალ. ცაგარელი, — იმ ხალხის სულისა და გულის, აზრების, ჩვეულების და ადათის, იმის შნოზედ და კილოზედ გამოჭრილი, რომელმაც (ე. ი. ხალხმა) ეს ლიტერატურა წარმოშვა; ერთის სიტყვით, ლიტერატურაში უნდა ჩანდეს ხალხის ნამდვილი სახე, რომელსაც ის ეკუთვნის. რამდენადაც თხზულება უფრო ნაციონალურია, იმდენად უფრო დიდი ღირსება აქვს, ხელოვნებაშიც მაღლა დგას და სარგებლობა მეტი მოაქვს“.

ალ. ცაგარელს შესანიშნავად აქვს გაგებული ეროვნული კულტურის მაჩვენებელი თხზულების ძალა, მისი ადგილი ზოგადსაკაცობრიო ლიტერატურაში. ამ შესანიშნავი მოსაზრების დასადასტურებლად ალ. ცაგარელი მიმართავს მსოფლიო ლიტერატურის დიდ წარმომადგენლებს, რომელთა შემოქმედება, პირველ ყოველისა, აგებულია ეროვნულ მოვლენებზე, მაგრამ რომელთაც ეს კერძო, ვიწრო ეროვნული

ამბები ისე მაღლა აუწევიათ, რომ მათთვის მიუციათ მსოფლიო რეზონანსი. თითოეული პოეტი, მწერალი პირველ რიგში თავისი ქვეყნისა და ხალხის ხასიათის მაჩვენებელი უნდა იყოს, პირველ რიგში უნდა თავისი ხალხის ფსიქოლოგიას ხატავდეს. მსოფლიო მნიშვნელობის თხზულებაში პირველ ელემენტად კრიტიკოსს ეროვნული მიუჩნევია, რომლის მარცვალზეც შეიძლება შეიქმნას და დაფუძნდეს თითოეული ლიტერატურული ფაქტის მსოფლიო მნიშვნელობა. „თხზულება, რომელსაც არა ჰყავს არავინ სახეში, არც არავის ეკუთვნის და ყველას ყოლა არ ყოლას უდრის“-ო.

მეორე პრინციპული საკითხი, კრიტიკოსის მიერ გამოყენებული, არის მწიგნობრული და ზეპირსიტყვაობითი პოეზიის ურთიერთობა და კავშირი. ალ. ცაგარელი ზეპირსიტყვიერებით პოეზიად მიიჩნევს ხალხის სიბრძნეს, ზნესა და წესს. ერთი სიტყვით, ყველა იმ დაუწერელ ვითარებას, რაც ხალხს გარკვეულ ეროვნულ სახეს უქმნის. პოეზია მხოლოდ მაშინ შეძლებს მიზნის მიღწევას, როცა იგი მტკიცედ იქნება დამყარებული ხალხის საფუძველზე, როცა ამოსული იქნება იმ ნიადაგზე, რომელსაც ის ეკუთვნის. „შტოებს ცოცხალი კავშირი უნდა ჰქონდეთ ფესვებთანო“ — წერს იგი. ლიტერატურამ ქალესტინის დაფნა და იტალიური ლიმონები არ უნდა გადაიტანოს არხანგელსკის გუბერნიაში და პოეტმა ბულბულების მომზადებულ საჭმელზე არ უნდა შეთხზას ნაშრომი. ყველა ქვეყანას, ყველა მოვლენას და ყველა ადამიანს გააჩნია თავისი ეროვნული ძირი, ხოლო ლიტერატურის დანიშნულებაა ასახოს ეს ყველაფერი, ოღონდ საკუთარი ეროვნული საფუძვლიდან აღმოცენებულ-ამოზრდილი.

მხატვრული ფაქტების შეფასებისას ალ. ცაგარელს, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსს, აინტერესებს ამ ფაქტის ლიტერატურული ღირსება — ენა, ფორმა, გრძნობისა და აზრის სიღრმე და ძალა. უახლოესი ლიტერატურული წარსული ალ. ცაგარელს სამ პერიოდად აქვს გაყოფილი. მისი პერიოდიზაციის პრინციპი ეყრდნობა არა რაიმე საზოგადოებრივ მოვლენებს, არამედ პიროვნებებს, რომელთაც ამა თუ იმ დროს გარკვეული ადგილი ეჭირათ ლიტერტაურული საქმიანობით. ამის მიხედვით პირველი პერიოდი ალ. ჭავჭავაძისა და ბესიკისაა. მეორე — გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის, მესამე — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის. მისი პერიოდიზაციის პირველი ეტაპის მონაცემების

ჩამოთვლის შემდეგ კრიტიკოსი დაასკვნის: „ამ ლექსთა წყობასა (ალ. ჭავჭავაძისა და ბესიკის) ნაციონალური კილო არა აქვს, ქართული ხატი არ უდგას. უმეტესი ნაწილი ლექსებისა ფერმკრთალია და სუსტი მიბაძვა სპარსული ლექსებისა, როგორც სიმღერის კილოთი, აგრეთვე ლექსთაწყობის შნოთი და საგნებითაც, რომლებზედაც ლექსები არიან გამოთქმული“. ალ. ცაგარელს ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში ვერ დაუნახავს, გარდა ზემოჩამოთვლილისა, სხვა უფრო მნიშვნელოვანი მომენტები, თუმცა ამ დროს უკვე გარკვეული აზრი იყო გამოთქმული, თუნდაც ილია ჭავჭავაძის იმ პატარა ლექსში, რომელიც პოეტმა ალ. ჭავჭავაძეს უძღვნა. ალ. ცაგარელმა ალ. ჭავჭავაძის ლექსებში მხოლოდ ტრფობისა და „დღეთა ლევნის“ ინტერესი დაინახა და პოეტი მთლად გამოთიშა ქართული ლიტერატურის პატრიოტული ნაკადიდან. ცხადია, ალ. ცაგარელს ხელი შეუშალა ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა გამოუცემლობამ. კრიტიკოსის მსჯელობა აგებულია მხოლოდ იმ თხზულებებზე, რომელნიც ესოდენ გავრცელებული იყო მაშინ, რომელთაც იმღეროდნენ დროსტარებისა და ქეიფის დროს და რომელთა საფუძველზეც შეეძლო კრიტიკოსს წარმოდგენა შეექმნა პოეტის შემოქმედებაზე[1].

ნ. ბარათაშვილი ალ. ცაგარელს წარმოუდგენია განცალკევებულ პოეტად, რომელიც არ გაჰყვა სხვების დაქნილ ბილიკს და ვერც სხვა ვინმე გაჰყვა შემდეგ მას. ალ. ცაგარელი სრულიად გარკვეულად ეწინააღმდეგება აკაკი წერეთლის აზრს, რომელმაც 1865 წელს „ცისკარში“ შესანიშნავი განმარტება მისცა ილ. ჭავჭავაძის პოეზიას, როგორც ნ. ბარათაშვილის შემოქმედებითი იდეების გამგრძელებელს. აღსანიშნავია, რომ ალ. ცაგარელი შესაფერი საილუსტრაციო მასალის მოხმობით ნ. ბარათაშვილის კარგ შემოქმედებით პორტრეტსა ხატავს. „ჯერ ერთი ყოფილა დიდად ნიჭიერი კაცი, ბუნებისაგან ღრმა ჭკუა-გონებით შემკული, რომელიც კაცს ყოველთვის ძალას ატანს დააცქერდეს თავის თავს და გარშემო საზოგადოებას, თავის სამშობლო მამულს და ხალხს, შეადაროს იმისი ავი თუ კარგი სხვა ხალხებისას, გამოჩხრიკოს მიზეზები, რომელთაც ამ ზნეობით მდგომარეობაში მიიყვანეს ის. თუ საშვე-

---

[1] წერილი ალ. ცაგარელს დაწერილი აქვს მიუნხენში, სადაც, სრულიად შესაძლებელია, მცირე ნაბეჭდი მასალაც კი (ჟურნალ „ცისკრის“ კომპლექტები) არ ექნებოდა.

ლია, უშველოს საზოგადოების ნაკლოვანებას, თუ არა და, გესლით სავსე სიტყვებით დასცინოს იმას". ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულება თავის თანამედროვე საზოგადოებასთან ალ. ცაგარელს გაგებული აქვს როგორც ფრანგ განმანათლებლის სკეპტიციზმი, რამაც ლიტერატურაში წარმოშვა ლუციფერი, მეფისტოფელი, დემონი. ამასთან, კრიტიკოსი ნაკლებად ითვალისწინებს იმ საზოგადოებრივ ვითარებას, რაც ნ. ბარათაშვილის დროინდელ საქართველოში იყო შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიური სიტუაციებით.

ერთი მშვენიერი გამონაკლისი, რომელმაც ფესვი გაიდგა და შემდგომ ლიტერატურას ქვაკუთხედად ედვა, ალ. ცაგარლის გაგებით, არის „ბედი ქართლისა", რომელიც ნაციონალურ-ქართული პოეზიის თესლად მიაჩნდა მას და რომელსაც შედეგად მოჰყვა მთელი ახალი ქართული ლიტერატურის განვითარება. ალ. ცაგარელი ხაზგასმით აღნიშნავს: „ეს გმირნი (მათში ნ. ბარათაშვილს გულისხმობს ალ. ცაგარელი) არიან როგორც გარეგანი გარემოების მსხვერპლნი, აგრეთვე თავიანთი ბუნებისავე ნიჭისა და მგზნებარე გრძნობისა, რომელიც იმათ გულში საკირესაით ანთია გაუქრობლივ და ნებას არ აძლევს არც ძილში და არც მღვიძარეს, რომ თავის ქერქში დადგნენ, ე. ი. მარტო თავიანთი თავი, ნათესავები და მეგობრები უყვარდეს და მარტო იმათზე ზრუნავდეს, თავისი ცხოვრება კი შემოიფარგლოს, კარგად წაიყვანოს და სხვებს თუნდ თავში ქვა უხლიათ და ქვა ქვაზედაც ნუ ყოფილა. დიახ, იმათი სიცოცხლე გრძელი ტანჯვაა: გვიკვირს ხოლმე, ისინი რომ სტირიან და სწუხან, როდესაც რომ სხვანი იცინიან... ცოტანი არიან ქვეყანაზედ ეს ჰაღალი გვარები, მაგრამ უიმათოდ ჩვენი ეროვნება უვარგისი იქნებოდა, ესენი არიან „მარილნი სოფლისანი" და მხოლოდ ესენი აზავებენ ჩვენ მწარე და ვაგლახ ცხოვრებასა"... უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ცაგარლის წერილში ბევრი ადგილი ამოუჭრია ცენზურას. კრიტიკოსი მაინც ახერხებს გამოთქვას აზრი, რომ ნ. ბარათაშვილი საოცარი და დიდი მოვლენა იყო ქართულ ლიტერატურაში, რომლის შემოქმედებითი ძალა ვიწრო პირადულსა და ეროვნულს ასცილდა. თავისი ლექსებით და პოემით ნ. ბარათაშვილმა აჩვენა დიდი სული ქართველობისა და სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი, რომ მისი შემოქმედება სანიმუშოა, სამაგალითოა და „მარილია" ჩვენი ლიტერატურისა.

ალ. ცაგარლის განსაზღვრით ქართული ლიტერატურის მეორე პერიოდი არის გიორგი ერისთავისა და მისი მიმდევრისა და მოწაფის ზ. ანტონოვის პერიოდი. პოპულარობის თვალსაზრისით გ. ერისთავს უპირატესობას აძლევს, თუმცა ნიჭით ქართველ სახელოვან პოეტებს, რომელთა შორის ჩამოთვლილია მხოლოდ რუსთაველი და ბარათაშვილი, მეტად ჩამორჩებაო. გ. ერისთავს კრიტიკოსი ანიჭებს იმავე მნიშვნელობას, როგორიც ჰქონდა პუშკინს რუსული ლიტერატურისათვის. რადგან „გაყრა" არის ჩვენი ხალხის მიუცილებელი მდგომარეობის ასახვა, ნამდვილად ნაციონალური კომედია, გ. ერისთავი მიჩნეულია ნაციონალური, ქართული ლიტერატურული ენის დასაბამად, ქართული თეატრის შემქმნელად, პირველი ქართული ჟურნალის დამაარსებლად. მთავარი მისი დამსახურება კი ის არის, რომ იგი სატირით მოვიდა ქართულ ლიტერატურაში და ამით გამოსახა დაწვრილებული ადამიანები, მათი არსი და უსიცოცხლო ვიწრო ინტერესები. გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის დიდი დამსახურება ის არის, რომ მათ დაბალ ხალხთან გააბეს ურთიერთობა თავისი ხელოვნებით.

ალ. ცაგარელი ქართული ლიტერატურის ისეთ პერიოდიზაციას იძლევა, როგორც ეს რუსული ლიტერატურის მიმართ ჰქონდა გაკეთებული ჩერნიშევსკის. პუშკინისა და ლერმონტოვის პერიოდს შემდეგ დადგა გოგოლის პერიოდი. „კაცია-ადამიანი" ალ. ცაგარელს მიუჩნევია ქართულ ლიტერატურაში გოგოლის პერიოდის დასაწყისად, რადგან ილია ჭავჭავაძის ამ თხზულებას იგი უკავშირებს გოგოლის „მკვდარ სულებს".

ალ. ცაგარლის მიმოხილვის დიდი ნაწილი ილია ჭავჭავაძის მანამდე გამოქვეყნებულ თხზულებათა გარჩევას უჭირავს. ალ. ცაგარლის შეხედულებით ილია ჭავჭავაძე ისეთი პოეტია, რომელსაც უღლის გამწვევი ტოლი არა მოეპოვება, „ილია ჭავჭავაძეები მარტო იბადებიან"-ო.

ალ. ცაგარელი ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ანალიზს იწყებს „გაზაფხულის" განხილვით და იგი ჩათვლილი აქვს სახალხო-ეროვნული შემოქმედების ნიმუშად. ლაკონურად მოცემულია მასში დინამიკა, მოძრაობა, გაზაფხულის დადგომის დიადი სურათი. ლექსის ფაქტურა მხოლოდ ქართველი კაცისათვის არის გასაგები. ლექსი მრავალი ფსიქოლოგიური მომენტითაა აღსავსე. აღნიშნულია ლექსის

ბუნებრივი მიმდინარეობა, ყოველგვარი ნაძალადევობის გარეშე. სიტყვათა ჩანჩქერი, შესანიშნავი და ამასთან ერთად უბრალო რითმა, გაზომილი მეტრი და არც ერთი ფრაზა ზედმეტი. ეს არის „მარტივისა და უალრესის“ კავშირი, ერთი მთლიანი სურათი ბუნების სიდიადისა და სამშობლოსათვის გულისტკივილისა. კრიტიკოსს საერთოდ აღნიშნული აქვს ილიას შემოქმედების თემატური სიმრავლე, ერთგვარი პოეტური გრძნობის გამოსახვით სხვადასხვა საგნების აღნიშვნა, ამასთან „სიტყვა-გამოთქმის საშინელი და შეუმაგრებელი ძალა, გულწრფელობა და გულღიაობა“, რომლისგანაც წარმოდგება ილია ჭავჭავაძის პოეზიის „ღრმა გრძნობა და ყოვლის შემძლებელი ზედმოქმედება, რომელიც მკითხველის ანუ მსმენელის გულს ეტანება და სწვავს... სწორედ იმას აგრძნობინებს, რაც პოეტს უნდოდა ეგრძნობინებინა“. ნ. ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე კრიტიკოსს შეუდარებია ჰაინესა და ბაირონისათვის. უკანასკნელი დიდი ღირსება, ალ. ცაგარლის აზრით, ილია ჭავჭავაძისა ის არის, რომ იგი „მაღალპოეტურია და მდაბალ-ცინიკურ სცენებს ერიდება“.

ამის შემდეგ ალ. ცაგარელი ჩამოთვლის ილ. ჭავჭავაძის პოეტური სიტყვის ნაკლოვან მხარეებს და უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს მისი ენისა და ლექსთაწყობის შეუმუშავებლობას, სინედლეს, „აგრეთვე შინაგანი თვისების შეუფერებლობას, ცოტა გრძნობის ქონვას ზოგ ლექსებში და ბევრ მსჯელობას“... „ნაციონალური კილოს უქონლობა და უკანასკნელ, შეუფერებელი პოეტის დანიშნულებისა. ხალხთან არშიყობა, გაკილვისა და ძრახვის შიში“. კრიტიკოსს „გაზაფხული“ მიუჩნევია უმაღლეს პოეტურ გამოსახულებად, რომლის მსგავსსაც მთელს შემოქმედებაში ვეღარ ნახულობს. ილიას ნიჭსაო,—განაგრძობს იგი,—აკლია იარაღი, საშუალება გამოსთქვას ყველაფერი, რაც სურს, ცხადად, ადვილად და სასიამოვნოდ. და, ალ. ცაგარელს დაუბუშავებელი, „გიმნაზისტური“ ფრაზის ნიმუშად მოაქვს „პოეტიდან“ სტრიქონი — „ვით ფრინველმა გარეგანმა“, სადაც გარეგანი ფრინველი უაზრობად არის მონათლული. კრიტიკოსს ნაჩვენები აქვს ულოგიკო, ან რუსული ფრაზის შესაბამისად დალაგებული ქართული წინადადების რამდენიმე მაგალითიც.

თუ ასეთი შეუსაბამობანი შედარებით იოლ შეცოდებად არის აღიარებული, სამაგიეროდ არის მეორე წყება უფრო დიდი შეცდომებისა — ესაა პოეზისაათვის შეუფერებელი, ძნელად სანდობი და

საკვლო ფილოსოფიური მსჯელობანი პოეტურ თხზულებაში. რადგან პოეზიის დანიშნულება, კრიტიკოსის მართებული აზრით, არის არა რიტორება, არამედ გრძნობის ან მგრძნობელობის გამოწვევა, და რადგან პოეტი გამომხატველია საგნისა ან მოქმედებისა და მათ შესახებ არა მსჯელობის გამმართველი, ამიტომ მწერალი უპირველეს ყოვლისა უნდა ცდილობდეს იმოქმედოს მკითხველის გულზე და გრძნობებზე და არა ტვინზე. გრძნობის აღმძვრელ უდიდეს პოეტად კრიტიკოსს მიჩნეული ჰყავს შექსპირი, რომლის შემოქმედებაში აღარ რჩება ადგილი მსჯელობისათვის გრძნობათა სიუხვის გამო.

ალ. ცაგარელი საკმაო ადგილს უთმობს მსჯელობას „კაცია-ადამიანის" სიუჟეტურ აღნაგობასა და კომპოზიციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები ბევრ რამეში ემსგავსება გოგოლის „მკვდარ სულებს", წერს იგი, მსგავსება მათ შორის მალე წყდება, შემდეგ კი არის მხოლოდ დამოუკიდებელი, ერთმანეთთან ხელოვნურად დაკავშირებული სცენები, სადაც არაა არც კვანძი, არც მოქმედება ანუ დრამა. არც მოქმედების დასასრული. ალ. ცაგარელი ხელოვნების ნაწარმოებისა და სინამდვილის ურთიერთობის შესახებ მსჯელობისას ჩერნიშევსკის თეორიას და ქართველი „თერგდალეულების" თეორიულ მოსაზრებებს იცავს, მისი აზრით, დედანი ხელოვნებისა უნდა იყოს სიცოცხლე, რომელშიც უპირველესი ადგილი სწორედ მოქმედებას, მოძრაობას უჭირავს. „კაცია-ადამიანი" მას მიაჩნია არა მოქმედების აღწერად, არამედ უბრალო ფაქტებისა და სურათების რეგისტრაციად. ამრიგად. კრიტიკოსი იცავს მხატვრულ ნაწარმოებში სინამდვილის გამოსახულების პრინციპს, მოქმედების აღწერას, კომპოზიციური ელემენტების დროულ და მართებულ განლაგებას.

გიორგი თუმანიშვილი

გიორგი თუმანიშვილი დიდხანს მუშაობდა თბილისის ქართულ და რუსულ პერიოდულ ორგანოებში, დიდი ნაცნობობა ჰქონდა მრავალ ქართველ, რუს და სომეხ მოღვაწესთან, მონაწილეობას იღებდა თეატრის საქმიანობაში და ბევრი წერილი აქვს დაბეჭდილი სხვადასხვა საკითხებზე „დროებაში". გ. თუმანიშვილმა ამ საუკუნის და-

საწყისში რამდენიმე წიგნი დაბეჭდა სათაურით «Характеристики и воспоминания», რომლებშიც ქართველი, რუსი და სომეხი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პორტრეტები მოათავსა. უმეტესობას პირადად იცნობდა, მათთან ჟურნალისტური ურთიერთობა ჰქონდა;— ზოგიერთებზე კი მამისაგან — მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილისაგან გაეგონა ბევრი რამ. წარმოშობით სომეხი, პირველ ხანებში იგი ახლოს იდგა ქართულ ლიტერატურასა და კრიტიკასთან, ქართველ მოღვაწეებთან და ქართველთა საქმიანობასთან, მან საკუთარი ალმანახიც შეადგინა და ორ წიგნად გამოსცა 1878—79 წლებში. მას გამოქვეყნებული აქვს წერილები და კრიტიკული მიმოხილვანი ქართველ მწერლებზე და მათ შემოქმედებაზე.

გ. თუმანიშვილმა „დროებაში“ (1875 წ., № 101, 102) დაბეჭდა შენიშვნა გრ. რჩეულიშვილის თხზულების „თამარ ბატონიშვილის“ გაცნობასთან დაკავშირებით, რომლის გმირების დახასიათებაც კრიტიკოსს გამოყენებული აქვს თანამედროვე ახალგაზრდობის შესაფასებლად. გ. თუმანიშვილი ხაზს უსვამს იმ მომენტს, რომ ნაწარმოების გმირი, შალვა, ნამდვილი ადამიანია, ესარჩლება დაჩაგრულს, არ მისდევს გამდიდრების სურვილს. ერთადერთი მიზანი, რომელიც გააჩნია ამ კრიტიკულ წერილს, ის არის, რომ განაქიქოს ახალგაზრდობა, დახატოს თავისებური „სამოღვაწეო“ გზა თავისი ეპოქის ინტელიგენტებისა, რომელთაც აღარ გააჩნიათ მაღალი ზნეობრივი თვისებები, ადამიანური ზრახვანი და სურვილები, რომელთაც დაუკარგავთ საზოგადოებრივი პრინციპი. გ. თუმანიშვილი ამ წერილში ნაკლებ ყურადღებას აქცევს მხატვრულ ფაქტებს, მის აღნაგობას, მის აზრსა და ენას. კრიტიკოსს აინტერესებს მხოლოდ ორი ისტორიული ეპოქის დაპირისპირება, ორი საზოგადოებისა. ერთში ჰარბად იყო სამშობლოს სიყვარული და ადამიანობა, მეორეში გამქრალა საზოგადოებრივი ინტერესი და ეგოისტურ წვრილმან გრძნობებს დაუპყრიათ ადამიანი. მართალია, კრიტიკოსი გაკვრით ლაპარაკობს მხატვრული ნაწარმოების დამახასიათებელ ზოგიერთ ნაკლოვან მხარეებზე, მაგრამ ეს მხოლოდ გაკვრით და სპორადულად. გრ. რჩეულიშვილს ვერ მოუხერხებია თავისი გმირების გრძნობათა დაწვრილებით გადმოცემაო. კრიტიკის ძალისა და მნიშვნელობის შესახებ, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას ეხება და მისი გამოსწორებისათვის ზრუნავს, გ. თუმა-

ნიშვილმა თქვა წერილში, რომელიც მიუძღვნა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ გამოცემას[1]. კრიტიკული სიტყვის თქმა, მისი განმარტებით, შეუძლია მხოლოდ ავტორთა მიმართ ერთგულად განწყობილ ადამიანს. ასეთ სიტყვას პატივისცემით მოპყრობა უნდა. მართალი სიტყვა ზოგჯერ წამალივით მწარეა, მაგრამ მეტად სასარგებლო და აუცილებელი, რადგანაც საზოგადოება მკაცრ სიტყვას გაურბის და პატივს არა სცემს, რადგანაც სიმართლე ყველას ეჩოთირება, ამდენად ძნელია ასეთი სიტყვის თქმა. ძნელია თქვა ის, რაც მეორეს პირდაპირ გულში მოხვდება. ისტორიულადაც ასე ყოფილაო, — ამბობს გ. თუმანიშვილი, — მართალი სიტყვის მთქმელს სდევნის და აწამებს საზოგადოება, „ხშირად, ძალიან ხშირად ხალხი ყურს არ ათხოვებს, ან ქვასაც კი ესვრის იმას, ვისაც არ შეუძლია იმის ფარისეველურად ქება„ ხშირად, ძალიან ხშირად საჭიროა, უსვინდისო ფარისეველობა, რომ მოიპოვოს კაცმა საზოგადოების მხრით სიყვარული“. გ. თუმანიშვილი ასეთ შეფასებას აძლევს თავის თანამედროვე საზოგადოებას, გულფუჭსა და ეგოისტს, მაგრამ ის არ კარგავს იმედს, რომ საზოგადოება ელის გაშოფხიზლებას, წესიერ და მართალ გზისკენ შეტრიალებას, რადგან საზოგადოებას ჰყავს ბევრი იმისთანა წევრი, რომელიც მის, საზოგადოების გამოტრიალებასა და გამოფხიზლებას ცდილობს, ესენი არიან ბერნე და ჰაინე, ვოლტერი და რაბლე, სვიფტი და დიკენსი, გოგოლი და დობროლიუბოვი. ქართულ ღარიბ მწერლობაშიც კი მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც გული სტკივათ ასეთი ვითარების გამო და რომელნიც ქართველი ხალხის მობრუნებისათვის იღვწიან.

დანიელ ჭონქაძის შემოქმედებაში, კრიტიკოსის შეხედულებით, მთავარია სიმართლე, „მწარე სინამდვილე“, რომელიც მკვეთრად აღწევს მკითხველამდე და აწყევლინებს ბატონყმობის ველურ სისტემას. მწერლის დამსახურება ის არის, რომ იგი ცხოვრების სიღრმეშია ჩახედული, ხალხში ტრიალებს, „თითონ სცხოვრობდა იმათში, ვისაც ხატავდა“. ამის გამო ჭონქაძეს ტიპიური მოვლენები და ადამიანები დაუხატავს, მისი პერსონაჟები მთლიანი ადამიანები არიან ცუდი და კარგი მხარეებით, განსაკუთრებით დურმიშხანი, რომელსაც გარკვეული მიზანი აქვს — გამდიდრდეს. ამისთვის ათასგვარ სისაძაგლეს სჩადის, თუმცა არაა მოკლებული ადამიანურ გრძნობასაც. ასე ცოცხლად

---

[1] „დროება,“ 1875 წ., № 117—119.

რომ დახატოს გმირები, მწერალს აუცილებლად ესაჭიროება ნიჭი, რაც „სურამის ციხის“ ავტორს უეჭველად გააჩნდა.

გ. თუმანიშვილის აზრით, რამდენადაც სრულია და უნაკლო დურმიშხანი, როგორც ცოცხალი სურათი ცოცხალი მოვლენისა, იმდენად ნაკლულია გულისვარდის გარდაქმნის პროცესი. შეყვარებული, წყნარი ადამიანიდან გაკაპასებულ-გაბოროტებულ მკითხავამდე გავლილი გზა ნაწარმოებში არ ჩანს. ამის მიზეზი ისაა, რომ დ. ჭონქაძე გრ. რჩეულიშვილის მსგავსად ცუდად იცნობდა ქალის ხასიათს.

საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყობლობა, აწეწილი ყოფა, გ. თუმანიშვილის აზრით, არის ერთადერთი საბაბი ნიჭიერი და ძლიერი პოეტის გაჩენისა. მისი შეხედულებით, ევროპაში თუ აღარ გაჩნდნენ XIX საუკუნის განმავლობაში შილერები, ალბათ იმიტომ, რომ იქ ცხოვრება შედარებით დაწყნარებული იყო.

ასეთია, მისი აზრით, საქართველოს მდგომარეობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში და სწორედ ამ აწეწილმა ყოფამ მოგვივლინა ისეთი ბუმბერაზი, როგორიც იყო ნიკო ბარათაშვილი. პოეტი, გულგრილად ვერ უყურებდა „ცრუსა და მუხთალ“ ქვეყანას, იგი ობლობაზე წერდა ლექსებს და ვისაც გული არ ჰქონდა გაქვავებული, ყველა კითხულობდა და განიცდიდა მას.

ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი (1876 წლის) გამოცემისთვის არის დაწერილი გ. თუმანიშვილის მოკლე მიმოხილვა, რომელშიც კრიტიკოსი ხოტბას ასხამს პოეტს საზოგადოებრივი ინტერესის გამოჩენისათვის, პირადი განცდებისაგან განდგომის სურვილისათვის, მოწინავე, პატრიოტული იდეების გამოთქმისათვის. ნ. ბარათაშვილის ლექსები, რომელნიც კეთილშობილური აზრით უანგარო აღტაცების გამომხატველია, შფოთვისა და ძლიერი გულის დიდი მწუხარების მაჩვენებელია და ყველაფერს ამას საფუძვლად უდევს სამშობლოს სიყვარული და მოძმესათვის ზრუნვა. ეს არის უკვდავების მიზეზი, მხოლოდ ასეთი უნდა იყოს შემოქმედება. გ. თუმანიშვილის პოეტური შემოქმედების ნამდვილ წყაროდ ნამდვილი ცხოვრება აქვს მიჩნეული. იგი რეალისტური პრინციპების დამცველი იყო და ებრძოდა იმ ზერელე, სხვაზე მიმსგავსებულ პოეზიას, მხატვრულ სიტყვას, რომელშიც ხალხურ-საზოგადოებრივი არ ჩანდა, არ იყო საერთო-საკაცობრიო, ხალხის გულის წუხილის მაჩვენებელი.

გ. თუმანიშვილმა 1878 და 1879 წელს გამოსცა „ალმანახის“ ორი წიგნი. პირველ წიგნში მან მოათავსა „შარშანდელი ქართული მწერლობის გადათვალიერება“, რომელშიც რამდენიმე ორიგინალური და თარგმნილი თხზულება განიხილა. როგორც წინა წერილებში, ისე აქაც კრიტიკოსი საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნებას ჩიოდა. აღნიშნავდა ორი ქვეყნის — საქართველოს და ევროპის მდგომარეობის განსხვავებას, ევროპიელი მუშის მდგომარეობას, მის ცოტად თუ ბევრად პოლიტიკური უფლებებით შეიარაღებას, რაც იმის მიზეზად მიაჩნდა, რომ იქაური მუშა გარკვეულ კლასობრივ შეგნებაზე დგას, იცავს და მოითხოვს უფლებებს. ქართველ მუშას კი, რადგან არც უფლება აქვს და არც ბრძოლა ახასიათებს, მხოლოდ საიქიო ცხოვრებაში მოსვენება ენატრება, რაც ასე კარგად არის დახატული ქსნის-ხეველის (გრ. ორბელიანის) „მუშა ბოქულაძე“-შიო.

თავისი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნება მიაჩნდა იმის მიზეზად, რომ მწერლობა აღარ იყო მკვეთრი და ამაღელვებელი. სანიმუშოდ, თავისი „ალმანახის“ მეორე წიგნში, წერილში „ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“, გ. თუმანიშვილი ასახელებს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ორ პერიოდს; პირველს — როცა პოეტმა დაწერა „მუშა“ და „პოეტი“ და რომლებიც მკითხველს მოსწონდა არა მხატვრული ხერხების გამოყენებით, არამედ იმ ღრმად მნიშვნელოვანი აზრით, რომლითაც აღელვებდა პოეტი საზოგადოებას.

ილ. ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“, რომელიც უფრო მსუბუქი, ცოცხალი და ხალხური ენითაა დაწერილი, ვიდრე მისი ადრინდელი ლექსები, მკითხველამდე იმ გრძნობითა და ცეცხლით ვერ მივიდა, როგორც საჭირო იყო და მოეთხოვებოდა ილ. ჭავჭავაძის თხზულებასო. ილ. ჭავჭავაძის ლექსებს ადრე ნეკრასოვის ლექსის ხმა ჰქონდა და სწორედ ამით გადიოდა იგი ხალხში. ყველას მოსწონდა არა ფორმა, არამედ დემოკრატიული შინაარსი, კაცის გულის მძლავრად ჩვენება, ახალი აზრები და გრძნობები. ილ. ჭავჭავაძის ადრინდელი შემოქმედების ღირებულება, კრიტიკოსის აზრით, შეუქმნია დროს და ვითარებას. ბატონყმობის დროს დაწერილმა ლექსებმა იქადაგეს კაცთმოყვარეობა, ძმობა და თანასწორობა, ისტორიულ პოემაში კი ეს მშვენიერი იდეები აღარ ჟღერს, პოეტი ახალ აზრს არ ანვითარებს და ადამიანის გულს ახალი გრძნობის ხაზს არ უმატებს.

პოემა ათასჯერ უკეთესი იქნებოდა, — წერს კრიტიკოსი, — „თუ იმაში გამოყვანილი იქნებოდა ახალგაზრდა ცხოვრებისაგან ჯერ არ გაფუჭებული კაცის ტანჯვა ერთ ლუკმა პურის შოვნაზე. აბა ერთი დაეხატა ილ. ჭავჭავაძეს რამდენჯერ ეცემა ხოლძე ტალახში ჩვენებური კაცი. რამდენჯერ ივიწყებს თავის წმინდა გრძნობას, რომ შიმშილით არ მოკვდეს, რამდენ სილასა სჭამს, რომ უბრალოდ არ დაიღუპოს. რა გარემოებას მიჰყავს ახალგაზრდა კაცი თვითმკვლელობამდე, რა ადვილია ჩვენებური გლეხის დაჩაგვა და დანელება და მაშინ დარწმუნებული იყავით, ილ. ჭავჭავაძის ახალ პოემას ისევე დიდი გავლენა ექნებოდა ჩვენზე, როგორც იმის „მუშას“ და „პოეტს“, ან ნეკრასოვის „Размышления у парадного подъезда“-ს“.

როგორც ილია ჭავჭავაძის, აგრეთვე აკაკი წერეთლის თავისი თანამედროვე შემოქმედება გ. თუმანიშვილს შემდგომ განვითარებად არ მიუჩნევია, რადგან მწერლები, რომელნიც თავში ედგნენ ლიტერატურას, ახალს აღარაფერს ქმნიან და თუ დაწერეს რამე, ის არ არის თანამედროვე ცხოვრების დარჯაში გატარებულიო. ისეთმა ნიჭიერმა პოეტებმა, როგორიც არიან ილ. ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ვერ აიცდინეს ჟურნალ-გაზეთების ახლანდელი მიმართულების ძალაო. ეს კი არის ფელეტონის, პუბლიცისტიკის, კორესპონდენციის დრო, რამაც მხატვრული ძალა შემოქმედებისა შეასუსტაო. „ვიმეორებ: ქართული გაზეთი ან ჟურნალი აღარ არის თავის საზოგადოების წინამძღოლი, ის არის ეხლა მხოლოდ ამ საზოგადოების თანასწორი, იმის გამრთობი და იმისაებრ მღეჭველი, დაობებული ჰეშმარიტებებისა“.

გ. თუმანიშვილის ეს წერილი საკამათოდ იქცა. „დროებაში“ მას პასუხი გასცა ალექსანდრე ჭყონიამ (მაჭახელიძეს ფსევდონიმით. „დროება“, 1879 წ., № 33). ალ. ჭყონიამ უპასუხა გ. თუმანიშვილს, რომ აზრი, როცა არ უნდა იყოს გამოთქმული, თუკი იგი არ მისულა ხალხის შეგნებამდე, ყოველთვის ახალი და აუცილებლად საჭიროაო.

ალ. ჭყონია წერდა: „უფ. გ. თუმანიშვილის აზრით, ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებული“ და აკ. წერეთლის „სხვადასხვა ერი“ არ. ვარგიან იმიტომ, რომ იგინი ქადაგებენ „მამულის სიყვარულს“, „თავისუფლებას“, „ძმობას“ და „თანასწორობას“. რომელიც მას ძველ ჰეშმარიტებად მიაჩნია, რადგან ზოგი ამ აზრთაგანი გამოუთქვამს ადრე სხვა მწერალს, ზოგი კი ან სახარებაში სწერია, ან

ანბანშიო“. ალ. ჭყონიას ასეთი მსჯელობა მიაჩნდა მოდების გამომგონებლის მსჯელობად. აზრები კი ყოველთვის უნდა იქადაგოს მწერალმა, ვიდრე საჭიროა მათი ქადაგება. „ყოველი აზრი ჩვენთვის ახალია, თუ რომ ჩვენ ის არ შეგვითვისებია და ჩვენ კანონად არ გაგვიხდია. ამ შეთვისებამ იმ ხარისხამდი უნდა მიაღწიოს, როცა ყოველი კაცი მიღვისებულ აზრს უყურებს, როგორც უძვირფასეს თავის საკუთრებას, როგორც თავის სიცოცხლეს და სულს“.

ალ. ჭყონია შედარებით მართებულია, რადგან გ. თუმანიშვილი ამ მხრივ უსწორდებოდა რუსულ ლიტერატურას და რუსულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და ივიწყებდა ქართველი ხალხის სპეციფიკას, მის პოლიტიკურ მდგომარეობას და სახეს.

ვლადიმერ მიქელაძე

ქართული ლიტერატურული კრიტიკის ასპარეზზე ბევრი მოღვაწე გამოვიდა და თავისი დროის მოწინავე აზრი გამოთქვა. კრიტიკოსები იხილავდნენ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, თავის თანამედროვე ლიტერატურის ფაქტებს. ამ მხრივ საინტერესო წერილები აქვს გამოქვეყნებული ვლადიმერ მიქელაძეს ნიკო ბარათაშვილისა და ეკ. გაბაშვილის შესახებ. ვლ. მიქელაძეს განზრახული ჰქონია წერილთა სერიის გამოქვეყნება. რომელთაგანაც პირველი მიუძღვნია ნ. ბარათაშვილის პოეზიის მიმოხილვისათვის[1].

ქართველები ვლ. მიქელაძეს მიაჩნია ისეთ ხალხად, რომელსაც შესაფერი ადგილი უნდა ეჭიროს მოწინავე ერებს შორის, მაგრამ ცხოვრებამ იგი ვერ ჩააყენა შესაფერის კალაპოტში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველობას მრავალი ჭირი გადახდენია და კაცობრიობის წინაშე გარკვეული დამსახურება მიუძღვის, მაინც შესაფერი ადგილი ვერ დაუმკვიდრებია. ამის მიზეზი, ვლ. მიქელაძის შეხედულებით, ის არის, რომ უდროოდ შეჩერდა პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობა საქართველოში. ახალმა წყობილებამ დაამცირა ნაციონალური შეგნების ძალა, ხალხს მოუხდა ახალ ვითარებასთან შეგუება. „წარსული

---

[1] „დროება“, 1881 წ., №39, „ჩვენს ლიტერატურაზედ—ნიკო ბარათაშვილი“.

თანდათან გვშორდებოდა და მომავალი მკაცრი წყვდიადით იყო შეპოსილი, ნათელი სხივი ძველის არსებობისა ჯერ კიდეც არ გამქრალიყო, მომავალი კი განთიადს არ გვიქადდა: ბნელი ახლოვდებოდა, სინათლე კი იბეჭუტებოდა". ორი ეპოქის ბრძოლამ, ძველის გამოტირებამ და ახლისთვის ზრუნვამ წარმოშვა ნ. ბარათაშვილი. ამან განსაზღვრა პოეტის შემოქმედება, რომელშიც გამოიხატა გარდამავალი წამი, ჩვენი საზოგადოების განწყობილება, სულიერი ბრძოლა, გამოუთქმელი მწუხარება. პოეტი გადაიქცა ხალხის გულის მესაიდუმლედ, მან გამოხატა ხალხის აზრი, ჰიდილი, მწუხარება, ბრძოლა, სიცოცხლის უნარი და შეჰიდება დიდ და უკუღმართ ძალებთან. ნ. ბარათაშვილი იყო გამომთქმელი მთელი თავის მომავლის კაეშნისა და დახშული გრძნობებისაო, — აღნიშნავს საზგასმით ვლ. მიქელაძე. როგორც ხალხის სურვილთა გამომთქმელი, ნ. ბარათაშვილი აჩვენებს საქართველოს ვითარებას. წარსული დაკარგული იყო, ხალხი, ერი სასოწარკვეთით ეძებდა თავის ხვედრს, მაგრამ ვერ პოულობდა საშველს, რაც პოეტმა გამოხატა თავისი ლირიკის შესანიშნავ მარგალიტებში. კრიტიკოსს დიდი პოეტი დაკავშირებული ჰყავს ხალხთან, „აქ მრთელის ერისა და პოეტის გრძნობა ერთმანეთზე არის გადაბმული, ერთის მეორისაგან დაშორება შეუძლებელია, თითქოს პირველზე აღზრდილია მეორე".

საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხა, როცა ხალხი შეეგუა ახალ ვითარებას, კრიტიკოსს მიაჩნია ნ. ბარათაშვილის შემოქმედების გარდატეხის მაჩვენებლად. მაშინ დაწერა პოეტმა „საფლავი მეფის ირაკლისა", რომელშიც იმდროინდელი საზოგადოების შემობრუნება არის ასახული.

ვლ. მიქელაძის წერილში მნიშვნელოვანია ის, რომ ნ. ბარათაშვილი, როგორც პოეტი, მას მიუჩნევია მშობლიური ხალხის ბედის თანაზიარად, რომ დიდი პოეტი ხალხთან არის დაკავშირებული და მის შემოქმედებაში სრულიად თავისუფლად შეიძლება ხალხის ყოფის ანარეკლი გამოჩნდეს.

ამასთანავე, ეს კრიტიკული წერილი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზია განხილულია როგორც მხატვრული შემოქმედება, როგორც სულიერი ბრძოლის გამოვლინება, შემკული გრძნობათა ზვირთებით, ძალითა და მღელვარებით, რითაც იგი

მკითხველის შეგნებამდე მიდის. მის ლექსს შეუძლია გაიტაცოს მკითხველი, ააცილოს ყოველდღიურ ცხოვრების ვარამს, დააივიწყოს წუხილი და ჭირი, თავისი პოეტური შემართებით. მაგრამ მთავარი აზრი კრიტიკულ მიმოხილვისა ის არის, რომ „ჩვენ მხოლოდ გვსურდა გვეჩვენებინა, თუ რა დამოკიდებულება აქვს ბარათაშვილის მუზას საქართველოს საზოგადოების მდგომარეობასთან“, რომ ბარათაშვილი იყო კაეშნის პოეტი, ქართველი ხალხის გულისტკივილის გამომთქმელი.

მეორე წერილში („დროება“, 1881 წ., № 45—46) ვლ. მიქელაძე ყურადღებას აჩერებს „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ეკ. გაბაშვილის მოთხრობაზე „რომანი დიდხევაში“. ვლ. მიქელაძე მსჯელობს კრიტიკის პრინციპულობაზე, მის მიზანზე, რომელიც არის საზოგადოების სამსახური. მთავარია ლიტერატურული ნაწარმოების აზრი და მიზანი და არა ის, თუ ვინ იქნება მისი დამწერი. კრიტიკის მიზანია ძირშივე მოსპოს ნაწარმოები, თუკი მას საზოგადოებრივი ღირსება არ გააჩნია, არ წააქეზოს ტკბილი სიტყვით, ან დუმილით უხამსი და უმიზნო ნაწარმოები. მწერალი, — წერს ვლ. მიქელაძე, — „შრომობს საზოგადოებისათვის, და თუ ეს შრომა უნაყოფოა, თუ მისს ნაწარმოებში არ გამოიხატება ნიჭი, თუ მისი თხზულება უსარგებლოა, უეჭველად ჩვენ ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ მოვაცილოთ უსარგებლო თხზულების ავტორი მწერლობას, რადგან ურიგო ნაჯღაბნი მკითხველის გემოს ამახინჯებს და გონიერებას უბლაგვავს.“ კრიტიკის ეს დანიშნულება სრულიად მართებულად გაუგია ვლ. მიქელაძეს. ქართული ლიტერატურის მდგომარეობა მას ისეთ ეტაპზე წარმოუდგენია, რომ მხოლოდ ნამდვილმა მხატვრულმა ნაწარმოებმა შეიძლება ივარგოს ხალხისათვის, იქონიოს მასზე გავლენა და გამოასწოროს მისი ვითარება, ან აღზარდოს მკითხველი.

ეკ. გაბაშვილის აღნიშნული თხზულების მნიშვნელობა კრიტიკოსს ქართული ღარიბი ბელეტრისტიკისათვის უყურადღების ღირსად ჩაცვნია. სხვა რომელიმე განათლებული ხალხის ლიტერატურაში შეიძლება მას მნიშვნელობა არ ჰქონოდა, მაგრამ ჩვენთვის და ჩვენი ლიტერატურისათვის იგი მნიშვნელობას მოკლებული არ არისო. ჯერ ერთი, მწერალს იგი უწონებს ენას, რომ სტილი მისი არ არის დამახინჯებული ბარბარიზმებით და დაკვირვების ნიჭიც გააჩნია. მაგრამ კრი-

ტიკოსს საჭიროდ ჩაუთვლია აღენიშნა გარკვეული სქემატურობა ნაწარმოებისა, რომ მწერალი პირდაპირ გამოკვეთს ნაწარმოების კონფლიქტს, რომ უცებ ინასკვება იგი და უცბადვე, ყოველგვარი მოსამზადებელი საფეხურის, საჭირო ექსპოზიციის გარეშე იწყება რომანი. მოქმედი პირების ხასიათის არამართებული გაშლა, გმირის მოქცევის და ცხოვრების პრაქტიკის ურთიერთდაცილება. კრიტიკოსს ერთ მნიშვნელოვან ნაკლად ჩაუთვლია მწერლისთვის. მთავარი გმირი ყოველმხრივ უნაკლოდ რომ გამოიყვანოს, ამისათვის ნაწარმოებში ჩართულია ეპიზოდი მოურავ ივანიკასი და პავლეს შეხვედრისა, რაც კრიტიკოსს არ მიაჩნია არსებითი და ნამდვილი ცხოვრების სურათად. ივანიკას დამოკიდებულება გლეხებთან, ერთ-ერთი მთავარი მომენტი ქართველი გლეხობის მდგომარეობისა, არაა სრულად გაშლილი და გაანალიზებული ნაწარმოებში. მოქმედების შემდეგ განვითარებაში მოურავსა და გლეხების შორის დამოკიდებულება აღარ ჩანს და ამიტომ ეს ეპიზოდი არ არის ნაწარმოების ორგანული ნაწილი, იგი მხოლოდ ხელოვნურად ჩაკერებული მომენტია გმირის ხასიათის გასამდიდრებლად. „ბელეტრისტულ თხზულებას ნაკუწ-ნაკუწი ეპიზოდები და ძალით ჩაკერებული ანტიტეზები. რომელთაც არა აქვთ დაახლოებული ორგანული კავშირი და დამოკიდებულება მთელის რომანის მექანიზმთან, რომელთაც არ აქვთ გაბნეული ფესვები მთელის თხზულების სხეულში, ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენენ ხოლმე მკითხველზე და არღვევს აზრის ერთიანობას".

კრიტიკოსს შეუმჩნევია ეკ. გაბაშვილის შემოქმედების ერთი სუსტი მხარე, რომელიც ამ თხზულებაშიც ჩანს და მწერალი ქალის სხვა ნაწარმოებებშიც. კერძოდ ის, რომ მწერალი იძლევა გამზადებულ სურათებს და მკითხველს პირდაპირ აწვდის მზამზარეულ ეპიზოდებს მათი განვითარებისა და წინააღმდეგობის გარეშე მოქმედების გარეშე. „მხატვრობას ორნაირად შეუძლია გვაჩვენოს ვინმეს ხასიათი: ავიღოთ, მაგალითებრ, გარყვნილობა: ხიშიერს და ხელოვნურ მხატვარს შეუძლია წარმოგვიდგინოს სულით და სხეულით დაცემული კაცი, რომლის თვალებშიაც წავიკითხავთ საშინელ გარყვნილებას, გამჯდარს მთელს მის არსებაში; ერთი უბრალო პირის კანის მოძრაობა წარმოგვიდგენს ზნეობით დაცემის სურათს და იმ მყრალ ტალახს, რომელშიაც ამოსვრილია მთელი მისი სული და ხორცი. ეს იქნება უმაღლესი ხელოვნება, მაღალ-გვარის მხატვრობა". უნიჭო

ნახატვარს კი ამის გაკეთება არ ძალუძს, ის პირდაპირ ილაპარაკებს ასეთ ადამიანზე და ეცდება მისი გარეგნობა ისე გამოხატოს, რომ მკითხველს დაუფიქრებლად შეეძლოს გარეგანი ნიშნებით მიხვდეს ვისზეა ლაპარაკი.

კრიტიკოსს სქემატურად მიაჩნია თხზულების ის ნაწილიც, სადაც ლაპარაკია სიყვარულზე, რომელიც აუცილებლად გაზაფხულზე უნდა გაჩნდეს, ჯარდით, ბულბულით, ლაჟვარდი ცის კამარით და გრძნობათა ასაღელვებელი სხვა აქსესუარით.

რადგან ავტორს გარკვეული ტენდენცია აქვს, ე. ი. ტენდენციურად უდგება ყველა მომენტსა თუ გმირს, გასაგებია, რომ ნაწარმოების მსვლელობისას ცხადი ხდება დასასრული. პავლე, ნაწარმოების მთავარი გმირი, არის არაპოეტური გრძნობისა და შემოქმედების შედეგი, არამედ ნაყოფია ავტორის მოაზრებისა, გონიერებისა. პაელე არის ტენდენციის ნაყოფი და არა შემოქმედების შედეგი.

ვლ. მიქელაძის აზრით, ეკ. გაბაშვილი სოფლის ცხოვრებიდან აღებული პატარა სურათებით უფრო ნიჭს გამოაჩენს, ვიდრე დიდტანიანი თხზულებების წერით, და ურჩევს მწერალ ქალს პატარა მოთხრობების წერას მოჰკიდოს ხელი.

ბოსლეველი

(ესტატე მჭედლიძე)

XIX საუკუნის 80-იანი წლების მოღვაწეს, პუბლიცისტსა და კრიტიკოსს — ესტატე მჭედლიძეს (ბოსლეველს), დიდხანს არ დასცალდა ქართული მწერლობის ასპარეზზე ყოფნა, იგი სულ ახალგაზრდა, შემოქმედების ძალთა გაშლისას დაიღუპა. უსტ. მჭედლიძე ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე თავისი დროის ბევრ მნიშვნელოვან საკითხს შეეხო. განძარტა საზოგადოებრივი მოვლენანი და მოგვცა საგულისხმო შეფასებანი თავისი თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებისა. მის მიერ დატოვებულ პუბლიცისტურ-კრიტიკულ მემკვიდრეობაში მოიპოვება როგორც მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების ანალიზი, აგრეთვე მსჯელობა სწავლა-განათლების სისტემისა და თვითმმართველობის საკითხებზე, საზოგადოებრივი ცხოვრების მიმოხილვანი და ფელეტონები, გამოხმაურებანი იმ პრობლემებზე, რაც 80-იან წლებში ქართველ საზოგადოებას გადასაწყვეტი ჰქონდა.

რომანოზ ფანცხავას სიტყვით, ბოსლეველი უკუთვნოდა ქართველ პუბლიცისტთა იმ წყებას, რომელიც 80-იან წლებში გამოვიდა საზოგადოებრივი მუშაობის სარბიელზე და შრომა და ენერგია სამშობლოს სამსახურს შეალია. „ამ თაობას სწამდა, — წერდა რომანოზ ფანცხავა,— რომ ის ახალი ხანა, რომელიც მოჰყვა საქართველოში ყმების განთავისუფლებას, ჩვენს ხალხსაც შთაბერავდა უკვდავების სულს, გულში აუნთებდა უკეთესი მომავლის იმედს და ეროვნული ბარღვის ცემაც დაიწყებოდა უფრო ძლიერად და ღრმად“. ამ სურვილებმა და შეხედულებებმა შემოქმედებით ასპარეზზე გამოიყვანა მთელი თაობა ახალგაზრდებისა, რომელთა შორის იყვნენო — განაგრძობს რ. ფანცხავა: ივანე მაჩაბელი, ალ. მოჩხუბარიძე, ბოსლეველი,

ილია ხონელი და სხვანი. რ. ფანცხავას დახასიათებით ეს ქართველი მოღვაწენი ყველა ერთად მტლად დაედო თავის სამშობლოს, სულითა და გულით, მთელი თავისი არსებით ისინი ჟურნალისტები იყვნენ, რომელთა ნიჭიერი კალამი აზვირთებული ცხოვრების დუღილს უნდა ჩარევოდა ყოველთვის მხნედ და თავდავიწყებით[1].

რ. ფანცხავას სიმონ ხუნდაძესთან საუბარში უთქვამს, რომ გაზეთ „შრომას“, რომელიც ბოსლეველის ხელმძღვანელობით გამოდიოდა, მაშინდელი ახალი თაობის სულიერ აღზრდაში საგრძნობი როლი მიუძღვის. ს. ხუნდაძე წერდა: „ჩემთვის პირადად არაერთხელ გადმოუცია ხომლელს, თუ როგორის აღფრთოვანებით შესცქეროდა ახალგაზრდობა კრიტიკოს ბოსლეველს: მოსწავლე ახალგაზრდობა თავის წრეებში კითხულობდა ბოსლეველის ნაბეჭდსა. თუ ხელნაწერ შრომებს, რომელნიც ცენზურის გამო ვერ იბეჭდებოდნენ, და ადგენდა მათ კონსპექტებსო“[2].

ბოსლეველი ერთ-ერთი უმთავრესი თანამშრომელი იყო ქუთათური გაზეთის „შრომისა“ (1881—1883 წწ.). იგი თავის ნაწერებს ბეჭდავდა აგრეთვე „დროებასა“ და „ივერიაში“. პუბლიცისტი და კრიტიკოსი ბოსლეველი დაუზარებლად ეხმაურებოდა ქუთაისის ცხოვრებას, თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი არ შემოზღუდულა მხოლოდ ერთი ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტების აღნუსხვით და მათი შეფასება-განხილვით. ბოსლეველი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პიროვნებაა, ღრმად დაინტერესებული მშრომელი ხალხის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური მდგომარეობით. ეს დაინტერესება მან გამოაჩინა იმ ნაწერებში, რომელთაც აქვეყნებდა ქართულ პერიოდიკაში გვარისა და სახელის, ან ინიციალების (ე. მ.; ევ. მჭ-ძე), უფრო ხშირად კი ცნობილი ფსევდონიმების (ბოსლეველი, გარეშე მაყურებელი, მანელი) ხელმოწერით.

---

[1] „კვალი“, 1900 წ., № 31; აგრ. ლ. ასათიანი „ლიტერატურული ნარკვევები და წერილები“, 1955 წ., წერილი—ფელეტონისტი ილია ხონელი.

[2] [სიმონ] ხ[უნდაძე] — „ხომლელი, 1861—1928“, ეურნ. „ქართული მწერლობა, 1928 წ., № 4 (ხომლელი რომანოზ ფანცხავას ფსევდონიმი იყო). აგრ. „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“, ტბ., 1949 წ., გვ. 223.

ბოსლეველის მოღვაწეობის შესწავლით დაინტერესებული იყო განსვენებული პროფესორი სიმონ ხუნდაძე (1894 — 1933). იგი აპირებდა ამ პუბლიცისტისა და კრიტიკოსის თხზულებათა თავის მოყრას და ცალკე წიგნად გამოცემას[1], მაგრამ ს. ხუნდაძის ეს განზრახვა, ისე როგორც მრავალი სხვა, ვეღარ განხორციელდა მისი უდროოდ გარდაცვალების გამო. ბოსლეველის ნაწერების გამოცემისა და კომენტირებისათვის მას გარკვეული მუშაობაც ჰქონია ჩატარებული. პუბლიცისტ-კრიტიკოსის მცნობთაგან და მომსწრეთაგან (ვინც ამ საუკუნის 20—30-იან წლებში კიდევ ცოცხალი იყო) მას შეუკრებია მეშუარული მასალა, ბოსლეველის სხვადასხვა პირისადმი მიწერილი ცერძო წერილები, დღიურის ფრაგმენტი და სხვ.

მიუხედავად ბოსლეველის ლიტერატურულ მემკვიდრეობის ღნიშვნელობისა, მასზე ჯერჯერობით არა დაწერილა რა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისევ ს. ხუნდაძის წიგნს „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში", ტომი მეორე, რომელშიც ბოსლეველის წეხედულებებს რამდენიმე გვერდი აქვს დათმობილი, მისივე პატარა წერილს 1933 წლის „სალიტერატურო გაზეთში" (№ 9) პუბლიცისტის ბიოგრაფიის თარიღებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სხვადასხვა ავტორთა სტატიებს.

ბოსლეველის ზოგიერთ მოსაზრებაზე აზრი აქვთ გამოთქმული კიტა აბაშიძეს[2]; სიმონ ხუნდაძეს[3], მიხეილ ზანდუკელს[4], ვლადიმერ ასათიანს[5], პაატა გუგუშვილს...[6].

---

[1] „ამჟამად სახელგამს განზრახული აქვს გამოსცეს ბოსლეველის რჩეული ნაწერების კრებული, რომელსაც თანდართული ექნება ამხ. ფ. მახარაძის წერილი და სიმ. ხუნდაძის მონოგრაფია ბოსლეველის შესახებ. წერილების შეგროვება და რედაქცია მინდობილი აქვს ს. ხუნდაძეს („სალიტერატურო გაზეთი", 1933 წ., № 95.)

[2] „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ", ტ. I. გვ. 179 და შემდ.

[3] „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში", ტ. II, გვ. 120 და შმდ.

[4] „ახალი ქართული ლიტერატურა", გვ. 306—307 ტ. II.

[5] „ქართული კრიტიკის ისტორიისათვის—ბოსლეველი (ესტატე მჭედლიძე)", „ლიტერატურული გაზეთი", 1935 წ., № 4 (96).

[6] „კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში", 1956 წ., გვ. 73 და შმდ.

აღსანიშნავია ნოდარ ტაბიძის საკანდიდატო დისერტაცია (1963 წ.), რომელშიც გაზეთი „შრომა" არის განხილული.

ბოსლეველის ნაწერები ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მატიანეა. მისი შინაური მიმოხილვები, რომელნიც „დროებაში“ იბეჭდებოდა, მაშინდელი ცხოვრების დღიურია. მართალია მათში დაყენებულ ბევრ საკითხს იმ დროისათვის ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ წარსულის შოწინავე ადამიანთა აზროვნების შესასწავლად იმ ქრონიკებსაც გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია, მით უმეტეს, რომ მათში საყურადღებო საზოგადოებრივი მოვლენებია ასახული. ამდენად საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართველი ინტელიგენციის აზროვნების შესასწავლად მათი ღირებულება მნიშვნელოვანია, ზოგიერთი მისი შეხედულება ილია ჭავჭავაძის, რაფიელ ერისთავის, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით ერისთავისა და სხვა მწერალთა მხატვრულ შემოქმედებაზე ახლაც მეტად საყურადღებოა, როგორც პირველხარისხოვანი მასალა ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის. ამასთან, მათში მეტად ხშირად მოჩანს სწორი კრიტიკული აღლო უდროოდ დაღუპული პუბლიცისტისა და კრიტიკოსისა[1].

1885 წლის მაისის 11-ს გაზეთმა „დროებამ“ ქართველ საზოგადოებას აცნობა ქუთაისში მომზდარი მკვლელობის ამბავი. ამის შესახებ ცნობები ყოველდღე იბეჭდებოდა რამდენიმე ხნის განმავლობაში. თბილისის ქართული და რუსული გაზეთები აქვეყნებდნენ ცნობებს ამ მკვლელობის ირგვლივ და მოკლულსაც ახასიათებდნენ. ბოროტგანმზრახველებმა სიცოცხლე მოუსპოეს 31 წლის ადამიანს, პუბლიცისტსა და კრიტიკოსს ესტატე მჭედლიძეს. მკვლელობა მოხდა 1885 წლის 8 მაისს, როცა ესტატე მჭედლიძე, გაბრიელ ეპისკოპოსის კანცელარიის თანამშრომელი, სამსახურში მიდიოდა. შეიარაღებული მკვლელი მას უკნიდან მიეპარა და, როცა ესტატე მჭედლიძე გაბაშვილის მთის კიბეზე ადიოდა, ტყვია ესროლა.

„დროების“ კორესპონდენტი ალისუბნელი (რაჟდენ ჩიკვაიძე)

---

[1] მისი რამდენიმე წერილი, გაზეთში დასაბეჭდად განზრახული და აკრძალული ცენზურის მიერ, საცენზურო კომიტეტის არქივში ინახება.

წერდა: „გაუქმდა კალამი, რომელიც მარად სიმართლეს სდევდა, გაუქმდა უდროოდ, ძალდატანებით. მოკვდა იგი, გაიგმირა ბოროტი ხელით! ხოლო ანდერძად დაგვიტოვა, რომ იგი არის წამებული პატიოსნებისათვის, მან გვიჩვენა მაგალითი, რომ მეცხრამეტე საუკუნეშიც ბოროტება სერის ტალახში აზროვნებას"[1]. „დროება" თავისთავად უმატებდა კორესპონდენტის ცნობას, რომ ე. მჭედლიძემ თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში ისწავლა (!), იქ მონაწილეობას იღებდა კავკასიელ სტუდენტთა ყრილობაში, რომ იგი „სანდო კაცი" იყო, მაგრამ რუსეთში დიდხანს ვერ დარჩენილა ხელმოკლეობის გამო.

ე. მჭედლიძის მკვლელობა მოხდა დილით, ხოლო პოლიცია მკვლელის ძებნას შუადღისას შეუდგა. 12 მაისს საქმე ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაცემული განსაკუთრებული მნიშვნელობის დანაშაულთა გამომძიებელს. 15 მაისს სილოვან ხუნდაძემ ლექსი დაბეჭდა „დროებაში" — „ევსტათი მჭედლიძის ხსოვნას", ამასთან ერთად იწერებოდა, რომ „იმ ცოდვილ გორაზე", ცოდვით სავსე კანცელარიის საქმეების გამო მჭედლიძეს გამოუჩნდნენ მტრები და მოკლესო. „როცა საჭიროა და სადაც საჭიროა, იქ არასოდეს არ არის პოლიცია და არც მფარველი ვინმე და ისე კი ათასობით დათარეშობენ ქუჩებში". „განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველაფერს კარგ საქმეში, აგრეთვე მხურვალე მონაწილეობა მიიღო მან უკანასკნელად წიგნების თარგმანში და წიგნების გამოსაცემად ფულების შეგროვებაში..."[2]

ე. მჭედლიძე სოფ. სვირში დაასაფლავეს 12 მაისს. თეოფილე ხუსკივაძემ გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა მეგობარსა და ამხანაგს. „დროებამ" ვერ მოახერხა ეს გამოსათხოვარი სიტყვა დაებეჭდა თავის ფურცლებზე.

ე. მჭედლიძის მკვლელობამ ქართველი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, „დროებას" საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაც მოსდიოდა თანაგრძნობის გამომხატველი წერილები. გაზეთი აცხადებდა — რედაქციაში მწუხარების გამომხატველი მრავალი წერილი

---

[1] „დროება", 1885 წ., № 98, „საზარელი მკვლელობა ევსტატე მჭედლიძისა".

[2] სილოვან [ხუნდაძე]—„ქუთაისი, მაისის 9-ს", „დროება", 1885 წ., № 100.

შოდის, ეტყობა ე. მჭედლიძე ჰყვარებია ხალხსო[1]. თელავის ახალგაზრდობამ თავისი აღშფოთება გამოხატა გაზეთში გამოგზავნილი წერილით[2]. ქუთაისიდან იტყობინებოდნენ, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს. რომლის კანცელარიაშიც მსახურობდა ე. მჭედლიძე, მუქარის წერილები მისდის — საქმის ძიებას თავი დაანებეო. მოკლულს ახასიათებდნენ როგორც მექრთამეობის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანს.

„ივერიის" შინაური მიმოხილვის ავტორი გრიგოლ ყიფშიძე აგრეთვე აღშფოთებული წერდა: „პატიოსანი, საქმის ერთგული, გამრჯელი ყმაწვილი კაცი, დღის სინათლეზედ გუბერნიის ქალაქში, ზედ შუა გზაზედ დამბაჩით მოკლეს. კაცისაგან კაცის სიკვდილი ახალი ამბავი არ არის ქვეყნიერებაზედ... მაგრამ ეს საწყლის მჭედლიძის სიკვდილი კერძოდ ასეთი საძაგლობაა, ასეთი უღვთობაა, ასეთი საზიზღარია, რომ ყოველს წრეს გადასულია. კაცი მოჰკლან იმისთვის, რომ პატიოსანია... ეს მაგალითი ვერაფერი სასიქადულო სარკეა იმ საზოგადოებისა, საცა ეს აგრე მოხდა. ამ სამარცხვინო ამბის სირცხვილი ყველას უნდა მოეცხოს. ამ ამბით შეურაცხყოფილია, შეგინებულია მთელი ჩვენი ზნეობა, მთელი ჩვენი სიკეთე, მთელი ჩვენი კაცური კაცობა. ამ სირცხვილის ასახდელად თითოეული ჩვენგანი ყოველის გზით უნდა ცდილობდეს მკვლელი იპოვოს, რომ მისგან გაბიაბრუებულს და აღელვებულს სინდისს ადამიანის შესაფერი კმაყოფილება მიეცეს[3].

დავით კეზელი თბილისურ რუსულ გაზეთში ე. მჭედლიძეზე წერდა:.. «... жертвой мести пал молодой грузинский литератор, подававший столько прекрасных надежд... С первой же критической статьи обратил на себя внимание читающей грузинской публики. Все думали, что под псевдонимом скрывается какой-нибудь опытный ветеран грузинской литературы. Его последующие статьи еще больше заинтересовали публику и разожгли общее любопытство...»[4].

---

[1] „დროება", 1885 წ., № 103.

[2] იმავე წლის „დროება", № 106.

[3] „ივერია", 1885, № 6, „შინაური მიმოხილვა".

[4] «Памяти Евст. Мчедлидзе», «Новое обозрение», 1885 г., № 474.

ე. მჭედლიძის ვერაგულად მოკვლას გამოეხმაურა ჟურნალი „მწყემსიც“, რომელიც მოითხოვდა: „გამოირკვეს საფუძველი ამისთანა მოვლენებისა. მარტო მკვლელის დასჯა არ მოსპობს მას. საჭიროა საზოგადოებრივი საფუძვლების შესწავლა“-ო[1].

ე. მჭედლიძის, უანგარო თანამშრომლის სიკვდილი, მტკივნეული ყოფილა თვით გაბრიელ ეპისკოპოსისთვისაც. გაბრიელი თანამშრომლის მკვლელობით დარწმუნებულა, თუ რაოდენ უპირონი და უსინდისონი ყოფილან ისინი, ვინც მასთან რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა და ვისთანაც მას ყოველდღე უხდებოდა შეხვედრა. მკვლელობით შეძრწუნებულს ერთი პირობა გადაუწყვეტია კიდეც გასცლოდა თავის სამწყსოს და რუსეთის რომელიმე გუბერნიაში გადასახლებულიყო. გაბრიელის ეს განზრახვა ქართულ საზოგადოებრიობას შეუტყვია. „დროება“, ე. მჭედლიძის დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებასთან ერთად, ქართველ მკითხველს გაბრიელის გადაწყვეტილებასაც აუწყებდა და სახელგანთქმულ საზოგადო მოღვაწეს სთხოვდა აღსრულებაში არ მოეყვანა ეს წადილი.

ესტატე მჭედლიძე დაიბადა 1854 წელს სოფ. სვირში. მჭედლიძეები სოფ. ბოსლევში ცხოვრობდნენ, საიდანაც ესტატეს მამა, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, სვირში გადასულა სამოსახლოდ. იქ შემდეგ ცხოვრობდა ესტატეს უფროსი ძმა მიხეილი, რომლის სახლი უცოლშვილო ესტატესთვის მშობლიურად ითვლებოდა. ესტატემ ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ისწავლა, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დაუსრულებია. მას სურვილი ჰქონია რომელიმე ტექნიკურ სასწავლებელში შესვლილა, მაგრამ, რადგან საშუალო სასწავლებელი არ ჰქონდა დამთავრებული, ამ სურვილის აღსრულება გასძნელებია. 1877 წელს ის ქუთაისის ქალთა უფასო სასწავლებლის მასწავლებლად ყოფილა 1880 წლამდე, როცა იგი მოსკოვს გაემგზავრა. მოსკოვში მან ორიოდე წელიწადს დაჰყო, ემზადებოდა გამოცდებისათვის პეტროვსკო-რაზუმოვსკოეს მიწათმოქმედებისა და სატყეო აკადემიაში შესასვლელად. ძმის უფროს ძმას სწერდა მოსკოვიდან ხარჯების შესახებ. „ამაზედ უფრო წიგნების ყიდვა დამხარჯავს, მაგრამ რა გაეწყობა, სულაც ამის-

---

[1] „მწყემსი“, 1885 წ., № 10 და 11.

თვის წამოვედი ამ სიშორეს!..“[1]. ხელმოკლეობამ აქაც შეუშალა ხელი და მოსკოვიდან ქუთაისს დაბრუნდა. 1881 წლის ბოლოს სოფ. ლაშედან გაუგზავნია წერილი თავის მეგობრისთვის — გრიგოლ ვოლსკისათვის მოსკოვს: „მეც თვითონ აღარ მიმაჩნია ჩემი თავი ცოცხალთა შორის. წყაროდან წყლის დაულეველად წამოსვლამ გამათავა...“[2]. მოსკოვიდან დაბრუნებული ქუთაისში მსახურობდა მასწავლებლად, ოღონდ ამ თანამდებობაზე დამტკიცებული არ ყოფილა სათანადო საბუთების უქონლობის გამო. ამიტომ დაიწყო მან სამსახური გაბრიელ ეპისკოპოსის კანცელარიაში, ჯერ მდივნის თანაშემწედ, შემდეგ კი მდივნად. ამ კანცელარიაში სამსახური მისთვის წამება იყო. მას უშუალოდ მოუხდა საქმე ჰქონოდა მაშინდელი სამღვდელოების ზოგიერთი წარმომადგენლის ქვენა ზრახვებთან. „ახლა ვზივარ ჩინოვნიკად კანცელარიაში и аккуратно, с 8 до 2—3 часов дня отписываю бумаги и пересматриваю дела самого грязного, кляузного свойства. ეს კიდევ არაფერია, რომ ოხერ კაცებში არ ჩავარდნილიყავი. Раз даже епископу говорил по случаю поступления доноса, что я попал в шайку разбойников и гнусных интриганов.. Наша канцелярия настоящий свинятник, примерная безпорядочность и полнейший хаос. ეპისკოპოსი რომ ამისთანა კაცი არ იყოს, აქ სამსახური ვადადარების ჭამა იქნება...“[3] ამ „ოხერ კაცთაგან“ მან ბევრი ამხილა. როგორც გაბრიელ ეპისკოპოსის წინაშე, ისე ბეჭდვითაც. მაბეზღარების, ინტრიგანებისა და მექრთამეების წინააღმდეგ ბევრი იბრძოლა ახალგაზრდა მოღვაწემ, მაგრამ ვერა გააწყო რა. 31 წლის ასაკში იგი მსხვერპლი შეიქმნა მოსყიდული ადამიანის ხელისა.

ე. მჭედლიძის პუბლიცისტურ-კრიტიკული მუშაობა ინტენსიური იყო მას შემდეგ, რაც იგი მოსკოვიდან დაბრუნდა. 1880 წლამდე მან სამოდე წერილი დაბეჭდა „ივერიაში“ და „დროებაში“. გაზეთი „შრომა“, რომელიც 1881 წლის 2 სექტემბრიდან გამოდიოდა, 1882 წლის იანვრიდან გახდა ე. მჭედლიძის სარბიელი. აქედან დაწყებული იგი იქცა ამ გაზეთის მთავარ წამყვან ძალად. პროფ. ს. ხუნდაძის არქივში

---

[1] წერილი ძმას, მიხეილ მჭედლიძეს, იხ. ბოსლეველი, „ნაწერები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1961, გვ. 410.

[2] წერილი, იხ. იქვე, გვ. 422.

[3] იქვე, გვ. 430.

ინახება ვლადიმერ ფოფხაძის მოგონება ე. მჭედლიძეზე, რომელშიც წერია: „ის (ე. მჭედლიძე — ს. ხ.) კირილე ლორთქიფანიძესა, დიმიტრი დადიანსა და სილოვან ხუნდაძესთან ერთად იყო ამ უკანასკნელის („შრომის“ — ს. ხ.) ხელმძღვანელი“-ო.

ბოსლეველის ინტენსიური პუბლიცისტური და კრიტიკული მოღვაწეობა ხუთიოდე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. იგი თვალმახვილად აკვირდებოდა ქართველი ხალხის ცხოვრებას, მისი ინტერესი ფართო იყო. კრიტიკულ წერილებში იგი გაბედულად და პრინციპული სიმტკიცით ავითარებდა და იცავდა გარკვეულ ლიტერატურულ შეხედულებას, ბასრი ფელეტონებით სააშკარაოზე გამოჰქონდა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი ნაკლი. უშიშარი პუბლიცისტი დაუნდობელი იყო იქ, სადაც საჭიროება მოითხოვდა პირდაპირ მხილებას. ოსტატურად ხმარობდა კალამს პოლიტიკური მდგომარეობის გამოსახატავად, მაშინდელი ცენზურის დასახასიათებლად. ბოსლეველი საკმაოდ განათლებული და დიდი ლიტერატურული გემოვნების ადამიანი იყო. კარგად ერკვეოდა სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემათა არსში. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ქართველ პუბლიცისტებს შორის, რომელნიც სწავლობდნენ მარქსიზმს და კარლ მარქსი მიაჩნდათ უპირველეს მეცნიერად, რომლის მოძღვრება აუცილებელი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლის საქმეში. ბოსლეველი თავისი პუბლიცისტურ-კრიტიკული ინტერესებით ქვეყნისა და ხალხის თავისუფლებისათვის, მშრომელთა შეგნების ამაღლებისათვის და სიმართლისათვის იღვწოდა. ბოსლეველის ნაწერები სარკეა მაშინდელი ყოფისა და შეგნებისა და ამდენად გარკვეული და ჩამოყალიბებული საფეხური ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიასა და განვითარებაში.

ბოსლეველის მოღვაწეობის დრო

ბოსლეველის პირველი კორესპონდენციები 1874 წელს დაიბეჭდა „დროებაში“, რის შემდეგაც პუბლიცისტს მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა ხასიათის წერილების ბეჭდვა სიკვდილამდე არ შეუწყვეტია. 1882—1883 წლებში ქუთათურ გაზეთ „შრომაში“ აქტიური თანამშრომლობის გარდა, იგი სარედაქციო საქმიანობის ერთ-

ერთი წარმმართველიც იყო. მისი ინტერესი, როგორც პუბლიცისტისა და კრიტიკოსისა, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების, ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის მემატიანისა, მრავალფეროვანია. ბოსლეველის ნაწერებში ანარეკლს ჰპოვებენ მის თანამედროვეობასთან უშუალოდ დაკავშირებული, საზოგადოებრივად მეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და მოვლენები. პუბლიცისტი-კრიტიკოსი ფხიზლად ეხმაურებოდა ინტენსიურად ამოძრავებულ ცხოვრებას და თითოეული ფაქტის შესახებ მოსაზრებას გამოთქვამდა. მისი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები 80-იანი წლების ქართული ლიტერატურის ფაქტებზე ნათელი აზრისა და მხატვრული ნაწარმოების შეფასების ცოდნის შედეგებია.

XIX საუკუნის, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრის მოღვაწენი, პუბლიცისტი-კრიტიკოსები, მხოლოდ ერთი რომელიმე პრობლემით არ იზღუდებოდნენ და არც შეეძლოთ შეზღუდულიყვნენ, რადგან საზოგადოებრივი მოღვაწეობის თითოეული უბანი ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებისათვის ბრძოლის ფრონტი იყო და ყველა მოვლენა ურთიერთ მტკიცე კავშირში იმყოფებოდა. მდგომარეობამ განსაზღვრა ქართველი პუბლიცისტისა და, საერთოდ, საზოგადო მოღვაწის მუშაობის გზა — ისინი მრავალფეროვან მუშაობას ეწეოდნენ, მათი მოღვაწეობის ასპარეზი ვრცელი იყო, რადგან ისინი ჰპატრონობდნენ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას, მშრომელი ხალხის ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ ვითარებას, იცავდნენ ქართული კულტურის წარსულს და იღვწოდნენ მისი აწმყოსა და მომავლის განვითარებისთვის, ფხიზლად ადევნებდნენ თვალსა და ხელს სწავლა-განათლება-აღზრდის საქმეს, ქართულ პრესას, ქართულ თეატრს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ბანკებს, ქვეყნის სამეურნეო საქმეებს და მრ. სხვ. ქართველი პუბლიცისტის მოღვაწეობის არე მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო.

ასეთი მრავალფეროვნება ახასიათებს ბოსლეველის ნაწერებსაც, რომლებშიც ვხვდებით მსჯელობას სხვადასხვა პირველი რიგის თემაზე, რაც ქართულ პუბლიცისტიკას დღის წესრიგში ჰქონდა დაყენებული 70—80-იან წლებში. ისე როგორც მისი თანამედროვე პუბლიცისტ-კრიტიკოსებისათვის, მისთვისაც ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო თანამედროვეობა, ქართველი ხალხის საარსებო მოთხოვნილებანი, ყოველდღიური ცხოვრება და ამ ცხოვრების საჭირბოროტო სა-

კითხები. ბოსლეველის ნაწერებში არ ჩანს წარსულისკენ მზერა. იგი ფხიზელი თვალით მიმოიხილავდა თავისი დროის მიერ წამოყენებულ პრობლემებს და შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს სათანადოდ აფასებდა.

ბოსლეველს ქართულ პრესაში მოღვაწეობა და მუშაობა მოუხდა რუსეთის იმპერიაში 80-იან წლებში დამყარებული და გაძლიერებული რეაქციის პერიოდში. მისი ეპოქა მეტად დაძაბული იყო: სოციალისტ-რევოლუციონერთა მუშაობა რუსეთში იმპერატორს მოსვენებას უფრთხობდა. ხალხოსნური მოძრაობა, რომელმაც დიდი გაჯოხმაურება ჰპოვა მთელ იმპერიაში, მთავრობის საწინააღმდეგო საკმაოდ ძლავრი მოძრაობა იყო.

რუსეთთან ერთად XIX საუკუნეში საქართველომაც სულ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში განვლო მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი აგრარული მეურნეობიდან კაპიტალისტურ განვითარებამდე. 60-იან წლებში რუსეთის იმპერიაში საგლეხო რეფორმა ჩატარდა, ხოლო საუკუნის დასასრულს რევოლუციური პროლეტარიატი უკვე სათავეში ჩაუდგა თავისი თავისუფლების მოპოვების საქმეს, უფრო რთული და ძნელი იყო ქართველი ხალხის მდგომარეობა, რადგან იგი, სხვა საერთო ვითარებასთან ერთად, „ინოროდცების“ კატეგორიას იყო მირიცხული.

70—80-იანი წლების მრავალმხრივსა და რთულ ეპოქას საქართველოში განმარტება და შესწავლა ესაჭიროებოდა. უნდა გარკვეულიყო ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, მისცემოდა მას კვალიფიკაცია და შეფასებულიყო, თუ რამდენად იყო იგი ხალხისათვის სარგებლობის მომტანი. ქართულმა პრესამ ამ მხრივ მეტად საპატიო როლი შეასრულა: მან მოახდინა დიდი, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების ანალიზი. ქართულმა პუბლიცისტიკამ და ლიტერატურულმა კრიტიკამ შეძლეს გამოეთქვათ მოსაზრებანი ყველა ძირითადი მოვლენის შესახებ.

ეს რთული ეპოქა ჩვენს ქვეყანაში, ისე როგორც რუსეთის მთელს იმპერიაში, რამდენიმე თავისებურებით ხასიათდება. რუსეთსა და საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გამო XIX საუკუნეში ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, „დიდი რეფორმების“ ეპოქაში და შემდეგ ათეულ წლებში, რეაქციის

გამძინვარებისა და რევოლუციის აღმავლობისას. ბევრი საკითხი დგებოდა ქართველი ხალხის მოწინავე ნაწილის — ინტელიგენციის წინაშე.

1861 წლის რეფორმამ საქართველოში 1864 წელს მოაღწია. შოაკრობამ საგლეხო რეფორმას სხვა რეფორმებიც: საერობო, სასამართლო, საქალაქო თვითმმართველობისა, სწავლა-განათლებისა და სხვანიც მოაყოლა, რომელთაც საერთოდ და ქართველი ხალხისთვისაც მეტად აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდათ. საგლეხო რეფორმამ, ცნობილია, ვერ უზრუნველყო გლეხობის ეკონომიური ცხოვრების მინიმუმი, მან სრულიადაც არ შეუქმნა გლეხობას საშუალება ეკონომიური და იურიდიულ-უფლებრივი გაღატაკებისაგან თავის დასაღწევად. ქართველი მოწინავე ადამიანებიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ „მეფემ ხალხი მოატყუა“.

„ამრიგად, — წერია „საქართველოს ისტორიაში“, — რეფორმის შემდგომ ხანაში ქართველი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა ერთობ გაუარესდა. ქართველი ხალხი იტანჯებოდა არა მარტო კაპიტალიზმის განვითარების, არამედ კიდევ უფრო მეტად, მისი განუვითარებლობის გამო, — ძლიერი ფეოდალურ-ბატონყმური გადმონაშთების არსებობის გამო. ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას თან ერთვოდა მისი ეროვნული უფლებების შეზღუდვა და ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკის გაძლიერება...“[1]. ამ ეპოქის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე ფაქტი იყო კაპიტალიზმის არსებობა და განვითარება, რომლის გვერდით ჯერ კიდევ განაგრძობდა არსებობას საბატონო მეურნეობა — ორი უხეში ფორმა მშრომელთა ექსპლოატაციისა. „კაპიტალისტური მეურნეობა, — წერდა ვ. ლენინი, — უეცრად ვერ გაჩნდებოდა, საბატონო მეურნეობა უეცრად ვერ გაქრებოდა. მაშასადამე, მეურნეობის ერთადერთი შესაძლებელი სისტემა იყო გარდამავალი სისტემა, სისტემა, რომელიც აერთიანებდა როგორც საბატონო, ისე კაპიტალისტური სისტემის ნიშნებს“[2]. ასეთი ნიშნები და ხასიათი გააჩნდა რეფორმის შემდეგი ხანის ქართველი გლეხობის ყოფასაც.

იმპერატორის მანიფესტებით ჩატარებული რეფორმები ხალხის სასიცოცხლო და საარსებო საკითხებს ეხებოდა. ამდენად თვით ხალ-

[1] ნ. ბერძნიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, „საქართველოს ისტორია“, 1, გვ. 544.

[2] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 209—210, 1958 წ.

ზი იყო დაინტერესებული რეფორმების ხასიათით და შედეგებით და. სრულიად ცხადია, პუბლიცისტური აზრი უარს ვერ იტყოდა ამ ცვლილებების დახასიათებისაგან, ჩელს ვერ აიღებდა მათი დაწვრილებითი ანალიზისაგან, თუ რამდენად დროული იყო ეს რეფორმები, რამდენად შეესაბამებოდნენ ხალხის ცხოვრების პირობებს და რამდენად უწყობდნენ ხელს საზოგადოების წინსვლა-განვითარებას.

70—80-იანი წლებისათვის საგლეხო რეფორმაზე მსჯელობა, მისი შეფასება. მისი შედეგების განხილვა ძირითადში მოთავებული იყო. რუსეთის იმპერიაში. და კერძოდ საქართველოში. ამ დროისათვის კაპიტალისტური წარმოების განვითარება აღიარებულია ფაქტად. კაპიტალისტური წარმოებისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ქმნის სხვადასხვა პუბლიცისტურ აზრს და საერთოდ შეხედულებებს. საქართველოში ამ დროისათვის სხვა რეფორმებს თვლიდნენ უფრო აქტუალურად. ცხადია, არც საგლეხო რეფორმა იყო მივიწყებული და ქართული პუბლიცისტური აზრი მას ხშირად განიხილავდა და ჯეროვან შეფასებასაც აძლევდა.

ერთ-ერთი რეფორმა, რომლის შესახებ 80-იან წლებში ბევრი იწერებოდა ქართულ პრესაში, იყო საერობო რეფორმა, ე. ი. დაფუძნება დაწესებულებისა, რომელსაც ხელში უნდა აეღო ადგილობრივი მმართველობის საქე და ადგილობრივ პირობათა გამოყენებით ეხელმძღვანელა. ერობა უნდა არჩევითი ყოფილიყო. საერობო რეფორმა რუსეთის იმპერიაში ჩატარდა, მაგრამ მთავრობამ ამორჩევის უფლება მიანიჭა ძირითადად შეძლებულებსა და მემამულეებს. ერობის უფლება შეზღუდული იყო ხელისუფლების ორგანოებით. უპირველეს ყოვლისა არჩევნებში მონაწილეობას იღებდა არა ხალხი, არამედ მხოლოდ ქონებრივი ცენზის მქონენი; ერობის წევრებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავადაზნაურული შეძლებული ფენების წარმომადგენლები იყვნენ, უფლება არ ჰქონდათ თავისი წრიდან ამოერჩიათ საერობო კრების თავმჯდომარე. მთავრობამ ერობა თავისი აპარატის კონტროლის ქვეშ დააყენა. ერობას უფლება არ ჰქონდა თავისი დადგენილება აღსრულებაში მოეყვანა, თუ არა პოლიციის ჩარევითა და შეშვეობით. ხოლო პოლიცია მთლიანად დამოკიდებული იყო ცენტრის ხელისუფლებაზე.

საერობო რეფორმამ მაშინვე ცხადი გახადა ერობის კლასობრივი ხასიათი. მისი ძირითადი ინტერესი და მოვალეობა მემამულეთა ქო-

ნების მთლიანობა-დაცვა, მიწის მეპატრონეთათვის გრძელვადიანი სეს-ხის მიცემა იყო, რაც სრულიად არ უწყობდა ხელს მოსახლეობის ძი-რითადი ნაწილის მოთხოვნილებებს, თუმცა ერობას ჰქონდა კარგი მხა-რეებიც: იგი ყურადღებას აქცევდა საერობო სკოლების დაარსებას, ჯანმრთელობის დაცვას, განსაკუთრებით ეპიდემიების დროს და სხვ.

მეფის მთავრობამ ერობის დაარსების უფლება მხოლოდ რამდე-ნიმე გუბერნიას მისცა. ზოგან, სადაც არ არსებობდა საბატონო მიწათ-მფლობელობა, ერობა არ დაარსებულა, ხოლო ზოგიერთ გუბერნია-ში ერობა და თვითმმართველობა მთავრობამ არ შემოიღო. მათ შო-რის საქართველოშიც. ერობისა და თვითმმართველობის ნება არ მიე-ცათ პოლონელებს, ლიტველებს და სხვათა, რადგან, როგორც ჩანს, მთავრობა ფიქრობდა, რომ ქართველებსა და ბალტიისპირეთის ხალ-ხებს სეპარატისტული ინტერესები გაუჩნდებოდათ მმართველობის მოჩვენებითი ფორმების შემოღებითაც კი.

ქართული საზოგადოებრიობა დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ერობის და თვითმმართველობის საკითხებს. 70—80-იან წლებ-ში მრავალი აზრი გამოითქვა მათზე. პირველ ხანებში, 70-იან წლებ-ში, როცა ერობა ახალი საქმე იყო, ქართული პრესა ოცნებობდა მხო-ლოდ იმ დროზე, როცა ბიუროკრატულ-ჩინოვნიკურ მმართველო-ბას ერობა დაუპირისპირდებოდა. „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერი-ლებში გამოთქმულია იმედი, რომ დადგებოდა დრო და ქართველ შეუძლებელ, არაფრის მქონე გლეხს შეუმსუბუქდებოდა ცხოვრების პირობები. „ჩვენ იმას არაფერ შემთხვევაში არ ვიფიქრებდით, — წერს „დროება“, — თუ ჩვენებურ გლეხს ოთხი-ხუთი ქცევა ადგილი ვაინც არ ექნებოდა; მაგრამ ამ გარემოებამ კი (იგულისხმება ადგილ-მამულის გაზომვა მმართველობის მიერ — ს. ხ.) ნამდვილად შეგვა-ტყობინა, რომ აქაურ გლეხს, არა თუ ოთხი-ხუთი ქცევა მიწა, ხშირად ნახევარი ქცევაც კი არ ჰქონია...“[1]. გაზეთიც და მისი კორესპონდენ-ტიც ფიქრობდნენ, რომ ამ მდგომარეობიდან ქართველ გლეხს გამო-იხსნიდა ერობის შემოღება. „ეს შეუძლია ერობას. იგი გამართავს სკოლებს, ერობის დროს უადგილმამულო გლეხს აღარც გადასახადი

---

[1] „დროება“, 1875 წ., № 90. კორესპონდენცია სამეგრელოდან ანთიმოზ ჯუ-ღელისა.

ექნება. ის აასრულებს მხოლოდ თავის შინაურ ოჯახის მოთხოვნილებას... ერთი სიტყვით, ჩვენი სანატრელი არის მარტო ის, რომ ერობა ისე მოიქცეს და ის დანიშნულება ჰქონდეს, როგორიც რუსეთის ერობას აქვს. ეს არის ჩვენი იმედი, თორემ ამ გაჭირებიდან ახლანდელი სკოლები ვერ ვვიხსნიან...“ — ასკვნიდა გაზეთის კორესპონდენტი.

1881 წელს შეიქმნა კომისია კახანოვის (ლორის-მელიქოვის მახლობელი პირის) მეთაურობით, რომელსაც დაევალა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის პროექტის შედგენა. ამ კომისიის მუშაობისა და მის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების შესახებაც ბევრს ფიქრობდა და მსჯელობდა ქართველი საზოგადოება. პუბლიცისტი ალექსანდრე ნანეიშვილი სრულიად დარწმუნებული წერდა, რომ ახალ პირობებში მოქცეული და გადახალისებული ერობა. კახანოვის ხელმძღვანელობით შემუშავებული პროექტის საფუძველზე. „უეჭველია დიდს სარგებლობას მოუტანს სახელმწიფოსაც და ხალხსაც. მას მიეცემა საშუალება ხალხის ყოველი წოდების მოთხოვნილების და საჭიროების დაკმაყოფილებისა. უეჭველია, რომ რუსეთის განათლებული საზოგადოება და მწერლობა სიამოვნებით უნდა მოელოდეს კახანოვის კომისიის დედა-აზრების განხორციელებას“[1]. ასეთსავე აზრებს ადგა „ივერიაც“, რომელმაც 1882 და 1883 წლებში გამოაქვეყნა გ. თუმანიშვილის წერილები საერობო მმართველობაზე.

ერობის დაარსება მთავრობის მიერ იყო დათმობა ხალხის მიმართ, მაგრამ არა მთლიანი და სერიოზული, არამედ შეზღუდული და, ისიც რუსეთის იმპერიის ზოგიერთი გუბერნიებისათვის.

როგორც საერობო მმართველობა, ისე ქალაქებისა და ჰაზრების თვითმმართველობა, თუკი ოდნავ მაინც წესიერად გატარდებოდა, ცხადია, მეტად სერიოზული ნაბიჯი იქნებოდა ადგილობრივ მართვა-გამგეობაში, დემოკრატიული ელემენტის შეტანის საქმეში. მაგრამ, როგორც ერთის, ისე მეორის შემოღება, დამტკიცებული ალექსანდრე მეორის მიერ 1870 წელს, განსაზღვრული იყო კლასობრივი ინტერესით. ქალაქის სათათბიროებში და საქალაქო სამმართველოებში მხოლოდ მსხვილ გადამხდელებს მიეცათ გადამწყვეტი ხმის უფლება. ჩუშები, მოსამსახურენი და ინტელიგენცია, ვინც საქალაქო გადასა-

---

[1] „დროება“, 1883. წ., № 213.

ხადს არ იხდიდა, არ იღებდა მონაწილეობას არჩევნებში. ქალაქის თვითმმართველობის კომპეტენცია ვიწრო სამეურნეო საქმიანობით იყო განსაზღვრული. კავკასიაში „საქალაქო დებულება“ 1870 წელს შეეხიდა ძალაში. საქართველოში მხოლოდ თბილისმა და ქუთაისმა, როგორც საგუბერნიო ქალაქებმა, მიიღეს საქალაქო დებულებით უფლება თვითმმართველობისა. გორსა და ახალციხეს იგი მიენიჭა შეზღუდულ-შეკრეჭილი სახით. დანარჩენ ადგილებში საქალაქო მეურნეობა და გამგებლობა პოლიციის სისტემაში დარჩა. საქალაქო თვითმმართველობის საქმეები თბილისსა და ქუთაისში ქონებრივი ცენზის წესთა ხელში იყო. განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა თბილისში. სადაც მხოლოდ მდიდარ ვაჭრებს შეეძლოთ ყოფილიყვნენ „ხმოსნებად“ და ჰყოლოდათ თავისი წრიდან ამორჩეული ქალაქის უფროსები. 1878 წელს „დროების“ რედაქტორი წერდა:... „საქმე ჩვენს ქალაქში რჩევას ძალიან ბევრი ექნება, საცა არ გაიხედავს. რასაც არ დააკვირდება, თითქმის ყველგან უსამართლობა, უწესობა და უთანასწორობა დახვდება. დახვდება ქალაქი უწყლო, უსინათლო, ღარიბები მდიდრებისაგან დაჩაგრულები, მთელი ქალაქი რამდენიმე ჩარჩისა და უსინდისო ვაჭრისაგან შეეიწროებული, დახვდება ქალაქი ნაგვითა და სიბინძურით სავსე, ხალხი განათლების საშუალებას მოკლებული და სხვა“[1].

თბილისის ქალაქის გამგეობაში მხოლოდ სომეხი ბურჟუაზია იყო თავმოყრილი. ქართველი ინტელიგენცია აღშფოთებული იყო საქალაქო დებულების განხორციელებით. იგივე „დროება“ გულისწყრომით წერდა: „უმთავრესი ნაკლულოვანებანი „ქალაქის დებულებისა“ ის არის, რომ ქალაქების მთელი ბატონობა და პატრონობა მოვაჭრე ხალხს ჩაუგდო ხელში და უფრო განათლებული ნაწილი საზოგადოებისა კი, ვისაც ქალაქში უძრავი ქონება არა აქვს, დაშორებულია ქალაქის საქმეებიდან და არაფერი ხმა არა აქვს“[2]. თბილისში მით უფრო მეტი უსამართლობით არის გატარებული ეს „დებულება“, რადგან მოვაჭრე ხალხი სხვა ტომს ეკუთვნის და ქალაქის გამგეობა მთლად მათ ხელშია.

---

[1] „დროება“, 1883 წ., № 262.

[2] იქვე, № 102.

კახანოვის კომისიის მოღვაწეობის შედეგების იმედი ჰქონდა „დროებას“ და ფიქრობდა, რომ ქალაქის თვითმმართველობაში შეიძლებოდა სასიკეთო ცვლილება მოჰყოლოდა ამ კომისიის მუშაობას. სწავლა-განათლების ცენზი მთელს ევროპაში პატივისცემით სარგებლობს, გარდა რუსეთისა, სადაც ქვეყნის ავ-კარგის გარჩევაში განათლებული საზოგადოება არ იღებს მონაწილეობას და, თუ ეს შეიცვლება, ქალაქების თვითმმართველობის საქმე წესიერ კალაპოტში ჩადგებაო. მაგრამ, როგორც მთელს რუსეთში ერობას არ შიეცა რაიმე ხელშესახები უფლება, ისე ჩვენშიაც საქალაქო თვითმმართველობაც მეტად შეზღუდული იყო, თუმცა კაპიტალისტური წარმოების განვითარების ღვალსაზრისით აუცილებლად დროული.

რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებამ მოითხოვა აგრეთვე სასამართლოს რეფორმაც, რის შედეგადაც რუსეთის იმპერიაში გაუქმდა ეკატერინე მეორის დროს შემოღებული წესები და სასამართლო ყველა წოდებისათვის, ფორმალურად მაინც, საერთო კანონით მოქნედებდა. კავკასიაში სასამართლო რეფორმა უფრო შეკვეცილი იყო, რადგან უმაღლესმა მთავრობამ მხედველობაში კავკასიის მრავალერიანობა და მისი მოსახლეობის „ჩამორჩენილობა“ მიიღო. ამის გამო მოსამართლეები კავკასიაში არ აირჩეოდნენ, რითაც ადგილობრივი მოსახლეობა მოკლებული იყო სასამართლოებში არჩევის უფლებასა და მონაწილეობას. ეს იყო გამოძახილი კოლონიური პოლიტიკისა, რომელსაც მეფის მთავრობა იყენებდა კავკასიაში მცხოვრებთა მიმართ. «Мировыми судьями обычно назначались русские чиновники, не знавшие местных языков и действовавшие через переводчиков, что создавало благоприятную почву для всякого рода злоупотреблений»[1]. ეს მდგომარეობა მართლაც მეტად სერიოზული და მტკივნეული იყო. ხალხისათვის გაუგებარ ენაზე წარმოებდა საქმის ძიება ისეთ დაწესებულებაში, რომელიც ახლოს უნდა მდგარიყო ხალხთან თავისი ხასიათით. ქართველი საზოგადოებრივობა მტკივნეულად განიცდიდა ამ მოვლენას, რასაც რამდენიმე წერილი მიეძღვნა მაშინდელ ქართულ გაზეთებში[2].

---

[1] История СССР, ტ. II გვ. 474, შდრ. „საქართველოს ისტორია“ (XIX საუკუნე)“ აბ. კიკვიძისა, ტ. I, გვ. 292—293.

[2] იხ. „დროება“, 1880 წ. №№ 172, 175; 1881 წ., № 117; 1882 წ. № 11, „შრომა“, 1882 წ., № 4, 17 და სხვ.

მნიშვნელოვანი იყო ცენზურისა და სწავლა-განათლების საქმეებთან დაკავშირებული ცვლილებები, რომელთაც აგრეთვე ადგილი ჰქონდათ „დიდი რეფორმის“ პერიოდში.

საცენზურო საქმიანობაში, ისე როგორც საერთოდ, ხაზგასმული იყო მაშინდელ სატახტო ქალაქებსა და პროვინციებს შორის არსებული განსხვავება, განსხვავება აგრეთვე რუსულ და არარუსულ გამოცემათა შორის. 1865 წლის ცენზურის „დროებითმა წესებმა“ სატახტო ქალაქებში წინასწარ ცენზურა აღკვეთა, კავკასიის საცენზურო კომიტეტში კი იგი დარჩა. საცენზურო საქმეთა სამმართველოს მეტად დიდი და შეუზღუდველი უფლებები ჰქონდა. დანაშაულისათვის სამართალში აძლევდნენ ავტორსაც, რედაქტორსაც, გამომცემელსაც და სტამბის მეპატრონესაც. პერიოდული გამოცემები შეიძლებოდა ადმინისტრატიულად აღკვეთილიყო დროებით ან სრულიად. სამოქალაქო ცენზურის პარალელურად არსებობდა საეკლესიერო ცენზურაც. საქართველოს ეგზარქოსი და საცენზურო კომიტეტი გააფთრებულნი სდევნიდნენ ქართულ ბეჭდვით სიტყვას. „დროებითი წესები“ შემდეგ წლებში დროდადრო ივსებოდა და „სრულყოფილი“ ხდებოდა, ხოლო 60-იანი წლების რეაქციის ხანაში იგი საოცრად ველურად უსწორდებოდა ქართულ წიგნსა და გაზეთს. ცენზურასა და ბეჭდვით სიტყვას შორის დამოკიდებულებას ართულებდა ისეთი საკითხების შესახებ მსჯელობა, როგორიც იყო ქალაქებისა და მაზრების თვითმმართველობა, ერობა, გლეხობის დროებითი ვალდებულება, სასკოლო და საგანმანათლებლო სისტემა და მრავალი სხვა. ცენზურა ხშირად ამახინჯებდა საგაზეთო და საჟურნალო წერილებს, კრძალავდა გაზეთების ნომრებს, რამდენიმე თვით აჩერებდა პერიოდულ გამოცემებს...[1].

სახალხო განათლების დარგის რეფორმაც, რასაკვირველია, იყო შედეგი იმ გართულებული ცხოვრებისა, რაც რუსეთის იმპერიაში დამყარდა 60-იანი წლების შემდეგ. 1864 წელს დამტკიცებულ იქნა „დებულება პირველდაწყებითი სკოლების შესახებ“. 60-იანი წლების შოლოს საქართველოში გაიზარდა სახაზინო დაწყებითი სკოლების რაოდენობა, დიდ ქალაქებში გაიხსნა გიმნაზიები, დაარსდა ქალთა

[1] ამის შესახებ იხ. პ. გუგუშვილი — „ივერია“ ცენზურის ჩრდილში“. ილია ჭავჭავაძე, სრულიად კრებული, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1939 წ.

სასწავლებლებიც. სკოლებს ხსნიდნენ სხვადასხვა საზოგადოებებიც, სკოლების დაარსების უფლება ჰქონდათ კერძო პირებსაც. განათლების სისტემა ხელისუფლებას გამოყენებული ჰქონდა ქართული ენის წინააღმდეგ, იმ მისიის შესასრულებლად, რაც ერთხელ მეფისნაცვალმა ვორონცოვმა ფორმულად ჩამოაყალიბა: სხეული იყოს ქართული, ხოლო სული რუსული. 60—70-იანი წლებიდან ქართული ენა თანდათან იდევნებოდა სასწაულებლიდან. „საბოლოო ანგარიშში იანოვსკისა და მეფის სხვა მოხელეების შეხედულებით სკოლა უნდა გამხდარიყო ადგილობრივი ერების გადაგვარებისა და მათი გარუსების მძლავრ იარაღად. ამას, რასაკვირველია, გრძნობდნენ და ანხორციელებდნენ იანოვსკის წინაპრებიც საქართველოში, მაგრამ იანოვსკის დამსახურება ცარიზმის წინაშე იმაში გამოიხატა, რომ მან სხვებზედ მტკიცედ და სისტემატურად დაიწყო ჩვენში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება“[1]. კირილე იანოვსკის „მოღვაწეობის“ ერთი მხარე ისიც იყო, რომ იგი ცდილობდა ქართველ ტომთა დაცილებას ერთმანეთისაგან. იგი შუღლისა და გათიშვის გამღვივებლის როლში გამოდიოდა. ცნობილია მისი ზრახვები სამეგრელოში მეგრულ ენაზე სწავლების შემოღებაზე და სხვ.

ალექსანდრე III გამეფებიდან დაწყებული რეაქცია მოწინავე აზრს მომაკვდინებელ ძალად დაატყო. ეს რეაქცია განსაკუთრებით ძლავრობდა „ინოროდცებზე“, რომელთა რიცხვში ქართველებიც ითვლებოდნენ, საქვეყნოდ ცნობილია ქართული კულტურული და საგანძახათლებლო დაწესებულებების თავგადასავალი 80-იან წლებში. ამის სანიმუშო მაგალითად საკმარისია დავით ერისთავის მიერ ქართულად გადმოკეთებული პიესის — „სამშობლოს“ ისტორია იქნეს დასახელებული.

ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი და მრავალი სხვა დაუცხრომლად იღვწოდნენ, რომ საქართველოში ქართველ ხალხს შერჩენოდა უფლება მშობლიურ ენაზე მეტყველებისა, სასამართლოში რუსული ენის არმცოდნე ქართ-

---

[1] ტრ. ხუნდაძე, „ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე)“, გვ. 21, აგრ. შ. ჩხეტია. «Тбилиси в XIX столетий». თავი—Школа и народное образование; ად. კიკვიძე, „საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე)“, ტ. I, თავი 13.

ველს შესძლებოდა თავისი გაჭირვება აესსნა მოსამართლისათვის და უკლესიაში ქართულად მოესმინა წირვა-ლოცვა. ეს მოღვაწენი კარგად ხედავდნენ, რომ რუსული ენა აუცილებელი იყო ქართველისათვის, რომ მისი საშუალებით უნდა მომხდარიყო გონების განვითარება, რომ რუსული კულტურის, ლიტერატურის საშუალებით შესაძლებელი იყო ბევრის გაგება და ათვისება. „რუსული ენის შესწავლას ჩვენს სკოლაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. რუსული ენის კარგად ცოდნა საშუალებას მოგვცემს კულტურული და ეკონომიური კავშირი დავამყაროთ დიდ რუსეთთან, რაც აუცილებლად საჭიროა დღევანდელ ჩვენს პირობებშიო“ — უთქვამს იაკობ გოგებაშვილს[1]. ცნობილია ილია ჭავჭავაძის აზრი იმ ხელმძღვანელობის შესახებ. რაც გაუწევია რუსულ კულტურას, რუსულ ლიტერატურას ქართველი ახალგაზრდობისათვის 60-იან წლებში და საერთოდაც,[2] ცნობილია ბევრი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნათქვამი მოწინავე რუსული კულტურისა და კერძოდ ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ. მაგრამ ხელისუფლების მსახურთა ჩინოვნიკურმა სულმა ძლიერ ბევრ ქართველს გაუმწარა ახალგაზრდობისა და მოსწავლეობის წლები უადამიანო დამოკიდებულებით.

60—70-იანი წლების ქართულმა პუბლიცისტიკამ ბრძოლების პირველი ეტაპი განვლო, საერთო, ზოგადი საკითხები გადაწყდა. გამოიკვეთა ქართველი ინტელიგენტის მიზნები. გამოჩნდა რევოლუციური და დემოკრატიული მისწრაფებანი ჩამოყალიბდა შემდეგი შოქმედების გზა. ილია ჭავჭავაძის მიერ წამოყენებული პრინციპები ისეთ პუბლიცისტურად მძლავრ ნაწარმოებში, როგორიც იყო „მგზავრის წერილები“, მთელი თაობის მისწრაფებათა მაჩვენებელი იყო. ჩამოყალიბდა ქართული ინტელიგენციის, მოწინავე მოაზროვნე საზოგადოების აზრები ქვეყნის სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე, შხატვრულმა ლიტერატურამ ცხადად წარმოადგინა თანამედროვეობის ყველაზე მტკივნეული საკითხები, აღწერა ქართველი მშრომელი გლეხობის ეკონომიურ-იურიდიული მდგომარეობა და დასახა გზები

---

[1] ალ. მიქაბერიძე, „მშობლიური ქვეყნის დიდი მოამაგე“, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, 1940 წ., გვ. 326.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV, გვ. 369.

არსებულის შესაცვლელად, ბრძოლისათვის 70-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში გამოხმაურებას ჰპოვებენ ძირითადი საზოგადოებრივი ძვრები, რომელნიც გამოწვეული იყო საგლეხო რეფორმის შემდეგი პერიოდით, როცა საქართველო, მაშინდელი რუსეთის ერთ-ერთი პროვინცია, შედგა კაპიტალისტური განვითარების ეტაპზე და ქვეყნის შიგნით ახალმა ძალამ მძლავრად დაიწყო მოძრაობა.

გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი" და „გულქანი" ჩვენი ქვეყნის 70-იანი წლების მხატვრული ქრონიკა იყო. შემდეგი ათეული წლის ქართულმა მწერლობამ ცოცხლად წარმოადგინა ქართველ გლეხობაში მომხდარი გარდატეხა-დანაწილება მდიდარ და უღარიბეს ფენებად. ანტონ ფურცელაძის „მართა", დაწერილი 60-იან წლებში, და „ჭიტესა", ს. მგალობლიშვილის „დემეტრეს სახლობა" და „წარსულიდან", ნიკო ლომოურის „ბერუა ქრისტესიაშვილი", ეკ. გაბაშვილის „ორენა და ქუჩე", „რომანი დიდხევაში" და სხვანი, აჩვენებდნენ პატრიარქალური წყობის რღვევას, გლეხობის ეკონომიურ დიფერენციაციას, მის „პროლეტარიზაციას". ალ. ყაზბეგი თავის რომანებში და მოთხრობებში ხატავდა ახალი ურთიერთობის შესვლას საქართველოს მთაში. ხოლო ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი, ლალიონი და სხვანი აგრეთვე მემატიანენი იყვნენ თავისი თანამედროვე ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებისა.

70-იანი წლების ქართული პრესა, რომელსაც განვლილ წლებში უკვე გარკვეული ჰქონდა ეროვნული გათავისუფლებისათვის ბრძოლის გზა, დაინტერესდა ახალი მოვლენებით, რისთვისაც ხშირად საილუსტრაციო მასალად ცნობები ევროპის ქვეყნების საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან მოჰქონდა. გაზეთი „დროება" და ჟურნალი „კრებული" ქართველ მკითხველს აცნობდნენ ევროპის ქვეყნების რევოლუციურ მოძრაობას. პარიზის კომუნას, პირველი ინტერნაციონალის რევოლუციურ ნაბიჯებს, საერთოდ რუსეთისა და ევროპის რევოლუციურ მოძრაობის აღმავლობას. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ევროპაში, პროლეტარიატის შეუპოვარი, თუმცა უთანასწორო ბრძოლა ბურჟუაზიასთან, ქართველი მოწინავე საზოგადოებისათვის და მკითხველისათვის ცნობილი იყო და იგი გარკვეული ინტერესითაც ადევნებდა თვალსა და ყურს იმ ფაქტებს, რაც მისი საყუთარი ზრახვების შესაფერად მიაჩნდა.

ქართველი ხალხისათვის უცხო არ ყოფილა გამათავისუფლებელი მოძრაობა და ბრძოლა. ცარიზმისა და თავადაზნაურობის, ბატონყმობის ველური გამოვლინების წინააღმდეგ არაერთხელ ამდგარა ქართველი ხალხი.

60-იანი წლების მოღვაწეთა ერთობლივი გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე ბრძოლის ასეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი იყო. მაშინდელმა ახალგაზრდობამ თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული განწყობილება მიმართა არსებული პოლიტიკური წყობილებისა და ჩამორჩენილობა-უმოძრაობის, ბატონყმობისა და მისი არაადამიანური გამოვლინების წინააღმდეგ. სამოციანელთა ბრძოლა შეიარაღებული ამბოხების დარი იყო თავისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი სიმახვილითა და მნიშვნელობით და აგრეთვე იმ შედეგებითაც, რაც მოიტანა „თერგდალეულების" შეხედულებების გამომჟღავნებამ. თუ, ერთი მხრით, „თერგდალეულები" თავის ქვეყნისა და ხალხის საქმეს აკეთებდნენ, მეორე მხრით მათ ფხიზელი თვალი ეჭირათ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობისაკენ და იქაური ბრძოლის გმირებს იდეალად წარმოიდგენდნენ.

ევროპის რევოლუციური მოძრაობა 70-იან წლებში ფრთებს ასხამდა ყველას, ვისაც გააჩნდა ინტერესი ძველი წყობილების შეცვლისა. ევროპაში პირველი მუშათა საერთაშორისო კავშირის დაარსება, რომელსაც თეორიული საფუძველი კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა შეუქმნეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტით", მწვავე კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, პარიზელ კომუნართა გამარჯვება და მარცხი და მთელი წყება საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობათა ქართველ ინტელიგენციაზე და პროტესტით აღსავსე საზოგადოებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებდა. საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება, რუსეთისა და ევროპის პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად, მტკიცე ნიადაგს ქმნიდა რევოლუციური მუშაობის აღმავლობისათვის და საქართველოშიც გაჩნდა ორგანიზაცია, რომელმაც ხალხი დარაზმა მეფის ხელისუფლებისა და მემამულეთა გაშმაგებული ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ხალხის ასეთ პირობებში ცხოვრება ქართული ინტელიგენციის

მოაზროვნე ნაწილში სხვადასხვა აზრებსა და შეხედულებებს ჰბადებდა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში 70-იან წლებში დიდ ადგილს იკერს ხალხოსნობა, რამაც ინტელიგენციის დიდი ნაწილი ჩაითრია. ქართულ პრესაში უკვე 70-იანი წლების დასაწყისში ჩნდება ხალხოსნური იდეები და შეხედულებები (ჟურნალი „მნათობი"), ხოლო 1876 წელს მეფის ხელისუფლებამ აღმოაჩინა ხალხოსნური ორგანიზაცია და დაარბია კიდეც.

ხალხოსნურ მოძრაობაში შესამჩნევია ორი ეტაპი, რომელთა შორის ზღვარი შეიძლება 80-იანი წლების დასაწყისში დაიდოს. ხალხოსნები პირველ ეტაპზე, 70-იან წლებში, გამოდიოდნენ როგორც მშრომელი გლეხობის ინტერესების დამცველნი. მათ მიზნად ჰქონდათ ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ და გლეხობის განთავისუფლება პოლიტიკურად, ეკონომიურად და იურიდიულად. მათ ჰქონდათ ფარული ორგანიზაციები, კავშირი ევროპასთან, არალეგალური ლიტერატურა.

თბილისის ჟანდარმერიამ ჯერ კიდევ 1867 წელს მიიღო ცენტრიდან გენერალ მეზენცოვის ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა აღმოეჩინათ რევოლუციონერები. 1875 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე იცოდა, რომ საქართველოში არსებობდა რევოლუციური ორგანიზაცია. იმპერიაში ხალხოსნური რევოლუციური მუშაობის სხვადასხვა პუნქტების ჩამოთვლისას თბილისი და მისი გუბერნიაც იყო მოხსენებული[1]. 1877 წელს მესამე განყოფილებამ იცოდა იმ ხერხების შესახებ, რომელთაც ხალხოსნები იყენებდნენ ხალხთან დაახლოებისათვის. „ნაროდნიკები შედიან გლეხობაში, ხსნიან იქ სასადილოებს, სავაჭროებს, აარსებენ არტელებს, ხელოსნობენ, შედიან ფაბრიკებში მუშებად, გემებზედ მატროსებად, სოფლის მასწავლებლად"...[2] 70-იან წლებში საქართველოში ხალხოსნურ ორგანიზაციას მიზნად ჰქონდა გლეხობის აჯანყება და მეფის ხელისუფლების დამხობა. ორგანიზაციას მეთაურობდნენ ეგნატე იოსელიანი, ისიდორე ქიქოძე, მიხეილ ყიფიანი და სხვები. მათ კავშირი ჰქონდათ დამყარებული რუსულ ორგანიზაციებთან, იმათგან იღებდნენ ლიტერატურას, შვეიცა-

---

[1] გრ. გიორგაძე — „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში", 1864—1905 წ., „ახალგაზრდა", 1928 წ., გვ. 484.

[2] იქვე, გვ. 491.

რიიდან შემოჰქონდათ არალეგალური წიგნები, ავრცელებდნენ თარგმანებს, ჰქონდათ სალარო და საიდუმლო სტამბა. ორგანიზაციას რჩევა-დარიგებით ხელმძღვანელობას უწევდნენ გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი, ივანე ჯაბადარი, ალექსანდრე ციციშვილი, მიხეილ ჩიკოიძე და სხვანი, რომელნიც შემდეგ 50-ის პროცესში იყვნენ ჩარეულნი[1].

ხალხოსნებმა დიდი სააგიტაციო მუშაობა გააჩაღეს—ისინი გავიდნენ სოფლებში და სურდათ ხალხის შეგნებამდე მიეტანათ რევოლუციური გადატრიალების მიზანი და ინტერესი. მაგრამ მათი მთავარი შეცდომა ის იყო, რომ სრულიად უგულებელსჰყოფდნენ ამ დროს უკვე ვანვითარებაში მყოფ სამრეწველო პროლეტარიატს, რომელიც დიდ რევოლუციურ ძალას წარმოადგენდა. ცხადია, ასეთი შეხედულება შედეგი იყო მაშინდელი რუსეთის სოციალური და ეკონომიური ჩამორჩენილობისა, მუშათა მოძრაობის სისუსტისა. ჩამორჩენილი რუსეთი სოციალიზმის ჩამორჩენილი მოძღვრების გაჩენის შესაძლებლობას ჰქმნიდა—როგორც ვ. ლენინი აღნიშნავდა. ამგვარივე აზრი ჰქონდა გამოთქმული ფრ. ენგელსს გ. პლეხანოვისადმი მიწერილ წერილში. რუსული ხალხოსნობა იყო შედეგი რუსეთის ჩამორჩენილობისა თვით საგლეხო რეფორმის შემდეგაც კი, საფაბრიკო-საქარხნო მნიშვნელობის დაბალი დონისა, წვრილ მწარმოებელ გლეხთა სიმრავლისა, გლეხური მეურნეობის სიმარტივისა და სხვ.

ხალხოსნებმა ბევრი დრო და ენერგია შეალიეს ხალხში სიარულსა და აგიტაციას, მაგრამ ღარიბმა, უსასოო და გაუნათლებელმა გლეხობამ ვერაფერი გაუგო მის „დასახმარებლად“ მოსულ ინტელიგენტებს. ხალხოსნებმა პრაქტიკულად დაინახეს, რომ გლეხს არავითარი სურვილი არ ჰქონდა მათთვის ყური დაეგდო. ხალხოსნების ერთმა ჯგუფმა სცადა მუშათა წრიდან მოემზადებინა შუამავლები

---

[1] გრ. გიორგაძე—„საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში“, გვ. 491. იხ. აგრ. გ. მეგრელიშვილის წერილი — „ქართული რევოლუციონური ხალხოსნობა მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში“, „მნათობი“, № 3, 1958 წ.

გლეხობასთან დასაკავშირებლად, ამიტომ მათ მოღვაწეობა ქალაქებში, ფაბრიკა-ქარხნებში გადაიტანეს, მაგრამ ამ ჯგუფის მონაწილენი მალე წარსდგნენ სასამართლოს წინაშე, ეს პროცესი ცნობილია „50-ის პროცესის“ სახელით.

რევოლუციონერთა ამ ჯგუფში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ იკანე ჯაბადარს, გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილს, მიხეილ ჩიკოიძეს, ალექსანდრე ციციშვილს და მათთან ერთად მოსკოველ მუშას — ფეიქარ პეტრე ალექსეევს. ამ უკანასკნელის შესახებ 1954 წელს მოსკოვის ისტორიისა და რეკონსტრუქციის მუზეუმმა თავისი შრომების სერიაში დაბეჭდა წიგნი რუსულ ენაზე „მოსკოველი ფეიქარი პეტრე ალექსეევი“. აკად. ა. პანკრატოვას რედაქციით, რომელშიც მოთხრობილია ქართველ რევოლუციონერ-ხალხოსანთა და პეტრე ალექსეევისა, სოფიო ბარდინას და სხვათა პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. ამავე თემაზე 1957 წელს გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“ ალექსანდრე ისტროვერის წიგნი გამოსცა — „შესანიშნავ ადამიანთა სერიაში“, რომელშიც აგრეთვე მოხსენებულნი არიან ზემოთ დასახელებული, რუსეთში მოღვაწე ქართველი რევოლუციონერები.

ქართველ და რუს ხალხოსნებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, ოუმცა მათ შუშაობასა და მოღვაწეობაში განსხვავებაც არსებობს, რაც, ცხადია, შედეგი იყო ეროვნული თავისებურებისა. საქართველო XIX საუკუნეში კოლონიურ ზედდაწოლას განიცდიდა, იგი სხვა ქვეყნებთან ერთად „ხალხთა საპყრობილეში“ იყო მოქცეული, ქართველ სალხოსნებს არ შეეძლოთ ყურადღებაში არ ჰქონოდათ პოლიტიკური ვითარება, არ გაეზიარებინათ ქართველი ხალხის ეროვნული ტკივილები. სწორედ ეს მდგომარეობა ქმნიდა მთავარ თავისებურებას ქართველი ხალხოსნების მოღვაწეობაში[1]. 1881 წლიდან თბილისში გამოდიოდა ქართველი ხალხოსნების ჟურნალი „იმედი“, რომელშიც თანამ-

---

[1] ქართველი და რუსი ხალხოსნების ურთიერთობაზე იხ. შ. დაუითაშვილი, „ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში“, 1934 წ.. ს. მგალობლიშვილი. „მოგონებანი“, მიხ. ზანდუკელი. „ახალი ქართული ლიტერატურა“, წ. III, 1955 წ., აბ. კოკვიძე, „საქართველოს ისტორია“ (XIX საუკუნე), ავტორთა ჯგუფი, „საქართველოს ისტორია“, 1, 1958 წ.

მშრომლობდნენ როგორც ხალხოსნური მოძრაობის პირველი ეტაპის მონაწილენი, ასევე ხალხოსნური მოძრაობის მეორე, 80-იანი წლების ეტაპზე გამოსულნიც.

„იმედის“ მთავარი თანამშრომელი სტ. ჭრელაშვილი ერთ თავის წერილში გამოთქვამდა აზრს, რომ „იმედი“ ყურს მიუპყრობდა ევროპის რევოლუციის გაკვეთილებს და იქაურ მიღწევებს გამოიყენებდა[1]. მოღვაწეობის მეორე ეტაპზე, 80-იანი წლების დასაწყისში, მათ, ცხადია, ქართველი გლეხობის ბედი კვლავ ცხოვლად აინტერესებდათ. აღსანიშნავია, რომ ბევრი მათგანი არა შიშით და ძრწოლით მსჯელობდა კაპიტალიზმის განვითარებაზე და არსებობაზე, არამედ გამოთქვამდა კიდეც მზადყოფნის სურვილს მასთან შეგუებაზე. იგი მიაჩნდათ არსებულ და გარდაუვალ ფაქტად. აფიქრებდათ მხოლოდ ერთი: რამდენად არის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა შემზადებული მის მისაღებად და რამდენად უნარი შესწევს მისი ათვისებისაო. ასეთი აზრები გამოთქმულია და დაბეჭდილი ჟურნალ „იმედში“, სხვადასხვა თანამშრომელთა წერილებში[2].

ქართველ ხალხოსნებს თავის ჟურნალში მიეცათ საშუალება გამოეთქვათ ძირითადი მოსაზრებანი და დებულებები. აქვე გამოიხატა მათი დამოკიდებულება ეროვნულ საკითხთან. ხალხოსან-ბელეტრისტების შემოქმედებაზე, თუ ერთი მხრით მოქმედებდა ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის პოეტური ავტორიტეტი, მეორე მხრით თვით გრძნობდნენ, ხედავდნენ და განიცდიდნენ პოლიტიკური მდგომარეობის უჯიათობას, ქართველი მშრომელის საშინელ ყოფას არაქართველი ზედამხედველის, გამგებელისა და მოსამართლის ხელში, ამდენად, ქართველმა ხალხოსნებმა როგორც პუბლიცისტურ-კრიტიკულ, ისე მხატვრულ შემოქმედებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს ამ საკითხს და ზოგჯერ მებრძოლი განწყობილებითაც კი გამოდიოდნენ ზოგიერთი ეროვნული მოვლენის დასაცავად. მართალია, მათთვის მთავარი იყო მსჯელობა გლეხობის ეკონომიურ და იურიდიულ ყოფაზე. სწორედ ეს მხარეა მთავარი და ნიშანდობლივი ქართვე-

[1] სტ. ჭრელაშვილი, „ქართული მწერლობა“, „იმედი“, 1881 წ., № 1.

[2] იხ. დ. აბდუშელიშვილის „ბიბლიოგრაფია, „იმედი“, 1881 წ., № 1. სტ. ჭრელაშვილის „ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი“, იქვე, № 2 და 3—4.

ლი ხალხოსანი პუბლიცისტებისა და ბელეტრისტების ნაწერებში, მაგრამ, როგორც ქართველ მოღვაწეებს, უფლება არ ჰქონდათ გვერდი აეხვიათ შევიწროებული ეროვნული გრძნობისათვის.

ქართველი ხალხოსნები ყველაფერს გლეხების ეკონომიური ვითარებისა და მის აწმყოსი და მომავლის გამორკვევის საკითხს უფარდებდნენ[1].

იმპერატორმა ალექსანდრე III გვირგვინის კურთხევისთანავე იდეალად თავისი პაპის ნიკოლოზ I საქმიანობა დაისახა. თავის ირგვლივ შემოკრებილ მინისტრთა მეშვეობით პოლიტიკურ-პროვაკაციული რეჟიმი დაამყარა. პროვოკატორებისა და გამცემთა წყალობით მან ბევრი მსხვერპლი შეიწირა ხალხოსან რევოლუციონერთაგან[2]. ეს ველური წესი უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა მინისტრად გრაფი ტოლსტოი დაინიშნა. ამ ტოლსტოის პარპაშს შესანიშნავად ახასიათებს ვ. ლენინი[3]. რეაქციამ თავის გავლენის ქვეშ მოიქცია აგრეთვე სასკოლო და საგამომცემლო საქმეებიც. სახალხო განათლების მინისტრი, რეაქციონერი დელიანოვი, გრაფ ტოლსტოისა და პობედონოსცევის მხარის დაჭერით, მუსრს ავლებდა იმ მცირე ღათმობას, რაც განათლების საქმემ მიიღო რეფორმების შედეგად. 1887 წლის 18 ივნისს გამოიცა ცირკულარი, რომელიც სკოლებში დაბალი ფენის წარმომადგენელთა შვილების მიღებას კრძალავდა. დაიხურა ბევრი პირველდაწყებითი სასწავლებელი, ხოლო დიდი ნაწილი გადავიდა სინოდის გამგებლობაში. ტოლსტოიმ ბეჭდვის საქმესაც საკმაო ზიანი მიაყენა, აკრძალა პერიოდული გამოცემანი, გაიფურჩქნა და ფრთა გაშალა ისეთმა გამოცემამ, როგორიც იყო „მოსკოვსკიე ვედომოსტი“, რომლის სულისჩამდგმელი ცნობილი კატკოვი, მაბეზ-

---

[1] „იმედში“ 1883 წელს (№ 2 და 3) დაიბეჭდა ზაქარია ჭიჭინაძის წერილი „მუშა ხალხი საქართველოში“, მაგრამ იგი არ არის იმის მაჩვენებელი, თითქოს ჟურნალი „იმედი“ და მისი ხალხოსანი თანამშრომლები მუშათა საკითხს არკვევდნენ. ზ. ჭიჭინაძის ეს წერილი ხელოსნების მდგომარეობას ეხება და არა პროლეტარებისა. წერილში საუბარია იმ მწარმოებლებზე, რომელთა ბედიც ესოდენ აწუხებდა იმდროინდელ პოეტს იოსებ დავითაშვილსაც.

[2] ქართველ ხალხოსნებშიც იყო გაშვებული პროვოკატორი იაგორ იოსელიანი, რომელიც ხალხოსანთა წრეშიც იყო და ჟანდარმთა სამმართველოშიც მსახურობდა.

[3] ვ. ი. ლენინი, „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, თხზულებანი, ტ. I.

ლარა და გავლენიან ჩინოსანი იყო. გააფთრებული რეაქცია იმპერიის განაპირა კუთხეებში უფრო მძვინვარებდა. კოლონიური პოლიტიკის გამოვლინების სხვადასხვა მხარეები, აშკარა რუსიფიკაცია, ეროვნული კულტურის დაწიხლვა, აბუჩად აგდება ადგილობრივი ენებისა, პრესისა, თეატრისა — ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მთავრობამ გააცხოველა რასიული თეორია[1]. გაძლიერდა დიდმპყრობელური შოვინიზმი, რომლის პრაქტიკული მესაჭე ხელმწიფე იყო, ხოლო შემსრულებელ-აღმასრულებლები ტოლსტოი, პობედონოსცევი. კატკოვი, დანილევსკი და სხვანი, კავკასიასა და საქართველოში — დონდუკოვ-კორსაკოვი[2].

მთავრობის კოლონიურ პოლიტიკას ქართული, ეროვნული კულტურის დამცველთა რაზმი უპირისპირდებოდა. ქართველი ინტელიგენცია დაირაზმა მშობლიური კულტურის ირგვლივ, ეროვნული სულის აღორძინებისათვის, ენის შენარჩუნებისათვის. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხატვრულ-პუბლიცისტურმა შემოქმედებამ და პრაქტიკულმა მოღვაწეობამ, რასაც მხარს უჭერდა შესანიშნავ მოღვაწეთა პლეადა: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, დიმიტრი ყიფიანი, დავით ერისთავი, სერგეი მესხი, პეტრე უმიკაშვილი, იაკობ გოგებაშვილი და მრავალი სხვა, დიდი საქმე გააკეთა ეროვნულ ძალთა გაერთიანება-შემტკიცებისათვის. 70—80 წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი ინტელიგენტური ძალები, რომელნიც საცენზურო პირობებში მაინც ახერხებდნენ მაორგანიზებელი სიტყვის თქმას და ხშირად, იგავ-თქმით, ქართველ მწერლებს თავისი შემოქმედებით ხალხთან მაინც მიჰქონდათ თავისი გულისთქმა. ქართული მხატვრული და პუბლიცისტური სიტყვა საზოგადოებრივად საჭირბოროტო საკითხებზე გაისმოდა, დღის წესრიგიდან

---

[1] მართალია, ცოტა ადრე მთავრობის კოლონიური პოლიტიკის გამოძახილი იყო გ. ბაგრატიონ-მუხრანსკის წიგნი — «О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц». წიგნის ავტორი მეფის პოლიტიკას უჭერდა მხარს და რუსიფიკატორულ პოლიტიკას ამართლებდა. მუხრანსკის წიგნმა ქართულ საზოგადოებაში აღშფოთება გამოიწვია, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, პეტრე უმიკაშვილმა, დავით ერისთავმა და სხვებმა საკადრისი პასუხი მიაგეს გადაგვარებულ მუხრანელ ბაგრატიონს.

[2] იხ. История СССР, ტ. II, თავი XXIII. აგრ. აბ. კიკვიძე, „საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე", ტ. I, § 16.

დადხანს არ მოხსნილა ეროვნული შეგნებისათვის, ქართული ენისა და მწერლობის დაცვისათვის ბრძოლა. თუ 60-იან წლებში ამ პატრიოტული საქმის მეთაურნი უმეტესად მხატვრული სიტყვის ოსტატები იყვნენ, შემდეგ ათეულ წლებში მათ მხარი მისცეს პედაგოგიკის დარგში მოღვაწეებმა, სახალხო სკოლის მუშაკებმა, საქართველოს ისტორიის მკვლევარებმა, ქართული ენის შემსწავლებლებმა, ჟურნალისტიკისა და პრესის მეთაურებმა, საბუნებისმეტყველო და სხვა მეცნიერებათა წარმომადგენლებმა. ქართულმა ლიტერატურამ და მეცნიერებამ შეიძინეს ბრწყინვალე მოღვაწეები, კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის თავდადებული მშრომელები. გაცხოველდა აზრი და მსჯელობა საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთ მოწყობასა და განვითარებაზე, დაისახა სხვადასხვა გზები ხალხის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ამ მეტად სერიოზულ, პოლიტიკურად დაძაბულ, ეროვნული თავდაცვისთვის ბრძოლის ეპოქაში მცირე ღვაწლიც კი თავისებურად შესანიშნავი ფაქტი იყო. ამ მოღვაწეთა ზურგზე გადაიარა მონარქიული წყობილების ძალდატანებამ და რეაქციის სუსხმა. მათ, ამ მოღვაწეებს, „გლეხთა გათავისუფლების“ შემდეგ პერიოდში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მათი ფიზიკური არსებობაც კი ბეწვზე ეკიდა, ხოლო მათი ნააზრევ-ნაფიქრალი ძლიერ ხშირად შეკვეცილ-დამახინჯებული მაინც ქვეყნდებოდა. ცნობილია ილია ჭავჭავაძის ფიქრები ცენზურაზე, რაც ზოგადი სურათია მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის ნააზრევის სავალალო მდგომარეობისა.

ამ დროს და ამისთანა პირობებში მოუხდა მოღვაწეობა პუბლიცისტსა და ლიტერატურის კრიტიკოსს ესტატე მჭედლიძე-ბოსლეველს, რომელმაც გაიზიარა თავის თანამედროვე ქართველ თანამეკალმეთა ბედი. უფრო მეტიც, იგი შეეწირა დაუნდობელ ბრძოლას. ბოსლეველი თავისი საქმიანობითა და სიცოცხლის უბედური დასასრულით იმ ადამიანთა წყებაში დგას, რომელნიც საქართველოში და რუსეთში ხალხის შრომისა და გონების გათავისუფლებას შეეწირნენ, რომელნიც მიმზიდველ, მაგრამ ვაებით აღსავსე საზოგადოებრივი ცხოვრების სამსა-

ხურში დაიფერფლნენ. ბოსლეველის მოღვაწეობის დასასრული თითქოს გამეორება იყო იმისა, რაც რუსეთში ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ხვედრი გახდა. ბოსლეველის მკვლელობამ თითქოს იწინასწარმეტყველა საქართველოში ილია ჭავჭავაძის, ისე როგორც ნიკო ხიზანიშვილის დაუნდობელი, ვერაგული მკვლელობა.

საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის დასაწყისად აღიარებულია XIX საუკუნის 70-იანი წლები, როცა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პუნქტში ჩამოყალიბდა ხალხოსნური ორგანიზაციები, რომელთაც არალეგალური მუშაობა გააცხოველეს, როცა შეიქმნა საიდუმლო წიგნსაცავები და საიდუმლო სტამბაც კი, რომელიც რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოტანილ რევოლუციურ ლიტერატურას ავრცელებდა. ქართველმა ხალხოსნებმა დატოვეს მემუარული ჩანაწერები, რომელშიც მოგვითხრობენ ამ ორგანიზაციების ჩამოყალიბების პირველ დღეთა შესახებ, ორგანიზაციებისა და მათი წევრების მუშაობაზე. 70-იანი წლები ხალხოსნური მუშაობის ინტენსიური პერიოდია. მაშინდელმა ხელისუფლებამ უკვე შეამჩნია მზარდი რევოლუციური ძალა და დაიწყო მის წინააღმდეგ ფარული და პირდაპირი ბრძოლა.

ჯერ კიდევ ადრე, წინა თაობის ბევრი მოღვაწე და პუბლიცისტი, ეიდრე რუსეთში და საქართველოში ხალხოსნური მოძრაობა გარკვეულ ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებდა, ნ. ჩერნიშევსკის შეხედულებების საფუძველზე თავის აზროვნებაში ხალხოსნურ ტენდენციებსა და მისწრაფებებს გამოხატავდა. ზოგიერთი ქართველი ინტელიგენტი ჩერნიშევსკის პოლიტიკური შეხედულებების დიდ გავლენას განიცდიდა. ამ შემთხვევაში პირველ რიგში დასასახელებელია ნიკო ნიკოლაძე, რომელიც გერცენის გაზეთში დაბეჭდილ წერილებში ხალხოსნური აზროვნების გავლენას გამოხატავდა. გარდა ნ. ნიკოლაძისა. უნდა აღინიშნოს მთელი წყება „დროებისა“ და „გუთნის დედის“ კორესპონდენტებისა, რასაც ხალხოსნები აყრდნობდნენ თავის თეორიულ მოსაზრებებსა და პროგრამას.

გლეხობის ცხოვრების მოწყობა ისეთი დიდი და აქტუალური პრობლემა იყო, რომელსაც არ შეიძლებოდა არ დაეპყრო იმდროინდელი მოღვაწის აზროვნება. შეუძლებელი იყო გლეხობის ეკონომიურ, სოციალურ, იურიდიულ და კულტურულ მდგომარეობას გამო-

ხელოვნება არ ეპოვა ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსულა ცხოვრებამიანის აზრსა და ნაწერში. ასეთ მდგომარეობას განსაზღვრავდა მოსახლეობის ძირითადი მასის ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული ლიტერატურა და პუბლიცისტიკა ძირითადში სოფლის თემის ასახვას ემსახურებოდა, ძლიერ ძნელი იქნება ყველა ქართველი (თუ არაქართველი) მწერალ-პუბლიცისტ-მოღვაწის მიკუთვნება ხალხოსნობისადმი და ხალხოსნური მოძრაობისადმი. ხალხოსნობა სრულიად გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის მოძღვრებაა, რომელიც ჩამოყალიბებული პროგრამის, მიზნის, მუშაობის ობიექტისა, წყაროსი და დასაყრდენის პატრონი იყო.

ხალხოსნური იდეოლოგიისადმი მიკუთვნება რომელიმე მწერლისა თუ პუბლიცისტისა იმის საფუძველზე, რომ იგი „იმედში" თუ „შრომაში" ბეჭდავდა თხზულებებს, არ შეიძლება საბუთად გამოდგეს. მთავარია არა წერილების ბეჭდვა აქა თუ იქ. არამედ მისი აზროვნების წყაროები, მისი პოლიტიკური და ეკონომიური შეხედულებები, მათი გამოსახვის თავისებურებანი.

ბოსლეველის შესახებ რამდენიმე მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რადგან იგი გაზეთ „შრომის" მონაწილე იყო, ხოლო „შრომა" ქუთათური ხალხოსნების ორგანოს წარმოადგენდა, ამიტომ ბოსლეველი ხალხოსანი პუბლიცისტ-კრიტიკოსი იყოო. პირველად ასეთი აზრი ჩამოაყალიბა პროფ. ს. ხუნდაძემ. ბოსლეველზე სიმონ ხუნდაძე წერდა როგორც სრულიად უცნობ პუბლიცისტზე. „ბოსლეველი ჩვენში უცნობი მწერალია, უკეთ, მის შესახებ გაუგონიათ, რომ ის ნიჭიერი პუბლიცისტი იყო... ბოსლეველის სოციალ-პოლიტიკური აზროვნება ჯერ არავის განუხილავს"[1]. ს. ხუნდაძეს ბოსლეველი ხელაღებით არ მიუკუთვნებია ხალხოსნებისათვის, რადგან პუბლიცისტის ის წერილები, რომელთაც მკვლევარი ეხებოდა, მას ამის საშუალებას არ აძლევდა.

ბოსლეველის აზროვნებაში ეროვნული საკითხის ირგვლივ კამოთქმული შეხედულებებით პუბლიცისტი ქართველ ხალხოსანთა შორის ერის მოხსენებული ლ. გორგილაძის წერილში — „ნაროდნიკობა საქარ-

---

[1] „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში", წ. II, გვ. 128.

თველოში“[1]. სრულიად გარკვეულად ამ მკვლევარს ბოსლეველი ხალხოსნებს ჰყავს მიკუთვნებული იმის გამო, რომ პუბლიცისტი მონაწილეობდა თავისი წერილებით გაზეთ „შრომაში“. ასეთივე აზრი არის განვითარებული ა. გოგუაძის წერილში — „ლიბერალურ ხალხოსანთა ქუთაისის ჯგუფი“[2].

ლ. გორგილაძესაც და ა. გოგუაძესაც საკმაო საფუძვლიანობითა და სათანადო ფაქტიური მასალის მოშველიებით დახასიათებული აქვთ ხალხოსნური მოძრაობის განვითარება საქართველოში. დახასიათებული ჰყავთ ამ მოძრაობის ძირითადი წარმომადგენლები და, საერთოდ, სრულიად მართებულად განსაზღვრავენ ხალხოსნური მოძრაობის ხასიათს საქართველოში. იმ ძირითად მაურთიერთებელ გზებს, რაც ქართველ ხალხოსნებს რუს ნაროდნიკებთან აკავშირებდა, მაგრამ ბოსლეველის შესახებ მასალათა უქონლობა ეტყობა ხელს უშლის იმაში, რომ განსაზღვროს პუბლიცისტის იდეოლოგია და გარკვეული და ცხადი საბუთიანობით იგი მიაკუთვნოს ქართულ ხალხოსნობას.

მართებულად იქცევა ავტორთა ჯგუფი, რომელმაც 1958 წელს გამოსცა „საქართველოს ისტორიის“ I ტომი, როცა წერს, რომ „ხალხოსნებთან ახლოს იდგა და მათ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ბევრი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი“ და ჩამოთვლის ამ მწერალ-პუბლიცისტებს (ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ხიზანაშვილი, ესტატე მჭედლიძე, ზაქარია ჭიჭინაძე...[3]). მოღვაწეობის დროის მიხედვით ზოგიერთი აქ დასახელებული პუბლიცისტი მართლაც ახლო იდგა ხალხოსნებთან, მაგრამ ეს მოტივი სრულიადაც არ არის საფუძველი იმისა, რომ ხალხოსნებთან ახლო მდგომი პიროვნება იზიარებდეს მათ იდეოლოგიას. რასაკვირველია, გაზეთ „შრომაში“ ბოსლეველის კო-

---

[1] თბილისის სახელმწიფო უნივერ. შრომები, XXXII, 1947 წ.

[2] ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955 წ.

[3] „საქართველოს ისტორია“, I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე, გვ. 547.

რესპონდენტობა[1] არ შეიძლება განმსაზღვრელი იყოს მისი იდეოლოგიისა. არსად ბოსლეველი არ მსჯელობს მიწის საერთო მფლობელობაზე, თემური წყობილების უპირატესობაზე. პირიქით, იგი ერთი პირველთაგანია, რომელიც ხედავს ახალ ეკონომიურ ვითარებას და მასზე აღმოცენებულ შეხედულებებს. არსად ბოსლეველს ერის ცხოვრება, მისი წარსული და მომავალი არა აქვს შეფასებული იმ პრინციპული საფუძვლებიდან, რომელზედაც ხალხოსნები იდგნენ. მხატვრული ლიტერატურის ფაქტების შეფასებისას ბოსლეველი არაა ისეთი ნიჰილისტური განწყობილების გამომხატველი, რაც ცნობილია სხვა ქართველი ხალხოსნების შეხედულებებიდან. ბოსლეველის ესთეტიკური შეხედულებები საკმაოდ ემიჯნება ხალხოსნურ ესთეტიკას.

საქართველო 80-იანი წლებისათვის აგრარული ქვეყანა იყო ძირითადში, მაგრამ უკვე ჩანდა ისეთი ნიშნები, რაც მის მომავალ სამრეწველო განვითარების პერსპექტივებს აჩვენებდა. ამ დროისათვის ქალაქური მეურნეობა ფეხს იდგამს და თანდათან შედის ძალაში, ქალაქი თანდათან გამოდის ასპარეზზე თავისი ეკონომიკით. ქალაქის ახალი სახე, მისი განვითარების პურსპექტივა, ამ განვითარების პროცესში წარმოშობილი მრავალი შეუსაბამობა, ამ შეუსაბამობათა მოსპობისათვის ზრუნვა, საზოგადოებრივი ცხოვრების დაწმენდა და განვითარება იყო ბოსლეველის მრავალი წერილის აზრი.

ბოსლეველის პუბლიცისტიკა

I

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში პუბლიცისტიკამ, მხატვრული ლიტერატურის შემდეგ, ყველაზე დიდი ადგილი დაიჭირა. მწერლობის ეს ორი დარგი იყო გამომხატველი ქართველი ხალხის მტკივნეული საკითხების, საარსებო მიზნების და საშუალებებისა. პუბლიცისტური სიტყვა მაღალ დონეზე აიყვანა თერგდალეულთა თაობამ და მას დიდი როლი მიაკუთვნა პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური თუ კულტურული ცხოვრების წარსულის, აწ-

---

[1] ბოსლეველი კორესპონდენტი იყო „დროებისა“ და „ივერიისაც“.

მყოსი და მომავლის გამორკვევის საქმეში. XIX საუკუნის ქართულმა პრესამ გამოზარდა დიდი პუბლიცისტური ნიჭის მქონე თანამშრომლები, რომელთა შორის ზოგიერთნი ამ დარგში საქვეყნოდ ცნობილ მოღვაწეებს უტოლდებოდნენ პრობლემების დაყენება-გადაწყვეტითა და აზრის სიმახვილით. პოლიტიკური ვითარების იმ თავისებურ პირობებში, რომელშიც საქართველო იმყოფებოდა საუკუნის განმავლობაში, დიდ ეკონომიურ და სოციალურ ცვლილებათა ეპოქაში, პუბლიცისტიკას მეტად მნიშვნელოვანი როლი დაეკისრა.

ქართული პუბლიცისტიკის განვითარებაში თავისებურად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსულმა დემოკრატიულმა მწერლობამ, რომლის უპირველესი წარმომადგენლები—ბ. ბელინსკი, ნ. ჩერნიშევსკი, ნ. დობროლიუბოვი, დ. პისარევი და სხვანი—ხშირად იმავე საკითხებს ეხებოდნენ თავის წერილებში თუ მხატვრულ თხზულებებში, რომლებიც ჩვენი მოღვაწე-პუბლიცისტებისათვისაც მნიშვნელოვანი იყო. როგორც რუსულ, ისე ქართულ პუბლიცისტიკას მრავალი სერიოზული საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი დიდი რეფორმების წინა პერიოდიდან და რეფორმების შემდეგაც, როცა დაისვა საკითხი გლეხობის ეკონომიური და სოციალური ცხოვრების მოწყობისა. ქართველი ხალხის პოლიტიკური მდგომარეობა XIX საუკუნეში — ერთი მთავარი საკითხი იყო მთელი ქართული მწერლობის წინაშე დაყენებული მეფის ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკის ზოგადი თავისებურებანი, რაც XIX საუკუნეში ქართველი ხალხის მიმართ ვლინდებოდა, აგრეთვე მეტად სერიოზულ შეფასებასა და ქართველი ინტელიგენციის ძალთა მზადყოფნასა და მებრძოლ განწყობილებას მოითხოვდა. ცენტრალური და ადგილობრივი ბიუროკრატიული ხელისუფლების განკარგულებები, რომელნიც მიმართული იყო ქართველი ხალხის ისტორიის, თანამედროვე ცხოვრებისა და მომავლის პერსპექტივების წინააღმდეგ. ქართველი ხალხის მოაზროვნე ნაწილის ყურადღებას ამუხრუჭებდა და ხშირად მის ყურადღებას დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური მმართველობის ხასიათისაკენ მიაქცევდა.

ქართული პუბლიცისტური სიტყვა, რომელიც XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში თავის შესაძლებლობაზე უფრო სუსტად მოქმედებდა, დროთა განმავლობაში ძლიერდებოდა და საზოგადოებრივ საქმიანობაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენდა. სამშობლოში

აკრძალული სიტყვა. ზოგჯერ უცხოეთში გაისმოდა თავისუფლად. ამ მხრივ აღსანიშნავია ნიკო ნიკოლაძის წერილები ა. გერცენის გაზეთში თანამშრომლობისას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, უკეთ 60-იანი წლებიდან, საქართველოში დაგროვდა აქტუალური და მტკივნეული საკითხი, რომელთა გადაწყვეტასთან იყო დაკავშირებული ეროვნული თვითარსებობა და მისი განმტკიცება, ქართველი ხალხის ნაციონალური ღირსების დაცვა, სოციალური, ეკონომიური და იურიდიულ-კულტურული საქმიანობის მოგვარება; საჭირო გახდა გმირული წარსულის დაცვა, თანამედროვეობის ბრძოლით შენარჩუნება და დაუღალავი ზრუნვა ხვალისათვის.

დასავლეთ ევროპაში მარქსიზმის აღორძინებამ, რუსეთში და ჩვენ'ში ხალხოსნური იდეოლოგიის აღმავლობამ 70-იან წლებში, კაპიტალისტური წარმოების ზრდამ საქართველოში აზრთა სხვადასხვაობა დაბადა. აზრთა ეს მოძრაობა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში 70—80-იან წლებში შედარებით სუსტად აისახა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ გიორგი წერეთლის შემოქმედებას), სამაგიეროდ პუბლიცისტიკამ გამოავლინა შესაძლებლობანი და მაშინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში — „დროებასა“, „მნათობში“, „კრებულში“, „იმედში“, „ივერიაში“ და „შრომაში“ — მთელი თავისი ძალით გამომჟღავნდა. თვით მხატვრული ლიტერატურაც კი დაიპყრო პუბლიცისტიკამ, რომლის დამადასტურებელი ნიმუშიც 80-იანი წლების ხალხოსნების შემოქმედებაა. ქართული პუბლიცისტიკის ამ ეტაპის შესახებ ნიკო ნიკოლაძე წერდა: „საზღვარგარეთ პუბლიცისტები მაინც არ არიან ერთადერთი და მნიშვნელოვანი წარმომადგენლები საზოგადოებრივი ინტერესებისა და მისწრაფებებისა. ყოველი შეუსრულებელი სურვილი, ყოველი შევიწროებული მისწრაფება უიმათოდაც კარგად იპოვნიან დამცველსა და დამაკმაყოფილებელს... ჩვენში კი, პირიქით, პუბლიცისტიკა წარმოადგენს ერთადერთ ტრიბუნასა და ასპარეზს...“[1].

---

[1] ნ. ნიკოლაძე, «На праздники», „ნოვოე ობოზრენიე“, 1891 წ., № 2592.

ქართული პუბლიცისტური აზროვნების ერთ-ერთი სერიოზული წარმომადგენელია ბოსლეველი, რომელსაც თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის თვალყური ფხიზლად უდევნებია და მნიშვნელოვანი ფაქტები აღუნუსხავს. იგი ეცადა შეუმჩნეველი არაფერი დაეტოვებინა, ამოეზიდა ისინი ცხოვრების მრავალფეროვნებიდან პუბლიცისტური განხილვის დონემდე და ეჩვენებინა ამ ფაქტების არსი, მათი წარმოშობის მიზეზები, საზოგადოებრივი ფასი და მნიშვნელობა, თითოეული მათგანისათვის შესაფერისი კვალიფიკაცია მიეცა, გამოეტანა მათზე მსჯავრი და შეექმნა საზოგადოებრივი აზრი დიდისა თუ მცირე მოვლენის ირგვლივ. ბოსლეველის ნაწერები საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა საკითხს ეხება, აქ არის ლიტერატურის კრიტიკაც და ყრველდღიური მატიანეც, მსჯელობა სახალხო განათლებაზე და ქართულ პრესაზე და სხვა. ყველა მის ნაწარმოებში, უპირველეს ყოვლისა, ჩანს პუბლიცისტი, თავგამოდებული დამცველი საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმართლისა. ასე წერდა სწორედ „დროება“ მასზე 1885 წელს (შეიძლება ივანე მაჩაბელი, რომელიც ბოსლეველის ვერაგულად მოკვლისას გაზეთს რედაქტორობდა): „ავაზაკურმა ხელმა... საუკუნოდ გამოასალმა თავის სამშობლოს ყმაწვილი კაცი, რომელსაც თავის ცხოვრების იდეალად ამ სამშობლოს სამსახური მიაჩნდა...“[1]. ასევე წერდა პოეტი და მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი: ბოსლეველი „ერთ წამსაც არ დაფიქრდებოდა, რომ თავისი მოძმის, თავისი სამშობლოს სადღეგრძელოდ, თუ მოითხოვდა გარემოება, შეეწირა სული და ხორცი, სიცოცხლე... სიმწარე მატულობს (მისი ვერაგულად მოკვლის გამო — ს. ხ.), როცა ეს ახალგაზრდა იყო სამშობლოს მსახურობით გამსჭვალული...“[2].

ასეთი დახასიათების გარეშეც ბოსლეველის ნაწერებიდან ნათლად ჩანს მათი ავტორის გატაცება და სიყვარული, შემართება და ინტერესი, მრავალმხრივობა, საზოგადოებრივი ცხოვრებით დაინტერესება. ყველა საკითხი, რომელთაც შეხებია იგი თავის ნაწერებში, აქტუალური პრობლემები და მათი ანალიზი, სრულად ადასტურებს

---

[1] „დროება, 1885 წ., № 105, „საყურადღებო მოვლენა ევსტ. მჭედლიძის მკვლელობის გამო“.

[2] „დროება“, 1885 წ., № 112. — „მოსკოვი, მაისის 17“.

ბოსლეველის დაკვირვების უნარსა და ხასიათს, მის შემოქმედებით შესაძლებლობას და განსაზღვრავს იმ ადგილს, რომელიც ბოსლეველმა დაიჭირა ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, სულ რამდენიმე წლის მოღვაწეობით.

ბოსლეველს თავისი დღიურის ფურცლებზე, ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებელში ყოფნისას, სხვადასხვა თხზულებებიდან რამდენიმე აფორიზმი ამოუწერია, თითქოს მათი შინაარსით განსაზღვრავდა ადამიანის დანიშნულებასა და თავის მომავალ მოღვაწეობასაც. „ყოველი ხე, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოიკვეთოს და ცეცხლსა დაედვას“, „ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის“, „მოყვასისთვის თავდადება ქრისტე-ღმერთის ანდერძია“ და სხვანი.

ბოსლეველი — პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, თავისი ქვეყნის გულშემატკივარი, პრესის მუშაკი და ყოველდღიური ცხოვრების მემატიანე — არ გამოდის საკითხთა იმ წრიდან, რაც მაშინდელ პოლიტიკურ, ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებას ასულდგმულებდა. ლიტერატურის დანიშნულებისა თუ ლიტერატურული კრიტიკის როლის განმარტებაში ბოსლეველი მხარს უჭერდა რევოლუციურ-დემოკრატიული ქართული ინტელიგენციის მრწამს, სწავლა-განათლების საკითხების, თუ ქართული ენის დაცვისას და მის მძევნელთა მხილებისას იგი ილია ჭავჭავაძის იაკობ გოგებაშვილის და სხვა მოღვაწეთა მიერ შემუშავებულ პრინციპზე იდგა. მაშინდელი პოლიტიკური წყობილების კრიტიკაში იგი ერთერთი პირველთაგანი იყო. ქართული პრესის როლის განსაზღვრაში და ამ პრესის საკითხების გარკვევაში ბოსლეველი ქართველ სამოციანელთაგან განმარტებულ დებულებებს იცავდა. ქართველი მოღვაწეების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, კირილე ლორთქიფანიძის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხისა და 70—80-იანი წლების ქართული პრესისა და ჟურნალისტიკის სხვა მუშაკთა გვერდით ბოსლეველს გამოკვეთილი ადგილი ეჭირა. მას გააჩნდა გარკვეული გეზი და პრინციპულობა, ორიგინალური შეხედულებანი მოკლენებსა და ფაქტებზე. ბოსლეველის პუბლიცისტური მსჯელობისათვის ნიშანდობლივი იყო არა ზერელე მსჯელობა ცხოვრების მოვლენებზე, არამედ, მაშინდელი ცენზურის პირობებში, ღრმად ჩახედვა

საკითხის სიღრმეში, მათი ღრმა გამოკვლევა. ბოსლეველი ეხებოდა ძირითადსა და მთავარ ფაქტებს, იმ დროისათვის მნიშვნელოვანსა და აქტუალურს.

ქართული პუბლიცისტიკის სერიოზული ფურცლებია ბოსლეველის წერილების სერია, გაერთიანებული ერთი სათაურით — „კრიტიკული მიმოხილვა“. ეს მიმოხილვები ეხება ჟურნალ „ივერიას“, რომელშიც მაშინდელი მწერლობის საუკეთესო ძალები იყრიდნენ თავს და რომელთაც მეთაურობდა ნაცადი პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე.

ჟურნალ „ივერიას“ და ილია ჭავჭავაძეს ბოსლეველი ეპოქალურ მნიშვნელობას ანიჭებდა. ილია ჭავჭავაძე ამ ჟურნალის მეშვეობით ავრცელებდა ისეთ შეხედულებებს და მსჯელობდა ისეთ საკითხებზე, რომელიც აინტერესებდა ბოსლეველსაც. „ივერიის“ განყოფილებათაგან ბოსლეველის ყურადღებას უმთავრესად იზიდავდა ილია ჭავჭავაძის „შინაური მიმოხილვა“, როგორც ყველაზე მეტყველი და მოქმედი ნაწილი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრებისა, მისი წარსულისა და მომავლის მრავალი საარსებო საკითხი სრული სიღრმითა და სერიოზულობით იყო დაყენებული და გადაწყვეტილი. ბოსლეველის „კრიტიკული მიმოხილვა“ ილია ჭავჭავაძის „შინაური მიმოხილვის“ არა მხოლოდ გამოხმაურებაა, არამედ, შეიძლება ითქვას, ბევრ დეტალში იგი მას განმარტავდა, განავრცობდა, მხარს უჭერდა და რეზონანსსაც უქმნიდა. ამასთანავე ერთად ეკამათებოდა მას, თუმცა ყოველთვის პრინციპულად და ისე, როგორც შეეფერებოდა ილია ჭავჭავაძის ადგილს ქართული კულტურის არსში. ამ მხრივ ეს კამათი თავისი ტონით სრულად განსხვავდებოდა იმ კამათისაგან, რომელსაც ბოსლეველი ჟურნალ „იმედის“ თანამშრომლებთან აწარმოებდა.

„შინაური მიმოხილვა“, ილია ჭავჭავაძისაგან დამკვიდრებული პუბლიცისტიკის ჟანრი, ე. წ. საქართველოს მატიანე, თავისი ხასიათითა და მნიშვნელობით ისტორიული საბუთების ღირებულების მქონე მასალას შეიცავს. იგი მშრალი ფაქტების გადმოცემა კი არაა, არამედ სისტემატური ანალიზი, დაწვრილებით მიმოხილვა და შეფასება საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიური მტკივნეული საკითხებისა. „შინაური მიმოხილვით“ ქართველი მოწინავე საზოგადო-

ება თავისი საუკეთესო წარმომადგენლის მეშვეობით პასუხს აძლევდა გასული საუკუნის 80-იანი წლების მოთხოვნილებებს.

ქართული ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის ეს დარგი მეტად რთული და საპასუხისმგებლო იყო. მასში იდგა ყველა ის პრობლემა, ყოველდღიური ცხოვრების ფაქტებზე დაყრდნობით, რომელიც გამოხატავდა ხალხისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებას. აჩვენებდა საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას რუსეთის იმპერიასთან, ევროპისა და აზიის ქვეყნების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ წყობას. სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმდინარეობას სხვადასხვა ქვეყნებში, ქართველი ხალხის ეროვნულ პრეტენზიასა და კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის ფენარს.

ილია ჭავჭავაძისათვის „შინაურ მიმოხილვას“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საჟურნალო მწერლობის ეს დარგი ყველაზე მკვეთრად გამოხატავდა „ივერიის“ პროგრამას და რედაქტორის აზრებს, მის მიზნებს და მისწრაფებებს. ამ „საქართველოს მატიანეში“ ილია ჭავჭავაძემ 80-იან წლებში კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა თავისი მრავალმხრივი ერუდიცია და პუბლიცისტური მწერლობის ამ ჟანრს ქმედითი ხასიათი მისცა, მრავალმნიშვნელოვან ასპარეზად და ტრიბუნად აქცია.

ილია ჭავჭავაძეს, ამ ჟანრის დამნერგავს ქართულ პუბლიცისტიკაში, კარგად ჰქონდა შეგნებული მნიშვნელობა „შინაური მიმოხილვისა“. პასუხისმგებლობის შეგნებით არის მოცემული ჟურნალის ამ განყოფილების შინაარსის განმარტება: „შინაურის მხილველობისთანა ჩვენში ძნელი საქმე ჩვენებურს მწერალს არა აქვს, იმიტომ, რომ ჩვენში შინაური საქმე ისეთი საგანია, რომლისთვისაც ჯერ ხელი სხვას არავის უხლია, რომელზედაც არავითარს მსჯელობას, არავითარს მოსაზრებას, არავითარს დასკვნას სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ვერ ინახულებთ პირდაპირ და მოჭრით“[1]. ცხადია, საქართველოს ცხოვრების შინაური მიმოხილვა მხოლოდ და მხოლოდ ქართული პერიოდიკის მოვალეობა იყო და არავითარ შემთხვევაში

---

[1] „შინაური მიმოხილვა“, 1879 წ., ივლისი-აგვისტო, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი V. გვ. 55.

ქართულ პუბლიცისტიკას არ უნდა ჰქონოდა სხვისი იმედი. შინაური მიმოხილვა, ილია ჭავჭავაძის განმარტებით, ისეთი საქმეა, რომელზეც საჭიროა ქართველის აზრი, საკუთარი ქართული ზომა და ქართული გონების შუქით განათება. „ერთის სიტყვით, — განაგრძობდა ილია ჭავჭავაძე, — ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია. უნდა ჩვენ თითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარს ჰკუის თონეში, ჩვენის ხელით გამოვაცხოთ[1]. უბრალოდ და ზუსტად არის გამოხატული ილია ჭავჭავაძისაგან არა მხოლოდ პუბლიცისტიკის ამ ჟანრის მნიშვნელობა და არსი, არამედ ისიც, რომ ქართველი ხალხის შინაური ცხოვრების ყველა მოსაგვარებელ-მოსაწესრიგებელი საკითხი უნდა „საკუთარი ჰკუის თონეში ჩვენის ხელით გამოვაცხოთ“. ამრიგად, მისი გეგმის მიხედვით, „შინაური მიმოხილვა“ არის არა ფაქტების ჩამოთვლა, არამედ დამოუკიდებელი გადაწყვეტა ყველა სახიცოცხლო საკითხისა. „ამიტომაც ჩვენებური მწერალი დიდს ჭაპან-წყვეტაშია ხოლმე, როცა მწერლობის საღერღელი აეშლება და ბედი ფათერაკად ზედ მიაყენებს შინაურს საქმეს და სულთამხუთავივით თავს დაადგება, გინდა თუ არა შენის საკუთარის ტვინის ძაფები დასძარიო და ამის პასუხი მომეციო“[2].

ისე, როგორც სხვა ყველაფერი, ქართული პუბლიცისტიკის ეს ჭნიშვნელოვანი ჟანრიც ცენზურის ყურადღების ცენტრში იდგა და ამიტომაც ხშირად ილია ჭავჭავაძის „შინაური მიმოხილვა“ იმ სახით ვერ იბეჭდებოდა, როგორც იყო დაწერილი. ქართულ მწერლობას დიდი ჯაფა გადახდა იმისთვის, რომ შემოქმედის აზრი, ასე თუ ისე, სრულად მისულიყო მკითხველამდე. ილია ჭავჭავაძე ცოცხლად ახასიათებდა ამ მდგომარეობას: „მე ერთის თქმა მინდა — ის სულ სხვას მალაპარაკებს, ენა ჩემი იძვრის — სიტყვა იმისია, კალამი ჩემი წერს — აზრი იმისი გამოდის, რა მემართება, არც მე ვიცი, ქვეყანა ჩემ თვალწინ როგორღაც უხეიროდ წაღმა-უკუღმა ტრიალებს, თითქო ღერძი გატყდა და საცა არის ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიმსხვრევაო“.

---

[1] „შინაური მიმოხილვა“, 1879 წ., ივლისი-აგვისტო, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, გვ. 55.

[2] იქვე.

„შინაური მიმოხილვის“ ფასი ქართულმა ჟურნალისტიკამ მაშინვე გაიგო და ამიტომაც ეს თავისებური მატიანე ყოველთვის უურადღების ცენტრში იდგა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძემ „შინაურ მიმოხილვას“ გამოუნახა თავისებური ენაც, გამოთქმის საშუალებანი და ტონი. რასაკვირველია, ეს ტონი შედეგი იყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებისა, როცა საჭირო იყო მდგომარეობის ირონიზირება, პოლიტიკურ ურთიერთობათა სატირული გამოხატვა და სხვ. ილია ჭავჭავაძეს „შინაურ მიმოხილვაში“ უხდებოდა მრავალი პრინციპული და სადავო, ეროვნულად მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხის დამუშავება, რაც ხშირად აკრძალული იყო ოფიციალური ხელისუფლებისაგან. ამიტომაც „შინაურ მიმოხილვაში“ ხშირად აზრი და სიტყვა სატირულ კილოშია გახვეული, რაც ასე მკვეთრდებოდა ილია ჭავჭავაძის ხელში, როცა მას მიზანში ამოღებული ობიექტის გაბიაბრუება სურდა. ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძე წერდა: „თქვენ არ იცით, ბატონებო, რა დაუმონავი რამ არის მწერლობის საღერღელი! ყველა სხვა საღერღელზედ უარესია, იმიტომ, რომ ყველა საღერღელს დაიმორჩილებთ და ამას კი ვერა. მეც თითონ ერთი ალალ-ბედა ჭკუა-გლახა მწერალი ვარ და ვიცი ეგ საღერღელი როცა კაცს აეშლება, რა-რიგად ლომებრ გულს უხოკს ადამიანსა. და თუ ამასთან ენინ ქავილიც აუტყდა მწერალს, მაშინ ხომ ხსნა არ არის. ვაი მაშინ მწერალსა და უფრო ჯიდი ვაი მკითხველსა!..“[1] მეორე ადგილზე ილია ჭავჭავაძე ცხოვრების რაობაზე მსჯელობდა და ასეთი ტონით აბასიათებდა ცხოვრებას: „თითონ ცხოვრება სად არის ჩვენში, რომ ცხოვრებამ გკითხოს და შენ პასუხი აძლიო? ჩვენი ცხოვრება ზურგ-გადაღლეტილ და დავარდნილ სახედარსავით გდია უძრავად სადღაც კუთხეში და სიცოცხლეს მარტო იმით იჩენს, რომ იცოხნება, როგორც პირუტყვი. თუ დროთა ბრუნვა წიხლს დააზელს ხოლმე, მაშინ მოძრაობასაც იჩენს, მაგრამ მხოლოდ მით, რომ ერთი ყრუდ დაიბღავლებს, ერთის გვერდიდამ მე-

---

1 „შინაური მიმოხილვა“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი V, გვ 56.

. ორეზე ფხანვით გადაბრუნდება და ისევ უწინდებულად თვლემით და არბეინად ცოხნას მოჰყვება...“[1]

ილია ჭავჭავაძემ მდგომარეობის ასახვას სიტყვის შესაფერი ჟღერადობაც შეუფარდა და „შინაურ მიმოხილვებს“ ამითაც თავისებური ელფერი მისცა.

ილია ჭავჭავაძისეულ „შინაურ მიმოხილვას“, მკვეთრსა და მოქმედ ჟანრს, მიმბაძველები ჰყავდა, რომელთა შორის იყო ბოსლეველი, რომლის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში შინაურ მიმოხილვებს მოზრდილი ადგილი უჭირავთ და ილიასეულ მიმოხილვათა მსგავსად არის გამიზნული.

ბოსლეველს ილია ჭავჭავაძის „შინაური მიმოხილვები“ თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ მეტად სერიოზულ ფაქტად აქვს მიჩნეული. იგი მას „ივერიის“ უკეთეს განჯოფილებად სთვლიდა, რადგან, „რაც გინდა სთქვით და კაცს თავის თავი და თავის საკუთარი ინტერესები უფრო ეპიტნავება, ვინემ სხვისი“. მიმზიდველ განყოფილებად თვლიდა ბოსლეველი „შინაურ მიმოხილვას“ იმისთვის, რომ მასში, საკუთარი ქვეყნის, საკუთარი თავის შესახებ იყო ლაპარაკი, იქ იპოვიდა მკითხველი თავის გულისპასუხს, „შინაური მიმოხილვა“ მისცემდა მას განმარტებას იმ კითხვებზე, რომელნიც აწუხებდა და აფიქრებდა. ბოსლეველის აზრით, გაზეთი ძნელად გასცემს მკითხველს პასუხს მის გულისტკივილზე, რადგან მას არ შეუძლია თანამედროვე ვითარებას, მის განმარტებას შესაფერი ადგილი დაუთმოს, ყველაფერი ასწონ-დასწონოს, გააანალიზოს, სათანადო შეფასება მისცეს საჭირბოროტო საკითხებს; ამისთვის ჟურნალია შესაფერისი, რადგან დროცა და ადგილიც მას საშუალებას აძლევს ერცელი ანალიზისათვის. რასაკვირველია, მხოლოდ ეს არ კმარა, რომ „შინაური მიმოხილვა“ მოქმედი და მახვილი იყოს, ამისათვის საჭიროა შესაფერი ნიჭი, რასაც ბოსლეველი არაერთხელ აღნიშნავდა. ბოსლეველი იმასაც უსვამდა ხაზს, რომ „შინაური მიმოხილვის“ დამწერი თავისუფალი უნდა იყოსო, ე. ი. მას „პირს წყლით არ უნდა უვსებდნენ“, თამამად უნდა შეეძლოს მტკივნეულ საკითხთა განხილვა, მათზე მსჯე-

---

[1] „შინაური მიმოხილვა“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი V, გვ. 58—59.

ლობა; აზრების, შეხედულებების და დასკვნების გამოტანისათვის არ უნდა აწამებდნენ. ამასთან, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, ბოსლეველს მთავარ პირობად ისიც მიაჩნდა, რომ „შინაურ მიმოხილვას“ უნდა სერიოზული საფუძველი ჰქონოდა საზოგადოების, ქვეყნის აჩქარებული, ამოძრავებული. შემოქმედი ცხოვრების საბით, თვით ცხოვრება უნდა იძლეოდეს მასალას იმ პუბლიცისტური ჟანრისათვის. ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძე და ბოსლეველი ერთგვარად ფიქრობდნენ ცხოვრების რაობაზე, მის მოდუნებულობაზე.

ბოსლეველის აზრით ქართული მწერლობა ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ მისთვის აუცილებელია კრიტიკა, მაგრამ რადგანაც თავისუფალი კრიტიკის შესაძლებლობა დაბეჭდილა, ამისთვის კრიტიკულმა მიმოხილვამ უნდა გასწიოს მისი მაგიერობა, შინაურმა მიმოხილვამ უნდა ამხილოს ცხოვრების ავი მოვლენები.

ბოსლეველის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ამ დარგს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი „შინაური მიმოხილვები“ ზოგჯერ უსათაურო იყო, ზოგჯერ „ქუთათური ფელეტონის“ ან „ჰრელი ფელეტონის“ სათაურით ქვეყნდებოდა „შრომასა“ და „დროებაში“. ბოსლეველიც რომ მტკივნეულ საზოგადოებრივ საკითხებს განიხილავდა, ყოველდღიური ცხოვრების ფაქტებზე ახდენდა დაკვირვებას და ანალიზს უკეთებდა მათ და რომ ეს ანალიზი საზოგადოებრივად მნიშვნელობის მქონე იყო და მაშინდელი ხელისუფლებისაგან დაწესებულ რეგლამენტს სცილდებოდა, იქიდანაც ჩანს, რომ ცენზურას ხშირად უთარეშია მის მიმოხილვებზე, ხოლო ზოგიერთი მათგანი სულაც აუკრძალავს და თავის საქმეებში ჩაუკერებია. ბოსლეველის წერილები მაშინდელი საზოგადოების ნაკლს აღნუსხავდა, ამხილებდა ჩამორჩენილობას, ბიუროკრატიზმს, საზოგადოების უნიათობას, პიროვნულ ზრახვათა წინ წამოწევას. პუბლიცისტი წერდა, რომ შესაძლებლობა არ ჰქონდა ყველა მოვლენისათვის პირდაპირ მისი სახელი ეწოდებინა. „კაცზედ ლაპარაკი არ შეიძლება. თუ მაინცა და მაინც, ისე — ეზოპურად, მონურის ენით, რომ ვერა სულდგმულმა ვერა გაიგოს რა“ — ჩიოდა ბოსლეველი. „შინაურ მიმოხილვებში“ იგი ბასრი კალმით თხრიდა უზნეო და უადამიანო საქციელს, ნართაულად გადაკრავდა ხელისუფლების სისტემას, ჰკილავდა მმართველობას, სამღვდელოებას, განათლების სისტემას, მის მესვეურებს, რომელნიც „წელიწადში ერთხელ ჩამოიცლიან თავის სამთავროში, რომ შეამოწმონ თავის ქვეშევრ-

დომთა ტვინის მდგომარეობა". იგი გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ადამიანს აღკვეთილი ჰქონდა თავისუფალი მსჯელობა. „ამას წინათ ერთი ჩემი ნაცნობი შემოვიდა ჩემთან და ძალიან გამაკვირვა თავის ბღავილით. დიაღ, კაცურად ვეღარ ლაპარაკობდა, პირუტყვივით ბღაოდა. რა მოგსვლია-მეთქი, რომ ვკითხე, ერთი პატარა წიგნი ამოიღო უბიდგან, გაშალა და წამაკითხა შემდეგი: „რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს ბასრი, თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება". საცოდავი, ეურმე ნუ ბრძანებთ, ამდგარა და გაზით ამოუგლეჯია პირიდგან ენა"[1].

ილია ჭავჭავაძის მსგავსად ბოსლეველსაც შინაური მიმოხილვებისათვის გამომუშავებული ჰქონდა მდგომარეობის აღწერისათვის შესაფერი ტონი, სატირული იერით თხრობა. „ახლა ჰეშმარიტებამ ავადმყოფობის გამო „ოტპუსკი" აიღო და წავიდა ევროპისაკენ მცავე წყლებზედ. ჩვენებური მცავე წყლებზედ ნება არ მისცეს. რომ წამოსულიყო. ზოგი კი, ჩემზედ პესიმისტები ამბობენ, რომ ჰეშმარიტება სამსახურიდან გამოურიცხავთო და შტატგარეშე დაუტოვებიათო"[2]. ბოსლეველი დაურიდებლად ამხილებდა ე. წ. „კატკოვიზმს", ხელისუფლების დამპყრობლურ პოლიტიკას, ქართული ენის წინააღმდეგ ლაშქრობის უგუნურობას.

ბოსლეველის ბევრი „შინაური მიმოხილვა" ქუთაისის ცხოვრებას შეეხება, მისი „ქუთათური ფელეტონები", ან „ჰრელი ფელეტონები" ქუთათურ მასალებზეა დაწერილი, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ამ თხზულებებში დაყენებულ საკითხთა მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ქუთაისით, არ შეიძლება ლოკალიზაცია იმ მოვლენებისა და ამბებისა, რომელთაც პუბლიცისტი მხოლოდ ერთი ქალაქის წიაღში ნახულობდა. ქუთაისური ცხოვრება ტიპიური იყო მაშინდელი ყოფისა. ის, რაც ხდებოდა იქ, ხდებოდა ყველგან, დამახასიათებელი იყო მაშინდელი საზოგადოებისათვის, მთელი საქართველოსათვის. ხშირად ამ მიმოხილვებში. ბოსლეველი მსჯელობდა საერთაშორისო საკითხებზე, იმპერიაში მომხდარ ამბებზე, რაც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდე-

---

[1] საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 480, საქმე № 598, იქვე. ფ. 25, ცენზურისაგან დაჭერილი ბოსლეველის წერილი. იხ. „ნაწერები", გვ. 313.

[2] იქვე.

ბოდა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ყოფას. ამდენად არ შეიძლება მისი მიმოხილვები, მიუხედავად ავტორისეული სათაურებისა, მხოლოდ ერთი ქალაქის საზოგადოებრივი, სამეურნეო, საქალაქო ცხოვრების ფაქტების აღნუსხვად მივიჩნიოთ.

ბოსლეველის „ქუთათური“ და „ჰრელი“ ფელეტონები ხშირად ციხისავე „კრიტიკულ მიმოხილვებში“ დაყენებულ საკითხთა შესახებ მსჯელობის გაგრძელებას წარმოადგენს და ხშირად ჩართულია პოლემიკა მის თანამედროვე ქართული პრესის მუშაკებთან. განსაკუთრებით ბევრი ამ ფელეტონებში მიეზღო სასულიერო ჟურნალის „მწყემსის“ რედაქტორს, რომელსაც ბოსლეველი მოურიდებლად აჭხილებდა; შინაური მიმოხილვები საკმაო ადგილს უთმობდა სათავადაზნაურო ბანკის საქმიანობას, მასთან დაკავშირებულ ყოველწლიურ საარჩევნო ცრებცხელებას. სათავადაზნაურო ბანკის საქმიანობა ბოსლეველს ისევე ვერ აკმაყოფილებდა. როგორც აკაკი წერეთელს. ბოსლეველის აზრით, ბანკი დაცილებული იყო თავის პირვანდელ დანიშნულებას. მას არ ჰქონდა საერთო-სახალხო ხასიათი, იგი კონკრეტული კლასის მოსამსახურე დაწესებულებად იყო გადაქცეული. მისი კრედიტის მიზანი და პრაქტიკა, კრედიტორები და კრედიტის მომხმარებელნი სრულიად შეუფერებლად ეჩვენებოდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების აღმავლობისათვის.

„შინაურ მიმოხილვებში“ საუბარია ქუთაისის საეპარქიო სამმართველოში ფეხმოკიდებული მექრთამეობა და სხვანი, რაც ასე დამახასიათებელი იყო იმდროინდელი ღაწესებულებებისა და სასულიერო წოდების ორგანიზაციებისათვის. „წიალ-რიონის“ სამეფო, ბახუსის გაღმერთებისა და ბანქოს თამაშის სამყაროდ ჰყავდა დახატული. ამ „სამეფოს შესახებ“ ამბები მკითხველს „სადალაქოში გაკრეჭილ-შეკვეცილი“ ეუწყებოდა, ან „კონტრაბანდით შემოტანილი“ და „საბაჟოს ჩინოვნიკების“, ე. ი. ცენზურის მოხელეებისაგან ბეჭედდასმული.

II

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში 80-იან წლებში საინტერესო ფურცელი გადაშალა გიორგი მაიაშვილმა (ზდანოვიჩმა; 1855—1918) თავისი ცნობილი სტატიით: „წერილი ჩვენს

საზოგადო მოღვაწეთა მიმართ", რომელიც ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა თავის ჟურნალში[1] და რომელსაც სხვებთან ერთად გამოეხმაურა ბოსლეველიც[2].

გ. მაიაშვილის „წერილის" მნიშვნელობაზე მეტყველებს არა მხოლოდ ის, რომ იგი ილია ჭავჭავაძემ თავის ჟურნალში დაბეჭდა და „წერილმაც" მაშინვე გამოხმაურება ჰპოვა, არამედ ისიც, რომ შეიძლება, ვინც კი შეეხო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების, ქართული ინტელიგენციის, ლიტერატურის ისტორიის, რევოლუციურ იდეათა თუ მარქსიზმის გავრცელების ისტორიას საქართველოში, გვერდი ვერ აუხვია თავისი დროისათვის ამ საინტერესო „წერილს". ავტორმა ამ წერილში ქართველ მოღვაწეთა საყურადღებოდ დააყენა საკითხი ქვეყნის განვითარების გზების შესახებ.

თავისთავად მეტად სერიოზული და ძნიშვნელოვანი „წერილი" ეკუთვნოდა საკმაოდ ცნობილ პიროვნებას, რომელსაც რევოლუციური მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა რუსეთში მიღებული. „ივერიაში" „წერილის" გამოქვეყნებისას გ. მაიაშვილი ჯერ კიდევ გადასახლებაში იყო „50-ის პროცესის" შედეგად.

როგორც ცნობილია, ეს სასამართლო პროცესი 1877 წელს თებერვალ-მარტში გამართული რევოლუციონერი ხალხოსნების დიდი ჯგუფის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ ჯგუფში რუსი ახალგაზრდა რევოლუციონერებთან ერთად მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციებში მონაწილეობას იღებდნენ „კავკასიელებიც": ივანე ჯაბადარი, მიხეილ ჩიკოიძე, ალექსანდრე ცინცაძე, ანთიმოზ გამყრელიძე და გიორგი ზდანოვიჩი[3].

როცა „ივერიაში" დაიბეჭდა „წერილი ჩვენს საზოგადო მოღვაწეთა მიმართ", მის ავტორს რევოლუციური მოღვაწეობის ყველაზე მძლავრი და საინტერესო ეტაპი ჰქონდა გავლილი.

---

[1] „ივერია", 1882 წ., № 7, 8 და 9.

[2] „შრომა", 1882 წ., № 48 და 1883 წ., № 1 და 3; „კრიტიკული მიმოხილვა" — „წერილი ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ" გ. მაიაშვილისა.

[3] ამ პროცესისა და ქართველ რევოლუციონერების შესახებ იხილე «Былое», 1907 წ., № 9, «Каторга и ссылка», 1927 წ., № 4; ნ. კარეინსკი. «Московский ткач Петр Алексеев», 1934 წ., მოსკოვი; «Процесс 50-ти и 193 - х», СПб, 1907 г.

გ. მაიაშვილის რევოლუციური მოღვაწეობა სრულიად რუსეთის მასშტაბისა იყო, ამიტომაც იგი ივანე ჯაბადარსა, ვერა ლუბატოვიჩსა, პეტრე ალექსეევსა და სხვებთან ერთად პროცესზე ცენტრალურ ფიგურად იყო გამოყვანილი. ამ რევოლუციონერებს ბრალად ედებოდათ: «Участие в противозаконном обществе, имевшем целью в более или менее отдаленном будущем ниспровержение и изменение порядка государственного устройства, а также в распространении печатных сочинений, имевших целью возбудить к бунту или явному неповиновению верховной власти»[1].

პროცესზე გიორგი მაიაშვილს გამოუმჟღავნებია თავისი მისწრაფებანი და ამის შესახებ სასამართლოს თავმჯდომარისა, ბრალმდებელისა და მათი სახით იმპერატორისათვის პირდაპირ განუცხადებია.

გიორგი მაიაშვილს კარგად ჰქონია გარკვეული და შეგნებული რევოლუციური სიტუაცია და მუშათა მასების ეკონომიური მდგომარეობა. გ. მაიაშვილის მიერ სასამართლოში ნათქვამი სიტყვა იმითაცაა საინტერესო, რომ ზოგი რამ მისგან შეტანილია იმ „წერილშიც“, რომლითაც მან 1882 წელს ქართველ საზოგადო მოღვაწეებს მიმართა. გ. მაიაშვილს სასამართლოსთვის განუცხადებია, რომ „Одна из характерных сторон современного европейского рабочего движения заключается в том, что народы сознали солидарность своих интересов, одинаковость своего положения и подали друг другу руку для общей борьбы, так что новейшая постановка социального вопроса делит человечество не на национальности, а на притесняемых и притесняющих»[2]. — ამ სიტყვებში სრულიად გარკვეულად მოჩანს „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ანარეკლი.

გიორგი მაიაშვილს, როცა იგი სახელმწიფოებრივი სისტემის წინააღმდეგ იბრძოდა, მხედველობაში ჰქონდა საერთოდ მშრომელთა მდგომარეობა. იგი, ისე როგორც სხვა მისი „კავკასიელი“ ამხანაგები. სამუშაო პროგრამაში არ აყენებდა განკერძოებულ რაიმე მოქმედებას საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით —

---

[1] «Процесс 50-ти и 193-х», 1907 г., стр. 1176.

[2] იხ. ნ. კარჟინსკის წიგნი, გვ. 107.

ამ მდგომარეობის შესაცვლელად. გ. მაიაშვილსა და მის ქართველ თანამებრძოლებს მუშა ხალხის ეკონომიური მდგომარეობა აწუხებდათ და მისი შეცვლის მოსურნენი იყვნენ.

გ. მაიაშვილი „წერილში“ პირდაპირ წერდა, თუ რას უნდა მიქცეოდა საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ეტაპზე მთავარი ყურადღება და რა იყო აუცილებელი ხალხის არსებობის შესანარჩუნებლად. იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ახლანდელი ევროპის პარტიებში კამათის თემა ეკონომიური საგნებიაო, რომ ბრძოლა, რომელიც მაშინ მიმდინარეობდა ირლანდიელებსა და ინგლისელებს შორის, გამოწვეული იყო არა ირლანდიის ეროვნული მდგომარეობით, არამედ მისი ეკონომიური პირობებით. „შეცვლა სამიწაწყლო ურთიერთობისა, გადაცემა მიწა-წყლისა ლენდ-ლორდების მიერ მიწათმოქმედთა ხელში, — ეი საწადელი და სალტოლველი ირლანდიის ხალხისა“[1].

გ. მაიაშვილის განმარტებით, ირლანდიელთა მოძრაობის მოღვაწეთა აზრი იყო სამამულო ღალის მოსპობა. მებატონეებისა და მიწის მომუშავეთა ურთიერთობის შეცვლა, აღმოფხვრა იმ გაუგებრობისა, რაც ახლა ხშირი მკვლელობისა და საზოგადოებრივი უწესობის გამჩენიაო. მართალია, ირლანდიელები დაპყრობილნი არიან ინგლისელთაგან, „მაგრამ არა ეროვნულმა და პოლიტიკურმა ვითარებამ ააშფოთა ხალხი და ააჯანყა. იგი. ამ სახით ირლანდიის მოძრაობის მოთავენი თუმცა სრულიად გულგრილად არ უცქერიან ეროვნულს თავისუფლებას, მაინც მათ ყველაზე უწინარეს გამოჰფინეს დროშა ეკონომიური, როგორც ნიშანი ხალხის სურვილისა და მოთხოვნილებისა“[2].

გ. მაიაშვილი თავისი დებულების დასადასტურებლად, რომ ძირითადი და მთავარი არის ხალხთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა, სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების მაგალითს მიმართავდა. მაგრამ თავისებური დასკვნები გამოჰქონდა, კერძოდ, რომ „პატრიოტები ხედავენ მხოლოდ ეროვნული მონობის უმსგავსოებას და, რადგან ვერ მიხვედრილიყვნენ, სად ბუდობს უმსგავსოების ფესვი და მთავარი მიზეზი, ეძლეოდნენ აღშფოთებულს თავის გრძნობას, ჰგონებნენ მას შეგ-

---

[1] გ. მაიაშვილი, „წერილი...“ 1882 წ., „ივერია“, № 7, 8.

[2] იქვე.

ნებულად და ამ სახით ხალხის ინტერესების შეგნება ხდებოდა მათთვის შეუძლებელი"[1].

თავისი ძირითადი დებულებების წამოყენებისას გ. მაიაშვილი ეროვნული თავისუფლების მნიშვნელობასაც მოიხსენიებს, მაგრამ მისი ღრმა შეგნებით, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის პირველ რიგში დაყენება სრულიად გაუმართლებელია, თუ მას ხალხის ეკონომიური მდგომარეობა და ეკონომიური თავისუფლების შეგნება არ უდევს საფუძვლადო. ასეთი შეხედულების მქონე იგი გარიბალდისა და მაძინის ხელმძღვანელობით წარმოებულ იტალიელთა, და არა მხოლოდ იტალიელთა, განთავისუფლებისათვის ბრძოლას აყრდნობდა მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიურ საფუძველზე.

საერთო მოსაზრებების გამოთქმის შემდეგ გ. მაიაშვილი შეეხო კონკრეტულად 60-იანი წლების საზოგადოებრივ მოძრაობას საქართველოში და ქართული პრესის, კულტურული საქმიანობის სხვადასხვა დარგის აღორძინება მიიჩნია ეკონომიური ცვლილებების შედეგად. მისი შეხედულებით, 60-იანი წლების მოძრაობას ახალგაზრდებმა მისცეს მიმართულება, ხალხში აღაგზნეს ეროვნული თვითშეგნება, მაგრამ ეს მოძრაობა არ იყო სრულყოფილი, რადგან ერთადერთ საკითხად მათ ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლა ჰქონდათ დაყენებულიო. მოძრაობამ მათი მეოხებით მიიღო „ურთგვარი ხასიათი, მეტისმეტი ნაციონალური, მეტისმეტი — თუ შეიძლება ასე ვსთქვათ — კულტურული და მხოლოდ მცირედ — ხალხური". ეკონომიური ცვლილებების უდრეკად დამცველმა გ. მაიაშვილმა 60-იანი წლების მოღვაწეებს ასე მიმართა: „ჩვენის მხრით დიდი უზრდელობა იქნებოდა თქვენის წმინდა განზრახვათა წინაშე დაგვემალა თქვენთვის, რომ ის კითხვები და ის საგნები, რომელთაც თქვენ ახლა სულითა და გულით მისცემიხართ, ჩვენ საჭიროდ და არსებით საგნებად არ მიგვაჩნია. ღაღადება სკოლებში ქართული ენის შემოღებაზედ, სახალხო სკოლების დაფუძნებაზედ, ქართული თეატრის გამართვაზედ, ჩვენი ენის განვითარებასა და გამშვენიერებაზედ და სხვადასხვა და ყოველივე უსენი ძლიერ საჭირონი და თანაგრძნობის ღირსი საგნები არიან, მაგრამ ამ საგნებზედ გაჩერება, მათ გარშემო ტრიალი და ამასთანავე კმაყოფილებით ძახილი, რომ მხოლოდ ამაებ-

[1] გ. მაიაშვილი, „წერილი..." 1882 წ., „იერია", № 78.

ზედ არის დამყარებული ჩვენი ქვეყნის ბედნიერებაო, იმასა ნიშნავს, რომ თქვენ მოქმედების პროგრამა ჯერ კიდევ არ გქონიათ შემუშავებული და მტკიცე ნიადაგზედ დამყარებული. ეს მიუტევებელი ცოდვა გახლავთ თქვენთვის. არც ერთ წრეს ხალხის ბელადთა, რომელსაც კი სურს შეიქმნეს ჰეშმარიტი გამომეტყველი და წარმომადგენელი თავის ქვეყნის ინტერესებისა, არ ექნება მომავალი, თუ რომ იგი განზრახ, ან გაუგებრობით უქცევს გზას ეკონომიურის საგნების ახსნას და გადაწყვეტას, რომლების გამოსარკვევადაც იბრძვის ეხლა ყველა თანამედროვე პარტიები, მთელი კაცობრიობა".

გ. მაიაშვილის ეს წერილი სერიოზული დოკუმენტია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ერთი მიმართულების. ამ „წერილის" მთავარი აზრი იყო — „ეკონომიკა უმთავრესია ცხოვრებაში" (ს. ხუნდაძე). ამ პოზიციაზე მდგომმა გ. მაიაშვილმა მიმართა კიდეც ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, რომ უპირველეს საქმიანობად სწორედ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორება დაეყენებინათ და ზურგი შეექციათ მისთვის, რასაც 60-იანი წლების მოღვაწენი ემსახურებოდნენ და რაც „წერილის" ავტორს ცხოვრების ეკონომიური მოწესრიგების დანამატად ჰქონდა მიჩნეული.

გ. მაიაშვილის „წერილი" იყო ღრმად გავლებული სამიჯნე კვალი „ძველი", ე. ი. სამოციანელ, და „ახალ", ე. ი. ოთხმოციანელ, მოღვაწეებს შორის.

აღსანიშნავია, რომ „წერილი" დაიბეჭდა „ივერიაში" და არა „იმედში" ან „დროებაში". იგი ქართველი ხალხოსნების ჟურნალისათვის უფრო შესაფერისი იყო საკითხის დაყენებისა და არსის თვალსაზრისით. ავტორმა ისარგებლა ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტით[1].

---

[1] ცენზურა კრძალავდა იმ ადამიანთა სახელების ხსენებას, რომელთაც რევოლუციური აზრის განვითარებაში ბევრი რამ გააკეთეს (გერცენმა, ჩერნიშევსკიმ, კროპოტკინმა და სხვ.). აკრძალული იყო კ. მარქსის და ფ. ენგელსის ხსენებაც, უტოპისტი სოციალისტებისაც. მიუხედავად ამისა, ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა ეს „წერილი", რომელშიც საკმაოდ მოზრდილი ციტატაა მოყვანილი კ. მარქსის ნაშრომიდან. გ. მაიაშვილი ერთ-ერთი ქართველი პუბლიცისტი იყო, რომელიც იცნობდა მარქსის შრომებს და ამ ნაშრომებით სარგებლობდა. ქართულ მეცნიერებაში აღნიშნულია, თუ როგორ გამოიყენა მან მარქსის მოძღვრება ქართული სინამდვილის დასახასიათებლად (იხ. პ. გუგუშვილის „კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში", თბ., 1956 წ.).

ილია ჭავჭავაძე „წერილს“ არ გამოეხმაურა, არც რაიმე შენიშვნა დაურთო მას, თუმცა გ. მაიაშვილი პირდაპირ მას მიმართავდა, როცა 60-იანი წლების მოძრაობასა და მაშინდელი ახალგაზრდობის როლს ახასიათებდა, მიმართავდა „თერგდალეულებს“, რომელთა ღვაწლი შემდეგაც განუზომლად დიდი იყო სწორედ კულტურულ დაწესებულებათა დაფუძნებაში, ენის დაცვაში.

ილია ჭავჭავაძემ აუცილებლად ანგარიში გაუწია იმას, რომ გ. მაიაშვილს „წერილი“ გაბოგზავნილი ჰქონდა გადასახლებიდან და მისი ავტორი საქვეყნოდ ცნობილი „50-ის პროცესის“ მონაწილე იყო. ილია ჭავჭავაძის დუმილის ახსნა სხვაგვარად ძნელია. მას არსად ოდნავადაც კი არ გამოუმჟღავნებია, რომ იზიარებდა „წერილის“ დებულებებს. თუმცა 80-იან წლებშიც ეკამათებოდა იმათ, ვის მოსაზრებებსაც არ იზიარებდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური არსის ირგვლივ.

გ. მაიაშვილის „წერილის“ „ივერიაში“ გამოქვეყნების მიზეზსა და ილია ჭავჭავაძის „ჯგუფის“ წევრთა დუმილის ახსნას იძლეოდა ვახტანგ კოტეტიშვილი. იგი წერდა: „იმ საკითხს (გ. ზდანოვიჩის მიმართვა 60-იანი წლების მოღვაწეებისადმი—ს. ხ.) „მესამოციანელთა“ რიგებში უკმაყოფილება არ გამოუწვევია. ეს წერილი ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ იქნა დაბეჭდილი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ „ძველი თაობა“ იმდენად იყო დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის წინმსვლელობით, რომ ყოველ ახალს თანაგრძნობით ეგებებოდა, თუნდ მის წინააღმდეგ ყოფილიყოს მიმართული, ოღონდ ამ სიახლეს ჰქონოდა საფუძვლიანობა და საქმის უნარი“[1]. შემდეგ ავტორს მოჰყავს გ. მაიაშვილის მიერ წამოყენებული მოსაზრება, რომ „ლიტერატურა უნდა შეიქნეს უპირველეს ყოვლისა სახალხო ლიტერატურად, უკეთუ გვსურს, რომ მას ჰქონდეს გავლენა და ძლიერება, ფასი და მნიშვნელობა, ჩვენის ქვეყნის საქმეებისა და საგნების გადაწყვეტის დროს“ და უმატებს: „და უნდა ითქვას, რომ ასეთმა მიმართულებამ ჩვენს ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა და შეიქმნა ე. წ. „ტენდენციათა მოტრფიალე“ მწერლობის მთელი ფრაქცია. სინამდვილის კარნახი ხელოვნებაში ყოველთვის ხორციელდება და. ამ შემთხვევაშიაც, ქართული ლი-

---

[1] „ქართული ლიტერატურის ისტორია“. III, გვ. 12.

ტერატურის ფურცლებზე აღიბეჭდა საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ეტაპი"[1].

ეს მოსაზრება და განმარტება მართალია, მაგრამ „ტეტიათა მოტრფიალეების" ფრაქცია უკვე შექმნილი იყო „წერილამდე" და, რომ ლიტერატურა უნდა სახალხოდ ქცეულიყო, პირველად ამაზე სწორედ სამოციანელებმა იმსჯელეს და პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგეს.

საკითხის ამგვარად დაყენებით გ. მაიაშვილი პირველი **არ** ყოფილა და არც ორიგინალური. ეს ტიპიური რუსული „ნაროდნიკობა" იყოო — წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი[2]. ხოლო სიმონ ხუნდაძე დასძენდა: „პირველად ჩვენში ეკონომიური საკითხი წამოაყენა 1868—70 წლებში გრ. თარხან-მოურავმა. მაიაშვილმა ამ მხრივ თარხან-მოურავის გატეპნილი გზა განაგრძო, მაგრამ უფრო გააღრმავა იგი და მეცნიერულად დაასაბუთა[3].

ერთი პირველთაგანი „ახალთა" შორის, რომელიც ბეჭდვით გამოეხმაურა გ. მაიაშვილის „წერილს". იყო გრიგოლ ვოლსკი (უმწიფარიძე, 1860—1909), მან დაბეჭდა სტატია „რა უფრო საჭიროა"[4]. საკითხის ასე დაყენება გულისხმობდა იმას, რომ ახალგაზრდა მოღვაწე გრ. ვოლსკი თავის მოსაზრებებს უპირისპირებდა „წერილის" ავტორის მოსაზრებებს. წერილის დასაწყისში გრ. ვოლსკიმ სათანადოდ მიუზღო იმ ინტერესს, რაც მოჰყვა გ. მაიაშვილის „წერილს", მის ხასიათს. მაგრამ, რადგანაც გ. მაიაშვილი მხოლოდ აყენებდა საკითხს, ამდენად, გრ. ვოლსკიმ საკითხის გადაწყვეტის ასპექტში დააყენა იგი. გ. მაიაშვილისათვის, როგორც ითქვა, რუსული საზოგადოებრივი ცხოვრება იყო გეზის მიმცემი. გრ. ვოლსკიმ კი პირიქით,

---

[1] „ქართული ლიტერატურის ისტორია", ტ. III გვ. 13. „წერილის" „ივერიაში" გამოქვეყნების თაობაზე აზრი აქვს გამოთქმული არჩ. ჯორჯაძესაც (იხ. „მეოთხმოციანნი და მეოთხმოცდაათიანნი", თხზულებანი, II. გვ. 27). „წერილი" „ივერიაში" დაიბეჭდა იმიტომ, რომ ავტორი ძველ მოღვაწეებს არ უსაყვედურებს არც ენის, არც თეატრის, არც სხვა ამგვარი ეროვნული საქმის დაცვას, არამედ უსაყვედურებს იმას, რომ იმ მოღვაწეთა ყურადღება მხოლოდ ამაზე იყო მიპყრობილი.

[2] „ქართული ლიტერატურის ისტორია", III, გვ. 11.

[3] „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში", ტომი II, გვ. 48.

[4] „შრომა", 1882 წ., № 46 და 49.

წერილის დასაწყისშივე მიუთითა იმაზე, თუ ერის ცხოვრებაში საზოგადოდ და ქართველი ხალხის თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით. რა უფრო საჭიროა, რას უნდა მიეკუთვნოს უპირატესობა — ქვეყნის ეკონომიურ თუ პოლიტიკურ განვითარებას?

გრ. ვოლსკიმ განიხილა კერძო ადამიანისა თუ საზოგადოების ჰედნიერების საკითხი და დაასკვნა, რომ, როგორც ადამიანში, ისე საზოგადოებაში, სულიერი და ხორციელი მოთხოვნილებანი მჭიდროდ არიან ერთმანეთს გადანასკვულნი. პოლიტიკური უფლებანი, აზრისა და კრების თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორობა და საზოგადოებრივ პირობათა საჭიროებისადაგვარად მიმართვის ძალა შეადგენს სულიერ მხარეს ამ ცხოვრებისა. სხვა დანარჩენი კი, დასძენდა გრ. ვოლსკი, ადამიანის, საზოგადოების გათავისუფლებით, სოციალური და კლასობრივი თანასწორობის მიღებით არიან წარმოშობილი. ესენია „ნივთიერი ქონება, სიმდიდრე, მოთავსებული სადგური. ნივთიერი, ფიზიკური სფერა". მხოლოდ ეს პირობები შექმნიან ადამიანის. საზოგადოების თავისუფლებასა და ბედნიერებას. „ცხოვრების პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება იმგვარად გადაბმულია ერთმანეთზე, — წერდა გრ. ვოლსკი, — ისე მტკიცედ შეკავშირებული, რომ გაჭირს კაცს მათი ერთმანეთში გარჩევა", თუმცა, გრ. ვოლსკის აზრით, მათი, ე. ი. ეკონომიური და პოლიტიკური საკითხების, სხვადასხვაობა მეტად ცხადი და უეჭველია.

მიუხედავად იმისა, რომ გრ. ვოლსკი ერთურთის გარეშე მათ ვერ წარმოიდგენდა და ორივე უფლების მოპოვებისათვის ბრძოლას ერთ პროცესად მიიჩნევდა, სრულიად გარკვეულად მაინც პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ იხრებოდა. მართალია, იგი დაჟინებით ამბობდა, რომ „ხალხის კეთილდღეობისათვის უსათუოდ საჭიროა, რომ ორივე მხარე თანასწორად და ჰარმონიულად დაკმაყოფილებული იქნეს, ერთის წარმატება უმეორისოდ შეუძლებელია. ყველა ისტორიული მაგალითები, რომელნიც ვითომც არღვევენ ამ დასკვნას, ცუდად გაგებულია, ან უნებურად გადასხვაფერებულია". ამასთან იგი წერდა: „ვისაც ეკონომიური კეთილდღეობის მოპოვება სურს და ეკონომიური უღლისაგან თავის დახსნა, მას მხოლოდ მაშინ შეუსრულდება საწადელი, როცა იგი პოლიტიკურად თავისუფალია და დამოუკიდებელი. თუ საზოგადოების ერთი ნაწილი პო-

ლიტიკურის უფლების პატრონია, ე. ი. თუ მას ხელში უპყრია ქვეყნის ძალა-დიდება და ფიზიკური ღონე, ნურვინ ფიქრობს, რომ მეორემ, ამავე ღონეს მოკლებულმა ნაწილმა, ეწიოს კეთილდღეობას და მორჩეს სხვისთვის მონურად სისხლის ღვრას, სანამდის არ გაუსწორდება პირველს პოლიტიკურს უფლებებში". სრულიად ცხადია, საერთო მსჯელობაში გრ. ვოლსკი გულისხმობს საქართველოს და რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობას და მათ უფლებათა შეფარდებას, რის შესახებ მსჯელობასაც გ. მაიაშვილის წერილი მოკლებული იყო.

გრ. ვოლსკი, ქართველი საზოგადო მოღვაწე და პოეტი, გაზრდილი ილია ჭავჭავაძის აზრობრივ სკოლაში, გაწვრთნილი აკაკი წერეთლის პოეზიაზე, განიხილავდა საქართველოს ვითარებას, მის ბედსა და მწუხარებას და გამომდინარე აქედან პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებისაკენ იხრებოდა. ქართველი საზოგადოების გულისწადილის დახასიათებისას გრ. ვოლსკი წერდა, რაც საქართველოს მოწინავე კაცობრიობა გონზე მოვიდა, იგი სამშობლოს აფასიზლებს, ხან ეალერსება მას, ხან უწყრება; ამ მოწინავე ადამიანების სეკდა-წუხილისა და ოხვრა-მოთქმის მიზეზი ყოველთვის სამშობლოს მდგომარეობა იყო. მიზეზია ის „გულსაკლავი მდგომარეობა, რომელიც ცხადია ყოველთვის, ვინც თვალხილულია და მცირედ მაინც აკვირდება ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას, ვინც მწარის გამოცდილებით იცის, რომ ჩვენის მოწინავე ახალგაზრდობის მისწრაფებანი და იდეალები არა თუ დამკვიდრებულან, მათი ოდესმე განხორციელების იმედებიც კი ბუტავს და სულაც გამქრალა... ჩვენის ცხოვრების რომელი დარგია დაკმაყოფილებული, რომელს აქვს გახსნილი ფართო ასპარეზის გზა და შეიძლება, რომ თავისუფლად განვითარდეს, წამოიწიოს წინ, გაიზარდოს ბუნების შესაფერად და განმტკიცდეს?" საქართველო, — განაგრძობს გრ. ვოლსკი — ერთობ ვიწროსა და სულთამხუთავ არტახებშია ჩაკრული და ამიტომ ვერ იძლევა იმ ნაყოფს, რანაირიც უნდა მოეცა მის უხვსა და მდიდარს ნიადაგსო. საქართველო ბუნებით მდიდარია, ეკონომიური შესაძლებლობა გააჩნია და, თუ ქვეყნის ბედნიერება ეკონომიკაშია, მაშ რატომ არა ვართ ბედნიერებიო? — კითხულობდა იგი.

გრ. ვოლსკის ეს წერილი ცენზურისაგან დამუშავებულია, ამდენად, ავტორი შესაძლებლობას მოკლებული იყო ფრჩხილები გაეხსნა.

ესაა. რომ საქართველო დასნეულებულად მიაჩნდა და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „სენის განკურნება შეუძლებელია, ვიდრე მკურნალობის უფლება არ გექნება კაცს“. არტახების მოსპობის სურვილი გრ. ვოლსკის შეხედულებებში უფრო წინაა წამოწეული და ამდენად გ. მაიაშვილის გამოპასუხებაში მას ნაწილობრივ მისი საწინააღმდეგო პოზიცია ეჭირა.

გრ. ვოლსკის წერილის გვერდით გიორგი მაიაშვილის „წერილის“ საპასუხოდ „შრომაში“ დაიბეჭდა ბოსლეველის „კრიტიკული მიმოხილვა“. ეს იყო ვრცელი პასუხი იმ დროისათვის მნიშვნელოვან და საინტერესოდ დაყენებულ საკითხებზე. „ბოსლეველის კრიტიკას საინტერესო მნიშვნელობა აქვს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის იმ მხრივაც, რომ ამ ავტორმა მაიაშვილის პროგრამის წინააღმდეგ მარქსის ავტორიტეტი წამოაყენა“, წერდა პროფ. ს. ხუნდაძე[1].

ბოსლეველის აზრით, გ. მაიაშვილის „წერილი“ ერთ-ერთი მეტად სერიოზული და დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ პუბლიცისტიკაში, როგორც ფაქტებითა და ლოგიკური მსჯელობით აღსავსე წერილი, რომლის მსგავსი ქართულ პრესაში იშვიათად თუ ჩნდება; იგი წარმოადგენს ღრმა დაკვირვებისა და სხვადასხვა ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების კარგად შესწავლის შედეგსო. უპირველეს ყოვლისა, გ. მაიაშვილის წერილში, ბოსლეველის პირველივე შენიშვნის მიხედვით, წამოყენებული იყო მეტად ცოცხალი და აქტუალური საკითხი — „მწარმოებელი მუშა-ხალხის“, ე. ი. სახელმწიფოს გარდამეტებული ნაწილის ცხოვრების პირობების გამორკვევა და ცდა მუშათა კლასის ყოფის მიზეზების გამოძებნისა. გ. მაიაშვილის წერილის დედააზრი ბოსლეველს შემდეგნაირად ჰქონდა ჩამოყალიბებული: გ. მაიაშვილის აზრითო, „ლიტერატურა ხალხისა თავის უმთავრეს ყურადღებას უნდა აქცევდეს საზოგადოების ეკონომიურს მდგომარეობას, ეკონომიურს განწყობილებას და ეკონომიურ ურთიერთშორისობას საზოგადოების წევრთა და წოდებათა შორის. ლიტერატურა, უწინარეს ყოვლისა, ყოველს თავის ძალ-ღონეს და საშუალებას უნდა ახმარდეს ეკონომიურის საგნების გამოკვლევასა და ამ საგნე-

---

[1] „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, ტ. II, გვ. 58.

ბის ვრცლად და ფილოსოფიურად შესწავლაში უნდა ხარჯავდესო იგი თავის გონებითს ნიჭს"[1]. გ. მაიაშვილის „წერილის" მთავარი აზრის გადმოცემის შემდეგ ბოსლეველი მიმართავდა ზოგიერთი დებულების დეტალიზაციას და უმატებდა, რომ „წერილის" ავტორის აზრით, ამ საკითხებით დაინტერესების გარეშე ვერავითარ კეთილსინდისიერ შრომასა და ღვაწლს ღონე არ ექნება მოიტანოს სანატრელი შედეგი, და საზოგადო მოღვაწეს თუკი იგი ამ საკითხების დამუშავებას არ მიჰყოფს ხელს, არ ეყოლება აზრების გამზიარებელი, პატივისმცემელი და მსმენელი, ე. ი. მას საზოგადოება არ გაჰყვება და იგი მის შეგნებაზე გავლენას ვერ იქონიებს.

ბოსლეველის გაგებით, გ. მაიაშვილი მთლიანად უარყოფს პოლიტიკურ ვითარების ზეგავლენას ხალხის ეკონომიურ მდგომარეობაზე და, რომ მთავარი და ძირითადი სწორედ ეკონომიური საკითხების გამორკვევა და საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება არის. ბოსლეველი შენიშნავდა, რომ თავის ეკონომიურ პროგრამაში გ. მაიაშვილი შიგადაშიგ ურთავს პოლიტიკურ ნაწილს, მაგრამ, „ამას მხოლოდ, ასე ვსთქვათ, ხათრისათვის შვრება, რომ მისგან ქებულს საზოგადო მოღვაწეებს არ აწყენიოს და არც ნამეტარი უკიდურესობა დასწამონ მას მსჯელობაში". ამის შედეგად, ბოსლეველის შეხედულებით, გ. მაიაშვილის მიერ ხელაღებით უარყოფა ყველაფერი იმისა, რაც ქართველი საზოგადო მოღვაწეების მიერ იყო გაკეთებული მთელი საუკუნის მანძილზე და განსაკუთრებით კი 60-იან წლებში და რასაც საფუძვლად სწორედ პოლიტიკური თავისუფლებისათვის ზრუნვა და ბრძოლა ედვა, სრულიად გასაგებია, რადგან მისი (გ. მაიაშვილის — ს. ხ.) შეხედულებით, ქართველ მოღვაწეთა ტვირთი და შრომა სრულიად უმიზნო და ფუჭი ყოფილა, რადგან მათ მხოლოდ ერთი დარგისთვის და ისიც უმნიშვნელოსათვის მიუქცევიათ ყურადღება, მთავარი და ძირითადი კი გამორჩენიათო.

ბოსლეველმა კარგად იცის, რომ გ. მაიაშვილის მიერ წამოყენებული და მეტად წინწამოწეული საკითხი მნიშვნელოვანია, რომ ხალხის ეკონომიური ცხოვრება არის ერთ-ერთი აქტუალური თემა,

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა", „შრომა", 1882 წ., № 48.

რომელსაც ლიტერატურა უნდა ემსახურებოდეს სხვადასხვა კითხვაზის შემუშავებითა და გამარტებით. კაცობრიობის ყოველგვარი მცდელობა, როგორც ინსტიქტური, ისე ცნობიერი, მიმართული ყოფილა იქით, რომ დაეშყარებინა წესიერი და მართებული ცხოვრება; ებრძოლა მისი გაუმჯობესებისათვის. კაცობრიობის ისტორია ბოსლეველს ბრძოლის ფრონტად ჰქონდა წარმოდგენილი, რომელზეც ორი, ერთურთს დაპირისპირებული ძალა იბრძვის — ერთი უფლებათა განდიდებისა და გაზვიადებისათვის, ხოლო მეორე უფლებათა მოპოვებისა და ადამიანური პირობების შექმნისათვის. ბოსლეველი სრულიად გარკვეულად გულისხმობს კლასთა ბრძოლას, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების თანამავალია მას შემდეგ, რაც ადამიანი პირველყოფილი მდგომარეობიდან გამოვიდა და კლასობრივი ინტერესები გაიჩინა. მას კარგად ესმის ანტაგონისტური კლასების ურთიერთობა საუკუნეთა სიგრძეზე, რომ სხვადასხვა რელიგიათა ქადაგება, თითქოს ადამიანი დედამიწის დროებითი მცხოვრებია და სამუდამო განსასვენებელი მიწიერი ცხოვრების მიღმაა, არის ქადაგება ადამიანის კლასობრივი შეგნების მოდუნების მიზნით, რომ კლერიკალურ-ეკლესიური, იდეალისტური წარმოდგენა სამყაროზე და ადამიანის დანიშნულებაზე რეაქციული მსოფლმხედველობის ნაშიერია. „იმ სწავლა-მოძღვრებას, რომელსაც დედამიწა განსაწმენდავად მიაჩნდა და ადამიანი დროებით სტუმრად, რომელმაც აქაური ტანჯვა-წვალებით მეორე ქვეყნის სასუფეველი უნდა მოიპოვოს, დრო წაუვიდა. ეს მოძღვრება დღეს არც ირლანდიელებს და არც ევროპის მუშა ხალხს აღარ ანუგეშებს“[1]. ეს მოძღვრება ეწინააღმდეგება პროგრესს და მუშათა კლასის თვითშეგნებისათვის ბრძოლას. ბოსლეველს ეს „მოძღვრება“ მიაჩნია სრულიად ანტისაზოგადოებრივ მოვლენად, მშიერთა დასამონებლად და დასაკებლად მაძღართაგან მოგონილად, ეს „მოძღვრება“ კლასობრივი ხასიათისაა და მასში „მკურნალის მალამოს

---

[1] ბოსლეველის ეს ფრაზა შემდეგ დეკანოზმა დ. ღამბაშიძემ პროვოკაციულად გამოიყენა და ბოსლეველი გამოაცხადა სამღვთო წერილისა და ეკლესიის მოწინააღმდეგედ. ერთ-ერთ წერილში დ. ღამბაშიძემ ბოსლეველის წინააღმდეგ დაწერა, რომ იგი ასეთ აზრებს გაზეთის საშუალებით აერცელებსო. „მწყემსი“, 1884 წ. № 10, „ჭეშმარიტების აღდგინების გამო“.

ვერც ის წოდება პოულობს, რომელიც სხვას უქადაგებს მოთმინებას. ეს მოძღვრება კარგია სამასლაათოდ, სათქმელად უზრუნველყოფილ-ოათვის, მაძღარის სადილის შემდეგ, მაგრამ პურობას იგი ვერ გაუწევს მშიერს კუჭს“...

ბოსლეველი განმარტავს სოციალიზმს, რომლის ფესვებსაც იგი, სამართლიანად საუკუნეთა სიღრმეში პოულობს. ბოსლეველს გაგებული და შეგნებული აქვს, რომ ის კლასობრივი ანტაგონიზმი, რომლითაც მთელი მსოფლიო არის მოდებული, მედგარი და სასტიკი კლასობრივი ბრძოლით არის გამოხატული სოციალისტურ იდეათა ისტორიაში, რომ ეს იდეები არის ხელმძღვანელი ძალა მუშათა კლასობრივი ბრძოლისა. სოციალიზმიო, წერდა იგი, „შექმნა იმ გარემოებამ, რომლის მიზეზითაც საკუთრება და სიმდიდრე გროვდება არა მათ ხელში, რომელნიც თავიანთვის დაუღალავისა და მუდმივის, გამალებულის შრომითა აჩენენ ერთსაც და მეორესაც, არამედ მათს ხელში, რომელთაც სიმართლით ყველაზე ნაკლებად ეკუთვნისთ“. ბოსლეველს სრულიად მართებულად ესმის მუშათა კლასის ექსპლოატაციის არსი, საწარმოო საშუალებათა და მუშათა მიერ შექმნილი დოვლათის განაწილების მომენტი. სოციალიზმის განმარტებისას ბოსლეველი პავლე მოციქულის სიტყვებს მიმართავს, რაც ესაჭიროება აზრის შესანიშნავად.

ბოსლეველი, რასაკვირველია, ვერ უარყოფდა გ. მაიაშვილის მიერ „წერილში“ ჩამოყალიბებულ აზრს, ეკონომიური საკითხების აქტუალობაზე. იგი „წერილის“ ავტორს იმაშიც ეთანხმებოდა, რომ ქართული პრესა ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ეკონომიური სამართლიანობის დამყარების საკითხს (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გ. მაიაშვილი არცთუ მთლად მართალი იყო, როცა ამბობდა — ქართული პრესა ამ საკითხის იგნორაციას ეწეოდაო) და, რომ ხალხის მოძრაობა მაშინაც ძლიერია და ცხოველი, როდესაც იგი დგას ეკონომიურ ნიადაგზე, რის დასასაბუთებლადაც ბოსლეველს დასახელებული ჰქონდა ძველი რომის ერთი პერიოდი — ძმები გრაკხების მოღვაწეობა, საშუალო საუკუნეებიდან — გერმანელ გლეხთა მოძრაობა და სხვანი. მაგრამ, ამასთანავე, საკითხთა ერთი წყების გადაწყვეტისას იგი არ ეთანხმებოდა გ. მაიაშვილს და, უპირველესად ყოველისა არ მოსწონდა, რომ გ. მაიაშვილს არ გააჩნდა და არც ჰქონდა გამოყენებული ისტორიული მეთოდი, რაც ქართველ მოღვაწეთა მოქმედებისა

და აზროვნების ქვაკუთხედი იყო. იგი არას ამბობდა დაცემული ვინაობის აღდგენაზე.

„დაცემული ვინაობის აღდგენა“ იყო მამოძრავებელი ძალა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციისა, დაწყებული 60-იანი წლებიდან. ეს იყო ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი თერგდალეულებისა. „დაცემული ვინაობის აღდგენა“ — როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, იყო მიზანი ქართველი მოღვაწეებისა, რომელნიც დაუკვირდნენ „ჩვენი ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ღაღადებს... ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდან არ აგვცდენია, — ყველასათვის ცხადზე ცხადია“[1].

ბოსლეველმა გ. მაიაშვილის „წერილის“ ერთ-ერთ პირველ და მნიშვნელოვან ნაკლად სწორედ ის ჩასთვალა, რომ მასში ყურადღება არ ექცეოდა ამ სერიოზულ მოძრაობას, რომელმაც თავს იდვა ვინაობის აღდგენა და არ გაითვალისწინა საზოგადო მოღვაწეების ის დაუცხრომელი შრომა, ათეული წლების მანძილზე ამ დაცემული ვინაობის აღდგენას“ რომ შეეწირა. ეს „დაცემული ვინაობის აღდგენა“ არც ილია ჭავჭავაძისთვის და არც სხვა ბევრი მოღვაწისათვის 80-იან წლებშიც არ იყო ფასდაკარგული, პირიქით, უფრო მეტი და უფრო ინტენსიური უნდა ყოფილიყო ღვაწლი, ამ ვინაობის აღსადგენად განკუთვნილი. ბოსლეველისათვის ეს მომენტი „უმთავრესი ფაქტორია“, რომელიც ცხოვრებას ეხმაურება და შესაძლებლობასაც ჰბადებს ეკონომიური სამართლიანობის დასამყარებლად.

ბოსლეველი გ. მაიაშვილს ძირითად საკითხში ეკამათება და სწორედ იმ მაგალითზე დაყრდნობით, რომელიც გ. მაიაშვილს ჰქონდა დასახელებული იტალიელთა შესახებ. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალიელებისთვის ბევრად ადვილია ეკონომიური მდგომარეობის მოგვარება იმის შემდეგ, რაც „სახელოვანმა პატრიოტმა გარიბალდიმ“

---

[1] ი. ჭავჭავაძე, „შინაური მიმოხილვა“, 1881 წ., მაისი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, გვ. 95.

და „გამოჩენილმა მოძღვარმა გავაცცომ“ სისხლი დაღვარეს იტალიელ პატრიოტებთან ერთად ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლებისათვის. ბოსლეველი არ უარყოფს იმას, რომ იტალიაში ეროვნული თავისუფლების მოპოვების შემდეგ კვლავ გრძელდება დოვლათის დაგროვება ერთთა ხელში, როცა ამ დოვლათის შემქმნელნი არიან მეორენი. მაგრამ იქ ხალხს საშუალება აქვს შინაური წინააღმდეგობა მოაგვაროს, რაც ბევრად იოლია პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების შემდეგ. ბოსლეველს იტალიის მაგალითი გამოყენებული აქვს საქართველოს მდგომარეობის საჩვენებლად, ავსტრიის ჯალათობა მას გათანაბრებული აქვს რუსეთის მონარქიული ხელისუფლების ხასიათთან. ბოსლეველი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობიდან გამოდიოდა და ამით მეტად უახლოვდებოდა ილია ჭავჭავაძის ლოზუნგს დაცემული ვინაობის აღდგენის თაობაზე. უპირველეს ყოვლისა, ბოსლეველის აზრით, საჭიროა ადამიანის კაცად ცნობა და შემდეგ ზრუნვა მისი ეკონომიური ცხოვრების მოსაგვარებლად; მას მოჰყავს მეორე მკვეთრი მაგალითიც, რომლითაც აგრეთვე საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას შენიღბულად წარმოადგენს. როგორ შეიძლებოდა, — მიმართავს ბოსლეველი გ. მაიაშვილს და სამხრეთ ამერიკის ზანგებს ასახელებს, — ზრუნვა ზანგების ეკონომიური მდგომარეობის ოდნავ მაინც გამოსწორებისათვის, როცა ეს ზანგები ნივთად, საგნებად იყვნენ გადაქცეულნი პლანტატორების ხელში, თუკი მათი ადამიანური უფლებები არ იქნებოდა ცნობილი. ბოსლეველს უპირველეს ყოვლისა საჭიროდ მიაჩნია ანგარიშის გაწევა ხალხის განსაკუთრებული მდგომარეობისათვის — ყველას მიმართ არ შეიძლება ერთი საზომი იქნეს ხმარებული, ამა თუ იმ ხალხის მდგომარეობის დასახასიათებლად საჭიროა განსაკუთრებული მიდგომა და სწორედ აქ არის გამოსაყენებელი ისტორიული მეთოდი, რომელიც პუბლიცისტს საშუალებას მისცემს თითოეული ერის მდგომარეობა გაითვალისწინოს და მხოლოდ ამის შემდეგ დააყენოს საკითხი ისე, როგორც გ. მაიაშვილი იქცევა ამ საკითხის დაყენების მიმართო.

ბოსლეველი იმედიანად შეჰყურებდა XIX საუკუნეს და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მსოფლიოში ფეხმომაგრებული ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა მნიშვნელოვან ფაქტორად შეიქმნებოდა ყველა ხალხის ცხოვრებაში, რომ დამონავებული ხალხები გააძლიერებდნენ ბრძოლას არსებობისათვის და მსოფლიოს აცნობებ-

დნენ ახალ ერას, — კოლონიალიზმის ნგრევას და ხალხთა განთავისუფლების მძლავრ დასაწყისს. „ჩვენი დრო არის დრო ნაციონალურის მოძრაობისა“, — ამბობდა იგი და თანამედროვეებისაგან სწორედ ამ განთავისუფლებისათვის ბრძოლის ძირითადი საკითხების დაყენებას, მიღებას და გადაწყვეტას მოითხოვდა.

ბოსლეველისთვის, რომელიც აღზრდილი იყო იმ მებრძოლთა შეხედულებებზე, რომელთაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა, ხალხის გამოფხიზლების და მის ცხოვრებაში ცვლილებების შეტანის ძირითადი პირობა ეროვნული თავისუფლება იყო. ბოსლეველი იზიარებდა ილია ჭავჭავაძის ’აზრს, რომელმაც „ზვიად საუკუნეს“ დააკისრა საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა.

ეროვნული და სოციალური ბრძოლის მომენტებს ბოსლეველი ერთურთს არ აცილებდა. რადგან საქართველოს პირობებში ორივე პირველი რიგისა და სასწრაფოდ მოსაგვარებელ საკითხად მიაჩნდა.

ამრიგად ბოსლეველის რწმენით, მხოლოდ ეკონომიური ბრძოლა ვერ იქნება სერიოზული შედეგების მომტანი ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. ეკონომიური გათავისუფლებისათვის ბრძოლა მხოლოდ მაშინ გახდება ეფექტური, როცა იგი იქნება პოლიტიკური ძალა-უფლების მოპოვებისათვის ბრძოლის შედეგი, ხოლო, რომ პოლიტიკური უფლების მოპოვება პირველი რიგის საქმეა, ამას ასაბუთებს კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის ერთ-ერთი ნაშრომიდან — „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“ მოტანილი სიტყვები, რომ „მუშა-ხალხმა უსათუოდ უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უფლებანი, რომ კაპიტალისტების უღელი შემუსროსო!“[1].

ბოსლეველმა გ. მაიაშვილის „წერილს“ მკვეთრი პუბლიცისტური ტონით უპასუხა, ამასთან ერთად მის პასუხში გამომჟღავნდა, რომ იმ დროის საზოგადოებრივ აზროვნებაში უკვე ფეხს იკიდებდა მარ-

---

[1] ეს სიტყვები პერიფრაზია „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ პირველი თავის შემდეგი ტექსტისა: „პროლეტარიატი, თანამედროვე საზოგადოების ეს ყველაზე დაბალი ფენა, ვერ წამოდგება, ვერ გაიმართება წელში უიმისოდ, თუ ამასთანავე იმ ფენების მთელი ზედნაშენი, რომელნიც ოფიციალურ საზოგადოებას შეადგენენ, არ იქნა გაცამტვერებული“. იხ. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი,“ თბ., 1948 წ., გვ. 60.

ქსის მოძღვრება და ქარიზულ პუბლიცისტიკაშიც გარკვეულ ადგილს იჭერდა. ბოსლეველი ერთი პირველთაგანია ქართველ პუბლიცისტთაგან, რომელნიც, ასე თუ ისე, საჭირო შემთხვევაში, მართებულად მიმართავდნენ მარქსის დებულებებს.

გ. მაიაშვილის „წერილსა“ და ბოსლეველის მასზე პასუხთან დაკავშირებით ქართულ პრესაში გაჩნდა ახალი თემა. „დროებასა“ და „იმედში“ დაიბეჭდა წერილები ქართული ხალხოსანი პუბლიცისტების — სტ. ჭრელაშვილისა და ნიკო ხიზანაშვილისა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათი გამოსვლა ვერ დგას გ. მაიაშვილისა და ბოსლეველის ნაწერების პრინციპულობის დონეზე[1].

სტეფანე ჭრელაშვილმა დაწერა არასპეციალური წერილი, რომელიც გ. მაიაშვილისა და ბოსლეველის თხზულებებს შეეხო „დროების“ საკვირაო მიმოხილვაში — „საკვირაო მასლაათში“[2]. რაც სრულიად არ შეეფერებოდა საკითხის სერიოზულობას, რადგან ეს „მასლაათი“ მსუბუქი ჟანრისა იყო და ცხადია, სტ. ჭრელაშვილს იგი საშუალებას არ მისცემდა წამოეყენებინა სერიოზული, მსჯელობაზე დაყრდნობილი დებულებები. სტ. ჭრელაშვილის „საკვირაო მასლაათში“ იყო, მაგალითად, ასეთი ადგილები: „კაცი ვერ გაიგებს, რა უნდა ბოსლეველს, როცა მაიაშვილის წერილს მიაწყვა. ღეჭა, ღეჭა ეს საცოდავი, აზიზი და ფაქიზი სტატია და მაინც ვერა გვითხრა რა... გერმანიის გამოჩენილი ფილოსოფოსი ფიხტე ზრუნავდა მარტო სამშობლოს პოლიტიკური

---

1 შეიძლება ნაწილობრივ მართალი იყოს პროფ. ალ. ხახანაშვილი, რომელიც თავის რუსულად დაწერილ წიგნში წერდა: «С 1890 гг в. грузинской прессе затрагиваются вопросы, которые прежде были ей чужды. Вопросы эти, касающиеся социального строя, давно занимали умы европейских публицистов, но в грузинской журналистике только раз в 1882 г. г-ном Майашвили были подняты в „Иверии“, но остались словом, брошенным на неподготовленную почву» («Очерки по истории грузинской словесности», IVв. стр.393). ასეთი აზრი გამოთქვა დავით კლდიაშვილმაც თავის „მემუარებში“, როცა გ. მაიაშვილმა თავისი „წერილი“ გამოაქვეყნა „ივერიაში“ დიდი გამოხმაურება არ ჰქონია. მიუხედავად „წერილის“ მნიშვნელობისა, რადგან „მკითხველთა წრე იმ ხანებში მეტად ვიწრო იყო და ამიტომ ფართო გავრცელება არ ჰქონია ამ ყოელად შესანიშნავ წერილს, რომელიც წარმოადგენდა საოცრად შედგენილ პროგრამას ჩვენი ეკონომიური არსებობის განსავითარებლად“-ო.

2 „დროება,“ 1883 წ., № 16.

დიდების აღდგენაზედაო და სრულიად არ ფიქრობდა თავის ქვეყნის ეკონომიურ დღეგრძელობაზეო. ჩვენში კი ვიღაც მოუმწიფებელი ვ. მაიაშვილი პირველ ადგილზე აყენებს კუჭის უფლებასაო... ბოსლეველის სტატიამ მომაგონა გამოყურეებული სემინარიაო და სხვა ასეთი.

სტეფანე ჭრელაშვილის „საკვირაო მასლაათს“ ბოსლეველმა პასუხი გასცა „შრომაში“[1]. ბოსლეველი ამ პასუხში მხოლოდ ზოგიერთ საკითხს დაუბრუნდა და აღარ გაიმეორა თავის წერილის თეზისები. იგი კვლავ იცავდა ისტორიულ მეთოდს, ლაპარაკობდა ფიხტეზე; როჭელსაც გერმანიაში შექმნილმა განსაკუთრებულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ „დააიწყა თავისი ფილოსოფიური მოძღვრება და რომელმაც ამ კაცის მოქმედებას მისცა ერთგვარი ხასიათი და მიმართულება. ჩვენ ვსთქვით, რომ ამ შეჭირვებულს მდგომარეობაში ფიხტე შეუდგა თავდაპირველად თავის ქვეყნის დახსნას პოლიტიკურ უღლიდან, რომ მას ეს დახსნა მიაჩნდა პირველ პირობად, რომელიც შესაძლებლად ხდიდა გერმანელთა ცხოვრების განკარგებაზედ ფიქრსა და ზრუნვას აზრს აძლევდა“[2]. ბოსლეველის ამ წერილში მნიშვნელოვანია ის ცნობა, რომ მისი წერილი მაიაშვილის საპასუხოდ იმ სახით არ მისულა მკითხველამდე, როგორითაც მან რედაქციაში მიიტანა. ცენზურას ბოსლეველის წერილში ბევრი ადგილი ამოუღია, რისთვისაც იგი ბოდიშს იხდიდა მკითხველებთან, ხოლო სტ. ჭრელაშვილს კი მოაგონებდა, რომ ქართული პიტყვის მაშინდელი მდგომარეობის გამო სრულიად უმართებულოა კამათის ისეთი შეუფერებელი ტონი, რაც ამ უკანასკნელს ჰქონდა აღებული „დროების“ „საკვირაო მასლაათში“.

ყოველ შემთხვევაში, სტ. ჭრელაშვილი გ. მაიაშვილის შეხედულებას იზიარებდა, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ იგი მაინც თანამიმდევრული არ იყო, რადგან ცოტა ადრე მან „იმედში“ დაბეჭდა წერილი დავით ერისთავის „სამშობლოს“ წარმოდგენასთან დაკავშირებით, რომელშიც პოლიტიკური თავისუფლების დიდ მნიშვნელობაზე წერდა. ეს გვაფიქრებინებს იმას, რომ სტ. ჭრელაშვილისათვის მთავარი ის კი არ ყოფილა, სერიოზულად ჩარეულიყო აზრთა გაცვლა-გამოცვლაში, არამედ ის, რომ ერთხელ კიდევ შეჰხებოდა „შრო-

---

1 1883 წ., № 5, წერილი „იქნება ჩვენს მკითხველებს აზსოვდეთ...“

2 იქვე.

მას“, რომელიც „იმედს“ ხშირად ეკამათებოდა და ერთხელ კიდევ ეთქვა რამე ბოსლეველის „სხოლასტიკოსობაზე“.

ასეთივე ხასიათისაა ნიჭიერი მწერლისა და ისტორიულ საკითხთა მკვლევარის ნიკო ხიზანაშვილის „იმედში“ დაბეჭდილი წერილი „შარშანდელი კლასიკური სისულელე“ და სხვა რაღაცაები წლევანდელ „შრომაში“[1]. ეს წერილიც არ წარმოადგენს პირდაპირ გამოხმაურებას გ. მაიაშვილისა და ბოსლეველის ურთიერთობაზე. აქ უფრო ანგარიშის გასწორებაა „შრომისა“ და ბოსლეველის იმ კამათთან დაკავშირებით, რაც „იმედსა“ და „შრომას“ შორის მიმდინარეობდა 1882 წლის განმავლობაში. ამიტომაა, რომ ნ. ხიზანაშვილი გ. მაიაშვილის შესახებ ამბობს, რომ იგი პირდაპირ მიუდგა საკითხს, ბოსლეველი კი „ჯაგლაგ მხედარივით, იერიშით მისვლას თავიდან იცილებს და ბრძოლის სიმაგრეს გარშემო უვლის“.

გ. მაიაშვილის „წერილი“ და ბოსლეველის გამოპასუხება ერთი საინტერესო ფურცელია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. გ. მაიაშვილის წერილი აჩვენებს ცნობილი „ნაროდნიკის“ მსჯელობის ხასიათს, რამაც ერთგვარი თეორიის როლი შეასრულა ქართველ ხალხოსანთა ნააზრევში 80-იანი წლებიდან. გ. მაიაშვილმაც და ბოსლეველმაც აზრთა და შეხედულებათა სიმტკიცისათვის მიმართეს — ერთმა თავის თანამედროვე „ნაროდნიკულ“ მოძღვრებას, მეორემ კი ისტორიულ მეთოდს. ორივე შეთანხმებული იყო იმაში, რომ ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში მეტად სერიოზული ადგილი ეკონომიურ წყობას უჭირავს, ოღონდ აზრთა სხვაობა გამოიწვია ერთის მიერ პოლიტიკური ბრძოლის მეორე ადგილზე გადატანამ, ხოლო მეორის მიერ ამ პოლიტიკური ბრძოლის საკითხის წინ წამოწევამ. ერთმაც და მეორემაც ისარგებლეს მარქსის ნაშრომებითა და მოსაზრებებით, მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს მარქსის დებულებები მთლიანად და სისრულით ვერ მიუღიათ და ვერ აღჭურვილან მარქსიზმის ფილოსოფიური, სოციალური და ეკონომიური მოძღვრების მთელი შესაძლებლობით[2].

---

[1] „იმედი,“ 1883., № 2.

[2] აქ მოხსენებულია ერთი ნაშრომი, კერძოდ აბ. კიკვაძის „საქართველოს ისტორია“ (თბ., 1954 წ.), რომელშიც (გვ. 383 და შემდეგ) ავტორი ამტკიცებს, რომ მაიაშვილი და ბოსლეველი. მარქსისტები არ არიან. ამ მტკიცების ტონი სრუ-

სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმასა და ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას შორის კავშირის უწყვეტობას ბოსლეველი საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის აზრი, რომ მხოლოდ ეკონომიური ძალა-უფლებისათვის არის საჭირო ბრძოლა და მოღვაწეთა შრომის წარმართვა, პუბლიცისტს მართებულად არ ეჩვენებოდა და ერთ თავის წერილში თვითმმართველობის შესახებ იგი წერდა: „...შემცდარად მიგვაჩნია ის აზრი, რომ ვითომც თავდაპირველად ცხოვრების ეკონომიურად გაუმჯობესებას უნდა მეცადინეობდეს კაცი და პოლიტიკური უფლება თავისთავად მოჰყვება ამ გაუმჯობესებას“[1]. ასეთი შეხედულების ცალმხრივობის დასამტკიცებლად ბოსლეველი ისტორიულ წარსულსა და თავის თანამედროვე ევროპის მდგომარეობას იყენებდა. აქედან გამომდინარე, ბოსლეველი ერობასა და თვითმმართველობას მიიჩნევდა საზოგადოებრივი მოწყობილობის ისეთ ელემენტად, რომელიც ხელს უწყობს სწორედ პოლიტიკური უფლებების მოპოვებას და შესაძლებლობას ქმნის ადგილობრივი მმართველობის გაძლიერებისა და მისთვის ეროვნული სახის მიცემისათვის. თვითმმართველობა, თუკი იგი ნამდვილად იქნება დაწესებული, თუკი იმას გარკვეული უფლებები და ხელშეუხებლობა მიენიჭება და თეორიული შეხედულებანი პრაქტიკულად განხორციელდება, შეიძლება გადაიქცეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის სკოლად, რომელშიც ეს საზოგადოება პოლიტიკურად გამოიწვრთნება და განვითარდება. ხალხის ბედის გამგებლობა თვით ხალხის მიერ, ხალხის რჩეულთა მიერ, საშუალებას ქმნის ცხოვრების ისე მოწყობისა, რომ დამოუკიდებლობა და საკუთარი საქმეთათვის ზრუნვა დაფუძნდეს. ის ხალხი, რომელმაც ბევრი ბრძოლის შემდეგ მიაღწია თვითმმართველობის უფლებას, და ასეთებად ბოსლეველს მიჩნეული ჰყავს დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ხალხები, უხვად სარგებლობს განათლებითა და მეც-

---

ლიად არ შეეფერება საქმის ვითარებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვითომც ს. ხუნდაძე მათ ორიეს მარქსისტებად აღიარებდა. ს. ხუნდაძე აბ. კოკაძის მიერ დასახელებულ ნაშრომში ლაპარაკობდა მარქსიზმის იდეების გავრცელებაზე ჩვენში და იმაზე, რომ მაიაშვილმა და ბოსლეველმა ისარგებლეს მარქსის ზოგიერთი შეხედულებით, რადგან ორიეე იცნობდა მარქსის თხზულებებს და ამონაწერებიც კი მოჰყავთ იქიდან.

[2] „თვითმმართველობა საზოგადოთ და ქალაქისა კერძოდ“, „ივერია,“ 1884 წ. № 3.

ნიერების მიღწევებით, ეკონომიური კეთილდღეობაც, ასე თუ ისე, მიღწეული აქვს და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაშიც დიდ როლს თამაშობს. სრულიად ცხადია, თუ რას გულისხმობდა იგი, როცა ამბობდა, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობაში ხალხის ხმა მნიშვნელოვანია, რომ ეს ხმა ზოგიერთებს უკვე მიღებული აქვთო. ბოსლეველი (იდეალურად ჩამოყალიბებული) თვითმმართველობისათვის ასეთი ხასიათის მიცემით უპირისპირდებოდა გაბატონებულ სახელმწიფოებრივ სისტემას და შენიღბულ პროტესტს გამოხატავდა მონარქიულ წყობილების საწინააღმდეგოდ. თანამედროვე ევროპაში „მუშების განათლებული, წრფელი და უერთგულესი წარმომადგენლები“ იღწვიან იმისათვის, რომ მუშებსა და დაბალ ხალხს მიენიჭოს უფრო მეტი უფლება, ვიდრე ეხლა გააჩნიათო.

ბოსლეველი სრული დემოკრატიის მსურველია თავის ქვეყანაში, მუშებისა და, საერთოდ მშრომელთა უფლების მოჭირისუფლე, მაგრამ, ამასთანავე ერთად, იგი თავისი ქვეყნის მდგომარეობიდან გამოდიოდა და, აქებდა რა თვითმმართველობას, მის ერთ მნიშვნელოვან დამახასიათებელ მხარეს აქცევდა ყურადღებას, კერძოდ, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ეს ფორმა საშუალებას შექმნის „ადგილის კაცმა“ ხელი მოკიდოს თავისი ქვეყნის საქმიანობის კეთილად წარმართვას, რადგან, „თავის საქმის ავისა და კარგის ამბავი უფრო ადგილის კაცმა იცის, ვინემ სხვამ, მოსულმა და ამას გარდა, ყოველს საქმეს ის უფრო ერთგულად, თავიანად და მუყაითად ჰკიდებს ხელს, ვის პირდაპირ ინტერესებსაც ეს საქმე ეხება“[1].

ერობისა და თვითმმართველობის შემოღების საკითხი ბოსლეველმა იმ მხრიდან განსჭვრიტა, რა მხრიდანაც ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა იგი განხილული. „ილია ჭავჭავაძე დიდის თანაგრძნობით შეხვდა ამ წამოწყებას. ერობის შემოღება, ილიას გაგებით, საშუალებას იძლეოდა ადგილობრივი საჭირბოროტო საკითხები გადაეჭრათ ამორჩეულ პირთ“ — წერს პროფ. მიხ. ზანდუკელი[2]. ილია ჭავჭავაძემ, რუსეთის იმპერიის სტრუქტურის კარგად მცოდნემ, შესანიშნავი დახასიათება მისცა მას და სათანადო მაგალითების მოხმობით აჩვენა ამ

---

[1] „თვითმმართველობა საზოგადოდ და ქალაქისა კერძოდ“, „ივერია“ 1884 წ. № 3.

[2] ილია ჭავჭავაძე—მწერალი და მოქალაქე, უნივერსიტეტის შრომები, ტ. 69. 1959 წ.

სტრუქტურის არსი, მისი უმთავრესი ნაკლი, როგორც იმპერიაში შემავალი ერების ეროვნული ცხოვრების შემავიწროებლისა. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით რუსეთში უპირველესი ყურადღება ექცეოდა სახელმწიფოს ცხოვრებას და დავიწყებულია ის ერთეულები, რომელნიც ქმნიან იმპერიას, დავიწყებულია კონგლომერატის ის ნაწილი, რომელთაც „თავისი საკუთარი საქმე აქვთ, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი“. ეს ნაწილები გულხელდაკრეფილნი და ხმაამოუღებელი იყვნენ, რადგან არსებული პოლიტიკური სტრუქტურის ძალით წაშლილი იყო ზღვარი სახელმწიფოსა და ეროვნებათა უფლებებს შორის. ზღვარის ეს წაშლა საფუძველი იყო ეროვნული ენის ტლანქად შეურაცხყოფისა და იგნორირებისა, ბიუროკრატიზმის უაღრესად განვითარებისა, ხალხების ეროვნულ თავისუფლებათა უგუნებელყოფისა.

არსებული პოლიტიკური წყობილების პირობებში ერობისა და თვითმმართველობის შემოღება ილია ჭავჭავაძეს მეტად მნიშვნელოვან სახალხო მონაპოვრად მიაჩნდა და 60-იანი წლების „დიდი რეფორმების“ პერიოდის მნიშვნელოვან მიღწევად თვლიდა.

ერობისა და თვითმმართველობის შემოღება ისეთ პირობებში, როგორშიც იყვნენ მოქცეული იმპერიაში შემავალი ხალხები და ეროვნებები, ცხადია მათ საშუალებას მისცემდა საკუთარ თავზე ზრუნვისა და საკუთარი ცხოვრების მოწყობისა ზოგიერთი იმ მოთხოვნილების გათვალისწინებით, რაც აუცილებელია ელემენტური პირობების შესანარჩუნებლად.

ბოსლეველის შეხედულებით ერობა და თვითმმართველობა, თუკი იგი სახელის შესაფერის საქმესაც განახორციელებდა, იქნებოდა დიდი მიღწევა არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში. რეფორმების საერთო ფონზე, იმ ვითარებაში, რაც იმპერიაში შეიქმნა გლეხობის განთავისუფლებითა თუ სხვა რეფორმებით, ევროპისა და თვითმმართველობის მოპოვებას სრულიად გარკვეული მნიშვნელობა ეძლეოდა, რადგან ამის საფუძველზე ადგილობრივი მოქმედი ძალები იქნებოდნენ ქვეყნის საქმიანობის გამგებელნი და უზარმაზარ იმპერიაში გამეფებული სტანდარტული კანონები, რომელნიც შეიძლება მისაღები იყვნენ და აუცილებელნი რომელიმე ჩრდილოეთის ოლქისთვის, და სრულიად შეუფერებელნი სამხრეთისათვის, შეწყვეტდნენ მოქმედე-

ბას და ყველაფერი ადგილობრივი ცხოვრების წესების მიხედვით შეიცვლებოდა.

აღსანიშნავია ის ამბავი, რომ ბოსლეველი ილუზიებს არ მისცემია არც თვითმმართველობის შემოღების თაობაზე და არც საერთოდ რეფორმების მიმართ. იგი მიეკუთვნებოდა იმდროინდელ ინტელიგენციის იმ ფრთას, რომელიც ქვეყნის საერთო განვითარების თვალსაზრისით რეფორმებს აუცილებლად და საჭიროდ თვლიდა, მაგრამ შეეძლო მისი კრიტიკაც, რადგან რეფორმები ნაკლოვანი იყო და თითოეული მათგანი დამუშავებასა და დაზუსტებას მოითხოვდა[1].

ბოსლეველი ფიქრობდა, რომ ნაკლი, რომელიც რეფორმებს თან დაჰყვა, შეიძლებოდა გამოსწორებულიყო, ნაწილობრივ მაინც, თვითმმართველობის შემოღებით. რასაკვირველია, იპერატორის მანიფესტებს სრულიადაც არ გააჩნდათ იმპერიაში შემავალი ქვეყნების პოლიტიკური გათავისუფლების, ან არტახების ოდნავ მოშვების ინტერესი, იგი არ ითვალისწინებდა ხალხებისა და ეროვნების პოლიტიკურ თავისუფლებას. თვითმმართველობისა და ერობის შემოღება ბევრ მოღვაწეს რუსეთშიც და საქართველოშიც სურდა გამოეყენებინა სწორედ პოლიტიკური გათავისუფლების ისეთ საფუძვლად, რომელზედაც, ძალთა დიდი დაჭიმვითა და ბრძოლით შეიძლებოდა მინიმუმის მიღწევა საკუთარ, ადგილობრივ საქმეთა მართვაში. ბოსლეველი არ კმაყოფილდებოდა მომხდარი ცვლილებებით, რაც მან გამოთქვა თვითმართველობაზე დაწერილი წერილით, განსაკუთრებით მისი მეორე ნაწილით, რომელშიც იგი კონკრეტულად ქუთაისის მაგალითზე მსჯელობდა და ფაქტებით ადასტურებდა ამ რეფორმის მოჩვენებითობასა და ეფემერულობას. ამასთანავე ერთად იგი თავს ესხმოდა მათ, ვისაც იმპერატორის ეს „წყალობა“ იმპერიისათვის ღვთის რისხვად მიაჩნდათ, პირველ რიგში „მოსკოვის უწყებების“ რეაქციულ გამოხდომებს.

ბოსლეველს მხედველობაში ჰყავდა ცნობილი მიხეილ კატკოვი, მონარქისტი და მაბეზღარა, რომელიც თავისი გაზეთით იბრძოდა იმ

---

[1] ერთი ჯგუფი ამ რეფორმების მტერი იყო საერთოდ და ფიქრობდა, რომ იმპერატორმა ალექსანდრე II უღალატა ტრადიციებს და დაარღვია თვითმპყრობელი სკიპტრაო (კატკოვის მსგავსნი), ხოლო ერთი ჯგუფიც სიამოვნებით ტაშს უკრავდა იმპერატორის ასეთ ნაბოძებს, მიზანს მიღწეულად თვლიდა და მიღებული „თავისუფლებით“ ნებიერობდა.

უსუსური შედეგების წინააღმდეგაც კი, რაც ხალხს მოპოვებული ჰქონდა რეფორმებით.

ბოსლეველი მოხერხებულად აკრიტიკებდა რეფორმებს და ამას აკეთებდა იმ საზოგადოების დახასიათებით, რომელიც ბევრს მოელოდა რეფორმებისაგან, მაგრამ იმედგაცრუებული დარჩა ბოსლეველი აგრეთვე სრულიად მართებულ განმარტებას აძლევდა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ იმ წინააღმდეგობას, რასაც რეფორმების შემდეგ ჰქონდა ადგილი და რაც მრავალი რევოლუციური ორგანიზაციის ჩამოყალიბების საფუძვლად იქცა. იგი წერდა, რომ რეფორმის გამოცხადება არ იყო საკმარისი ცვლილებებისათვის, არამედ იგი იყო დასაწყისი, რომელიც შემდეგ უნდა განვითარებულიყო და შეესებულიყო ნამდვილ ცხოვრების მოთხოვნილებათა საფუძველზე.

ბოსლეველი თვითმმართველობის ზოგადად დახასიათებისას მის კრიტიკას იძლევა, ამხილებს მის ფაქტიურ მხარეს, რომელიც სრულიად არ შეეფარდებოდა იდეალს. თვითმმართველობა კლასობრივია, იგი არაა სარბიელი ქალაქის მოსახლეობის ყველა ფენისა, არამედ მხოლოდ შეძლებული ნაწილის. საარჩევნო უფლება აქვს არა ყველას, არამედ უმცირეს ნაწილს, იმათ, ვინც „უფრო შეძლებულია და გავლენის მქონენი“. იგი მდიდართა და გავლენიანთა საბრძანებელია, რომელშიც სრული იგნორირება ხდება მოსახლეობის ფართო ფენებისა. ბოსლეველი მოითხოვდა სრულ დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული თვითმმართველობის სტრუქტურას, რითაც მაშინდელი რუსეთის იმპერიის იმ მოწინავე ადამიანთა წყებაში დგებოდა, რომელნიც რეფორმებს საერთოდ და კერძოდ თვითმმართველობას მართებულად აფასებდნენ. საქალაქო თვითმმართველობანი რეგლამენტირებული იყო, მათ კლასობრივი ხასიათი ჰქონდა და ძლიერ შორს იყვნენ დემოკრატიული პრინციპებისაგან.

თვითმმართველობაზე აზრის გამოთქმა და მისი არსებული სახის კრიტიკა იოლი საქმე არ იყო, ხელისუფლება ადვილად არ თანხმდებოდა. აზრის გამოთქმაზე, ქართველ მოღვაწეებს ხშირად უკრძალავდა მის შესახებ საუბარს; რაიმე სიტყვის თქმა თვითმმართველობაზე მთავრობას თავისი პრინციპების შელახვად მიაჩნდა. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის საცენზურო კომიტეტის საქმეებში ინახება „იმედისათვის“ დაწერილი წერილი „კიდევ ჩვენ თვითმმარ-

„თვითმმართველობაზე“ ნიკო ხუდადაშვილისა (ხუდადოვისა)[1] რომელშიც ცენზურისაგან დაჭერილი წერილის ავტორი პირდაპირ ამბობს, რომ სახელმწიფოს შიგნით ბევრი ისეთი დაწესებულებაა, რომლის პატრონობა და გამართვა საზოგადოების მოვალეობაა და რომლის ბედიც საზოგადოებას უნდა ეკითხებოდესო. ასეთ დაწესებულებათა რიგში ავტორს თვითმმართველობაც აქვს მოხსენებული და მოითხოვს, რომ სახელმწიფომ თვითმმართველობას პატივი სცეს, რადგან ასეა ყველგან, სადაც ეს სისტემა არსებობს და ასე უნდა იყოს ჩვენშიც. სოციოლოგიის მიხედვით სახელმწიფო საზოგადოებას უცქერის როგორც იურიდიულ პირს და ამიტომაც მას უფლებას აძლევს თავისი საქმე თავისი მიზნის მიხედვით მოაწყოსო? მაგრამ, თუ ჩვენში თვითმმართველობა დანამატია სახელმწიფო სისტემისა, იმიტომ, რომ თვით სახელმწიფოს სტრუქტურაა უკუღმართი. ძველად რუსეთში ხალხი იყო გამგებელი თავისი საქმისაო, — წერდა წერილის ავტორი — ხალხოსანი ნიკო ხუდადაშვილი და იძლეოდა კიდეც მოკლედ იდეალურ სურათს თემური წყობისა. მაგრამ, რუსეთის მეფეებმა — იოანე მესამემ, მეოთხემ და პეტრე პირველმა მოშალეს ხალხის ეს მონაწილეობა ქვეყნის მართვის საქმეში.

ბოსლეველის წერილში, რომელშიც თვითმმართველობის ნაკლოვანებებზეა ლაპარაკი და ნ. ხუდადაშვილის წერილში ერთი საერთო აზრია: „არც ერთი რეფორმა, რომელიც შემოღებულ იქმნა ჩვენ ცხოვრებაში (მარტო ქართველებზედ კი არა, მთელ რუსეთზე მოგახსენებთ) არ არის დაბოლოვებული, სრულებით შემუშავებული და ისე განხორციელებული ცხოვრებაში. რომელიც გნებავთ რეფორმა აიღეთ. ყველას ეტყობა შეუმუშავებლობა, რაღაცნაირი ნახევრობა (თუ შეიძლება ასე ვსთქვათ) და ნაკლი. არც ერთი რეფორმის შინაარსი არ არის ისე ფართო და ვრცელი, როგორც ამას მოითხოვს თვით რეფორმის ბუნება, მისი მიზანი და დანიშნულება“[2].

საზოგადოებრივი აზრი ამ ბოძებულ თვითმმართველობაზე ერთგვარი იყო და ეს გამოხატულია შემდეგნაირად: „სადაც შენ სხვა გაძლევს რასმეს, იქ უთუოდ გაძლევენ ნაკლებს და არა სრულს, რაც შენთვის საჭიროა“. ქართველი მოღვაწენი პირდაპირ ახასიათებდნენ მაშინდელ წყობილებას: „სადაც პოლიტიკურ და ბიუროკრატიულ

[1]. ფონდი 480, საქმე № 548. წერილი დათარიღებულია 1883 წლის იანვრით.

[2] „კიდევ ჩვენ თვითმმართველობაზე“.

ავტორიტეტს დიდი გავლენა არა აქვს, თვითმმართველობა უფრო წესიერად არის განწყობილი, ხალხის თავოსნობა უფრო ფართედ მოძრაობს, ვიდრემდისინ იქ, სადაც ავტორიტეტი ყოველ წუთს საზოგადოებას თვალების წინ უფრიალებს"[1].

ბოსლეველმა თავისი წერილით სრულიად გარკვეულად გაილაშქრა მთავრობის მიერ ჩატარებული და ხალხის თავზე მოხვეული ცვლილებების წინააღმდეგ, რადგან რეფორმები არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ ხალხის ყოფა შემსუბუქებულიყო, რაიმე არსებითი ცვლილებები მომხდარიყო. მან კარგად იცოდა, რომ მთავრობის მიერ ჩატარებული ღონისძიებანი საქმეს ვერ უშველიდა, ამიტომაც თავის ნაწერებში იგი, კრიტიკულად განწყობილი ხელისუფლების მიმართ, გარკვეულ მუშაობას მოითხოვდა არსებითი ცვლილებების, ნამდვილი, ხალხისათვის სასარგებლო რეფორმების მოსახდენად.

XIX საუკუნეში ქართველი ინტელიგენციის მსჯელობის ერთერთი მთავარი თემა იყო პოლიტიკური სისტემა და მისი ადგილობრივი გამოვლინებანი. ბოსლეველმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო თავის ნაწერებში ამ საკითხს.

არსებული პოლიტიკური წყობილების შეფასებისას მეღავნდება პუბლიცისტიკის დამოკიდებულება მეფის ხელისუფლებისა და მისი აპარატისადმი. ბოსლეველი მათ ხალხის ცხოვრების დამაბრკოლებელ ძალად მიიჩნევს, რომელთა წინააღმდეგ საჭიროა მოქმედება და არა ლოდინი იმისა, თუ როდის შესძენს ხალხს სიკეთეს არსებული სისტემა. მეფის ხელისუფლების დასახასიათებლად ბოსლეველი სარგებლობდა როგორც მისი პრაქტიკული გამოვლინების ფაქტებით, ისე ლიტერატურული მასალითაც. ერთ წერილში იგი ვახტანგ ორბელიანის „დედოფლის" გამო წერდა, რომ პოეტის მიერ დახატული სურათი არაა სინამდვილის, — არც ისტორიულისა და არც თანამედროვე მდგომარეობის მართებულად ამსახველი. მეფე, ვიდრე იგი მეფედ იქნება, ვიდრე იგი მეთაურობს გარკვეულ პოლიტიკურ სისტემას „ტყუილია რომ... დათანხმდეს სამუდამოდ ერის შრომა და სიმდიდრე ხელიდგან გაუშვას და მასვე მოახმაროს" — წერდა ბოსლეველი[2]. მეფის ხელისუფლების რეაქციული მიზანი და არსი სრულიად ცხადია ბოსლეველისათვის.

[1] „კიდევ ჩვენ თვითმმართველობაზე".

[2] „კრიტიკული მიმოხილვა", ნაწერები, გვ. 196.

ეს ხელისუფლება მას მიაჩნია ხალხთა ცხოვრების განვითარების უდიდეს დამაბრკოლებელ ძალად. მასში ხედავდა ყოველგვარი საზოგადოებრივი მანკიერების საფუძველს. საზოგადოებრივი გრძნობის დაცემის მთავარ მიზეზად პუბლიცისტი ისევ არსებულ პოლიტიკურ წყობილებას სახავდა. „ჩვენ კარგად ვიცით, — წერდა იგი, რომ რუსეთის ცხოვრება საზოგადოდ სრულიადაც არ წარმოადგენს იმ გვარს ნიადაგს, რომელზედაც შესაძლებელია საზოგადოებისათვის მოქალაქეობრივის გრძნობების აღზრდა და მოქმედებაში მოყვანა. პირიქით, რუსეთის წყობილება და ამ წყობილებიდან გაჩენილი პირობები ცხოვრებაში პოხიერს საზრდოს აძლევს მხოლოდ მდაბალს, ბინძურს ინტერესებს; იგი ზრდის მხოლოდ ქვეყნის მძარცველობას, ბოროტმოქმედებას, პირმოთნეობითს ერთგულებას, ხალხის სიმდიდრის მტაცებლობას და ყოველივე ამით უხვად დაჯილდოებული არ არისო რუსეთი, ცოდვა იქნება ვსთქვათ“[1]. ასეთი ველური პოლიტიკური სტრუქტურა რუსეთისა, მოსაქმე ადამიანს აიძულებს ხელში ჯოხი ეჭიროს და ებრაელსავით სამგზავროდ მზად იყოსო. ამ ქვეყანაში აზრი შეზღუდულია და საზოგადოებრივი ინტერესი მოშხამულია, მშრომელთა ექსპლოატაცია უაღრესად განვითარებულია და მხოლოდ მძარცველებსა და მატყუარებს აქვთ გასავალი.

ასეთი პირდაპირი მხილება, ცხადია, დიდ მოქალაქეობრივ გამბედაობას მოითხოვდა. ბოსლეველს ამით დახასიათებული აქვს მთელი იმპერიის ვითარება, რაც საქართველოსთვისაც ჩვეულებრივი იყო. „ჩვენც ამ პირობებში ვიზრდებით, ჩვენი საზოგადოებაც იმ დაშხამულს ჰაერს სუნთქავს“ — ასკვნის პუბლიცისტი[2].

ერთ-ერთ წერილში ბოსლეველი განმარტავს რევოლუციასა და მის გამომწვევ მიზეზებს. რევოლუციის გამომწვევ საბაბად უპირველეს ყოვლისა ასახელებს პოლიტიკური სისტემის ხასიათს. ყოველგვარი სისტემა, აგებული სხვის დამონებაზე, არის ხალხის მასების საშინელი მტერი, რომლის არსებობის სიმწვავე, უპირველეს ყოვლისა, ამ ხალხს აწვება მძიმე ტვირთად. ხალხი „კარგად გრძნობს ტკივილს, იგი თვითონ საკუთარს თავზედ განიცდის ცხოვრების უკუღ-

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაკრები, გვ. 208.

[2] იქვე.

მართობას, მის ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელოვნურად შემოტანილ პირობებთა უსამართლობას. იგი გრძნობს, რომ ცხოვრება მას ტყვ-ის უღლად დასწოლია კისერზედ, რომ ცხოვრებას მის თავზე კალო გაუმართავს სხვისდა სასარგებლოდ"[1].

„მართებლობას" ბოსლეველი ბუნების კანონის დარღვევად აცხადებს, ექსპლოატატორულ სისტემას კი ყველაზე მტკივნეულ ფორმად საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

არსებული ხელისუფლების ყოველგვარი გამოვლინება, ბოსლეველს შეფასებული აქვს როგორც ხალხის საწინააღმდეგო მოვლენა. საზოგადოებრივი კლასები და დაწესებულებანი თავის პირვანდელ დანიშნულებას დაცილებულნი არიან. ეკლესია, როგორც დასაყრდენი ხელისუფლებისა, ბოსლეველს მიჩნეული აქვს ხალხის მტრად. მას ოდესღაც ჰქონია მნიშვნელოვანი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ეს მოწინავე, ხელმძღვანელი როლი სრულიად უარუყვია. სამღვდელოება მას წარმოუდგენია ზნეობით სრულიად განადგურებულად. სამღვდელოების ბასრი კრიტიკით, მისი აწინდელი დანიშნულების მართალი შეფასებით ბოსლეველი ძირითად ბოროტებას ამხილებდა, ამხილებდა პოლიტიკური ორგანიზმის მხარეებს. სამღვდელოებამ „ერთი უპირატესი საგანი ქვეყნის წინაშე სამსახურის დაკარგვა..." და იგი „გადაიქცა მხოლოდ საეკლესიო წესების უგულო აღმასრულებლად. ეს კიდევ არაფერი, — განაგრძობს სამღვდელოების მხილებას ბოსლეველი, — სამღვდელოება, როგორც ვითომ ჰეშმარიტის ღვთის მსახური, მტერი გახდა იმისი, რასაც წინათ ასე თავდავიწყებულად ემსახურებოდა; რაც უწინ ღვთის სამსახურად და წმინდა საქმედ მიაჩნდა, იგი ეხლა ეშმაკის მსახურებად და ქვეყნის ღალატად დასახა; რაზედაც წინეთ თავის სამწყსოს ამხნევებდა და წინ ჯვარით მიუძღოდა, იმას ახლა წინ გადაეღობა"[2]. ასეთი დახასიათებით ბოსლეველმა შეარყია ის სვეტი, რომელზეც მაშინდელი პოლიტიკური სისტემა იყო დამყარებული. ბოსლეველმა დაახასიათა პრივილეგიური წოდებაც, რომელსაც გამოცლილი ჰქონდა ყოველგვარი საზოგადოებრივი, საქვეყნო ინტერესები და რომლის წარმოდ-

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა", ნაწერები, გვ. 196.

[2] იქვე.

გენით „გლეხი მხოლოდ მუშა პირუტყვად უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც...“[1].

საზოგადოებრივი ცხოვრების ამგვარი პირობები ქართველი მოღვაწეების წინაშე ყოველთვის აყენებდა სამშობლოსათვის სამსახურის მოვალეობის და ამ მოვალეობის განსაზღვრის, მოქალაქის, ადამიანის უწმინდესი ვალის საკითხს: ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ ბევრი ბრწყინვალე მაგალითი ასახა სამშობლოსათვის და ხალხისათვის თავისდადებისა. პატრიოტიზმის თემა ორიგინალური არ ყოფილა 80-იან წლებშიც, მაგრამ ამ ეპოქაში მან ახალი ხმოვანება შეიძინა იმ რეაქციული პოლიტიკის მეშვეობით, რომელსაც მაშინდელი ხელისუფლება ატარებდა იმპერიაში შემავალი ხალხებისა და კერძოდ. ქართველების მიმართ. ამიტომ დაისვა კვლავ 80-იან წლებშიც ეს საკითხი და თავისებური გამოხმაურებაცა ჰპოვა. „დაკარგული ვინაობის“ ძიება კვლავ აქტუალურ თემად იქცა. პატრიოტიზმი ისტორიული მოვლენაა, რომელიც თითოეულ ეპოქაში თავისებურ სოციალურ-კლასობრივ ხასიათს იძენს. XIX საუკუნეში ქართულმა პატრიოტიზმმა ცვლილება განიცადა, იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ამა თუ იმ ეპოქის წარმმართველი ძალა. რომანტიკულმა ლიტერატურამ ქართულ მწერლობაში ორგვარი პატრიოტიზმი წარმოშვა, ერთი, რომელიც ზუსტად ჩამოაყალიბა გრიგოლ ორბელიანმა. პატრიოტიზმი, როცა ეს გრძნობა წყაროს მხოლოდ წარსულში პოულობს, ხოლო მეორე ნიკო ბარათაშვილის პოეზიით ჩამოყალიბებული, როცა თანამედროვეობის მოქალაქეობრივი შეგნება ადამიანს ავალებს თვალი გაუსწოროს დღევანდელ დღეს და მისი გაუმჯობესებისათვის იღვაწოს. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პატრიოტიზმი, მათ მიერ მრავალგვარად და ბევრჯერ გამოხატული, თანამედროვეობის წინააღმდეგ შემართებაში და მომავლის გაკეთილშობილებაში მდგომარეობდა — დღევანდელი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, როგორც მომავლის მტკიცე დასაყრდენი, მოღვაწეობა ადამიანისა და შრომის თავისუფლებისათვის, როგორც ხვალინდელი დღის საწინდარი.

პატრიოტული გრძნობის დაკნინებაზე მნიშვნელოვანი აზრებია გა-

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაწერები, გვ. 208.

მოთქმული XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, რაც უშუალო გამოძახილი იყო იმ დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა. 80-იან წლებში გადამჭრელი ზომების მიღება იყო საჭირო ეროვნული არსებობის დაცვისათვის, რაც დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა მთავრობის პოლიტიკას. ეს დამოკიდებულება პატრიოტულ გრძნობასა და მაშინდელ ხელისუფლებას შორის მძლავრად გამოჩნდა დავით ერისთავის „სამშობლოს“ წარმოდგენასთან დაკავშირებითაც. რეტროგრადულმა შეხედულებებმა მეტად მკვეთრად გამოაჩინა ბრუნვალები, რომელთაც არანაკლები სიმკვეთრით დაუპირისპირდა ქართული საზოგადოებრივი აზრი.

ბოსლეველის მსჯელობა პატრიოტული გრძნობის ირგვლივ გამოუწვევია იაკობ გოგებაშვილის „შინაური მიმოხილვას“, რომელიც „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი 1882 წელს. ი. გოგებაშვილი მამულიშვილურ გრძნობაზე მსჯელობდა და მართებული დახასიათებაც მისცა ქართულ მამულიშვილობას. ქართული პატრიოტიზმიო, განმარტავდა ი. გოგებაშვილი, აღზრდილი მამულის სიყვარულის წმინდა გრძნობაზე, რომელსაც არ ურევია ვისიმე დათრგუნვის, ვისიმე განადგურების სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი. „ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორის გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული“[1]. ეს არის ამ თავისთავად ჰუმანური გრძნობის ჰუმანური არსი — სხვა არ დასწიხლო შენი განვითარებისათვის, სხვაც გიყვარდეს და პატივსა სცემდე სხვის მამულიშვილურ, ადამიანურ გრძნობას. ეს იყო ქართველი ხალხის ეროვნული თვისება, რაც ი. გოგებაშვილმა გამოიყენა ერთ-ერთ უპირველეს თვისებად პატრიოტიზმის დახასიათებისას. მეორე თვისება ქართული პატრიოტიზმისა, ი. გოგებაშვილის განმარტებით, არის საუკეთესოს მიღება წარსულისგან და ზრუნვა მომავლისათვის. ეს თვისება გამოჩენილ პედაგოგსა და პატრიოტიზმის ტვირთის მტვირთველს უფრო ისეთად წარმოუდგენია, რომლის შემუშავება და გამოჩენაა საჭირო. არა „სლავიანოფილური“ უკან მიქცევა, არამედ საუკეთესოს გადმოტანა ძველიდან და მომავლისათვის მისი ამოქმედება. „ჩვენს პატრიოტებს სურთ არა

[1] „შინაური მიმოხილვა,“ ნაწერები, ტ. I, გვ. 373.

მკვდრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა ჭაობიდან“[1]. ეს ის სურვილია, ი. გოგებაშვილის მიხედვით, რომლის გაღვივებასაც ცდილობდნენ რუსეთის უნიჭიერესი მედასავლეთენი — ბელინსკი, დობროლიუბოვი, შჩედრინი და სხვანი. „ჩვენის პატრიოტების მოქმედება იმ ეროვნულს გზასვე ადგია, რომელიც ხსენებულის მეორე რომანის („რა ვქნათ?“-ს. ხ.) ავტორმა ჩერნიშევსკიმ ვალად დაადო უკრაინელებს, სახელდობრ, ეროვნული ენის, ლიტერატურისა და მეცნიერების აყვავება...“[2].

ბოსლეველმა მხარი დაუჭირა გოგებაშვილისეულ პატრიოტიზმის განსაზღვრას და დახასიათებას. „დიაღ, — წერს იგი, — ნამდვილს პატრიოტს თავის თავი მამულთან, თავის მშობლიურ ქვეყანასთან და თანამოძმე ხალხთან შეუხორცებია, შეუზრდია; სამშობლო „ვენახად“ მიუჩნევია და თავის თავი „რტოდ“ ...იგი ემსახურება თავის სამშობლოს არა მარტო მშრალის, ტვინის ნაწარმოების, პრინციპის ძალით: იმას პრინციპი გულვნებად გარდაქცევია. შინაგან მოთხოვნილებად გახდომია, ტვინის ნაშრომი გულით გათბობია“[3]. ბოსლეველს პატრიოტული გრძნობა წარმოუდგენია არა თეორიულად, არა სქოლასტიკურად, გამომშრალი და დაცლილი ყოველგვარი გრძნობისაგან, ყოველგვარი პრაქტიკული საქმიანობისაგან, არამედ ისე, როგორც ეს ესმოდათ ვაშინგტონს, ფრანკლინს, გარიბალდის. აქ ყურადსაღებია ბოსლეველის მიერ პატრიოტებად გარიბალდის, ვაშინგტონის, ფრანკლინის დასახელება. ბოსლეველს მათი პრაქტიკული საქმიანობა და ამით გამოხატული სამშობლოს სიყვარული უფრო იტაცებს — ბრძოლა შეიარაღებული, ბრძოლა დიდი რაზმით, ბრძოლა სამშობლოს გათავისუფლებისათვის, მთელი ძალღონის გამოყენება კოლონიური ძალადობის წინააღმდეგ და ძალთა დაჭიმვა ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული წესების მოსასპობად, საქვეყნო საქმეების მოწესრიგება და თავდადებული დაცვა ხალხის სიკეთისა. გარიბალდი, ვაშინგტონი, ფრან-

---

[1] „შინაური მიმოხილვა“, ნაწერები, ტ. I, გვ. 375.

[2] იქვე.

[3] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაწერები, გვ. 189.

კლინი სინონიმებია ამგვარი მოქმედება-საქმიანობისა[1]. პატრიოტიზმის საფუძველი ცხოვრების პირობებია. ბოსლეველს ეს გრძნობა დაკავშირებული აქვს ხალხის პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებასთან. მის განვითარებაში იგი დიდ ადგილს უთმობდა ე. წ. „ეროვნულ აღზრდას“. თავისთავად ეროვნული აღზრდა მას დაკავშირებული ჰქონდა სახალხო განათლების სისტემასთან, რის შესახებაც მას მრავალჯერ აქვს მართებული აზრი გამოთქმული (ამაზე ქვემოთ), მეორე მხრით, მისი აზრით, პატრიოტიზმი შეიძლება მხოლოდ მაშინ გაჩნდეს, როცა იცი, თუ რას უნდა მოახმარო ენერგია. პატრიოტული გრძნობა თანდაყოლილი თვისებაა ადამიანისა, მაგრამ თვისებას განვითარება და აღზრდა ესაჭიროება. „პატრიოტობა ხომ სიყვარულია და, განა იმის სიყვარული შეიძლება, რასაც ვერ იცნობ?... არაეროვნული აღზრდა ადამიანს გულს უცივებს სამშობლოზედ, აცილებს მას და ზრდის მასში დამახინჯებულს კოსმოპოლიტობას...“[2]. საჭიროა სიყვარული სამშობლოს წარსულისა, იმ ადამიანთა ღვაწლისა, რომლებმაც თავი დასდეს ქვეყნისათვის. შეგნება თანადროულობისა. შეფასება მშრომელი ხალხის მდგომარეობისა, სიყვარული ხალხის მიერ შექმნილი სულიერი სიმდიდრის, სიყვარული ლიტერატურის, ენისა. ესენია საამაყო საგნები თითოეული პატრიოტისათვის. ასეთი შეფასება პატრიოტული გრძნობებისა კლასიკურად იქნა ჩამოყალიბებული ვ. ლენინის მიერ 1914 წელს წერილში „ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ“ — „ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო“...[3].

„კრიტიკულ მიმოხილვებში“, რომელიც ბოსლეველმა „ივერიის“ განხილვას მიუძღვნა, ერთი მნიშვნელოვანი პუბლიცისტური საკითხთაგანი იყო ერისა და მისი ისტორიული რაობის შეფასება. ბოსლეველი, ისე როგორც მისი დროისა და წინა თაობის პუბლიცისტები,

---

[1] აღსანიშნავია, რომ ბოსლეველს ამ საკვეყნოდ ცნობილ ადამიანებთან ერთად დასახელებული ჰყავს ნიკო ღომოურის მოთხრობის „ბედი უბედურთა“-ს პერსონაჟი ვანო მხიარულიძე, რომელიც გლეხობაში სწავლის შეტანასა ცდილობს და აკრძალული წიგნებით ამ გლეხობის რევოლუციური განწყობილების განვითარება სურს.

[2] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაწერები, გვ. 189.

[3] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 110—115.

ხელსაყრელ შემთხვევებით სარგებლობდა გამოეთქვა მოსაზრება საქართველოს, როგორც კოლონიური ქვეყნის შესახებ და ამით გამოეხატა აზრი, რაც მაშინ ქართველ მოწინავე ინტელიგენციას აღელვებდა. ბოსლეველმა ერთგან ისარგებლა ერნესტ რენანის წარმოთქმული სიტყვით ერის არსის თაობაზე, რაც „ივერიას“ ჰქონდა გადმოთარგმნილ-დაბეჭდილი 1882 წელს. ბოსლეველის გამოხმაურებაში რენანის სიტყვასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მას „ივერიაში“ გამოქვეყნებული მასალიდან ამოუკრეფია ისეთი ადგილები, რომელნიც მისი ხალხის მდგომარეობას შეეფერებოდა და სარგებლობდა რა რენანის ზოგიერთი მოსაზრებით, ამასთან, უფარდებდა რა ამ მოსაზრებებს ქართველი ხალხის მდგომარეობას, აშიშვლებდა ცარიზმის ეროვნულ პოლიტიკას. რენანის მიერ პარიზის უნივერსიტეტში წარმოთქმული და „ივერიაში“ დაბეჭდილი სიტყვა — „რა არის ნაცია?“ ბოსლეველს მიჩნეული აქვს განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად ქართველებისათვის, რადგან ამ სიტყვაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ „ერთი ერი მეორე ერისათვის ღვთისაგან მიჩენილი ლუკმა არ არის“. ცხადია, ბოსლეველს აინტერესებდა რენანის სიტყვის ეს მთავარი თეზისი და მისი შეფასება ამ მეცნიერის სიტყვისა, უფრო მეტად ამ თეზისის გავრცელებაა და არა ის, რომ ბოსლეველს ვითომც რენანი მიაჩნდა ამ საკითხის ყველაზე უფრო მცოდნედ. ბოსლეველი ამ შემთხვევაში გამოდიოდა ქართველი ხალხის არსებული მდგომარეობიდან, ამდენად რენანის ეს სიტყვა — „რა არის ნაცია?“ მან ჩათვალა მეცნიერების ერთ-ერთ კარგ მიღწევად. ბოსლეველის აზრი ცხადად ჩანს პირველსავე სიტყვებიდან, რომელნიც მიმართულია მის თანამედროვე პოლიტიკურ სტრუქტურისადმი — „სხვადასხვა ხალხთა ერთმანეთს შორის დამოკიდებულებაზედ, ყური უნდა ათხოვოს ისტორიული გარემოებათა გამო გაბატონებულმა და დროებით მაინც ძლევამოსილმა ხალხმა...“[1]. სრულიად ცხადია, რომ რენანისეული განმარტება ერის არსისა ძლიერ არის დაცილებული ერის მეცნიერული განსაზღვრისაგან, რაც კლასიკურად იქნა ჩამოყალიბებული კ. მარქსის მიერ. ისიც ცხადია, რომ ბოსლეველს არ შეეძლო მაშინ ეს კლასიკური განსაზღვრა ერის არსის შესახებ სახელმძღვანელოდ ჰქონო-

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა,“ ნაწერები, გვ. 203.

და. მთავარი ბოსლეველისთვის ეროვნული საკითხის მოწესრიგებაა.

პროფ. ს. ხუნდაძე ერთ თავის ნაშრომში წერდა: „ერნ. რენანის ეროვნულ თეორიას იცავდა ბოსლეველიო“[1]. ეს ფრაზა არ იქნება მთლად გამართლებული, თუ ზემომოტანილი განმარტება არ დაერთო. ბოსლეველისათვის მთავარი იყო ის შედეგი, რაც ძალდატანებით პოლიტიკას სდევდა თან, რომელიც ძალად უყრიდა თავს რამდენიმე სხვადასხვა ხალხს და ადგენდა ერთ სახელმწიფოს. „რა ბედი მოელის იმ სახელმწიფოს, რომელიც ასე ძალად შეყრილს, დამონავებულ ხალხებს თავისუფალ ცხოვრებას არ აძლევს და ფიქრობს მათს ეროვნულ თავისებათა მოსპობას ვითომ მიტომ, რომ მათგან როგორმე ერთი ერი შეადგინოს?“[2]. ეს იყო ბოსლეველისათვის მთავარი და ამ მხრივ აინტერესებდა მას რენანის აზრები. ბოსლეველი მოწმე იყო ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკისა და აგრეთვე იმ ძალდატანებისა, რომელსაც ეროვნებათა მიმართ ხმარობდა „ხალხთა საპყრობელის“ პრინციპები. ისტორიის ფაქტების მოშველებით წერილში ლაპარაკია იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც მხოლოდ თავის თავს სცნობდნენ, და იგნორაციას ახდენდნენ სახელმწიფოს შიგნით მცხოვრები ხალხებისა, ერებისა. „მათგან, — განაგრძობს ბოსლეველი და ასახელებს ასურეთის. ბაბილონის, ეგვიპტის, ალექსანდრე მაკედონელისა და კარლოს დიდის სახელმწიფოებს, — ერთის მტკიცე სახელმწიფოს, ერთის ერის შედგენა შეუძლებელი იყო, რადგან ერთი ხალხი მეორე ხალხის განმასხვავებელს ჩვეულებას, ზნეს, გონებითსა და ზნეობითს მხარეს, ისტორიას, ცხოვრებას არ აღიარებდა და არც შესაფერის პატივისცემდა“[3].

ყოველი უმართებულო, უხეში დამოკიდებულება ერთი ხალხისა მეორის მიმართ ჰბადებს შუღლსა და ქიშპს. ეროვნული მოძრაობა, თუკი იგი შეფერხებულია, ან დათრგუნვილია მეორისაგან, ჰბადებს ანტაგონიზმს, მძვინვარე მტრობას, რასაც მოსდევს ეროვნული გათავისუფლებისათვის ბრძოლა. ამიტომაც ბოსლეველი სიამოვნებით აციტირებს გამოთქმულ მოსაზრებას ერების მომავალი თავისუფლების შესახებ. „თუ ამ ნამდვილს შეხედულებას (რომ ბუნების მეცნიერება-

---

[1] „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში,“ ტ. II, გვ. 120, შენიშვნა.

[2] „კრიტიკული მიმოხილვა,“ ნაწერები, გვ. 203.

[3] იქვე.

თა განვითარებამ ადამიანთა შეხედულება ცხოვრებაზე რადიკალურად შეცვალა — ს. ხ.) საუბედუროდ, ჯერ კიდევ ვერ მიუღია მოქალაქეობა პოლიტიკაში, თუ ცხოვრება ჯერ კიდევ ვერ მოწყობილა ამ ჭეშმარიტად ქრისტიანულის, ჰუმანურის შეხედულების დაგვარად, ეს იმიტომ, რომ უმრავლესობა ჯერ კიდევ ყრუა. მაგრამ, მოვა დრო, — და ეს შორსაც აღარ არის, — როდესაც დღეინდელი მდგომარეობა დამონავებულის ხალხებისა გააძლიერებს მათში თვით-ცნობიერებას. გამოიწვევს რეაქციას და მაშინ ეს დამონავებული ხალხები შეანძრევენ ძალუმად თანამედროვე წყობილებას და აუწყებენ ქვეყანას ახალს მოძღვრებას"[1].

ბოსლეველი იმეორებს დ. მხარს უჭერს ილია ჭავჭავაძის იმ შეხედულებას, რომელიც ამ უკანასკნელს გამოთქმული ჰქონდა 1882 წლის მარტის თვის „ივერიის" „შინაურ მიმოხილვაში" იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერიაში ყველაფერი სახელმწიფოს ინტერესს ანაცვალეს და უგულებელყოფილია სხვადასხვა პატარა, იმპერიაში შემავალი ერების ინტერესებით. ილია ჭავჭავაძესთან ერთად ბოსლეველიც აცხადებდა: „შეგიძლიათ კაცს ხმა ჩაუწყვიტოთ, შეგიძლიათ სხვადასხვა საჭიროებაზედ ლაპარაკის ნება არ მისცეთ, მაგრამ ამით თავის დღეში არ შეგიძლიათ მოსპოთ ეს საჭიროება, რომელის გამომთქმელიც იკი ხმა არის. ამგვარს ძალდატანებითს პოლიტიკას, როგორც ისტორია მოგვითხრობს, ყველგან და ყოველთვის მხოლოდ შური, მტრობა და განხეთქილება აღუძრავს სახელმწიფოს წევრთა შორის და სხვა არაფერი"[2].

ბოსლეველი, ისე როგორც ილია ჭავჭავაძე, ეროვნული საკითხის მოგვარებას გადაჭრით მოითხოვდა. ეს საკითხი დაყენებული იყო „ივერიის" მიერ და მას გამოეხმაურა ბოსლეველიც, რისთვისაც მან გამოიყენა ერნ. რენანის „ივერიაში" დასტამბული წერილი. ბოსლეველი მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძეს და მოითხოვდა, რომ ქართველ ერს, რომელსაც გააჩნდა ენა, ისტორიული წარსული, ერობა და ტერიტორია, ანგარიში გასწეოდა აბლაც. ქართველ ერს მისცემოდა საშუალება შეენარჩუნებინა ისტორიულ-ეროვნული მიღწევანი; იგი

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა," ნაწერები, გვ. 203.

[2] ი ქ ვ ე.

სრულიად გარკვეულად ამბობდა, რომ დამოუკიდებლობა აუცილებელიაო. ამდენად სრულიად უმართებულოა პროფ. ს. ხუნდაძის განმარტება. თითქოს, ერნ. რენანის ეროვნული თეორიის წინააღმდეგ გაელაშქრა ეგნატე იოსელიანს, ხოლო ბოსლეველი კი რენანის შეხედულებების დამცველი იყო მაშინ, როცა ე. იოსელიანიც იმას წერდა, რასაც ბოსლეველი. მაგ. „გაერთგვარება ხალხისა სახელმწიფოში ეხლა ისე შეუძლებლად მიაჩნიათ, როგორც ჰაერის ერთნაირობა სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში". ს. ხუნდაძის შეხედულებით ე. იოსელიანი მომხრე იყო არა ცენტრალიზაციისა, არამედ ავტონომიისა, თვითმმართველობისა. ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ბოსლეველსაც. ოღონდ ეს აზრი გატარებული აქვს იმ წინადადებებში, რომლებიც ე. რენანის წერილის შინაარსის განმარტებას იძლევა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სინამდვილისადმი კრიტიკულმა დამოკიდებულებამ, სოციალურ ძალთა დაპირისპირებამ ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან დააყენა მოთხოვნილება წარსულის შესწავლა-შეფასებისა. ამ დროიდან ბევრი მართებული შეხედულებაც გამოითქვა. ქართულმა პუბლიცისტიკამ და მხატვრულმა სიტყვამ თავი გაითავისუფლეს სხვადასხვა წარმოდგენებისაგან და წარსულიც ისევე ახდილად შეაფასეს, როგორც თავისი თანამედროვეობა. რეალისტურმა შეხედულებამ ქართული პუბლიცისტიკის წინაშე დააყენა საკითხი სინამდვილის უპირატესობისა, მისი მთლიანობაში შესწავლისა. ქართული ლიტერატურული კრიტიკა შემოქმედებისაგან მოითხოვდა წარსულის მოღვაწეების არა ზეადამიანებად წარმოდგენას, არა გაიდეალებას ძველად არსებული ფაქტებისა, არამედ ცხოვრებისეული სიზუსტით მათ გამოხატვას.

ბოსლეველი თვალს არ ხუჭავდა წარსულის უარყოფით მოვლენებზე და არც რაიმე დადებითს აზვიადებდა. მისი აზრით ჩვენი ქვეყნის წარსულს ბევრი ძლიერ კარგი, მშვენიერი მხარე გააჩნდა, მაგრამ მას ნაკლოვანებებიც ახასიათებდა. „ჩვენს წარსულს ცხოვრებას, — წერდა იგი ერთ-ერთ „კრიტიკულ მიმოხილვაში"[1], ბევრი ნაკლი, ბევრი ცუდი მხარეები ჰქონდა, რომელნიც სულს უხუთავდნენ ადამიანს და თავისუფლად ნაბიჯის გადადგმის და კაცურად ცხოვრების მოწყო-

[1] „კრიტიკული მიმოხილვა", ნაწერები, გვ. 208.

ბას უშლიდნენ. კერძო, ანუ პირადის ინტერესების სამსახური წინადაც სუფევდა ჩვენს ცხოვრებაში; უკმაყოფილებას წოდებათა შორის, ანტაგონიზმს ჩვენი წარსულიც კარგად იცნობდა; საზოგადოების ერთის ნაწილისაგან ოფლის ღვრას და ამ ოფლის ღვრით შეძენილის ნაყოფის მეორე ნაწილისაგან უშრომლად მოხვეჭას უწინდელ დროში უფრო ფართე ადგილი ეკავა; ადამიანის პირადისა და ქონებითის უფლების უარყოფა ჩვენს წარსულში ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ეს მოვლენა ისე სამართლიანად მიაჩნდათ, რომ პროტესტსაც არ იწვევდა ეგრეთ-წოდებულს მამულიშვილების მხრით". ბოსლეველისათვის ცხადია, რომ ფეოდალიზმის პერიოდს ველური თვისებები ჰქონდა, როდესაც წაშლილი იყო ადამიანის პიროვნება, გამეფებული იყო უდიერი ექსპლოატაცია, მაგრამ. ქართველი ხალხის ისტორიის გათვალისწინება, ქართველების სხვებთან ურთიერთობის შესწავლა მას საშუალებას აძლევს წარსულში დაინახოს ბევრი დადებითი მხარეც, რაც მისი შეხედულებით. აღარ გააჩნია თანამედროვეობას. ამისი საფუძველი, მისი აზრით, არსებული პოლიტიკური სისტემა არის. წარსულის ერთი მნიშვნელოვანი, ბრწყინვალე მხარე, იყო სამშობლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების სურვილი, რამაც საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ხალხის მთლიანობა შეინახა. ეს სურვილი იყო, დროგამოშვებით რომ ანტაგონისტურად განწყობილ ფენებს შეარიგებდა და „ყველას მაჯას ერთის მოღვაწეობისათვის აცემინებდა, ეს იყო რომ ქართველებს სულს უდგამდა, ყველა ქართველის გულს რომ განურჩევლად აატოკებდა ერთის ღრმა გრძნობით, ერთის წადილით... ამ დროს ყველასათვის ცხადი იყო საგანი თავდადებისათვის, გმირობისათვის და კიდეც ჩნდებოდნენ ცხოვრებაში თავდადებულები და გმირები; სამსხვერპლო თვალსაჩინოდ იყო ამართული, მსხვერპლს აზრი ჰქონდა ყველასათვის, — მსხვერპლის შემწირველნიც ჩნდებოდნენ, მსხვერპლიც იწირებოდა"...[1].

ბოსლეველს, ცხადია, მხედველობაში აქვს მიღებული ის ომები, რომლებსაც ქართველი ხალხი აწარმოებდა თავდაცვის მიზნით საუკუნეთა განმავლობაში. მან იცის, რომ ამ ომებს თუ მეფეები, ან

[1] „კრიტიკული მიმოხილვა", ნაწერები, გვ. 208.

დიდგვაროვანნი მეთაურობდნენ, მთავარი მებრძოლი ძალა იყო გლეხობა, საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი. და, რომ ამ ომებში ყველა ძალა გაერთიანებული იყო სამშობლოს დაცვისათვის. ისტორიული საბუთები თუ არა, ქართული ხალხური შემოქმედება მაინც მისცემდა მას იმის მასალას, თუ როგორ იცავდა ხალხი ქვეყანას და რამდენი გმირი გამოჩენილა ამ თავდაცვითი ომებისას. ეს იყო ძველი საქართველოს შესანიშნავი დამახასიათებელი მხარე.

მაგრამ XIX საუკუნემ ქართველ ხალხს ეს თვისება გამოაცალა. „ქვეყანასა და მის შვილებს შორის ჩადგა მესამე პირი და გაავლო მათთვის თვალგაუტანებელი კედელი, მათ შორის დასდვა განუვალი უფსკრული“. ეს „თვალგაუტანებელი კედელი“, რომელიც ქართველი ხალხის სხვადასხვა ფენათა შორის მტკიცე ზღუდედ აღიმართა, რასაკვირველია, არის ის პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიც საქართველო მოექცა XIX საუკუნეში, როცა ქვეყნის დამოუკიდებლობა მოისპო და სამშობლოს დაცვის საკითხიც „ცენტრალიზებულად“ გვარდებოდა. ბოსლეველი შორს დგას წარსულის იდეალიზაციისაგან, იგი სრულიადაც არ მიეკუთვნება მოღვაწეთა იმ წყებას, რომელნიც ხელაღებით თვალს ხუჭავდნენ წარსულზე და ცალმხრივად აფასებდნენ მას. ბოსლეველს, ამ შემთხვევაში, გულს სტკენდა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XIX საუკუნეში და ამ მდგომარეობის ერთ მნიშვნელოვან მხარეს სწევდა წინ, რაც მას ძირითად მომენტად ეჩვენებოდა, ე. ი. საქართველოს პოლიტიკური ვითარება მისი მსჯელობის პირველი რიგის საქმე იყო. მეფის დროინდელი მმართველობის კრიტიკა, მხილება ბიუროკრატიულ-მონარქისტული ხელისუფლებისა, ბოსლეველს აყენებდა იმ მოღვაწეთა წყებაში, რომელნიც ხალხის გადარჩენისათვის იღვწოდნენ; დაუნდობელი აღიარება პოლიტიკური სისტემის უარყოფითი არსისა იყო მთელი მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის წმინდა მოვალეობა. ეს ტვირთი გაიზიარა 80-იანი წლების ქართველმა პუბლიცისტმა. დიდი საზოგადოებრივი ინტერესი, რაც გააჩნდა ბოსლეველს, საფუძველი იყო იმისა, რომ მოქალაქეობრივი სიმტკიცით დაეცვა ხალხთა თვითგანორკვევის პრინციპი, მხარი დაეჭირა ეროვნული, ხალხური სიმდიდრისა და ჰუმანური წესებისათვის. იგი ილაშქრებდა სახალხო სულიერი დოვლათის მიმტაცებელთა წინააღმდეგ და ამით მხარს უმაგრებდა XIX საუკუნის დიდ ქართველ მოღვაწეებს, რომელნიც ილია ჭავჭავაძის, იაკობ გო-

გებაშვილისა, აკაკი წერეთლისა და სხვათა წინამძღოლობით ქართულ ეროვნულ საქმიანობას განაგებდნენ. ბოსლეველიც წუხდა საერთო მდგომარეობით და ამიტომ წერდა, რომ დღეს „აღარსად არის ცნობილი და აღსაარებული თვითონ ქართველის საქმე... ქართული ენა, ქართული ჩვეულება, ზნე, შკოლა, ერთის სიტყვით, ქართველი ეროვნება თავის განსხვავებულის თვისებით ხორცმეტად არის ცნობილი. რაღაც საზოგადო ორღანიზმის, რომელიც რაც უფრო მალე მოიჭრება, ესა სჯობია“... ასეთი იყო მაშინდელი ხელისუფლების მიზანი, რომელსაც მთელი მოქალაქეობრივი შეგნებით ამხილებდა ბოსლეველი. „სანამ ჩვენს ტვინს, ჩვენს სულიერს ძალებს ხუნდს უშერენ და თესლშივე ჭანჩავენ, ნურავინ ნუ ეძებთ ნურც ცხოვრებაში და ნურც ამ ცხოვრების ნაწარმოებს ლიტერატურაში ნამდვილს შემოქმედებით ძალას“ — ამბობდა იგი. ბოსლეველი იმეორებდა ილია ჭავჭავაძის ლექსის ერთ ნაწილს, რითაც პოეტი მწუხარებას გამოთქვამდა — „ქვეყანაზე კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუზიარო“, იგი ეხმაურებოდა აკაკი წერეთელს, რომელიც აგრეთვე გულმოკლული ამბობდა: „ენას მგლეჯენო“.

ბოსლეველი ამიტომ წერდა, რომ ხალხის შემოქმედებითი ენერგია ამ გზით ვერ წარიმართება მართებულად. ბორკილგაყრილი ადამიანი ვერ იმოქმედებს და დამონებული ხალხიც ვერ იზრუნებს თავისი აწმყოსი და მომავლის გაუკეთესებისათვისო. „ძირითადი ცვლილება უნდა მოხდეს, რომ მოძღვარი მოძღვარს დაემსგავსოს და მოქალაქე მოქალაქეს, რომ ცხოვრება ითხოვდეს, კაცი ემსახურებოდეს არა პირს. ჯერამდე საქმეს, საჭიროა, რომ გონიერს არსებას, ღვთისაგან ნაშვილებს, ჰქონდეს თავისი თავისთვის ზრუნვის უფლება“...[1].

ბოსლეველი სრულიად გარკვეულად მოითხოვდა საზოგადოებრივი აზრის შექმნას თანამედროვე მდგომარეობაზე. მაგრამ, თავის თანამედროვეობაში იგი ვერ ხედავდა იმისთანა ძალას, ან უკეთ ქართულ საზოგადოებაში მას აღარ ეგულებოდა ის ენერგია, რომელიც ყველა მოღვაწეს, ხალხის მეთაურს გააერთიანებდა, შეაკავშირებდა და ასეთი გაძლიერებული საზოგადოება სათავეში ჩაუდგებოდა საქვეყნო საქმეს. ბოსლეველი პოლონეთის მაგალითს მიმართავდა, რომ ეჩვენე-

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა,“ ნაწერები, გვ. 196.

ბინა თავის თანამედროვეთათვის — რამდენად კომპაქტური იყო იქ საზოგადოება, რომლის დაჟინებითი მოთხოვნილებით ხელისუფლებას პოლონელებისათვის მშობლიურ ენაზე სწავლა-აღზრდის უფლება მიუნიჭებია, რასაც ბოსლეველი ერთ-ერთ უდიდეს ეროვნულ მიღწევად თვლიდა.

ბოსლეველი მოსურნე იყო პოლიტიკური ცვლილებებისა, თუმცა პირდაპირ არსად გამოუცხადებია, თუ რა ხერხებით და საშუალებებით უნდა მომხდარიყო სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შეცვლა და რა ძალები უნდა ამოქმედებულიყვნენ საამისოდ. იგი არსებული პოლიტიკური წყობილების მახვილ კრიტიკას იძლეოდა, სხვადასხვა ცხოვრებისეული ფაქტების აღნუსხვა-ანალიზს იყენებდა მეფის ხელისუფლების უხამსობის სამხილებლად. პუბლიცისტი დაურიდებლად ახასიათებდა ყველას, ვინც პოლიტიკური უამინდობისას მოლოდინს მისცემოდა და იმედი ჰქონდა გამოდარებისა. ეს განწყობილება მან გამოხატა ერთ-ერთ „კრიტიკულ მიმოხილვაში“, რომელშიც ყველა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი მოღვაწე, ვინც მოლოდინით იყო აღტყინებული და სხვისი იმედი ჰქონდა თავისი ქვეყნის საქმეების მოწყობაში, სააშკარაოზე გამოიყვანა.

1881 წელს „ივერიის“ დეკემბრის ჟურნალში „შინაური მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძემ XIX საუკუნეს ლოდინის საუკუნე უწოდა. ჩვეული ირონიით მან დაახასიათა იმდროინდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება, უმოქმედობა, უმოძრაობა და უნებისყოფობაც საზოგადოებისა, რომელსაც ჩამორთმეული ჰქონდა უფლება საკუთარ საქმეთა ზრუნვისათვის მოლოდინსა და სულელს — ამ ორ სიტყვას ილია ჭავჭავაძემ ერთი ძირი მოუნახა და თქვა, რომ ვინც სულ ელის სულელია. მოლოდინი რაიმე გადასხვაფერებისა უაზრობაა, რადგან, რაც უნდა ცვლილება მოხდეს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, იგი მაინც არ იქნება ფერხორციანი, ყველა ეს ცვლილება იქნება არა ხალხის მოძრაობით გამოწვეული, არამედ ზემოდან ბოძებული, რაც, ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, არ შეიძლებოდა რაიმე მნიშვნელობის მატარებელი ყოფილიყო[1]. მი-

---

[1] „შინაური მიმოხილვა“, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, გვ. 128—131.

უხედავად ილია ჭავჭავაძის ასეთი ღრმა რწმენისა, არსებულ სახელმწიფოებრივ სისტემაში, ხოლო ამ სისტემის შეცვლა ილია ჭავჭავაძეს წარმოდგენილი არ ჰქონდა, სულ მცირე ცვლილებაც კი, რაც ხალხს ოდნავ ამოსუნთქვის საშუალებას მაინც მისცემდა, მნიშვნელოვანი იყო. ილია ჭავჭავაძე ქართული საქმიანობის წარმართვას არსებულ ვითარებაში მძიმე ტვირთად მიიჩნევდა, მაგრამ მის ზიდვას მაინც ქართველ საზოგადოებას ავალებდა. მისი მთავარი ინტერესი იყო „დაცემული ვინაობის აღდგენა“ და წარსულის საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნება. როგორც მატერიალისტს, ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ „ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა“. ისიც კარგად იცოდა, რომ რუსეთში არ არსებობდა ძალა, რაც ბოლოს მოუღებდა მონარქიულ ხელისუფლებას. ამიტომ იგი ირონიით ლაპარაკობდა რაიმე კარგის მოლოდინზე, რადგანაც ეს სისულელეთ მიაჩნდა მანამ, ვიდრე თავისი ხალხის საჭე სხვას ეჭირა ხელში.

ილია ჭავჭავაძის ამ „შინაური მიმოხილვის“ გამოხმაურებაში, ბოსლეველი აღრმავებს აზრს. მიმდინარე საუკუნე უკვე აღარ არისო ლოდინის საუკუნე, რადგან სხვადასხვა ხალხებმა იარაღი აიღეს თავისი გათავისუფლებისა და დაცვისათვისო. ირლანდიელებმა, ბალკანელებმა და სხვებმა ბოლო მოუღეს ლოდინს და შეუდგნენ დაკარგულ უფლებათა ძიებისათვის ბრძოლასო. პუბლიცისტი ხაზს უსვამდა იმ მდგომარეობას, რომ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ცხოვრება სხვადასხვაგვარი იყო. ევროპაში, ბევრად უფრო დემოკრატულ ქვეყანაში რუსეთთან შედარებით, ხალხებს უფლება აქვთ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა, რუსეთში კი ამ საქმისათვის ხელი ვერავის მოუკიდია. ევროპის ქვეყნებში ამ საქმეს ემსახურება მაშაკაცი და დედაკაცი, დიდი და პატარა, სამღვდელოებაც კი. ბოსლეველი აღნიშნავდა, რომ ქართველ ხალხში ერთიანობა არ არსებობს, არაა შემაკავშირებელი ძალა, არც საზოგადოება, რომელიც შეჰკრებდა ხალხის სურვილს და აღკვეთდა მოლოდინს, „ჩვენ ჩვენი საზოგადოება უნდა დავარწმუნოთ ტეორიულის მსჯელობით და სხვა ქვეყნების ცხოვრებიდან ამოღებულის ცოცხალის ფაქტებით, თუ რა კეთილ-მოქმედი გავლენა აქვს ხალხის ეკონომიურისა და სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ რომელსამე რეფორმას, რომ თვითონ საზოგადოებამ აიმაღლოს ხმა და ასე თუ ისე სთხოვოს ვისაც ჯერ არს და

რაც ჯერ არს"[1]. საინტერესოა ასეთი განწყობილება ბოსლეველისა ილია ჭავჭავაძის მიერ აღძრულ საკითხთან დაკავშირებით — მოლოდინი ქვეყნის გათავისუფლების საქმეში სახეირო არაა, საზოგადოებამ უნდა წაუყენოს მოთხოვნილებანი ვისაც ჯერ არს. იგი „ასე თუ ისე" ამოქმედებას უპერდა მხარს.

ეროვნული თვითგამოკვლევისა და პოლიტიკური გათავისუფლების მსურველი ბოსლეველი, ძველი დროის ზოგიერთ ქართველ მოღვაწეს აუკად იხსენიებდა ამ მოლოდინთან დაკავშირებით. ბოსლეველი საყვედურს გამოთქვამდა ვახტანგ VI-ის მიმართ, რომ იგი პოლიტიკური მდგომარეობის კარგ ამინდს ელოდა და სწორედ ამან დააკარგვინა მას სამკვიდრო და სამუდამოდ სხვის ქვეყანაში გადახიზნა. „ჩვენს მეფეებს მკლავის სიმარჯვესთან ცოტა პოლიტიკური ნიჭი აკლდათ და მტერ-მოყვარის ცნობაც არ იცოდნენ, თორემ"[2]... ბოსლეველი აზრს არ ამთავრებდა, უიმისოდაც გასაგები იყო, რის თქმა სურდა მას, თუმცა, ამ შემთხვევაში, თავის თანამედროვე მდგომარეობით შეპირვებული იგი ანგარიშს არ უწევდა იმ ვითარებას, რომელშიც ქართლისა და კახეთის მეფეები იმყოფებოდნენ XVIII საუკუნეში სპარსეთის მეზობლობით გულგაწვრილებულნი და ორიენტაციის მაძიებელნი. ვახტანგ მეექვსეცა და ერეკლე მეორეც თავისი პატარა ქვეყნისთვის მშვიდობასა და დაწყნარებას ეძიებდნენ და არა პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას.

III

ბოსლეველის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სწავლა-განათლების საკითხებს, რასაც ესოდენ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი XIX საუკუნის ქართულ პუბლიცისტიკაში. ვერც ერთმა ქართველმა მოღვაწემ გვერდი ვერ აუარა სწავლა-განათლების მდგომარეობის საკითხს, ხოლო ქართული პედაგოგიკის კლასიკოსების — იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაში მან დიდი ადგილი დაიჭირა, რადგან იგი უკავშირდებოდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა", ნაწერები, გვ. 181.

[2] „კრიტიკული მიმოხილვა", გვ. 189. ბოსლეველმა ეს აზრი გამოთქვა თ. ჟორდანიას წერილის—„დავით გურამიშვილი და მისი დრო"—დაბეჭდვის გამო.

ბოსლეველს არ შეუქმნია თეორიული შეხედულებანი პედაგოგიკაზე, იგი როგორც თავისი თანამედროვეობის შემფასებელი უმთავრესად ფაქტიურ მდგომარეობას ეხებოდა, თავისი დროის სკოლების ხასიათს განიხილავდა, მსჯელობდა მშობლიური ენის როლზე. სწავლა-განათლებისა და ბავშვის აღზრდის საქმეში, ეხმაურებოდა სახალხო განათლების დარგში მართებლობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. ეს პრაქტიკული საკითხები თავისი თეორიული საფუძვლებით უკავშირდებოდა იმ საერთოდ ცნობილ შეხედულებებსა და მოსაზრებებს, რომელიც გამოთქმული ჰქონდათ ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილს. მათი გაზიარებით ბოსლეველი მხარს უჭერდა ქართული პედაგოგიკის მოღვაწეებს. ის მთავარი საკითხიც, რომელზეც მრავალგან შეაჩერა ყურადღება ბოსლეველმა — მშობლიურ ენაზე სწავლება, ქართულ მოღვაწეთა ზრუნვისა და ფიქრის საგანი იყო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ამასთან მეცნიერულად და პედაგოგიკურადაც სრულიად დასაბუთებული, თუმცა ხშირ შემთხვევაში განუხორციელებელი. ბოსლეველი, მსგავსად ქართული პედაგოგიკური აზროვნების კლასიკოსებისა, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქართველ მოზარდს სამყაროს გაცნობა უნდა მხოლოდ და მხოლოდ მშობლიური ენის მეშვეობით მოეხდინა. ასეთი მოთხოვნილების წამოყენებით იგი მხარს უმაგრებდა განათლების მახინჯი სისტემის წინააღმდეგ მებრძოლთ და ამტკიცებდა იმათ ფრონტს, ვინც იანოვსკისა და მის მსგავსთა კოლონიზატორულ ზრახვებს კრიჭაში ედგა. ბოსლეველი მომხრე იყო ამ საკითხის ირგვლივ შეუნელებელი მსჯელობისა. მას მოსწონდა „დროების“, „ივერიისა“ და „ტიფლისკი ვესტნიკის“ წერილები ამის თაობაზე და ადგილობრივი პრესის ერთობლივი გამოსვლა მიაჩნდა ისეთ ბრძოლად, რომელიც არ შეიძლებოდა მალე შეწყვეტილიყო. ილია ჭავჭავაძის წერილი „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“[1] და იაკობ გოგებაშვილის „განმარტებითი წერილი“[2], ბოსლეველს მიაჩნდა საქართველოში ნამდვილი სწავლა-განათლების დაფუძნებისა და სკოლებში ქართული ენის შემოღებისათვის ბრძოლის დასაყრდენ საბუთებად. „ეს წერილი,—წერდა ბოსლეველი ი. გოგებაშვილის „განმარტებით ბარათზე“,—თვალსაჩინოდ გვიმტკიცებს, რომ ქვეყნის ბედი, მისი

---

[1] დაიბეჭდა „დროებაში“ 1881 წ. (№ 33).

[2] დაიბეჭდა „ივერიაში“ 1881 წ. (№12).

აწმყო და მომავალი მოითხოვს დედაენაზედ განათლების მიღებას"[1]. გოგებაშვილის წერილის შეფასებით ბოსლეველი აზრს აღრმავებდა და განმარტავდა იმ ეროვნულ უბედურებას, რაც მიზეზი და შედეგი იყო სკოლებიდან დედაენის განდევნის, რასაც შეიძლებოდა გამოეწვია ხალხის დაცემა, მოზარდი თაობის მიერ სამყაროს ათვისების უნარის დაკარგვა.

ბოსლეველი ქადაგებდა ეროვნულ აღზრდას. მისი რწმენით არა მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო სწავლება, არამედ სასკოლო პროგრამაში ადგილი უნდა მოეპოვებინა საქართველოს ისტორიასაც, რომ შვილსა და მშობელს, საქართველოს წარსულსა და თანამედროვეობას შორის სიყვარული და ზნეობრივი კავშირი დამყარებულიყო და გაბმულიყო. ამგვარი საკითხების წამოყენებას ბოსლეველი ქართულ ლიტერატურას, მწერლობას ავალებდა. ეს მწერლობა მიაჩნდა მას შესანიშნავ საშუალებად, რადგან მან, ლიტერატურამ, თავის დროზე, ე. ი. 60-იან წლებში საზოგადოებაში აღძრა ეროვნული სწავლა-განათლების წადილიო. 60-იანი წლების საზოგადოებრივ მოძრაობას იგი მიიჩნევდა პროგრესულ, ღრმად ეროვნული შინაარსის მქონე, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მოვლენად, იმ დროის ლიტერატურას აფასებდა, როგორც მოწინავე იდეების მქადაგებელსა და საზოგადოებაში გამტანს, რადგან მან საზოგადოებას ყველაფერი მშობლიურ ენაზე მიაწოდა. ბოსლეველი გადაჭრით ასაბუთებდა, რომ მხოლოდ მშობლიურ ენაზე აღზრდას შესწევს უნარი ხალხის სულიერი ძალების აღდგენისა, ხალხის ბუნებრივი ნიჭის აღორძინებისა. ეს მოთხოვნილება წამოყენებული ილია ჭავჭავაძისგან, დაფუძნებული იყო მეცნიერულ პედაგოგიკაზე, რომ დედაენის სწავლა და დედაენაზე სწავლება არის საფუძველი ნამდვილი აღზრდისა. „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან დაუხევად ვთხოულობთ დედაენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრობთ იმიტომაც, რომ უდედაენოთ გონების გაჭსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია"[2]. ილია ჭავჭავაძე ამ მოთხოვნილებას ტაქტიანად ასაბუთებდა, იგი ხელმძღვანე-

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა", ნაწერები, გვ. 181.

[2] „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო", „შინაური მიმოხილვა", თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად ტ. IV.

ლობდა არა მხოლოდ პოლიტიკური და ეროვნული ინტერესით, არამედ მეცნიერული პედაგოგიკის პრინციპებით. ბოსლეველი გამომდინარე ილია ჭავჭავაძის მოსაზრებიდან, რადგან იგი მას მიაჩნდა აზრის საუკეთესო გამოხატულებად, წერდა: „უფროსი ფიხტე მიტომ კი არა ხედავდა თავის ერის აღდგენის მთავარ საშუალებად მშობლიურს ენაზედ სწავლას, განათლებას, რომ იგი ვითომც ჟინის ქარით იყო გატაცებული და პატრიოტობდა, არამედ იმიტომ, რომ უცხო ენა აღზრდაში ადამიანის ტვინისთვის მუხრუჭად მიაჩნდა“[1]. ილია ჭავჭავაძისა და ბოსლეველის აზრთა ერთნაირობა ცხადია. იგი ილიას დებულებებს იმეორებდა, ახალ საილუსტრაციო მასალას უმატებდა და ილიასებური პედაგოგიკური ტაქტით ასაბუთებდა ეროვნული ენის მნიშვნელობას სკოლაში. თუ მშობლიური ენა მთავარი არ იქნება სწავლებაში, შეუძლებელია სწავლა-განათლებას მოეთხოვოს რაიმე სასარგებლო როლის შესრულება. მშობლიური ენა არის მოქალაქის აღმზრდელი, იგია ლიტერატურის საზრდო. ამ მსჯელობას მოსდევს კარგად ჩამოყალიბებული აზრი, თავისუფალი ადამიანის შემოქმედებითი ძალების, ეროვნული ენერგიის აღდგენას რომ გულისხმობს. „იმ პირობებს, — წერდა ბოსლეველი, — რომელიც გარს ხუნდივით შემოგვრტყმია, მიბაძვის ნიჭი შეუძლიათ მხოლოდ განავითარონ ჩვენში, და, მართლაც, ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ლიტერატურა რას წარმოადგენს, თუ არა მიბაძვას?! ჩვენ, რასაკვირველია, გვრწამს, რომ შემოქმედებითი ნიჭი ჩვენს ცხოვრებაშიაც შესაძლებელი საქმეა — ჩვენი ცხოვრება იჩენდა კიდეც ამ ნიჭს, როდესაც ამისთვის პირობები ჰქონდა. მაგრამ ჩვენ ეს ნიჭი დღეს მიგვაჩნია დამალულად, ეგრედწოდებულს პოტენციალურს მდგომარეობაში“. და შემდეგ ზემოთ მოტანილი ფრაზა: „სანამ ჩვენს ტვინს, ჩვენს სულიერ ძალებს უჭერენ და თესლშივე ჭანჩავენ, ნურავინ ნუ ეძებთ ნურც ცხოვრებაში და ნურც ამ ცხოვრების ნაწარმოებს ლიტერატურაში ნამდვილს შემოქმედებითს ძალას“.

ქართული ენის მდგომარეობა მაშინდელ სასწავლებელში, საქართველოში, სავალალო იყო. ბრძოლა ქართული ენისათვის, ქართველი ბავშვების აღზრდა ქართულ ენაზე რამდენიმე ათეული წლის მანძილ-

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“, „ნაწერები“, გვ. 208.

[2] იქვე.

ზე არ მოხსნილა საზოგადოებრივი აზროვნების დღის წესრიგიდან. არც თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელიც მასწავლებლებს ამზადებდა, არც სასულიერო სემინარიაში, რომელიც ხალხს „სულიერ მოძღვრებს“ უმზადებდა და არც ქალთა სასწავლებლებში, სადაც ქართული ოჯახის დედა იზრდებოდა, სასწავლო დისციპლინებში არ იყო შეტანილი ქართული ენა. ბოსლეველი ოპტიმისტურად განწყობილი ადამიანი იყო და სჯეროდა, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალები შესძლებდნენ ამ კრიზისის გადატანას და დღეს თუ არა, ხვალ თავისი უფლების აღდგენას მოითხოვდნენ. ლიტერატურა მას წარმოედგინა ასეთი მდგომარეობის წამლად და, მაშასადამე, დიდად მიაჩნდა ქართველი მწერლების როლიც მშობლიური, ეროვნული ლიტერატურისა და ენის აღორძინების საქმეში. იგი მტერი იყო ეროვნული ნიჰილიზმისა და კოსმოპოლიტური მიდრეკილებებისა, რასაც ზოგიერთი ჟურნალი იჩენდა ზოგჯერ, როცა წერდა, რომ ენას არავინ გვართმევს, მას ვერ ამოგვგდებენ, ენის საკითხი არ არის აქტუალურიო.

ბოსლეველს, ისე როგორც ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, აკაკი წერეთელს უხდებოდა იმის მტკიცება, რომ ქართული ენა მდიდარია და მას შესაძლებლობა აქვს ადამიანის ფიქრი და გრძნობა, ლიტერატურისა და მეცნიერების ყველა მოსაზრება უნაკლოდ გადმოსცეს. უსლარის თხზულების დაბეჭდვა „ივერიაში“ მას ამის დამამტკიცებელ საბუთად მიაჩნია, უცხოელის პირით მტკიცდება ქართული ენის სიმდიდრე და მრავალფეროვნებაო. „როდესაც ჩვენის ენისა და ხალხის უმეცარნი გაიძახიან ქართულის ვითომ სიღარიბეს სიტყვებით, თუ გრამატიკულის ფორმებით, არა თუ ქართულს ენაზედ, მთიულების ენაზედაც კი (!—ს. ხ.) შეიძლება, უ. უსლარის აზრით, გამოიხატოს თვით წვრიმალი და შეუმჩნევი აზრის მიმოხვრა, გრამატიკულ ფორმებთა სიმდიდრის წყალობით“[1]. ამას ამბობსო, განაგრძობდა ბოსლეველი, — მტკიცე მოსურნე კავკასიის ერთა გადაბირებისა, ცოდო-მადლიანი კაცი, რომელიც შვება-მომცემს აზრებთან ასეთს რამესაც გეტყვის, რომ გულს მოგიშხამავს. მაშასადამე. არა მი-

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაწერები, გვ. 189.

კერძოებული ადამიანი, არამედ ასე თუ ისე ობიექტური და თანაც ფარკვეული ტენდენციის მქონე.

აღსანიშნავია, რომ გარდა ქართველი ინტელიგენტების ამ საერთო სურვილისა, ბოსლეველი მოითხოვდა განათლების სისტემის რადიკალურად შეცვლას. იგი პირდაპირ ამბობდა: „ეხლანდელი პროგრამა უარყოფილი უნდა იყოს, რადგან სემინარიაში ქართულის უმეცრებასთან ერთად თავის გამოფუტურებაც არის გაბატონებული“. „სემინარიაში იმას კი გვასწავლიან, თუ როგორ უნდა წარმოსთქვა მოძღვრება და იმაზე კი არას გვეუბნებიან, თუ რაზედ იქადაგო“[1]. „სემინარია, საზოგადოდ, ზრდის არა მოქალაქეს, არა ღვთისა და ჭეშმარიტების მსახურს, არა სულიერს ეჭიმს ცოდვილის ადამიანისას, არამედ ჩინოვნიკს, ერთგვარის წესების ფორმალურად აღმასრულებელს[2]. ეს სემინარიის ბრალი კი არაა, არამედ წყობილებისა. წყობილებაა დამნაშავე. რომ საზოგადოებაში ადგილი აქვს ძარცვა-გლეჯას, მექრთამეობას, ზნედაცემულობას, ვერცხლისმოყვარეობას...

სწავლა-განათლების სისტემა ბოსლეველს სახელმწიფოებრივი ორგანიზმიდან არ ჰქონდა გამოყოფილი. სკოლა მისი წარმოდგენით არის ერთი დეტალი საერთო მდგომარეობისა. მისი შეცვლა პიროვნებისა და საზოგადოების გათავისუფლების სახელით, აუცილებელია. ამდენად, ბოსლეველი მომბრძა არა მდგომარეობის ნაწილობრივად, არამედ მთელი სისტემის შეცვლისა. ამიტომაც, იმედი, რომ რომელიმე ახლად დანიშნული დიდჩინოსანი — სამოქალაქო თუ სასულიერო პირი რაიმე გაუმჯობესებას შემოიტანდა საქართველოში, საიმედოდ არ მიაჩნდა. „ივერიის“ მიერ წამოყენებული საქართველოს ეკლესიის ავტონომიის საკითხის დაყენებას ბოსლეველი, ზემოთქმულის საფუძველზე, არ თვლიდა რაიმე სარგებლობის მომენტად. საქართველოს ეგზარქოსი, რუსი იქნება თუ ქართველი, სინოდზე დამოკიდებული, სარგებლობას ვერასა იქმს. ადამიანები კი არ არიან გადამწყვეტნი, გადამწყვეტია საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. „ავტონომია მაშინ იქნება, — წერდა იგი, — თვითონ სამღვდელოებას და სამწყსოს რომ გადამწყვეტი ხმა ჰქონოდეს საეკლესიო საქმეებში, მაგრამ ეს

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაწერები, გვ. 196.

[2] იქვე.

რუსეთში საზოგადოდ შეუძლებელია". ეს კი არაა მთავარი, ასკვნის ბოსლეველი, „არამედ... როდესაც მართებლობა კანონმდებლობითი წესით აღიარებს ჩვენს უფლებას, როდესაც იგი პრინციპიალურად გადასწყვეტს, რომ ჩვენში შკოლამ და ყოველმა დაწესებულებამ მიიღოს ქართული ხასიათი"[1]. კეთილი მმართებელი ან კეთილი მწყემსი, კიდევაც რომ იყვნენ ასეთები, ვერას გახდებიან, თუ სახელმწიფოებრივი სისტემა უცვლელი იქნება. ეს კი შეიძლება სახალხო სკოლის მეშვეობით, რომელსაც შეუძლია ხალხის წინწაწევის საქმეში მნიშვნელოვანი ძვრა მოახდინოს. წესიერად წარმართულ სახალხო სკოლას ხალხის ცხოვრების მოყვანაში სერიოზული როლის შესრულება შეუძლია. შეგნებული ადამიანი ყოველთვის შესძლებს შეებრძოლოს მტერს. განათლება მძლავრი საშუალებაა ცნობიერი ადამიანის ხელში. სახალხო სკოლა ხალხის სულიერი ძალების განმავითარებელი და ამმოქმედებელი კერაა და ეროვნული შემოქმედების ხელის შემწყობი.

ბოსლეველი არ კმაყოფილდებოდა ხალხოსნების კულტურტრეგერული მისწრაფებით, რომ განათლებით" გლესობის გონების განვითარებით შესაძლებელი იქნებოდა ძირითადი ეკონომიური ცვლილებების მოხდენა. ბოსლეველს სახალხო სკოლა წარმოუდგენია ეროვნული, შემოქმედებითი ძალების გამღვივებლად და ამღორძინებლად, რაც საფუძველი იქნებოდა ხალხის ეროვნული გათავისუფლებისა.

წერილში „ფიქრი და შენიშვნები სამრევლო სკოლების გამო", რომელიც ცენზურას არ გაუშვია დასაბეჭდად, ბოსლეველი კატეგორიულად მოითხოვდა პირველდაწყებით სწავლებას მშობლიურ ენაზე. ორწლიან სასწავლებელში არამშობლიურ ენაზე სწავლება მას ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდა, რადგან ასეთი ტიპის სკოლებში საგნებიც იმისთანა ისწავლება, რომ მათი შეთვისება, თუ არ ქართულად, შეუძლებელია. ამისთვის იგი ყოველგვარ დასაბუთებას მიმართავდა. „თვით ღვთაების სიბრძნემ დაგვანახვა ჩვენ-ცოდვილ ადამიანებს, რომ

[1] „კრიტიკული მიმოხილვა", ნაწერები, გვ. 196.

იესო ქრისტეს მოძღვრების გავრცელება და დამკვიდრება რომელსამე ხალხში შესაძლებელია მხოლოდ ამავე ხალხის ენაზედ, და სამრევლო სკოლების საგნათაც ხომ ეს არის გამოცხადებული წესდებაში. ამას გარდა, — განაგრძობს ბოსლეველი, — რომელი გალობა, ან საეკლესიო მწერლობა უნდა შეისწავლებოდეს სამრევლო სკოლებში, ეს თუ არა ქართული? რუსული გალობის სწავლას რომ მოჰყვნენ და ან სლავიანურის ენისას, ეს ხომ, მეტი რომ არა ვსთქვათ, სულ ტყუილუბრალოდ დროის და შრომის დაკარგვა იქნებოდა. სლავიანური ენა რუსეთშიაც ყოველივის ფეხ-სამტვრევია, თორემ ჩვენში ხომ რა იქნება"[1]. სამრევლო სკოლები, თუკი მათი სისტემა ფეხს მოიკიდებდა საქართველოში, ყოველ ეკლესიასთან უნდა ყოფილიყო და შეიქნებოდნენ ყველაზე ღემოკრატიული ფენების პირველდაწყებით სასწავლებლად. ეს სკოლები უნდა ქართველი გლეხის შვილებისა ყოფილიყო და სწორედ აქ იყო საჭირო სწავლებისათვის თავიდანვე საფუძვლების ჩაყრა ქართულ ენაზე. სამრევლო სკოლას შეეძლო დაბალ ხალხში წერა-კითხვის ინტერესის აღძვრა, ეს კი უნდა მშობლიურ ენაზე მომხდარიყო[2].

თავის პირველ კორესპონდენციაში იმერეთიდან, ბოსლეველი მსჯელობდა და საკითხს აყენებდა სახალხო მასწავლებლების მომზადების თაობაზე. იგი სერიოზულად იყო დაინტერესებული, რომ მასწავლებლები სათანადო მომზადების მქონენი ყოფილიყვნენ, სკოლების ქსელის გაუმჯობესება შეუძლებელი იყო მასწავლებელთა კადრების გარეშე. ფაქტიურ მდგომარეობას აღწერდა იგი, როცა კორესპონდენციაში წერდა: „მასწავლებლად აგზავნის (სახალხო განათლების ინსპექტორი ტროიე — ს. ხ.) იმისთანებს, რომლებსაც ერთი, რომ თვითონ არაფერი გაეგებათ და მეორეც, საზოგადოდ, რაც იციან, იმის გადაცემაც არ შეუძლიათ და რომლებსაც უკანასკნელი ერთი წიგნიც არ

---

[1] „ფიქრი და შენიშვნები სამრევლო სკოლების გამო", საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 480, საქმე № 655, ფფ. 22—23; ნაწერები, გვ. 291.

[2] ილია ჭავჭავაძეც სწორედ ასე აყენებდა საკითხს ქართველი ბავშვისაგან მშობლიური და უცხო ენის შესწავლის თაობაზე. იხ. „ივერია" „შინაური მიმოხილვა", 1881 წ., №2 იგივე — თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, გვ. 358 და შემდეგ.

წაუკითხავთ თავის ხელობის შესახებ"[1]. ბოსლეველი აყენებდა წინადადებას სახალხო მასწავლებელთა მოსამზადებელი სპეციალური სასწავლებლის დაარსების შესახებ. მოუმზადებელ მასწავლებელთა შეშვება სკოლაში მას მიაჩნდა მშვენიერი საქმის დამარხვად. იგი აკრიტიკებდა მთავრობის განკარგულებას, რომელიც სკოლების დაარსებას გულისხმობდა, აშენებდა კიდეც სასკოლო შენობებს, მაგრამ სკოლები უმასწავლებლოდ იყო. ბრძანება ფორმალურად სრულდებოდა. ოღონდ საქმე უშინაარსო იყო.

ბოსლეველის დროს ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი იყო ქალთა განათლების საქმე. ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ XIX საუკუნეში უკვდავი სახეები შექმნა ქართველი დედისა, ყველასათვის სანიმუშოდ დახატული. ილია ჭავჭავაძემ მხატვრულ თხზულებებში და პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებში დაახასიათა ქართველი ქალის როლი სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლის აღზრდის საქმეში. ქართველი ქალის ხელში იყო საუკუნეების მანძილზე წერაკითხვის საქმე და წიგნი, იგი იყო საფუძველი ოჯახისა, აღმზრდელი მოქალაქისა. მას შემდეგ, რაც

ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ,

ქართველ მოღვაწეთა წინაშე ყოველთვის აღიმართებოდა ქალთა სწავლა-აღზრდა-განათლების საკითხი. იაკობ გოგებაშვილი ხშირად გულმოკლული წერდა ქალების განათლების არაკეთილსასურველ მდგომარეობაზე. „ვინ არ ხედავს ნამდვილის მწუხარებით, რომ ჩვენი სასწავლებლები თითქო განძრახ ყოველს ღონისძიებას ხმარობენ იმ მიზნისათვის, რათა თავისი მოწაფენი დააშორონ სამშობლო მხარეს, სამშობლო საზოგადოებას, გადააბირონ, დაამახინჯონ და გახადონ თავისი ქვეყნის გამოუსადეგარ წევრებად[2]". იმის მაგიერ, რომ სპეციალურ სასწავლებლებში აღზრდილიყვნენ ოჯახის გონიერი დედები, საზოგადო მოღვაწეები, მათ მაგიერ იზრდებიან „დამახინჯებული რუსინკები".

---

[1] „სვირი, 10 მარტს 1874 წ.," ნაწერები, გვ. 285.

[2] „თელავისა და თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებლები", თხზულებანი, 1, გვ. 268.

(ი. გოგებაშვილის გამოთქმაა — ს. ხ.), თავისას დაშორებულნი და სხვისაც ვერ მიმწვდომნი. ილია ჭავჭავაძემ ქალთა განათლების საქმეს წერილების მთელი წყება მიუძღვნა სხვადასხვა დროს. ამ წერილთა მთავარი აზრი იყო აღზრდა დედისა, მეუღლისა, ოჯახის საფუძვლისა, რომელმაც ქვეყანას მოქალაქეები უნდა აღუზარდოს[1]. აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა პუბლიცისტურ წერილებში, ისე როგორც 80-იანი წლების ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, ბევრია ლაპარაკი ქალების სკოლებზე, ქალთა სასწავლებლებში გაბეფებულ უმსგავს აღზრდაზე და სხვ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამომუშავებული აზრი არსებობდა ქალთა განათლებაზე. რომელსაც ბოსლეველიც იზიარებდა. ბოსლეველი ქალთა სასწავლებლის მასწავლებლად მსახურობდა ერთი ხანობა, ვიდრე მოსკოვს გაემგზავრებოდა. რუსეთს გამგზავრების წინ იგი თავის მოწაფეებს გამომშვიდობებია და სიტყვით მიუმართავს 1880 წლის 6 ივნისს. ამ სიტყვაში აქვს მას განმარტებული ქალთა განათლების მნიშვნელობა. მიმართვაში მას უთქვამს, რომ სწავლა-განათლება არაა ისეთი სამკაული, რომელიც გარეთ გამოსაფენად და თვალის მისაზიდად შეიძლება გამოდგეს. ადამიანის, საზოგადოების ბედნიერება თან სდევს ქალების სწავლა-განათლებას. ქალების ხელთ არის ოჯახის ბედი და უბედობა, შვილების აღზრდა. დედის, ქალის დანიშნულება და როლი უსაზღვროდ დიდია ოჯახში და მას რომ შეეძლოს მძიმე დანიშნულება აღასრულოს, საჭიროა სწავლა. იგი ხაზს უსვამდა ქალთა თვითგანვითარების მნიშვნელობას, უპირატესობასაც აძლევდა მას, რადგან იცოდა სასწავლებლის ხასიათი და მათში გამეფებული წესები. მოქალაქის აღზრდა ბოსლეველს ისევე მნიშვნელოვან და გადაუდებელ მოვალეობად მიაჩნდა, როგორც მისი დროის დიდ ქართველ მოღვაწეებს.

[1] იხ. ჭავჭავაძე 1881 წლის სექტემბრის „ივერიის“ „შინაურ მიმოხილვაში“ წერდა: „ნურავინ ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი დაი, ქართველი დედაკაცი. თუ სკოლა ამას არ იქმს, ის სკოლა წყალსაც წაუღია... გეყოო, რაც ჩვენმა საქალებო სკოლებმა ვნება მოგვიტანეს. (ქალს) ჩვენი აღარა გაეგება რა და ჩვენ იმისი. ამის გამო დაირღვა ჩვენი ოჯახობა, გაწყდა ურთიერთობის კავშირი, ოჯახი თავზედ ჩამოგვექცა და ჩვენც გავწყალდით და მიწასთან გავსწორდით... მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი.“ იხ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, გვ. 117.

ბოსლეველი თავის ეპოქას უპასუხებდა, როცა ქალთა უფლებებისა და მამაკაცის უფლებებთან გათანასწორებაზე მსჯელობდა.

დავით ერისთავის „სამშობლოს“ შესახებ დაწერილ შენიშვნაში ბოსლეველი ქეთევანის ხასიათზე მსჯელობდა. იქ გამოთქვა აზრი, რომ ქალი ოჯახის, ქმრის მონადაა გადაქცეული, მის ინდივიდუალობას ანგარიში არ ეწევა, არა აქვს მას თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ამიტომ მასში მეტადაა გაღვივებული egoისტური თვისებები, რის გამოც იგი დიადი საქმის დამაბრკოლებლად ხდება. ბოსლეველმა ქეთევანის მხატვრული სახე განზოგადებისათვის გამოიყენა და გამოთქვა აზრი ქალთა უფლებებისა და გათავისუფლების შესახებ. ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში ისეთია, რომ მას მხოლოდ ცალმხრივ აქვს განახვილებული გრძნობები, მასში არაა ჩანერგილი მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი ინტერესი, იგი მხოლოდ საკუთარი, პირადი განცდით ზომავს ყველაფერს და სახალხო საქმესაც სიამოვნებით გასწირავს თავისი აფორიაქებული განცდებისათვის. სულ სხვაგვარი იქნებოდა ქალი-ქეთევანი, თუ მას განუვითარებდნენ საზოგადოებრივ მისწრაფებებს, იგი მაშინ მოახერხებდა შეეთავსებინა პირადული და საერთო მოვალეობა ოჯახისა, ქმრისა და სახალხო საქმის წინაშე და „არა თუ სამშობლოს უღალატებს, არამედ გვერდში ამოუდგება თავის სატრფოს, ვეფხვივით იბრძოლებს მასთან ერთად უკანასკნელს სისხლის წვეთამდე...[1].

egoისტური გრძნობების განვითარება ადამიანში არის უმართებულო აღზრდის შედეგი. ქალის ცხოვრების პირობები, რომელნიც არაფრით განსხვავდებიან ბატონყმური წესებისაგან, დესპოტიზმისაგან და სხვა, სპობს მოქალაქეობასა და საზოგადოებრივ ინტერესს ქალში. ქალთა განათლება სერიოზული დაფიქრების ღირსად მიაჩნდა პუბლიცისტს[2],

---

[1] „თეატრალური შენიშვნა“. ნაწერები, გვ. 245.

[2] ქალთა აღზრდა-განათლებას შეეხო ნიკო ნიკოლაძე თავის მხატვრულ თხზულებაში «Провинциальные картины» («Современник», 1864 г., № 8.) ნ. ნიკოლაძეს თბილისური ცხოვრება აქვს ნაწარმოებში აღწერილი; მასში გამოყვანილია ელენე ლეკიშვილის ასული, რომელიც ქალთა სასწავლებლის რეჟიმისა და მაშინდელი ფუქსავატი საზოგადოების წყალობით გარყვნილების გზას დასდგომია და ოჯახური ცხოვრება ქმრისათვის ჯოჯოხეთად უქცევია.

ბოსლეველს რამდენიმე მოსაზრება აქვს გამოთქმული ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოთა შესახებ, რომელნიც მაშინ სასწავლებლებში იყო დაშვებული. ერთ-ერთი სახელმძღვანელო, რომელზედაც მან სერიოზული ყურადღება შეაჩერა, იყო რაფიელ ერისთავისაგან გამოცემული ქართული გრამატიკის მოკლე სქემა. ბოსლეველმა, უნდა ითქვას, სერიოზული ცოდნა გამოიჩინა გრამატიკის წესებისა. მან რაფიელ ერისთავის გრამატიკული ნაშრომი სრულიად შეუფერებლად და გამოუყენებლად მიიჩნია როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთათვის.

ილია ჭავჭავაძესა და სერგეი მესხს ბოსლეველი გრამატიკის სქემის შეფასების გაგზავნისას „დროებაში“, შემდეგსა სწერდა: „შეიძლება ბრძანოთ — „მოკლე სქემა და ამ სიგრძეზე რეცენზია ვის გაუგონიაო“. ამაზედ მოგახსენებთ, რომ ეს „მოკლე სქემა მთელს ღრამატიკას შეიცავს და უმოკლესი რეცენზია დამეწერა, ვერ მოვახერხე... აქ საგანზედ ლაპარაკი... უმნიშვნელო არ არის, განსაკუთრებით ახლა, როდესაც არა ერთი და ორი აპირებს ღრამატიკის შედგენას და თქვენი მტერი, თუ მათაც ანტონისა და პლატონ იოსელიანის ღრამატიკებიდან გადმოსწერეს, როგორც ეს უნებებია თ. რ. ერისთავს“[1]. შემდეგ განაგრძობს: „სინტაქსის მოკლე სქემად მინდოდა გამომეგზავნა, რომელიც უფრო საჭიროა დღეს, ვიდრე ეტიმოლოღიის სქემა, რადგან ის ჩვენგან ცნობილს ღრამატიკაში არ მოიძებნება, რის გამოც, მე თვითონ ვიცი, ბევრი ვერ ახერხებს ქართულად ახსნას და რუსულ ნარევი ქართულით ასწავლის მოწაფეებს“[2].

ბოსლეველის დასკვნით გრამატიკა ენის თანამედროვე მდგომარეობის მასალაზე უნდა იყოს აგებული, ერისთვისეული „სქემა“ კი ქართული ენის თანამედროვე ეტაპს არ შეესაბამება, იგი მხოლოდ გამეორება არის XVIII საუკუნის ანტონისეული გრამატიკისა და იმის საფუძველზე შექმნილი პლატონ იოსელიანისეული წიგნისა. ბოსლეველი ამჩნევდა, რომ რაფიელ ერისთავის გრამატიკული აზროვნება არ იყო ორიგინალური და რომ „სქემაში“ წამოყენებული კატეგორიები ეწულისხმობდა იმის აღდგენას, რაც 60-იანი წლების მოღვაწეთა მე-

---

[1] იხ. „ნაწერები“, გვ. 409.

[2] იქვე.

შეეობით, ქართულ სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციით, მოცილებული იყო უკვე. ბოსლეველს 80-იან წლებში საკმაოდ შეუფერებლად მიაჩნდა საზოგადოებრივი ცხოვრების გართულებით გამდიდრებული ცოცხალი ქართულის იმ „სქემის“ ფარგლებში მოქცევა, რასაც რაფიელ ერისთავი სთავაზობდა ქართველ მოსწავლეებს თავისი ძველი ყაიდის გრამატიკაზე აგებული სახელმძღვანელოთი.

ბოსლეველის წერილი „ქართული გრამატიკის სქემაზე“ დაიბეჭდა „დროებაში“ (1880 წ. № 109 და 111). რაფ. ერისთავმა ბოსლეველს მაშინვე იმავე გაზეთში გასცა პასუხი (№ 138, 140, 141), რომელშიც პოეტი, გრამატიკის სქემის გამომცემელი, წერდა: „სამდივნო მწერლობას სხვა კილო უნდა ჰქონდეს. საღმრთო წერილის საგანს— სხვა, რომანს — სხვა, მოკითხვის ბარათს — სხვა და სხვანი. აგრეთვე მდაბალი ხალხის ლაპარაკის გამოხატვას ის კილო უნდა ახლდეს, რაც მათ მუსაიფს შეჰშვენის, საქართველოს სხვადასხვა კუთხის და მხრის მცხოვრებთაც სხვადასხვა ენის მიმოხვრა აქვთ და სხვადასხვა რიგის სიტყვების გამოთქმა; ამაებს მწერალი ვერ უღალატებს, თუ ჰსურს, რომ ცხოველად გამოხატოს იმათი ლაპარაკი და იმათ ვერ მიუთვისებს იმეთს სიტყვებს, რომელთა ხმარებას ისინი ჯერ არ შესჩვეოდნენ... ევმენედლიძეს კი ჰსურს, რომ ძველს ენას სულ თავი დაანებოს და ახალი კი ჯერ ვერა დაუნერგავს-რა... არ უნდა დაიკარგოს არც უბა უბე, ჩვენ არ გვაქვს უფლება ეს ასოები გამოვაცალოთ ქართულ ენას და გრამატიკას... ძველებური სიტყვები იმისთვის გეჩოთირებათ, რომ არ გისწავლიათ, არ იცით, თორემ ძველებურს თქვენთვის არა დაუშავებია რა და არც აგრე მძიმე სიტყვები არიან ისინი...“

რაფ. ერისთავის მოსაზრებანი საკმაოდ მოძველებული იყო იმ დროს.

მეორე სახელმძღვანელო, რომელიც განიხილა ბოსლეველმა და თეორიულ-პრაქტიკული აზრიც გამოთქვა, იყო გიორგი დიდებულიძისაგან რუსულიდან თარგმნილი სამღვთო სჯულის სახელმძღვანელო —„დაწყებითი სწავლა...“ რომელიც მოკლე ხნის განმავლობაში ორჯერ გამოიცა — 1879 და 1880 წლებში. ბოსლეველმა ორივე გამოცემა განიხილა და საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა, კერძოდ, ამ თარგმნილ წიგნზე და საერთოდ სახელმძღვანელოებზე.

სახელმძღვანელოების და, განსაკუთრებით კი პირველდაწყებითი სკოლების სახელმძღვანელოების ღირსება იმაში გამოიხატება, რომ

წიგნი წამახალისებელი და მიმზიდველი უნდა იყოს და არა მშრალი დებულებებით აღსავსე. სახელმძღვანელოს სიმშრალე შეიძლება იყოს შედეგი ცხოვრებისეული მოვლენების რამდენიმე სიტყვით, სქემატურად, უსიცოცხლოდ გადმოცემისა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოების შემდგენელნი ყველაფერზე ლაპარაკობენ და საფუძლიანად კი არაფერზე. სქემატური სახელმძღვანელო მომხმარებელს უკარგავს წიგნისა და სწავლისადმი ინტერესს და მოსწავლეებში აძლიერებს ზეპირად დასწავლის ჩვევას. წიგნი მოსწავლეს გასაგები ენით უნდა აწვდიდეს ძირითად ცნებებს სამყაროზე, იმ საგნებზე, რომელთა შორისაც მოსწავლე არის მოქცეული.

სახელმძღვანელოს აგების ძირითად პრინციპად მას მისი მიმზიდველობა მიაჩნდა. როცა სახელმძღვანელო საკითხავ წიგნსა ჰგავს, დაკურსულია საინტერესო ამბებით და ყმაწვილისათვის გასაგები ენითაა დაწერილი, მაშინ იგი უფრო აღწევს მიზანს. საგანთა და მოვლენათა ჩამოთვლა სასარგებლო არ არის, პირიქით, საჭიროა დაწვრილებით აღწერა, გამოყოფა ამა თუ იმ მოვლენის მთავარი ნიშნებისა, ტიპიურის გამოჩენა თითოეული საგნის თუ მოვლენის არსიდან. ბავშვის გონება არ უნდა მიეჩვიოს ზერელე მსჯელობას, მან უნდა თავიდანვე ისწავლოს ფაქტის თუ საგნის ძირითადი ნიშნების გამოყოფა. მათზე მსჯელობა ხელს უწყობს გონების ამოქმედებასა და მსჯელობის უნარის გამომუშავებას, რაც ენასაც უვარჯიშებს მოსწავლეს. ისტორიული ფაქტები სახელმძღვანელოში იმ ზომით უნდა იქნეს მიცემული, რამდენადაც მათ მოსწავლის გონება დასძლევს. სახელმძღვანელოთა შემდგენელებს ჰასაკობრივი პრინციპი უნდა ახელმძღვანელებდეთ და ამის მიხედვით ანაწილებდნენ სასწავლო მასალას. პირველ წლებში მასწავლებელმა ზეპირი მეტყველებით, საილუსტრაციო მასალის გამოყენებით უნდა განუვითაროს მოზარდს დაკვირვების, მსჯელობის უნარი, გამოუმუშაოს მეხსიერება, აზრის კონცენტრაციის უნარი, გამოთქმის ხერხები. ერთი უნდა იყოს პრინციპი ანბანის წიგნის აგებისა, ხოლო მეორე — ანბანის შემდეგ საკითხავი თუ გარკვეული დარგის შესახებ ცნებებისა და ცნობის მომცემი წიგნისა.

ყველა ეს მოსაზრება მას დადასტურებული აქვს გ. დიდებულიძის მიერ თარგმნილი სახელმძღვანელოს ანალიზით. ამ თარგმნილი სახელმძღვანელოს განხილვით ბოსლეველმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მთარგმნელს არ უხელმძღვანელია პედაგოგიკური პრინციპებით, იგი უცო-

დინარი ყოფილა ქართული ენის სინატიფისა. „დიდებულიძის ენა წამხდარი ქართულია, რომელსაც არასდროს მწიგნობრობაში ადგილი არ ჰქონია და არც ექნება; დიდებულიძეს უბრალო, ელემენტარული (ოდნაც არა აქვს ქართული ღრამატიკისა, ჩვენი ენის კონსტრუქციისა, სიტყვების შეწყობის იმას არა გაეგება რა...“[1]. ამასთან, გ. დიდებულიძის სახელმძღვანელო მოსწავლე მოზარდს ჯანსაღ თვისებებს არ უნერგავს, პირიქით, აჩვევს ჯაშუშობას, ენის მიტანასო, — ასკვნიდა ბოსლეველი.

გ. დიდებულიძის სახელმძღვანელო, უმაღლესი მთავრობის საერო და სასულიერო ინსტანციებისაგან დამტკიცებული, მეტად გავრცელებული იყო. სწორედ ამიტომ გაილაშქრა ბოსლეველმა ესოდენ მძაფრად ამ წიგნის წინააღმდეგ, რადგან იგი სიკეთის მაგიერ ზიანს აყენებდა სწავლა-განათლების საქმეს.

სახალხო განათლების შესახებ გამოთქმული ბოსლეველის მოსაზრებები ორგანულ კავშირში იმყოფებოდა მის საერთო შეხედულებებთან. ეროვნული საქმიანობისათვის მოღვაწე პუბლიცისტი, დემოკრატიული თვალსაზრისით აფასებდა ყოველ მოვლენას, იგი თავისი მახვილი და მკვეთრი სიტყვით გვერდში ედგა დიდ მამულიშვილებს და მათთან ერთად თავგამოდებული იბრძოდა ქართველი ხალხის სასიკეთოდ სწავლა-აღზრდისა და განათლების სარბიელზეც.

IV

ბოსლეველის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში არის რამდენიმე პოლემიკური ხასიათის თხზულება. პუბლიცისტი პოლემიკას აწარმოებდა თავის თანამედროვეებთან იმ მნიშვნელოვანი პრობლემების ახსნა-განმარტებისათვის, რომელნიც მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ჩარჩოებიდან არ გამოდიოდნენ, მაგრამ რომელთაც დადგენა და გადაწყვეტა ესაჭიროებოდათ. ბოსლეველის ამ ხასიათის თხზულებები მიმართულია ქართველი ხალხოსნების ჟურნალის „იმედის“ ზოგიერთი წამყვანი თანამშრომლის წინააღმდეგ. საკამათო საგნად ბოსლეველს პრინციპული ხასიათის პრობლემები აქვს არჩეული,

---

[1] „დაწყებითი სწავლა...“ „დროება“, 1880, №. 263.

ჭოლო კამათი გარკვეულად აჩვენებდა იმ შეგნებასა და განწყობილებას, რაც მოკამათე მხარეებს გააჩნდათ.

„იმედის" ძთავარმა თანამშრომელმა და თეორეტიკოსმა სტეფანე ჭრელაშვილმა 1882 წელს გამოაქვეყნა საკმაოდ მოზრდილი წერილი — „დამტვრეული ოცნებანი"[1], რომელშიც მოცემული იყო საზოგადოებრივი ცხოვრების მიმოხილვა და იმ დროისათვის ზოგიერთ აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა.

სტ. ჭრელაშვილმა თავის წერილში პატრიოტული გრძნობა, „მამულიშვილობა" საყოველთაო გრძნობად აღიარა და წერდა, რომ ის მოღვაწენი. რომელნიც ამ გრძნობის გამოკვლევას, მტკიცებას და გაძლიერებას შეუწყეს ხელი, სრულიადაც არ არიან ღირსნი იმისა, რომ განსაკუთრებულ კვარცხლბეკებზე იდგნენ. ეს გრძნობა თან დაჰყვება თითოეულ ადამიანს და ამდენად განსაკუთრებული რამ ღონისძიება მის გასაძლიერებლად არც ერთ მოღვაწეს არ უხმარიაო. მისი აზრით ქართული მწერლობა „იქამდის უსუსურია, რომ ჯერ თითონაც არა აქვს გამოკვლეული ელემენტური საანბანო პრინციპები საზოგადოების ორგანიზმის ცხოვრებაზე და კერძო პიროვნების დანიშნულებაზედ ამ ცხოვრებაში" და გამოჰქონდა დასკვნა, რომ ასეთი მწერლობა უთავბოლოა, ბავშვივით უმწეო და, მაშასადამე, არც რაიმე მნიშვნელობის მქონე საზოგადოების განვითარებაში.

სტ. ჭრელაშვილი „დამტვრეული ოცნებებში" ამტკიცებდა, რომ საზოგადო წარმატება, პროგრესი შემთხვევითი მოვლენაა, რომ არავითარი კანონზომიერება არ არსებობს ცხოვრებაში და ყველაფერი შემთხვევაზეა დამოკიდებული რამაც ესა თუ ის მოვლენა, ესა თუ ის პიროვნება შეიძლება ზეასწიოს, მისი სახელი და მოქმედება უკვდავად აქციოს, როგორც ეს მოცემულია დავით ერისთავის „სამშობლოში", სადაც სრულიად შეუმჩნეველმა და პატარა პიროვნებამ—გოგია დიაკვანმა, შემთხვევის წყალობით მოიპოვა გადამწყვეტი მნიშვნელობა ხალხისა და სამშობლოს ბედში და ამით იგი უკვდავად იქცაო. ქართული მწერლობაც, სტ. ჭრელაშვილის აზრით, მხოლოდ შემთხვევის შედეგი იყო. ყველა ქართველი მწერალიც შემთხვევის შედეგად ქმნილა მწერლად და შემთხვევით მოუკიდია ხელი კალმისათვის. მართალია მწერლობაში, ცხადია, სტ. ჭრელაშვილს ქართული

[1] „იმედი," 1882წ, № 3.

მწერლობა ჰქონდა მხედველობაში, შეიძლება ნიჭიერი ადამიანის, ნიჭიერი შემოქმედების შეხვედრა, მაგრამ, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების გზა გაურკვეველია და უვალი, რადგან არ არსებობს რაიმე ინტერესი და მიდრეკილება, ამიტომ ეს მწერლები ჰკარგავენ ნიჭიერებას და იმეორებენ მხოლოდ ცხოვრების მიცემულს, ვეღარ ჰქმნიან ამ ცხოვრების საწინააღმდეგო ინტერესებს და მიმართულებას აჭისთანა „მწერლები იდრეკენ მუხლს ცხოვრების სიდარდაკის წინა და იწყებენ სიმღერას უნისონათ[1]".

სტ. ჩრელაშვილს სანიმუშოდ დასახელებული ჰყავდა ილია ჭავჭავაძე, როგორც ისეთი მწერალი, რომელიც შემთხვევით მოხვდა იმ ნიჭიერ ახალგაზრდათა წუყებაში, რომელთაც გონება ჰუმანური და სოციალისტური ნაწერებით გაიღვივეს, რომელიც სრულიად შემთხვევით გაეცნენ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მოძღვრებას. სრულიად შემთხვევით მოხვდა მათი ანარეკლი სხივი ილია ჭავჭავაძეს, რის გამოც ილია ჭავჭავაძე შეიქმნა უპირველესი ადამიანი ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „მოსწავლეთ და ნასწავლთ ამოედგათ ენა, დიდი და პატარა ლაპარაკობდა ჭავჭავაძეზე და ჭავჭავაძეობა ენატრებოდა. ყოველი ცოცხალი ქართველის გული ცადაება დაურღეველი სიმპატიით უ. ჭავჭავაძის გულთან"[2]. მაგრამ, ილია ჭავჭავაძეს, შემთხვევით განდიდებულსა და ამაღლებულს, აღარ ეყო საკუთარი საფანელი, ქართულმა საზოგადოებამ დაკარგა ილია ჭავჭავაძე, რადგან იგი მხოლოდ დაკარგულ „დიდებას" და გაზვიადებულ „მამულს" შესტრფოდა, დაიწყო „ჩხირკედელობა" და ამაში უპირველესი ადგილი დაიჭირა ენამ. ილია ჭავჭავაძემაო, — განაგრძობდა სტ. ჩრელაშვილი, — მხოლოდ წვრიმალი საკითხების კვლევით შემოიფარგლა თავისი აზროვნება, „ამ ვიწრო, ერთი ნამცეცა წრეში მოთავსდა მთელი ტეორეტიკული მხარე უ. ჭავჭავაძის მოსაზრებისა"[2].

სტ. ჩრელაშვილი ილია ჭავჭავაძეს მიიჩნევდა ისეთ მწერლად, რომელიც 80-იან წლებში გადაუდგა თავის პირვანდელ გზას, რომელსაც ერთხელ სწორად გაგებული სოციალური ბოროტების — ბატონ-

---

[1] „დამტვრეული ოცნებანი", „იმედი", 1882., № 3.

[2] იქვე.

ყმობის არსი დავიწყებია, თავისი დაუვიწყარი სახელი ვაუქარწყლებია, დაუნგრევია და შესდგომია ყმისა და ბატონის დაძმობილებას, ძავადისა და გლეხის დამეგობრებას.

ილია ჭავჭავაძის აზრებისა და შეხედულებების ასეთი ცვლილების მიზეზად სტ. ჭრელაშვილი ასახელებდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნებასა და ქართული მწერლობის უმტკიცობას, რომ ქართული მწერლობა ცხოვრების უმთავრეს მოთხოვნილებებს ვერ ჩასწვდა, ვერ გამოარკვია მისთვის სამსახურის საშუალებები და გზები. ქართულმა მწერლობამ ვერ შეიმუშავა და ვერ დაამტკიცა „სამშობლოს“ თეორიული მხარე, ვერ გამოიმუშავა „სამშობლოს“ ცნება, არ იცის მისი არსი და ამიტომაც არ იცის რას ემსახუროს და როგორ გაწეხატოს ეს სამსახური. სტ. ჭრელაშვილი სრულიად არარად თვლიდა ქართული მწერლობის როლს საზოგადოებრივი აზრის განვითარების საქმეში და აღნიშნავდა, რომ მწერლობას არავისზედ არ უმოქმედია, მას არ ჰქონია არც შემეცნებითი და არც აღმზრდელობითი როლი და სრულიად ამაო ყოფილა მისი ადგილი ხალხის ცხოვრებაში. პირიქით, ქართველმა საზოგადოებამ, ლიტერატურის გარეშე თვით ცხიაღწია ეროვნული აღზრდის წადილამდე და მწერლობამაც მხოლოდ ძალიან სუსტი, ჭლექიანი ბანი მისცა ხალხის მიერ მიღწეულ ეროვნულ აღზრდის წადილს.

ასეთ ნიღილისტური შეხედულება გამოამჟღავნა ქართული მწერლობის მიმართ სტ. ჭრელაშვილმა „დამტვრეულ ოცნებებში“, რასაც ბოსლეველი „შრომაში“ დაბეჭდილი წერილით გამოეხმაურა.

ბოსლეველი სტ. ჭრელაშვილს, უპირველეს ყოვლისა, უკიჟინებდა შემთხვევითობისა და აუცილებლობის საკითხების გაუგებრობას. ბოსლეველს სრულიად გარკვეულად ესმოდა ცხოვრების განვითარება და მისი კანონები. ცხოვრებაში მომხდარი არც ერთი ფაქტი მას არ მიაჩნდა შემთხვევით, უსაფუძვლო მოვლენად, რომელიც სხვა ფაქტებთან და საერთოდ საზოგადოების ცხოვრებასთან კანონზომიერებით არ კავშირდებოდეს. გოგია დიაკვნის მოქმედება, დ. ერისთავის პიესის მიხედვით, მან შეაფასა არა შემთხვევით ამბად, არამედ, ამ პიროვნებისაგან იმ იდეის კანონზომიერ გამოხატულებად, რაც პიესას საფუძვლად ედვა საერთოდ. ბოსლეველი უკიჟინებდა სტ. ჭრელაშვილს იმას, რომ იგი ისტორიული მოვლენების არსის უცოდინარო-

ბას ამჟღავნებდა, ვერ ერკვეოდა ცხოვრების ობიექტურ კანონზომიერებაში.

ბოსლეველი არ ეთანხმებოდა სტ. ჭრელაშვილს იმაშიც, ვითომც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი შემთხვევით მოხვდნენ რუსეთში სწორედ მაშინ, როცა იქაურ ინტელიგენციაში გავრცელებული იყო ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მოწინავე აზრები. არა, ილია ჭავჭავაძისა და საერთოდ ქართველი ახალგაზრდობის ლტოლვა რუსეთისაკენ იყო კანონზომიერი შედეგი იმ მდგომარეობისა, რომელშიც საქართველო მოექცა XIX საუკუნის დასაწყისიდანვე. ქართველი ახალგაზრდობა რუსეთში წავიდა იმიტომ, რომ ასე მიემართებოდა საქართველოს ცხოვრება აღნიშნულ საუკუნეში, ხოლო საქართველოში XIX საუკუნიდან შექმნილი ახალი ვითარება იყო ისტორიული ცხოვრების შედეგი, შედეგი იმ პოლიტიკური ამბებისა, რაც საქართველოში ხდებოდა მისი ისტორიული არსებობის მანძილზე.

რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულება გამოურკვეველი ბილიკებით კი არ მოძრაობდა, არამედ იგი იყო გარკვეული, კანონიერი შედეგი საქართველოსი და რუსეთის ისტორიული ვითარებისა. „თავის მხრით იგი იყო მთელის წარსულის ცხოვრების შედეგი“ — ასკვნიდა ბოსლეველი. თუ ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს გარკვეული ადგილი უჭირავთ ცხოვრებაში, თუ ისინი დაუკავშირდნენ ხალხის ინტერესს და მათი შემოქმედებაც ხალხურია, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს შემოქმედება არაა შემთხვევით გამოწვეული, არამედ მოწოდებისა და დროის მოთხოვნილებების შედეგია. ბოსლეველისათვის ცხადი იყო, რომ თითოეული ფაქტი შედეგია მოვლენათა შორის არსებული ურთიერთ კავშირისა და ურთიერთმოქმედებისა, რომ აუცილებლობა და არა შემთხვევითობა ობიექტურად არსებობს ადამიანთა სურვილისა და შეგნების გარეშე, რომ ისტორიულ პროცესში, განვითარების ძალის მიხედვით, ერთი ცვლის მეორეს. ბოსლეველი უარყოფდა მეტაფიზიკურ გაგებას, რომელმაც გაათანაბრა და გააერთიანა შემთხვევითობა და აუცილებლობა, გააშიშვლა აუცილებლობა და დაიყვანა შემთხვევითობამდე.

ბოსლეველს სწამდა, რომ ცხოვრების რთულ აღნაგობაში მოვლენებს შორის ურთიერთკავშირი ცხოვლად არსებობს და, რომ არც გოგია დიაკვანი იყო შემთხვევითი მოვლენა და არც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რომელნიც, როგორც ითქვა, ბოსლეველის მიერ აღ-

ნარებულნი არიან საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერების გამოხატულებად.

სტ. ჭრელაშვილის აზროვნებაში, ცხადია, ჭარბად იყო ხალხოსნური შეხედულებები და მის მიერ განვითარებული მსჯელობა შემთხვევითობაზე შედეგია მისი მსოფლმხედველობისა, რომელსაც ასე დაუპირისპირდა ბოსლეველი თავისი საპოლემიკო წერილით „საუბარი ჟურნალს „იმედზედ“[1].

სტ. ჭრელაშვილმა ბოსლეველის წერილს უპასუხა „იმედში“ დაბეჭდილი სტატიით „კინტოობა შრომაში“[2]. ეს პასუხი გამეორება და საზგასმაა „დამტვრეულ ოცნებებში“ წამოყენებული თეზისებისა და ზოგიერთ შემთხვევაში განმარტება უკვე ნათქვამისა. ჩემი აზრი იყოო ის, — წერდა სტ. ჭრელაშვილი,— რომ მწერლობას ძირითად ყურადღება მიექცია ქართველი ხალხის ცხოვრების მიმდინარეობისათვის, გაეგო მისი ვაგლახი, გამოეძიებინა, აეხსნა და ამით გაეზარდა საზოგადოებრივი შეგნებაო. სტ. ჭრელაშვილი ხალხის ეკონომიური და იურიდიული უფლებების გამორკვევაში ხედავდა პატრიოტიზმს და არა პოლიტიკურ თავისუფლებისთვის ბრძოლაში. ჯერ ის უფლებები უნდა ყოფილიყო მოპოვებული და შემდეგ ენის და ჩვეულებების და მათთან დაკავშირებული ყოველი საკითხი თავისთავად მოგვარდებაო.

იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ შემთხვევითს დიდი მნიშვნელობა აქვს, სტ. ჭრელაშვილმა მიმართა ნიუტონისაგან მიზიდულობის კანონის აღმოჩენასა და გოეთეს მიერ ცხვრის თავის კენჩხისათვის ყურადღების მიქცევას, რომ გარკვეული კანონზომიერებანი მსოფლიო მიზიდულობის კათონში და ანატომიაში შემთხვევით აღმოჩნდაო.

სრულიად გარკვეულად სტ. ჭრელაშვილს არ უნდოდა უკან დაეხია იმ შეხედულებებისგან რაც მას, ხალხოსან-თეორეტიკოსს, გამომუშავებული ჰქონდა.

პასუხს პასუხი მოჰყვა და ბოსლეველმა კვლავ დაბეჭდა წერილი „შრომაში“.

---

[1] ნაწერები, გვ. 265.

[2] „იმედი,“ 1882 წ., მაისი.

ავტორი აღრმავებდა ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს. ამ წერილში ბოსლეველი წერდა ბუნების ობიექტური კანონების არსებობის შესახებ, რომ ისინი ადამიანის შეგნების გარეშე მოქმედებენ და სრულიად კანონზომიერნი არიან, ოღონდ ადამიანს ყველა შეგნებული არა აქვს. ცივილიზაციის როლი მდგომარეობს იმაში, რომ ეს კანონები შეცნობილ იქნენ. ბოსლეველი განმარტავდა, რომ ნიუტონს ვაშლის ჩამოვარდნით არ მოუგონია მიზიდულობის კანონი, მან მხოლოდ მათემატიკურად დაამტკიცა მანამდე არსებული. არც ქართველი გლეხობის ბედი იყო შემთხვევითისა და მოულოდნელის შედეგი. არამედ კანონზომიერი შედეგი მისი ცხოვრების საერთო პირობებისა. საზოგადოება, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან დაყოფილი იყო სხვადასხვა სოციალურ ფენებად და წოდებებად. ილია ჭავჭავაძე, რომ პეტერბურგს გაემგზავრა, იყო შედეგი წოდებებად დაყოფისა, რამაც მას საშუალება შეუქმნა რუსეთს გამგზავრებულიყო.

ბოსლეველი ბუნების შეცნობის მატერიალისტურ საფუძვლებზე იდგა, როცა იგი ბუნების ძალების ადამიანის მიერ შეცნობაზე ლაპარაკობდა. მისი მართებული დასკვნით ადამიანი მანამ ვერ გამოვიდა ბუნების მორჩილებიდან და ბუნების ძალებზე ღვთაებრიობის წარმოდგენიდან, ვიდრე არ შეისწავლა ბუნება და არ დარწმუნდა, რომ ბუნებას თავისი კანონები გააჩნია. როცა ადამიანმა შეიგნო იგი, მხოლოდ მაშინ გახდა მბრძანებელი და გამგებელი ბუნების ძალებისა, „მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი ბუნების ძალებთან კაცს გონიერი და ნაყოფიერი ბრძოლა გაემართა და ამ ბრძოლაში გამარჯვება დარჩენოდა, როდესაც ყოველს ბუნების მოვლენას სასტიკად განსაზღვრული კანონი მოუნახა“[1]. ვიდრე ადამიანის გონება დაბალ საფეხურზე იდგა და მას ბუნების ძალები განგებად მიაჩნდა, ყველაფერი აუცილებლად შემთხვევისათვის უნდა დაებრალებინა. თუ მოვლენა, რაიმე ფაქტი შემთხვევითია, ყოვლად წარმოუდგენელია მაშინ მისი ახსნა და გაგება. ცხოვრების წარმატების გზაზე დგას ის, ვისაც შესწავლილი აქვს ბუნების კანონები და ეხერხება მისი ძალების გამოყენება. ხალხის ეკონომიური თუ პოლიტიკური გათავისუფლებაც მაშინ არის შესაძლებელი, როცა მისი ისტორიული ცხოვრება გამოირკვევა.

---

[1] „იმედი“ და მისი კრიტიკოს-პუბლიცისტები“. ნაწერები. გვ. 271.

შეისწავლება მისი კულტურისა და პროგრესის გზა, გამოკვლეული იქნება ამით წარმოშობის მიზეზი.

ბოსლეველი პრაქტიკული ვითარებიდან გამოდიოდა მაშინაც, როცა სტ. ჭრელაშვილს უსაყვედურებდა პატრიოტიზმს, როგორც თანდაყოლილი გრძნობის რწმენას, რომ ვითომც ამ გრძნობის აღზრდა და განვითარება საჭირო არ არის; მან შენიშნა აგრეთვე უსაღუძვლობა იმ აზრისა, თითქოს მშობლიური ენის წართმევა შეუძლებელი ყოფილიყოს. ბოსლეველმა თავისი პოზიცია დაიცვა და მარტივი მაგალითით დაუმტკიცა მოპაექრეს: „მიბრძანეთ, რა არის, თუ ენის წართმევა არა, როდესაც რომელსამე ხალხს მკოლაში უცხო ენაზე ეჩიჩინებიან, სასამართლოში თავის ღვიძლ ენაზედ ხმას არ აღებინებენ და ამით იძულებულყოფენ მას შეისწავლოს, როგორც უნდა იყოს, უცხო, უბირი ენა, თუნდაც ეს შესწავლა ძვირად დაუჯდეს ხალხს, თუნდაც ამით ბევრად უკან დაიწიოს „საზოგადო აზრმა“ და ხალხის გონებითმა და ზნეობითმა განვითარებამ“.

პროფ. ს. ხუნდაძემ ერთ თავის წიგნში საკმაოდ ვრცელი ციტატი ამოწერა ბოსლეველის ამ წერილიდან და დაასკვნა, რომ ბოსლეველი მანამდე ჩვენს ლიტერატურაში გამეფებული სუბიექტური სოციოლოგიის ძირითადი დებულებების წინააღმდეგ გამოდიოდა... „მან პირველმა აღიმაღლა ხმა ნაროდნიკული სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ. ამ კრიტიკის დროს ბოსლეველი ნაწილობრივ მარქსის დებულებებით სარგებლობდა...“[1]

„იმედმა“ თავისი თანამშრომლის წინააღმდეგ ბოსლეველის წერილი და ჟურნალის პოზიციის აუგად მოხსენება „ბოსლეველშჩინად“ მონათლა, ბოსლეველს «литературное самомнение»-თი დაავადება დააბრალა[2], „დროებაში“ სტ. ჭრელაშვილმა დაბეჭდა „საკვირაო მასლაათი“, რომელშიც გ. მაიაშვილის წერილზე დაწერილი ბოსლეველის „კრიტიკული მიმოხილვა“ ღეჭვად გამოაცხადა[3] — „ღეჭა, ღეჭა ეს საცოდავი, აზიზი და ფაქიზი სტატია და მაინც ვერა გვითხრა-რა“-ო.

---

[1] „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, ტ. II. გვ. 136—139.

[2] „შინაური საქმეების მაგიერ“-ისა, „იმედი“, 1883 წ., № 1.

[3] „დროება“, 1883 წ., № 116.

ბოსლეველმა ერთ უსათაურო წერილში, რომელიც იწყება სიტყვებით: „იქაება ჩვენს მკითხველებს ახსოვდეთ...“[1] სტ. ჭრელაშვილს „დროების“ პროზელიტი უწოდა ამ გაზეთში „საკვირაო მასლაათის“ დაბეჭდვისათვის და ხაზი გაუსვა ცენზურის სიავეს, რის გამოც მრავალი მისი წერილი იმ სახით ვერ მივიდა მკითხველთან, როგორც დაიწერა და ამით ისარგებლა მოწინააღმდეგე მხარემ, ამ შემთხვევაში სტ. ჭრელაშვილმა, და უსაყვედურა აზრთა ნაკლოვანება. ბოსლეველის ის აზრი, რომელიც გ. მაიაშვილის პასუხს წარმოადგენს, ცენზურისაგან მეტად ყოფილა დაზიანებული და სწორედ ის ადგილები ყოფილა ამოღებული, სადაც მარქსი, ლასალი, ჯონ სტიუარტ მილი ყოფილან მოხსენებული. ამას გულისხმობდა თვით ბოსლეველი: „ჩვენ სტატიაში (გულისხმობს „კრიტიკულ მიმოხილვას“, გ. მაიაშვილის „წერილთან“ დაკავშირებით — ს. ხ.) ვრცლად იყო ნათქვამი ამაზედ, ჩვენ გვქონდა მოყვანილი ამის შესახებ, მარქსს, ლასალის და პოლიტიკო-ეკონომოსის მილის აზრი, მაგრამ თუ ამან საზოგადოების ყურამდე ვერ მიაღწია, ჩვენი დანაშაული არ არის...

კამათი ამით არ დამთავრებულა. ჭრელაშვილმა მეორე „საკვირაო მასლაათი“ უძღვნა მას „დროებაში“ (1883 წ. № 32), მასვე გამოეხმაურა ვინმე „უჩინარი“, რომელმაც იმავე გაზეთში (№ 34) დაბეჭდა წერილი სათაურით „საკენკი“ და, ბოლოს ნიკო ხიზანაშვილის წერილი „იმედში“ (1882 წ. № 2) — „შარშანდელი კლასიკური სისულელე და სხვა რაღაცაები წლევანდელ „შრომაში“.

ბოსლეველის ამ წერილის სწორედ ამ ნაწილს ეყრდნობა პროფ. ს. ხუნდაძე, როცა თავისი „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, მეორე ტომში წერდა: „ბოსლეველი მარქსიზმის ელემენტებს გაზიარებასთან ერთად არ ერიდებოდა ლასალის, მილის და სხვათა მეცნიერული დებულებების შეთვისებას“, ბოსლეველი ეკლექტიკურ ნიადაგზე იდგა და ცდილობდა შეეერთებინა საწინააღმდეგო მეცნიერული დებულებებიო[2]. რამდენად იყო ბოსლეველი „ეკლექტიკოსი“, ცენზურის წყალობით არ ჩანს. ასახელებდა კი კონტექსტში მარქსს, ლასალსა და მილს, წერილიდან ამოშლილია. ცხადია, არავინ

---

[1] ნაწერები, გვ. 278.

[2] აღნიშნული წიგნი, გვ. (40—41).

არ ასაბუთებს, რომ ბოსლეველმა 80-იანი წლების დასაწყისში გაიზიარა, მიიღო და შეითვისა მარქსის მოძღვრება და მის მტკიცე საფუძველს დაეყრდნო, მაგრამ არცთუ იმისი საბუთები ჩანს, რომ ბოსლეველი უპრინციპო შემხამებელი ყოფილიყოს სხვადასხვა ყალიბის ფილოსოფიურ მიმართულებათა და მეცნიერულ ძიებათა.

ბოსლეველს „იმედის“ მეორე თანამშრომელთან — ნიკო ხიზანაშვილთანაც ჰქონდა გამართული პაექრობა ამ უკანასკნელის წერილის — „ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი“-ს ზოგიერთ დებულებასთან დაკავშირებით. ნიკო ხიზანაშვილი კარგი მცოდნე იყო ქართული სამართლის ისტორიისა. მას ბევრი საინტერესო გამოკვლევა ჰქონდა დაწერილი, რისთვისაც აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა თავის „ქართული სამართლის ისტორიის“ წიგნებში ნ. ხიზანაშვილი პატივით მოიხსენია[1].

ნ. ხიზანაშვილის წერილი „ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი“ „იმედში“ სტ. ჭრელაშვილის „დამტვრეულ ოცნებებთან“ ერთად დაიბეჭდა და ეხებოდა სასამართლო რეფორმების შედეგებს და ახალი სამართლისა და ქართველი გლეხობის დამოკიდებულებას. ნ. ხიზანაშვილს პირველ რიგში აინტერესებდა გლეხობის იურიდიული უფლებების საკითხი. თავის წერილში: მას ქართველი გლეხობის ცხოვრების ორი პერიოდი ჰქონდა შედარებული: სამართლისა და გლეხობის დამოკიდებულება ადრინდელ, რეფორმამდელ საქართველოში და რეფორმების შემდეგ.

ნ. ხიზანაშვილი მსჯელობდა იმაზე, რომ რეფორმა მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო და მნიშვნელოვანი ქვეყნისათვის, როცა იგი ამ ქვეყნისა და ხალხის საარსებო ინტერესებიდან გამოდის და ხალხის ცხოვრების მოთხოვნილებებს ეთანხმებაო. იგი ახალ სამართალს აკრიტიკებდა, რამდენადაც ის მოკლებული იყო „ხალხოსნობის პრინციპს“ ე. ი. დემოკრატიული პრინციპები არ გააჩნდა. ნ. ხიზანაშვილი წერდა, რომ ძველად, ისტორიულ წარსულში და ბატონყმობის დროსაც, XIX საუკუნეში, საქმის ძიება ბევრად მარტივი იყო, ვიდრე

---

[1] ნიკო ხიზანაშვილის შესახებ იხ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II, „ეთნოგრაფიული ნაწერები“, 1940 წ., პროფ. გიორგი ჩიტაიას რედაქციითა და წინასიტყვაობით.

სასამართლოს რეფორმის შემდეგაა, როცა შემოღებულია „აპელაცია“ და „კასაცია“, რაც ქართველ გლეხობას უფრო ურთულებს სამართლის ძიებას. ნ. ხიზანაშვილი უკმაყოფილო იყო თანამედროვე იურისდიქციისა, იგი მიმზიდველად წარმოადგენდა სამართლის ძიების ძველ წესებს. ძველად, მართალია, მრავალი უწესობა და უსამართლობა ხდებოდა, მაგრამ სამართალი მარტივი და პირდაპირი იყო, სადაც მოსამართლე, „ხალხის მსაჯული“, ტრადიციით შექმნილი კანონებით სარგებლობდა და ყოველთვის ცდილობდა ამ ტრადიციის პირწმინდად დაცვას, რომ ხალხისაგან სიყვარული და პატივისცემა შეენარჩუნებინაო. ძველი ადგილობრივი სამართალი სინიდისით მოქმედებდა, ახალი კი დამკვიდრებულია იურიდიულ ფორმალიზმზეო. „ჩვეულება, სინდისი, პატიოსანი სიტყვა თითქმის საუპირონი აღარ არიან. ყველგან და ყოველთვის პირველ ადგილზედ სდგას ფორმალური დამტკიცება“ — წერდა იგი.[1] ნ. ხიზანაშვილი მართალი იყო მაშინ, როცა სამართლის ძიების ბიუროკრატულ მხარეს ამხილებდა, როცა ფარდას ხდიდა მეფის ხელისუფლების კანონმდებლობას, როგორც უადამიანო სისტემის გამოხატულებას, სადაც ადამიანი უკანა პლანზე იდგა იმ ფორმალიზმში, რაც დამახასიათებელი იყო საერთოდ ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური სისტემისა. პრაქტიკულად ახალი სამართალი ნ. ხაზინაშვილს მიუღებლად მიაჩნია, რადგანაც ქართველი გლეხი ორწყალს შუა არის მოქცეული — პატიოსან სიტყვასა და სინდისის კარნახს მიჩვეული, ახლა ფარატინა ქაღალდზე ამყარებს სამართალსა და კანონსო. თეორიულის მხრითაც ახალი სამართალი საერთოდ რუსეთისათვის და კერძოდ საქართველოსათვის უცხოდ მიაჩნდა, რადგან ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს ფრანგული პროცესის გამეორებაო. ამასთან, ნ. ხიზანაშვილი ხაზს უსვამდა იმ მდგომარეობას, რომ სამართალი ქართველი გლეხისათვის უცნობ ენაზეა დაწერილი და ამდენად, სხვა ფორმალურად მიუღებელ მხარეებთან ერთად, იგი სრულიად გაუგებარია მისთვის, ვისთვისაც არის განკუთვნილიო.

1864 წლის სასამართლო რეფორმა, რომელმაც ახალი სამართალი დააწესა, სრულიადაც არ ითვალისწინებდა რუსეთის იმპერიაში

---

[1] „ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი“, „იმედი“, 1882 წ., № 1.

შემავალ ხალხთა ეროვნულ თავისებურებას. ნ. ხიზანაშვილი სრულიად მართებულად განმარტავდა სამართლის როლს ხალხის ცხოვრებაში. სამართალი უნდა იყოს ხალხის მასწავლებელი. იგი უნდა აძლიერებდეს ადამიანობას, პიროვნების ღირსების ცნობის შეგნებას, თანასწორობის პრინციპს, სამართალი უნდა სწვრთნიდეს კაცურ ღირსებას და ზნეობას უმაღლებდეს ადამიანს. თანასწორობის პრინციპს ერთ-ერთ შესანიშნავ დამსაბურებად თვლიდა პროგრესული კაცობრიობაა, მაგრამ თანამედროვე საქართველოში ამ თანასწორობის დაცვა მაშინ, როცა გლეხი დროებით ვალდებული იყო, მას შეუძლებლად მიაჩნდა. ახალ სამართალში ამ თანასწორობას მხოლოდ თეორიული მხარე რჩებოდა პრაქტიკული მომენტის გარეშე, რადგან საზოგადოებრივ საფუძველს კანონის წინაშე პრაქტიკული თანასწორობის პრინციპი არ ჰქონდა. ნ. ხიზანაშვილი აცხადებდა, რომ უკეთესი იქნებოდა, და უფრო საჭიროც, რომ სამართალი ხალხის ენაზე ყოფილიყო, ხოლო მოსამართლენი ხალხის ჩვეულების, წარსულისა და აწმყოს მცნობნი ყოფილიყვნენ. „...ხალხის ჩვეულება უფრო დიდი დედა-ბოძია, ვიდრემდინ მაღალნი პრინციპები რომლებსაც სამზღვარგარეთ ვსესხულობთ. თანასწორობა კარგია, მაგრამ ეს თანასწორობა გონივრულად მოანიჭეს გლეხკაცობას?... ხალხის თვითმმართველობაც კარგი და სასარგებლო საქმეა, მაგრამ ჩვენ სოფლებში ხალხის ყრილობა ყროყინად გადაიქცა და „თვითმმართველობის“ ძალით მამასახლისებმა სასოფლო მაღაზიების ჭირნახული დუქნებში შესჭამეს“[1]. ნ. ხიზანაშვილი ახალ სამართალს ეკონომიური თვალსაზრისითაც განიხილავდა და ასაბუთებდა, რომ „ინსტანციანი“ სამართალი გლეხობის ეკონომიური ყოფის მძიმე ტვირთი იყო. რაც უფრო მეტია საფეხურები, მით უფრო ძნელი მისაღწევია სამართალი და მით უფრო აუტანლად ძვირი. ამდენად, ქართველი გლეხი მოკლე გზას ეძიებს და ტრადიციულ სამართალს უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე კანონის წინაშე ერთიანობაზე დამყარებულ სამართალსო.

5. ხიზანაშვილი ახალი სამართლის შეფასებისას გლეხობის პრაქტიკული ცხოვრებიდან, მისი მოთხოვნილებებიდან გამოდიოდა.

ნ. ხიზანაშვილის წერილში საკამათო იყო შედარება და დაპი-

[1] „ჩვენი გლეხკაცობა და ახალი სამართალი“.

რისპირება ტრადიციისა და ახალი სამართლისა და ამ ტრადიციის მხარის დაჭერა, სამართლის მარტივი, პირდაპირი წარმოების უპირატესობის მტკიცება საზოგადოებრივი ცხოვრების გართულებულ ეპოქაში.

ბოსლეველი არ ეთანხმებოდა ნ. ხიზანაშვილს იმ დებულებაში, რომ ხალხი ჯერ უნდა მომზადდეს და მხოლოდ შემდეგ უნდა იქნეს შემოღებული მის ცხოვრებაში ახალი წესები და რეფორმებიო. საჭირო იყო არა ცდა და მოლოდინი ცვლილებებისა, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარდატეხის მოხდენა. „ხალხის კეთილდღეობის მდევნელი ზევსი გახლავს ის, ვინც ღაღადებს, ჯერ მოამზადეთ ხალხი და მერე რეფორმები შემოიღეთო! ამ მოსაზრებით სარგებლობს ყოველი მტარვალი მართებლობა, რომელსაც სურს თავის საბრძანებელი საკუთარს ფეხზედ დააყენოს, რომელიც, რომ ძალა ხელიდან არ გამოეცალოს, ხალხს არ ათავისუფლებს თავის დამახინჯებულის მზრუნველობიდგან... წესიერ რეფორმათა შემოღება, რომელიც დროებით მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და ხალხის ცხოვრებას შეესაბამება, ყველგან და ყოველთვის სასარგებლოა... ცხოვრების ყოველი მომენტი თხოულობს უსათუოდ რომელისამე ძველ წესის განდევნას და ახალის შემოღებას, ე. ი. თხოულობს რეფორმას... რეფორმისათვის ხალხის საგანგებოდ მომზადებას ის ჰქადაგებს, ვისაც არავითარის რეფორმის შემოღება არ უნდა ცხოვრებაში, და თუ სადმე რეფორმებმა სარგებლობა ვერ მოიტანეს, მიტომ კი არა, რომ რაღაც წინასწარი მომზადება სჭირდებოდა ხალხს ამისათვის, არამედ მიტომ, რომ გამოფუტურებული რეფორმები შემოუღიათ და ისიც უბირის ხალხის ცხოვრებაზედ გამოჭრილი“[1].

მიუხედავად იმისა, რომ ბოსლეველს თავის თანამედროვეობაში ბევრი რამ, სწორედ ამ რეფორმებთან დაკავშირებით, არ მოსწონდა, იგი მაინც ამ ცვლილებას წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევდა. 60-ანი წლების რეფორმებზე ვ. ლენინი წერდა: ..«необходимо признать, что это изменение было шагом по пути превращения феодальной монархии в буржуазную монархию. Это верно не только с экономичес-

[1] „იმედი“ და მისი კრიტიკოს-პუბლიცისტები“, „შრომა“, 1882 წ., № 27.

кой, но и с политической точки зрения. Достаточно вспомнить характер реформы в области суда, управления, местного самоуправления и т. п. реформ, последовавших за крестьянской реформой 1861-го года, чтобы убедиться в правильности этого положения».[1] ბოსლეველისათვის მიუღებელი იქნებოდა ტრადიციის გაცოცხლება, ან შენარჩუნება საზოგადოებრივი ცხოვრების თუნდაც ოფიციალურად დაკანონებული განვითარების თვალსაზრისით.

V

ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიის თვალსაზრისით ბოსლეველს ბევრი ყურადსაღები შეხედულება ჰქონდა გამოთქმული. იგი კარგი შემფასებელი იყო ქართული ორიგინალური მწერლობისა, ხალხური შემოქმედებისა, ნათარგმნი ლიტერატურისა. მის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ ქართული ლიტერატურის პრაქტიკასთან, თეორიული შეხედულებები მას დაყრდნობილი ჰქონდა ლიტერატურული მოვლენების ანალიზზე, ხოლო ეს ანალიზი მისი დროის საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს გამოხატავდა.

საყოველთაოდ ცნობილია ბოსლეველის აზრი ილია ჭავჭავაძის „განდეგილზე". მნიშვნელოვანია და ჯერაც არ დაუკარგავს ფასი მის მოსაზრებებს რაფიელ ერისთავის, ვახტანგ ორბელიანისა და სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაზე. ეს შეხედულებები იმითაც მნიშვნელოვანია, რომ ბოსლეველის შეფასებანი ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენისა ეხმაურებოდა საერთოდ აღიარებულ ფაქტებს. მისი აზრი მრავალ შემთხვევაში მართებული იყო, ამდენად ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარებაში მან საპატიო ადგილი მოიპოვა.

ლიტერატურის მიზანსა და დანიშნულებაზე მსჯელობისას ბოსლეველი ხშირად გამოთქვამდა ისეთ მოსაზრებებს, რომელნიც, მართალია, წინა ათეულ წლებში უკვე იყო მოწოდებული ქართული ლიტერატურის თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების მიერ, მაგრამ რო-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებები, ტომი 17, გვ. 86—93.

მელთაც ბოსლეველის მოღვაწეობის დროსაც არ ჰქონდათ დაკარგული მნიშვნელობა. ქართველ სამოციანელთაგან ესოდენ დაწვრილებით განმარტებული და დასაბუთებული ლიტერატურის მიზანი და დანიშნულება 80-იან წლებშიც ძალაში იყო. ქართულმა პუბლიცისტიკამ ლიტერატურას არ ჩამოაცალა დიდი აღმზრდელობითი როლი, ცხოვრების სამსახური, ადამიანთა ურთიერთობის უარყოფით და შავნე მხარეთა მხილება, სინამდვილის ასახვისათვის ზრუნვა და ხალხთან მჭიდრო კავშირში ყოფნა. ლიტერატურა რომ ცხოვრების ყოველმხრივი გამომძიებელი უნდა ყოფილიყო, ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და იურიდიული ვითარებისათვის რომ უნდა ეცხადა ფარდა, ხალხის ცხოვრების წიაღში რომ უნდა ჩასულიყო და მტკივნეული საკითხები დაემუშავებინა — ბოსლეველის ლიტერატურული შეხედულებების მთავარი აზრი იყო.

ბოსლეველი საკმაოდ მიუზღავდა საქართველოს ისტორიულ წარსულს. იგი მას მიაჩნდა ისეთ დროდ, როცა ხშირად სახალხო გასაჭირისას, სხვადასხვა სოციალურ ფენებს ერთი მიზანი აერთიანებდა და საერთო მტრის წინააღმდეგ შეერთებულ ძალას მიმართავდნენ. ბოსლეველი ძირითადად და მთელი თავისი შეგნებით მაინც აწმყოს გაცნობასა და გარკვევას ავალებდა ლიტერატურას, რომლის დამხმარე მისი აზრით, ყოველთვის ლიტერატურული კრიტიკა უნდა ყოფილიყო.

1881 წლის „ივერიის“ მეთორმეტე ნომრის განხილვისას ბოსლეველი მსჯელობდა ერთი ხელმოუწერელი წერილის — „ნახულისა და გაგონილის“ შესახებ. წერილში აღწერილი იყო თრიალეთის რაიონი და უცხოელი კუჩენბახის მიერ მოწყობილი ყველისა და ერბოს დამამზადებელი ფერმა. ამ წერილის განხილვისას ბოსლეველმა გამოთქვა აზრი, რითაც იგი ილია ჭავჭავაძისა და საერთოდ სამოციანელთა ინტერესებს უახლოვდება. „ის დალოცვილი მოგზაურები, — წერდა ბოსლეველი, — თავიანთ მგზავრობის დროს ხედვიდნენ რაღაც ისტორიულ ქვებს და ჰკითხულობდნენ რაღაც ზედ წარწერებს, ხედვიდნენ კიდევ ეკლესიებისა და მონასტრების ნანგრევებს. თვითონ მცხოვრებლები მათის ცხოვრებით ავით და კარგით, მათთვის არა-

არსებობდნენ. ვინ ამბობს! ამ ქვებსა და ნანგრევებსაც თავის მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენ, ცოდვილებს, ადამიანი უფრო გვეახლოება, ჩვენ მათი გაცნობა გვწყურის. მაგრამ ამ კანონიერის მოთხოვნილების ჯავრი მათ არ ჰქონდათ! სასიამოვნოა, რომ „ივერიის“ მოგზაურმა ამ შეცოდებას მკითხველის წინაშე, ბევრად თუ ცოტად, აცილდა“[1]. აქ ილია ჭავჭავაძის პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ძირითადი თეზისების ანარეკლი ჩანს — ლიტერატურის მოვალეობაა თანამედროვეობის, ცოცხალი სინამდვილის და მასში ადამიანის, საზოგადოების ადგილის დანახვა და ასახვა.

ბოსლეველის შეხედულებით ლიტერატურა და ქვეყნის ისტორია ის მთავარი ძალაა, რომელსაც უდიდესი უნარი აქვს მშობლიურ ქვეყანასა და მის შვილებს შორის კავშირი დაამყაროს, ადამიანში მოქალაქეობრივი გრძნობა აღძრას და განავითაროს. თითოეული ადამიანის მოვალეობაა თავისი ქვეყნის სამსახური და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი საკუთარი ქვეყნის გულისტკივილის გამომსახველ ლიტერატურას იცნობს, როცა გათვალისწინებული აქვს თავის სამშობლოს წარსულის ის მხარე, რომელიც საქმისათვის თავის დადებასა და მოქალაქეობრივი მოვალეობის მოხდას გამოხატავდა. ლიტერატურის როლი და დანიშნულება მაშინაა უფრო საპასუხისმგებლო, როცა ხალხი შეჩვევებულია. ბოსლეველი ლიტერატურას აფასებდა არა თავისთვის არსებულს, არამედ როგორც ხალხის ცხოვრებასთან მტკიცე ურთიერთობაში მყოფ საზოგადოებრივ მოვლენას. ლიტერატურა არ შეიძლება მხოლოდ „ტკბილ ხმათა“ მსახური იყოს. „ლიტერატურას ჩვენში, და არა ჩვენში მარტო, — წერდა ბოსლეველი, — მხოლოდ ის დარჩენია, რომ საზოგადოებას ცნობიერად გააგებინოს სულიერისა და ხორციელის ტანჯვის ნამდვილი მიზეზი და ამ ტანჯვის მოშსპობი წამალი“[2].

ლიტერატურას ბოსლეველი გამოყენებითი თვალსაზრისით აფასებდა, როგორც დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ მაორგანიზებელ ძალას. საზოგადოებრივი ცხოვრების ტკივილების წინააღმდეგ ყოველგვარი ლიტერატურა არ მიაჩნდა სავარგისად, ის მომხრე იყო

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაწერები, გვ. 181.

[2] იქვე, გვ. 196

ისეთი ლიტერატურისა, რომელსაც ცხოვრების გაგება გააჩნია, გამორკვეული აქვს სახელმძღვანელო აზრები და ილუზიებს არ მისდევს, პირდაპირ და შეუფერავად აფასებს სინამდვილეს. „ჩვენს სტატიებში ჩვენ გვსურს თვალყური ვადევნოთ ჩვენს ღარიბს ლიტერატურას. როგორც „ჟურნალ-გაზეთებს, ისე სხვადასხვა საკითხავ თუ საყმაწვილო წიგნებს" — აცხადებდა ბოსლეველი თავის პირველ „კრიტიკულ მიმოხილვაში"[1]. მას განზრახული ჰქონდა ყურადღების გარეშე არ დაეტოვებინა ლიტერატურის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა. იგი პრინციპული სიმტკიცით შეუდგა ამ მოღვაწეობას და ფიქრობდა პირუთვნელად ემხილებინა ლიტერატურის ნაკლოვანი მხარეები. „ჩვენ ჩვენსას არ დავიშლით მაინც. გონიერ კაცთან, რომელსაც ძალუძს ჭეშმარიტებას უშიშრად შეხედოს, ვილაპარაკებთ და ყბედს კი გვერდს ავუვლით უბრად"[2]. იგი მართლაც ცდილობდა უშიშრად შეეხედა ყველაფრისთვის; ამა თუ იმ ლიტერატურული ფაქტის შეფასებისას არც დამსახურებულსა და არც დამწყებ მწერალს არ არჩევდა. ლიტერატურას იმდენად დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენად მიიჩნევდა, რომ მის შეფასებაში არავითარ დათმობას არ უნდა ჰქონოდა ადგილი.

ლიტერატურის მოვალეობა ბოსლეველს ფართოდ ჰქონდა წარმოდგენილი: ლიტერატურამ სინამდვილის ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა, მისი წარმოშობის საფუძველი, ამ მოვლენის მიმდინარეობა უნდა ასახოს და ახსნას, გაუკეთოს მას ყოველმხრივი ანალიზი. საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი ფაქტი ლიტერატურისაგან უნდა იქნეს გამოძიებული. ლიტერატურა ცხოვრებას შეისწავლის არა ფაქტების ფიქსირებით, არა მათი თანამიმდევრობით დალაგებით, არამედ ამ ფაქტების გამომწვევ მიზეზთა ძიებით, მათი შეფასებით. „ხელოვნური ლიტერატურა (მხატვრული ლიტერატურა—ს. ხ.) ფაქტთან ერთად უნდა აძლევდეს მკითხველს მასალასაც ამ ფაქტის გაგებისა და ახსნისათვის"[3]. თუ მხატვრულ ლიტერატურას არ გააჩ-

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა", ნაწერები, გვ. 196.

[2] იქვე.

[3] „თეატრალური შენიშვნა," ნაწერები, გვ. 254.

ნია ამისი შესაძლებლობა, მაშინ იგი ჰკარგავს აზრს და უმნიშვნელო ფაქტოლოგიად გადაიქცევა.

ბოსლეველი ლიტერატურას საზოგადოებრივი ცხოვრების ბარომეტრის მნიშვნელობას ანიჭებდა. ლიტერატურის მგრძნობიაროაბას არ უნდა გამოჰპარვოდა ხალხის ცხოვრებაში მომხდარი სულ მცირე მოვლენაც კი. თუ ლიტერატურას ჯერ კიდევ არ აღუნიშნავს საზოგადოების ცხოვრების რაიმე მოვლენა, მაშ იგი, ეს მოვლენა, ჯერ კიდევ არ არსებობს; თუ ლიტერატურაში არ ასახულა, არ არის იგი არც სინამდვილეში.

რადგან ლიტერატურას უაღრესად დიდი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამიტომ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას, იგი მეტად პრინციპული, გარკვეული მიზნისა და მიმართულების მქონე უნდა იყოს. ძირითადი, არა მხოლოდ ლიტერატურისათვის, არამედ სინამდვილესთან დამოკიდებულების საკითხში, მატერიალური სამყაროს ჭეშმარიტი შემეცნებაა. ყოველგვარი ილუზია, უმართებულო დანახვა ირგვლივ არსებულისა არის წყარო სიცრუისა და თვალის ახვევისა. საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები ისე უნდა შეფასდეს, მხოლოდ ისე უნდა იქნეს წარმოდგენილი ხელოვნებაში, როგორიც სინამდვილეშია. უპირველესი ადგილი სიმართლეს ეკუთვნის და სხვა რამ, ცალმხრივად შემფასებელი ამ ფაქტებისა, სრულფასოვანი ვერ იქნება, ლიტერატურა დიდი საზოგადოებრივი მოვლენაა, იგი ერთ-ერთი კარგი საშუალებაა ადამიანის ცნობების განვითარებისათვის და ამდენად იგი აუცილებლად სიმართლეს უნდა ეყრდნობოდეს. რადგან ლიტერატურას დიდი სამსახური აქვს დანიშნული, რადგან იგი ხალხს მიმართულებას უნდა აძლევდეს, რადგან იგი „ღრმად ჰგმირავს ცხოვრებას, შედის მის სიღრმეში, მის საიდუმლო კუთხეებში, საიდანაც თვითონ ლიტერატურული ნაწარმოები იღებს თესლს, უკვირდება სხვადასხვა მოვლენას, კაცთა შორის დამოკიდებულებას, ეკონომიურს და სოციალურ ელემენტებს, რომელნიც ამ თესლს პოხიერ საზრდოს აძლევენ და ავითარებენ“, ამისთვის ლიტერატურას აუცილებლად დიდ დახმარებას უნდა უწევდეს კრიტიკა, რომლის ძალა უნდა მიიქცეს არა მხოლოდ ლიტერატურის ფაქტისაკენ, არამედ ცხოვრებისაკენ, მისი ძირებისა და გამოვლინების ყოველი დეტალისაკენ. პრინციპული კრიტიკა ჭეშმარიტებას თვა-

ლებში შესაქცერის, უშიშრად აფასებს მას და არჩევს დადებით და უარყოფით მხარეებს, ამით იგი ეხმარება ლიტერატურის განვითარებას. კრიტიკა „აფასებს და შესაფერ ადგილს აძლევს ლიტერატურაში ყოველის სიტყვის ნამოქმედარს, უჩვენებს ნამდვილს გზას, რომელზედაც უნდა იდგეს ლიტერატურა. თუკი მას უნდა, რომ თავის მრავალ-მნიშვნელოვანი ადგილი კაცის ცხოვრებაში შეინარჩუნოს“[1].

ლიტერატურისა და კრიტიკის დანიშნულების განმარტებას ბოსლეველი ჰუმანურობის, საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისა, ადამიანის სულიერი და მორალური ზრდის თვალსაზრისით იძლეოდა. მწერლობის ორივე დარგი — ლიტერატურა და ლიტერატურული კრიტიკა პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების გაკეთილშობილების აუცილებელ ძალებად მიაჩნდა. ასეთი მნიშვნელობა ლიტერატურას არ შეიძლება თავიდანვე დაჰყვეს, ლიტერატურა ისევე იზრდება და ვითარდება, როგორც სხვა ყველაფერი თვალით ხილულ სამყაროში, ამიტომ ლიტერატურას არ შეიძლება გაჩენიდანვე ყოველგვარი მოთხოვნილება წაეყენოს; მას, პირიქით, დამხმარე და ხელისშემწყობი ესაჭიროება განმტკიცებისათვის, გაუბედავი ნაბიჯების გამაგრებისათვის. ნორჩი და სუსტი ლიტერატურის ზრდაში უდიდესი მნიშვნელობა, სწორედ კრიტიკას ეკუთვნის. კრიტიკა ჰგავს გონიერ პედაგოგს, რომელიც ბავშვის გონებას და ფიზიკურ არსებობას მართებული გზით წარმართავს.

ლიტერატურასა და კრიტიკას შორის ორგანული კავშირია, რომელშიც პირველადი ლიტერატურაა. კრიტიკა ლიტერატურის შვილია და შემდეგ მის აღმზრდელად იქცევა, ლიტერატურას კი იგი ვერ შექმნის. კრიტიკას საქმე აქვს ნიჭთან. აზრიანი კრიტიკა ლიტერატურას ვერ გააჩენს, ან მდარე მწერალს ნიჭიერ მწერლად ვერ გადააქცევს. ლიტერატურული კრიტიკის აზრი ავისა და კარგის გარჩევაშია. მხოლოდ მაშინ შეიძლება მან მართებული სამსახური გაუწიოს ლიტერატურას, მაშასადამე, საზოგადოებრივ ცხოვრებას, როცა იგი ცხოვრებას გაარკვევს. „ამის გარდა, იგი მკითხველ საზოგადოებასაც ეხმარება ლიტერატურაში მოღვაწეთა რიგიანის დაფასებით, უნიჭოს

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაწერები, გვ. 181.

მოკვლით და ნიჭიერის ამაღლებით"[1]. ამდენად დიდია მნიშვნელობა პრინციპული კრიტიკისა. ლიტერატურა, რადგან ზოგჯერ სცილდება თავის პირდაპირ დანიშნულებას, ფეხდაფეხ ვერ მისდევს ცხოვრებას, გადაუხვევს გზას და სინამდვილის ნამდვილს ანარეკლს ვეღარ იძლევა, რადგან იგი ზოგჯერ უადგილო ადგილს ხეტიალობს და საზოგადოების ძალას უნაყოფოდ ფლანგავს. ამისთვის საჭიროა სწორედ პრინციპული კრიტიკა, რომელიც თვალს გაუხელს ბნელ გზებზე მოხეტიალე ლიტერატურას და „შეახედებს იმ საგნებს, რომელთაც იგი თავს უნდა დასტრიალებდეს"[2].

კრიტიკა ლიტერატურას უნდა ეხმარებოდეს არა ცალმხრივად, ე. ი. აფასებდეს არა მხოლოდ ლიტერატურული ფაქტის ესთეტიკურ საწყისს, არამედ ისე, რომ ლიტერატურულ ფაქტში ამოიხსნას მისი პოლიტიკური აზრი, მიზანი და დანიშნულება, მისი დამოკიდებულება საზოგადოებასთან, დროსთან, სინამდვილესთან. ამასთანავე ლიტერატურული ნაწარმოების კრიტიკული გარჩევით იგი ზეგავლენას უნდა ახდენდეს მკითხველებზეც და მწერალზეც. თუ მხატვრული ნაწარმოები მოკლებულია სიმართლეს და იგი მკითხველში აზრის მოძრაობას ვერ იწვევს, არ აღვიძებს აზროვნების უნარს და არ აფიქრებს მკითხველს აღწერილ ამბებსა და ადამიანებზე, — იგი უსუსურია.

ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილებათაგანი, რომელსაც ბოსლეველი ლიტერატურას უყენებდა, იყო ხალხურობა, ლიტერატურისა და ხალხის კავშირი. ეროვნული საწყისებისაგან დაშორებულ ლიტერატურის ნიმუშად, როცა იგი ხალხის მოთხოვნილებებს არ იცნობს, ბოსლეველი ასახელებდა რუსული ლიტერატურის ისტორიის იმ პერიოდს, როცა რუსი ინტელიგენციის ნაწილი დაცილებული იყო ხალხს და კასტური, ე. წ. „ინტელიგენციური კოლონია" იყო შექმნილი. მაშინ ლიტერატურა ვერ გამოხატავდა ხალხის ცხოვრებას, იგი არ იყენებდა ადგილობრივი ცხოვრების ფაქტებს. ბ. ბელინსკის დიდ დამსახურებად ბოსლეველს ის მიაჩნდა, რომ მან უარყო რუსული ლიტერატურის კოსმოპოლიტური პერიოდი. „იმ დროს ლიტერატურა თითქმის მთლიანად უარყოფილი შეიქმნა გამოჩენილის კრიტიკოსის

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა", ნაწერები, გვ. 181.

[2] იქვე.

ბელინსკისაგან, რადგან იგი არ იყო ნაციონალური, რუსეთის ცხოვრების გამომხატველი"[1]. ეს შეეხებოდა XVIII საუკუნის რუსულ ლიტერატურას. რუსული ლიტერატურის სინამდვილისაკენ შემობრუნების დროდ ბოსლეველი კარამზინისაგან რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის შექმნის ფაქტს ასახელებდა, რამაც ხალხს საშუალება მისცა შეეგნო თავისი ეროვნული რაობა, დაეფასებინა თავისი წარსული.

ბოსლეველი ამხილებდა ლიტერატურაში სქემატიურობის მოვლენებსა და რეციდივებს. იგი ბელინსკის დიდ დამსახურებად იმასაც მიიჩნევდა, რომ მან რუსული ლიტერატურის ეს მანკიერი მოვლენა გაკიცხა და ლიტერატურას მიზნად სინამდვილის მთლიანობის შესწავლა დაუსახა. იგი ამხილებდაო ისეთ შემთხვევებს, როცა „კეთილი გმირი გამოჰყავდათ ხორცსხმულ ანგელოსად, ხოლო ბოროტი ხორცსხმულ ეშმაკად," ერთ მხარეს აყენებდნენ კეთილ გმირებს, მეორეზე ბოროტებს — წერს ბოსლეველი[2]. ლიტერატურაში გაბატონებული სქემატიზმი, შეზღუდვამ და ცხოვრების სინამდვილის შესწავლამ და მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ, ლიტერატურის მეცნიერება დაარწმუნა, რომ სქემებით აზროვნება შეუძლებელია.

სქემატურად დახატული სურათის თაობაზე ბოსლეველი წერდა, რომ იგი იმ გავლენას ვერ მოახდენს მკითხველზე, რისთვისაც არის განკუთვნილი, მკითხველს ვერ დაანახვებს ნამდვილ ადამიანს და ამიტომ მხატვრულ ნაწარმოებს აღმზრდელობითი მნიშვნელობაც არ ექნება. 80-იან წლების ქართულ ლიტერატურაში მას კიდევ ეგულებოდა სქემატიზმის ელემენტები. „ცოტად ფეხ-ადგმულს ლიტერატურაში ამგვარს ცრუ მიმართულებას კარგი ხანია მაზანდა დაეკარგა; მხოლოდ ჩვენში გვიხატავენ კიდევ ეშმაკებსა და ანგელოზებს და არა ნამდვილს ცოდვილს ადამიანებს... იმას ნუღარ იტყვით, რომ ამ გმირებს ადამიანის გული არა აქვს, რომ ადამიანის სისხლი არ უტრიალებთ ძარღვებში! ცრუდ გაგებულს ბოროტ კაცს არც ერთი უნდა ჰქონდეს და არც მეორე!"[3].

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა", ნაწერები, გვ. 189.

[2] იქვე, გვ. 222.

[3] იქვე.

მხატვრული ლიტერატურის ქმედითობა ბოსლეველს დაკავშირებული ჰქონდა საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტებთან. მაშინ არის ლიტერატურა ძლიერი და გამოხატავს გონების აჩქარებულ მოძრაობას, როცა იგი გარდატეხებთან არის დაკავშირებული, როცა მას, ლიტერატურას, დიდი მოძრაობა აძლევს მასალას. ქართული ლიტერატურის ორი ეპოქის — 60-იანი და 80-იანი წლების ლიტერატურის შედარება-დაპირისპირებისას ბოსლეველი უპირატესობას ვერ ამჩნევდა თავის დროის მხატვრულ ლიტერატურას, იგი მას მიაჩნდა კორესპონდენციების, პუბლიცისტურ და პოლემიკურ ლიტერატურად. ქართული ხალხოსნური ლიტერატურა მართლაც აცდენილი იყო ქართული ლიტერატურის ტრადიციებს; ილია ჭავჭავაძის მხატვრულ სკოლას. მას გაბატონებული ჰქონდა ნარკვევების, პუბლიცისტურობის სტილი. „იმედის“ ჯგუფის ქართველი ბელეტრისტების შემოქმედებაში მთლად გაუბრალოებული იყო მხატვრული სიტყვა. „იმედის“ საპროგრამო წერილში პირდაპირ იყო განცხადებული ხალხოსნური ლიტერატურის ესთეტიკური პრინციპების შესახებ, რომ ეს ლიტერატურა ძირითადში იდეას და შინაარსს მიაქცევდა უურადღებას. მიხეილ ასათიანის, ზაქარია გულისაშვილისა და სხვათა თხზულებები მეტად მარტივად გადმოსცემდნენ გმირთა განცდებს. თავისი თანამედროვე ლიტერატურის ასეთი პოზიცია ბოსლეველს არ მოსწონდა, რადგან მას ლიტერატურა მიაჩნდა ხალხის გონების ასამაღლებელ საშუალებად. ასეთ ლიტერატურად მას 60-იანი წლების მწერლობა მიაჩნდა. ეს დრო მას გაიდეალებული ჰქონდა, რადგან სწორედ მაშინ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების ერთობლივი და შეკავშირებული გამოსვლა მოხდა. მათი სიტყვა კი მოასწავებდა რევოლუციური ძალების გამოვლინებას. „ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენს მიძინებულს და ბატონყმობის უღლით გაუნდილებულს და გაბედითებულს ცხოვრებაში ბუკი დაჰკრეს ილ. ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ და როდესაც ამ ბუკმა მითვლემილი საზოგადოება გამოიყვანა აპატიურის მდგომარეობიდგან და გაშოიწვია იქედან წვრილი ძალები, რომელმაც თავისი მოძრაობის ძველი დგმა, უდარდელს და უზრუნველს ცხოვრებაში აღზრდილი და სიცრუეს შეჩვეული და გონებითს უვარჯიშობისაგან ტვინგაშეშებული, შეაშფოთა და გამოიწვია მოძრაობისადმი... ეს დრო იყო დრო დიდე-

ბულის მოძრაობისა ახალ თაობაში“[1]. დიდი მოძრაობა საფუძვლად დაედო ღონიერ ქართულ ლიტერატურას, რადგან ამ უკანასკნელში აისახა სერიოზული ბრძოლა ძველთან, ჩამორჩენილთან. ქართულმა ლიტერატურამ იმ ეტაპზე შექმნა უკვდავი თხზულებები, რომელნიც სანიმუშონი და სამაგალითონი იქნებიან ყოველი დროისათვის. ქართული ლიტერატურის იმ დროის წარმომადგენლების მხატვრული შემოქმედება ჰკვებავს ახლანდელ ეტაპზე დაბადებულ ქართულ მხატვრულ სიტყვასო, — ასკვნიდა იგი.

ბოსლეველი მხარს უჭერდა 60-იანი წლების მებრძოლ, რევოლუციურად განწყობილ ახალი თაობისაგან გამტკიცებულ ლიტერატურას. ლუარსაბ თათქარიძის სახის შექმნას იგი ქართული ლიტერატურის უდიდეს მიღწევად თვლიდა, კაკოს და ზაქროს ცხოვრების აღწერას მეტად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მისაბაძ ფაქტად აღიარებდა: „ახალის დროის ლუარსაბ თათქარიძე ჩვენმა ლიტერატურამ აღარ იცის, ჩვენის დროის „ყაჩაღის“ ცხოვრებას ჩვენ ვეღარ ვკითხულობთ-“ო, წერდა ბოსლეველი[2]. 60-იანი წლების თაობას იგი აფასებდა იმიტომ, რომ მან შესძლო რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიით გაერთიანება და საკუთარი ლიტერატურულ-ესთეტიკური თეორიის წამოყენება. იმ თაობის ახალი, რევოლუციური იდეოლოგია დაუპირისპირდა ძველს და გამოუცხადა მას სასტიკი ბრძოლა. ამაშია მისი მნიშვნელობა და სიძლიერე. ეს აკლდა, მისი შეხედულებით, 80-იანი წლების ლიტერატურას. ბოსლეველის მტკიცე რწმენით მის თანამედროვე ქართულ ჟურნალ-გაზეთებს არ გააჩნდათ გარკვეული მიმართულება, ჩამოყალიბებული პროგრამა და მტკიცე იდეოლოგიური მრწამსი, ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდა შეტყობა იმისა, თუ რა მიმართულებისა იყო პრესა, „რა სიმვოლო სარწმუნოებისა აქვს აღიარებული, ან საითკენ მიმართულა მისი მისწრაფება?...“

იგი განმარტავდა ქართული ლიტერატურის ასეთ სამწუხარო ბედს. ძველად ლიტერატურას ძალას აძლევდაო „დამოუკიდებელი

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაწერები, გვ. 208.

[2] ვაჟა-ფშაველამაც ამის მსგავსი აზრი გამოთქვა ილია ჭავჭავაძის ამ თხზულებაზე: „ლუარსაბ თათქარიძის შემდეგ, ჩვენდა სამწუხაროდ და საეალალოდ, ცხოვრების საჭიროების მიხედვით შექმნილს ტიპს ვეღარა ვხედავთ...“ (იხ. „რამე-რუმე“)

სამშობლო თავის ავკარგით, თავის ზნით, ჩვეულებით, ენით და სარწმუნოებით. „თავის თანამედროვეობაში იგი ამ ელემენტებს ვეღარ ხედავდა, რადგან, როგორც ამბობდა, მისი დროის საზოგადოებას „გამოაძრეს ეს მთავარი მანქანა“, რამაც გამოიწვია საზოგადოებრივი ინტერესის გადაგვარება. ამ პროცესში მოჰყვა საზოგადოების ყველა ფენა: გლეხობაც, თავადაზნაურობაც, სამღვდელოებაც. ყველას დაეკარგა საქვეყნო საქმის ინტერესი. ამისი საბაბი კი, მისი ღრმა რწმენით, პოლიტიკური წყობილება იყო.

რა იყო ის, რაც მის თანამედროვე საზოგადოებას უნდა მიეღო ისტორიიდან, რომ ცხოველმყოფელობა დაებრუნებინა? „უწინ საზოგადო საქმეს, ქართველის საქმეს თავისი მოღვაწე ჰყავდა და მერე იმისთანა მოღვაწე, რომელიც ხორციელად და სულიერად შეკავშირებული იყო ამ ქართველის საქმესთან. ქართული ლიტერატურა საერო და სასულიერო, დროის შესაფერად ჰყვაოდა; ჩვენში იყო ქართული ხელოვნება, ქართული მუსიკა, ქართული შკოლა მიტომ, რომ მოღვაწე ჰყავდა ჩვენს ცხოვრებას. ქართული ენა თანდათან ვითარდებოდა, მუშავდებოდა, მდიდრდებოდა მიტომ, რომ თავის მოღვაწე ჰყავდა, რომელსაც სულით და გულით სურდა ქართული ენის გამშვენიერება. ქართველის ტვინი და გონება იხსნებოდა კანონიერად და დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მდიდრდებოდა ცოდნით, მისი სულიერი ძალები ხუნდ მოჭერილნი არ იყვნენ, შემოქმედებითი ჯალი ცხოვრებაში ტრიალებდა და ნაყოფს იძლეოდა. კიდეც იმიტომ, რომ მოღვაწეს ქართველი ქართველად უნდოდა და შეუძლებელიც იყო „მტარვალ ოსმალოდ“ სდომოდა“[1]. ახლა კი, როცა ქართველის საქმე არსად ცნობილი და აღიარებული არაა, როცა ქართული ენა, ქართული ჩვეულება, ზნე, სკოლა ხორცმეტად არის ცნობილი, ამიტომ აღარც ქართული ლიტერატურაა რაიმე ღირებულების მქონე. მაშასადამე, ლიტერატურას ძალასა და მნიშვნელობას აძლევს მოძრაობა და ბრძოლა, მტკიცე იდეოლოგია და მისწრაფება ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისაკენ[2].

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“. ნაწერები, გვ. 208.

[2] ბოსლეველის ეს შეხედულება ენათესავება ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ დედა-აზრს.

თუ მოდუნებულ ეროვნულ გრძნობას რამე გააღვიძებს, გამოაცოცხლებს. აამოძრავებს, როგორიც არ უნდა იყოს ეს ფაქტორი, მაინც მნიშვნელოვანია. რეტროგრად კატკოვის მათრახი ბოსლეველს იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდა. რამდენადაც მან მოძრაობა გამოიწვია, წინააღმდეგობის სურვილი აღძრა. საზოგადოებაში პატრიოტული გრძნობა გამოაცოცხლა[1].

ლიტერატურა, მწერლობა, როგორც გამოირკვა, კრიტიკოს-პუბლიცისტის შეხედულებით და სინამდვილე მტკიცე ურთიერთობაში ჰქონდა წარმოდგენილი. ლიტერატურის ზემოქმედებას სინამდვილის შეცნობისა და მისი გაუკეთესების საქმეში ბოსლეველი გარდაუვალ როლს აკუთვნებდა, მაგრამ მხოლოდ აზრით, შინაარსით, იდეით ცხოვრების სინამდვილესთან დაკავშირებული ლიტერატურა ვერ შესძლებდა ყოფილიყო ისეთი გავლენის მქონე, რომ მკითხველის შეგნებაზე, მასების ფსიქიკაზე ემოქმედა. ბოსლეველი ასეთი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ლიტერატურად იმას სახავდა, რომელშიც აზრი და იდეა მათი აქტუალურობისა და პროგრესულობის შესაფერ მხატვრულ სამოსელში იქნებოდა მოწოდებული. რასაკვირველია, ლიტერატურის კრიტიკოსისათვის პირველადი შინაარსი და იდეა იყო, მაგრამ მახვილი და მოქმედი ეს შინაარსი გახდებოდა მხოლოდ მისი შესაფერი ფორმით, მხატვრული სახეებით, პოეტური ენით. როცა ბოსლეველი ქართული მხატვრული ლიტერატურის ფაქტებს ანალიზს უკეთებდა, არაერთხელ აღუნიშნავს მხატვრული შემოქმედების ამ სპეციფიკური ელემენტის მნიშვნელობა. ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების გარჩევისას ბოსლეველი სიამაყით აღნიშნავდა რომ ილიას ერთ-ერთი პოემის („განდეგილის“) აზრი პოეტის მიერ მოწოდებული იყო საოცრად ჩამოქნილი ფორმითა და გამოქანდაკებული მხატვრული სახეებით. ეს სახოვანება მხატვრული ნაწარმოებისა, ბოსლეველის შეხედულებათა მიხედვით, ისეთი დიდძალოვანი ელემენტია მხატვრული აზროვნებისა, ურომლისოდაც ძნელია მოეთხოვოს მხატვრულ ნაწარმოებს რაიმე ზემოქმედება და ზეგავლენა მკითხველზე.

ბოსლეველი ვერ ურიგდებოდა ისეთი მხატვრული ნაწარმოების არსებობას, რომელსაც არ ჰქონდა უნარი მკითხველში ემოციები გა-

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“., ნაწერები გვ, 189.

ვოეწვია. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლი მხატვრული ნაწარმოებისა, კრიტიკოსის აზრით ის არის, როცა ეს ნაწარმოები ჰკარგავს თავის ბირითად სახეს და მწერლობის სხვა ჟანრს უახლოვდება, ან მისგან დავალებული რჩება. მხატვრული ნაწარმოების პუბლიცისტურობას, ბოსლეველი ერთ დიდ ნაკლად უთვლიდა მწერალს. ბოსლეველის შესწელობა ნიჭიერ და უნიჭო მწერალზე მაჩვენებელია არა მხოლოდ იმისა, რომ კრიტიკოსი ნიჭიერად მიიჩნევდა იმას, ვინც თანამედროვეობას თვალს უსწორებდა და სინამდვილით გადაიტანდა ამას მხატვრულ ნაწარმოებში, არამედ იმასაც, თუ რამდენად მხატვრულად, რამდენად ეფექტურად შესძლებდა მწერალი ამ სინამდვილის გაფორმებას და დახატვას, რომ ხელოვნური დიაპაზონი მხატვრული ნაწარმოებისა მოქმედი და ვრცელი ყოფილიყო. ბუნების სურათების გაცოცხლება, ნაწარმოების პერსონაჟთა გაადამიანურება მხოლოდ მაღალი მხატვრული ნიჭის კუთვნილებას წარმოადგენდა მისი შეხედულებით. მწერლობა არ შეიძლება „უაზრო ოხუნჯობის სალაყბო“ იყოს, როგორც იტყოდა კრიტიკოსი, არამედ „ყოველთვის მარჯვე და მახვილი“, რომელიც მკითხველის გულს მიიზიდავს[1]. კრიტიკოსს ვერ წარმოუდგენია მხატვრული ნაწარმოების შინაარსი მისი შესაფერი გარეგნობის, მხატვრული სამკაულის გარეშე, ასეთ თხზულებას იგი არ აკუთვნებდა პოეზიის ნაწარმოებს. 80-იანი წლების მხატვრული ლიტერატურის საერთო შეფასებისას იგი ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანს“ ასახელებდა, როგორც სანიმუშოს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ დასახელებულ თხზულებაში კრიტიკული სიმძაფრით იყო დახატული საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი, არამედ იმიტომაც, რომ ეს წინააღმდეგობანი მოცემული იყო სწორედ მხატვრული სამოსელით, რომლის ბრწყინვალე ოსტატად მას ყოველთვის მიაჩნდა ილია ჭავჭავაძე.

ბოსლეველი თავის „კრიტიკულ მიმოხილვებში“ შეეხო ქართული ლიტერატურის ზოგიერთ ფაქტს და მათი განმარტებაც მოგვცა. მისი დაკვირვების სფეროში შედიოდა როგორც საერთოდ ქართული ლიტერატურის განვითარება XIX საუკუნეში, ისე კონკრეტული შემოქმედებითი ფაქტები, როგორც ცნობილი, ისე ნაკლე-

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“. ნაწერები, გვ. 181.

ბად ცნობილი მწერლებისა. ამ შემთხვევაში ბოსლეველი ძალზე ობიექტური იყო, რადგანაც თითოეული ამ ფაქტთაგანი მას საზოგადოებრივი ინტერესით ჰქონდა შეფასებული.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების ეტაპების საფუძვლად, ბოსლეველს, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა და საზოგადოებრივი მოძრაობა ჰქონდა დადებული და სამ პერიოდად ჰყოფდა ამ პროცესს. პირველი იყო, ეპოქა რომანტიკოსებისა, რომელთა შემოქმედებაში ოხვრა ნატკენი გულისა და დაობლებული სულისა, მთავარ ადგილს იჭერდა. ოხვრა და ვაება, ბოსლეველის განძარტებით, გამოწვეული იყო საზოგადოების ცხოვრების აფორიაქებით, რაც გარეშე ძალის ჩარევამ გამოიწვია. დიდი პოლიტიკური ცვლილება საუკუნის დასაწყისისა, იყო ქართველი ხალხის სულიერი არსებობის ძველი და ჩვეული გზიდან ამოვარდნა, გაჩენა უბირი და შეუფერებელი პირობებისა „დროთა ბრუნვის გამო“. ახალმა პოლიტიკურმა სიტუაციამ წარმოშვა ახალი დამოკიდებულება ადამიანთა შორის, ქვეყანასა და მოქალაქეთა შორის, მმართველობასა და საზოგადოებას შორის. როგორც ბოსლეველი აღნიშნავს, ამ უმრავლესობისათვის თავზარდამცემმა ამბავმა გამოიწვია ადამიანთა მხრივ ზრუნვა საკუთარი არსებობის შენარჩუნებისათვის, თავის გადარჩენისათვის. პირადულის წინწამოწევით. „ამ დროს ძნელია საზოგადო საქმეზე ლაპარაკი, მაშინ იშვიათად ჩნდება საქვეყნო საქმის მოზიარე“ — წერდა ბოსლეველი.

ქართველ რომანტიკოს მწერალთა შემოქმედება, ბოსლეველს, მიაჩნდა გარემო ცხოვრებაზე პატიოსანი და კეთილსინდისიერი დაკვირვების შედეგად. საქართველოს რუსეთთან შეერთებამ, ხალხში, საზოგადოებაში დაბნეულობა შეიტანა, შემდეგ გონება თანდათან გათავისუფლდა ბურუსისაგან, გამოეფხიზლდა და წარსულთან ძალით გაწყვეტილი კავშირი გააბა. სუსტი მოძრაობა გაფართოვდა, გაძლიერდა და გადაიქცა თამამ და მებრძოლ ძალად, რომელმაც საქვეყნოდ გამოხატა უკმაყოფილება, ძველის სიდიადე, ნატკენი გულის ოხვრა და დაობლებული სულის უბედურება.

ბოსლეველს, სრულიად მართებულად, ქართული რომანტიზმი ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილად ჰქონდა მიჩნეული, ხოლო ქართველ რომანტიკოსთა ბრწყინვალე შემოქმედება პოლიტიკურ მდგომარეობაზე აღმოცენებულად. ცენზურულ პირობებში ბოსლეველმა

რამდენადმე მოახერხა და აღნიშნა XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის საფუძვლების არსი.

მეორე ფაზა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარებისა იყო ილია ჭავჭავაძისა და „თერგდალეულების“ გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე. ბოსლეველს ეს ეტაპი მიჩნეული ჰქონდა, როგორც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ქართულ ლიტერატურაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 60-იანი წლები მას დახასიათებული აქვს, როგორც დრო პირადული და საზოგადოებრივი ინტერესების დაპირისპირებისა. საზოგადოებრივ ინტერესთა გაძლიერებისა, სიძველის, ჩამორჩენილისა და დაობებულის დათრგუნვისა. ბოსლეველს მით უფრო მნიშვნელოვნად მიუჩნევია ეს ფაქტი, რომ „თერგდალეულების“ გამოსვლა მოხდა საქართველოში საგლეხო რეფორმებამდე. ამას ერთ-ერთ დიდ დამსახურებად უთვლიდა ილ. ჭავჭავაძის ლიტერატურულ ჯგუფს, რადგან მან ჯერ კიდევ მეტად შემზღუდველ და ველური წესების პირობებში მოახერხა გამოეთქვა პროტესტი მშრომელთა დასაცავად.

60-იანი წლების დიდ დამსახურებად ბოსლეველს მიაჩნდა აგრეთვე ძველი, უდარდელი, უზრუნველ ცხოვრებაში აღზრდილი, გონების უვარჯიშობისაგან ტვინგაშეშებული თაობის ამოძრავება. ძველი თაობის დამახასიათებელი ყველა ეს ეპითეტი ბოსლეველის წერილში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იგი ამით ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას საზოგადოებრივ ცხოვრების მოდუნებისა და ჩამორჩენილობისადმი. „ეს ის ღირსსახსოვარი დრო იყო, — წერდა ბოსლეველი, — როდესაც ჩვენში ძველი. დაობებული, დამყაყებული, ცილისწამებით შეიარაღდა და შეეტაკა ურცხვად ახალს, ჭაბუკს. მაგრამ ცხოვრების ელემენტებით ძლიერს“[1].

60-იან წლებში შექმნილი მხატვრული თხზულებები, ბოსლეველის შეხედულებით, ისეთი ძალისანი იყვნენ, რომ, მიუხედავად დროის ცვლილებებისა, იდეოლოგიური სიახლისა, 80-იან წლებშიც კი არ დაკარგეს თავისი მნიშვნელობა. ლიტერატურის წინაშე პირველი რიგის საკითხები იყო დაყენებული. საჭირბოროტო საკითხი იმდენად ხალხური იყო და ხალხის გულის ტკივილის გამომხატველი, რომ აღმზრდელობითი და შთამაგონებელი ღირსება მისი ფერუცვლელად იქნა შენახული. 60-იანი წლების, ილ. ჭავჭავაძის ლიტერატურული ღვაწლი მას ქართული ლიტერატურის მთავარ მასიცოცხლებელ ძალად მიაჩნ-

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაწერები, გვ. 208.

და. ბრწყინვალე და ამაღლებული ლიტერატურის ბედი შემდეგ ვერ გამოდგა მისი მდგომარეობის შესაფერი. რამდენადაც ძლიერი და ცხოველი იყო ქართული ლიტერატურული მოძრაობა 60-იან წლებში, იმდენად მოდუნდა იგი 80-იან წლებში.

ასე შეაფასა ბოსლეველმა თავისი თანამედროვე ლიტერატურა, ანუ მესამე პერიოდი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა. ხალხოსნების შემოქმედება მან აღიარა ყოველგვარ მხატვრულობას მოკლებულ შემოქმედებად. „ახლა, ჩვენმა დრომ, ნამდვილი პოეზია აღარ იცის, ჩვენს დროს ბელეტრისტიკა სულაც აღარ აქვს“ — წერდა იგი. ბოსლეველს ჟურნალ „იმედის“ მწერლების იმედი არ ჰქონდა, ამიტომ ამბობდა: — ახალი მწერლები არ გამოჩენილან, თანამედროვე ლიტერატურა ვერ იქმნება, ჩვენს დროში მხატვრული აზროვნება აღარ არისო. „ჩვენი დრო ლიტერატურაში არის უმთავრესად დრო კორესპონდენციებისა, ვითომ პუბლიცისტური წერილებისა და თავხედური, აღვირწახსნილი პოლემიკური სტატიებისა.. სად არის შემოქმედების ძალი? — კითხულობდა ბოსლეველი, — იქ ხომ არ გინდათ ეძიოთ ეგ ძალი, სადაც ლიტერატორობა ჩინოვნიკობად გადაუქცევიათ“?

ბოსლეველი ამით ახასიათებდა ტენდენციურ ხალხოსნურ ლიტერატურას, რომელსაც იდეის ზუსტად გამოცხადების მიზნით დავიწყებული ჰქონდა მხატვრული ლიტერატურის მთავარი ღირსება-აზროვნება სახეებით, როცა შინაარსს დიდი სიამოვნებით ეწირებოდა მხატვრული სამოსელი. ბოსლეველის ასეთი შეფასება 80-იანი წლების ქართული ხალხოსნური ლიტერატურისა, უკეთ აღნიშვნა იმისა, თუ რას წარმოადგენდა ხალხოსანთა ხელში მხატვრული სიტყვა, მიუხედავად ბოსლეველის ადგილისა „შრომის“ რედაქციაში, დაყენებული იყო რედაქციის გეზის გარეშე. ამიტომ იყო, რომ ამ გაზეთის რედაქცია თავის შენიშვნაში წერდა: „გამოტეხილი უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი აზრი ამ საუკუნის მეორე ნახევარში, ახლად აღორძინებულ ქართულ ლიტერატურაზედ ცოტათი განსხვავდება იმ შეხედულებისაგან, რომელიც ამ ფელეტონად დაბეჭდილს სტატიაშია გამოთქმული[1]. „შრომის“ რე-

---

[1]. „შრომა“, 1882 წ., № 41. სარედაქციო შენიშვნა ფელეტონის პირველი სვეტის ქვემოთ. რედაქციას თავისი აზრი ცალკე აღარ გამოუთქვამს.

დაქციის ასეთი გამიჯვნა მთავარი თანამშრომლის აზრისაგან 80-იანი წლების ქართული ლიტერატურის ხასიათის განსაზღვრისას, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. გამოსაყენებელი ბოსლეველის განწყობილების დასახასიათებლად. „იმედს". როგორც თავისი დროის ლიტერატურის ნაყოფს, ბოსლეველი ახასიათებდა დღენაკლულ „დიაკვნური პერიოდის" პირმშოდ და სხვ. რამდენჯერ ავხედ-დახედეთ, ავიღ-დავიღეთ, მაგრამ ერთხელაც ვერ ვუნახეთ საზოგადოებისაგან საყურაღებო მხარე, ერთხელაც ვერ შევნიშნეთ იმისთანა რამ რაზედაც თვალი შეგვეჩერებინა და ამ შეჩერებასთან ერთი იოტის სარგებლობა მაინც გამოგვეტანოს. ყველგან რაღაც უაზრო კალმის თამაში ვიღაც ტვინწართმეულების, კოტოშებისა, ტატალებისა და მისთანათა. ყველგან სრული დღენაკლულობა, აზრთა და ცნებათა აღრევა. სასაცილო ის არის, რედაქცია თავის მოუმზადებლობით, უმეცრებით ამაყობს კიდეცა ემკლავება ვიღაცას, თითქოს იმასაც ძარღვებში სისხლი უდუღდეს"[1].

ბოსლეველს „კრიტიკულ მიმოხილვებში" გაანალიზებული აქვს თანამედროვე მწერალთა თხზულებები, რომელნიც „ივერიაში" იბეჭდებოდა. ამ შეფასებებში, ისე როგორც ლიტერატურულ ეპოქათა მიმოხილვებში, ბოსლეველი ბევრ საინტერესო მოსაზრებას აყენებდა, რაჩენადაც იგი ლიტერატურულ ფაქტებში საზოგადოებრივი ცხოვრების გამოვლინებას ჰვრეტდა პირველ რიგში. თავისი თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა მას შეფასებული ჰქონდა იმდენად, რამდენადაც იგი ქვეყნის პირველი რიგის საკითხებს აყენებდა, თუ რამდენად ეხმარებოდა ლიტერატურის ეს ფაქტები საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობისა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლას, რამდენად უპასუხებდა ლიტერატურა თანამედროვეობის აქტუალურ თემებს.

ბოსლეველი მხატვრულ ნაწარმოებს მთლიანობაში განიხილავდა. მას აინტერესებდა იდეა და მისი მხატვრული სამოსელი, მწერლის ნოვატორობა როგორც შინაარსის, ისე ფორმის თვალსაზრისით.

ქართველ რომანტიკოს მწერალთაგან „ივერიაში" იბეჭდებოდა ვახტანგ ორბელიანის თხზულებები. ბოსლეველი ვახ. ორბელიანს

---

[1] „საუბარი ჟურნალს" იმედზედ, ნაწერები, გვ. 265.

საკვირველ პოეტს უწოდებდა, რადგან, კრიტიკოსის შეხედულებით, ამ პოეტის ლექსებში მშვენიერ და მიმზიდველ პასაჟებთან ერთად იყო აგრეთვე მეორეხარისხოვანი, მხატვრულად დაუმუშავებელი ადგილები, რომელნიც ნაწარმოების თემის განვითარებას ხელს არ უწყობენ და ზედმიწერილ ნაწილებად ჩანანო. ბოსლეველი ვახ. ორბელიანს, ნაცად პოეტს ღირსეულად მიუზღავდა, რომ მას შესანიშნავად შეუძლია მოძრავი, ცოცხალი ბუნების აღწერა, რომ მის ლექსებში ჩანს როგორც პოეტური შემოქმედების, ისე ასაწერი სურათებისა და მოვლენების დინამიურობა, მაგრამ, ნაწარმოებში (ბოსლეველი მსჯელობდა პოემა „ობოლზე“) მთავარი თემა მეორე ადგილზეა და წინა პლანი კი უჭირავს თემის განვითარებისათვის უაქტიურ აღწერებსო. შოთა რუსთაველის თემა, ბოსლეველის აზრით, საკმაოდ მდიდარია. განსაკუთრებით მდიდარია ხალხური გადმოცემები, ფოლკლორი, რაც პოეტური შემოქმედებისათვის შეიძლებოდა დაულეველ წყაროდ გამოყენებულიყო. ვახ. ორბელიანს, კი მხცოვანსა და სახელმოხვეჭილ პოეტს, მთავარი თემისათვის საჭირო მასალა შესაფერად და უხვად ვერ გამოუყენებია და ამიტომ თემის განვითარებას დინამიურობა არ გააჩნიაო[1]. ლექსის ზოგი ნაწილის პოეტურობა, სრულყოფილობა და სიმძლავრე სრულიადაც არაა საკმარისი იმისათვის, რომ ნაწარმოები მთლიანის შთაბეჭდილებას ტოვებდეს. გარდა ძირითადი და მეორე ხარისხოვანი ამბების ურთიერთ დაკავშირებისა ნაწარმოებში, ბოსლეველი მსჯელობდა აგრეთვე თხზულების თემის შერჩევასა და მნიშვნელობაზე. ვახ. ორბელიანს ბუნების მიერ შექმნილ პოეტად თვლიდა, მაგრამ მისი შემოქმედებითი მეთოდი თავისი დროისათვის შეუფერებლად მიაჩნდა. ბოსლეველის აზრით, არის ნაწარმოები, რომელიც სიამოვნებით წაიკითხება, იგი მხატვრულად გამართულია, ფორმით მიმზიდველი, მაგრამ აკლია თანამედროვეობის შესაფერი აზრი, იდეა არაბუნებრივია და არარეალისტური. ამის დამადასტურებელ მაგალითად მას მიაჩნდა ვახ. ორბელიანის „დედოფალი“, რომელშიც ავტორს ფანტასტიკური სურათი აქვს დახატული სიყვარულის ყოვლად შემძლე ძალისა, რაც მეფეს ქვეყნის ბედნიერებისათვის და ქვეშევრდომთა სიკეთისათვის აამოქმედებს. ნაწარმოებში რომანტიკული

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაწერები, გვ. 189.

პოეზიის სტილშია დახატული მეფე და დედოფალი, ღარიბ ქოხში დაბადებულ ქალს თავისი სილამაზით ისე მოუხიბლავს მეფე, რომ უკანასკნელს სადედოფლო გვირგვინი დაუდგამს მისთვის. ვახ. ორბელიანი ხაზს უსვამდა მომენტს, რომ ხალხის ბედი ხალხის შვილმა კარგად იცის და ხალხისათვის ზრუნვაც მას უფრო შეუძლია, ვიდრე მეფეს. ეს თემა რომანტიკულად ჰქონდა პოეტს გააზრებული და იდეალური მეფისა და დედოფლის სიყვარულის ფონზე ავითარებდა მას.

ბოსლეველისათვის მეფე, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მაინც მეფეა და იდეალური არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მას ვახ. ორბელიანის ამ ლექსის კრიტიკა გამოყენებული აქვს მონარქიზმის დასახასიათებლად: „ამისთანა მეფე-დედოფალი ქვეყანას ბედნიერებას ვერ მისცემს. ტყუილია, რომ მეფე, სანამ კი იგი მეფე იქნება, დათანხმდეს სამუდამოდ ერის შრომა და სიმდიდრე ხელიდან გაუშვას და მასვე მოახმაროს“[1].

რაფიელ ერისთავს ბოსლეველი შეეხო როგორც ი. კრილოვისა და „სიბრძნე-სიცრუისა“-ს იგავ-არაკების გამლექსავს[2]. წერილის დასაწყისში ბოსლეველს ცნობები აქვს მოცემული იგავ-არაკის ჟანრის ისტორიიდან, ჩამოთვლის მსოფლიოს მოიგავე მწერლებს, განმარტავს იგავის ხასიათს, მისი განვითარების უკანასკნელ საფეხურზე, ყურადღებას აქცევს ამ ჟანრის ცხოველ კავშირს სინამდვილესთან და მსჯელობს მის დიდაქტიკურობაზე. სხვადასხვა ეპოქებში ამ ჟანრის ტრანსფორმაციის საკითხთან დაკავშირებით ბოსლეველი წერდა; იყო დრო, როდესაც ფიქრობდნენ ქადაგებითა და ჭკუის დარიგებით ცხოვრებაში სამართლიანობის დამყარებას, ადამიანთა გაკეთილშობილებას, მაგრამ მაშინ ლიტერატურა ნამდვილ ცხოვრებას თვალს არიდებდა და მკითხველი გაუგებარი ოცნების ქვეყანაში გადაჰყავდა. „ეხლანდელის ლიტერატორებისაგან საზოგადოდ და პოეტისაგან კერძოდ ქადაგებასა და ჭკუის დარიგებას კი არ მოითხოვენ, არამედ ნამდვილ ცხოვრების სურათის ხელოვნურად დახატვას, ე. ი. ისე, რომ ყოველი მხარე მისი განათლებული იყოს საკმაოდ, ცუდი ცუდსა ჰგავდეს და კარ-

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაწერები, გვ. 196.

[2] რაფ. ერისთავის მიერ გალექსული „იგავ-არაკნი კრილოვისაგან და „სიბრძნე-სიცრუიდან“, დაიბეჭდა 1881 წელს.

გი კარგს, რომ ამ სურათმა თავის სიცხოველით მნახველის გულში ცუდისადმი ზიზღი აღძრას და კარგისადმი ენებითი ლტოლვილება"[1]. პოეზიის ძალა ჩნდება არა მშრალი მსჯელობით, არამედ სახეობრივი სისტემის მეშვეობით. იგავ-არაკი პოეზიის სახეობაა და მისთვისაც საჭიროა ხელოვნება. ბოსლეველი მომაკვდინებელ ცოდვად თვლიდა პოეტურ ნაწარმოებებში სიტყვისა, ფრაზისა თუ აზრის ზედმეტობას, მით უმეტეს, თუ რომელიმე მათგანი გამოყენებული იქნებოდა ლექსის ზომისათვის, რითმისათვის.

რაფ. ერისთავმა წიგნის წინასიტყვაობაში შემდეგი თქვა: „...გამოვკრიბე მათგან (კრილოვის თხზულებებიდან — ს. ხ.). ორმოცი ისეთი იგავ-არაკი, რომლებიც უფრო დაუახლოვდებოდნენ ჩვენი ხალხის ნაკლოვანების სურათებს და უფრო გამოიხატებოდნენ ქართულს ენაზე, მშვენართ და მდაბიოთ, ზოგი მათგანი გადავთარგმნე და ზოგი გადავაკეთე . . . " მთარგმნელს, მიუხედავად ამ მიზნის ნაწილობრივი მიღწევისა, მაინც არ ჰქონდა კრილოვისეული ლაპიდარობა გადმოცემული[2]. ეს არ გამორჩა ბოსლეველს, ამიტომაც ამბობდა იგი: „იგავ-არაკი თავის უმცირესის თვისებებით, როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც იგავ-არაკად უნდა დარჩეს თარგმანშიც". იგავ-არაკის მოკლე, მარტივ შინაარსს შესაფერი გამოთქმაც უნდა ჰქონდეს — მოკლე, სხარტი და მარტივი. სწორედ ეს მოკლედ ნათქვამი გაიკვლევს იოლად გზას მკითხველამდე და დატოვებს კვალსაც. რაფ. ერისთავს კი აუარებელი სიტყვები და ფრაზები ჰქონდა ნახმარი კრილოვის აზრის გადმოსათარგმნელად და გადმოსაქართულებლად.

ბოსლეველის კრიტიკაში მნიშვნელოვანია ის ნაწილი, რომელიც შეეხება კრილოვის ერთი იგავ-არაკის „Лягушки, просящие царя"-ს თარგმნას. ცნობილი იგავ-არაკი რაფ. ერისთავს უნაკლოდ ჰქონია ნათარგმნი, არც აზრი და არც ფორმა არ იყო დაკლებული. სწორედ იგავ-არაკის აზრს გამოუწვევია კრიტიკოსის აღშფოთება, მით უფრო, რომ რაფ. ერისთავს წინასიტყვაობაში ეწერა, — ვეცადე ქართული ცხოვრების შესაფერი თხზულებები გადმომეთარგმნაო. ბოსლეველი

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა", ნაწერები, გვ. 239.

[2] კრილოვის იგავ-არაკების ქართულად თარგმნაზე იხ. ანა ჩხეიძე „კრილოვი ქართულ ლიტერატურაში", 1945 წ.—რაფიელ ერისთავი, როგორც კრილოვის მთარგმნელი.

ამ იგავ-არაკის თარგმანზე წერდა: ჩვენ არ გვესმის, თუ რატომ გადმოთარგმნა რ. ერისთავმა იგავ-არაკი „ბაყაყები, მთხოვნელი მეფისა“. არ გვესმის, თუ რატომ ურჩევენ ბაყაყებს, რომ დაემორჩილონ თავის მტარვალს წეროს?“

ცალკეული მწერლის რომელიმე თხზულების გარჩევისას ბოსლეველი სარგებლობდა და მსჯელობდა მხატვრული შემოქმედების პრინციპულ საკითხებზე და მწერლის შემოქმედების ანალიზსაც იძლეოდა. ამრიგად აქვს გამოთქმული მას შეხედულება ალ. ყაზბეგის ნაწერებზე. 1883 წლის „ივერიის“ პირველი ნომრის მიმოხილვისას მან რამდენიმე აზრი გამოთქვა ყაზბეგის შემოქმედებაზე საერთოდ და კერძოდ ჟურნალში დაბეჭდილ პატარა მოთხრობა „ციკოზე“. ალ. ყაზბეგის თხზულებებში ბოსლეველს მოსწონდა ქართველ მოხევეთა ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების, ძველ წესთა ვაჟკაცურად დაცვის, სიყვარულის გრძნობის მოცემა. მწერლის მთავარ დამსახურებად მიაჩნდა ადგილობრივი ადმინისტრაციის, მოხელე-მოსამართლეების, მებატონეებისა და გამვლელ-გამომვლელი ჯარის უფროსების უსამართლო და დესპოტური მოქმედების აღწერა. ბოსლეველს შენიშნული ჰქონდა აგრეთვე მწერლის შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი მოტივი — სამშობლოს სიყვარული.

ბოსლეველი, ალ. ყაზბეგის შემოქმედებაზე საერთოდ მხოლოდ ერთ საყვედურს გამოთქვამდა და ერთ ნაკლზე მიუთითებდა, რაც, კრიტიკოსის აზრით, მწერლის შემოქმედებას სქემატიურობის ელფერს აძლევდა. ბოსლეველი აღნიშნავდა, რომ ალ. ყაზბეგის ყველა თხზულების თემა იყო სიყვარული, — მოხევეთა ცხოვრება სიყვარულის პრიზმაში არის დანახულიო. „სიყვარული — წერდა ბოსლეველი, — საზოგადოდ რომანისტების საყვარელი საგანია. პოეზიის ნაწარმოები რომ ამ გრძნობაზედ არ იყოს აგებული, ძნელი წარმოსადგენია ზოგიერთებისათვის, ზოგიერთებს შეუძლებლად მიაჩნიათ და განსაკუთრებით ახლად ფეხადგმულ რომანისტებს. ბატ. მოჩხუბარიძე სწორედ ამ მწერალთა დასს ეკუთვნის“[1]. ბოსლეველი ამჩნევდა, რომ ალ. ყაზბეგი, მიუხედავად ცხოვრების სინამდვილის ასახვისა, განსაკუთრებული წარმოდგენისა იყო მოხევე-მთიელებზე. მათი თითოეული ნაბიჯი განსაკუთრებული სიყვარულით ჰქონდა დახატული, მათი სიტყვა, ურთი-

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაწერები, გვ. 222.

ერთ დამოკიდებულება შონდომებით იყო გამოყვანილი ნაწარმოებებში. კრიტიკოსი ამჩნევდა იმასაც, რომ მწერალი მოქმედ პირებს ორ ჯგუფად ანაწილებდა, ურთნი იდეალური ხასიათისანი იყვნენ, სიკეთის, ბედნიერების, სიხარულის, საღი გრძნობებისა და ვაჟკაცობის მატარებელნი, მეორენი კი გარეწარნი, უსინდისონი, წეს-ჩვეულებათა შემგინებელნი. კრიტიკოსის სრულიად მართებული აზრით, მწერალი შესანიშნავად ფლობდა მოხევეთა კილოს გადმოცემის ხერხს, ჰქონდა უნარი ლაზათიანი ენით მოთხრობის დაწერისა. რომ მის თხზულებებში იყო ბრწყინვალე ადგილები, ბუნების სურათების აღწერანი, რაც მწერლის პოეტური ნიჭისა და შემოქმედებითი ფანტაზიის სიუხვეს ადასტურებდა. „თუნდ გამოჩენილის ხელოსნის სამხატვრო კალამიც არ შერცხვება ამ სურათის პირდაპირ ტილოზე გადატანით-"ო — წერდა იგი. ბოსლეველს მიაჩნდა, რომ ყაზბეგის გმირები ბუნების სურათებთან ორგანულ კავშირში არ იმყოფებოდნენ. კრიტიკოსი მიუთითებდა მწერალს — თავი აერიდებინა წინასწარ აღებული აზრისაგან, თუკი სურდა მას ქართულ ლიტერატურაში დაეჭირა ღირსეული ადგილი. მხატვრული გემოვნება, ბუნების აღქმის ნიჭი და ენა თუ ხელს უწყობს შემოქმედს, საჭიროა მხოლოდ კალმის ფართედ მოსმა, თითოეული ადამიანის კარგად დანახვა, ადამიანებში კარგი და ცუდი მხარეების შემჩნევა და გამორჩევა. „ლიტერატურული ტიპი, წინა პორტრეტი, ყოველთვის დაშორებული იქნება ნამდვილზედ თუ იგი უზადო კეთილს წარმოადგენს და ან შეუდარებელს ბოროტსა. ამგვარად დახატული ტიპი ვერც იმ საგანს მიაღწევს, რომლისთვისაც იგი გამოანგარიშებულია ავტორისაგან, ე. ი. მკითხველს ბოროტს ვერ შეაზიზღებს და კეთილს ვერ შეაყვარებს, რადგან მკითხველი ძალიან ადვილად იგრძნობს ამგვარის ტიპის სიცრუეს"[1].

მწერლის მიერ სიყვარულის მოტივის წინა პლანზე დაყენება ყველა მოთხრობაში ბოსლეველს სინამდვილის ასახვის ღალატად მიაჩნდა. მოხევეთა ცხოვრების ცალმხრივად აღწერა, ე. ი. მოხევეები მხოლოდ მებრძოლნი, მხოლოდ სიყვარულით გატაცებულნი, მამაპაპეულ ჩვეულებათა დამცველნი — არ აკმაყოფილებდა კრიტიკოსს. იგი მწერალს თხოვდა დაეხატა მოხევეების წუხილი, მათი ნამდვილი სუ-

1. „კრიტიკული მიმოხილვა", ნაწერები, გვ. 222.

რათიც, სამეურნეო ყოფა-ცხოვრება. „ბ. მოჩხუბარიძის მოხევეები სწორედ რომ მარტო სიყვარულისათვის არიან დაბადებულნი. თითქო სხვა აღარაფერი არა ჰქონდეთ რა ქვეყანაზედ. მერე რაგვარი სიყვარული სცოდნიათ ამ უცნაურს მთიელებს?! მოავლებენ თვალს ერთმანეთს და გათავდა. შეუყვარდებათ ერთმანეთი ისეთი სიყვარულით, რომ ღმერთმა კი შეარცხვინოს მათ სიყვარულთან რომეოსა და ჯულიეტას სიყვარული... ჩვენ ურჩევთ ბატ. მოჩხუბარიძეს, რომ შეყვარებულ ყმაწვილ კაცებს თავი დაანებოს და გამოიყვანოს გმირებად დაცოლშვილიანებულები, რომელთაც, ვარდბულბულიანობა კარგა ხანია განუცდიათ. ჩვენ გვგონია, რომ ამგვარის გმირების საშუალებით უფრო გულმოდგინედ და დაწყნარებით გაგვაცნობს იგი მოხევეების საზოგადოებრივ ცხოურებას, მათს დარდსა და ვარამს, მათს აზრსა და შეხედულებას ქვეყნიერებაზედ“[1].

ბოსლეველის შენიშვნებში ბევრი რამ მართებული იყო.

საყურადღებოა ბოსლეველის აზრი ეკ. გაბაშვილის შემოქმედებაზედ. მან შეფასება მისცა მწერალი ქალის ერთ მოთხრობას — „კონას“, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ივერიაში“ 1882 წლის იანვრის ნომერში.

ამ დროისათვის ბოსლეველს ქართველი გლეხობის ეკონომიურიურიდიული მდგომარეობა საკმაოდ მნიშვნელოვნად შესწავლილი და დამუშავებული ჰქონდა. ამის გამო მოთხრობის შინაარსი მას ორიგინალურად და ახალ, საინტერესო მიღწევად აღარ მიაჩნდა. კრიტიკოსი მწერალს უსაყვედურებდა მოთხრობის ზოგიერთი პერსონაჟის უფეროულობას, კერძოდ ალექსანდრე გოგრაშვილისა. იგი წერდა: „ავტორს გამოჰყავს ერთი ვიღაც მასწავლებელი გოგრაშვილი, მაგრამ იგი ისე უფერულია, რომ არა თუ ტიპს, უბრალო პორტრეტსაც არ წარმოადგენს, თუნდ იმისთანას, როგორიც არის ბ. ცაველის ვანო“[2]. ცხადია, ეკ. გაბაშვილის მოთხრობაში ორიოდე ადგილზე დასახლებული ალექსანდრე გოგრაშვილი არც პორტრეტია და არც, მით უმეტეს, ტიპი. ეკ. გაბაშვილს არც უცდია ამ მოთხრობაში გოგრაშვილი ტიპად გამოეყვანა. იგი მხოლოდ იმდენად არის მოხსენებული და გამოყვანილი

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა,“ ნაწერები, გვ. 222.

[2] იქვე, გვ. 189.

ნაწარმოებში, რამდენადაც მასთან ურთიერთობა ჰქონდა ლევან თავბრუიძისა და კონა ახალკაცის დაახლოების საბაბით. ალექსანდრე გოგრაშვილის მიზანი მწერალს უფრო მსჯელობით ჰქონდა ნაჩვენები და არა მოქმედებაში აღწერილი.

ბოსლეველს კარგად ჰქონდა შემჩნეული, რომ ეკ. გაბაშვილის თხზულების ზოგიერთი ადგილი, გმირთა ურთიერთობა და სხვანი ილია ჭავჭავაძისებური იყო. ბოსლეველი აღნიშნავდა ეკ. გაბაშვილის „კონაში“ გმირთა ხასიათის მთლიანობას, რეალური ყოფის მხატვრულ ასახვას, თხზულების ენის ვამართულობასა და თავისებურობას. აღნიშნული ჰქონდა აგრეთვე პოეტურ სურათების სიმრავლე. ყველაზე მნიშვნელოვანი ბოსლეველის შეხედულებებში იყო ის, რომ იგი მწერალს გლეხობის იდეალიზაციას, გლეხობის ცხოვრების ხალხოსნური განწყობილებით შეფასებას შენიშნავდა. რომ გლეხი მხოლოდ სიკეთის, სათნოების, პატიოსნებისა და სხვა კეთილ თვისებათა მატარებლად იყო გამოსახული. ეს ბოსლეველს სქემატურობად მიაჩნდა და ამიტომაც მწერლის საყურადღებოდ წერდა, რომ ამ სახით რაიმე მოვლენის თუ ფაქტის გამოხატვა შედეგია ან ცხოვრების უცოდინარობის, ან ცალმხრიობის, ანდა სენტიმენტალური დამოკიდებულებისა გლეხობის ცხოვრებისადმი. სქემატიურობის ნიშნად კრიტიკოსს მიაჩნდა აგრეთვე გმირების ხასიათის მაჩვენებელი გვარები. ეს ხერხი მას ერთობ მოძველებულად და უაზრობად მიაჩნდა.

ბოსლეველის კრიტიკულ წერილთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ განხილვა, გამოქვეყნებული გაზეთ „შრომაში“ 1883 წელს (№ 18). ბოსლეველი სრული სერიოზულობით მიუდგა ილია ჭავჭავაძის ამ თხზულების ანალიზს, რადგან მას საქმე ჰქონდა ისეთ მწერალთან, რომლისგანაც შექმნილი მხატვრული სახეები ყოველთვის სანიმუშოდ მიაჩნდა, არა მხოლოდ 60-იანი წლებისთვის, არამედ მთელი ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის. ამიტომ გრძნობდა იგი დიდ პასუხისმგებლობას ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ერთ ფაქტზე აზრის გამოთქმისას.

„განდეგილი“ ისეთი ნაწარმოები იყო, რომელიც უცბათ იპყრობდა მკითხველის ყურადღებას და თავიდანვე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. იგი ყველასათვის დასანახი მოვლენა იყო ქართულ ლიტერატურაში და ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ქართული ლიტერატუ-

რის ბევრმა კრიტიკოსმა ყურადღება მიაქცია პოემას. „განდეგილი" მწვერვალი იყო, რომელიც ყოველი მხრიდან ჩანდა. ამ პოემის ირგვლივ კრიტიკა არ დამცხრალა შემდეგ ათეულ წლებშიც და მრავალი საყურადღებო შეხედულება იყო მის ირგვლივ გამოთქმული. ამ შეხედულებაში ჩანდა ილია ჭავჭავაძის ძლიერება ქართული აზროვნების განვითარებაში. ამასთანავე თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ და მიდრეკილებამ. ნაწარმოების ბევრი შემფასებელი საკუთარი თვალთახედვიდან გამომდინარეობდა და ხშირად როგორც დამოუკიდებელ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან გამოცალკევებულ ნაწარმოებს განიხილავდა პოემას. მასში პოულობდნენ იდეის ნაკლოვანებას, ავტორის აზრისა და შეხედულებათა ცვალებადობის დასაწყისს, თუ უკვე მიმართულება შეცვლილ შეხედულებას, და სხვა პოემის სიდიადით გატაცებულნი ხშირად ივიწყებდნენ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობასა და მხატვრული აზროვნების მთლიანობას და პოემას მწერლის შემოქმედების კონტექსტში არ იხილავდნენ. ვერ პოულობდნენ „განდეგილის" იდეის საწყისს, თვით ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში; ვერ პოულობდნენ იმ ძირს, რომელზეც ილია ჭავჭავაძის შეხედულებები იყო ამოზრდილი, ვერ აგნებდნენ იმ ფორმულას, რაც ილია ჭავჭავაძემ ნიკო ბარათაშვილისაგან გაიზიარა და უნიჭიერესად გაიაზრა წინამორბედის შემდეგი სიტყვები:

> არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
> იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს...

ბოსლეველი ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსთაგანი იყო ილია ჭავჭავაძის „განდეგილისა".

წერილში ბოსლეველი საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს ილია ჭავჭავაძის შემოქმედების დასაწყის ეპოქას, რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმდინარეობას, იმ დიდ საზოგადოებრივ მოძრაობას, რომლის მონაწილენი იყვნენ ქართველი ახალგაზრდები პეტერბურგში, 60-იან წლებში. კრიტიკოსი შემდეგ სრულიად მართებულად, ქართველი ახალგაზრდობის სამშობლოში დაბრუნებასა და მათ მიერ დაწყებულ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობას აფასებს და განსაზღვრავს იმ ადგილს, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ეჭირა 60-იანი წლების მოძრაობაში. ბოსლეველი ჭავჭავაძეს თვლის

ქართველი ახალთაობის უპირველეს წევრად. ხოლო მის მხატვრულ შემოქმედებას — ქართული ლიტერატურის აღორძინებად მიიჩნევდა კრიტიკოსი ხაზს უსვამდა ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ მოღვაწეობას 60-იან წლებში, აღნიშნავს მის დიდ ღვაწლს ქართული სალიტერატურო ენის რეფორმაში და ქართველი საზოგადოების მოქალაქეობრივ გრძნობის გაძლიერების საქმეში.

ილია ჭავჭავაძის თაობის მოღვაწეების დახასიათებისას, ბოსლეველი მსჯელობს ბატონყმობის ეპოქის ხასიათზე, რაც გამოყენებული აქვს თავისი დროის შეფასებისათვის. საგლეხო რეფორმების შემდეგ-დროინდელი პერიოდის ხსენებისას, ბოსლეველი განმარტავს ამ ეპოქის ხასიათს — როგორც ორი შეხედულების დაპირისპირების ეპოქას, როცა ახალი საზოგადოებრივი აზრი ამოქმედდა და როცა ლიტერატურის საშუალებით საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა ანალიზის ინტერესი წარმოიშვა ძველი შეხედულებებისა და იდეოლოგიის საპირისპიროდ. „ლიტერატურის საშუალებით, — წერდა ბოსლეველი. — მთიდან გადმოვარდნილს ნაკადსავით მოასკდა რუსეთის ცხოვრებას ახალი აზრები, ახალი შეხედულება ქვეყნიერებაზე, საზოგადოების წოდებათა, წევრთა დამოკიდებულებაზედ და მოქალაქის დანიშნულებაზედ. ამ ლიბერალურმა გაცხარებულმა მოძრაობამ რუსეთის ცხოვრება. რასაკვირველია ძირითადად ვერ შესცვალა, რადგან ამას დიდი დრო სჭირდებოდა, მაგრამ ეს კი ჰქნა მაინც, რომ აღზარდა ახალს აზრებში და გაწვრთნა ბრძოლისათვის ამ აზრების გასატარებლად და განსახორციელებლად რეალურს ცხოვრებაში მთელი დასი მოღვაწეთა, რომელნიც ერთი ენით ალაპარაკა, ერთი წადილითა და მისწრაფებით აცხოვრა და ერთის საქმისათვის აუტოკდა გული და მაჯის ცემა“...

ახალი აზროვნებით შეიარაღებულთა და სიძველის მოტრფიალეთა შორის ატეხილ დავას 60-იან წლებში, ბოსლეველი მიიჩნევდა როგორც ორი იდეოლოგიის და მრწამსის დაპირისპირებას, სამშობლოს სიყვარულის ორგვარ გამომჟღავნებას. ძველი თაობის შეხედულება — „ვაი საბრალოს, ჩვენს საქართველოს, თქვენ დაეხადეთ მას სადიდებლად“, იყო სამშობლოსადმი თავისებური სიყვარულის გამოთქმა, სიყვარულისა, რომელიც აიდეალებს სამშობლოს წარსულს.

ილია ჭავჭავაძის თაობა სამშობლოს ამგვარ სიყვარულს დაუპი-

რისპირდა სხვაგვარი გრძნობით, რაც ილია ჭავჭავაძემ გამოხატა თავისი შემოქმედებით.

60-იან წლებში შექმნილი მხატვრული ნაწარმოებებით ბოსლეველს ილია ჭავჭავაძე მიჩნეული ჰყავს ჰუმანური აზრების გამავრცელებლად, ქართულ ლიტერატურაში ახალი ხანის დამწყებად, ეროვნულ ცხოვრებაზე აღმოცენებულ ორიგინალურ. ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებლად.

ილ. ჭავჭავაძის დიდი როლი ქართული ლიტერატურის წინ წაწევაში ბოსლეველის აზრით ის იყო, რომ ბატონყმობის გადავარდნამდე ქართულ მწერლობაში მან გაავრცელა რევოლუციური. აზრები. ლიტერატურა ეროვნულ ნიადაგზე დაამყნო, რაც შედეგი იყო დიდი ჰუმანიურობისა და ეპოქის უპირველეს მოთხოვნილებათა გათვალისწინებისა და შეგნებისა.

ბოსლეველის განმარტებით ილ. ჭავჭავაძის პირველი პერიოდის შეშოქმედება, ბატონყმობის გადავარდნამდე, აქტუალური, რეალისტური, სოციალური მოტივებით აღსავსე მებრძოლი იყო. მისი მეორე პერიოდი დაიწყო საგლეხო რეფორმების გატარების შემდეგ. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ამგვარად დაყოფით ბოსლეველი ფიქრობდა, რომ ქართველი სამოციანელი პოეტი დაკმაყოფილდა მთავრობისაგან ჩატარებული ცვლილებებით, რომ იგი ჩათვალა მიღწევად და საბოლოო სიტყვად და ამიტომაც მისი შემოქმედებითი სიძლიერე შენელდა, მოდუნდა იდეურად, რადგან აღარ იყო წინააღმდეგობა და აღარ იყო ბრძოლის საჭიროება; თუმცა პოეტური სიტყვის ძალა და გამოხატვის უნარი მას კვლავინდებურად მძლავრი შერჩა, ილია ჭავჭავაძის სახელის შესაფერი. „...ილ. ჭავჭავაძემ,—წერდა ბოსლეველი,—თითქოს ვეღარ იპოვა გარშემორტყმულს ცხოვრებაში საგანი თავისი პოეზიისათვის და მიაწვა ისტორიას". მან შექმნა ამ დროს „დედა და შვილი," „მეფე დიმიტრი თავდადებული", რომლებშიაც, — განაგრძობდა ბოსლეველი, თავისი ნიჭის საკადრისად გამოხატა თავდავიწყებული სიყვარული ჩვენი წინაპრებისა და სამშობლოსადმი. ილია ჭავჭავაძის ამ პერიოდის შემოქმედება, ბოსლეველს დახასიათებული აქვს როგორც წარსულით დაინტერესებისა და წარსულისაკენ მობრუნების პერიოდი. პოეტი ამ დროს ცდილობდა მამა-პაპათა საფლავებიდან ამოეღო წმიდა ცეცხლი და წინაპართა გულის ალიო.

„განდეგილის" იდეის განმარტებამდე ზოგადი მოსაზრებების გა-

მოთქმის შემდეგ, ბოსლეველმა განავითარა შეხედულება ილია ჭავჭავაძის შემოქმედების 80-იანი წლების პერიოდზე, მიუხედავად მაღალი პოეტური შესაძლებლობისა, მიუხედავად იმისა, რომ „ჩვენს მწერლობაში ილ. ჭავჭავაძე თითქმის ერთადერთი პოეტია, რომელსაც ცხოვრების განცალკევებულ მოვლენათა შეკრება, მათში შინაგანის კავშირის გამოძებნა და მათგან ერთის სახტიკად განსაზღვრულის ტიპთა სურათის გამოჭანდაკება შეუძლიან“, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება მას მასალას აძლევს შემოქმედების აქტუალობისათვის, პოეტი მაინც ჩამორჩა ცხოვრების მოთხოვნილებას. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ასეთი ეტაპის დასაწყისი სწორედ „განდეგილიაო“ — ასკვნიდა კრიტიკოსი.

ბოსლეველი აღფრთოვანებული იყო „განდეგილში“ ჩაბნეული ბრწყინვალე პოეტური აზრებითა და სურათებით, განდეგილისა და მწყემსი ქალის სახეთა გამოკვეთილობით, ორი ადამიანის ინტერესთა დაპირისპირების ოსტატურად ჩვენებით, მათი სულიერი თუ ხორციელი ძლიერების გამოხატვით, ბუნების ზვიადი სურათების აღწერით. ხორციელ ვნებათა და სულიერი აღტყინების ნათლად წარმოდგენით. „ყველაფერი ეს მოსალოდნელია მხოლოდ ღვთისაგან ცხებულის პოეტისაგან“ — წერდა ბოსლეველი. „ჩვენ რომ ეს პსიხოლოგიური მომენტი გარდავსცეთ მკითხველს და აგრეთვე ის, თუ რა სულიერი ტანჯვა გამოსცადა განდეგილმა, როდესაც თავის გულისთქმა მომაკვდინებელ ცოდვად და ღვთის გმობად აღიარა, ხუთი-ექვსი თავი უნდა ამოვსწეროთ პოემიდგან. ეს შეუძლებელია და რამდენიმე მარგალიტს კი ამოვიღებთ . . . “

„განდეგილის“ ბუნების სურათები, პოეტური მღელვარების სანაქებო გამოთქმა, ბოსლეველის აზრით, მაინც არ იყო საკმარისი, რომ პოემის იდეური არსი თანამედროვეობის შესატყვისად გადაქცეულიყო. ეს ნაწარმოები ბოსლეველმა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ფსიქოლოგიური პერიოდის დასაწყისად მიიჩნია, რაც, მისი შეხედულებით, იმას ნიშნავდა რომ პოეტმა ცხოვრებისეულ საკითხებს თავი მიანება და ხელი აიღო. „თითქოს თვითონ ცხოვრებასაც შესწყრა და და მის ავსა და კარგს გვერდი აუქცია“ — წერდა ბოსლეველი. ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ეს პერიოდი და „განდეგილი“ ბოსლეველმა დაუახლოვა და დაუნათესავა ბარათაშვილისებურ დალონებულ კილოს, ნაღვლიანი გულის ცემას, მუხთალი სოფლისადმი ჩივილს, ცრუ სო-

ფლის მოძაგებას, სულიერ ობლობას, მწირობასა და მიუსაფრობას. დაუახლოვა და დაუკავშირა აგრეთვე გრ. ორბელიანის უდროოდ მწარ დამწყნარსა და უდროოდ დაბერებული ადამიანის გრძნობას, რომელსაც „ხვალე აღარ სწამს" და ოხვრით ჰვრეტს ფუჭად წარსულ დროს. კრიტიკოსმა პოეტის შემოქმედების ეს პერიოდი აღიარა ტიპიურ გამოხატულებად, პრინციპულ ჩვენებად სულიერი ობლობისა და მუხანათი სოფლის უარყოფისა. ილ. ჭავჭავაძე, „განდეგილის" შემქმნელი ბოსლეველმა პესიმისტების წყებაში, უკიდურესად იმედდაკარგულ ადამიანებში ჩათვალა. „ამ შეხედულებასთან, — წერდა ბოსლეველი და გულისხმობდა პოემის მესამე თავს — „ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს . . . ," — ღმერთმა შეარცხვინოს თვითონ ბაირონის აზრიც, რომელსაც ბუნება იმდენად მშვენიერად და სრულად მიაჩნდა, რამდენადაც ადამიანი მდაბლად და ბოროტად".

ბოსლეველს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ 80-იან წლებში შეიძლებოდა პოეტს ასეთი განწყობილება გასჩენოდა, მაგრამ მებრძოლი ტრადიციის მქონე შემოქმედისაგან ამგვარი განწყობილების გამოხატვა მაინც არ მიაჩნდა იდეურ წინსვლად და გამარჯვებად. „ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ჩვენმა ნიჭიერმა პოეტებმა რეალურს ცხოვრებას, როგორც ერთს რაიმე ჭირიანს, თვალი აარიდეს და განსვენება უძიეს „განდეგილისთანა" პოემებში . . . ჩვენი ლიტერატურა თუ ამ გზას დაადგა, უკანა რიცხვით ლაპარაკს თავის დღეში ვერ აცილდება..."

სამწუხაროდ, ილია ჭავჭავაძეს თავისი მხატვრული შემოქმედების კრიტიკოსებისათვის პასუხი არასოდეს გაუცია.

რასაკვირველია, ბოსლეველი ილია ჭავჭავაძის ამ ნაწარმოების გარჩევისას აჩქარდა, არ დაუცადა გონებით ჭვრეტას, ვერ ჩასწვდა პოემის სილრმეს, ვერ შეაფასა იგი როგორც პოეტის საერთო მსოფლმხედველობის შედეგი. „განდეგილში" კრიტიკოსმა დაინახა უსასოობა და არა ის, რომ პოემის მესამე თავი, რომელიც მას უკიდურესი უიმედობის ნიმუშად ჰქონდა დასახელებული, არ იყო ილიას იდეალი, არ იყო მისი მსოფლმხედველობის არსი, რომ ეს იყო ბრწყინვალე პოეტური ხერხი მწირის სახისა და ხასიათის გამოსახატავად, რომ სწორედ ასეთი ილიამ მიმართა ამ ხერხს მწყემსი ქალის ხასიათის ჩამოსაქნელად, რომელშიც მიწიერი ცხოვრების სიყვარულისა და ბედნიერების აპოლოგია მოგვცა.

ბოსლეველი ცალმხრივი აღმოჩნდა „განდეგილის" შეფასებისას,

მან მხოლოდ ერთ მხარეს მიაქცია ყურადღება, ხოლო მეორე სრულიად გამორჩა, ან გამოტოვა. ასეთი რამ მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი როცა ადამიანი საკითხს წინასწარ განზრახული აზრით მიუდგება.[1]

ბოსლეველმა ილია ჭავჭავაძის ამ ნაწარმოებში ვერ დაინახა ავტორის დამოკიდებულება პოემის პერსონაჟებთან. მართალია მეუდაბნოე ჰკვეთრად ჩამოყალიბებული ხასიათის მქონეა, მისი მტკიცე გადაწყვეტილება ილიას პოეტური ექსპრესით აქვს გამოხატული პერსონაჟის გარეგნობითა და შინაგანი არსის გადმოცემით, მაგრამ, სრულიად გარკვეულად ილია ჭავჭავაძე არ თანაუგრძნობს ისეთ ადამიანს, რომელიც განშორებია ამ წუთისოფელს, საკუთარი სულიერი ცხოვრების გარსი შემოუხვევია, დაუვიწყებია დაცა და ძმაცა. არავისი ჯავრი განდეგილობაში არ გამოუყოლებია, ჩაკეტილა გამოქვაბულში და ხორცი სულისთვის უწამებია. ბოსლეველმა, მიუხედავად იმისა, რომ განდეგილი მონუმენტური სახეა, ვერ შენიშნა, რომ ავტორის გულისყური არ იყო მიქცეული განდეგილობისა, ასკეტიზმისა. ნამდვილი, მრავალფეროვანი ცხოვრების უარყოფისაკენ. რაოდენ ზეიადად დახატა პოეტმა განდეგილის მიერ შექმნილი ყოფა, მაგრამ რაოდენ ხელოვნური, ძალად დაჩყარებული და სრულიად უსაფუძვლო იყო იგი. ილია ჭავჭავაძე ვერ გააღმერთებდა, იდეალურად ვერ დასახავდა განმარტოებულ ცხოვრებას, რადგან მან თავისი გმირები მტკიცედ დაუკავშირა ცხოვრების ნაირფეროვნებას. შეუძლებელი იყო ილია ჭავჭავაძეს რადიკალურად შეეცვალა შეხედულებანი და 80-იან წლებში განდეგილობის, ცხოვრებიდან გასვლის აპოლოგეტად ქცეულიყო. იმდენი ძალა და მიმზიდველობა მისცა მიწიერი ცხოვრების შვილს პოეტმა.

---

1 „განდეგილის“ სხვა კრიტიკოსებზე რომ არა ვთქვათ რა. საკმარისია ერთი მათგანის აზრიც. „განდეგილს“ დაეთ კეზელმა „დროებაში“ (1883 წ.. № 60) მისცა შეფასება, რომელშიც შეიძლება ითქვას, უვიცობა გამოიჩინა პოემის გაგებისა და დაფასების საქმეში. იგი წერდა:„პოემა „განდეგილი“ ჩემის აზრით. ყველაზე უსუსტესია, რაც კი ი. ჭავჭავაძის კალმიდან გამოსულა. უსუსტესია-მეთქი, ვიმეორებ, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმით... ჩვენ დროს არ შეეფერება, რომ პოეტმა, მერე იმისთანამ, როგორიც ილია ჭავჭავაძეა, თავისი ჭნარი რომელიმე განდეგილი ბერის უსაგნოდ და უმიზნოდ ცხოვრების დასამღერად მომართოს... ჩვენი ხალხის იდეალს სრულებით არ ეთანხმება ამ სოფლიდან სამუდამოდ გაცლა და მარტო ლოცვაში სიცოცხლის გატარება“. ასეთი რამის თქმა „განდეგილზე“, სხვა რომ არა, გაუგებრობის შედეგია.

ისე მაღალპოეტურად გამოძერწა მწყემსი ქალის სახე, რომელი სიყვარული აღჭურვა იგი ადამიანთა სამყოფელსა და ყოველდღიური ცხოვრებისადმი, რომ ძნელი დასაჯერებელია ილია ჭავჭავაძე 80-იან წლებში სინამდვილის უარმყოფელად ჩაითვალოს. მიწიერი ცხოვრების ამ გამოსახულებამ, ახალგაზრდა მწყემსმა ქალმა, ერთი შეხებით დაარღვია განდეგილისაგან ხელოვნურად შეკოწიწებული, უსაფუძვლო არსებობა, იმდენად აუფორიაქა მას ჩამქრალი სული, რომ მთელი ღამის განმავლობაში მწირს ღვთისმშობლის ხატის ნაცვლად მიწიერი ედემის შიერ შექმნილი კეკლუცი ქალის სახე ედგა წინ. ილია ჭავჭავაძის განდეგილმა ცხოვრებასთან ჭიდილს ვერ გაუძლო და მოკვდა. ის მოკლა მიწის, სინამდვილის ძახილმა. ილია ჭავჭავაძემ ამ პოემაში ერთხელ კიდევ აზეიმა სინამდვილე და მოძრაობა, რასაც შესანიშნავი ტირადა მიუძღვნა პეტერბურგიდან თბილისისაკენ გამომგზავრებულმა 1861 წელს.

ბოსლეველი, რომელსაც საერთოდ კარგად ესმოდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, ამ ნაწარმოებს ვერ მიუხვდა.

ბოსლეველის ამ თავისებურ შეხედულებას „განდეგილზე" ვრცელი პასუხი გასცა კიტა აბაშიძემ[1]. მან აღნიშნა ბოსლეველის კრიტიკული წერილის პირველი ნაწილის აზრის მართებულობა, რომ „ასე

---

[1] იხ. მისი წერილი—„განდეგილი", პოემა ილია ჭავჭავაძისა, „მოამბე" 1896 წ., № 9—10. შემდეგ ეს წერილი მან შეიტანა „ეტიუდებში". კ. აბაშიძემ „განდეგილის" კრიტიკოსთაგან მხოლოდ ბოსლეველი ჩათვალა ღირსად და მის შეხედულებებს გაუწია ანგარიში თავის წერილში. ბოსლეველს იგი „უდროოდ დაღუპულს. ნიჭიერ კრიტიკოსს" უწოდებდა სრულიად მართებულად. ბოსლეველის პოპულარობის დასამტკიცებლად კ. აბაშიძეს შემდეგ უწერია „ეტიუდებში": „კარგად მახსოვს ისიც, რომ ერთი ჩემი ნაცნობი მოწაფე გიმნაზიისა, პირველის, თუ მეორე კლასისა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიძახოდა: „ბატონო, იდეა არა აქვს ილიას პოემასაო, რა შვილიაო?" და სხვ. და რომ გეკითხათ მისთვის, რა არის იდეა ან რა მოეთხოვება მწერლობას, რასაკვირველია, ვერაფერს მოგახსენებდათ. საყურადღებოა აქ მხოლოდ ის, რომ ამ ბავშვის სიტყვებში იხატებოდა მთლად ერთიანად ის აზრი. რომელიც მაშინ ქუთაისის საზოგადოებას შეედგინა ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებზედ, ილიას კალამმა უმტყუნა, უაზრო თხზულება დაგვიწერაო, ამბობდა ერთი. აბა, რა შვილიაო, გაიძახოდა მეორე, ილია გვიქადაგებს ბერად შედექით, საწუთრო ესე საზიზღარია და სულის მშვიდობას მხოლოდ რომელსამე უდაბნოს სენაკში მოიპოვებთო... ამგვარი აზრის დაბადება ქუთაისის საზოგადოებაში უნდა მიეწეროს უდროოდ დაღუპულს, ნიჭიერს კრიტიკოსს ესტ. ბოსლეველს". („ეტიუდები..." 1, გვ. 179—180).

კარგად ესმოდა განსვენებულს კრიტიკოსს პოეტური ნაწარმოების ღირსება, ასე კარგად აფასებდა ჩვენს ავტორს (ილია ჭავჭავაძეს —ს. ხ.), მაგრამ ასე უცნაურად მოეპყრო „განდეგილს“[1]. კ. აბაშიძემ თავისი ეტიუდის დიდი ნაწილი „განდეგილს“ ბოსლეველისეულ გაგებას და მის უარყოფას მიუძღვნა. მან პოემის შესახებ დასკვნაში აღნიშნა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების ძირითადი აზრი — ვინც საზოგადოებას, ცხოვრებას გაურბის, დაისჯება ისე, როგორც დაისაჯა განდეგილი[2].

კ. აბაშიძეს „განდეგილის“ გარჩევისას და ბოსლეველის საპასუხოდ უნდა ეთქვა, რომ ილია ჭავჭავაძემ „განდეგილში“ ერთხელ კიდევ 80-იან წლებში, სხვა გააზრებით და სხვა პოეტური შესაძლებლობით გაიმეორა ის, რაც 1861 წელს თქვა „მგზავრის წერილებში“[3]. ილია ჭავჭავაძემ „განდეგილით“ ერთხელ კიდევ ხმა მისცა თავის უებრო წინამავალს—ნიკო ბარათაშვილს, რომ საზოგადოებისათვის ზრუნვა 80-იან წლებშიც ისევე აქტუალურ საკითხად იდგა ილიას წინაშე, როგორც ადრე, რომ ილიას არ მოუცილებია საშირბოროტო საკითხებს გადაწყვეტისას ზრუნვა, რომ მისი მხატვრული შემოქმედების ძირითადი დოველთვის იყო პრაქტიკული ცხოვრება, მოქალაქის როლი მიწიერი, ამქვეყნიური ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. ქართველი ადამიანის ღირსეული ცხოვრების სამშობლოს წინაშე.

ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ გარჩევისას ბოსლეველმა სხვა ლიტერატურის საერთო საკითხებიც წამოაყენა. ამ საკითხების დაყენებისას მას მხედველობაში ილია ჭავჭავაძის პოეტური შესაძლებლობანი ჰქონდა ყოველთვის. ბოსლეველი, მაგალითად, უარყოფითად ეკიდებოდა ლექსების სიმრავლეს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. „ლექსების წერა, — ამბობდა იგი, — განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში სნებასავით გადამდები მოდად შემოვიდა ჩვენში. შეუმკობელი აღარა დაგვრჩა რა: ვესიყვარულებოდით „წყალსა“ და „ღვინოს“, ვესიყვარულებოდით „რკინასა და ქართულ ჭრიალა ურემს“. ლექსად გადაგვაქვს ძველი და ახალი ამბავი, არაკი და ზღაპარი, ვლექსავთ ის-

---

[1] „ეტიუდები...“ I, გვ. 181.

[2] „ეტიუდები...“, I, გვ. 185.

[3] ამის შესახებ იხ. მიხ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, II, გვ. 317—318, 1954 წ.

ტორიულ ამბებს, თუნდაც ამით თვითონ ამბავს პროზის დაღი ღრმად აჩნდეს. იწერებიან უშველებელი პოემები ჩვენის წარსულის ცხოვრებიდან, თუნდაც ამ პოემებში არც წარსული იხატება და არც აწმყო: და იმდენად შეესაბამება იქ გამოყვანილი სურათები ჩვენს წარსულს, როგორც სხვა ხალხის წარსულს. მხოლოდ ის გვაკლია, — დაასკვნიდა სარკასტული ტონით ბოსლეველი, — რომ ვინმემ დაგვიწეროს ქართლოსიადა და გაგვილექსოს დიდებულიძის არითმეტიკა და საღმრთო სჯული...“ ლექსთა სიმრავლე გონების სიყმაწვილის დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნდა კრიტიკოსს.

ბოსლეველი მსჯელობდა ლიტერატურის საერთო პრობლემის — შინაარსისა და ფორმის ურთიერთობაზე და მათი დიალექტიკური მთლიანობის მხარის დამცველი იყო. პოეტურ თხზულებაში, გრ. და მწვანიერი ლექსისა, ასეთივე მშვენიერი აზრი უნდა იყოს გაბარებული. აზრი ფორმის გარეშე, ან პირიქით, ბოსლეველს არ მიაჩნდა რაიმე შეფასების ღირსად. იგი გარკვეულად იდგა ჩერნიშევსკის შეხედულებათა საფუძველზე და მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძის აზრებს, გამოთქმულს მის მიერ პოეზიის არსის განსაზღვრისას. ნამდვილი პოეტი, ბოსლეველის აზრით, დაჯილდოებული უნდა იყოს ბუნებრივი ნიჭით, ფანტაზიისა და წარმოსახვის უნარით, მახვილი გონებით, განზოგადების შესაძლებლობით. პოეზიის მიზანია „გააცნოს მკითხველი რეალურს ცხოვრებას, მისს ავსა და კარგს და გააცნოს არა მშრალად, ლოგიკურის მსჯელობის, დიალექტიკურის საშუალებით, არამედ პორტრეტებისა და ტიპების დახატვით“. პოეტი ამას მაშინ მიაღწევს, როცა მას ექნება მოვლენათა ღრმა ანალიზის უნარი, მკვეთრი გონება, მდიდარი ფანტაზია და აწმყო ცხოვრების ცოდნა[1].

ბოსლეველს აზრი გამოუთქვამს აკაკი წერეთლის „კუდურ-ხანუ-

---

[1] ფანტაზიის უნარითა და მისი გამოყენების თვალსაზრისით ბოსლეველს გრ. ორბელიანი და ილ. ჭავჭავაძე დაუპირისპირებია ერთიმეორისათვის. წარმოსახვის და გამონაგონის უნარით იგი გრ. ორბელიანს წინ აყენებდა ილია ჭავჭავაძეზე. სამაგიეროდ ილიას ძლიერად თვლიდა გონების ძალით, მოვლენათა ანალიზის შესაძლებლობით, ტიპიურის გამოხატვით, — ამით იგი ყველას ბატონობსო. მას სანიმუშოდ ამოწერილი ჰქონდა გრ. ორბელიანის ერთი სურათი „სადღეგრძელოდან“ — „სად მთანი ყინვის გვირგვინით არიან ცადმდე ასულნი“, მაგრამ ილიას მიერ დახატულიც არ წარმოედგინა მასზედ ნაკლებად, ოღონდო, წერდა იგი: „სადაც გრ.

მზეც". სხვადასხვა წერილებში იგი ხშირად მიმართავდა აკაკის ამ პიესის პერსონაჟებს და რომელიმე აზრის საილუსტრაციოდ იყენებდა მათ ხასიათებს. ბოსლეველს აკაკი წერეთლის პიესის განხილვა მოსკოვს დაუწერია 1880—1881 წლებში და თავისი მეგობრისათვის — ალექსანდრე მერაბის ძე ლორთქიფანიძისათვის გამოუგზავნია წერილით: „„კუდურ-ხანუმის" გარჩევა დასაბეჭდათ არ არის, ხელნაწერად გამოგიგზავნი და იმედია არ დაიკარგება, რადგან ერთი ხელნაწერია მარტო და შემენახება"[1]. ბოსლეველის ეს გარჩევა, როგორც ავტორის განზრახვა ყოფილა, არ დაბეჭდილა. აკაკი წერეთლის პიესა აუცილებლად მიიქცევდა ბოსლეველის ყურადღებას იმით, რომ როგორც თვით აკაკი წერეთელი წერდა: ამ დრამაში არის გამოხატული ის დრო, როდესაც ოსმალებმა ჩაიგდეს ხელში საქართველოს ნაწილი და ცდილობდნენ, რომ მათთვის დაეევიწყებინა მათი ვინაობა; მოეკლათ მათი ერთობა და გამოეცვალათ სჯული, გაეთათრებიათ. ეს აზრი რომ სისრულეში მოეყვანათ, იმადლიერებდნენ დიდი გვარის შვილებს, იერთგულებდნენ და მათის შემწეობით სისრულეში მოჰყავდათ თავისი აზრი. ეს დიდი წოდებისა და დიდი გვარის შვილები თავის საკუთარი ბედნიერების გულისათვის ჰყიდდნენ ქვეყანას და მამულს და ხელს უწყობდნენ ოსმალოს პოლიტიკას"[2]. ეს საკითხები, რაზეც აკაკი წერეთელი მსჯელობდა პიესაში, ე. ი. მისი თანამედროვე სახელმწიფოებრივი სისტემის კოლონიზატორულ პოლიტიკაზე, რაც „კუდურ-ხანუმში" შეფარვით ჰქონდა გამოხატული, ბოსლეველსაც ისევე აწუხებდა, როგორც აკაკი წერეთელს. მაგრამ ბოსლეველმა თავისი კრიტიკული წერილი დასაბეჭდად არ მიიჩნია, ალბათ ჯერ იმისთვის, რომ იგი სუსტად ეჩვენებოდა, არამედ უფრო იმ აზრების სიმკვეთრისათვის, რაც სრულიად დაუშვებელი იყო მაშინდელი ცენზურისათვის. ყოველ შემთხვე-

---

ორბელიანი თავისის სამხატვრო კალმის ერთის გაქნევით ჩამოასხამს დიადს სურათს, აქ ილია ჭავჭავაძე ორჯერ ან სამჯერ გაკრავს იმავე კალამს..." ბოსლეველს კარგად ჰქონდა შეგნებული გრ. ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის პოეტურ შესაძლებლობათა ხასიათი და მათ შორის არსებული განსხვავება.

[1] იხ. წერილი მოსკოვიდან ალექსანდრე ლორთქიფანიძეს, 1881 წლის 8 თებერვლის თარიღით, „ნაწერები", გვ. 415.

[2] „ქართული თეატრი", აკაკი წერეთელი, თხზულებანი, შვიდ ტომად, ტ. VI, გვ. 222.

ვაში, ის რომ დაბეჭდილიყო, იქნებოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტიკული წერილი ბოსლეველის შემოქმედებაში, რომელშიც ჩვეული სიცხოველითა და სიმართლით, ისტორიული პიესის მასალაზე დაყრდნობით, იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის განხილვა იქნებოდა მოცემული. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შესახებ ბოსლეველი ყოველთვის განსაკუთრებული შეხედულებისა იყო და ორივეს დიდი მასშტაბის მოღვაწეებად თვლიდა. ამას ადასტურებს ერთ-ერთი მისი წერილი: „ბატონებო, გირჩევთ რომ ქება-დიდებაში ფრთხილად იყოთ, თორემ ვინიცობაა (ყველანი მომაკვდავნი ვართ) აკაკისა და ილიას რამე გაუჭირდეს, სიტყვას ვეღარ იშოვნით და დარჩებით პირღია“[1]. ბოსლეველი ყურადღებას ამახვილებდა ქართველ მწერალთა შემოქმედებითი უნარის დიფერენცირებულ შეფასებაზე და ამან ათქმევინა ეს.

„ივერიაში“ 1832 წლის მეორე ნომერში ი. ტურგენევის „თავზეხელაღებული“ («Отчаянный») დაბეჭდა ანასტასია თუმანიშვილის თარგმანი. „ივერიის“ ამ ნომრის განხილვისას ბოსლეველი თარგმანზე წერდა: „ნეტავი „ივერიას“ რატომ მოუქცევია თავის წიგნში ი. ტურგენევის პატარა პსიხოლოგიური ეტიუდი „თავზედ ხელ-აღებული“?. „ივერიის“ რედაქციას ჯერ ვერ გაუგია, რომ ამისთანა მოთხრობები ჩვენებური მკითხველისათვის არა ვარგან. მთარგმნელსაც (ანასტ. თუმანიშვილს) ვურჩევთ თუ დრო და სურვილი აქვს თარგმნის, იმისთანა რამ გადმოთარგმნოს, რომელსაც სარგებლობის მოტანა შეეძლოს ჩვენის საზოგადოებისათვის[2]...

ბოსლეველი რუსულ ლიტერატურას საერთოდ, დიდად აფასებდა და ხშირ შემთხვევაში ქართული მწერლობის მიმმართველ ძალად მიაჩნდა. მაგრამ ი. ტურგენევის ამ ნაწარმოების შესახებ ბოსლეველის შენიშვნა სრულიად სამართლიანი იყო. კრიტიკოსი, რომელიც ყოველთვის და ყველგან მოითხოვდა ადამიანთა მოქმედებას საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის, ვერ დაეთანხმებოდა სახელოვან რუს მწერალს იმ იდეაში, რაც ნაწარმოებში იყო გატარებული.

მიშა პოლტევის სახე 80-იან წლებში, საზოგადოებრივი ცხოვრე-

---

[1] „კრიტიკული მიმოხილვა“, ნაწერები, გვ. 320.

[2] იქვე, გვ. 196.

ბის მეტად დაძაბულ ეპოქაში, რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისას სრულიად შეუფერებელი ჩანდა როგორც რუსეთის, ისე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. მიშა პოლტევი რუდინის ორეული იყო, „ზედმეტი ადამიანი", ენერგიითა და ცოდნით აღსავსე, ოღონდ აწოწიალებული და ჯანღონის უმოწყალოდ მფლანგველი. ი. ტურგენევმა იგი ხან ბოშებთან მოქეიფეთ დახატა, ხან მონანიების გზაზე შემდგარ ბერად, ხანაც კავკასიის ომების მონაწილედ და სხვა, რომელმაც ფეხი ვერსად ვერ მოიკიდა, გაყიდა მამა-პაპეული, გაფლანგა, მათხოვრებთან და უსახლკაროებთან დადიოდა, რუსეთის დიდ გზებზე მათხოვრობდა, მშობლების საფლავებს შუა — ცოცხალი საფლავს ითხრიდა... მიშა პოლტევს თავისი დროის რუსეთი უსამართლობის ბუდედ ჰქონდა მიჩნეული, მაგრამ მის გარდასაქმნელად ერთ ნაბიჯსაც არ დგამდა, ნაღველს და მწუხარებას ღვინისა და არყის სმაში კლავდა. მოთხრობის გმირი თავისი განცდებითა და ენერგიის უაზრო ფლანგვით არ შეეფერებოდა იმდროინდელი ეპოქის მაჯისცემას და ბოსლეველისათვისაც გაუგებარი და აუხსნელი იყო ასეთი უაზრო და უმიზნო ადამიანის ცხოვრების ჯერ აღწერა და შემდეგ რუსულიდან ქართულად თარგმნაც[1].

ქართული კულტურის ყველა უბანი ერთგვარად მნიშვნელოვანი იყო ბოსლეველისათვის, იგი რაიმე მიმზიდველ მოვლენას, მწერლობაში თუ კულტურის სხვა დარგში, უყურადღებოდ არ ტოვებდა. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ორიოდე წერილი, რომელიც ქართული თეატრის ბუშაობას შეეხება და ქართული თეატრისა და სათეატრო კრიტიკის ისტორიისათვის საყურადღებონი არიან. ბოსლეველის მოღვაწეობას დაემთხვა განახლებული ქართული თეატრის საქმიანობა 80-იან წლებში, როცა მოწინავე ინტელიგენციის მეშვეობით საფუძველი ჩაეყარა სათეატრო მუშაობას XIX საუკუნის მეორე ნახევარში. განახლებული ქართული თეატრის ისტორიაში დავით ერისთავის „სამშო-

---

[1] ვაჟა-ფშაველამაც გამოთქვა აზრი ი. ტურგენევის ამ ნაწარმოებზე. იგი აღნიშნავდა ამ რუსი მწერლის მიერ შექმნილ ტიპთა ცხოველმყოფელობას და მის გავლენას ახალგაზრდობაზე და ბოლოს დასძენდა: „თუმცა კი ბოლოს დროს თითქოს უმტყუენა თავის განზრახვას და ოცდაათი წლის შრომა ერთის მოთხრობით ჩაფუშა (იხ. „თავზეხელაღებული"). ვაჟამ ეს აზრი გამოთქვა წერილში „რამე-რუმე".

ბლომ" სერიოზული ადგილი დაიჭირა. დავით ერისათვის პიესა თბილისში დაიდგა 1882 წლის იანვარში, რამაც ქართველ საზოგადოებაში დიდი მოძრაობა და აღფრთოვანება გამოიწვია. „სამშობლოს" დადგმაზე და ქართველ მსახიობთა თამაშზე ბევრი აზრი გამოითქვა. ეს აზრი ორად იყო გაყოფილი — ქართველი საზოგადო მოღვაწენი და ქართველი მაყურებლები აღტაცებულნი იყვნენ პიესის დადგმით, რადგან 60-იან წლებში, იმპერატორ ალექსანდრე III-ის რეაქციის დროს, ქართული ენისა და საერთოდ ყველაფერი ქართულის დევნის პერიოდში, ასეთი ღრმად პატრიოტული წარმოდგენის გამართვა მათ დიდ ეროვნულ მოვლენად ჩათვალეს. სულ სხვა აზრი გამოიმუშავა ამ პიესის დადგმასთან დაკავშირებით რუსულმა გაზეთმა „მოსკოვსკიე ვედომოსტი"-მ, რომლის რედაქციაში წერილი „სამშობლოზე" გაუგზავნია ვინმე ს. რიჟოვს, მ. კატკოვის კორესპონდენტს, ადრე ქუთაისში მასწავლებლად ნამსახურს.

„სამშობლო" თბილისის შემდეგ სულ მალე ქუთაისშიც ზედიზედ რამდენჯერმე წარმოადგინეს. აქაც ისეთივე წარმატება ხვდა პიესას, როგორც თბილისში. ქართველი მაყურებელი აღტაცებული იყო სამშობლოს სიყვარულის გამოხატულებით, გმირობითა და ვაჟკაცობით. ქართველი საზოგადოება პიესამ ერთობლივ აღაფრთოვანა.

„სამშობლოს" დადგმით გამოწვეული ცოცხალი შთაბეჭდილების შესახებ დაწერა ბოსლეველმა „თეატრალური შენიშვნა" და გამოაქვეყნა „შრომაში"[1]. „ქუთაისის სცენას თავის დღეში ამისთანა არაფერი უნახავს, — წერდა ბოსლეველი. — ხარაზოვის თეატრს ამდენი ხალხი ჯერ სიზმარშიც არ მოლანდებია; აქაური საზოგადოება ასე ერთგვარად გრძნობა აშლილი და სულიერად დაკმაყოფილებული პირველად ბრუნდება შინ წარმოდგენიდან. ახლაც თვალ-წინ მიდგას რამდენიმე ასი ადამიანი, ქალი და კაცი დიდი და პატარა, ჩინიანი და უჩინო, ბატონი და მოსამსახურე, „სმენად გადაქცეული, სულგანაბული და თითქო სისხლ-შეყენებული". ბოსლეველი აღტაცებული წერდა დიდ შთაბეჭდილებაზე, რაც ქუთაისელ საზოგადოებაზე მოუხდენია პიესას. „სამშობლომ" ქართველის გულს რამდენიმე საათს მაინც დააწყებინა ქართველურად ცემა"-ო, — წერდა ბოსლეველი სხვებთან ერთად

---

[1] 1882 წ., № 22 „სამშობლო"., დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად, გადმოკეთებული თ. დ. ერისთავისაგან," იხ. ნაწერები, გვ. 245.

აღტაცებული. პიესის დადგმის ღირსებად კრიტიკოსს მიაჩნდა ის, რომ ამ ამბავმა შესძლო კეთილშობილური გრძნობების გამოღვიძება ქართველ საზოგადოებაში. ამ პიესამ ჩააფიქრა ქართველი მაყურებელი თავის მდგომარეობაზედ და აღაგზნო წმინდა საქმის სამსახურისათვის. „სწორედ დიდი და მადლიანი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელს საზოგადოებაზედ „სამშობლომ“ — განაგრძობდა ბოსლეველი. —ვინ იცის რამდენს შავს გულში გამოაღვიძა დროებით მაინც კეთილშობილური გრძნობები და მკრთალი სურვილი წმინდა საქმის სამსახურისა! ვინ იცის, რამდენს გულ-გაცრუებულს, გულ-გატეხილს შთაჰბერა იმედი! ვინ იცის რა ცეცხლი აღანთო იმედით სავსე გულში, როდესაც სვიმონ ლეონიძეს შეხვდა, რომ ხელში დროშა ეკავა!.. ვინ იცის რამდენს გააძიძგინა ტანში, როდესაც ლევან ხიმშიაშვილმა დროშა წელზედ შემოირტყა. ვინ იცის რამდენს აუტოკდა ნამეტანის სიხარულისაგან გული, როდესაც სვიმონ ლეონიძემ უთხრა დაიანს: „ქართველები ეგრე მალე როდი დასთმობენ თავის სამშობლოს!“

ამ საერთო აღტაცებაში ბოსლეველს მხედველობიდან არ გამოჰპარვია პიესის ზოგიერთი ნაკლოვანებაც, რომელთა შესახებ აკაკიც აღნიშნავდა ერთ პატარა „სათეატრო შენიშვნაში“[1].

ბოსლეველის პრინციპულობა კრიტიკაში და მისი შეხედულებების სისწორე ერთხელ კიდევ გამოჩნდა ამ სახალხოდ აღიარებული პიესის შეფასებისას. კრიტიკა რომ კარგი მხარეების აღნიშვნა, დამსახურების მოწონება და უკეთესის წაქეზება იყოს და ამასთანავე ნაკლოვანებათა ჩვენებაც მათი გამოსწორების მიზნით, ბოსლეველს კარგად ჰქონდა შეგნებული და ამიტომაც, თუ ერთის მხრით იგი წერდა, რომ „სამშობლოს“ ძალიან კარგი მხარეები აქვს, შიგადაშიგ მშვენიერი სცენებია, ენა უნაკლულო, „ამ ღირსებასთან სუსტ მხარეებსაც შესამჩნევად გამოუყვია თავი“-ო.

ბოსლეველს „სამშობლო“, როგორც სამშობლოს მიმართ თავგანწირული სიყვარულის მიმნიშნებელი პიესა, საუკეთესოდ მიაჩნდა, მაგრამ ეს არ არის მთავარი მხატვრულ ნაწარმოებში. კრიტიკოსი სრულიად გარკვეულად მიუთითებდა, რომ იდეასა და მის გამოხატუ-

---

[1] „შრომა“, 1881 წ., № 12.

ლებას შორის ორგანული კავშირი უნდა არსებობდეს, ე. ი. იგი ფორმისა და შინაარსის მთლიანობას უნდა წარმოადგენდეს. თუ ერთის მხრით ნაწარმოების დედა-აზრი მიმზიდველია, დროულია, თუ ამ აზრის მიხედვით პატრიოტიზმი ისეთი თვისებაა ადამიანისა, რომელმაც უნდა დაიპყროს მისი არსება, ამასთან აუცილებელია და საჭირო უველაფერი ეს გამოხატული იყოს შესაფერი სიტყვით, რაც მთავარია მოქმედებით, რომ აზრი და ფორმა ურთიერთთან იყოს შეთანხმებული. ბოსლეველი ამ თვალსაზრისით აფასებდა პიესის სამ მთავარ პერსონაჟს — სიმონს, ლევანსა და ქეთევანს. ბოსლეველი ისეთ მხარეებს აქცევდა ყურადღებას და ისე აკეთებდა პერსონაჟების ხასიათის ანალიზს, რომ გარკვეულად ჩნდებოდა მათი ხასიათების ერთგვაროვნება, ე. ი. სქემატურად დახატვა ამა თუ იმ თვისებისა, წინ წამოწევა გმირის რომელიმე მხარისა მაშინ, როცა დანარჩენი ადამიანური თვისებები, რაც მთლიანობაში უნდა იყოს მოცემული და რაც პიროვნების სრულად დახატვას უწყობს ხელს, მიყუჩებული და მიჩქმალული ჩანდნენ.

სვიმონ ლეონიძე პიესის მიხედვით და ბოსლეველის შენიშვნითაც „მთლად მოკავებულია სამშობლოს სიყვარულით. იგი უველას და უველაგან სამშობლოზე ელაპარაკება, მუდამ იმის გათავისუფლებაზედ ჰფიქრობს, ამიტომ სვიმონ ლეონიძე ქეთევანთან ურთიერთობაში, ოჯახურ საქმიანობაში სრულიად არ ჩანს, ის სულ სამშობლოს გათავისუფლებისაკენ მიისწრაფის, ქეთევანთან ურთიერთობაში კი ძნელი დასადგენია, უყვარს თუ არა ეს ქალი. ბოსლეველი ამაზე წერდა სათეატრო შენიშვნაში: „მე ცოდვილს ისიც მგონია, რომ ლეონიძეს ქეთევანისადმი გატაცებული სიყვარული უსამართლოდ ჩამოკიდეს კისერზედ“. ბოსლეველი მწერლისაგან მოითხოვდა მხატვრულ სიმართლეს, გმირის მთლიანობას, მისი ადამიანური სახის მოცემას. ბოსლეველს ის აზრი ჰქონდა გამოთქმული, რაც შემდეგ, 1890 წელს ილია ჭავჭავაძემ გამოთქვა ავქსენტი ცაგარლის „ქართველი დედის“ შესახებ, რომ მარინე, ამ ისტორიული დრამის მთავარი პერსონაჟი, დედა. რომელიც შვილებს სათითაოდ გზავნის საბრძოლველად და რომელსაც ეს შვილები ბრძოლაში ეღუპება, არსად დედა-შვილური ტკივილებისა და დედის შეპირვებული გულის გამომხატველი არ არისო.[1].

ამრიგად, დრამის მთავარი გმირი — სვიმონ ლეონიძე არ არის ტიპი, იგი ვერ ანსახიერებს დადებითი ადამიანის ყველა თვისებასა და გრძნობას, იგი ცალმხრივია, მას მხოლოდ ერთი თვისების გამოჩენა უხდება. ავტორსაც ლეონიძე ვერ ჩაუყენებია ისეთ ადამიანთა წყობაში, რომელთაც დიდი საქვეყნო მიზნები გააჩნიათ, ამასთან ერთად ჩვეულებრივი ადამიანებიც არიან.

ლევან ხიმშიაშვილი, ბოსლეველის დახასიათებით, არ არის სრულყოფილი, რეალისტური სახე, დრამის სიუჟეტის განვითარებით იგი მეტად უხერხულ მდგომარეობაშია ჩაყენებული. ლევანი სვიმონთანაა შეთქმული, მასთან ერთად სამშობლოს გათავისუფლებისათვის იბრძვის, დიდი საქმის მოთავე-ხელმძღვანელია, მაგრამ უფროსი თანამებრძოლის მოღალატეც. ამ ურთიერთობაში ჩნდება მისი ხასიათის უარყოფითი მხარე. იგი ცბიერია. როცა მარტოა — იტანჯება, წუხს შექმნილი მდგომარეობის გამო, მაგრამ საკმარისია სვიმონს შეხვდეს მის ცოლთან გატარებული ღამის შემდეგ, ხელზე ჭრილობით, და მას მხოლოდ შერცხვენა. „არა, აქ სირცხვილი ცოტაა, — ამბობდა ბოსლეველი — შერცხვენა.. თითქოს ვაშლის ქურდობაში შესწრებული ბავშვია!.. აქ ლევანის ტანჯვა მოჩვენებაა და პირმოთნეობითია, ან იგი დიდი გამომწვარი გაიძვერა ვინმეა! მე მგონია, ლევანს არა თუ უნდა შერცხვენოდა, არამედ, პირქვე უნდა დავარდნილიყო სვიმონის წინაშე და ეს მოძრაობა მის მდგომარეობაში, მის სულიერ ტანჯვაში იქნებოდა ბუნებითი, უნებური...“

ბოსლეველი ლევანისაგან (და ავტორისაგანაც) მოითხოვდა ფსიქოლოგიური დრამის მართებულ გამოხატვას. ორი ქართველი გმირი — სვიმონი და ლევანი სამშობლოს გადასარჩენად იბრძვის. ლევანი უფროს მეგობარს ღალატობს და მაინც თვალებში უცქერის, გადაეხ-

---

[1] ერთი დეტალითაც ემთხვევა ილია ჭავჭავაძის და ბოსლეველის აზრები უცხო ენიდან გადმოკეთებული დრამების დახასიათებისას. ბოსლეველი წერდა: „ვინ არის ამაში დამნაშავე—სარდუ თუ ბ. ერისთავი? — მე არ ვიცი, რადგან სამწუხაროდ ჩემდა, დედანი ვერსად ვიშოვე“ - ო („შრომა“, 1882 წ., № 22). ილია ჭავჭავაძეც წერდა 1890 წელს: „არ ვიცით, — რამდენად ჰგავს ეს დრამა მის პირველს დედანს, საიდანაც ავტორს იგი აუღია და გადმოუკეთებია“...

ვევა და ჰკოცნის. ეს მიაჩნდა კრიტიკოსს მხატვრული სახის სიყალბედ, არა ცხოვრებისეულად.

ბოსლეველი „სამშობლოსგანაც“ და საერთოდ მხატვრულ თხზულებათაგან მთავარი იდეის მთლიანობას მოითხოვდა. იაფფასიან ეფექტებს ადგილი არ უნდა ეთმობოდეს მხატვრულ ნაწარმოებში. ეს არ გულისხმობდა იმას, რომ სიუჟეტის განვითარებაში რაიმე პარალელური სიტუაციები და სიუჟეტური ელემენტები არ ყოფილიყო შეტანილი. ნაწარმოების ყოველი დეტალი, კრიტიკოსის აზრით, ნაწარმოების მთლიანობის სამსახურში უნდა იდგეს, ყველა ელემენტი უნდა ერთი მიზნისაკენ იყოს მიმართული.

ამ თვალსაზრისით ბოსლეველს უადგილოდ მიაჩნდა გოგია დიაკვნის შემოსვენება სცენაზე, მის მიერ გლოვის ზარის ჩამორეკვისა და ამის გამო მისი მოკვლის სცენა. ასევე გაუმართლებლად ეჩვენებოდა ფაიხოშის გამოყვანა, რაც ძირითადში არაფერს მატებს დრამას. მხატვრულ ნაწარმოებში, განსაკუთრებით დრამატიულში, სრულიად ზედმეტად მიაჩნდა ბოსლეველს პათეტიკური შეძახილები, გმირის მიზნის მაცნედ რომ იყო გამოყენებული. საჭიროა არა ლაპარაკი, არამედ მოქმედება და მოქმედებაში გამოჩენა იმ დიდი მიზნისა, რომელსაც „სამშობლოში“ სიტყვები სცვლისო — წერდა ბოსლეველი.

ბოსლეველს შენიშნული ჰქონდა, რომ დ. ერისთავს ზოგიერთი სცენა პიესაში მძლავრი ეფექტის მოხდენის მიზნით შეუტანია. ერთი ასეთი ადგილი, მისი აზრით, იყო ილია ჭავჭავაძის „ლოცვა“ „აჩრდილიდან“. პიესის ეს ადგილი დიდი ზემოქმედების მომხდენი ყოფილა. „სამშობლოს“ რეცენზენტები აღნიშნავდნენ, რომ ამ სცენას მეტად აღუფროთოვანებია მაყურებელი. მართლაც, ილ. ჭავჭავაძის თხზულების ეს ნაწილი სიუჟეტურად კარგად იყო ჩაქსოვილი დავით ერისთავის მიერ და დრამის განვითარებას ხელსაც უწყობდა[1]. ბოსლეველის შეფასება ასეთი მომენტისა ყოველთვის მართებული არ იყო. დავით

---

[1] „სამშობლოს“ ქართულ სცენაზე დადგმისა და პიესის კომპოზიციაზე იხ. ნიკო ტატიშვილის — „დავით ერისთავის „სამშობლო“, „მნათობი“, 1940 წ., № 10 და „ლიტერატურული ნარკვევები“, წერილი—„ფრანგულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობა და დავით ერისთავის „სამშობლო“, გვ. 7, 1965 წ.

ერისთავს, რასაკვირველია, შეეძლო უბრალო ფიცი წარმოეთქმევინებინა თავისი პერსონაჟებისათვის და არა ილია ჭავჭავაძის სიტყვებით დაეჩოქებინა ისინი საქართველოს დროშის წინ. შეიძლებოდა ყოველგვარი სათეატრო და სასცენო ეფექტის გარეშე ჩაეტარებინა ფიცის სცენა. მაგრამ, დრამატურგმა ხაზი გაუსვა, ჯერ ერთი, ილია ჭავჭავაძის სიტყვების მნიშვნელობას აღებული ისტორიული მომენტისათვის და თანაც იხმარა ერთ-ერთი კარგი საშუალება მაყურებელზე მძლავრი ზემოქმედების მოსახდენად. ილია ჭავჭავაძის სიტყვებით მაყურებელი უფრო ღრმად განიცდიდა დრამაში გამოხატული მდგომარეობის სიდიადეს.

ბოსლეველის აზრით ქართულმა კრიტიკამ ვერ გამოიმუშავა „ხელოვნური კრიტიკა", ე. ი. ხელოვნების დარგების ფაქტების შეფასების კრიტერიუმი. ამის შედეგია, რომ ქართულ პიესებში ვერ ხერხდება თავიდან ბოლომდე ერთი ძირითადი იდეის გატარება, რაც უნდა გამოხატული იყოს სიუჟეტის განვითარების დეტალებში და ტიპების დახატვაში. კრიტიკა, როგორც იგი აღნიშნავდა, ლიტერატურის, ამ შემთხვევაში დრამატიული ლიტერატურის წარმმართველი ძალა უნდა ყოფილიყო და რადგან ასეთი მართებული ანალიზი არ არსებობს, ამიტომ ქართული დრამატურგია, მართალია, იქმნება, მაგრამ იგი ცხოვრებას არ აკვირდება, ცხოვრებისეულ ფაქტებს თავს არ უყრის. თავის თანამედროვე დრამატურგიას კრიტიკოსი დიდ ნაკლად უთვლიდა, რადგანაც „თანამედროვე ცხოვრების ვარამსა და ბოროტებას ვერ წამოგვიყენებენ თვალწინ"-ო[1].

ლიტერატურა, როგორც გამოყენებითი და სასარგებლო მოვლენა, იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ხელოვნების ფაქტის მოცემასთან ერთად მკითხველს მისი გაგებისა და ახსნის საშუალებასაც აძლევს. თუ ლიტერატურა არ განმარტავს და არ ხსნის ფაქტს, იგი მაშინ უბრალო ფაქტოლოგიად, ფაქტების რეგისტრატორად იქცევა და მაშასადამე, აღარ ექნება აღმზრდელობითი — შემეცნებითი მნიშვნელობა. ასეთი მშრალი, ფაქტობრივი მასალის თავმოყრად თვლიდა იგი ივანე კერესელიძის დრამას—„დანგრეული ოჯახი". მიუხედავად იდეის, დედა-აზრის სიმდიდრისა, ნაწარმოებში არ ჩანს ამ აზრის ხორცქმნა, ცოცხალი ამბების ანალიზი, მათი გამომწვევი საზოგადოებრივი მიზეზი.

---

[1] „თეატრალური შენიშვნა", ნაწერები, გვ. 254.

ქართული სათეატრო დასი ხშირად, შესაფერისი პიესის უქონლობის გამო, სხვადასხვა იაფფასიან პიესებსაც ეტანებოდა. ივანე მაჩაბლის, დავით ერისთავის, ავქსენტი ცაგარლის, გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვისა და გაბრიელ სუნდუკიანცის, კიდევ ორიოდე სხვა დრამატურგის თხზულებების გარდა ქართულ სცენაზე ხშირად იდგმებოდა სახელდახელოდ გადმოთარგმნილი თუ გადმოკეთებული პიესები. მათში არ ჩანდა არც ქართული თეატრის ინტერესი, არც მიმართულება, არც რაიმე სათეატრო სკოლის ანარეკლი. ქართველი მსახიობებიც იძულებულნი იყვნენ თავისი უებრო ნიჭი ბევრი უგემური, საზოგადოებრივად უინტერესო სასცენო თხზულებაში გაეფლანგათ. ასეთი მდგომარეობა აქვს აღწერილი ბოსლეველს ერთ-ერთ ფელეტონში. „ჩვენი თეატრი სწორედ ჩვენი ცხოვრების სარკეა“-ო, წერდა იგი. „როგორც ჩვენში თავის ამპლუა, თავის ერთი რამ სპეციალურად ამორჩეული სამოქმედო ასპარეზი არავისა აქვს, რომელიც შეესაბამებოდეს მის ნიჭსა და მომზადებულობას, ისე ჩვენს თეატრშიც თითქმის თავის საკუთარი როლი, თავის ამპლუა ერთ აქტიორსაც არ მოეპოვება...“[1] ბოსლეველს ქართული თეატრის გაუკეთესების სურვილმა ათქმევინა ეს. მართლაც, ვინც ქართული თეატრის ისტორიას გაითვალისწინებს, ვისაც 80-იანი წლების ქართველ მსახიობთა ცხოვრება და სათეატრო მოღვაწეობა გაუცვნია, ის ადვილად დარწმუნდება, თუ რაოდენ ძნელი იყო იმ შესანიშნავ შემოქმედთა მოღვაწეობის გზა.

VI

ბოსლეველმა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში და ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში შესამჩნევი ადგილი მოიპოვა. იგი ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე ეხმაურებოდა საკითხთა იმ წყებას, რომელნიც ეხებოდა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას, მმართველობის სისტემას და მის გამოვლინებას. პუბლიცისტურ თუ კრიტიკულ წერილებში მან გამოამჟღავნა დამოკიდებულება აქტუა-

---

[1] ნაწერები, გვ. 325.

ლურ საზოგადოებრივ პრობლემებთან და გამოიმუშავა მსოფლმხედველობა, რომელიც ორგანულ კავშირში იმყოფებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან.

ბოსლეველის ნაწერების შესწავლა ცხადჰყოფს მისი აზროვნების ხასიათს და განსაზღვრავს კიდეც მის ადგილს ქართულ პუბლიცისტიკაში და საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში საერთოდ.

თითოეული მწერლისა და პუბლიცისტის შესაფასებლად და მის მისაკუთვნებლად ამა თუ იმ ჯგუფისათვის, თუ მისი მსოფლმხედველობის გამოსარკვევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მთელი მისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლა და ამის საფუძველზე სათანადო დასკვნების გამოტანა.

ბოსლეველის ნაწერების გაცნობა და მათი ანალიზი არკვევს მის შეხედულებებს და მის დამოკიდებულებას 80-იან წლების იდეოლოგიისადმი. ის პოზიცია, რომელიც აღებული ჰქონდა ბოსლეველს ჟურნალ „იმედთან“ ურთიერთობაში, მაჩვენებელია იმისა, რომ პუბლიცისტს ამ ჟურნალის პროგრამა არ მიაჩნდა მართებულად, რომ მისთვის მიუღებელი ყოფილა „იმედის“ ძირითადი მიმართულება.

ბოსლეველი ისევე ფიქრობდა და ზრუნავდა თავის ქვეყანაზე და მშობლიურ ხალხზე, როგორც ის მოღვაწენი, რომელთა შრომა მას სანიმუშოდ ჰქონდა აღიარებული — ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, იაკობ გოგებაშვილისა... ბოსლეველი იზიარებდა მათ ნააზრევს, ამტკიცებდა და ამაგრებდა იმ ასპარეზს, რომლის ძალა მიმართული იყო ეროვნული შემოქმედებითი ძალებისა და ეროვნული ენერგიის გამოჩინება-აღდგენისაკენ, ხალხის პოლიტიკური გათვითცნობიერებისაკენ. ეროვნული ენერგიის აღორძინება ყოველთვის წარმოადგენდა ბოსლეველის აზროვნების მამოძრავებელ ძალას. ამ შეგნებამ მიმართა მისი პროტესტი იმ წყობილების წინააღმდეგ, რომელიც მის სამშობლოს მძიმე ტვირთად აწვა; ამ შეგნების შედეგი იყო დაუნდობელი მხილება არსებული სისტემის ყოველგვარ დასაყრდენთა და გამოვლინებათა; ამ შეგნების ძალით მიაქცია ბოსლეველმა ყურადღება რეფორმების ხასიათს, თავისი თანამედროვე საზოგადოებრივი ყოფის ნაკლსა და მანკიერებას, ამის გამო იყო იგი თავგამოდებული დამცველი სინდისიერებისა, ადამიანისა და საზოგადოების შრომის პატივისცემისა...

ბოსლეველი თავისი დროის პუბლიცისტიკისაგან და მხატვრული

ლიტერატურისაგან მოითხოვდა სიმტკიცეს იმ უარყოფით მოვლენათა მართებულად დახასიათება-შეფასებაში, რაც მისი აზრით ეროვნულ თვითგამორკვევას ხელს არ უწყობდა. ამისათვის ბოსლეველი თავისი დროის საზოგადოებას, მის მოწინავე წევრებს მოუწოდებდა სამოციანელთა მსგავსად მებრძოლი თაობის შექმნისაკენ, ერთი ეროვნული სამოღვაწეო პროგრამის შექმნისაკენ. ბოსლეველს ხშირად დაუხასიათებია თერგდალეულების მოღვაწეობის ეპოქა, როცა გაერთიანებული ქართველი ახალგაზრდობა ესოდენ მტკიცედ გამოვიდა სამწერლო-საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი, რევოლუციური და დემოკრატიული აზრებით, რამაც გამოიწვია მოძრაობა და ბრძოლა ქვეყნის დასახსნელად, ბრძოლა ახალსა და ძველს შორის. „თაობას შეადგენენ არა ურბნელი და უმიკაშვილი, არამედ ურბნელები და უმიკაშვილები, — წერდა ბოსლეველი, — რომელთაც არა თუ ერთი დიდი საგანი მიუძღვით, არამედ ერთი პროგრამაც აქვთ სამოქმედოთ შემუშავებული, ერთი გზა, ერთი და იგივე საშუალებანი აღსარებული ამ საგნის მისაღწევად. ახლა ქუდი მოიხადეთ, ბატონებო, და სამართალი ისე მაღირსეთ: არის თუ არა ჩვენში ამგვარი გუნდი, ამგვარი დასი, თაობა შავწვერულვაშოსანი და გინა ჭაღარა თმიანი?... ჩვენში არიან გრ. ორბელიანი და აკაკი, ილია და სერგეი, უმიკაშვილი და ურბნელი, მაგრამ ჩვენში არ არის თაობა, არ არის პარტია, როგორც ეს ჩვენ წარმოგვიდგენია...“[1].

ბოსლეველის შეხედულებით, აზრთა მთლიანობა უნდა შექმნას და შეამტკიცოს სამშობლოს კეთილდღეობისათვის და გათავისუფლებისათვის ზრუნვამ. „ჩვენი კვნესის მიზეზი ჩვენსავე ცხოვრების ტანშია გამოკვანძული, მაგრამ, ჯერჯერობით ვერც ეს მიზეზი გამოგვირკვევია და ვერც ის მდგომარეობა სულისა, რომელიც პირდაპირ შედეგია ამ მიზეზისა“ — წერდა იგი[2].

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ბოსლეველის აზროვნებისა და მსოფლმხედველობის საფუძველი იყო.

ბოსლეველის მოსაზრებებს ლიტერატურისა და კრიტიკის აზრსა-

---

[1] წერილი, რომელიც იწყება სიტყვებით:“ ამ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს...“, ნაწერები, გვ. 320.

[2] „საკვირველია, ღმერთმან იცის...“, ნაწერები, გვ. 325.

და დანიშნულებაზე, ბევრი რამ ჰქონდა საერთო ქართველ და რუს რევოლუციონერ დემოკრატთა ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებთან. ბოსლეველი იმდენად აფასებდა ლიტერატურას, რამდენადაც იგი აუცილებელ კავშირში უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, პოლიტიკასთან, მეცნიერებასთან, რამდენადაც მხატვრული ნააზრევის შედეგი ხალხის გონებისა და შეგნების ამაღლების საქმის მსახური იქნებოდა. ლიტერატურის საფუძვლად მას საზოგადოებრივი განვითარება ჰქონდა აღიარებული. მწერლის დანიშნულებას იგი ცხოლოდ ხალხის ცხოვრების, ხალხის მწუხარების მიზეზების გამოხატვაში ხედავდა. ილია ჭავჭავაძისა და ნ. დობროლიუბოვის მსგავსად ისიც იმას მოითხოვდა, რომ მწერალი შერწყმოდა ხალხის ცხოვრებას და ეს ცხოვრება წარმოესახა მხატვრული სახეებით.

ლიტერატურა საზოგადოებრივ ცხოვრების მიმართ პასიური არ უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ჭვრეტით არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ლიტერატურას მოსამართლის ფუნქცია უნდა შეესრულებინა, განესაჯა სინამდვილე და მკითხველისათვის ბიძგი მიეცა საუკეთესო მომავლის ძიების საქმეში. ნ. დობროლიუბოვის აზრი, რომ მწერლობა დამონებული ხალხის გათავისუფლების სამსახურადაა მოწოდებული. ძირითადი თეზისი იყო ბოსლეველისათვისაც. ლიტერატურის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ჩამოყალიბებული ნ. დობროლიუბოვისაგან, რომ «если бы мы думали, что литература вообще ничего не может значить в народной жизни, то мы всякое писание считали бы бесполезным и, конечно, не стали бы сами писать того, что пишем. Но, мы убеждены, что при известной степени развития народа, литература становится одной из сил, движущих общество и мы не отказываемся от надежды, что и у нас в России литература получит такое значение»[1]. ეს შეგნებული ჰქონდა ბოსლეველს და ამ თვალსაზრისზე მდგომი იძლეოდა მხატვრული ლიტერატურის აზრისა და მიზნის განმარტებას.

---

[1] შდრ. ვაჟა-ფშაველას აზრი: „წერაზე არა რომელი ჰკვათმყოფელი მწერალი ხელს არ აიღებს, რადგან დარწმუნებულია, რომ მწერლობა ძალაა. ერთი უმთავრეს იარაღთაგანია ერის წინსვლისა, მისი გონების და ცხოვრების გაუკეთესებისა...“ („რამე - რუმე“).

ლიტერატურული კრიტიკის დანიშნულება, ბოსლეველის მიხედვით, არის მხატვრული ნაწარმოების იდეურ-ფორმული დაფასება. იდეაა გამომხატველი ყველა იმ მტკივნეული საკითხისა. ყველა იმ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემისა, რაც ესოდენ აქტუალური იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი საზოგადოებისათვის. ბოსლეველი მხატვრული ნაწარმოების განხილვისას ძირითად ყურადღებას აქცევდა მის დროულობასა და თანამედროვეობასთან შეფარდებას. განვითარებული გემოვნების მქონე კრიტიკოსი არ ივიწყებდა მხატვრული ნაწარმოების შინაარსისა და გარესამოსის ერთიანობას, რითაც იგი ლიტერატურული კრიტიკის სწორ საფუძველზე იდგა და აგრძელებდა თავისი სახელოვანი წინაპრების გზას.

თბილისური ლიტერატურული ალმანახი

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართველი ხალხის ცხოვრების სიღრმეში და საქართველოს მომხიბლავი ბუნების წიაღში ბევრმა რუსმა ადამიანმა ჩაიხედა. რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური დაახლოვების წინ და პირველ წლებში რუსებს საქართველოზე სრული და ჰეშმარიტი წარმოდგენა არა ჰქონდათ. პირველ ხანებში წარმოებული ომებისა და ქვეყნის პოლიტიკური ვითარების გამო შეუძლებელი ხდებოდა ეკონომიურ და კულტურულ დარგში კონტაქტის დამყარება. მაგრამ, როცა ომების პერიოდმა განელო, და რუსული მხატვრული სიტყვის დიდმა ოსტატებმა ა. გრიბოედოვმა, ა. პუშკინმა, მ. ლერმონტოვმა და ბევრმა სხვამ თავის შემოქმედებაში შეიტანა ქართული თემა, რამაც მათი შემოქმედების გამრავალფეროვანება გამოიწვია, როცა რუსმა მკითხველმა და მოწინავე საზოგადოებამ გაიცნო საქართველო, მისი ჭირნახული ისტორია, მისი მხატვრული შემოქმედების უკვდავი ფაქტები, ჩაუკვირდა ქართველი ხალხის სოციალურსა და ეკონომიურს მდგომარეობას, მაშინ სულ სხვაგვარად წარმოისახა ჩვენი ქვეყნის აწმყო და მომავალი ამ მოწინავე ადამიანთა შეგნებაში. გრიბოედოვმა რამდენიმე თხზულება უძღვნა ქართველი ხალხის ისტორიულ მდგომარეობას, რომლებშიც აისახა უბრალო ადამიანთა მწარე ბედი, პუშკინმა ლირიკულ თხზულებაში სიტყვა თქვა ქართულ ნაღვლიან სიმღერაზე, ხოლო თავის მოგზაურობაში ქართველებს გაანვითარება და ისტორიის ასპარეზზე წინსვლა უწინასწარმეტყველა.

ახალმა პოლიტიკურმა ჰორიზონტმა გაზარდა როგორც ქართველ, ისე რუს ადამიანთა აზრი, ახალმა ვითარებამ ახალი საზოგადოებრივი შეგნება დაბადა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ბევრი კულტურული დაწესებულება გაჩნდა. 30-იან წლებში სოლომონ დოდაშვი-

ლის ხელმძღვანელობით პირველი საზოგადოებრივ—ლიტერატურული ჟურნალი გამოვიდა, რომელმაც თავი მოუყარა მაშინდელ ქართულ ინტელიგენციას, 40-იან წლებში რუსული სათეატრო დასი ჩამოყალიბდა, გაჩნდა ბიბლიოთეკა, სულ მალე თბილისში ჩამოვიდა იტალიური საოპერო დასიც, 1850 წელს გიორგი ერისთავის თეატრმა დაიწყო მოღვაწეობა, მალე მას ჟურნალი „ცისკარიც" მოჰყვა, დაიწყეს გამოსვლა რუსულმა გაზეთებმა «Кавказ» და «Закавказский вестник», ყოველწლიურად გამოდიოდა «Кавказский календарь». რუსულ და ქართულ თბილისურ პრესაში ქართველი ინტელიგენტები იღებენ მონაწილეობას, იბეჭდება ლიტერატურული მემკვიდრეობის ძასალები, რუსულ გაზეთებში ქვეყნდება ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები საქართველოს შესახებ, იქმნება ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარის შემსწავლელი წრეები. ქართველი ხალხის წარსულისა და აწმყოს შესწავლას დაეწაფა მრავალი ქართველი და რუსი (აგრეთვე უცხოელებიც) მწერალი, ჟურნალისტი. ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავიხსენოთ ბ. ბელინსკის მიერ გამოთქმული აზრი თბილისური რუსული პრესის შესახებ. 1846 წელს, «Кавказ»-ის გამოცემის დაწყებასთან დაკავშირებით იგი წერდა:

«С прошлого года в Тифлисе издается газета «Кавказ», значение коей неоценимо важно в двух отношениях—с одной стороны это издание, по своему содержанию столь близкое сердцу даже туземного народонаселения, распространяет между ним образованныя привычки и дает возможность грубыя средства к разсеянию заменить полезными и благородными; И с другой стороны, газета «Кавказ» знакомит Россию с самым интересным и наименее знакомым ей краем входящим в ея состав. Верная своему специальному назначению, эта газета вполне достигает своей цели; ея содержание—неистощимый магазин материалов для истории, географии, статистики и этнографии Кавказа.

ამ რუსული გაზეთის წიაღში ჩაისახა ქართულ-რუსული ლიტერატურული თანამშრომლობის ერთი ნიმუში, რომელიც 1855 წელს გამოქვეყნდა კიდეც. ეს იყო ლიტერატურული კრებული „ზურნა",

ამიერკავკასიის ალმანახი, შედგენილი და გამოცემული ევგენი ვერდერევსკის მიერ. ამდენად, ბ. ბელინსკის გამოთქმული მოსაზრება სრულიად თამამად შეიძლება ამ ლიტერატურული თანამშრომლობის შედეგის შეფასებისა და დახასიათებისათვის გამოდგეს.

ლიტერატურული ალმანახის გამოცემის ამ პირველმა შემთხვევამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. 1854 წელს დაწყებული ალმანახის გამოცემის სამზადისი, წარმატებით დაგვირგვინდა. ქართველმა და რუსმა თბილისელმა მწერლებმა საზოგადოებას მიართვეს მრავალფეროვანი შინაარსით დამშვენებული და გარეგნულად მოხდენილად გაფორმებული ლიტერატურული შრომის შედეგი. ეს პირველი თბილისური ალმანახი, განხორციელებული 1855 წელს, კარგი ნიმუშია იმ ეპოქის ხალხთა საუკეთესო წარმომადგენლების თანამშრომლობისა, ურთიერთ დახმარებისა და მეგობრობისა. ალმანახი თბილისში და საქართველოში მცხოვრებ ქართველი და რუსი მწერლების მიერ შექმნილი ლიტერატურულ თხზულებათა კრებულს წარმოადგენდა. მის გარეგნულ გაფორმებაში მონაწილეობა მიიღო თბილისში მცხოვრებმა უკრაინელმა მხატვარმა ილია ვასილევსკიმ, ხოლო ფრონტისპირი დაამუშავა და ქვაზე გადაიღო ლატვიელმა ოსტატმა ვასილ ტიმმა, რომელიც ვასილევსკის მსგავსად იმ დროს თბილისში ცხოვრობდა და აქაური ყოფა-ცხოვრება მისთვის ნაცნობი იყო (მისი დახატულია, სხვათა შორის, ადმირალ ნახიმოვის გავრცელებული სურათი).

ალმანახის ყველა მონაწილე «Кавказ»-ის მონაწილე თანამშრომელი იყო. ეს გაზეთი პირველ ხანებში დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ისტორიას, ბეჭდავდა ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებს. მის ირგვლივ შემოკრებილი იყვნენ ქართული კულტურის მოღვაწენი და მწერლები: დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ბერძნიშვილი, პლატონ იოსელიანი, მიხეილ თუმანიშვილი... ბევრნი იყვნენ რუსი მწერლები, პოეტები, დრამატურგები, სამოქალაქო და სამხედრო უწყებებში მომსახურენი, რომელთათვისაც საქართველო მშობლიურ კუთხედ გადაიქცა და რომელნიც დიდი მონდომებით სწავლობდნენ ჩვენი ხალხის ცხოვრებას. ისინი გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის ტრადიციას აგრძელებდნენ.

ალმანახის რედაქტორი და მასალის თავის მომყრელი იყო ე. ა. ვერდერევსკი, წინასიტყვაობისა და რამდენიმე ლირიკული ნაწარმოების ავტორი. ალმანახის ზოგიერთი მონაწილე იმ დროისათვის უკვე

სახელმოხვეჭილი პირი იყო რუსულ ლიტერატურაში, მაგ. ვ. სოლოგუბი და ე. ვერდერევსკი. ქართველ მწერალთაგან ალმანახში მონაწილეობა მიიღო ამ დროისათვის უკვე საკმაოდ ცნობილმა პოეტმა რაფიელ ერისთავმა, „კავკაზის“ მუდმივმა თანამშრომელმა და ერთხანს მისი რედაქტორის მოვალეობის აღმსრულებელმა ნიკოლოზ ბერძნიშვილმა, ამ გაზეთის კორესპონდენტმა ი. ცისკარაშვილმა და ქართველმა მწერალმა ქალმა მელანია მამაცაშვილმა — ბადრიძისამ.

ალმანახი „ზურნა“ თემატიკით (მცირე გამონაკლისის გარდა) ქართული იყო. ქართველ ავტორთა გარდა ადგილობრივი მასალა გამოიყენეს სოლოგუბმა, დუნკელ-ველინგმა, ბობილევმა, მირზა ფატალი ახუნდოვმა, შჩერბინინმა და სხვებმა.

ეს პირველი ლიტერატურული ნაბიჯი მთლად გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული არ ყოფილა. ამას გრძნობდა თვით რედაქტორიც, რომელიც ამასთან დაკავშირებით წინასიტყვაობაში წერდა: «Как от азиатской зурны нельзя ожидать полной музыкальной стройности, так и от первого закавказского альманаха несправедливо было бы требовать совершенной стройности в литературном отношении»

ალმანახის ასეთი სახე ავალებდა შემდგენელ-რედაქტორს წინასწარ მოეხადა ბოდიში ლიტერატურული კრიტიკის წინაშე და მისგან შეწყნარება მოეთხოვა: «По этому-то,-წერდა იგი,-самая искренняя скромность побуждает издателя заранее просить снисхождения критики и читателей, если настоящий тифлисский литературный оркестр на первый раз покажется им несколько зурноват...»

ალმანახში დაიბეჭდა რუსული ორიგინალური ლექსები, ორი დრამატიული თხზულება, ორი მოგონება, ერთი გადმოცემა, ერთი ლეგენდა, ერთი ნამდვილი ამბავი ფშავთა ცხოვრებიდან, ერთი ისტორიული ნარკვევი და ერთიც მოთხრობა.

ალმანახის ავტორთა ერთი ნაწილი ან შემოკლებით აწერდა გვარს, ან ინიციალებს ხმარობდა, თუმცა მათი გაშიფვრა მაინც მოხერხდა.

ერთ-ერთი ძირითადი თანამშრომელი, ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სოლოგუბი (1814—1882), ცნობილი მწერალი იყო, იგი 1850-წლიდან თბილისში მსახურობდა, ადრე იცნობდა პუშკინს და საერთოდ მწერალ-ლიტერატორთა წრეში ცნობილი ადამიანი იყო. სოლო-

გუბის რამდენიმე თხზულება, როგორც ალმანახში, ისე სხვაგანაც იყო გამოქვეყნებული, თარგმნილი ა. ფურცელაძისა, და ი. კერესელიძის მიერ და დაბეჭდილი ჟურნალ „ცისკარში". ე. სოლოგუბი არის ავტორი საკმაოდ გავრცელებული და სახელმოხვეჭილი თხზულებისა «Тарантас», რომლის შესახებაც ბ. ბელინსკი წერდა: «Прощай, «Тарантас». Прощай, книга умная, даровитая и что всего важнее, книга дельная. Благодарим тебя за наслаждения, которыми подарила ты нас и которых, вероятно, долго, долго не дождаться нам, потому что такие книги и не у нас редко появляются...»

ასევე ცნობილი იყო რუს პოეტთა წრეში ევგენი ალექსანდრეს ძე ვერდერევსკი, რომელმაც 20-იან წლებში დაიწყო მწერლობა. იგი „კავკაზის" რედაქტორი და ბარაქიანი თანამშრომელი იყო, აწერდა ინიციალს W და მას ეკუთვნის შამილის მიერ წინანდლის დარბევისა და ჭავჭავაძის ოჯახის წევრთა მოტაცების ამბავის აღწერა, ვერდერევსკის ლექსები იმდენად მიმზიდველი და საინტერესო ყოფილა, რომ, როგორც ბიბლიოგრაფი ვენგეროვი შენიშნავს მისი ერთი ლექსი თურმე პუშკინს მოაწერეს.

ფადეი ბობილევი ერთხანს „კავკაზის" რედაქტორად ეუშაობდა. ბეჭდავდა ლექსებს. მოსკოველი ვაჭრის შვილი ყოფილა, დაბადებული 1814 წელს, გიმნაზიაში სწავლისას დაუწერია ლექსი «Дух Россов» რომელიც რუსული ლიტერატურის ბიბლიოგრაფებში არის მოხსენებული. ფ. ბობილევს ეკუთვნის „კავკაზში" დაბეჭდილი სტატია — „კვლავ ქართული ლიტერატურის შესახებ" (1857 წ., № 92). 1847 წ. ფ. ბობილევი არჩეული იქნა მოსკოველ ვაჭართა მიერ იმ სავაჭრო დეპოს მმართველად, რომელიც კავკასიის მხარეში სავაჭრო ურთიერთობას აწარმოებდა, ამასთან დაკავშირებით იგი გადმოსახლდა თბილისში. მიხ. ვორონცოვმა, რომელიც ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა, ფ. ბობილევი დაიახლოვა, ქუთაისის გუბერნიაში მამულები მისცა, სადაც მან სანერგეები მოაწყო სხვადასხვა უცხო მცენარეებისა. ფ. ბობილევი 1847 წლიდან ცხოვრობდა თბილისში; „კავკაზს" რედაქტორობდა 1857—1863 წლებში.

ალმანახში მონაწილეობა მიუღია მირზა ფატალი ახუნდოვს (1812 — 1878), ახალი აზერბაიჯანული ლიტერატურის ფუძემდებელს ფილოსოფოს-მატერიალისტს, რომლის ნააზრევიც და მხატვრული

თხზულებებ~ც მიმართული იყო ჩამორჩენილობისა და სპარსეთის შაჰების დესპოტიზმისა და რუსული მონარქიული სისტემის წინააღმდეგ. მირზა ფატალი ახუნდოვმა შესანიშნავი თხზულება დაბეჭდა პუშკინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ერთი მისი დრამატიული თხზულება „ხანის ვეზირი“ აკაკი წერეთელმა თარგმნა ქართულად.

სერგეი გრანკინი, ალმანახის პოეტი, თურქეთთან ომის მონაწილე იყო, კორესპონდენციებს გზავნიდა ბრძოლის ველიდან. მსახურობდა ალექსანდროპოლში, ცხოვრობდა თბილისშიც.

პავლე დიმიტრის ძე შიშკოვი კავკასიის სამხედრო კორპუსის უფროსის განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ მსახურობდა თბილისში.

ვასილ ვასილის ძე დომანტოვიჩი, სამთო ბრიგადის მეთაური, პოდპოლკოვნიკი, გომბორში ცხოვრობდა თავის სამხედრო ნაწილთან ერთად.

კერჟაკ-ურალსკი, პოეტი, „მოსკვიტიანინის“ თანამშრომელი იყო.

მიხეილ პავლეს ძე შჩერბინინი (1807 — 1881), მეფის ნაცვლის სამოქალაქო კანცელარიის დირექტორი იყო, რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების განმკარგულებელი კომიტეტის წევრი და მწერალი. მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1827 წ.) ბესარაბიაში მსახურობდა, შემდეგ იგი გაიცნო ვორონცოვმა. ამ უკანასკნელის კავკასიაში გადმოყვანასთან დაკავშირებით, შჩერბინინიც საქართველოში ჩამოვიდა, სადაც 1845 წლიდან 1856 წლამდე დაჰყო. მის კალამს ეკუთვნის მოზრდილი ნაშრომი — მიხეილ ვორონცოვის ბიოგრაფია და ცნობები პუშკინის საბედისწერო დუელის შესახებ.

გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინი მონაწილე იყო კავკასიის ომებისა, 1848 — 1855 წლებში ვორონცოვთან მსახურობდა. 1855 წლიდან ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი იყო. მის მიერ არის მოხატული სიონის ტაძარი თბილისში, მასვე ეკუთვნის ცნობილი ალბომი „La Caucase pittoresque“.

ნიკოლოზ ლევანის ძე დუნკელ-ველინკი სამხედრო მოსამსახურე იყო, მოხელედ გენერალ-ინტენდანტთან, კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების წევრადაც ითვლებოდა.

ივანე დავითის ძე ცისკარაშვილი, ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი იყო.

ნიკოლოზ გიორგის ძე ბერძნიშვილი (ბერძენოვი), ცნობილი ჟურნალისტი და კრიტიკოსი, თანამშრომელი და ერთხანს „კავკაზის“ რედაქტორის მოვალეობის აღმსრულებელი, ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომელი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი.

რაფიელ დავითის ძე ერისთავი, სახელმოხვეჭილი ქართველი პოეტი, „კავკაზის“ აქტიური თანამშრომელი.

მაქსიმე ივანეს ძე სტენბოკი მეორე, ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოსი და გეოგრაფიული საზოგადოების წევრი, პოეტი.

მელანია მამაცაშვილი-ბადრიძისა, რუსულად დაწერილი ქართული მოთხრობის ავტორი ქალი, მწერალი.

ესენი იყვნენ მწერლები, რომელთა შემოქმედებითი ძალებითაც შედგა ალმანახი, რომელსაც მაშინდელი რუსეთის ორივე დედაქალაქის პრესა ერთხმად და აღტაცებით გამოეხმაურა.

ვ. სოლოგუბის ორი ლექსი «М. Ф. Л.» და «М. П. Колюбакину» არაა დაწერილი საქართველოს თემაზე, ასეთივე ხასიათისაა მ. ავდეევის ლექსი «К. Ф. М». რომელშიც ავადმყოფისა და უღონო ადამიანის ჩივილი ისმის იმის გამო, რომ მეგობარი მიდის შორს და იქ დაეწაფება მშვიდ და შინაარსიან ცხოვრებას, რასაც ავტორი დიდი ხანია მოკლებულია. მეგობარს უსურვებს ბედნიერებას და უნდა

И жизни путь, ваш путь прекрасный
Рукой больной благословить...

ევ. ვერდერევსკის რამდენიმე ლექსი («Ответ сетовавшему о долговременном молчании русской музы», «Прозрение», «XXX - Он вас желал», «Три сцены», «Покой и счастье», და «Пессимисту»). აგრეთვე საერთო ხასიათისაა, არავითარი კავშირი არა აქვს დაწერის ადგილთან.

ადგილობრივი, ქართული კოლორიტის ჩვენების თვალსაზრისით ღნიშვნელოვანია ფ. ბობილევის ლექსთა ციკლი «Имеретинския мелодии», პირველი მელოდია «После бури» პოეტის ღრმა და ნაზი პატრიოტიზმის მაჩვენებელია, მასში მოცემულია სურათი ბუნების ძალებისა, ელვა-ქუხილისა და თავქვე დაშვებული ნიაღვრებისა, ქარიშ-

ხლისაგან გახეული ღრუბლებიდან გამოშუქებული მზისა, როცა წვიმის წვეთებში გარეცხილი მისი სხივები არემარეს დაეფრქვევა. ასეთ ზღაპრულად მიმზიდველ სურათებშიც კი მას მშობლიური სივრცეები ახსენდება და მზად არის «всю роскошь дивную пленительного юга... отдать за звук знакомый друга... за взор и слово милой...» მაგრამ ავტორისათვის მარტო ვრცელი და უსაზღვრო ყანებით აღსავსე ქვეყანა არ ქმნილა სამშობლოდ, საქართველოშიც იგი მეორე მშობლიურ ქვეყანას პოულობს; საქართველოს ცხოვრება. მაღალ კლდეთა აკვანში მოქცეული მდინარე, ბროწეულისა და კომშის ყვავილობა, სწრაფი მდინარის ტალღებში მობანავე ნატიფი ასული იტაცებს მის ყურადღებას. ლექსი «Сусанна» მეტად ექსპრესიულია, ცოცხლად წარმოადგენს პოეტის ფანტაზიას, მის დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან, ადამიანებთან, ბუნებასთან, რის გამოსახატავადაც თითქოს მშობლიური რუსული ენის სიმდიდრე აღარ ჰყოფნის და ქართულ სიტყვა-გამოთქმებს მიმართავს. მძაფრი სურვილი,—დაიმსახუროს მშვენიერი ასულის ყურადღება, — პოეტს აიძულებს ყოველგვარი საშუალება გამონახოს ბედნიერების მისაღწევად.

ლექსი «Лезгинка» ფ. ბობილევს დაწერილი აქვს ქართული ცეკვის ტაქტზე. ავტორი რუს მკითხველს შენიშვნით მოაგონებს, რომ ვისაც ახსოვს გლინკას ოპერა „რუსლან და ლუდმილა“, იგი გაიხსენებს ამიერკავკასიაში გავრცელებულ ამ ცეკვის მოტივსო. პოეტი მთელ სცენას ხატავს. ლექსში იმერული საღამოა აღწერილი, როცა მცხუნვარე მზის სხივები აიკრიფება მწვანე მთების კალთებიდან და ნაცრისფერი კლდის ქიმის გასწვრივ ვერცხლის ბადია ამოცურდება, როცა მთის თხემები თოვლიან ბაფთად გამოჩნდება შორიდან, როცა ასე მიმზიდველია და მომჯადოებელი საქართველოს მთა-ველი. ამ მშვენიერ ბუნებაში. პოეტი ადამიანებს ხატავს, რომელნიც ასევე მდიდარნი და ბედნიერნი არიან გრძნობითა და სურვილებით, როგორც მათი მშობლიური ბუნება. ასეთი სანახაობით აღტაცებული პოეტი ვეღარ არჩევს იმერელი გლეხობის სოციალურსა და ეკონომიურს ვითარებას, ვერ ხედავს ველურ სისტემას, რომელიც ფიზიკურადაც და გონებრივადაც სპობდა ხალხის მასას. ლექსის ავტორს პირველ რიგში იტაცებს ქართველი ქალის შესანიშნავი ცეკვა, რომლის ნათელ გამოხატულებასაც იძლევა თხზულების ერთ ადგილში:

И Сусанна, улыбаясь,
На соседей не глядя
Вышла, плавно колыхаясь
И руками поведя.
Бьет о землю ножкой гибкой,
То оглянется назад,
То колышет грудью зыбкой,
То бросает страстный взгляд,
То раскинет вдруг объятья,
Изогнется дивно так!
Всет шелковое платье,
Вьется газовый лечак!

თხზულებაში ავტორი გამოხატავს სუსანას, ნინოს, გიგოს. მისთვის ცნობილია ქართველთა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი მომენტი: დაირა, ჩონგური, ქვევრი, აზარფეშა, მჭადი... ქართული ცეკვის წესები...

მირზა ფატალი ახუნდოვს ალმანახის რედაქციისათვის მიუწოდებია გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტის ვაგიფის თხზულება. ვაგიფი (1717—1797) ქართველ მეფეთა საგვარეულოსთან დაახლოებული პოეტი იყო, ყარაბაღის ხანის იბრაიმის ვეზირი, ერეკლე მეფესთან რამდენჯერმე მოსალაპარაკებლად ჩამოსული. საქართველოში ყოფნისას მოლა ფანახ ვაგიფმა რამდენიმე ლექსი დაწერა, რითაც შეაქო ქართველი ქალის სიტურფე-სინარნარე, ლევან ერეკლეს ძის ვაჟკაცობა და გმირობა, თბილისის მიმზიდველობა. სიძველე და მრავალფეროვნება. ვაგიფს, აზერბაიჯანელ პოეტს, უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი, საქართველოს ჭირნახული მეფე ერეკლე, მისი ერთგული და საქართველოსათვის თავდადებული ძე ლევონი. ვაგიფი XVIII საუკუნეში ქართველთა და აზერბაიჯანელთა მეგობრობას უმღეროდა, საიათნოვას მსგავსად ძმობასა და ხალხთა შორის სიმტკიცეს გალობდა. ვაგიფის ამ თხზულებაშიც ის სიყვარული ჩანს, რამაც მისი შემოქმედების ერთი ნაწილი ქართველი ხალხის სიტურფისაკენ მიმართა. ალმანახში ამ ნაწარმოებს ჰქვია «Идеал красавицы по восточным понятиям»., მაგრამ ეს რედაქციის მიერ გამოგონილი სათაურია, ნამდვილად კი ეს თხზულება იმის ნაწილია, სადაც ვაგიფი

თავის აღტაცებას გამოხატავდა ქართველ ხალხთან დაახლოების გამო.

ს. გრანკინი და პ. შიშკოვი რამდენიმე ლექსით არიან შესული ალმანახში. პირველის «Горный ключ» და «С моего балкона» შთაგონებულია საქართველოს ბუნებითა და თბილისით. თბილისის განთიადი, შუადღის სიცხე და გამაგრილებელი საღამო აუღია თემად ამ რუს პოეტს. განთიადიდან დაწყებული დაისამდე ერთი თვალგადავლებით მიმოიხილავს ზაფხულის დღეს და ამ მიმოხილვაში ჩანს დაკვირვების უნარი და ცოდნა ჩვენი მცხუნვარე ქალაქისა. ამ ლექსში დახატულია ასი წლის წინანდელი თბილისი, მოჯრიალე ურმებით, ეკლესიის ზარების ხმაურით აღსავსე. მთაწმინდის გუმბათებით, ვარდის ფურცლებზე დაფრქვეული ცვრით, ამომავალი მზით, რომელიც სულ მალე ცეცხლის ბადეში გაახვევს ქალაქს, ჩამოაჭკნობს ფურცლებს და ხალხს გასაგრილებლად სოლოლაკის ხევისა და ბაღებისაკენ გააწევინებს. რეალისტური სურათია დახატული ერთი ჩვეულებრივი თბილისური დღისა, მაგრამ პოეტი არ კმაყოფილდება ამ მშრალი აღწერით, მას თბილისში სატრფო ეგულება, რომელსაც თბილისური დილის მზე ალერსით გამოაღვიძებს. რომანტიკული ელფერი ამ ლექსს სწორედ მიუწვდომელი მიწიერი სილამაზის მქონე ქალის ტრფიალების გამოსახვით ეძლევა. ს. გრანკინი ცოცხალ ცხოვრებას ხატავს და ამ ცხოვრებაში ძირითად ადგილს ხორცსხმულ სილამაზეს აძლევს. პ. შიშკოვმა თავისი ლექსებით XIX საუკუნის რუსულ პოეზიაში ქართული ვარდბულბულიანის თემა შეიტანა (ა. ოდოევსკის მსგავსად) და დიდი პოეზიის თემატიკურ მიმდინარეობას ჩაურთო. თბილისურ-ქართულმა თემამ, ლირიკული ლექსის ამ კანონიკურმა პერსონაჟებმა რუსული ჟღერადობა მოიპოვეს პ. შიშკოვის ლექსებში. ლირიკული განცდები შიშკოვს დაკავშირებული აქვს ქართულ ბუნებასთან, მის სილამაზესთან. საქართველოს მთა-ველები პოეტს ათასფრად აყვავებულად წარმოუდგება. ამ ქვეყნის ბუნება ისეთ უჩვეულო ყვავილს აღმოაცენებს, რომელიც მის მპყრობელს შურის საგნად აქცევს. ეს ყვავილი სურნელებას არ დაჰკარგავს, რადგან მასში მშობლიური მიწიდან ამოწოვილი წვენი დგას. ქართულ მიწაზე მოსული ყვავილი არასოდეს არ ჭკნება და «кто из прохожих не взглянет — глядеть и глядеть-бы все рад».

ვასილ ვასილის ძე დომანტოვიჩი, რომელიც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ჩაკეტილი ყოფილა გომბორში, ალმანახში შესულა ერთი თხზულებით — «Поездка в Цинондалы». ეს მოზრდილი ლირიკული ნაწარმოები ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი, შთაგონებული ალაზნის ველითა და კავკასიონის ქედის ქათქათა არშიით:

Вот вдали лазурью плещет
Меж садами Алазань,
Вьется лентою и блещет,
Как серебряная ткань.
Вот вершина снеговая,
Сквозь лазуревую высь,
Как ступени вековые,-
Грозно к небу поднялись...

ამ ლექსში ავტორი აღტაცებული ლაპარაკობს ჭავჭავაძეების ორ კერაზე: წინანდალზე და ყვარელზე, თავის მეგობარ დავით ჭავჭავაძეზე, მის მამაზე — ბრწყინვალე პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, რომელიც ბუნების საიდუმლოებით შექმნილი სილამაზის წიაღში მდგომ მონასტერში არის მიწას მიბარებული. ნაწარმოები ქართული სიცოცხლით სუნთქავს, საქართველოს ბუნებას უმღერის, ქართული სიტყვებითა და გამოთქმებით არის გამდიდრებული და რუსულ პოეზიაშიც სხვა თავისი მსგავსი თხზულებების გვარად ქართული ელემენტი საკმაოდ ბევრი შეაქვს.

კერჟაკ ურალსკის თხზულება «Песни невесте» მორალისტურ-დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებია, რომელშიც რამდენიმე რუსული სალექსო ზომა არის გამოყენებული, მაგრამ სრულიად არაფრით არ უკავშირდება არც ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებას და არც ალმანახს. ლექსის შენიშვნაში გამომცემელი წერს, რომ ავტორი თბილისში იმყოფება, რამდენიმე თვის წინ მას „მოსკვიტიანინში“ გაუგზავნია ეს თხზულება, იქედან პასუხის დაგვიანების გამო ჩვენს ალმანახში დავბეჭდეთო. სწორედ იმ დროს მოსკოვის ჟურნალშიც დაბეჭდილიყო ეს თხზულება.

ასეთია ამ თბილისურ ალმანახში გამოქვეყნებული პოეტური თხზულებები, რომელთაც უჭირავთ ერთი ნაწილი ლიტერატურულ კრებულისა, ხოლო მეორე მოზრდილი ნაწილი კი პროზაული და დრამატიული თხზულებებითაა შევსებული.

მნიშვნელოვანი ნაწარმობია მიხეილ შჩედრინის «Тифлисский муша», ხუთმოქმედებიანი დრამა. ამ ნაწარმოებში ნაცნობი ხასიათები და სახეები ჩანს. აქ არიან თბილისელი ვაჭრები, გამდიდრებული მდაბიონი, ეკონომიური ვითარებით დაბლა დაცემული ადამიანები, მდიდრებისაგან შეურაცხყოფილი და ზნეწამხდარნი. აქ პოლოსშვერდოვია გამოყვანილი, რომელიც საოცრად ჰგავს გ. სუნდუკიანცის „პეპოს“ გმირს — ზიმზიმოვს. უკანონობითა და მკვლელობა-ქურდობით გამდიდრებული ადამიანი, რომელიც ბოროტ საიდუმლოებას ინახავს, მაგრამ ბოლოს მაინც გამომჟღავნდება მუშა ზურაბის მეშვეობით. პოლოსშვერდოვი და ზურაბი უპირისპირდებიან ერთმანეთს. ბრძოლა მიმდინარეობს კეთილსა და ბოროტს შორის; მეტად რთულია პერიპეტიები, რადგან მასში ჩართულია სიყვარული ნინასი და ლევანისა, ანგარება ბებია ქალისა, ქარაფშუტობა მაღალი, არისტოკრატიული წრისა და სხვა მრავალი. ეს პიესა ცოცხლად დახატული სურათია ასი წლის წინანდელი თბილისისა, თავისი პერსონაჟებით, მათი გვარებითა, სახელებით, ფოლკლორით. მოქმედი პირები უმთავრესად. ქართველები არიან, მშრომელნი, ალალ-მართალი ადამიანები, მათი მეტყველება პიესაში სავსეა ქართული სიტყვებით, გამოთქმებით, ლექსებით. ზურაბი ახალგაზრდობისას და მოხუცებულობაში ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსს — „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“-ს მღერის. პიესაში გამოყვანილი არიან შამილის წინააღმდეგ ომში მონაწილე ახალგაზრდები.

ავტორი თავისი სიმპათიით პატიოსანი, მშრომელი ადამიანების მხარეზეა, მათი სურვილები და გრძნობები დაწვრილებით აქვს დახატული და წინ წამოწეული. ზურაბი კურტნით ცხოვრობს, ისე შოულობს ლუკმას, მას ვერ წარმოუდგენია სიყალბე და ფლიდობა. იგი ამბობს: «Муша довольствуется цариели пурит да несколькими глотками воды из Куры».

Лукма пури ту мкондес,
Гули разе мигондес,
Гвино ту ар мамива,
Мтквари садга цамива.

პოლოსშვერდოვის საქმენი და ხასიათი დახასიათებულია კარგად. იგი, როგორც ზიმზიმოვის წინაპარი, არ ინდობს კეთილისმყოფელს.

ფულით გონებაშეზღუდული ბოროტებას ბოროტებაზე სჩადის, მაგრამ სიკეთე იმარჯვებს და ავსა და დუშმანს სამაგიერო მიეზღვება. «Жизнь моя, нечто иное, как длинная цепь преступлений, несносное бремя, тяготеющее надо мною»... ამბობს ვაჭარი და კაცისმკვლელი პოღოსშვერდოვი. ავტორი პიესაში ეკონომიური დიფერენციაციის სურათებს ხატავს, მათ შესახებ მსჯელობს. მისი გმირებიც, თუ უბედურნი არიან, მხოლოდ იმიტომ, რომ ღარიბები არიან და მდიდრების მიერ იჩაგრებიან.

ზურაბის მსჯელობაში შეიძლება მუშა ბოქულაძის ზოგიერთი სიტყვისა და აზრის დაჭერაც. პიესის ზოგიერთი პერსონაჟი სქემატურია, მარტივად გამომხატველია სახისა, ზოგი პერსონაჟის გვარი ხასიათის ილუსტრაციაა (Правдин, Франтиевский, Тарабаров, Гельдлиберин), მიუხედავად ამისა პიესის სიუჟეტი რთულია და ძნელად მიხვდება მკითხველი — ვის მხარეზე აღმოჩნდება გამარჯვება და სიკეთე — არამი პოღოსშვერდოვისა თუ ალალი მუშა ზურაბისა.

მნიშვნელოვანია გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინის (1810—1893) წერილი — «Воспоминания о Брюллове», რომელიც შემდეგ ცალკე წიგნად დაიბეჭდა და ბრიულოვის შესახებ ბიბლიოგრაფებში არის მოხსენებული. გაგარინის ეს მნიშვნელოვანი ნაშრომები პირველად თბილისურ ალმანახში გამოქვეყნდა. გაგარინი ბრიულოვის მოწაფე იყო, მისგან შეითვისა რეალისტური ტენდენციები, რაც შემდეგ გამოხატა მრავალრიცხოვან აკვარელებში და გრაფიკულ ჩანახატებში. გაგარინი გატაცებული იყო აგრეთვე ბიზანტიური მხატვრობით, რაც გამოავლინა 1853 წ. თბილისის სიონის კედლის მხატვრობაში. გაგარინის ამ მოგონებაში დახატულია დიდი რუსი მხატვრის პორტრეტი, მოთხრობილია ისტორია ბრიულოვის მიერ ზოგიერთი სურათის შექმნისა, განსაკუთრებით მისი სახელგანთქმული ნახატის — „პომპეის უკანასკნელი დღეები“, რაც მხატვარმა უმცროსი პლინიუსის ჩანაწერების მიხედვით შექმნა. გაგარინი და ბრიულოვი ერთმანეთს ხვდებოდნენ იტალიაში, ათინაში, პეტერბურგში. ბრიულოვის შემოქმედების განვითარების გზის ჩვენება და ანალიზი გრ. გაგარინს გამოყენებული აქვს ქართული ხელოვნების ძეგლების შესაფასებლად. «Грузия — обильнейший рудник памятников первых времен греческого православия. Кроме образцов зодчества, древныя церкви Грузии представляют нам также и образы живописи.

Нужно только усвоить их для подражания». რუსული ხელოვნების შესწავლის აუცილებელ პირობად გაგარინს მიჩნეული აქვს შესწავლა არა მხოლოდ სლავურ-რუსული ფაქტებისა, არამედ ღრმად შესწავლა ბიზანტიური კულტურისა, რომლის განშტოებადაც მას მიაჩნდა ინდური, არაბულ-მონღოლური და ბიზანტიური სტილის ძეგლები კონსტანტინეპოლში, საქართველოში (ბეთანია, ბიჭვინთა...) და სომხეთში.

ნიკოლოზ დუნკელ-ველინგის იმერული ლეგენდა «Реваз Годобрелидзе» ისტორიულ ელფერს ატარებს, თუმცა კონკრეტულად ისტორიული თარიღები არაა მითითებული. მასში ქართველი ხალხის წარსულის ერთ-ერთი ტიპიური მომენტია დახატული — ბრძოლა თურქების წინააღმდეგ და სამშობლოს დაცვა. ლეგენდა დაკავშირებულია ყვირილის ხეობაში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის აშენებასთან, მოდინახეს ციხის გასწვრივ. წერეთლებისა და აბაშიძეების რაზმებმა ბრძოლა გაუმართეს თურქებს საჯავახოს მახლობლად, რევაზ გოდობრელიძე ომში დაიჭრა და ტყვედ ჩაუვარდა თურქებს, მოხვდა სტამბოლში, იქცა მამელუქად და მსახურობდა მუსტაფა-ფაშასთან. შემდეგ კი სასწაულებრივად დაბრუნდა სამშობლოში ნათლისმცემლის მადლით, ააშენა ეკლესია, შეირთო ბერო ქიქოძის ასული მაკა და ღრმად მოხუცებამდე ტკბილი სიცოცხლით დააბერა დღე-

1854 წელს „კავკაზის“ 66-ე ნომერში ნ. დუნკელ-ველინგს გამოქვეყნებული აქვს ეთნოგრაფიული წერილი: «Местечко Сачхере». რომელშიც აღწერილია იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულზე დასწრება, სადაც მას მოუსმენია ლეგენდა იმერელი გუდობრელიძის სტამბოლიდან საქართველოში დაბრუნების შესახებ. ეს ხალხში გაგონილი ამბავი შემდეგ მან ალმანახისათვის გამოიყენა. ლეგენდაში ყურადღებას იქცევს ის მომენტი, რომ რუსი ამუშავებს ქართულ ფოლკლორულ მასალას, ხაზს უსვამს ქართველი ხალხის ისტორიულ ვითარებას მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობაში. პირველად არის დამუშავებული ლიტერატურაში ის თემა, რაც შემდეგ ოსტატურად გამოიყენა თავისი შემოქმედებისათვის უიარაღომ („მამელუკი“). ნ. დუნკელ-ველინგის ეს მოთხრობა 1860 წელს ანტონ ფურცელაძემ ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა კიდეც, 1861 წლის აგვისტოს „ცისკარში“.

ი. ცისკარაშვილს ალმანახისათვის მოუწოდებია ქისტური ლეგენდა. «Лоэи любви». ეს ლეგენდა ერთ-ერთი სახესხვაობაა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში უკვდავი თქმულებისა აბესალომისა და ეთერის შესახებ. ბრწყინვალე რომანტიკული თავგადასავალი აბესალომისა და ეთერისა საქართველოში მეტად გავრცელებულია და მრავალი ვარიანტითაა ცნობილი. ი. ცისკარაშვილის მიერ მოწოდებულ მასალაში ომარ-ალი და ღაზელო გამოდიან მთავარ ადგილზე, მათი ბედნიერების დამრღვევი არის სურხაი. ომარ-ალისა და ღაზელოს საფლავებზე ამოვა ვაზი, რომელთა შტოები ერთმანეთს გადაეკვდობა, ისე როგორც აბესალომ და ეთერის საფლავზე ამოსული ვარდის რტოები. გადმოცემის მიხედვით შეყვარებული ქისტები ამ ვაზებთან უნდა მივიდნენ და თაყვანი სცენ დაუკმაყოფილებელი სიყვარულისა და ბედნიერებისათვის დახოცილთა საფლავებს. აბესალომ და ეთერის გავრცელებული სიუჟეტი რუსულ ლიტერატურაში პირველად იოხ ცისკარაშვილს ჩანაწერითა და ამ ალმანახში გამოქვეყნებულ ტექსტით შევიდა.

ნიკო ბერძნიშვილის თხზულება «Осетинская Сафо» არის სურათები ავტორის მოგონებიდან. იგი იცნობდა ოსების ცხოვრებას, მათ ყოფას და წესებს, მათს ხალხურ შემოქმედებას; იგი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებში ხშირად მიმართავდა ქართული მთის მცხოვრებლებისა და მათი მეზობლების ცხოვრების აღწერას. ამ ნაწარმოებში ნ. ბერძნიშვილი ეთნოგრაფიული სიზუსტით მოგვითხრობს სისხლის აღების წესების შესახებ, რამაც დაანგრია სავჩიზგის (შავჭალასი) და ბიბოს ბედნიერება. თხზულება იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც ავტორი სისხლის აღების წესს რომანტიკულ იერს აცლიდა და ზუსტად გადმოსცემდა ამბავთა მიმდინარეობას.

რაფ. ერისთავის მიერ მოწოდებული თხზულებაც «Оборванец» ეთნოგრაფიულია, ფშავში მომხდარი ნამდვილი ამბავია ჩაწერილი, რაც აუცილებლად სასარგებლო და საინტერესო იქნებოდა ალმანახის რუსი მკითხველებისათვის. ავტორი — ჩამწერი მოგვითხრობს «Мрачную и печальную драму, так часто повторяющийся в горах Кавказа, вследствие необузданности страстей его жителей и, еще более, от влияния на жизнь их закоренелых предрассудков». რაფ. ერისთავის თხზულებაში ვხედავთ ალექსანდრე ყაზბეგისა და

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების თემატიკას, არა მხოლოდ მთის მცხოვრები ადამიანების გამოხატვით, არამედ იმ მრავალფეროვანი თემისა და ამბის თხრობით, რითაც ეს ორი ქართველი მწერალი ხასიათდება. სიუჟეტურად მოხდენილ ჩარჩოში — გულთამზეს ნაამბობში ჩასმული ამბავი ადამიანური ტრაგედიითაა აღსავსე. მოთხრობილია მერცხალაძა და ლაშქარას სიყვარულის შესახებ, რომელთა ბედნიერებასაც სისხლის დაქცევამ შეუშალა ხელი და რაზედაც ამენდა მთელი უბედურება — როგორ მოკლა გამიხარდიმ თავისი ერთადერთი ასული მერცხალა, როცა ეს უკანასკნელი თავის შეყვარებულის მკერდზე იყო მიყრდნობილი. რაფ. ერისთავს, რომელიც თუშ-ფშავ-ხევსურეთში მსახურობდა იმ დროს, ეს ამბავი გადმოცემული აქვს ყველა საყოფაცხოვრებო დეტალის დაცვით, ბუნების, საზოგადოების, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების წესების ჩვენებით. გმირთა საუბარი დოკუმენტური სიზუსტით არის ასახული თხზულებაშიო, წერს რაფ. ერისთავი («разговорная часть рассказа... носит на себе строгий и верный отпечаток местного языка и характера...»).

მთის მცხოვრებთა ეკონომიური და საზოგადოებრივი ყოფა სინამდვილითაა წარმოდგენილი ნაწარმოებში და ნაჩვენებია ისიც, თუ როგორ შედის თანდათან ახალი მმართველობის წესები მთის სიღრმეში და როგორ იპყრობს ახალი ყოფა ძველ წესსა და ტრადიციას. სიუჟეტის განვითარებისა, თხრობისა და გმირთა დახატვის თავისებურებით ამ ნაწარმოებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა მიეკუთვნოს რაფ. ერისთავის მიერ არა მხოლოდ რუსულად, არამედ ქართულად დაწერილ თხზულებათა შორისაც.

მაქსიმე ივანეს ძე სტენბოკისგან მოწოდებულ ნაწარმოებში «Ага-Мухаммед-шах в Шуше» ნაამბობია სპარსეთის მპყრობელის, საჭურისისა და ველური დამპყრობლის აღა-მაჰმად-ხანის მოკვლის ამბავი. ეს მოთხრობა დაკავშირებულია ქართველი ხალხის წარსულთან, თითქმის ისტორიული მნიშვნელობის მქონეა, რომელშიც მოთხრობილია აღა-მაჰმად-ხანის უკანასკნელი ლაშქრობისა და მისი მოკვლის ამბავი საკუთარი მხლებლების — საფარ აღისა და აბას-ბეგის მიერ.

ქართულ ლიტერატურაში თავისებური მოვლენა იყო „მომავალი ქართველი მწერალი ქალის“ მოთხრობა „კატო და ანა“, რუსულად დაწერილი და ამ ალმანახში გამოქვეყნებული. როგორც ცნობილია,

ეს მწერალი ქალი არის მ ე ლ ა ნ ი ა მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი ს ა ს უ ლ ი, მ ე უ ღ ლ ე კ ო ნ ა ბ ა დ რ ი ძ ი ს ა. ნაწარმოები მნიშვნელოვანია მით, რომ დაწერილია ქართველი ქალის მიერ რუსულად ამ ასი წლის წინათ. იგი რუს მკითხველს აწვდის ცნობებს ქართული ცხოვრების შესახებ. თხზულება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ თან ერთვის ავტორი ქალის ავტობიოგრაფია, აგრეთვე რუსულად დაწერილი. რომელიც შიგა და შიგ კომენტირებულია ალმანახის გამომცემლის ე. ვერდერევსკის მიერ. სამწუხაროა, რომ ნაწარმოების ნაწილია გამოქვეყნებული, მეორე ნაწილი კი ამ მოთხრობისა და საერთოდ ბედი მწერალი ქალის სხვა თხზულებებისა და თვით ავტორისაც უცნობია. ერთია მხოლოდ, რომ ვერდერევსკიმ 1854 წ. „კავკაზის“ 56-ე ნომერში, ინიციალით ზ (ქართული ასომთავრული ასო) დაბეჭდა თავისი წერილი სათაურით «Будущая грузинская писательница,». რომელშიც ჩართულია ამ მელანია ბადრიძის ერთი პოლემიკური მცირე თხზულება, მიმართული რაფ. ერისთავის წინააღმდეგ ნ. ბერძნიშვილის დასაცავად. როგორც ავტობიოგრაფიაში, ისე თხზულებაში ჩანს მწერალი ქალის მსოფლმხედველობა. იგი ახალი ცხოვრების მომხრეა, მისი გზის გამკაფავი. მოთხრობაში ერთი ოჯახის აღწერით მწერალი ქალი იძლევა ორი შეგნების, ორი ქვეყნის დაპირისპირებას.

„მომავალი ქართველი მწერალი ქალი“ თვითგანვითარებით მისულა იმ საფეხურამდე, რომ მისი მოთხრობა რუსულად დაიბეჭდა. მას ბევრი წაუკითხავს ქართული ხელნაწერი წიგნები, რუსი და უცხოელი ავტორების თხზულებები. მერე თვითონაც დაჰბადებია სურვილი მწერლობისა. მას თურმე დიდი სურვილი ჰქონდა თავისი აზრი პიესის სახით გამოეთქვა, მაგრამ საკუთარი ძალების გათვალისწინების შემდეგ მისულა იმ დასკვნამდე, რომ დრამის, სრულყოფილისა და სრული სახის ამ დარგის დაძლევა მისთვის მიუწვდომელი იყო. ბელინსკის მსგავსად დრამა მას მიაჩნდა მწერლობის უმაღლეს სახედ, მისი აზრით «драматическая форма есть самая трудная форма для выражения мыслей писателя».

მოთხრობაში დახატულია ქართველი თავადაზნაურობის ეკონომიური ტიპიური მდგომარეობა, ლუარსაბ კვრინჩხიჭამიაშვილის სახე კი არის შექმნილი ქართული ლიტერატურის გავლენის გარეშე, განსაკუთრებით გიორგი ერისთავის პერსონაჟის — ანდუყაფარ დიდებუ-

ლიძის გავლენის გარეშე. მელანია ბადრიძის ლუარსაბი თერგდალეულებს ახასიათებს, როგორც მეამბოხეებს. ვინც თერგის წყალს დალევს. მისი შეხედულებით, ამღელვარდება. თერგდალეულებს ძველი არა მოსწონთ-რა, მოხუცებთან ურთიერთობას ვეღარ ამყარებენ, დედას „მათუშკას“ ეძახიან. აქ საინტერესოა თვით ალმანახის რედაქციის განმარტება სიტყვა „თერგდალეულის“ მნიშვნელობისა: «Река Терек известна своей бурливостью. Поэтому напиться Терека у грузин значит сделаться буяном». რასაკვირველია, ალმანახის რედაქციამ არ იცის აზრი და არსი თერგდალეულობისა, რაც 60-იანი წლებიდან სხვა შინაარსითა და მნიშვნელობით ხასიათდება. გიორგი ერისთავს, ალმანახის რედაქციას და მელანია ბადრიძეს თერგდალეულობა მხოლოდ ფიზიკურ ვითარებასთან აქვთ დაკავშირებული.

მელანია მამაცაშვილ-ბადრიძეს მოთხრობაში ბევრი აქვს ნახმარი ქართული სიტყვები: თავსაკრავი, გულისპირი, ლეჩაქი, დერეფანი, სამახარობლო, ჟღარუნები, ბატონი. დარდიმანდი და სხვ. რაც რუსი მკითხველებისათვის სრულიად ახალი ამბავი იყო და რაც ძალაუნებურად ამ სიტყვებს დაახსომებდა წამკითხველს.

„კავკაზის“ დაარსებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში «Кавказ» - 1846 — 1896“ „კავკაზი“ 1896, № 4) მოხსენებულია ვ. ვერდერევსკის ფელეტონი — «Будущая грузинская писательница», როგორც საინტერესო ფელეტონი, დაბეჭდილი ალმანახზე ერთი წლით ადრე. ამ წერილის ავტორი კითხულობდა: «Где-то она теперь эта грузинская писательница? И достигла-ли она цели? Стало ли ея имя известно в литературе? Или «бедность и несчастия» оказались сильнее дарования?»

ალმანახში მოთავსებულია ვ. სოლოგუბის დრამატული თხზულება «Ночь перед свадьбой». რომელსაც ერთვის ავტორის შენიშვნა. რომ პიესა დაწერილია თბილისური სცენისათვის, შესაფერად მისი შესაძლებლობისა და მისი დეკორატორის — გ. დერბეზის უნარისა. რომ მისი შინაარსის გაგება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც კავკასიას იცნობს. ვ. სოლოგუბის ეს თხზულება ქართულად თარგმნა ანტ. ფურცელაძემ და გამოაქვეყნა კიდეც 1861 წელს, ოქტომბრის „ცისკარში“. ავტორმა თხზულებას ხუმრობა დაარქვა და ქვესათაურად მია-

წერა — საქართველო ათასი წლის შემდეგ. პირველ მოქმედებაში ძველი თბილისის ხედია, ბანიანი სახლებით, მოცეკვავე ქალებით, სათარას და მეზურნეების დასტით. ახალგაზრდა მოქეიფენი მსჯელობენ მაშინდელ თბილისზე — ხიდებზე, გზებზე, სასწავლებლებსა და თეატრებზე, ბაღებზე, სანერგეებზე, მაღაზიებზე, ჟურნალ-გაზეთებზე, — ყველაფერი ეს ადამიანის შეგნებაში არის შესული და მის გარეშე საზოგადოებრივი ცხოვრება შეუძლებელია. რაღა იქნება ათასი წლის შემდეგ! შეზარხოშებულ ქაიხოსროს, ქეთევანის საქმროს, რომელმაც ჩვალ ჯვარი უნდა დაიწეროს, ჩაეძინება და გულში ჩაყოლილი სიტყვები — რა იქნება ათასი წლის შემდეგ, სიზმრად მოეჩვენება. 2853 წელს ვინმე შამილი დუშეთის უნივერსიტეტის სტუდენტია, თბილისში სურათების ბევრი გამოფენაა მოწყობილი, არსებობს ქართველ მხატვართა სკოლა კუკიაში, ისე როგორც ავლაბარსა და სოლოლაკში, თეატრია, რომელშიც იდგმება ერისთავის თხზულება — რუსთაველი და თამარი. ბევრი მრავალსართულიანი შენობაა თბილისში, ბირჟები, რკინიგზა და სხვ. მიმოსვლა საჰაერო გზებით წარმოებს, ბანქოს მოთამაშენი აღარ არიან და იმდროინდელი არქეოლოგები და მასწავლებლები თავს იმტვრევენ და ვერ გაუგიათ ბანქოს ქაღალდის მნიშვნელობა. ერთ სწავლულს მის შესახებ ექვსი ტომი დაუწერია. შავი ზღვა გემებით არის დასერილი, მის სანაპიროზე პეტერბურგელთა აგარაკებია, სადაც პეტერბურგელები სამუშაოს შემდეგ მიდიან სუფთა ჰაერზე, ჩინოვნიკები ქრთამს აღარ იღებენ და პოლიციელადაც 5 წლის ბავშვი დამდგარა, ადამიანთა შორის უთანხმოება და ჩხუბი აღარაა, ხოლო მსახიობები დიდ ხელოვნებას შეთანხმებულნი ემსახურებიან. თბილისელი ვაჭრის კარაპეტას ძმას ქუთაისური კრიალოსნების დუქანი აქვს გახსნილი კუთილი იმედის კონცხზე. ასეთია საქართველო ათასი წლის შემდეგ, მაგრამ, ეს ყველაფერი ესიზმრა ქაიხოსროს ქორწინების წინა ღამეს.

სოლოგუბის პიესაში არის თანამედროვეობის კრიტიკა, მაგრამ არა ბასრი, არამედ რბილი, შემთანხმებლური.

„ზურნას" გამოსვლა პირველ რიგში „კავკაზმა" აუწყა საზოგადოებას, შემდეგ სულ მალე დაიბეჭდა ფ. სოლოგუბის მიმოხილვა — «Несколько слов о начале кавказской словесности». ვ. სოლოგუბმა ეს რეცენზია რუსეთიდან გამოგზავნა, როცა ჯერ კიდევ ქართულ

და თბილისური ცხოვრების დიდი შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა. სოლოგუბი ამჟღავნებს სიყვარულს იმ ქვეყნისა და ხალხისადმი, სადაც რამდენიმე წელიწადი გაატარა. საქართველო მისთვის შემოქმედებისა და შთაგონების დაუსრულებელი წყარო გამხდარა. ვისაც კი კავკასიაში უცხოვრიაო, — წერს სოლოგუბი, — იგი აუცილებლად დანათესავებია ამ ქვეყანას და ხალხს. ნათესაობის საფუძველში კი დევს სულიერი ძმობა ადგილობრივ მცხოვრებლებთან, მოგონება იმ მსხვერპლის, რაც ამ ხალხმა გაიღო ახალ დროში, იმედი ბრწყინვალე მომავლისა და სხვ. ვ. სოლოგუბი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ მომენტს, რომ 50-იანი წლებისათვის ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული კავკასიის, საქართველოს, ქართველი ხალხის კეთილნაყოფიერ გავლენას რუსულ ხელოვნებაზე და რუსულ ლიტერატურაზე. ავტორი აცხადებს, რომ კავკასიაში რუსული ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებას დიდი პერსპექტივა გააჩნიაო, რომ საქართველოში შექმნილ რუსულ თხზულებებში ჩანს დროისა და ადგილის ანარეკლიო. პირველი თბილისური ალმანახის მნიშვნელობას, სოლოგუბი, ხედავს იმაში, რომ ეს კრებული რუსული ხელოვნების ის ნაწილია, რომელიც შთაგონებულია საქართველოს ბუნებითა და ქართველი ხალხით. ალმანახი მას მიუჩნევია კულტურული ცხოვრების გარკვეულ ეპოქად, რადგან მასში მოჩანს საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა, ენისა და ისტორიის გავლენა რუსულ მხატვრულ სიტყვაზეო. რიაზანის გუბერნიიდან გამოგზავნილ წერილში ვ. სოლოგუბი წერდა: «Я оставил его (კავკასიაო-ს. ხ.) с грустным сожалением, но с светлой надеждой, что все, прекрасно в нем начатое, не заглохнет, что брошенная в него семяна мысли и художественного чувства разовьются для его блага, что в нем не изсякнет благой источник искусств, что русское слово найдет в нем живыя вдохновения».

რეცენზიაში ვ. სოლოგუბი დაწვრილებით ჩერდება ალმანახში მონაწილე ავტორების შემოქმედებაზე. უ. ვერდერევსკის ლექსი მას პუშკინის კალმის ღირსად მიუჩნევია და ამის დასადასტურებლად მოჰყავს სტროფი:

И мятель, сгущая тучи,
Кроя лик померкший дня,
Сыплет долго снег летучий
На заснувшие поля.

ვერდერევსკის ლექსებმა, — ამბობს ვ. სოლოგუბი, — ახალი ელფერი შეიძინეს საქართველოში, იქ მიიღეს ახალი სახე და შინაარსიო.

„იმერული მელოდიები“ ისეთ თხზულებად მიუჩნევია რეცენზენტს, რომლის მსგავსით რუსული პოეზია ხშირად არ ასაჩუქრებს მკითხველებს. ეს სამხრეთული ლექსები, ძველი ბერძნული ხელოვნებისათვის შეუდარებია სოლოგუბს და პოეტ ფ. ბობილევს ურჩევს, უფრო ღრმად ჩაუკვირდეს ქართველი ხალხის ცხოვრებას, იქიდან ამოკრიფოს ჰეშმარიტი შემოქმედების მასალა და ამით რუს ლიტერატორთა მცირერიცხოვან ოჯახს შემატოს კავკასიის მიერ ნაჩუქარი თანამოძმე. ვ. სოლოგუბს არსებით და მნიშვნელოვან ფაქტად აქვს მიჩნეული გაგარინის თხზულება — მოგონება ბრიულოვის შესახებ. ამასთან დაკავშირებით იგი ამბობს, რომ კავკასიამ, ცხადია, გაულენა იქონია რუსულ სიტყვიერებაზე, მაგრამ ეს აზრი უფრო შესაფერი იქნება მხატვრობისა, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების მიმართ, რადგან საქართველოს ისტორია დამშვენებულია მრავალი ხუროთმოძღვრული ძეგლით, რომელნიც საქართველოში, რუსეთთან შედარებით, ქრისტიანობის გავრცელების შეიდსაუკუნოვან სიძველეს აღნიშნავენო. რუსული მხატვრობისა და ხუროთმოძღვრების პირველსაწყისს მას კავკასია დაუსახავს. ვ. სოლოგუბი იმდენად გატაცებულია საქართველოთი და ქართველი ხალხის წარსულით, რომ ზოგჯერ ზომას ავიწყებს და ისეთ რამეს წერს, რასაც ისტორიულ-დოკუმენტური გამართლება ძნელად შეიძლება მოეძებნოს.

რაფ. ერისთავის თხზულება რეცენზენტს მნიშვნელოვან ნაწარმოებად მიაჩნია, რამდენადაც მასში დიდი ამბავი უბრალო, მარტივი და ცოცხალი ენითაა გადმოცემული, საკუთარ დაკვირვებათა შედეგი სიცხადით და სიმართლით აქვს მოთხრობილი.

რუსეთის ქალაქების პრესა ცოცხლად გამოეხმაურა თბილისურ ალმანახს. მოზრდილი შეფასება დაბეჭდა ჟურნალმა «Библиотека для чтения“ (ტომი 133, 1855 წ.) ჟურნალის რეცენზენტს განსაკუთრებით მოსწონებია ვერდერევსკისა და გრანკინის ლექსები, აგრეთვე მირზა ფატალი ახუნდოვის მიერ ალმანახისთვის მიწოდებული მასალა. პროზაული თხზულებების რიგიდან ჟურნალის რეცენზენტი ჩერდება გაგარინის მოგონებებზე და სტენბოკის, ცისკარაშვილის, რაფ. ერისთავისა და დუნკელ-ველინგის თხზულებებზე. ცისკარაშვილისა

და დუნკელ-ველინგის თხზულებები რეცენზენტს განსაკუთრებით საინტერესოდ მიუჩნევია, რადგან მათში გადმოცემულია მეტად საინტერესო ადგილობრივი ხალხური თქმულებანიო. «И имеретинская легенда и кистинское предание, какого бы не было их собственно художественные достойнства, заслуживают во всяком случае более внимания и одобрения, чем какая нибудь великосветская новость, драматическая шутка» და სხვა ამგვარები. ამ ჟურნალმა ალმანახის მასალა ორ ნაწილად გაჰყო: ერთი, რომელიც ქართული ცხოვრების ამსახველია, მიაჩნია მართებულად და ფასოვანად. მეორე, სოლოგუბის დრამატიული ხუმრობის მსგავსი თხზულებანი ალმანახისათვის შეუფერებელ მასალად მიუჩნევია. რეცენზენტი ერთობ კმაყოფილი ამთავრებს თავის შეხედულებას: «Почтенный издатель ясно может убедиться из сказанного, что дирижируемый им тифлисский литературный оркестр принят нами радушно. Искренно благодарим его за хорошее и охотно забываем дурное; точно также искренно рекомендуем его всем нашим просвещенным соотечественникам... От души желаем грузинской Зурне успеха!»

ყველაზე მნიშვნელოვანი იმ რეცენზიათა შორის, „ზურნას“ შესახებ რომ გამოქვეყნდა, არის „სოვრემენიკის“ შეფასება, დაბეჭდილი 1855 წელს 52-ე ტომში. რეცენზია მოთავსებულია ახლად გამოსულ წიგნების მიმოხილვის განყოფილებაში. „სოვრემენიკს“ მაშინ ნეკრასოვი ხელმძღვანელობდა. ალმანახის პატარა წინასიტყვაობა ჟურნალს სანაქებოდ და იშვიათ განცხადებად ჩაუთვლია: «Простота редкая и похвальная, и несмотря на зурноватость Зурны, мы радуемся ея появлению, потому что оно свидетельствует об усилении литературной деятельности, или по крайней мере стремления к литературной деятельности за Кавказом». ლექსების განყოფილებაშიო, წერდა „სოვრემენიკი“ — ორი ზურნა მეტობს — ზურნები სოლოგუბისა და ვერდერევსკისა. პროზაში ისმის მხოლოდ ერთი ნაცნობი ზურნა — გრაფ სოლოგუბის ზურნაო. სოლოგუბისა და ვერდერევსკის შემოქმედება ჟურნალისათვის ახალი ამბავი არ არის. მას აინტერესებს მხოლოდ ის, თუ ამ პეტერბურგელ პოეტებს რა შემატა ახალმა ქვეყანამ, ახალმა ვითარებამ და ხალხის ყოფა-ცხოვრების გაცნობამ. ჟურნალი ალმანახის მასალის ანალიზის შედეგად დაასკვნის, რომ

„ტარანტასის“ ავტორზე მეტად უმოქმედია პოეტურ აღმოსავლეთს. ერთ-ერთ ლექსზე რეცენზენტი წერს, რომ უბრალო ამბავიც კი პოეტურ სამოსელში ჯდება საქართველოში და ადამიანს უქმნის შთაგონებას. «Но на Востоке все облекается поэтическою формой, гармоническими стихами, цветущими выражениями, остроумными и грациозными оборотами... Счастливы поэты, которых благосклонная судьба переносит на Восток». რასაკვირველია, ნეკრასოვმა იცოდა რაც იყო ეს „ვოსტოკი“ და როგორი იყო ის წესები, რომელნიც სუფევდა იქ, მაგრამ მას მაინც ბედნიერად მიაჩნდა ის პოეტი, რომელიც აღმოსავლური ჰაერით სუნთქავდა; თორემ, რა იცოდა ნეკრასოვმა, რომ სულ ოცდაოდე წლის შემდეგ „სოვრემენიკის“ მიერ აზრის გამოთქმისა, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძე იტყოდა:

შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ
დედას ძუძუდან შვილსა აგლეჯენ,
ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან...
უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ცოდვათ უთვლიან შვილისა ტრფობას...
(იღ. ჭავჭავაძე, „აჩრდილი“, თავი XII).

აღმოსავლეთი საქართველო „სოვრემენიკმა“ დახატა ისეთ ქვეყნად, რომელშიც სიტყვის ოსტატები ყოველთვის დაუშრეტელ წყაროს იპოვნიან მშვენიერი ლექსებისათვის, რომელთა მსგავსი ჩვენს პროზაულ ქალაქებში ვერ შეიქმნებაო. საქართველოს გავლენის ნიმუშად რუსი პოეტის შემოქმედებაზე დასახელებულია ვ. სოლოგუბის დრამატული ხუმრობა «Ночь перед овадьбой», რომელშიც ჩვენთვის, ჩრდილოელთათვის სრულიად უცხო, მძლავრი ფანტაზიის აღმაფრენაა ჩართულიო.

ვერდერევსკისა და სოლოგუბის თხზულებები „სოვრემენიკს“ ისეთ თხზულებებად მიაჩნია, რომელნიც მათ ავტორებს ერთხელ შექმნილ მდგომარეობას უნარჩუნებენ, ხოლო დანარჩენთა (რაფ. ერისთავის, ნ. ბერძნიშვილის, ი. ცისკარაშვილის, შიშკოვის, გრანკინის, ბობილევისა, მირზა ფატალი ახუნდოვისა და სხვათა) შესახებ რეცენზენტი წერს: «Все, что они напишут, заслуживает полного участия

и одобрения, как зародыш и залог более удовлетворительного развития тифлисской литературы в будущем. Мы должны даже сказать, что их произведения и придают «Зурне» право на сочувствие критики...Мы радуемся, что между коренными тифлисскими жителями являются люди, имеющие наклонность к литературным занятиям; пройдет еще несколько лет и между ими некоторые будут писать гораздо лучше, иные, быть-может и в самом деле прекрасно».

მშვენიერია „სოვრემენიკის“ ეს შეფასება თბილისელ ლიტერატორთა მოღვაწეობა-შემოქმედებისა. მაგრამ რა კარგს იზამდა ეს ალმანახი, რომ „სოვრემენიკისა“ და რუსი მკითხველისათვის მიეწოდებინა ცნობათა ის მასალაც ქართული ლიტერატურის შესახებ, რაც იმ დროს „კავკაზს“ გააჩნდა. მაშინ თავის რეცენზიაში „სოვრემენიკი“ თბილისს და საქართველოს, პოეზიის ქვეყანას, ნამდვილი სახით წარსოადგენდა. „სოვრემენიკი“ გაეცნობოდა ქართულ ლიტერატურას, რომელსაც არ დარჩენია არც ერთი საზოგადოებრივი მოვლენა, ან ბუნების უკვდავი სახე, რომ ნატიფად შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებში არ გამოეხატოს.

ასეთი იყო თბილისური ალმანახი, რომელმაც ქართველი და რუსი მწერლების ნაწარმოებები წარუდგინა მკითხველს. ეს იყო პირველი ნაბიჯი ლიტერატურულ-მხატვრული თანამშრომლობისა. ასეთია ის გამოხმაურებაც, რომელიც მოიპოვა ლიტერატურულმა ალმანახმა გამოსვლის წელსვე.

1857 წელსაც გამოვიდა ამ ხასიათის კრებული, მაგრამ პატარა ზომისა, შედგენილი ფადეი ბობილევის მიერ, რომელსაც „ფეშქაში“ ერქვა.

შინაარსი

ქართული პუბლიცისტიკის მნიშვნელობისათვის . 3
სამშობლოს იდეა ქართულ რომანტიკულ ლიტერატურაში 19
სალომონ რაზმაძე 42
სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობიდან 51
დიდი ბრძოლების კარიბჭესთან . 61
ილია ჭავჭავაძის პირველი კრიტიკოსები . . 68
ახალი წერეთელი ქართული თეატრის ისტორიკოსი 85
კრიტიკოსები და პუბლიცისტები 97
გრიგოლ ორბელიანი 97
ალექსანდრე ცაგარელი 105
გიორგი თუმანიშვილი 112
ვლადიმერ მიქელაძე . 118
ბოსლეველი (სტატე მჭედლიძე) 123
ბოსლეველის მოღვაწეობის დრო 131
ბოსლეველის პუბლიცისტიკა 155
თბილისური ლიტერატურული ალმანახი 283

Хуцишвили Соломон Георгиевич

Литературно-критические очерки

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1969

რედაქტორი ნ. კანდელაკი
მხატვარი ბ. ჭანტურია
მხატვრული რედაქტორი ო. მესხი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი თ. მაჩაბელი

გადაეცა წარმოებას 9/II.68 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VIII 69 წ.
ქაღალდის ზომა 60×84¹/₁₆
ნაბეჭდი თაბახი 19,25.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 15,69
უე. 00290 ტირაჟი 1.000 შეკვ. № 383
ფასი 1 მან. 37 კაპ.
გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა,
თბილისი, 60, კუტუზოვის ქ.. 15
Типография Издательства «Мецниереба»
Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15